

987


ISSN 0134-9848

987/3


საქართველო

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

✓257
3-4)



ს. ჯანაშია



მამს ბაგმანი. მეთევზეები ბუნების წიაღში

საუნჯე

1987/3

მაიში

178/

ეროვნული
ბიბლიოთეკა



შინაარსი

პროზა და პოეზია

ლეონიდ ანდრეევი. აჩრდილვაბი. მოთხრობა. თარგმნა ედიშერ გიორგაძემ	8
ტაო იუან-შინი. ლექსები. თარგმნა მურმან ჭვუბურიაშ	25
ტადეუზ რუშევიჩი. ჩემი გოგონა. მოთხრობა. პოლონურიდან თარგმნა ნათელა გავაშელმა	29
ვაკე კოლმსიანი. ცის სასჯელი. რომანი. სომხურიდან თარგმნა გივი ლუარსაბიშვილმა	88
კველი საგარკნეთის კოეტი ძაღვები. ლექსები. თარგმნა ნანა ტონიაშ	185
დედა შოკრატის წიგნიდან. ოღუზური ენიდან. თარგმნეს ელიზბარ ჭავჭავაძემ და გიორგი შაყულაშვილმა	175
ფრანც ბრილჰარცერი. ოქროს საწმისი. პიესა. დახასრული. გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა	238
უილიამ სომერსეთ მოაზი. შიგოლო და შიგოლეტა. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა მარინა მელიწკაურმა	249

წერილები

მიქაელი ვერხსაევი. სიცოცხლით სავსე სიცოცხლე. თარგმნა ავთანდილ ჯოხაძემ	285
ჯეიმს ჯოისი. უილიამ ბლეიკი. ინგლისურიდან თარგმნა ნანა ბუბრაძემ	802
რუსუდან ციხითათკრიშვილი. საკარტველოს თემა ევა უტრიტმატარის შემოკმე- დაბაში	807
ირაკლი მგრალიძე. ქართული კრესა ლატვიის შესახებ 1870—1905 წლებში	812
შტეფან ლაკნერი. მაქს ბეკმანი. ინგლისურიდან თარგმნა ირმა ჭავჭავაძემ	818

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
მთავარი სარედაქციო კოლეჯია



ქართული
ლიტერატურა

მთავარი რედაქტორი:

მუსრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეჯია:

ელზა ახვლედიანი
ჯემალ აჩიაშვილი
გიორგი გაქანიძე
ფინა გაქრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი

ნანა დარჩია (პ. შვ. მღვიანი).

ვაგალი თოდუა
ნოდარ ქაქაბაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახუშტი კობახიშვილი
რომან ვიშინოვი
გიორგი ნიშნიანიძე
ოთარ ნოდია
დალი ფანჯიკიძე
რუსუდან ქაგულაძე
იორამ ქვერტალიძე
ნიკო ყიასაშვილი
გივი შანაზარი

გივი ქნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)

დავით წარადიანი
ნუგზარ წერეთელი
თამაზ ფიჭინვაძე
რაზო ჭიჭიანი

გარეკანზე: მაქს გუკოვიჩი. „პარნავალი: მხატვარი და მისი ცოლი“.

მხატვარი ა. თოდრაძე, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი
გამომშვები ნანა ბარათია

ჩვენი მიხამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მღვიანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30


გოდ. წარმ. 16. 02. 87 წ., ხელმოწ., დასაბეჭდად 9. 05. 87 წ., ქალაქის ზომა 70x108^{1/16}
საღრ. თ. 24,25, სისტ. თ. 23,91. საღებავის გატ. 28,7, ტირ. 10 000, შეკვ. № 432.

ფასი 1 მან. 60 კაპ.

საქ. კა. ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14

ლექსები ანდრეევი

ახრდილები



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

თარგმნა ედიშერ ბიორგაძემ

I

როცა უკვე ცხადი შეიქნა, რომ მაზრის საკრებულოს მაგი-
დის უფროსი ეგორ ტიმოტეს ძე პომერანცევი მართლაცდა შე-
ცდა ჭკუაზე, მისმა შორეულმა ნათესაებმა ფული შეაქუჩეს, შეძლებულ ხა-
ლშიც ჩამოითხოვეს და კერძო ფსიქიატრიულ სამკურნალოში მოათავსეს იგი.
საპენსიო ასაკამდე სნებოვანს თუმცაღა ჯერ კიდევ ათი წელი უკლდა, მაგრამ
უფროსობამ ანგარიში გაუწია მის ავადობას, მთელი მეოთხედი საუკუნის მან-
ძილზე უზადო მუშაობას და პენსია დაუნიშნა. ამგვარად ეგორ ტიმოტეს ძემ,
ვის ჯანმრთელობაზეც ლაპარაკი ზედმეტი იყო, სიკვდილამდე გაინაღდა უზრუ-
ნველყოფილი არსებობა. მოხელის დასნეულების პირველ ხანებში ცოლმა, —
ვისთანაც ეგორ ტიმოტეს ძე აგერ თხუთმეტი წელია გაყრილი გაბლდათ, —
უფლებები განაცხადა პენსიაზე, საქმეში ვეჭილიც ჩარია, მაგრამ ვერაფერს
გახდა და თანხა ავადმყოფსავე დაუნარჩუნდა.

სამკურნალო ქალაქგარეთ იმყოფებოდა. შარავზის მხრიდან, შერეული
ტყის ნაპირას მიყუყუელი აგარაკისაგან იგი არაფრით განირჩეოდა. სახლის შუა
წილზე, აგარაკების წესისამებრ ჩინობდა მაღალი, პირზემით აშვერილი ნაჯახის
დარი ორფერდა სახურავიანი მეზონინი, დამშვენებული ჩუქურთმიანი შპილით.
იქ დღესასწაულებზე მეწამულ დროშას გამოკიდებდნენ ხოლმე ავადმყოფთა
გასახალისებლად.

ადრიან გაზაფხულსა და შემოდგომაზე, დილაობით, როცა ქარი არ ქროდა,
ქალაქიდან მოისმოდა ეკლესიის ზარების რეკვა და ეტლების რბილი დუგდუგი,
სხვა დროს კი ამ არე-მიდამოს უმეტესი სიმყუდროვე სუფევდა, ვიდრე სოფელ-
ში, სადაც ძაღლებიც ყეფენ, მამლებიც ყივიან და ბავშვებიც გნიასობენ. აქ
მსგავსს ვერაფერს გაიგონებდით. შენობას მაღალი და ყრუ მესერი ერთყა. ირ-
გვლივ გადაჭიმულიყო საავადმყოფოს კუთვნილი და ამიტომაც მუდამ უკაც-
რიელი მინდორი. მხოლოდღა ერთი ვერსის მოშორებით ილანდებოდა ხეებს
შორის ამოშვერილი რომელიღაც ფაბრიკის თუჯის მილი. იქიდან ამობოლქვი-
ლი კვამლი ჯერაც არავის ენახა და ტყეში ჩამალული დაღუმებული ფაბრიკა
უპატრონოდ მიტოვებული გეგონებოდათ.

მარტოდენ შარაზე თითო-ოროლა გამვლელმა თუ უწყოდა ამ მაღალი,
ბრტყელი, შიგ დატანებული, მჭიდროდ ჩარახულ ჭიშკრიანი მესრის მიღმა შე-
შლილები რომ იმყოფებოდნენ. ყანყალა ფორნებით მოჩაქჩაქე გლეხებმა, მტვე-
რი რომ მოჰყვებოდათ უკან კუდივით, ქალაქის მეეტლეებმა და უჩუმარი მან-
ქანებით მუდამ მოჩქარე ველოსიპედისტებმა კი რა ხანია თვალი შეაჩვიეს ამ
ყრუ ღობურს და ველარც ამჩნევდნენ მას. ერთ დღესაც ყველა შიგ მყოფი
რომ გაქცეულიყო, ანდა უეცრად ამომწყდარიყო, შესაძლოა კარგა ხანს ვერა-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ვის შეეტყო ვერაფერი და ასევე გულდინჯად ჩაევლოთ გვერდით და აედინათ შარაზე მტვერი ფორნებსა და მუდამ სადღაც მოჩქარე ველოსიპედისტებს.

ბორგნეულ ავადმყოფებს ექიმი შევირიოვი თავის სამკურნალოში არ ღებულობდა. ამიტომაც იქ იმგვარი სიმუდროვე სუფევდა, როგორც რომელსამე დარბაისლურ ოჯახში, სადაც მკვიდრობდა ზრდილი და უკრძარებელი ქვლხი. ერთადერთი ბგერა, რაც მოყოლებული საავადმყოფოს დაარსებიდან იმ არემიდამოს მთელი ათი წელი ხშიანობდა, ისე დაბალი იყო, წყობილი და თანაგვარი, რომ არც არავის ესმოდა და ვერც ვერავინ ამჩნევდა, როგორც ვერ სწვდება ადამიანის ყურს საათის ქანქარას რხევა, ანდა საკუთარი გულისცემა. ეს გახლდათ ხმა კაკუნისა. ამას სჩადიოდა ოთახში გამოკეტილი სნეული. სადაც არ უნდა მოხვედრილიყო იგი, ყველგან მოძებნიდა ჩარაზულ, ანდა უბრალოდ მოხურულ კარს და ასტეხდა კაკუნს. თუ გაუღებდნენ, ახლა სხვა ჩაქეტილ კარს მიადგებოდა და კვლავ გააბამდა რაკარუქს. მას სურდა ღია ყოფილიყო ყველა კარი. აგრე აკაკუნებდა დღითა და ღამით, დაღლილობისაგან გახევებული, გიჟურ ოცნებას აყოლილი. ჩანდა, რაღაც მანქანებით მძინარეც აბამდა ამ საქმეს თავს, თორემ სულს გააფრთხობდა უძილობისაგან. ისე კი ჩათვლემილიც არავის უნახავს იგი და არც კაკუნი შეწყვეტილა ოდესმე.

და იდგა სიჩუმე. მხოლოდღა იშვიათად, უმეტესად ღამით, როცა შორეული ტყე ქარისაგან ქშუოდა, რომელსამე ავადმყოფს შემოაწვებოდა სევდა და მორთავდა პირმოხეულ ყვირილს, მას უმაღლ დააშოშმინებდნენ ხოლმე. ხდებოდა ისეც, სნეული ვერ ერეოდა შიშსა და ნალველს. არც სიტყვა სჭრიდა, აღარც წამალი და შეშლილი განაგრობდა ღრიალს. მაშინ შფოთი მოიცავდა სახლის ძილდამფრთხალ ბინადრებს, ერთდროულად მომართული თოჯინების მაგვარად იწყებდნენ ისინი თავიანთ ოთახებში წრიალს, ხელების ქნევას და ათასგვარი სისულელის ჩმახვას. ყველაზე მორჩილი ავადმყოფებიც კი თავგამოდებით არახუნებდნენ კარებზე, ითხოვდნენ სადღაც გაეშვათ. ასეთ დროს ფერშალი გამოიძახებდა ექიმს ქალაქგარეთ მდებარე რესტორან „ბაბილონიდან“, სადაც შევირიოვი ღამეებს ათენებდა. საკმარისი იყო მკურანასლის გამოჩენა, რომ ავადმყოფები დაშოშმინებულიყვნენ, ოღონდ ამ ერთი მეორის მინაგვარ კარებს მიღმა კიდევ კარგა ხანს მოისმოდა მათი გნიასი. ქრცვინისაგან დამფრთხალი ქათმებივით ფორიაქობდნენ სულით ავადმყოფნი და უსაზმნოდ როტავდნენ. ასეთი არეულობა იშვიათად თუ ხდებოდა, თანაც სხვათათვის შეუმჩნევლად. დამსწრეც არავინ იყო. ღამით შარაზე გაწყდებოდა ხოლმე ადამიანის ჭაჭანება. კედლებითა და მანძილით შენელებული ყვირილი კი ხალხის ჩვეულებრივ ღრიალსა ჰგავდა. მით უმეტეს, რომ ზოგ ავადმყოფს, როცა ზნე მოუვლიდა, სიმღერა სჩვეოდა.

II

ეგორ ტიმოთეს ძეს გამოუყვეს მაღალქერიანი ოთახი, ტყეში გამავალი ფანჯრით. ასე რომ, ზაფხულის დღეებში, როცა სარკმელი ღია იყო, გრილ ოთახს არყის ხისა და ფიჭვის სურნელი ავსებდა, მაგიდას კი ამშვენებდა ყვავილებიანი ქოთანნი, იქაურობა მართლაც აგარაკსა ჰგავდა. ხის მორებისაგან ნაშენ კედლებზე ეგორ ტიმოთეს ძემ თან წამოძღვანებული სამი ნახატი და ხუნაგისაგან გარდაცვლილი თავისი პატარა ვაჭიშვილის სურათი დაკიდა. ამა ყოველმა ოთახს შნო და ლაზათი, ასე ვთქვათ, საზეიმო იერიც კი შესძინა. სურათები კი ასეთი ყაიდისა გახლდათ: ველზე მიდენილ ბატებში გარეული ქალიშვი-

ლი, ქალაქის მაკურთხებელი ანგელოზი და იტალიელი ბიჭუნა. ეგორ ტიმოტეს ძეს ისე მოსწონდა თავისი ბინა, ყოველ ავადმყოფს იწვევდა მის სანახევრად ექიმ შევირიოვსაც მხოლოდ და მხოლოდ იქ ესაუბრებოდა. თუკი რომელიმე სნეული ანდა ექიმი უარზე დადგებოდა, მაშინ ეშმაკობას ხმარობდა, იქ ბულბული მყავს, იგავმიუწვდომელი მგალობელიც. ოთხმოცწევრიანი ებდა და ვისღა ახსოვდა ბულბული, დასხდებოდნენ და შეყვებოდნენ მასლა-ათს. შეშლილებიც თავის მხრივ მოხიბლულნი იყვნენ პომერანცევის სამყოფელით და როცა თავიანთი დაწესებულების ქებას მოჰყვებოდნენ, მაშინვე ამ ოთახს მოიყვანდნენ მაგალითად.

ეგორ ტიმოტეს ძემ იმთავითვე იცოდა, საავადმყოფოში რომ იმყოფებოდა, მაგრამ ამას აინუნშიაც არ აგდებდა. სწამდა და სჯეროდა, თუკი მოისურვებდა, გაცხადდებოდა ვითა უხორცო და შეეძლებოდა რება და ფრენა მთელ დუნიაზე. პირველ დღეებში იგი ყოველდღე მიფრინავდა სამაზრო უწყებაში, მერე კი უმეტეს მნიშვნელოვანი საქმეები შეიყოლიებდა.

მაღალი კაცი იყო, ხმელ-ხმელი, ჯერ კიდევ საკმაოდ შავი, აქოჩრილი თმითა და ასეთივე წვერით მოსილი. თვალს აკლდა და ძალზე ძლიერ, სქელშუშიან სათვალეს ატარებდა. სიცილი სჩვეოდა ხშირად და ამ დროს ისე აშიშვლებდა ღრძილებს, გეგონებოდათ, მთელი გარეგნობითა და შინაგანობით, ლამის თმის ღერებითაც კი ხარხარებსო. ხმა დაბალი ჰქონდა, გუგუნა ბანი. როცა ლაპარაკობდა, აგრე იფიქრებდით, ამ კაცს ვიღაცა აზის ზედ და ანჯღრევსო. ეს ბანი ხმამაღალი სიცილის ოროს ტენორში გადადიოდა.

სულ მალე გაიცნო ყველა ავადმყოფი და მათ შორის მფარველის უფლება დაიმკვიდრა. დიდად აღმატებულ ვინმედ წარმოესახა საკუთარი პიროვნება, ოღონდაც არჩევანში მერყეობდა. თავი ხან გრაფი აღმავივა ეგონა, ხან სამაზრო მმართველობის მრჩეველი, ხანაც წმინდანი, სასწაულმოქმედი თუ ხალხის მწყალობელი. უსაზღვრო ძალმოსილებისა და კეთილშობილების გრძნობით აღვსილი შემბრალებ გახლდათ ადამიანთა მიმართ. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ იყო მკაცრი და მზვაობარი. ასე ირჯებოდა, როცა გიორგის ნაცვლად ეგორს უწოდებდნენ. შეიცხადებდა თვალზე ცრემლმომდგარი, აყვირებოდა, ძირს მითხრიანო, საჩივრებს სწერდა წმინდა სინოდსა და გიორგის ორდენის კავალერთა კაპიტულს. ასეთ შემთხვევაში ექიმი შევირიოვი დაუყოვნებლივ უგზავნიდა ფორმალურის მხრივ წესი და რიგისამებრ შედგენილ პასუხს, თქვენი თხოვნა შეწყნარებულიაო. უმაღ დაცხრებოდა ეგორ ტიმოტეს ძე და მკურნალს კბილს გაჰკრავდა კიდევ, სახაზინო ქალაღდისა გეშინიაო.

ჩემდათავად დღეში ასობით ასეთ ქალაღდს ვწერდი და თუკი მოვინდომე, ჩემთვის ეს დიდი ბედენა ახლაც არ არისო, — ქილიკობდა ხოლმე სიცილით. როგორც სნეულის ახლობლებმა ექიმს ამცნეს, ეგორ ტიმოტეს ძეს სწორედ ამ „გიორგის“ აკვიატებით დაეწყო თურმე ავადმყოფობა.

სამკურნალოში სნეულები ცოტანი იყვნენ. თერთმეტი მამაკაცი და სამი ქალი. ყველანი ისე ირთვებოდნენ, როგორც შინ სჩვეოდათ და მხოლოდ დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნევდა უსუფთაობასა და მიშვებულობას, რაც ბევრი იმეცადინა, მაგრამ ვერა და ვერ აღმოფხვრა ექიმმა შევირიოვმა. ავადმყოფებს ვერც ვარცხნილობას დაუწუნებდით. მხოლოდ ერთი, ნიადაგ თმაგაშლილი ქალბატონი მოგბვდებოდათ თვალში და ერთიც მამაკაცი, მატყიერწვერიანი, მღვდელივით თმააფაფრული პეტროვი. სამართებელი და მაკრატელი დასანახავად სძულდა ამ სნეულს და არც არავის აძლევდა უფლებას გაეკრიჭათ

ემის შიშით, ყელი არ გამოჰქრანო. ზამთრობით ავადმყოფები მოედანს მობეკნიდნენ, ციგურებითა და თხილამურებით სრიალებდნენ. გაზაფხულსა და ზაფხულზე საღსალამათი ადამის შვილთა დაგვარად ბოსტანსა არგავდნენ და ყვავილებს ახარებდნენ. ყველა ამ საქმიანობაში ეგორ ტიმოთესს მონაწილეობდა. სნეულთაგან მხოლოდლა სამი არ მონაწილეობდა არც საქმესა და არც გართობაში. ესენი იყვნენ თმა-წვერმოშვებული პეტროვი და ორმოც წელს მიტანებული ქალწული, ანფისა ანდრეის ასული. ახალგაზრდობაში ეს ქალი არაერთ წელს ემსახურებოდა თავის შორეულ ნათესავს, ერთ გრაფის ქალს. ერთხელაც ისე მოხდა, საძილედ ძალზე მოკლე, ლამის საბავშვო საწოლი მიუჩინეს თურმე. ბოლომდე ვერ იმართებოდა ამ საწოლზე ანფისა ანდრეის ასული და როცა ჰკუაზე შეცდა, ეჩვენებოდა, თითქოს ფეხები მოეკაკვა და სამუდამოდ დაკუტდა. მკვდარსაც არავინ ღამინდობს, ისეთ მოკლე კუბოს მიყიდიან, ფეხებს ვერ გავშლიო, აეკვიატა აზრი. მეტისმეტად მორიდებული გახლდათ და ჩუმი, ეს მშვენებით მოსილი, სახეგაცრეცილი, ხატებზე გამოსახული წმინდანებისა და მონაზვნების მსგავსი ადამიანი. საუბრის დროს სიტყვას ისე არ დაძრავდა, თლილი თითებით გულმკერდზე ჩამოჩინჩული მაქმანი რომ არ გაესწორებინა. მის შესანახად მცირე თანხა იყო გაღებული, ამიტომაც ძველი, მოდიდან კარგახნის გასული, უცნაური კაბები ეცვა მუდამ.

ეს ქალი ეგორ ტიმოთეს ძეს იყო მინდობილი. მისი სწამდა, სჯეროდა და სთხოვდა ხოლმე, ჩემს კუბოზე იზრუნეო.

— მართალია, ექიმმა აღმითქვა დახმარება, მაგრამ მოგეხსენებათ მაგათი ამბავი. ეგენი იმიტომაც მოგვიჩინეს, რომ ტყუილებით გაგვბერონ. თქვენ კი სხვა ხართ, ჩვენიანი ბრძანდებით. საქმეც სულ უბრალოა. გრძელი კუბო მხოლოდ სამი მანეთით ძვირი ეღირება მოკლეზე. მე უკვე ვიანგარიშე კიდეც. ახლა მთავარია, ვინმემ მოაბას თავი, პირობას მაძლევთ?

— რა თქმა უნდა, ქალბატონო, აუცილებლად. ავადმყოფებს ჩამოვივლი და აკლდამას მოგიწყობთ.

— აი, მესმის. აკლდამას რაღა სჯობს. გმადლობთ, გიორგი ტიმოთეს ძე. რძისფერ ღრუბელს მზის პირველი სხივი რომ დაჰკრავს, ისე ვარდისფრად აეტკიცებოდა ხოლმე სნეულ ქალს უსისხლო სახე. ანფისა ანდრეის ასულს ღმერთი არა სწამდა და გრაფის დღეობაზე, როცა ოჯახში ხატები მოასვენეს, არნახული მკრეხელობა ჩაიდინა. მაშინ გამომქლავნდა თურმე მისი სნეულებაც.

ავადმყოფთათვის სავალდებულო გასეირნების დროს უეცარი თავდასხმის შიშით შეპყრობილი პეტროვი განზე იჭერდა თავს, ზაფხულობით ჯიბეში ჰქვა ედო, ზამთრობით—ყინულის ნატეხი, ანდა დაბეკნილი თოვლის გუნდა. შეშლილებს გაუნაპირდებოდა ხოლმე ხეკაკუნა ავადმყოფიც, უფრო მნიშვნელოვან საქმეზე მოჩქარე. ის სწრაფად ჩაივლიდა ყველა მოღიავებულ კარს, შედგებოდა დაკეტულ კართან და დინჯად, აუჩქარებლად და გამოზომილად შეუდგებოდა კაკუნს. პირველ ხანებში თეთრ, ნატიფ თითებზე ფუფხი და ნაქდევები გაუჩნდა, მაგრამ თანდათან ხელები გაუტლანქდა, სახსრებზე კორძები დაასხდა და მას მერე კარებს ისეთი რაკარუკი გაუდიოდა, თითქოს ჰქვას ურახუნებდნენ ზედ.

ეგორ ტიმოთეს ძე ყოველი შეხვედრისას თავის მოვალეობად თვლიდა გამოლაპარაკებოდა ხეკაკუნას.

— დილა მშვიდობისა, მოწყალეო ხელმწიფევ, ვაკაკუნებთ არა?!

— ვაკაკუნებ! — ხმადაბლა მიუეგბდა შეშლილი და მიაპყრობდა დიდ, სევდიან უჩვეულოდ ღრმა თვალებს.

— არ გიღებენ ხომ?

— არა, არ მიღებენ, — კვლავ ჩურჩულით პასუხობდა ავადმყოფი უღრმა ხმა მჭრქალი ჰქონდა, ექოსავით ყრუ, მაგრამ მისივ თვალებივედ იმდენად ღრმა.

— მიმიშვით, მე გავალე, — ეტყოდა ეგორ ტიმოტეს ძე და იწყებდა ურდულის ქაჩვას, თითსაც უჩხიკინებდა კლიტის ღრმულში, მაგრამ კარი არ ნებდებოდა.

— იცით რა, მოწყალეო ხელმწიფევ, აგრე აჯობებს, თქვენ შეისვენეთ, მე კი დავაკაკუნებ, — შესთავაზებდა მაშინ ეგორ ტიმოტეს ძე.

რამდენიმე წუთს იგი მთელი მონდომებით უშენდა მუშტს კარებს, ამასობაში ავადმყოფი სულს ითქვამდა, ნება-ნება იზელდა თითებს, გულგრილ თვალებს ავლებდა ზეცას, ბალს, ავადმყოფებს. მაღალი იყო, ლამაზი, ჯერაც ძლიერი, ნიავი ოდნავ რომ აუშლიდა ჭალარაშერთულ წვერს, გეგონებოდათ, ნამჭერი ეყრებო ამ სანდომიანსა და მკაცრ, სევდიან სახეს.

ერთხელ პეტროვი მიუახლოვდა ფეხაკრეფით და ჰკითხა:

— იქ ვინმე არის? ვინმე არის იქა?

— კარი უნდა ღია იყოს.

— რა უნდა ღია იყოს, ის ქალი რომ შემოვიდეს?

— კარი ღია უნდა იყოს.

— რა გქვიათ?

— არ ვიცი.

პეტროვმა უნდობლად გაიცინა, მაგრად მოუჭირა ხელი ჯიბეში მოხაზირებულ ყინულის ნატებს და შიშნეულად დაბრუნდა თავის ადგილას, ხის უკან, სადაც მისი ვარაუდით ნაკლებ ელოდა უეცარი თავდასხმის საფრთხე.

საერთოდ, ავადმყოფები ბევრს და ხალისით ლაპარაკობდნენ, მაგრამ პირველივე სიტყვების შემდეგ ერთმანეთს ყურს აღარ უგდებდნენ და მარტო თავისას მიერეკებოდნენ. ოღონდ ეს გარემოება ნაკლებ საინტერესოს როდი ხდიდა მათ მასლაათს.

ექიმი შევირიოვი ყოველდღე ხან ერთს უჯდა გვერდით, ხან მეორეს და ყურადღებით უსმენდა, გეგონებოდათ, თვითონაც საუბარშია ჩართულიო. სინამდვილეში კი იგი გამუდმებით დუმდა. ყოველ ღამეს, ათი საათიდან დილის ექვს საათამდე ექიმი ქალაქგარეთ მდებარე რესტორან „ბაბილონში“ ატარებდა და გაურკვეველი იყო როდისღა ასწრებდა ძილს ანდა თავის მოვლას. ის ხომ ყოველთვის გამოწყობილი იყო, წმინდად გაპარსული და სუნამოს მსუბუქი სურნელიც კი მუდამ უდიოდა.

III

ეგორ ტიმოტეს ძეს ხანდისხან თავის ძლიერი ტკივილი მოუვლიდა. ერთი ასეთი შეტევის დროს მარიამბულის მალამო დაადეს კეფაზე. როცა მალამო ააცალეს, იგი აყვირდა ტკივილისაგან და მოჰყვა ლანძღვა-გინებას. მერე კი თავი გააქნია და თქვა: — კარგია, გამომაცოცხლა, თქვენ დაუფასებელი ადამიანი ხართ, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძევ. მუდამ კმაყოფილი იყო ყველაფრით. სიგიჟის გარდა კუჭის კატარიც სჭირდა, ნიკრისის ქარიცა და კიდევ ბევრი სხვა სნეულებაც. დიეტას უნიშნავდნენ, ნახევრად მშიერს ამყოფებდნენ, მაგრამ

არას დაგიდევდათ და ისეთივე სიამით აღიკვეთავდა ხოლმე საჭმელს, რა სიამითაც გიანლებოდათ. ამაცობდა კიდევ თავისი სწეულებებით. ნიკოლის ქარის შეტევის გამო მადლობაც კი გადაუხადა ექიმ შევირიოვს და მთელი/ის დღე ვითომც აქ არაფერიც, ხმამაღლა დაჰყვიროდა ავადმყოფებს/ქრონოლოგებს თოვლის გორას დგამდნენ. გაბუნდოვანებული წარმოსახვებ/სტეფანოსის მრისხანე ციხე-სიმაგრის მშენებლობის მეთვალყურე გენერლად უხატავდა. რაც უნდა მომხდარიყო, მით უკეთესიო, იტყოდა და ასეც ეგონა. ერთხელ ზამთარში ბუხრის მილში ჭვარტლი ააღდა. სახლს ხანძრის საფრთხე ემუქრებოდა. ამ ამბავმა ააფორიაქა ყოველი ავადმყოფიცა და ჭანმრთელი ადამიანიც. მარტოოდენ ეგორ ტიმოთეს ძე დარჩა კმაყოფილი. მისი აზრით, ჭვარტლთან ერთად უნდა გამობუგულიყო მილში ჩასახლებული ავი სულიც, ღამლამობით რომ ყმუოდა. და როდესაც ამ მილში მართლაცდა ხმაური რატომღაც შეწყდა, მან პატაკი მისწერა წმინდა სინოდს და მიიღო კიდევ სამადლობელი პასუხი. უამიყამ ძველებურად დაფრენდა სამსახურსა და სამაზრო უწყებაში, უმთავრესად კი სხვა რამით იყო დაკავებული. ღამლამობით ნიკოლოზ სასწაულმოქმედი ეწვეოდა, ერთად შემოუფრენდნენ ხოლმე ქალაქის საავადმყოფოებს და კურნა-დნენ სწეულებს. დილაობით დათენთილი იღვიძებდა, ფეხები გარუმბებოდა, სახე შეშუბებოდა და კისერი ისე სტებდა, სიარულის დროს თავი გვერდით უნდა სჭეროდა. დღე მისთვის იწყებოდა ნახევარსაათიანი მხუთავი ხველებით, რისგანაც ვენები აებურთებოდა შუბლზე და თვალები ამღვრეოდა.

— აბა, როგორა გრძნობთ თავს დღეს? — შეეკითხებოდა ექიმი შევირიოვი და ჯერ კიდევ აულავებელ ლოგინზე ჩამოუჯდებოდა.

ეგორ ტიმოთეს ძე ცხვირს აქმუტუნებდა, ყელში მომდგარ ხველას ებრძოდა.

— ჩინებულად, არცოდეს ვყოფილვარ ასე კარგად.

ერთს ამოიქშენდა, საბოლოოდ მოერეოდა ხველებას, მხიარულად აუბრწყინდებოდა თვალები და განაგრძობდა:

— ეს არის, ცოტა დავიდალე. თავად განსაჯეთ, შემოიფრინე აბა ანდრონოვის, დეგტერიოვის, შებილოვის საავადმყოფოები, რომელი ერთი ვთქვა. საქმე ულევია. მარტო დეგტერიოვის სამკურნალოში ხუთი ფილტვების ანთებიანი ბავშვია, იხუთებიან პატარები. ერთი მათგანი ფშიტინებს კიდევ. ჰოდა, სულს შეუბერავს ნიკოლოზი და კიმ წამს, ასე რომ ვთქვათ, გული საგულეში ჩაუდგება. დიან, ავადმყოფი, ორი დღელამე რომ არც უსვამს და არც უჭამია, ახლა ილიმის და წყალს თხოულობს. მე და ნიკოლოზმა, ღმერთმანი, კინალამ ვიტირეთ სიხარულისაგან.

ეგორ ტიმოთეს ძეს თვალები ცრემლით აევსო, მაგრამ ხუმრობაში გაატარა.

— დახეთ, რა სეხნია გყავთ. სად თქვენ და სად ისა. არ გეწყინოთ, ექიმო. ვიხუმრე უბრალოდ. განა არ ვიცი, უკეთილშობილესი ადამიანი ბრძანდებით, ასე რომ ვთქვათ, თქვენც, რალა თქმა უნდა, კურნავთ ავადმყოფებს. სახითაც წმინდა ერახმსა ჰგავხართ, ისიც ხომ ჩინებული წმინდანია.

— გინახავთ კია?

— რა საკითხავია. მე ეგენი ყველა მინახავს, — და იგი მოჰყვა წმინდანთა მშვენიერი და კეთილშობილური სახეების აღწერას. მერე, თუმცადა სწორად ვერ ეჭირა გვერდზე მოგრებილი თავი, მაინც ყოჩაღად გაიარ-გამოიარა ოთახში. მსუბუქი ვარჯიში შეასრულა ხელებით და ფანჯარას მიადგა.



— დნება და დნება! აჰ, რა კარგია, დღეს რას გვიბრძანებთ, ექიმო?

— თუ გნებავთ, საციგურაო მოედანზე ყინული მოაბეთ.

— ყინული მოვაბო? ღმერთო ჩემო, ამაზე კარგს რაღას მოიფიქრებდით, ასე რომ ვთქვათ, გაზაფხულს მხარი მივცეთ არა? ღმერთო ჩემო, თქვენს დიდებულ ადამიანი ბრძანდებით, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

ისინი მეგობრულად გასცილდნენ ერთმანეთს. თხუთმეტოდე წუთის შემდგომ კი ყინულის კოშტებითა და თოვლის სორსლებით მოლიგნულ-მოფეთქილი ეგორ ტიმოთეს ძე გულისხმიერად უჩაქუნებდა წერაქვს რბილსა და სამარხვო შაქრის მსგავს თოვლს. მუშაობისაგან შეხურდა, კისერიც როგორღაც გაუსწორდა, ხელისგულებს წიწკნიდა ახალი კოჭრები. დღე კი იღიმოდა. იდგა მშვიდი, ოდნავ მოქრუშული, მაგრამ თბილი და მომლიმარი დღე. ყოველის მხრიდან წვეთავდა: სახურავებიდან, ხეებიდან, მესერიდან. ამის გამო მთლად გადაშავდა ზეცა და მესერიც. იდგა ბლინების, დიდმარხვის, გამლხვალი თოვლის და ცხენის ჩონჩორიკის სუნი.

— მარჯვედ ვმუშაობთ თუ არა? — გასძახებდა ეგორ ტიმოთეს ძე დაბამბულ ქურქში გამოხვეულ, მომცრო ტანის ფერშალ ქალიშვილს.

სკამზე იჯდა ეს ქალიშვილი, შემცივნებული პატარა ფეხები მოეკეცა, ცხვირი გაიწითლებოდა სინესტისაგან, მთელი გულისყური ავადმყოფებისაკენ ჰქონდა.

— ბარაქალა თქვენ, ეგორ ტიმოთეს ძე. თვალს ვერ გაცილებთ, როცა მუშაობთ, — სუსტი ხმით პასუხობდა იგი და ალერსიანად უღიმოდა.

ეგორ ტიმოთეს ძემ იცოდა ფერშალი ქალი მას რომ ეტრფოდა და თუმცა-ღა არ ძალუძდა ეპასუხა იგივე გრძნობით, დიდად აფასებდა ასეთ პატივს და ყოველნაირად ცდილობდა, რაიმე გაუფრთხილებლობით სახელი არ გაეტეხა მისთვის. მის წარმოდგენაში ეს ადამიანი მოვალეობის მსხვერპლად შეწირული გმირი ქალი გახლდათ, ვინც არისტოკრატიული ოჯახი მიატოვა და ავადმყოფებისათვის გადასდო თავი. ფერშალ ქალს საკუთარი კერა არ გააჩნდა, მიგდებული ბავშვი იყო. ამ ნათელსა და სილამაზით შემკულ პიროვნებას გვარდიის ოფიცრები ეარშიყებოდნენ. ეგორ ტიმოთეს ძე მას განსაკუთრებულად ეპყრობოდა, თავს მდაბლად დაუხრიდა, ხელკავით მიაცილებდა მაგიდასთან. ზაფხულობით დარაჯის ხელით ყვავილებს უგზავნიდა. მასთან ცალკე დარჩენას კი გაურბოდა, იმის შიშით, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეყენებინა ქალი, ხშირად მოსდიოდა კამათი ავადმყოფ პეტროვთან, რომელიც ამ ასულზე სრულიად საპირისპირო აზრისა იყო. პეტროვი ირწმუნებოდა, ყველა ქალის მსგავსად ეგეც გარყვნილია, ჭეშმარიტი სიყვარულის უნარს მოკლებული და თანაც ზურგს უკან ყველას მასხარად გვიგდებსო.

— შეხედეთ აბა, — უთხრა მან ერთხელ ეგორ ტიმოთეს ძეს, თან ხელი აბურღულ, მატყიერ წვერზე წაივლო, — აგერ ამ წუთში ჩვენ ორთავეს გვეყეკლუცებოდა, ახლა კი კარს მოფარებია, ხარხარებს, სულელებად გვნათლავს. რაო, არ გესმით? თავს დავდებ, ცხვირს გვიბზეკს, იმანჭება კიდეც. კარგად ვიცნობ, დარდი ნუ გაქვთ.

— წარმოუდგენელია, მეც ვიცნობ მაგას.

— არ გესმით? ახლაც დაგვცინის, მოდით დავიჭიროთ.

და ისინი, ხელიხელჩაკიდებულნი, ფეხისწვერებზე შემდგარნი ფრთხილად მიეპარნენ კარს. პეტროვმა გამოაღო კარი და ზეაწეული ხმით შესძახა.

— წასულა. ჩვენს საუბარს მოჰკრა ყური თუ არა, გაშა. ეშმაკის ფეხია.

ვერასოდეს მოახელთებ. შესაძლოა მთელი ცხოვრება სდია და გერც კი დაეწიო.

მისი სიტყვებით, ფერშალ ქალს დარაჯისაგან ჰყავდა ბავშვი, რომელიც გაგუდა ბალიშით და ღამით ტყეში ჩამარხა. მან, პეტროვმა კარგად უწყის ყოველივე. ეგორ ტიმოტეს ძემ ეს უკვე ვეღარ მოითმინა, გვერდზე გადაგა, ხელი გაიშვირა და საზეიმო ხმით წარმოთქვა:

— თქვენ, პეტროვ, ნამდვილი ბოროტმოქმედი ხართ. ჩემს ცხოვრებაში არასდროს ჩამოგართმევთ ხელს და გიჩივლებთ ამხანაგურ სასამართლოში.

მაგრამ ამხანაგური სასამართლო არ შესდგა. მართალია, ეგორ ტიმოტეს ძეს მითითებით ავადმყოფები ნახევარწრედ განლაგდნენ, მაგრამ ზვიადმა და თმაგაშლილმა ქალბატონმა ისურვა, ფანტი ამოვიღოთო და აირია მონასტერი. ნახევარი საათის შემდეგ კი არავის აღარაფერი ახსოვდა და კვლავ მეგობრულად მასლაათობდნენ, იმავე ფერშალ ქალსა და მის სილამაზეზე, რასაც ორთავე აღიარებდა. ეს იყო მხოლოდ, ეგორ ტიმოტეს ძე ამტკიცებდა, ანგელოსივიტ ლამაზი არისო, პეტროვმა კი დაიყინა ლამაზია, ოღონდ დემონივითო. მერმე პეტროვი დიდხანს ჩურჩულით ყვებოდა თავის მტრებზე, ფიცი რომ დაედოთ მის მოსასპობად. გაზეთებში გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშები, ბექდური კატალოგები და აფიშები სინამდვილეში ხომ პეტროვის საწინააღმდეგო ცილისმწამებლური წერილები გახლდათ. ღამღამობით მთელ ქალაქში დაეძებდნენ მოთუხთუხე ავტომობილებით მოარული მტრები, უდარაჯებდნენ ყველა კარს უკან. მათ მოისყიდეს პეტროვის ძმები, მოხუცი დედა, რომელიც ცისმარე დღე წამალს უყრიდა საჭმელში, კინაღამ სული ამოხდა შიმშილისაგან. მეტად ძალმოსილები იყვნენ ავის მოსურნენი: ქვაში, ხეებშიც ძალუძდათ დაბუღება. ერთხელაც, როცა ტყეში მიდიოდა, სწრაფად დაიხარა ერთი ვერხვი და ლიბი ტოტები გამოიწვდინა მის მოსაშთობად. დილით რომ ადგებოდა, როდი იცოდა, საღამომდე მიატანდა თუ არა ცოცხალი. მტრებს შეეძლოთ მის სხეულშიც შეეღწიათ და ისეც ხდებოდა, ხელი ან ფეხი აღარ დაჰყვებოდა ხოლმე პეტროვის ნებას და იმგვარ რასმე მოიმოქმედებდა, რაც მათ მფლობელს სრულიადაც არ სურდა. მტრებს ძალი შესწევდათ მის სულშიც შეჭრილიყვნენ და დილაობით ხშირად ჩააგონებდნენ, მოეკლა თავი. რჩევებსაც აძლევდნენ, როგორ გაეტეხა მინა და გადაესერა ვენები მარცხენა ხელზე, ზედ იდაყვთან. ექიმმა შევირიოვმა კარგად უწყოდა ეს ყოველივე, სამი დღის წინ დილით აკი უთხრა კიდევ:

— თქვენ ძალზე უბედური ადამიანი ხართ, პეტროვ.

ქვას შესძრავს თუნდ ერთხელ მაინც გულით ნათქვამი და თანამგრძნობი სიტყვა; და მერე ვისი ნათქვამი? ექიმი შევირიოვი ხომ დიდი თავკერძა კაცი იყო, ლოთი და ქალების მუსუსი. საავადმყოფოც განა იმიტომ არ დააარსა, ბრიყვებისათვის რომ ტყავი გაეძრო?! ვინ იცის იქნებ იგიც მოსყიდული იყო და შესაფერ წუთს ეძებდა ავი განზრახვის აღსასრულებლად? გასულ კვირას პეტროვმა თვითონ დაინახა კუთხეში მდგარი, მის ფანჯარას მიმხერილი მოხუცი დედა. შეჰყვირა თუ არა, დედაბერი სწრაფად მიიმალა. ექიმი შევირიოვი კი ირწმუნებოდა, იქ არავინ იყო. მაშინ როცა პეტროვმა საკუთარი თვალებით იხილა აი, იმ კუთხეს მიფარებული, ერთ ალაგას მიშტერებული, შემზარავი თვალებიანი დედაბერი ქეშად მოგდებული ცხვრის ტყავის ქუდით. პეტროვი ყვებოდა და მისი მოგუდული ხმა და მატყიერი, აბურღული წვერი ამხელდა უიმედო საშინელებას მოცულ მის სულს. დიდი ხანია, მარტო იყო თავის ოთახში,

ოლონდ არ ახსოვდა, რატომ გააცალკევეს და არც ფიქრობდა ამაზე. ბოლოთასა სცემდა ოთახში, ბუტბუტებდა თავისთვის, ხელებს შუბლზე იჭერდა და ტროლიდა. მერე ვიდაცას დაემუქრებოდა და სასოწარკვეთილი და უბედური კვლავ დააფრქვევდა ცრემლს. რალაც მოაგონდებოდა, გამოცოცხლებოდა, ფანჯარას აეკრობოდა და მთელი საათი უთვალთვალეზდა დედამისს. ერთხელ ~~ჩაქქქქ~~ ~~ჩაქქქ~~ ~~ჩაქქქ~~ ჩვენა, რომ კუთხიდან გამოჩნდა ბებრული, საზართვალეზიანი, ფერმკრთალი სახე, გვერდზე მოგდებული ცხვრის ტყავის ქუდით. ისედაც ყოველ წამს საყვირლად შემართულს, ის იყო, ხორხიდან ღრიალი უნდა ამოეშვა, რომ მოჩვენება გაქრა. მინის იქით, სახურავიდან სწრაფად ეცემოდნენ გამდნარი თოვლის მძიმე წვეთები, კრიალა ხეებს კი უხმაურო ოხშივარი ასდიოდა ადრეული გაზაფხულის ამ თეთრ, ზარქელსა და თბილ ჰაერში და იღვა ნათელი.

აგზნება ჩაცხრა, გადაქრა ნაწყვეტ-ნაწყვეტი აზრები და მარტოოდენ სევდალა შემორჩა. პეტროვი ლოგინზე მიწვა, ნაღველი მაჯლაჯუნასავით ჩააფრინდა და ჩააკვდა მკერდში. იწვნენ ასე, გიყური კავშირით შებორკილნი, მინის მიღმა კი სწრაფად წყდებოდნენ მსხვილი წვეთები და იღვა ნათელი.

საციგურაოს მხრიდან ფანჯრის ორმაგ ჩარჩოში ატანდა უდარდელი სიცილ-ხარხარი. ეს გახლდათ ეგორ ტიმოთეს ძე, გუბეებში რომ აცურებდა იალქნაიან ნავეებს და გულიანად როხროხებდა.

IV

ფერშალი ქალი მარია ასტაფის ასული სულაც არ ეტროფოდა ეგორ ტიმოთეს ძეს. საავადმყოფოში მოსვლის დღიდანვე, აგერ უკვე სამი წელია, უიმედოდ უყვარდა ექიმი შევირიოვი და ვერ ბედავდა მისთვის გრძნობა გაემხილა. უყვარდა იგი ჰკუის, კეთილშობილების, ვაჟკაცური სილამაზის გამო. კიდევ იმისთვის, რომ მუდამ უდიოდა რალაც განსაკუთრებულ სუნამოს სუნი და იმიტომაც, რომ ყოველთვის დუმდა და მარტოსულად გამოიყურებოდა. და უბედურად. მეზონინში, შევირიოვის საცხოვრებელ სამთავე ოთახში ქალმა ზეპირად იცოდა სად რა იდო, სცნობდა ყოველ სურათს თუ ნაგლეჯ ქალაღდს, ყოველ წვრილმანს. ისეთი გულისხმიერებით ფურცლავდა წიგნებს, რომელთაც ექიმი კითხულობდა, თითქოსდა შიგ ჩარჩენილი ყოფილიყოს ანაბეჭდი მისი ფიქრიანი მზერისა. ყველა სავარძელსა და დივანს მოივლიდა, ყველგან ჩამოჯდებოდა და ერთხელ ღამით, როცა ექიმი ჩვეულებისამებრ რესტორან „ბაბილონში“ იმყოფებოდა, მის ლოგინზეც კი მიწვა მორიდებულად. რაკილა სასთუმალს ქალის თავის კვალი დააჩნდა, შეცბუნდა, მოინდომა შევბერტყავ და გავასწორებო, მაგრამ გადა ვიქრა. მთელი ის ღამე სახეშეფაკლული იფუთნიდა საავადმყოფოს უხეშ საბანს და სირცხვილის, ბედნიერებისა და სიყვარულისაგან აღმურმოდებული კოცნიდა თავის ქათქათა, საქალწულო ყურთბალიშს. ექიმის საპირფარეშო მაგიდაზე დიდი ხანია მიაგნო იმ სუნამოთი სავსე ფლაკონს, რომელსაც შევირიოვი იპკურებდა. მისხალ-მისხალ მონამა თავისი ცხვირსახოცი, უფრთხილდებოდა ვითა განძეულს და ლოთი რომ ღვინოს დაყნოსავს, ისე ტკბებოდა მისი სურნელით.

გარდა ამ სამი საცხოვრებელი ოთახისა, მეზონინში კიდევ იყო მეოთხე, ღამის მთელ კედელზე ამოჭრილი იტალიურ ფანჯრიანი სრულიად ცარიელი ოთახი, გაწყობილი ხის ჩარჩოში ჩასმული, ნაყშიანი ბადით დამაგრებული წვრილ-წვრილი, ნაირფერი მინებით. გარედან მართლაც სანახავი რამ იყო ეს ფანჯარა, შიგნიდან მაცქერალს კი აღეძვროდა რამ გაურკვეველი შფოთი და

ბორგვა. ზემოთ თუკი მოხვდებოდა, მარია ასტაფის ასული დიდხრობით აღარ გამოდიოდა ექიმის ოთახიდან, ფანჯრიდან გამზერდა ნაცნობ, ოღონდაც უცნაურად გაუცხოებულ სანახებს. აქედან მოჩანდა ზეცა, მესერი, ვრცელი ველი და ტყე. ეს იყო და ეს. მაგრამ წითელი, ყვითელი, ლურჯი ცაქვები თუ მწვანე მინები ყოველივეს უჩვეულოდ ასხვაფერებდნენ. ერთბაშად თუ მოავლებდი ყველა იმ მინას თვალს, უცნაური რამ ჰანგი ჩაგესმოდათ. ერთს რომელსამე მინას თუ მიაჩერდებოდით, მაშინ გუნება გეცვლებოდათ, განსაკუთრებით შესაზიზღი იყო ყვითელი მინა. ჩახჩახა დღეკეთილობის ეამსაც კი ეს ფერი ამღვრევდა შუქნათელს, ბადებდა რამ შემზარავი, დანაშაულებრივი ამბის მოლოდინს. სევდა შეიპყრობდა ქალს და აღარა სჯეროდა, რომ ექიმი შევირიოვი ცოლად შეირთავდა. ეს მინა რომ არა, რა ხანია გაუმეღავნებდა სიყვარულს. მარია ასტაფის ასული დღენიადაგ იფიცებოდა, არ გაეხედა ფანჯარაში, მაგრამ თვალები მაინც იქითკენ გაუბოდა: დარდიანობდა და შიში იპყრობდა, რაკი ველარ ეცნო მისთვის ჩვეული, აგრერიგად ნაცნობი ხედი. ექიმის კაბინეტთან ამავბედიანი ფანჯრის მეზობლობა აშფოთებდა ფერშალ ქალს, ვითარ ჯერ გაუცნობიერებელი, მაგრამ მოახლოვებული საფრთხე.

ექიმი შევირიოვის მარტობა მარია ასტაფის ასულს აღუძრავდა დედობრივის ბადალ გრძნობას. იგი უვლიდა მის წიგნებს, ზრუნავდა თეთრეულზე და ძლიერ ნანობდა სამზარეულო რომ არ იყო მის განკარგულებაში და ექიმ შევირიოვს ვინ იცის, რა სისაძაგლის ჰამა არ უხდებოდა. ეჭვიანობდა ავადმყოფებზე, დარაჯზე, რომელსაც ექიმი რაღაც საიდუმლო დავალებებს აძლევდა. რახანია კომოდში ცხვირსახოცთან ერთად ინახავდა დიდ, ნაწერებით სავსე რვეულს. ამ წერილებში იგი აფიცებდა ექიმ შევირიოვს, ხელი აელო „ბაბილონში“ სიარულსა, შამპანურსა და იმ გარყვნილობაზე, რასაც გუმანით ხვდებოდა. როცა სიტყვა „გარყვნილება“ დაწერა, ისე ჩაუწყდა გული, ისე შესძულდა საკუთარი თავიც და ექიმიც, რომ ველარ განაგრძო წერილი. რვეულიანად მიწვა საწოლზე, მთელი ღამე ცრემლი არ შეშრობია და ორი გვერდი წაახდინა. იმავე რვეულში იგი თამამად სთავაზობდა თავის თავს ექიმ შევირიოვს, ოღონდაც მხოლოდ და მხოლოდ მეუღლის სახით, თან იმ პირობით, რომ იგი ხელს აიღებდა „ბაბილონში“ სიარულსა და შამპანურის სმაზე. ასაბუთებდა კიდევ ჯვარისწერის სარფიანობას. ექიმს შეეძლო ცოლისათვის ჯამაგირი აღარ ეძლია, საჭმლის ულუფა კი მას, როგორც ფერშალს, კვლავინდებურად ერგებოდა. გარდა ამისა, ექიმის ნებართვით იგი გაათართოვებს სამკურნალო საქმეს, მთელი ფსიქიატრიული ლიტერატურა გადატრიალებული აქვს და კარგად ამჩნევს საავადმყოფოს ახლანდელი ყოფის ნაკლოვანებებს; ევედრებოდა თანაც, სწრაფად გადაეწყვიტა ეს საკითხი. უკვე ოცდაოთხი წელი შემისრულდა, მალე ჰქნობას დავიწყებ და მერე გვიან იქნებაო.

ორი წელი ედო ეს რვეული, მაგრამ ვერა და ვერ შეებდა გადაეცა იგი ექიმისათვის. ხშირად სასოწარკვეთისაგან სიკვდილიც უნატრია, მაშინ ხომ მაინც წაიკითხავს ექიმი ნაწერსო. შევირიოვი კი ვერაფერს ხვდებოდა და ყოველდღე, ზუსტად ცხრა საათზე მიემართებოდა რესტორან „ბაბილონისაკენ“. ბრუნდებოდა კი გამთენიისას. წასვლისას წინა ოთახში ყოველთვის გადაეყრებოდა ხოლმე ფერშალ ქალს და ეტყოდა:

— ჯერ კიდევ ფეხზე ხართ? ღამე მშვიდობისა.

ქალიც მიუგებდა:

— ძილი ნებისა.

„ბაბილონი“ ექიმი შევირიოვი გაშინაურებული გახლდათ. მეტროლო-ლის შემდეგ პირველ კაცად ითვლებოდა. სახელებით იცნობდა ყველა რუსი-ანტს და რუსული და ბოშური გუნდების თითოეულ მომღერალსაც. ამ დაწესებულების ჭირისა და ლხინის მოზიარე იყო, რესტორნის ადმინისტრატორსა და მთვრალ სტუმრებს შორის ატეხილ დავასაც სულ რაღაც ორმოც წინასწარ აშოშმინებდა. ზოგჯერ ამისათვის მართო მისი გამოჩენაც კი საკმაო იყო. ლამე-ში, არც მეტს, არც ნაკლებს, სამ ბოთლ შამპანურს ცლიდა. საავადმყოფოს გა-მოშორებული შევირიოვი ექიმი კი არა, უკვე კერძო პირი იყო, ამიტომაც, ასე განსაჯეთ, ზოგჯერ იღიმოდა კიდევ, ოღონდაც კვლავინდებურად სიტყვაძუნწო-ბდა.

საერთო დარბაზში, ნაირგვარი სახეების, კოსტუმებისა და ხმების ზღვაში ექიმი შევირიოვი თორმეტ-პირველ საათამდე რომელსამე მაგიდას უჯდა ხოლმე გვერდშექცევით ღია სცენისაკენ, იქ ერთმანეთს ცვლიდნენ მომ-ღერალი ქალნი თუ კაცნი. ხანდისხან მათში ჟონგლიორები და აკრობატებიც გამოერეოდნენ. წკრიალებდა თასები და სირჩები, ცალკეული ხმები ირეოდნენ და შენივთდებოდნენ ერთიანი ხმაურის ზღვად. იდგა სუნამოსა და ღვინის სუ-ნი. მაგიდებს შორის დასრიალებდნენ ფერუშარილიანი ლამაზმანები, ექიმ შე-ვირიოვს უღიმოდნენ და ყველაფერს ეღვრებოდა ელექტრონათურების თვა-ლისმომჭრელი, სადღესასწაულო შუქი. ერთმანეთს ცვლიდნენ მაგიდასთან მსხდომნი. ერთნი ტოვებდნენ იქაურობას, სხვანი მყის იკავებდნენ მათ ადგილს. ისე კი, ერთნი და იგივენი გეგონებოდათ სუყველა, მათ განურჩეველსა ხდიდა ელექტროშუქი, უწყვეტი ხმაური და ღვინისა და სუნამოს სუნი. ქარბუქის დროს სწორედ ამგვარად ეხეთქებიან ფიფქები განათებულ ფანჯარას. ერთი და იგივენი გეგონებათ ეს ფიფქები. ისინი კი სხვადასხვანაირია, ახალნაშობია თითოეული, უკუნიდან მოსული, უკუნშივე მიმავალი. დროც მხოლოდ იმით იგ-რძნობოდა, შამპანურის ბოთლი თანდათანობით რომ დადიოდა ფსკერამდე, უმეტესად რომ ჩამოცხებოდა და უფრო მკვეთრი, საშიშარი და სულის აღმშ-ფოთი შეიქნებოდა ეს უწყვეტი ზრიალ-გაგანი. ხან ისე მიწყდებოდა გნიასი, დარბაზის ერთ თავში წარმოთქმულ სიტყვას მეორე ბოლოში გაიგონებდით, ხან კი თითქოსდა ჩაღეწილ კიბეზე ზეაღმავალი გუგუნი მოწყვეტით, ტოკვით ისწრაფვოდა ზემოთ და ზემოთ. კვლავ ჩაიმკვლეოდა და კვლავ გაქენდებოდა. მერმე და მერმე წითელ, ცისფერ თუ მწვანე ალდებად განიბნეოდა შუშხუნა-საებრ. გეგონებოდათ, ბრბოს შეემატაო ბანები და ქალთა მაღალი ხმები ერთ-ურთს შეხლილი ტალღების შხეფებივით ჭერს შეასკდებოდა საერთო ზრიალი-დან ამოვარდნილი ხაფი ამით შეძახილი, წრეგადასული პიცილ-ხარხარი, სიმ-ღერის კუბლეტი, განუკითხავი, როყო ბილწსიტყვაობა, ჰაერეთს ჭრიდა კაშ-კაშა სინათლისაგან დაბრმავებული ღამურებივით ცუდამრუდა, ქაცვია გინება. იდგა სუნამოსა და ღვინის მძაფრი სუნი. ჭირდა სუნთქვა, ბახუსით გაბანგუ-ლი ჰაერი თითქოსდა განელტვოდა ხარბად დაბჩენილ პირს.

პირველ ან ორ საათზე ექიმის შევირიოვის ნაცნობთა რომელიმე კომპანია მოადგებოდა „ბაბილონს“; აქ ხომ მან ლამის მთელი ქალაქი გაიცნო და მეტრო-ლოლოც შევირიოვს ცალკე კაბინეტში მოიპატიჟებდა ახალ სტუმრებთან. მკურნალს ზარ-ზეიმით ხვდებოდნენ, ისმოდა შეძახილები და ოხუნჯობები. ზოგი ისეთ ახლობლად თვლიდა, გადაპკოცნიდა კიდევ და იგი ჩაერთვებოდა საქმეში: ადგენდა მენიუს, ღვინოს ჭაშნიკს უსინჯავდა, გუნდებს განარიგებდა და არჩევდა სოლისტებს. მერე მაგიდის კიდესთან ჩამოჯდებოდა თავისი შამპა-

ნურის ბოთლით, რომელსაც ყოველთვის დაატარებდნენ მის უკან და ილიმო-
და, თუკი ვინმე მიმართავდა. ამის გამო გეგონებოდათ, ლაპარაკად არის ქცე-
ულიო, სინამდვილეში კი იგი ღუმდა.

კაბინეტში გრილოდა, თავდაპირველად ციოდა კიდეც, მაგრამ კოფეზე მალე
ჩათბებოდა. დარბაზზე მოკლევ იყო და ვიწროც ეს კაბინეტი, ამიტომაც რაც
იქა ხდებოდა, უფრო უცნაური ჩანდა და უმეტეს — უწესრიგო. სვამდნენ, ღრე-
ობდნენ, ყველა ერთდროულად ლაპარაკობდა, სხვის სიტყვას ყურს არავინ
ათხოვებდა. სიყვარულს ეფიცებოდნენ ერთმანეთს, პროშტნიდნენ და ზოგჯერ
შეიბმებოდნენ კიდეც. ყოველ საღამოს იცვლებოდა ხალხი. ექიმი შევირიოვის
თვალწინ გადივლიდა მთელი ჯარი მწერლების, მხატვრების, ვაჭრების, თავად-
აზნაურთა, მოხელეების, პროვინციელი ოფიცრების და ჯამაათი მეძავთა, ნამუს-
შენახულ ქალბატონთა თუ იმ სულ-ხორცით წმინდა ყმაწვილქალთა, პირველი
წვეთიც რომ ათრობდათ და ყველაფერი აღაფრთოვანებდათ. გარჩევა არა ჰქო-
ნდათ, ყველა ერთსა და იმავეს სჩადიოდა. გამოცხადდებოდნენ ბოშებიც: მა-
ღალი, გრძელკისერა, დაღვრემილი მამაკაცები: მორიდალი, თავით ფერხამდე
თითქმის უკლებლივ შავით მოსილი ქალები, გამომწვევად გულგრილნი სუფ-
რული სიტყვა-პასუხისა, ქათინაურისა თუ ღვინისადმი. მერე კვლავ უეცარი
ყიყინა, კვილი, ხორხისმიერი, ველური ხმების ღრიანცელი, ვნებათა სიშმაგე,
აღვირახსნილი მხიარულება, თითქოსდა ყველაფერს ფარდა ჩამოხდოდეს და
თავდაყირა დამდგარიყოს. აგერა, გაჩაღდა ცეკვა-თამაში. როკავს კაბაშემოტმა-
სნილი ჩონჩხი, გაშმაგებით არხევს ძვლებამოჩრილ მხრებს და კვლავ სიჩუმე,
წესიერება, კდემამოსილი ქალები, მამაკაცთა დაღვრემილი სახეები. დაცხრა ვნე-
ბები. ეგ არის მხოლოდ, მკერდი აუღ-ჩაუღით ღრეობის გამწვევთ, იმ ხმელ-
ხმელ ქალს კი, ვინაც ცეკვაავდა, ხელები უთრთის. შავგვრემან ლამაზმანს ძირს
დაუხრია ყორნისფერი წამწამები და მღერის. ყველას სწადია თვალეში ჩახე-
დოს, მას კი წამწამები დაუხრია. აგრე იმღერის ეს შავგვრემანი, უცხო და ლა-
მაზი ქალი, თითქოსდა უტყუარ ამბავს ყვებოდა და მართლაც სჯეროდა კიდეც
ყველას. ნალველი მოგაწვებოდათ, გაიღვიძებდა სევდიანი სიყვარული რამ სიზ-
მარეულისა, რამ მშვენიერისადმი და მოგაგონდებოდათ ვიღაც ჯერ არყოფილი.
ყველანი, ვისაც კი სწვევია ანდა გარიდებია სიყვარული, ოხრავდნენ და დაქი-
მიტებით ნთქავდნენ ღვინოს. შესვამდნენ თუ არა, მყის იგრძნობდნენ, ადრინ-
დელი ფხიზლად ცხოვრება ფუჭი რომ იყო და მაქციერი, ნამდვილი რამ აქა
მყოფობდა ამ კეკლუც დახრილ წამწამებს მიღმა, გრძნობათა, ფიქრთა ამ ხან-
ძარში, თასში, ვიღაცას რომ შეატყდა ხელში, სისხლივით წითელ ღვინოში
სუფრაზე რომ დაინთხა. ხმამალა სცემდნენ ტაშს, ახალ სიმღერებს სურვი-
ლობდნენ და ახალსა ღვინოს. მერე შევირიოვის არჩევანით ამღერდა ქერა, ხა-
ნში შესული დიდთვალეა ბოშა ქალი. ბულბულს უმღერდა, ბალში პაემანსა
და ახალგაზრდულ ეჭვსა და სიყვარულს ეს სახედაშაშრული ქალი, მეექვსე
ბავშვზე რომ იყო ფეხმძიმედ. გვერდით ედგა მაღალი და ჩოფურა, ყბაახვეუ-
ლი, შავსერთუკიანი კაცი, აკომპანიმენტს აყოლებდა გიტარაზე. პირველ სიყ-
ვარულზე მღეროდა ბოშა ქალი და აგრე გასინჯეთ, სჯეროდათ მისი, არც გამო-
ბერილ მუცელს დაგიდევდნენ და არცა ბებრულ, ჯანდაგ სახეს.

ასე გასტანდა დილაამდე. ექიმი შევირიოვი აროდეს ცდილა თავის ნაცნობ-
თა სახეებისა და გვარების დახსომებას. ვერც კი ამჩნევდა, ერთ წყებას მეორე
რომ ცვლიდა, ღუმდა, ილიმოდა, როცა მიმართავდნენ და გულმოდგინედ სვა-
მდა თავის წილ შამპანურს. ისინი კი გნიასობდნენ, დავლურს უვლიდნენ ბოშე-

ბთან ერთად, ბაქიბუქობდნენ, ბედს შესჩიოდნენ, ხან ტიროდნენ, ხან იცინოდნენ. აქ უმეტესად უაზრო ორომტრიალი სუფევდა და სიმხიარული უბედურებაც ხდებოდა. ასე იყო ორი წლის წინ, როცა ახალგაზრდა და ლამაზი ბოშა ქალი მღეროდა, ერთმა სტუდენტმა იქვე, ყველას თვალწინ მისი მხრები თავი. კუთხეში მიდგა, დაიხარა. გეგონებოდათ, უნდა გადააფურცლებოდა ლენარ პირში იკრა ტყვია. და კიდევ: ერთმა თანამეინახემ გადაკოცნა ექიმი, გავიდა „ბაბილონიდან“, იმავე ღამეს კი ვილაც ნაძირალათა ბუნაგში ნახეს მოკლული და გაძარცვული. რამდენიმე წლის წინთ შევირიოვი აქ პეტროვს ხვდებოდა ხოლმე. მაშინ მას ლამაზად შეკრეჭილი წვერი ჰქონდა, სახე უცინოდა, ყვავილებს რწყავდა რატომღაც ღვინით და მომხიბლავ ბოშა ქალს ეარშიყებოდა. ამჟამად აღარც ის ბოშა ქალი ჩანდა. ამბობდნენ, მუცელი რომ მოიწყვიტა, დასნეულდა და სადღაც გადაიკარგაო. ვინ უწყის, იქნებ სულაც არ არსებობდა ის ბოშა ქალი, იქნებ მკურნალს სხვებში აერია?!

ხუთი საათისათვის ექიმი შევირიოვი წირვას გამოუყვანდა მესამე ბოთლსაც და აიკრავდა გულა-ნაბადს. ზამთრობით აქ უკვე ბნელოდა და იგი ეტლით მიემგზავრებოდა. შემოდგომასა და გაზაფხულზე თუკი კარგი ამინდი იდგა, ფეხით გაივლიდა. საავადმყოფომდე ხომ არცთუ გრძელი მანძილი იყო, ასე ხუთი-ექვსი ვერსი. ჯერ გარეუბნის დიდ სოფელს გადაივლიდა, მერე მინდორს, ბოლოს კი შარას დაადგებოდა და ტყეს გაჰყვებოდა ნაპირ-ნაპირ.

ამოიწვერებოდა ძილბურანისაგან თითქოსდა სახედველდაწითლებული მზე და მის გულზე მოქცეულ ჭალაკსა და შარაგზის ბრესაც ნაზი ვარდისფერი გადაჰკრავდა. ბაზრობაზე მიედინებოდნენ გლებკაცები და დედაკაცები. ჩათბილულ სხეულებს მოჰქონდა გასული ღამიდან გადმოყოლილი სიგრილე. ფორანებს უკან ჰაერში ზღაზენით ადიოდა თითქოსდა მთვლემარე მტვერი, უკაცურ დუქანთან ლეკვები თამაშობდნენ. შემოხვდებოდა ის საცნაური ჯურის ხალხი, მთელი ცხოვრება ზურგზე შულდაკმოგდებულნი რომ სადღაც მიიჩქარიან დილაუთენია. მერე მოიწყებოდა ცვრიანი მინდორი, ჯერ კიდევ შეუმთბარი აღრიანი მზის სხივებით, და არა ტყისა ანდა ჩრდილისავენ, — სწორედ მზისავენ გაუწევდა გული.

ასე ვიდოდა იგი, წმინდად გაპარსული, ცილინდრით მორთული, ფიქრიანად მიაქნევდა ჩალის ხელთათმანით შემოსილ ხელს. სტვენით ეხმატკბილებოდა ტყეში ამღერებულ ჩიტებს. ზურგს უკან კი დილის საღ ჰაერში, კარგა შორს მანძილზე ტოვებდა ღვინის, სუნამოსა და მაგარი სიგარების მსუბუქ სურნელს.

IV

გასრულდა ზაფხული და მოდგა წვიმიანი შემოდგომა. თითქმის შეუწყვეტილ დიოდ თქეში და როცა ორიოდ საათით გამოიდარებდა, ცივი და თეთრა ნისლები აიზიდებოდნენ ყოველის მხრიდან. ჩამობარდნა, მიწას დაფლეთილი ქათქათა საფარივით წუთით გადაეფინა თოვლი და მყის ჩადნა... უფრო მეტად გაჭდა ნესტი, მეტად აცივდა. საავადმყოფოში უკვე ხუთი საათიდან ანთებდნენ ცეცხლს. მთელი დღე იდგა ხოლმე თოშიანი ბინდი და ფანჯრის მიღმა ხეები მოწყენით არხევდნენ ტოტებს, თითქოსდა იფერთხავდნენ უკანასკნელ სველ ფოთლებს. რკინის სახურავზე წვიმის განუწყვეტელი თქრიალისა და ბინდისაგან გაბეზრებული, გართობას მოკლებული ავადმყოფები მოუსვენრობამ შეიპყრო, ზნე უფრო ხშირად უვლიდათ და გამუდმებით უჩიოდნენ რაიმე სატკივარს. ზოგი გაცივდა, ზეკაკუნა ავადმყოფს ფილტვების ანთება შე-

ეყარა და არავინ ელოდა მის გადარჩენას. ექიმი ამბობდა, სხვა სუსათუოდ მოკვდებოდა, ამას კი სასტიკმა ნებისყოფამ და კარის გაღებაზე გიჟურმა ოცნებამ სიცოცხლის უზომო ძალი, ლამის უკვდავების უნარი მიანიჭაო. ავადმყოფობამ ვერარა დააკლო სხეულს, რომელიც მის მფლობელს გაღმურებულა. გაბმულად ბოდავდა კარის გაღების თაობაზე. ივედრებოდა, იხვეწებოდა, ისეთი რიხით შეიძახებდა, განახვნეთო ყველა კარი, მომვლელ ქალს ეშინოდა მასთან დარჩენისა, თუმცა ავადმყოფს გიჟის ხალათი ეცვა და საწოლს იყო მიკრული. სწრაფად იწყო გამოჯანმრთელება და ექიმმა შევირიოვმა განკარგულება გასცა, მისი ოთახის კარი ღია დაეტოვებინათ. უნებურად ხარობდა სიცოცხლისაკენ შემობრუნებული ავადმყოფი და არ ახსოვდა და ვერც ხვდებოდა. ამ კარს იქით ბევრი სხვა დაკეტილი კარი რომ იყო. მთელი ის დღე ბედნიერად დაჰყო, მაგრამ უკვე მეორე დღით მოისმა სუსტი კაკუნი მეზობლის დაკეტილ კარზე. ეგორ ტიმოთეს ძესაც ნიავმა გაჰკრა, მამალი სურდო შეეყარა, ხმაც ჩაუწყდა და ახლა ხმამალა ჩურჩულით ლაპარაკობდა, ისე კი, თავს შესანიშნავად გრძნობდა. ზაფხულში ერთი დიდროვანი გოგრა მოიწია. ადგა და ფერშალ ქალს მიართვა. მან კი სამზარეულოში მოინდომა ძღვენის გატანა. ეგორ ტიმოთეს ძე უარზე დადგა, თავად მიუჩინა გოგრას ადგილი მის მაგიდაზე. წამდაუწუმ შემორბოდა ოთახში, დახედავდა ხოლმე ნაყოფს. ეს ზორბა გოგრა ბუნდოვნად აგონებდა დედამიწის ბირთვის და რამ დიადზე მიანიშნებდა. ეს იქით იყოს. ექიმმა შევირიოვმა ათი ცალი ნახატებიანი ღია ბარათი უსაჩუქრა და ეგორ ტიმოთეს ძემაც იწყო თავისი სურათების გაღერვის კატალოგის შედგენა. ყდა თავად მოხატა, ზედ როგორც გაღერვის შესაკუთრეს შეჰფეროდა, პირველ ყოვლისა, ბობოლა ვინმედ გამოსახა საკუთარი თავი. ამით აღტაცებულმა რვეულის ყოველ ფურცელზე აღბეჭდა საკუთარი პიროვნება. ექიმ შევირიოვს ქალაქის ყველაზე დიდი ფურცელი გამოართვა, მთელ სიგრძეზე კვლავ საკუთარი თავი დახატა და ზემოთ შთაგონებულად წააწერა: „დიდად პატივცემული მძლეთამძლე გიორგი“. სურათი სასადილოში დაკიდა, ჭერთან ახლოს, და სანახავად მოსული ავადმყოფები აქებდნენ და აღიდებდნენ პომერანცებს.

ეს იყო ოღონდ, ცუდი ამინდი ეგორ ტიმოთეს ძეზეც ავ გავლენას ახდენდა. ძილში სულ შფოთი და შეხლა-შემოხლა ეზმანებოდა. ლამით თავს ესხმოდა გაწუწული ჭინკებისა და წითური ქალების ჯგრო. მისი ცოლის სახე მიელოთ ამ კუდიან ალქაჯებს. ეგორ ტიმოთეს ძე დიდხანს უმკლავდებოდა მომხდურებს, დაბოლოს მისი ცეცხლოვანი მახვილი განფანტავდა, სულ ვაი-უის აძახებდა ამ ავივლებულ ბობოს, მაგრამ ყოველი შებრძოლების შემდეგ ისე გაეცლებოდა ქანცი, წელს ვეღარ იღებდა ზევით და ბარე ორი საათი მაინც იდო ლოგინში გაშოტილი, ვიდრე კვლავ არ მოიციმდა ძალს.

— თქმა არ უნდა, მეც კარგად მომხვდა, — გულწრფელად გაუმხელდა იგი ექიმ შევირიოვს. — ერთი ჯანიანი ეშმაკი სწვდა მორს და ასე ვთქვათ, მდრუზა კოჭებში. მერე კი დახრჩობა დამიპირა. მე კი, ასე რომ ვთქვათ, ვალში არ დავრჩი, კუდით ქვა ვასროლინე. დამემუქრნენ, ამ ლამითაც გეწვევითო, თუ გვიანობისას ხმაური გაიგონოთ, არ შეგეშინდეთ; ისე კი აუცილებლად მოდით სანახავად, ასე რომ ვთქვათ, კარგი თამაშია.

და იგი დიდხანს დაწვრილებით ყვებოდა თავის ღამეულ ბრძოლებზე, ახალსა და ახალ სანიაზო ამბებს უმატებდა.

ყველაზე ცუდად თავს პეტროვი გრძნობდა. ფანჯარასთან მუდამ ჩამოწო-

ლილი წყვდიადის გამო ეჩვენებოდა თითქოს აღსასრული დასდგომოდეს, ყოველ წუთს რაღაც საშინელებას ელოდა. ისე გაეთანგა მოახლოვებულ უბედურების წინათგრძნობას, არამცთუ ადგომას, განძრევასაც ვერ ბედავდა საათობით. ასე ეგონა, ვიდრე იჯდა, შიში არაფრისა უნდა ჰქონოდა. მაგრამ საკმაო იყო წამოეწია. ერთი მოეხედა ზურგს უკან და გათავებულად იტყუებოდა საქმე. ზეზე მყოფი და მოარული კი შეჩერებას ვეღარ ბედავდა. მისი ფიქრით, უძრავსა და გაშეშებულს უნდა მოსწეოდა რაღაც საშინელება და იგი უფრო უმატებდა ნაბიჯებს, უმეტეს მძაფრად აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს, ჯარასავით ბრუნავდა, ვიდრე ილაჯწართმეული არ მიეგდებოდა ლოგინზე. მღელვარე ავადმყოფების ოთახში მთელი ღამე ენთო ცეცხლი, იქვე ეძინა მეთვალყურედ მიჩენილ მომვლელ ქალსაც. მაგრამ ამა ყოველმა იოტის ოდენითაც ვერ გაანელა ავადმყოფის შიშნეულობა. დაზაფრული პეტროვი საბანში ეხვეოდა, ბალიშში რგავდა სახეს, იფუთნებოდა, იხუთებოდა, მაგრამ ვერ გაებედა თავის აღება. იღო დივანზე გვამივით გაუნძრევლად, ანდა მიმოდინოდა მოკლე ნაბიჯებით, ისე თრთოდა მთელი სხეულით, გვეგონებოდათ, სიცვივისაგან ძაგძაგებდნო. ყველაზე მეტად დედისა ეშინოდა, სახეგაცრეცილი. დავრდომილი, ხნიერი ქალის. აღარ ადარდებდა. მოხუცი მოსყიდული რომ იყო მკურნალთაგან, არც ამის მადასტურებელი ამბების შეთხზვის თავი ჰქონდა. პეტროვს უბრალოდ ეშინოდა დედისა და განსაკუთრებით ზარავდა იმ წამის წარმოდგენა, როს საიდანაც გამოტყვერებოდა ბებრული სახე და წართქვამდა:

— საშა, ძვირფასო!

არ უწყოდა, რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა და ვერც გაებედა ამაზე ფიქრი, მუდამ კი გრძნობდა მოხუცის სიახლოვეს. ქეშად მოგდებული ცხვრის ტყავის ქუდიანი დედაბერი ხომ დაძრწოდა ტყეში, ყურყურებდა მაგიდისა და საწოლქვეშ, უსაფრდებოდა ყველა ბნელ კუთხეში. ღამით კი მიადგებოდა მისი ოთახის კარს და უჩუმრად აწვალებდა სახელურს.

კვირა დილით ჩამოვიდა დედამისი და მთელი საათი ცრემლით იმდულრებოდა ექიმის შევირიოვის მეზონინში. პეტროვს არც მოუღანდავს იგი, მაგრამ შუალამით, როცა ყველას ეძინა, გვემულებამ მაინც დარია ხელი. ექიმს „ბაბილონიდან“ გამოუძახეს. პეტროვი მას უკვე ჩაწყნარებული დახვდა. ოთახში თავშეყრილ ხალხსა და მორფის მძიმე დოზას ერთგვარად დაემშვიდებინა იგი, მაგრამ სხეული მაინც უთრთოდა, ქოშინით დაწრიალებდა ოთახში და ლანძღავდა განურჩევლად ყველასა და ყოველს: დამლაგებლებს, მომვლელ ქალს, ბოლოს ექიმსაც შეუტია:

— ეს რანაირი საგიჟეთია! — მიაყვირა შევირიოვს, მისკენ კისერმოღრეცილმა პალატაში მოჭირითე პეტროვმა, — ეს რანაირი საგიჟეთია, ღამით კარი არ იკეტება, ვისაც არ დაეზარება, ყველას შეუძლია შემოეხეტოს. ამას აგრე არ დავტოვებ, უსათუოდ გიჩივლებთ. რა გახდა კიდევ ერთი დარაჯის გამწესება, იქნებ ფული არ გყოფნით? მაშ, რაღას აარსებდით ამ სამკურნალოს?! ეს ყაჩაღობაა. დიახ, მოწყალეო ხელმწიფევ, თვალთმაქცობა და ყაჩაღობაა! ხალხი გენდობათ როგორც პატიოსან ადამიანებს, თქვენ კი თვალსა და ხელს შუა ატყუებთ. — მიჩვენეთ მაჯა, — უთხრა ექიმმა შევირიოვმა.

— ინებეთ, ოღონდ მაგით ვერ ამიხვევთ თვალს.

პეტროვი შედგა, ზიზლით მიაჩერდა ექიმის გაპარსულ სახეს და უეცრივ ჩაჰკითხა:

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

18.512



ქართული

— „ბაბილონში“ იყავით?

შევირიოვმა თავი დაუქნია დასტურის ნიშნად.

— რა ამბავია იქ?

— ყველაფერი რიგზეა.

— ასეც უნდა იყოს, აბა რა, მაგრამ კარი მაინც დაუკეტეს ბაბილონი-ბაბილონად, საავადმყოფო-საავადმყოფოდ. — სურდა გადაეხარხარა, მაგრამ ტუჩები უტოკავდა და ისე გაიცინა, თითქოს აბაბანებს, თითქოს შემცვივებული ძაღლი ყეფსო.

— კეთილი, დავაკეტინებთ. ამჯერად მომიტევეთ. მოსამსახურე პერსონალის ბრალია.

— რასაც გნებავთ, იმას დააბრალეთ, მე კი, ეშმაკმა უწყის, რა მომელის. ამ ერთხელ მიპატიებია, ხომ გესმით? — მკაცრად მიმართა მან ფერშალსა და მოსამსახურეს. — ამ წუთში ჩარაზეთ ყველა კარი, თორემ მე და თქვენი ექიმი ახლავე გავუტევეთ „ბაბილონისაკენ“. — და მან ამჯერად უკვე მთელი ხმით გადაიხარხარა.

ლოგინში ჩააწვინეს თუ არა, პეტროვმა, მყის ჩათვლიმა. ის იყო, შევირიოვმაც მალლა ასვლა დააბირა, რომ დერეფანში კიბესთან მარია ასტაფის ასული შემოხვდა. ქალი ჩაცმული იყო, თვალები უელავდა შუქბინდში.

— ექიმო! — წაიჩურჩულა მან, მაგრამ სიტყვა ყელზე დაადგა, მერე კი მკვეთრად დამარცვლა: — ნიკოლოზ ნიკოლოზის ძევ.

— ა, ეს თქვენა ხართ? რად არა გძინავთ? ძალზე გვიანია.

— ნიკოლოზ ნიკოლოზის ძევ!

— რაო, გნებავთ რამე?

— ნიკოლოზ ნიკოლოზის ძევ, — ქალს ერთი სული ჰქონდა გაეცხადებინა ექიმისათვის სიყვარული, „ბაბილონსა“ და შამპანურის სმის თაობაზეც დაეძრა სიტყვა, სულ სხვა რამ კი ამოთქვა: — პოლიაკოვას ბრომი მივცეთ?

— აუცილებლად. ღამე მშვიდობისა.

— ღამე მშვიდობისა. თქვენ უკან დაბრუნდებით?

ექიმმა საათს დახედა, ოთხის ნახევარი იყო.

— გვიანია. ალბათ აღარ წავალ.

— გმადლობთ.

მარია ასტაფის ასულს გული ამოუჭდა და ღრიალ-ქვითინით გავარდა იქიდან. პატარა გოგონასავით გამოჩნდა ქალი ამ დიდსა და ჭერმაღალ დერეფანში. ექიმმა შევირიოვმა თვალი გააყოლა, მერე ერთხელ კიდევ დახედა საათს, თავი გადააქნია და მიაშურა თავის კაბინეტს.

გათენდა პირქუში, მკაცრი დღე. აღარ წვიმდა, მაგრამ ძალზე ციოდა. ასე ჩანდა, ამინდს ზამთრისაკენ ებრუნა პირი. სწრაფად გადამშრალდა იქაურობა. ნაშუადღევს, როცა ავადმყოფები ნახევარი საათით გამოუშვეს გარეთ სასეირნოდ, მიწა უკვე ხმელი იყო და ქვასავით უდრეკი. ჩამოცვენილი ფოთლები შარიშურობდა ფეხებქვეშ, თუნუქის ფურცლებივით ტკაცუნობდა შიგადაშიგ. ექიმი, ეგორ ტიმოტეს ძე და პეტროვი ბალიკზე ბოლთას სცემდნენ. შევირიოვი და პეტროვი დუმდნენ, ეგორ ტიმოტეს ძე კი თავს იქცევდა, ფეხს ფლავდა ჩამოცვენილ, შრიალა ფოთლებში, მერე უკან იხედებოდა, კვალი თუ დარჩაო. ყირიმულ შემოდგომაზე რატრატებდა და მწვევრებით ნადირობაზეც, სინამდვილეში კი არც ყირიმი ენახა და არც მწვევრებით ენადირა ოდესმე. ათას სხვა

რამესაც იტყოდა, დომხალივით არეულ-დარეულს, ოღონდ სამხიარულოსა და სანიაზოს.

— დავსხდეთ, — შესთავაზა ექიმმა შევირიოვმა.

ისინი სკამზე ჩამოსხდნენ. ექიმი შუაში დაჯდა, დანარჩენები იქით-აქით მოუსხდნენ. თავისდა უნებურად ისე ჩარიგდნენ, მთელი სიგრძე-სიგანით გადღეშალათ ლეგა ღრუბლებით მოფარული, სუსხიანი ცა. საღამურდებოდა, ერთი ვერსის მოშორებით ძლივსლა მჩინარ ხეთა თავებზე მიმოფრენდა ცისანაბარა დარჩენილი, საბუდარის მაძიებელი ჭკების გუნდი. აქეთ-იქით აწყდებოდა და ეიოდა ფრთოსანთა მტკიცედ შეკრული ფარგალი. იმდენი იყვნენ და მაინც მათ შეშფოთებულ გნიასში სჭვიოდა შემოდგომისეულ ბნელ და ცივ ღამეებში მარტოსულობის წინათგრძნობა და უსასოო ჩივილი. უეცრივ რამდენიმე ჭკა მოსწყდა გუნდს. როცა მიუახლოვდნენ სკამზე მსხდომთ, მხოლოდ მაშინ შენიშნეს, ოთხი ფრთოსანი დასდევნებოდა ერთის კვალს. ისინი მალე გაუჩინარდნენ ტყის მიღმა. გუშინდელი შეტევის მერმე ცოტაოდენ დამშვიდებულ პეტროვი უცნაურად და მძაფრად აშტერდებოდა ხან ფრინველებსა და ხან ექიმს. გაყუჩებული ეგორ ტიმოტეს ძევ ამრეზილად ასცქეროდა ბინდნაკრავ ცასა და იქ მორიალე ჭკებს.

— ახლა კარგია შინ ყოფნა, — რატომღაც გაკვირვებულ კილოზე წარმოთქვა მან. — წავიდეთ და, ახლა ისა... ჩაი დავლიოთ.

— ისინი აქეთ მოფრინავენ, — თავისთვის ჩაილაპარაკა პეტროვმა. იგი გადაფითრდა და ექიმ შევირიოვს მიუჩოჩდა.

— ჰოდა, წავიდეთ, — დასტურპყო ექიმმა. — ეგორ ტიმოტეს ძევ, წინ გაგვიძებით.

მყის ვაჟკაცურად გაიწვართა ყოფილი მაგიდის უფროსი, ასე ეგონა, ახლა კი დაჰკრა ჩემმა საათმა, მიხმობენ, ძალაუფლება ავილო ხელშიო და მტკიცე ნაბიჯებით გაიჭრა წინ. ხელებით მედოლის მოძრაობებს ბაძავდა, ხმით დოლის ბაგაბუვს.

— ტამ-ტარა-რამ! ტამ-ტარა-რამ!

აგრე ვიდოდა სულ წინ და წინ. დოლზე ცემის ხმას ნაბიჯებს აყოლებდა. დანარჩენი ორნიც უნებურად უწყობდნენ ფეხს. პეტროვი ექიმს ეტმასნებოდა და წამდაუწუმ იხედებოდა უკან, მიუსაფარ, ცას შეხლილ, თავგზადაკარგულ ჭკებს გასცქეროდა.

— ტამ-ტარა-რამ! ტამ-ტარა-რამ!

ყარაულმა შორიდანვე დაინახა ექიმი და ფართოდ გაუღო ჭიშკარი. თავადერილმა ეგორ ტიმოტეს ძემ დოლზე ხმამალალი ცემით პირველმა შეაბიჯა სააეადმყოფოს ეზოში. დანარჩენებიც ფეხდაფეხ მიჰყვნენ.

კართან პეტროვი ელდანაცემივით შემობრუნდა. სახე არეოდა დამფრთხალსა და დაზაფრულს.

გვიანყამს ამოვარდა ძლიერი ქარი, აარახრახა სახურავზე თუნუქის ფურცლები, — და იმ ღამეს შიშისაგან სული განუტევა პეტროვმა.

მიცვალეებული შეიტანეს ამისთანა შემთხვევისათვის განკუთვნილ დიდ, ცივ ოთახში. განბანეს და შემოსეს მკერდზე ამობურცული შავი სურთუკით. მეორე დღეს ჩამოვიდნენ დედა პეტროვისა და მისი უფროსი ძმა, ძალზე ცნობილი მწერალი. თავი მიწამდე დახარეს ნეშტის წინარე, მერე ექიმი შევირიო-

ვის კაბინეტისაკენ გაემართნენ. კიბეზე ავიდა, თუ არა, დარდისაგან სავსებით ძალაგაცლილი ეს ჩია ქალი მყის დაეცა დივანზე. წიაღე ტანჯვისა და წელთა სიმრავლისაგან ისედაც დაღუული სახეთეთრი და თმათეთრი დედობერი ახლა მთლად ერთ მუჭად იქცა. თითო-ორი კურცხალი დასდენოდა რა ხანია ცრემლგამშრალ თვალთაგან. ყვებოდა, რარიგ უყვარდათ საჭა-ნაფისკვებს და რა მეხი დასცა ყველას მისმა ულოდნელმა და საშინელმა სნეულებამ. მისი თქმით, გვარში არა ჰყოლიათ სულით ავადმყოფი, საშაც ჯანმრთელი ყმაწვილი იყო, თუმცაღა რამდენადმე ეჭვიანი. არა და არ მორჩა მოხუცი შვილის იჭვნეულ ხასიათზე ჯიჯინს, თითქოს რაღაც მხრივ იმართლებდა თავს, თითქოს რაღაცის დამტკიცებას ცდილობდა, ვერკი ახერხებდა ვერაფერს. ექიმი შევირიოვი მის სანუგეშებლად თითო-ორი შორისდებულს ჩაურთავდა საუბარში. მაღალი, პირქუში, შავთმიანი მწერალი კი თავის ძმას რომ ჩამოჰგავდა, ფიცხად მიმოდრიოდა ოთახში, წვერს იჩეჩავდა, ფანჯარაში იცქირებოდა. მთელი თავისი იერით ნათელჰყოფდა, რომ არ მოსწონდა დედის საქციელი. ძალზე ღონივრულად საზრავდა ძმის სნეულებას, ცალკერძ მეცნიერებასთან აკავშირებდა, ცალკერძ ცხოვრების საზოგადოდ უფარგის წყობასთან. მაგრამ ახლა, როცა საშა წინ ედო მკვდარი, უხერხულად მიაჩნდა ამაზე სჯა-ბაასი, მით უმეტეს რომ მაშინ ამ ადამიანის ხასიათის ნაკლიც უნდა განჩხრეკილიყო. ბოლოს ვედარ მოითმინა:

— წასვლის დროს, დედა, ჩვენ ხომ ხელს ვუშლით ექიმს.

— ახლავე, ვასილ, ძვირფასო, ორიოდ სიტყვაც მათქმევინე.

და მან კვლავ განაგრძო უსასრულო ამბის ბლანდვა, კვლავ რაღაც მხრივ იმართლებდა თავს, რაღაც სურდა დაემტკიცებინა, თავს კი ვერ აბამდა ვერაფერს. ვაჟიშვილი ამრეხით მისჩერებოდა, როგორ აკანტურებდა მოხუცი შავმაქმანიანი ჩაჩით მოხურულ თავს, აგონდებოდა, რა სისულელეებს აფრქვევდა იგი ეზო-გზაში და ფიქრობდა, დედაჩემი მთლად გამოჩერჩეტდა, ჩემი სახლი-კაცი გიჟი იყო, დაბლა სართულში გარიგებულ სულით ავადმყოფთა ცალი და ანათალიო. ის ხომ მუდამ სულს იფხრეწდა, ბორგავდა და ბოდავდა თავის მტრებზე. მართლა რომ ჰყოლოდა ძალმოსილი, დაუზოგავი ავისმზრახველნი, ცილისწამებასა და ჯაშუშობასაც წარბშეუხრელად რომ იკადრებდნენ. ნეტავ რაღას იტყოდა მაშინ?!

— ნება თქვენია, დედა, მაგრამ წასვლაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ.

— ახლავე, ვასილ, ძვირფასო. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, იქნებ ნება დამართოთ საშას ღამე გაეუთიო. მარტო ხომ არ დავტოვებ. ჩვენს გვარეულობაში არავინ გარდაცვლილა საავადმყოფოში. ჩემი საწყალი ბიჭი ერთადერთია.

და იგი ატირდა.

ექიმმა შევირიოვმა თავაზიანად უბოძა დასტური და პეტროვებმაც გაიხურეს მისი კაბინეტის კარი. გზაში მოხუცი ქალი კვლავ მოჰყვა ათასგვარ აბდაუბდას, ვაჟიშვილი კი იჭმუხნებოდა და სევდიანად გასცქეროდა შემოდგომისეულ ჩამუჭებულ ველ-მინდვრებს.

ეგორ ტიმოტეს ძე იოტის ოდენითაც არ ვნებდა ვისმე, ამიტომაც არც არავის მოსვლია აზრად მისი გამომწყვდევა ცალკე ოთახში. მთელი იმ შფოთიანი დღის განმავლობაში იგი აღტაცებული ტრიალებდა ხალხში, მარაქაში ერეოდა, მიმსვლელ-მომსვლელს ურიგებდა და ართმევდა სანთლებს. თუკი ვინმეს სანთლის ჩაქრობა დაავიწყდებოდა, გამოსტაცებდა ხელიდან, ერთის ამბით,

დიდად საქმიანი იერით უბერავდა ალს სულს. მიცვალებულისადმი მწველმა ნიაზმა მოსვენება დაუკარგა. ყოველ ნახევარ საათში შერბოდა მის ოთახში, სიამით შეავლებდა თვალს, გაუსწორებდა სუდარასა თუ ჯიუტად აბურცულ სერთუქს. საკუთარი თავი ამ მიცვალებულივით მნიშვნელოვან დასწრებაში სო ვინმედ მიაჩნდა. ცოცხალი იყო თავად, ხლაფორთობდა კიდევ და ეს ნაკლებ მნიშვნელოვანი, ნაკლებ უცნაური ან საინტერესო როდი გახლდათ, ვიდრე სიკვდილი თუ კუბოში წოლა. ეს ვითარება კარგად ჰქონდა შეცნობილი ეგორ ტიმოთეს ძეს. იგი მიმობოდა, განკარგულებებს სცემდა და ამასობაში მის თავში ჟღერდა დიდებული, ზვიადი სიტყვები: „განსვენებული“, „აწ აღარულებული“. ამ სიტყვებისა და საერთოდ ყველაფერ იმის მიზეზით, რაც ირგვლივ ხდებოდა. ის თავს არაჩვეულებრივად ბედნიერად გრძნობდა, მაგრამ შინაგანობაში მაინც წრიალი ასტეხოდა, თითქოსდა რამ ფასდაუდებელი დაჰკარგოდა, თითქოსდა სურდა რალაციის მოგონება და ვერ კი ძალუძდა. სირბილის დროს ხშირად შეურვებული იჭმუხნიდა შუბლს, მიადგებოდა ფერშალ ქალს, სულს უწუხებდა შეკითხვებით:

— მარია ასტაფის ასულო, თქვენ კიდევ რა დამავალეთ? მე ყველაფერი გავაკეთე.

ფერშალ ქალს აქამომდე არ განელებოდა სიხარული იმისა გამო, რომ იმ დამით ექიმი „ბაბილონში“ არ გაბრუნდა და ალერსიანად ამშვიდებდა ავადმყოფს:

— თქვენ ყველაფერი მოიმოქმედეთ, გიორგი ტიმოთეს ძევ. ძალზე გემადლიერებით მე და ექიმი. გეყურებათ? მე და ექიმი, დიახ, მე და ექიმი.

— კეთილი, მე კი მეგონა... — და იგი კვლავ გარბოდა საქმეების მოსაგვარებლად.

და როცა დადგა ღამე, ეგორ ტიმოთეს ძეს ძილი გაუკრთა. წამდაუწუმ გვერდს იცვლიდა ლოგინში, ხენეშოდა, ბოლოს ადგა, ჩაიცვა და კვლავ მიცვალებულის სანახავად წავიდა. გრძელ დერეფანში ერთადერთი ნათურა ბჟუტავდა და საკმაოდ ბნელოდა. იმ ოთახში კი, სადაც კუბო იდგა, სამი მომსახო თავლის სანთელი ენთო, ხოლო მეოთხე, უფრო მომცრო, მიკრული იყო დავითნზე, რომელსაც კითხულობდა ახალგაზრდა მონაზონი. ირგვლივ იდგა საკმევლის სურნელი. ეგორ ტიმოთეს ძემ შედგა თუ არა ფეხი ოთახში, შუქდაფენილ ხის კედლებზე სხვადასხვა მხრივ მყის გადირბინა რამდენიმე მსუბუქმა, მჭვირვალმა ჩრდილმა.

— მომეცით გეთაყვა, მე წავიკითხავ, — უთხრა ეგორ ტიმოთეს ძემ ახალგაზრდა მონაზონს, რომლის სიყმაწვილევ მიცვალებულთათვის ლოცვების კითხვაში გავიდა. ის განზე გადგა და ხალისით დაუთმო ადგილი ეგორ ტიმოთეს ძეს, რომელიც მაღალადგილოვან მოხელედ თუ მიცვალებულის უფროს ნათესავად მიიღო.

ნაბიჯებისა და საუბრის ხმაზე დივანიდან წამოდგა პეტროვის დედა. სიცივია გამო ხილაბანდით გაკრული თავი უქანქარებდა: სათნო სახე ისე დაწმენდოდა, გეგონებოდათ, დღეში ასჯერ იბანს ყოველ ნაოჭსო. რახანია დივანზე იწვა, მაგრამ არ ეძინა და ფიქრობდა.

თავდაპირველად ეგორ ტიმოთეს ძე კითხულობდა ძალზე გამომსახველად და კარგად, მაგრამ მერე და მერე თვალი მოსტაცა სანთლებმა, მარმაშმა, მიცვალებულის მარმარა შუბლის შემამკობელმა მომცრო გვირგვინმა და ვერც შე-

ამჩნია, როგორ მიუახლოვდა ახალგაზრდა მონაზონი და აართვა წიგნი. განზე უტია ეგორ ტიმოთეს ძემ, თავი გადახარა და მხატვარი რომ შეჰყურებს ხოლმე თავის ნახატს, ისეთი ალერსიანად გადახედა მიცვალებულს. შემდეგ ხელი დაჰკრა ჭიუტად ამობურცულ სერთუკზე და დამამშვიდებელი კედლები უთხრა:

— იწეჭი, ძმაო, იწეჭი, მე მალე მოვალ!

— თქვენ იცნობდით საშას? — მიუახლოვდა მას პეტროვის დედა.

— დიახ! — უყოყმანოდ მიუგო მან. — ის გახლდა ჩემი საუკეთესო მეგობარი, ბავშვობის დოსტი.

— მე კი დედა ვარ მისი. დიდად სასიამოვნოა, ასე კარგად რომ ახსენებთ ჩემს შვილს. შეიძლება გაგესაუბროთ?

ეგორ ტიმოთეს ძემ წარმოიდგინა, რომ ის იყო თავად ექიმი შევირიოვი, ყურად რომ იღებდა ავადმყოფთა ჩივილს. სერიოზული, ჩაღრმავებული კაცის იერი მიიღო და თავაზიანად მიუგო:

— რა თქმა უნდა, ოღონდ ჯერ ჩამოგეჭით, მოხერხებულად მოეწყვეთ.

— არა, ასე ვიდგები. მითხარით ერთი, ხომ ცდებიან ისინი, ვინც ამბობს, საშა ცუდი ადამიანი იყო?

— ის დიდებული კაცი გახლდათ, — გულწრფელად გააქარწყლა ეგორ ტიმოთეს ძემ პეტროვზე ნათქვამი აუგი, — ყველაზე უკეთესი ადამიანი, ვინც კი ოდესმე მინახავს. თქმა არ უნდა, უცნაურობებიც სჭირდა, მაგრამ ვინ არის ამაებისაგან დაზღვეული?!

— მეც მაგას არ ვამბობ? ჩემი ვასილი კი მედავება და მაჩუმებს. რარიგ მახარებთ რომ იცოდეთ, როგორ მანუგეშებთ, მითხარით, საშა არ შემოგჩივლებდათ ხოლმე? საწყალს ეგონა, გული არა მქონდა მისკენ, მე კი, ღმერთმანი, მერწმუნეთ, ისე მიყვარდა, ისე მიყვარდა...

და ქალმა ტირილით გაანდო ეგორ ტიმოთეს ძეს პეტროვის სევდიანი ამბავი და ტანჯვა-ვაება, მოუთხრო, გამოუცნობი მიზეზით რომ ეცლებოდა თვალსა და ხელს შუა უსაყვარლესი ვაჟი და ვერაფრით შველოდა. და კვლავ რაღაც მხრივ იმართლებდა თავს, ცდილობდა, რაღაც დაემტკიცებინა, ვერკი ახერხებდა, გეგონებოდა, მისთვის და კუბოზე გულდინჯად დაყრდნობილი ეგორ ტიმოთეს ძისათვის მიცვალებული გინდ ყოფილიყო და გინდ არაო. თითქოს სიკვდილს სულაც არ გამოეჩინა თავისი მსახვრალი ხელი. დედაბერს ისე მოახლოვებოდა აღსასრული, აღარც ანიჭებდა სიკვდილს დიდ მნიშვნელობას და ურევდა მას სხვა ცხოვრებაში. ეგორ ტიმოთეს ძე კი სულაც არ ფიქრობდა ამ საგანზე. ეს იყო მხოლოდ, მოხუცის ცრემლებმა შესძრა და კვლავ ძველებური ძალით შეიპყრო მღელვარებას.

— მიჩვენეთ მაჯა. აგრე, კარგია. დამშვიდდით. ყველაფერი მშვენივრად მოგვარდება. ყველაფერს ვიღონებ, რაც შესაძლოა. გჯეროდეთ ამისა და მშვიდად იყავით.

— თქვენ ისეთი კეთილი ხართ, ისე კარგი ბრძანდებით, ღმერთმა გაგახაროთ, ასე რომ მანუგეშებთ. მადლობა...

მოხუცი უეცრივ დასწვდა მის ხელს და ზედ ეამბორა.

— რას სჩადით? როგორ გეკადრებათ? — შესძახა შეცბუნებულმა ეგორ ტიმოთეს ძემ, — სად გავგონილა, მამაკაცს ხელზე კოცნიდნენ?

იგი თხემით ტერფამდე გაწითლდა, როგორც სჩვევიათ სახედაღარულ, ორმოცდაათ წელს შიტანებულ, მაგრამ მიაშიტად დაშთენილ ხალხს და სწრა-

ფად გაეცალა დედაბერს. დერეფანში ბნელოდა და მან სვლა შეანელა. თრ-
იოდ ნაბიჯიც გადადგა თუ არა, ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი გამოეცხადა. გვე-
რდით ამოუდგა ჩია, მხცოვანი ბერიკაცი. თათრული, ჭვინტებაპრეხილი ქოშე-
ბი ემოსა. თავზე ოქროს სარტყელი ჰქონდა შემოსალტული.

თავდახრილი ვილოდა ეგორ ტიმოთეს ძე და ასევე თავდახრილი ვილოდა
ნიკოლოზ სასწაულთმოქმედიც. ისე ჩუმად ვლიდა, თითქოს თექაზე აბიჯებსო.

დიდხანს ვილოდნენ ამ ლამის უსასრულო დერეფანში. მარცხნივ და მარჯ-
ვნივ თეთრად გაკრთებოდა ჩაკეტილი კარები. ზოგ მათგანს მიღმა ისმოდა თა-
ნაგვარი, გაურკვეველი ბუტბუტი მღელვარე ავადმყოფებისა, ძილი და მოსვე-
ნება რომ ჰქონდათ დაკარგული.

და უსასრულო იყო დერეფანი, არა და არ თავდებოდა, გაუთავებლად
მიჰყვებოდა ერთმანეთს დაკეტილ კართა რიგი.

მარცხენა მხარეს, ერთ კარს უკანიდან ისმოდა არცთუ ხმამაღალი, მაგრამ
მკვეთრი და თანაბარი ხმიანობა, თან მუდმივი და განუწყვეტელი, აღმძვრელი
სრული მღუმარების შეგრძნებისა. ეს გახლდათ ამ დღეებში ლოგინიდან წა-
მომდგარი ხეკაკუნა ავადმყოფი, კვლავ რომ შესდგომოდა თავის უბოლოო
საქმეს.

— აკაკუნებს! — თქვა ეგორ ტიმოთეს ძემ ისე, რომ თავი არც აუწყევია.

— აკაკუნებს? — ასევე თავაუღებლივ მხარი აუბა ნიკოლოზმა.

იგინი ვილოდნენ და ფიქრობდნენ.

— ყველაფერი რიგზეა.

— ყველაფერი, — დასტურჰყო ნიკოლოზმა.

— ჰო მაგრამ, მაშ მკერდში, ზედ გულის კოვზზე რად მაწევს ასეთი სიმ-
ძიმე, რადა და რისთვის, ნიკოლოზ ჩემო?

— იქნება განა, საგიჟეთში იჯდე და ხანდისხან მაინც არ მოიწყინო?

— აგრე გგონია?

ეგორ ტიმოთეს ძე ნიკოლოზისაკენ შემობრუნდა, ალერსიანად შეაცქერ-
და მას, მერე თავისთვის ჩაიღიმა და თვალები მოენამა:

— რაზედ ტირი, თან ილიმები და თან ცრემლი გდის?

— შენ თავად ილიმები და ტირი კიდევ.

და ისინი განაგრძობდნენ გზას და კვლავ ფიქრობდნენ.

— აკაკუნებს! — თქვა ეგორ ტიმოთეს ძემ.

— აკაკუნებს! — მიუგო ნიკოლოზმა.

— მენანები, ნიკოლოზ, აგრე მოხუცი რომ ხარ და აგრე სნეული. ნეტავ
რაში გიდგას სული, თანაც სულ დადიხარ, ფრენ და სწუხარ. აი, მეც არ და-
მიჯერე და აქაც მოფრინდი.

— ახლა რამიშავს, ქოშები მაცვია, ჩექმებით კი მიჭირს, სიმართლე გითხრა.

— აკაკუნებს! — თქვა ეგორ ტიმოთეს ძემ. — მოდი, გავფრინდეთ.

— ასე ვქნათ. გავფრინდეთ, — დაყაბულდა ნიკოლოზი.

და ისინი გაფრინდნენ.

ნახევრად ბნელ დერეფანში შფოთიანი სიჩუმე გამეფებულიყო. არა და
არ თავდებოდა ჩარახულ-ჩაგმანულ კართა რიგი. ზოგ მათგანს მიღმა მოისმოდა
იმ სულდგმულთა ბორგნეული ბუტბუტი, დაკარგული რომ ჰქონდათ მოსვენება.
დერეფნის ბოლოდან, აქამომდე ყრუ კარს უკანიდან მოისმა ხმამაღალი ყივი-
ლი:

— ყი-ყლი-ყო!

ეს გახლდათ ავადმყოფი, ვისაც თავი მამალი ეგონა. ქრონომეტრის სიზუსტით იღვიძებდა იგი თორმეტ, სამსა და ექვს საათზე. ხელეწიფებით აფართხუნებდა, ყიოდა და ცდილობდა სამკურნალოს მკვიდრთა გამოფინებას, მაგრამ არც არავის გაუხელია თვალი და არც შეხმიანებია ვინმე, და თავად სნეულმაც, მამალი რომ ეგონა თავი, მალე ჩაიძინა.

მხოლოდღა მარცხენა მხარეს, ერთ კარს უკან არ წყდებოდა თანაბარზომიერი, უწყვეტი, სიჩუმის ბადალი შეგრძნების აღმძვრელი აკაკუნი.

გარდადიოდა ღამე. ის კი კვლავ აკაკუნებდა. რა ხანია ჩაქრა სინათლეები „ბაბილონში“. ის კი კვლავ აკაკუნებდა გიჟური დაყინებით, მოუღლეელი, ღამის უკვდავი.

□

ლექსები

თარგმანა მურმან ჯგუჯურიან



დიდი ჩიხელი პოეტის ტაო იუან-მინის ლექსების თარგმნისას ხელთ მქონდა ცნობილი მეცნიერის ლევ ეიდლინის მიერ უშუალოდ დედნიდან შესრულებული პწკარედული თარგმანი.

ტანის ეპოქის პოეტები მასში ხედავდნენ განდევილსა და თრობის მოყვარულს; სუნას ეპოქის პოეტები — დაოს მიმდევარს, მინის ეპოქის პოეტები — უმწიკვლო მოხელეს, ძინის ეპოქისა — სწავლულს, ხოლო ჩვენი თანამედროვენი — გლეხკაცს.

მთარგმნელი

მე სახლი ცალკე არ ამიგია,
ვცხოვრობ ყველასთან ერთად,
თუმცა არ მესმის დროგის ხრიგინი
და არც ჭიხვინი ცხენთა.

ეს როგორ ხდება, თუ მკითხავს ვინმე,
მე ვუპასუხებ ასე:
სულს აქვს თავისი სახლი და მღვიმე
და მიწა რჩება განზე.

მე დავიხარე და ქრიზანთემა
მოვწყვიტე ბალის კართან,

ავწიე თავი და დავინახე
ზედი სამხრეთის მთათა.

რა ლამაზია მთათა გრეხილი,
როცა დაისი ბზინავს
და გაწვართული ფრინველთა გუნდი
მიეშურება შინა!

აი, მე რაში ვხედავ ისევე
სინათლესა და სიბრძნეს;
მაგრამ ვერასგზით ველარ ვიხსენებ
იმ დავიწყებულ სიტყვებს!...

გენიის მახუთი თვია, დედაქალაქიდან ვბრუნდები უინ და გუილინში მავიარებხს კარი

მივდივარ, მივალ,
სოფელში ვბრუნდები კვლავ,
და გული მტკივა, —
შეხვედრის სურვილი მკლავს.

დაძველდა სახლი,
გამზრდელიც მოხუცდა თან,

მოწყენა მახლავს, —
ძმებს როდის იხილავს ძმა.

გზა არის გრძელი,
როდის დამთავრდება გზა,
ხშირდება ბნელი,
და მზე ეფარება მთას.

წყაროა, მთები, —
და შიში შემახებს ფრთას.
ვერაფერს ვხვდები, —
მოწყენას ვერ ვართმევ თავს.

სამხრეთის ქარი —
მიფანტავს წამი-წამ ფიქრს,
და როგორც რკალი
მეკვრება უღრანი ტყის.

ბალახი ხშირი,
მიმოკლებს მე თვალის ჩინს,

მიტომაც, მწერი —
ძლივ-ძლივას მივცოცავ წინ!

ახლოა თითქოს, ვერცხვულნი
და რაღაც იმგვარად წყნებს,
გული რას ფიქრობს,
ვინ უნდა მიგიხვდეს, ვინ?

ვუყურებ, ვხედავ,
სამხრეთის მთა მიდგას წინ;
ვიცოდე, ნეტა,
როსმე თუ მივალწევ შინ!

ძველთაგან ასეა,
იყო და ამბობენ ასე:
კაცი თუ გზაზეა,
ცოდოა ის კაცი გზაზე!

მთა კი მაღალია,
წყაროა ვრცელი და გრძელი;
კაცი — საბრალოა
ვერსად მიუწვდება ხელი.

ქარია, გრიგალი —
თარეშობს ნებისად მუდამ,
და შეურიგალი
ცხოვრება უყვარს და უნდა!

მე ერთი მგზავრი ვარ,
ჭერი ენატრება ვისაც, —
ისეთი ქარია,
ვერსაით ვერ წადგამ ბიჯსაც.

ფიქრი კი იქ არის,
სად მწვანით კონტაობს თუთა:
რა არის მითხარი,
უფრო რას მიიტან გულთან, —

იქ რომ სინათლეა,
და მარტოობაა ყოვლით,
თუ არ გინატრია,
ოდესმე სიწმინდე თოვლის.

მოვშორდი ქვეყანას,
და ჩემთვის ვფუსფუსებ ცალკე,
კვლავ ვთოხნი მე ყანას,
და ვუმზერ ბუნების სარკეს!

და თუმცა ცხადია, —
მცირე მაქვს აწ დრო და ხანი,
არ დავთმობ ადვილად, —
ცხოვრების ტკბილია წამიც!

სინდოუს მუშვიდა თგან, ძიანლინიდან წამოსული ტუკოუს
გულით ვბრუნდები უინ

ხალისით, სიამით
სამი ათეული გავლიე წელი;
ვიყავი ჭკვიანი
და ჩემი მარჩენდა მარჯვენა
ხელი.

მესმოდა ფუსფუსი
და როგორც ფუტკარი, ბზუოდა
სიტყვა,
და ხეთა ბუსუსებს
შემორჩა ლექსები, რაც მაშინ ითქვა...

დღემდე ვერ გავიგე,
რა რიგად დავტოვე სახლ-კაოი
მაშინ,

ნუთუ იმთავითვე
ოცნებად მიჩანდა გარევა ხალხში?!

მიხმობს სიმარტოვე,
აი, შემოდგომამ მოალო კარი,
ბორანთან დავტოვე
მე ჩემი მხლებლები უსიტყვოდ
მდგარი.

თან ზურგის ქარია,
მივცურავ და ნელა დამდება
მთებში;

როგორ მიხარია, —
მარტოდენ ხოფების ჩქაფუნე
მესწინს!

ვარსკვლავი ციმციმებს,
დამნათის კრიალა ცარგვალნი
თავზე,

წყალი მილიმთიმებს,
და ვხედავ, გლები რომ ბრუნდება
გზაზე.

საქმეს შევუდგები,
ძილს არ მივეცემი ჩვეულებად
ისევ,
ჩემს თავს ვეუბნები, ^{ეროვნული}
კარგია როდესაც ^{ცარგვალნი} ^{მიხმობს!}

მე „შანის“ ჰანგები
თავს არ მიბრუებდა, სიმართლე
რომ ვთქვა,
გზად მივემართები,
თუ ვოხრავ მე მხოლოდ მამულზე
ვოხრავ!

ჰა, თქვენი ხალათი,
ჰა, თქვენი ჩინი და პატივი დიდი,
არ ძალმიძს ლალატი,
გაიყო გზები და სხვა-სხვაგნით
მიდის!

სიმართლის მსახურად —
ვიდგები ღარიბულ სახლაკში
აწი,

ქუდი რომ გახურავს,
კაცს უნდა ვეთქვამდეს კადეგაც
კაცი!

**გუიმაოს წელიწადს, აღრიან გაზაფხულზე მაგონდება
ჩემი ბეჩავი და ზორეული სოფელი**

აზრსა და სინათლეს
მოიცავს ეს ძველი ანდერძი:
„გიყვარდეთ სიმართლე,
ქონებას ნუ დაეხარბებით!“..

ცად თვალებს ავაპყრობ,
მაგრამ ის სიმალღე შორია:
ეს მაქვს საამაყო, —
თავი კვლავ გლებჯაცი მგონია.

თოხი მოპირული
ყანაში ხალისით ხრაშუნებს,
მიცურავს ბინული
და ფაფარს ეზოს უტლაშუნებს.

ფუსფუსებს ნიავი,
ხან ისმის წვიმების კვარჩხალი,
გული ძგერს სიამით, —
და ხნულში დვივდება მარცვალნი.

თუმცა ჯერ აღრეა,
აწონვა წლიური ბარაქის,
გარჯაშიც მადლია
და უქმად ყურყუტი არა ღირს.

ხვნაში და თიბვაში,
ყანაში როდესაც ვტრიალებ,
დრო მიდის ძვირფასი,
და კაცი არ შემავგვიანებს.

სიტყვას არ გამიბამს,
ენით არ შემირთობს აროდეს;
მწუხრზე კი ჟამი-ჟამ;
დავსხდებით და შენ-გიხაროდეს!

თან ლექსებს ვლიდინებ,
თან კარებს მივხურავ კრიალით;
ხან ეზოს კრიჭინებს,
ვუსმენ და ლამუა გვიანნი
გვიწინაა
ზიზლიწითაა

**ეს ლექსი შევთხზა გუიმაოს წაღიწადის მეთერთმეტე თვეს
და ვუძღვნი ძინ-იუანს**

ვფუსფუსებ აქ ჩემთვის,
და კარი მიფარავს ხის,
სოფელს გავემიჯნე,
აქ ველარ მომწვედება ის.

ბეჩავი სახლაკი
ყრუვდება და თოვლი ცრის,
ისე ვარ, ხანდახან,
დანა ვერ გამიხსნის პირს.

თვალს ვკიდებ გარემოს,
ნეტავი ვახსოვარ ვის?
არ მოდის არავინ,
მზე არი თუ ქარი ქრის...

და მხოლოდ ჟამი-ჟამ,
გადავშლი ძველისძველ წიგნს,
მარადის, მარადის
წარსული მიღესავს ფიქრს.

სალამო ხანია,
ცივია ნიავი მთის,
გვიან კი თოვლი თოვს,
არ ისმის ხმაური წყლის.

რაც იყო, წავიდა,
ჩივილი აღარა ღირს,
თანდათან ვეჩვევი
სოფლიურ წესსა და რიგს.

დროგი არ ხრივინებს,
ჩემია ნაპირი ტყის.
თვალის სინათლეა —
ასე რომ მახარებს მწირს.

იყო პინძიანი —
და სტომაქს უვლიდა თვისს,
ჭრელია ცხოვრება,
და კაცი გაივლებს ძვირს.

გვიან კი სიცხევე
დაპკრავს და ფიქრები მღლის,
შესუდრა ბალი და
ყინვები მიზაფრავს ხედს.

რაცა ვთქვი ისა ვთქვი,
ათასი ხერხია თქმის,
ვერც ამა სტრიქონთა
ვერავინ ამოხსნის ძირს!

ცადუნუ რუჟევირი

ჩემი გოგონა



მოთხრობა

პოლონურიდან თარგმნა ნათელა გავაშელმა

გაგიდაზე შემოდგმული ლამაზა. ჩაბნელებულ ოთახში მოლიცლი-
ცე სინათლის წრეები. გოგონას ყურებზე ხელი მიუჭერია, ხმა-
დაბლა კითხულობს გადაშლილ წიგნს, რაღაცას იმეორებს გაუგებრად.

ტახტზე თავქვეშ ხელეხამოწყობილი მამაკაცი წევს. თვალებს ახელს. გო-
გონას თხელ მხრებს შესცქერის და თმის კულულებს, რომელთა მიღმა შუქის
ტალღა მილივლივებს; გაუგებარ სიტყვებს აყურადებს. საათი თორმეტჯერ რე-
კავს. ბოლო ჩამოკვრა და... ოთახი თითქოს უფრო ღრმა მდუმარებაში იძირება.

გოგონა ხელებს წიგნზე აწყობს. ტექსტს ხელისგულებს აფარებს. ზეპი-
რად წარმოსთქვამს:

და სული ჩემი მოწყენილი ჰგოდებდა ოდეს —
შენ დაუბრუნე მოჩურჩულე ნემანის კბოდეს,
შრიღლა ტყეებს, სამოსი რომ აცვიათ მწვანე,
იმ ხოდაბუნებს, სიზმარით მოჩითულ ყანებს,
სად თაველები მწიფს და წყნარად ნანაობს ქერი,
სად ქარვისფერი მდოგვია და ნიავი მღერის,
სად წიწიბურა ქათიბივით არეს ახურავს
და ქალწულივით შეიფაკლავს ლაწვებს ბავშვყურა,
სად სამანებთან შვებითა და სიამით ვსხდებით,
გვაფენენ შტოებს ყვავილები და პანტა მსხლები.
ამ მინდვრებს შორის მოჩქრიალე რუსხმულის პირას,
პაწია ბორცვის შორიახლო...!

— მირეჩკა, ბავშვყურა კი არა. სამყურა.

— რათ, რა სთქვი?

— სანყურა-მეთქი.

— მე როგორ ვთქვი?

— ბავშვყურა.

გოგონა აქეთ-იქით იხედება.

— ბავშვის ყური?

— თხუთმეტი წუთია „ბავშვყურას“ გაიძახი, ტვინი გამიხვრიტე.

— ბავშვყურა... ბავშვყურა...

— სიტყვის მნიშვნელობა არ იცი და იმიტომაც გეშლება. უაზროდ იმე-
ორებ.

— შენ იცი?

¹ ადამ მიცევიჩი, „პან თადეუში“, თარგმნა თ. ბაძალამ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ვიცი.

— აბა, კი! დაგენიძლავები, რომ არ იცი.

— ბავშვყურა შინდვრის ბალახია...

აკისკისებული გოგონა ტახტთან ჩაიძუხლებს.

— მამი, მამი, როგორ თქვი? ბავშვყურა? ჰო, გისმენს, გისმენს.

— ...სამყურა დაბალ-დაბალი, სამფურცლიანი, იონჯასებრი საკვები ბალახია. იონჯას იისფერი ყვავილი აქვს, სამყურას კი ყვითელი. სამყურა იონჯას დაღვლარქნილი ჭოტისგან თავისი ნამგლისებური მოყვანილობით განსხვავდება.

— მაშ, ეგ ბავშვის ყური ყვითელია?

— ყვითელი.

— და ქალწულივით იფაკლება, არა? მოვკვდი სიცოცხლით! — გოგონა მამას ხელებს შენობხვეს. — მე შენი ბავშვი ვარ და არა ბავშვყურა. ალბათ ეს ყველაფერი ერთი საათის წინ ენციკლოპედიაში ამოიცითხე, რომ ჩემთვის ნაძლევი მოგვეგო... მაგრამ როგორ შეეძლო „დიდ პოეტ-წინასწარმეტყველს“ ამ ყვავილოვანი და თანაც საკვები ბალახისათვის ქალწულებრივი სიწითლე მიენიჭებინა?!

— პოეტს ყველაფერი შეუძლია. ისე კი, ფერთა ცვალებადობა დამოკიდებულია დღის დროსა და განათებაზე...

— აბა, თუ ეგეთი ჭკვიანი ხარ, ისიც მითხარი...

— ჯერ ერთი, „ეგეთი“ ჭკვიანი სულაც არა ვარ. მეორეც, ახლანდელი ახალგაზრდები შერიას ზორბლისგან ვერ არჩევთ და საუბედუროდ, თქვენთვის სულ ერთია: შერია, ზორბალი, ჭვავი, ბრინჯი, საშემოდგომო ნათესი, ფიჭვი, სოჭი, ნაძვი... კიდევ კარგი, ძროხას რომ ცხენისაგან ანსხვავებთ...

გოგონა მამას პირზე ხელს აფარებს.

— აბა, რადგან ეგეთი ჭკვიანი ხარ, ისიც მითხარი, რა არის მდოგვი? არ იცი! არავინ არ იცის! მასწავლებელს რომ ეთხოვეთ აეხსნა, რა ცხოველია მდოგვი, ყველა კარში გაგვრეცა. თან დაგვემუქრა, ყოფაქცევაში ნიშნებს დაგიკლებთ, რადგან სისულელით ერთობითო. არა, შენ თვითონ თქვი, სად უნდა გაიგოს საბრალო ბავშვმა, რა არის მდოგვი... რომ იცოდე, სხვა საეჭვო საკითხებიც არსებობს... აკოცე, მამილო, შენს სამყურას.

2

სახლი, რომელშიც ამ ათიოდე წლის წინათ ვცხოვრობდით, ომამდე აშენებული, ძველი, შემოსავლიანი შენობა იყო. სახლის გვერდით, სამრეცხაოს ბუხარს, მძაფრი, მელანივით ბლანტი კვამლი ასდიოდა. მოპირდაპირე მხარეს კერძო ბალ-ბოსტნები ბიბინებდა, ამჟამად თანამედროვე, უზარმაზარი ადმინისტრაციული დაწესებულების სამშენებლო მოედნად რომ ქცეულა.

სარდაფიდან მოყოლებული სხვენამდე სახლი მობინადრეებით იყო სავსე. ბავშვები ერთმანეთს მხოლოდ საღმით იცნობდნენ და ყველა კარჩაკეტილ ცხოვრებას ამჯობინებდა. ერთიმეორეს თავისდაკვრით თუ მიესალმებოდნენ, საახალწლო და სხვა სადღესასწაულო მილოცვებს ხომ ვერავისგან გაიგონებდით.

თუკი პირველი და ზედა სართულების მცხოვრებნი ერთმანეთს მაინც ესალმებოდნენ, დროდადრო ღიმილსა და რამდენიმე გაცვეთილ სიტყვას გაიმეტებდნენ, სამაგიეროდ, სარდაფის მობინადრეებთან, ქვრივსა და მის ორ ქალი-

შვილთან გამოლაპარაკებებს არავინ კადრულობდა. რა ხდებოდა სარდაფში, რომლისგანაც ჩვენს ოჯახს მხოლოდ იატაკი ჰყოფდა?

ეს იყო ჩვეულებრივი ბუნაგი, საგულდაგულოდ შენიღბული კერძო საროსკიპო. იმ სამყაროდან ჩვენაშდე ამოღწეული ხმები ყრუ იყო და გაურკვეველი, მაგრამ ღამღამობით ყოველნაირი ჩქამი და სიტყვა სამკვამისაღმდენსა და სინძაფრეს იძენდა. და თუმცა იმგვარად ვირჯებოდით, ხმები ჩვენს ყურთასმენას არ სწვდებოდა, სინამდვილეში ასე არ იყო. დროდადრო სიმღერა, სიცილი და წივილ-კივილი, ხანაც საზარელი, ცხოველური ყმუილი გვესმოდა. ზედა სართულების მცხოვრებთაც ჩვენსავით ეჭირათ თავი; ერთიმეორისაგან კედლებითა და ჭერით გამოყოფილი ხალხი ისე ცხოვრობდა, თითქოს სხვადასხვა კუნძულებზე ყოფილიყვნენ დასახლებულნი. ერთმანეთის ჭირ-ვარამისა არაფერი გაეგებოდათ. უფრო ნეტი იცოდნენ, რა ხდებოდა თუნდაც აფრიკაში, ამერიკაში, ბერლინსა, ანდა კუბაზე, ვიდრე კედლის ზილმა, მეზობლის ოჯახში.

სხვენზე რამდენიმე წელი ცხოვრობდა ერთი დედაბერი, რომლის სახე ახლა აღარ მახსოვს, თუმცა, ხანდახან, თვალწინ დამიდგება ხოლმე მისი გაუბედავი, უმწეო, თითქოსდა პატიების მთხოვნელი ღიმილი... ძალზე იშვიათად ვხედავდი. არავინ იკვოდა, თავს რით ირჩენდა. ვგონებ, პენსია ეძლეოდა. ოჯახი არ ჰქონდა, რადგან მასთან მოსული არავინ გვინახავს. მოგვიანებით, და მეტად მოგვიანებითაც, აღმოჩნდა, რომ ჩვენსავე ქალაქში შორეული ნათესავეები ჰყოლოდა. დედაბერს მხოლოდ მაშინ თუ მოვკრავდი თვალს, როცა ნარეცხს ღვრიდა, ან წყალი შეჰქონდა შინ. შედგებოდა დერეფანში და მძიმედ ქშინავდა. დროდადრო კიბეზე ვილაც ამორბოდა, რომელიღაც ოინბაზი ბიჭუნა სამ-სამ საფეხურს ახტებოდა, ბავშვები თამაშით იკლებდნენ იქაურობას, მაგრამ დედაბერს ყურადღებას არავინ აქცევდა. ზოგიერთი ონავარი კუდიანსაც კი ეძახდა და ენას უყოფდა. დედაბერი გაილურსებოდა და ბავშვებს გაუბედავად უღიჟოდა.

მახსოვს, ერთ ნაფსიან ზამთარს, სუფრასთან მჯდარმა მისი ამბავი ვიკითხე. წვნიანს რომ მისხამდა, დამ მიპასუხა:

— რათ, არ იცი? აგვისტოში გარდაიცვალა... თითქმის ნახევარი წელია ქალი დაასაფლავეს, ეს კი ახლა კითხულობს მის ჯანმრთელობას... კიდევ დაგისხა?

— ჰო... არა... გმადლობ, — მივუგე და ჭამას შევეუდექი.

ჩვენს სახლში სხვისი დარდი არავის აწუხებს. ამას თავისი დადებითი მხარე ჰქონდა. დედაბრის სიკვდილი ხალხს მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გაეგო. ჩენი დისთვის მესამე სართულელ მეზობელს ეთქვა, გული გახეთქიაო. მირეჩქას ჭამა შეეწყვიტა და უხმოდ შემოჰკვებროდა.

— ლოგინში ნახეს, პერანგისამარა მჯდარიყო მთელი კვირა, მკვდარი მჯდარიყო და არავინ არაფერი იცოდა... ორ კვირასაც გასძლებდა ისე, მაგრამ ფოსტალიონს პენსია ნოეტანა და შაშინ გაირკვა ყველაფერი. იჯდა თურმე ლოგინში, წინდის ჩაცმა მხოლოდ ცალ ფეხზე მოესწრო, გული გულია, იყო ადამიანი და უცებ აღარაა.

— რა გვარი იყო?

— ბირკენი... ბირკენბაუ თუ რაღაც ამდაგვარი უცხოური გვარისა.

დედაბრისა ვერც გვარი გავიგე და ვერც სახელი. მაგრამ ახლა ამას რაღა აზრი აქვს. განა ცოტა დედაბერი კვდება? მაშ, რა უნდა ჰქნან? სულ იცოცხლონ? ეს ხომ საშინელება იქნებოდა. ჰმ, ასი, ორასი წლის დედაბრები... რა

აჯობებდა ორასი წლის დედაბრის დანახვას?.. ამ უცნაურობის გაფიქრებაზე, მგონი, გამეღიმა კიდევ. ეგაა, არც ერთ მოხუცებულს სიყვდილში არ უნდა და გარდაცვალებისა დანარჩენი ადამიანებივით ეშინია, შესაძლოა კიდევ უფრო მეტადაც.

— მე და მანა რომ სოფელში ვიყავით, მაშინ გარტყმუნებში იკითხა მირეჩკამ. მერე თავდახრილი კიდევ კარგა ხანს დუმდა. **ბიჭ-ნიწიშეკა**

— რა დაგეშართა... ტირი? — ჰკითხა ჩემმა დამ.

მირეჩკამ თავი ხელებში ჩამალა. ტირილმა თრთოლვასავით დაუარა გამხდარ სხეულში. მამიდამ ცხვირსახოციტ დაუპირა ცრემლის მოწმენდა, მაგრამ მირეჩკამ არ გაიკარა.

— ჩვენ... ჩვენ... — გაურყვევლად ჩაიზღუჭუნა და დადუნდა. მხოლოდ მოგვიანებით გაგვაგებინა, რისი თქმა სურდა.

— ჩვენ... ერთხელ კიბეზე ნარეცხი დავაღვრევენეთ... ბიჭებთან ერთად კიბეზე დავრბოდით... ბებოს ხელი ჰკრეს და ნარეცხი ზედ გადაასხნეს... სიცილით რომ გული იჯერეს, ადგნენ და მოკურცხლეს... მე კი არსად წავსულვარ, ბებოს ჭუჭყი ცხვირსახოციტ მოვაცილე... იდგა მთლად დასვრილი და ტიროდა... რაღაცის ნაფცქვენები თუ ყვავილები თმაშიც გაჩროდა... სახე ცხვირსახოციტ მოვწმინდე და ძალიან, ძალიან ვთხოვე, ადარ ეტირა... გამიღიმა და „შვილი-კოო“, მითხრა... ბიჭები ისევ შემოცვივდნენ და სიცილი დაგვაყარეს...

სარდაფში დედა ცხოვრობდა თავისი ორი ქალიშვილითურთ, ქალს ყოველთვის ჭუჭყიანი ხალათი ეცვა და თმადაუვარცხნელი დადიოდა. მახინჯი სახე და ჩახრანწული ხმა ჰქონდა. ორმოცი, ორმოცდაათიოდ წლისა იქნებოდა. იგი მეძავე იყო.

მასთან მუდამ ნაირნაირი მამაკაცები ცხოვრობდნენ ამ ქალის მოსარჩლენი იყვნენ, ყალთაბანდები თუ ჩვეულებრივი მკვლელები — ვერ გეტყვით. სამაგიეროდ ხშირად იცვლებოდნენ. მხოლოდ ორმა მათგანმა მოათია ამ ქალთან დიდხანს. ლუდვიცი... კარგად დამამახსოვრდა ეს სახელი. ძალზე წყნარი და თვინიერი კაცი იყო. დღენიადგ შავი სავიზიტო სამოსი და თეთრი პერანგი ეცვა. უჭუდოდ დადიოდა, არც ჰალსტუხს იკეთებდა. თმას სადად ივარცხნიდა, ოღონდ საგულდაგულოდ იყოფდა ხოლმე. სისხლისგან დაწრეტილი, უფერული სახე ჰქონდა. გაზაფხულზე და ზაფხულში საათობით იდგა მესერთან და პაპიროსს აბოლებდა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი კბილებშუა აბურჭყებდა. დიდხანს იდგა ხოლმე თავდახრილი. არავის ესალმებოდა და არც არავის ელაპარაკებოდა. ისეთი თეთრი და სუფთა პერანგი ეცვა ხოლმე. ეტყობოდა, ყოველდღე იცვლიდა. არც ეს წვრილმანი გამომპარვია. ჩვენს ქვეყანაში პერანგის ყოველდღე გამოცვლის საშუალება თვით ინტელიგენტსაც არა აქვს. ორ დღეში ერთხელ თუ გამოიცვლის, ანდა, თუ ჭრელ პერანგს ატარებს, კვირაში — ერთხელ.

ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მაშინ ბალ-ბოსტნები ბიბინებდა. ახლა მათ ადგილას დაღამებამდე ელექტროშუქით გაჩახჩახებული ადმინისტრაციული შენობა დგას, მერე კი შუქი ჭრება და შენობა წყვედიადში იძირება. მხოლოდ ხანდახან თუ გამოკრთის გვიანობამდე ზოგიერთ სარკნელში შუქი. მაგრამ, როგორც ვითხარით, ადრე აქ რკინის ბადით შემოღობილი ბალ-ბოსტნები იყო, ჭიშკართან კი არყის ხე იზრდებოდა. ნამდვილი, თეთრი, ულამაზესი არყის ხე, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს ვიღაცამ მოჭრა. წყნარ კაცს, ანუ ლუდვიცს,

სწეული ფილტვები ჰქონდა. ძალის ქონით წამლობდა, მგონი სვამდა, ზუსტად ვერ გეტყვით... ყოველ შემთხვევაში, ძალი წლის ყოველ დროს ჰყავდა. ზაქთობით სარდაფში ამწყვდევდა, ზაფხულობით კი ეზოში ამოჰყავდა. ბავშვები ძალს გარს უტრიალებდნენ და ნალვლიანად შესცქეროდნენ. ხანდახან საცმელიც მიჰქონდათ და უფრო გაბედულები ახლოსაც მიდიოდნენ. ეჭვგარეშად ხელს უსვამდნენ. ლუდვიკის, მისი ძაღლებისა და „სამკურნალო“ ჰქონდა. ბავი ბიჭებმა მოსდეს მთელ სახლს მაგრამ მათი ნათქვამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

მეძავის უფროს ქალიშვილთანაც ნაირნაირმა კაცებმა იწყეს სიარული. მათ შორის იყვნენ ჯარისკაცები, რომლებიც დიდხანს იდგნენ ხოლმე ქუჩის მეორე მხარეს, თათბირობდნენ, პაპიროსს ეწეოდნენ. ბოლოს, სარდაფში სწრაფი ნაბიჯით ჩადიოდნენ და კარს უკან უჩინარდებოდნენ. ხანდახან ჩაკეტილ კარზე აბრაზუნებდნენ და ერთ ამბავს აწევდნენ. კაცებს ლუდვიკი აწყნარებდა.

სარკმლის რაფაზე რაზდენიმე ყვავილი მედგა. ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს მცირეოდენი საკუთარი მიწა, თუნდაც ქოთანში. მეც ასეთი პატარა მებაღე ვიყავი. მუდამ ვცდილობდი არ გამომპარვოდა უფრო მოზრდილ ქოთნებში ყვავილების გადარგვის დრო, მიწა რომ არ გამოფიტულიყო, ყვავილებს ყოველთვის ერთსა და იმავე დროს, თანაც ზომიერი ტემპერატურის წყალს ვუხსამდი. ხანდახან ღია სარკმელთან დგომაც მიყვარდა, მაგრამ ოდნავ მოშორებით, ოთახის სიღრმეში ვდგებოდი.

ერთ მზიან კვირადღეს მირეჩკა მამიდამისმა ქალაქგარეთ წაიყვანა სასეირნოდ. ქუჩა საკმაოდ უკაცრიელი ჩანდა. სიჩუმეში მთავარი კომპიდან საათის რეკვა გაისმა. დროდადრო მოტოციკლეტი თუ ჩაიქროლებდა ბლუილ-ბლუილით. მოსახლეობის უმეტესობა დილაადრიანვე ქალაქგარეთ, მწვანე მდელოზე სასეირნოდ გაკრეფილიყო. მე კი შინ დარჩენა ვამჯობინე, რათა თავისუფალი დროით შესარგებლა და მომავალ კვირას რომელიღაც სახელმწიფო სამიწათმოქმედო მეურნეობაში წასაკითხი ლექცია მომემზადებინა.

სარკმელთან ვიდექი და პაწაწინა სარწყულით ყვავილებს ვრწყავდი. ქუჩიდან ლუდვიკის მეგობარმა ქალმა გადმოუხვია. თავი სწრაფად დავხარე, თითქოს ყვავილებს ვათვალთვლებდი. ქალის ფეხის ხმა მომესმა, მკაფიო და ძლიერი. უცებ ნაბიჯების ხმა მიწყდა. ქალი სარკმლის შორიანხლო შემდგარიყო. ჩემსკენ იცქირებოდა და მღუშარედ მაკვირდებოდა. თეთრი კოფთა ეცვა, ტუჩები წითლად უღუოდა. შევხედე თუ არა, გამიღიმა. ბაგეებს შორის გამოძკრთალი ჩაშავებული კბილები დავუნახე. ნეილონის გამჭვირვალე კოფთის ქვეშ პერანგისა და ლიფის სამხრეები მოუჩანდა. ისევ ყვავილებისაკენ დავიხარე და სწორედ ამ დროს მშვიდი, ხრინწიანი ხმით ნათქვამი სიტყვები გავიგონე.

— შინ მარტო ხართ?

— დიახ, — დამცდა სრულიად მოულოდნელად.

— თქვენი გოგონა და მამიდაპისი სასეირნოდ წავიდნენ... დილით, ეკლესიაში რომ ნივდიოდო, მაშინ დავინახე... მირეჩკა ნამდვილი ანგელოზია, ხატს ჰგავს, ოღონდ ძალიან გამხდარია...

გაოცებული ვიყავი, რომ დამელაპარაკა, თან ამდენი წლის განმავლობაში პირველად! მაგრამ შეცბუნებამ უმალვე გამიარა და სარკმელს უსიტყვოდ მოვცილდი. ყური მოვკარი რაღაც გაუგებარ სიტყვებს, მაგრამ კრინტი არ დამიძრავს. სარკმელი მივხურე.



გაზაფხულის წვიმა.

რამდენჯერ უწვიმია, რამდენჯერ არაკუნებულა პირველი წვეთები სარკმლის მინაზე, რამდენჯერ გამკრთალა წვიმის ბადეში ბუნებრივად
ცაცხვის ქვეშ ვიდრეჭით.

შუქი აქ მოლივლივე იყო, მწვანე და ოქროსფერი.

გაზაფხულის წვიმა მოთქიშინებდა.

ანაზღად ბილიკს გაზაფხულის ჩქერი მოასკდა, თან მოიყოლა აქაფებულ წყალში არეული მწვანე ფოთოლი, პაწია ხოჭო, პეპელა, ჩალა, ბალახბულახი. მოგელაედა მრისხანედ, გაბედულად. სამყარო ჩვენს თვალწინ წვიმის ბადეში გაიხლართა.

ქერანაწნავიანი ქალიშვილი მხარზე დამეყრდნო. თვალეზი დახუჭა. წვიმის წვეთები უბრწყინავდა ქუთუთოებზე, ლაწვებსა და შუბლზე. უცებ მისი მკერდის მოყვანილობა შევიგრძენი, უფრო სწორად, მთელი სამყაროსაგან გამოყოფილი ერთი ძუძუსი. ვეებერთელა ხის ქვეშ, წვიმაში მდგარმა აშკარად ვიგრძენი ჩემს მხარზე მოყრდნობილი და სამუდამოდ ჩემში, ვით ცვილში შემოჭრილი ძუძუს სინკვრივე. მერე ხელისგულები კისერზე შევახე. და ბოლოს ჩემი გაუბედავი თითებით გამოკვეთილი, გამოძერწილი ის ძუძუ ცხადად გაცოცხლდა.

წვიმა. წვიმის თქიშინი.

ვეხებოდი სახეზე, ხელებზე.

და სატრფიალო თავდავიწყებისას

ჩემი ხელები ჰქმნიდა მის სხეულს

ხელები — ხელებს

თმას

და თავს.

პირი ჰქმნიდა პირს

ბაგე — ბაგეს

ენას კბილებს ნერწყვს

სახე სახეში იმაღლებოდა, სახე სახეში გადადიოდა და ეს უცვე სულ სხვა ქალის სახე იყო.

შეიძლებოდა კი მარიას შეჩერება? ნაკადულისაყენ თავდახრილს შავი, მოკლედ შეკრეჭილი თნიდან თეთრი ყვავილი გამოუვარდა და წყალმა მოსტაცა.

როგორი იყო მარია? ჩემი ცხოვრების ათი წელი მხნედ მედგა მხარში, მერე გაქრა, მაგრამ მისი შეცნობა მაინც ვერ შევძელ.

შავი თვალეზი და მსხვილი ბაგეები ჰქონდა.

მის თმას თუთუნის სუნი ასდიოდა.

მის თმას, რომელსაც ეხებოდა ჩემი სწრაფ-სწრაფი ამონასუნთქი, ჩემი ტუჩები. და მივცურავდით, ლამის წყვდიადში.

მერე კი, ეს ქალური თნა, ცოცხალთა და აწ გარდაცვლილთა უთვალავ-ნაირი თმა ვნახე მუზეუმის მინების მიღმა.

და ერთ სრულიად ბუნდოვან წამს ჩემს გვერდით ვიგრძენ მეგობარი, უცხო და შეუცნობელი არსება, რომელიც იქცა ჩემს სხეულად, ჩემივე სისხლად. მხოლოდ მცირე ხანს, ჩემი გზის მხოლოდ ერთ მონაკვეთში მედგა ის გვერდით, ვით მეგობარი. ხასიათი მტკიცე ჰქონდა, მტკიცე და მყარი. კუნძული იყო. კუნძული. რაღაცნაირად მტკიცე. და გაქრა.

ახლა დინჯად მივცურავ, მივცურავ ნელა, მივცურავ მარტო. ჯერ კიდევ გუშინ ვეპოტივებოდი, კარგო, შენს ხელეებს. შენთან ვეძებდი ხსენებას და შევლას. დღეს კი მივცურავ ნიაღვრებით სავსე ქუჩაში, ნელა მივყვები დიდი მდინარის უცვლელ დინებას.

ერეკლე
ბიბლიოთეკა

დინჯად მაკვირდები და მეუბნები:

— ბავშვი შეყოლება.

მეცინება და ვანბობ:

— გოგონა.

შენ კი სიცილით მბასუხობ:

— ბიჭი.

— გრძელნაწნავეებიანი გოგონა. — არ გეშვები.

— ბიჭი.

— გოგო.

— ბიჭი.

— გოგო.

ორივეს გვეცინება. წვიმს. იმ წვიმის მიღმეული სამყაროდან მიღიმი, იქიდან შესწის მოკლე, მორიდებული, მერე კი გაბმული ზარის ხმა.

— ვინ არის? — ვკითხე ჩვეულებისამებრ.

— მეზობელი.

კარი გავაღე. ჩვენს დაბლა, სარდაფში მცხოვრები ქალი იყო. მხოლოდ ხალათი ეცვა.

— ლუდვიჩეკი სადღაც გასულა, — მითხრა, — და უსანთოდ დამტოვა.

მომიახლოვდა. ჩემს ყნოსვას მისი გრიმის სუნი მოსწვდა ხელოვნური, გულისამრევი სუნი გრიმისა და სუნამოსი.

— ვიფიქრე, უარს არ მეტყვის-მეთქი... რასაკვირველია, მეზობლურად.

ხელი ჭიბჭიში ჩავიყავი, ასანთი ანოვილე, მაგრამ არ გამომართვა. ქამარი გაიხსნა, ხალათი გადაიღვდა, თან სახეში მიყურებდა. მთლად შიშველი იყო.

ერთხანს ასე იდგა. მერე სიშიშველე ნელ-ნელა დაიფარა. ხელი წამავლო ხელზე, და ტანზე მოისვა.

— ჰა, რაო? — მოწყურა თვალები.

— აქედან გადით, — ვუთხარი წყნარად.

— როგორც მეზობელს ნაკლებს გამოგართმევ...

კარი გამოვალე და მხარზე მსუბუქად ვუბიძგე.

სიცილი აუტყდა.

— მომაკითხავ, ფოსუნი, უეჭველად მომაკითხავ...

კარი მივუხურე.



ეს სახლი ხუთი წლის წინათ დაანგრიეს. სამაგიერო ბინა ქალაქის ცენტრში მოგვცეს. ჩვენი სახლის ადგილას ამჟამად ნინის, ბეტონისა და მეტალი-საგან ნაგები ვეებერთელა თანამედროვე შენობა დგას.



ვგრძნობდი, რომ ეს შემემთხვეოდა. ვიცოდი, ეს ამბავი ჩასაფრებული მელოდებოდა. ის, რაც ახლა უნდა გიაშბოთ, უკვე მოხდა. დიან, ნომხდარს გიაშბობთ. შვილი აღარ მყავს, აღარ მყავს ჩემი გოგონა. აღარაა, იგი ამქვეყნად. ისე

გაქრა, თითქოს არც არასოდეს ყოფილიყო, ეს ამბავი უეჭველად უნდა მომხდარიყო.

არაფერი შეცვლილა. ადრე ვდგები. ვიცვამ. ვაკეთებ ყველაფერ იმას, რასაც, ჩვეულებისამებრ, ცოცხალი ადამიანი სამყაროს შექმნის დღიდან აკეთებს. თმას სარკის წინ ვივარცხნი და საკუთარ თვალებს ჩავცქერებ სიხარულით ვივარცხნი. ის კი... არა, ეს არაფერი, არაფერი... ამაზე მოგვიანებით. ყოველივე თავის წესით და რიგით მიედინება. ჩემი და ფინჯანს მაწვდის. ცხელ რძეს ვსვამ და რადიოჟურნალისტის საუბარს ვისმენ... პაპი გარდაცვლილა, ადამიანი კოსმოსში მიფრინავს, მთვარემდე მიადწიეს, სადღაც ომია... გაზეთებს ადრე ვყიდულობ. ჯიხურის მეპატრონეს უეჭველად გადავუღებარაკებ ორიოდ სიტყვას:

- ძალიან კი მოუხშირა წვიმამ.
- ჰო, ახლა ყველაფერი ასეა... დღეს კიდევ არ მომცეს „ზეფირი“.
- ხვალ ისევ გამოიღარებს.
- ადვილი შესაძლებელია.
- ნახვამდის.
- ნახვამდის.

და ჩემი გზით მივდივარ.

ყველაფერი შეიცვალა. ყველაფერი შეიცვალა, მაგრამ ცხადად არაფერი ჩანს. ასე ჯობია. ეს უკვე მოხდა. მე ის კაცი აღარ ვარ, რაც უწინ ვიყავი, თუმცა ეს არავის შეუმჩნევია. შეშფოთებული შევყურებ ხოლმე ახალ აბრას, კარზე ჩემმა დამ რომ გააკრა. ამჯერადაც უწინდელ საგნებს ვხმარობ. ოღონდ ეგაა, რაღაცნაირი გაშტერება დამჩემდა. ხანდახან ხელში ჯაგრისი შემაცივდება ანდა კოვზი. კოვზს დიდხანს დავცქერო, თითქოს სიცოცხლეში პირველად დანეწახოს. თითქოს არ ვიცოდე, რომ ჯაგრისს ფეხსაცმლის საწმენდად ვხმარობთ, კოვზს კი ჭამისას. მაგრამ წამიც და ჭამას ვიწყებ და ყოველივე თავისი გზით იწყებს დინებას.



ახლა აშკარად მჯერა, რომ ეს იყო „ბინძურთან“ შეჯიბრი. მან მოიგო. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ცხოვრების ბოლო ათი წელი იმ ახნახ, ბინძურ მათხოვართან შეჯიბრმა წაიღო. თუმცა, რა მათხოვარი, რის მათხოვარი — ის კაცი ხელგაშვერილი არასდროს მდგარა. გაუპარსავი ღაწვები ისე ულაპლაპებდა, იფიქრებდით, ზეთი წაუსვამსო. ნათელი, შომლინარე სახე ჰქონდა. იმგვარად გამოიყურებოდა, თითქოს დღენიადაგ პირმოკუმული ღიღინებსო. არხიდან ამოთრეული გეგონებოდათ, ისეთი ჭუჭყიანი სამოსი ეცვა. კინკრიხოზე პაწია ბერეტი მოეგდო და ამაყად დაიარებოდა.

ამ ათიოდ წლის წინათ ხილის ფარდული ჰქონდა, უფრო სწორად, ორთვალა, რომელსაც მუდამ თავად დააგორებდა. ყიდდა ვაშლს, მსხალს, ქლიავს. ხილით ვაჭრობდა, ოღონდ ძალზე ძვირს აფასებდა. იმ თავის ხილს გამუდმებით წმენდდა და აპრიალებდა რაღაც ჩვრით თუ სულაც ბამბის წინდით. ვაშლს ჯერ დაორთქლავდა, გაპწკრიალეზამდე წმენდდა, ერთხანს დასცქეროდა და მერე სიმეტრიულ პირამიდად აკოკოლავებდა. სამსახურში მიმავალი ყოველდღე გვერდით ჩავუვლიდი ხოლმე. ზაფხულობით, ზამთრობით. იქვე, ცარიელ ყუთში ლუდის ბოთლი ედგა. ყოველთვის ნასვამი ჩანდა, ხანდახან გატიალებული მთვრალიც დამინახავს. თუმცა, რა ვიცი, არც ამაში ვარ ნაღდად დარწმუნებული. არც ბარში დავდიოდი, არც რესტორანში, რომ სადმე სწისას შევხვედ-

როდი. ზატხულის გალაღანებულ დღესაც კი არხიდან ამოყვანილივით გამოეყუ-
რებოდა, საზიზღრად. როგორც კი იმ ბინძურ ლოთს შეეხებოდა, უღვევითვის
ეფიქრობდი, რომ მან წააგო, რომ უკვე „ჭკუიდან იყო გადამცდარი“. როგორც
ჩემი ყმაწვილკაცობისას იტყოდნენ. წააგო-მეთქი, გავიფიქრებდეთ, ჩვენს ვაჭ-
ყიანი ხელების, ჭადარაშერეული თნისა და შავად გაზინთული ზეგანების
ნახვისას. წააგო და ახლა ადამიანი კი არა, ტარაკანაა, მრავალფეხა-მეთქი...
რალაც საზიზღრობა მეგონა ეს ღვთისგან გაჩენილი, ჩვეულებრივი ადამიანი.

შემოდგომის ნაშუადღევს. სასიამოვნოა ქალაქის სკვერში მზისგულს ში-
ფიცხებულ სკამზე ჯდომა. ქარს მოთიბული ბალახის სურნელი მოაქვს. ვეებერ-
თელა სახლის მახლობლად მანქანები მიმოქრიან, მიყრიან ტრამვაი. ფაბ-
რიკის კვამლი ზეცას შესდგომია. აქ კი, ამ მწვანე ბალახოვანში სულ სხვა სან-
ყაროა. ქარი დიდხანს აბზრიალებს ხეებიდან მოწყვეტილ ფოთლებს, კვალში
ვარდები გაშლილა. სკამზე ჩვილბავშვიანი დედები სხედან. გოგონები „კლა-
სობანას“ თამაშობენ და თიკნებივით დაკუნტრუშობენ.

მირეჩკა მაშინ რვა წლისა იყო. სასეირნოდ მყავდა წამოყვანილი. გაზეთს
ეკითხულობდი. უცებ თავი ავწიე. ჩემს წინ მირეჩკა იდგა და ხელში უშველ-
ბელი, წითელი ვაშლი ეჭირა. ვაშლი თითქოს ანათებდა.

— რა არის? — ეკითხე.

— ვაშლი.

— როგორ თუ ვაშლი?!

— ისე, ვაშლი... იმ პანმა მომცა, სულ იქ რომ დგას...

— რომელმა პანმა?

— ფარდული რომ აქვს, იმან.

— აბა, ახლავე წადი და ვაშლი უკან დაუბრუნე!

მირეჩკა გაუნძრევლად იდგა.

— ეს ჩემი ვაშლია.

გაზეთი დავკეცე. ჩემი გოგონას ციციქნა, საყვარელ სახეს შეეხედე. ჩემი
ერთადერთი შვილის სახეს. ერთმანეთს მდუმარედ შევცქეროდით.

— არ წაველ, — თქვა მირეჩკამ. მის სახეს რალაც ფარული გამომეტყვე-
ლება დასთამაშებდა, თვალეშიც უცხო შუქი ჩასდგომოდა.

— როგორ არ გრცხვენია. შე პაწია ნათხოვარო! მიდი და ახლავე მიუტანე
ვაშლი!

— მე არ მითხოვია, ორთვალასთან ვიდექი და იმ პანმა ყველაზე ლამაზი
ვაშლი მომცა...

— პანი კი არა, აქოთებული ისა... — სათქმელი აღარ დავამთავრე. დაკე-
ცილი გაზეთი მირკას ღონივრად მოვუქნიე და ხელზე დავარტყი. ვაშლი გა-
მოვგლიჯე და ფარდულისაგენ სწრაფი ნაბიჯით გავენართე. ვაშლი დავდე.

— ვაშლი გნებავთ?... აგიწონით... — მითხრა „ბინძურმა“.

— არაფრის აწონა არ მინდა. ჩემი გოგონასათვის რომ მიგიციოთ, ის ვაშ-
ლი დაგიბრუნეთ.

— ვხედავ. მერე?

— არ მჭირდება...

„ბინძურმა“ თავი გადააქნია და გაკვირვებით გაიმეორა: „არ მჭირდე-
ბა“. — მერე ჩემკენ გამოიხედა.

— კი მაგრამ, ასე რა გაყვირებთ, პან კოლეგავ... მჭირდება, არ მჭირდება...

გგონიათ ვერ დავინახე, როგორ დააცხრით ბავშვს? — მითხრა „პან კოლეგამ“.

— თქვენ უფლება არა გაქვთ...

— რა უფლება, კოლეგავ, რის უფლება...

— მე თქვენი კოლეგა არა ვარ!

„ბინძურმა“ ვაშლი ხელში აიღო, რამდენჯერმე გაიხვევა და მოსკვირანგის ჭუჭყიან სახელოზე, მერე სათუთად დააფურთხა და ჩვრით გააპრიალა. შენობზედა და თითქმის თანაგრძნობით გამოიღიმა.

— პან მინისტრს ვაწყენინე თუ რა? — ჩემკენ დაიხარა და უკმეხად მითხრა: — ჩემთან წაგებულნი ხართ, კოლეგავ.

— რას მიყვარდათ. — მისი პირიდან ამომავალი სუნი ვიგრძენი. მხრები ავიჩეჩე და იქაურობას გავშორდი.

მორეჩკა სკამზე იჯდა. თვალები დაწითლებოდა და სველი, ჭუჭყიანი ხელისგულებით ისრესდა.

— გეყოფა ტირილი, — შევეუძახე მკაცრად.

— ხომ აღარ ეტირი, — მომიგო. ხელები ახლა მუხლებზე ეწყო. თავი ჩაეჭინდრა. მის პაწაწინა, სრულიად ბავშვურ ხელებს დავხედე. ისეთი უნწეო და საცოდავი ხელები ჰქონდა, გული მომეწურა. ზუსტად ასე იყო: გული მომეწურა.

— სახე მოიწმინდე — ვუთხარი, — და სახლში წავიდეთ.

შინ სხვა ჭუჩით დავბრუნდით „ბინძურის“ ფარდულს მხარი ავუქციეთ. მერეც, იმ საძაგელ კაცს რომ არსად გადავყროდი, კიდევ კარგა ხანს დავდიოდი სულ სხვა ჭუჩების გავლით.

მას შემდეგ მრავალმა თვემ განვლო. ერთხელ, შინისაკენ სწრაფად მიმავალმა, „ბინძური“ კვლავ დავინახე. უწინდელ ადგილას იდგა, ოღონდ მისი ხილის ორთვალა აღარსად ჩანდა. დასაკეც სკამზე ღია ჩემოდანი ედო, იმ ჩემოდანში კი შავი, ყვითელი და თეთრი ზონრები, რამდენიმე სარკე და ფერადი სავარცხლები ეწყო. კიდევ უფრო ჭუჭყიანი და შემოფლეთილი მეჩვენა. ხელში ლუდის ბოთლი ეჭირა, ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია. ვილაც ქალს ზონრებს ურჩევდა. შარვლის ტოტები ჩანოქენძოდა და ზედ ტალახი კი არა, ნამდვილი ჭუჭყი და სიბინძურე შეხმობოდა, გამოხეულ-გამორღვეული ფეხსაცმელი კი, ეტყობოდა, არასოდეს გაეწმინდა.

„მოიცა, შე პირუტყვო, — გავიფიქრე, — გაზღვევინებ იმ ვაშლისთვის“.

გზა მომდინარემ განვაგრძე. „ჩანს, კოლეგავ, ეს ზამთარი ვერის აბანოში გაყურყუტეს. ვნახოთ, აწი რაღას იზამ“.

მერე ჩვენი ძველი სახლი დაანგრიეს და სულ სხვა ჭუჩაზე დავსახლდით. „ბინძური“ რამდენიმე წელს თვალთაგან დამეკარგა. იმ დროისათვის მატერიალურად კარგად წამივიდა საქმე — ერთ მომცრო საკომისიო მალაზიაში ვმუშაობდი; უმეტესად ნახატებსა და ქანდაკებებს ვყიდულობდით და ვყიდდით. ეგებ „ქანდაკებების“ თქმა მეტისმეტი მომივიდა, რადგან ეს იყო მხოლოდ სხვადასხვაგვარი და სხვადასხვა ზომის ფიგურები. ამას გარდა, მცირეოდენ შემოსავალს მაძლევდა პოპულარულ თემებზე წაკითხული მოხსენებებიც. ეს ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ერთ დღეს სრულიად შემთხვევით შევხვდი ჩემი სკოლის ამხანაგს, რომელიც ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებაში მუშაობ-

და მან სწორედ ამ საზოგადოების ლექტორობა შემომთავაზა. სიცილი ამიტყდა.

— ადამიანო, რა ლექტორი მე ვიქნები, ყველაფერი დამაინტერესდა, ან რამელი ნოლაპარაკე მნახე?

ჩემს მეგობარს თვალი ვერ მოეწყვიტა ნახატისათვის, რომელზეც გამეკვირვებულს სახულ ჯანსაღ სოფლელ ქალიშვილს ულანისათვის კბილები დაეკრიჭა და უღიმოდა.

— კარგია, — თქვა ჩაფიქრებულმა, — ოღონდ, ცოტა ძვირია, ათასს მივცემდი...

— მოგიხერხებ... არა, მაინც რა თემაზე და რა ხალხთან უნდა ვილაპარაკო?

— რაზე? ყველაფერზე. მთვარეზე, შეგნებულ დედობაზე, გორილაზე, ჩრდილოეთ პოლუსზე, სპილოების ჩვეულებებზე, მათეიკოზე, სტეფან ბატონზე, პროლეტარიატზე, მარქსზე და ა. შ. სახელმძღვანელოებს მე გიშოვი. დრო თუ გაქვს ხოლმე შაბათ-კვირას?

— რასაკვირველია; თავისუფალ დროს კაცი ყოველთვის გამოიხატავს.

— მერე სოფლებსა და დაბებშიც გახვალ... ყველაფერი აეწყო და ამაღვარად გაანათლებ ჩვენი ხალხის დაბინდულ გონებას...

ხელი გამოინიწოდა.

ასე დაიწყო ჩემი, ვითარცა ლექტორ-მომხსენებლის ცხოვრების ახალი ხანა. უნდა ვაღიარო, რომ დროთა განმავლობაში, ჩემი დამატებითი საქმე გულთ შევიყვარე და მოხსენებების საგულდაგულოდ დამუშავებას შევუდექი. რამდენიმე თემა შევარჩიე, მაგრამ მათგან ყველაზე მეტად ორი შემიყვარდა და გამორჩეულადაც მოვამზადე. რასაკვირველია, სხვისი ნაშრომებით ვსარგებლობდი, რადგან ასტრონომიასა და ისტორიაში, უჭკვიანესი კაციც კი ახალს ვერაფერს გამოიგონებს. ეს ხომ რომანსები და ლექსები არაა. ერთი თემა ასტრონომიას შეეხებოდა. ამ მოხსენების მომზადებისას პოლონელი ასტრონომის, პროფესორ რიბკას სახელმძღვანელო გამოვიყენე. მეორე თემა ინკვიზიციის მიერ ჯორდანო ბრუნოს ტრიბუნალის მოწყობა იყო.

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ასტრონომიაზე წაკითხულ ლექციას უბრალო ხალხი ასე გულისყურით მოისმენდა.



უცაცრიელი, წვიმიანი საღამო იყო, იმ პატარა სადგურში რომ ჩავედი. ლექციის დაწყებამდე ორი საათი რჩებოდა. სადგურში არავინ შემხვედრია. ა? მხარეში ოცი წლის წინათაც ვიყავი. ღამით. არა, არა... იმ ამბის მოყოლას არ ვაპირებ. ვიფიქრე, ბუფეტში ჩაის დავლევ-ნეთქი, მაგრამ ისიც თუ ბუფეტი იყო! მინის მიღმა ჩაის სამი შეცრულა და რამდენიმე კოლოფი პაპიროსი ეწყო. ჩაი მოვითხოვე. „არც ადულებული წყალი მაქვს, არც ჩაის ფერი, — მიბასუხა ქალიშვილმა, — საპაგიეროდ, „პალომში“ შეგიძლიათ ჩაისა და ყავის დალევა... გადასასვლელს გასცდებით თუ არა, იქვეა, თრიოდ ნაბიჯზე...“

„პალომისკენ“ წავედი.

დარბაზში მხოლოდ რამდენიმე მაგიდა იყო დაკავებული. სამი მოქალაქის შორიახლო დავჯექი. არაყს სვამდნენ და ზედ გველთევზას აყოლებდნენ, თანაც, გაცხარებულნი საუბრობდნენ:

— პიკასომ, ბატონებო, თავად თქვა, რომ ხელოვნება არ არსებობს, რადგან

მას მიპართულება არა აქვსო... ეს თანამედროვე ხელოვნება კი ახლოსაც ვერ მივა ძველთან; მისი თქმით, ბატონებო, ყველაფერი უმნიშვნელო რამ იყო, ეს გახლდათ დამახინჯება და დროებითი გატაცება, რამაც, ბატონებო, უკვე განვლო და სურათების ფასიც დაეცა. არადა, როგორ შეეძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო ამგვარად: ვილაყამ ზეთი ან საღებავი დაღვარე და უკვე განაცხადა: შოიხიბლეთ, ეს მშვენიერებაა... და შეიძინეთო. — მწვანეჭურთუკიანმა მამაკაცმა გადაიხარხარა და გველთევზას გატყავებას შეუდგა.

— ხელოვნება, თავისთავად სილამაზეა, არა? ამისა ნე არაფერი გამეგება, უბრალო ადამიანი ვარ. შეუძლებელია მოგეწონოს, როდესაც თვალი შუბლზე, ანდა მუცელზეა გამოსახული, ცხვირი კი ყურსუკან, ასე არაა? ერთი ჩვეულებრივი ტექნიკოსი ვარ, მაგრამ ვიცი, რომ რემბრანდტი ულამაზეს ქალებს ხატავდა, ანდა, თუნდაც მათეიკოს რომელიმე სურათი ავიღოთ, შესანიშნავი რანაა. ახლა ნამდვილი დაცემის ხანაა და არც ამ პიკასოს დანახვა შემიძლია...

— ხომ გითხარით, რომ ახლა ამას აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს. პიკასომ ეს თავად განაცხადა. მაგრამ ხატვა მას სხვანაირადაც შეუძლია. მისი ახლანდელი სურათები გაზეთში ვნახე, თუმცა, თავს ნებას აძლევდა, სხვაგვარადაც ეხატა. ოღონდ ის უკვე წარსულს ჩაბარდა. ხომ გითხარით, ამ თენაზე თვითონ ილაპარაკა.

მესამე კაცი ხმას არ იღებდა. იგი შორიახლო მსხდარ ქალიშვილებს უთვალთვალებდა. ქალიშვილებს მოკლე, შემოტკეცილი ქვედატანები ეცვათ და ზორცისფერ წინდებში გამოკვეთული ფეხები, მუხლისთავეები და ბარძაყები მოუჩანდათ. ერთს მწვანე, ყელიანი სვიტრი ეცვა, მეორეს — შავი, ღრწად გულამოჭრილი. ქალიშვილები მუხლებს გან-გან სწევდნენ, ხანაც ფეხს ფეხზე შემოიდებდნენ, სვიტრებს წვლავდნენ, ქვედა ტანებს ხელით ისწორებდნენ. იქნებოდნენ ასე... მოკლედ, „წიწკვები“ იყვნენ, როგორც ახლა ამბობენ. მათ გადატკეცილ სახეებს აზრის ნატამალი არ ეცხო და არაფრით განსხვავდებოდა სხეულის დანარჩენი ნაწილებისაგან, ოღონდ ეგ იყო, ორივეს თვალები, ცხვირი, პირი ჰქონდა და დროდადრო ღიმილი გადაჰკრავდა.

— რა ფეხები აქვთ, შეხე, რა ფეხები, — თქვა ქურთუკიანმა, — თვრამეტისანი იქნებიან, არა?

— შენ, ეი, ფეხებს შორის ნუ უყურებ, — უთხრა ნეორემ.

მუახნის მამაკაცები იყვნენ. ჩემი ხნისანი.

უკან ორი ქალი და ორი კაცი ისხდნენ. გვარიანი ნასვამები ჩანდნენ და არეულ-დარეულად ლაპარაკობდნენ. ეტყობოდა, ერთი კაცი მორწმუნე იყო, მეორე — ურწმუნო. მათი ყაყანისათვის ყური არ მივდია, მაგრამ უეცრად შექსპირი ახსენეს:

— „ჰამლეტში“ ღამის თორმეტზე რომ სული ალაპარაკდა, ეს ნაღდი ამბავია. ტელევიზორში მოვისმინე. იაჯია, შენც ხომ მოისმინე, ასე იყო თუ არა?

— მე, ჩემო ვლადეკ, სულელებისა არა მწამს.

— მე კი მწამს.

— რაზე კანათობთ, გამაგებინეთ, რაზე? — თქვა ერთმა ქალმა და თმა შეისწორა. — ნუთუ არ შეგიძლიათ წყნარად, ამხანაგურად ისაუბროთ?

— მე კი, ჩემო ვლადეკ, იმის მწამს, რაც ნაღდად არსებობს.

— თუკი არაფრის არ გწამს, რატომ არ გამჭურდავ?

— ა, ხედავ! ეგეც შენ... იმიტომ არ გამჭურდავ, რომ არ მწამს...

— ჰო, კარგი, გეყოფა... — აწყნარებდა ქალი კაცებს. — სჯობია, დალოტ... მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ იმ შექსპირს საიქიო ცხოვრება სწამს.

— მოდი, ვლადეკ, გაკოცო, თუ არაფერი არ გწამს, შეგიძლია შეგეძლოს მაგრამ, მოდი, ჯერ გაკოცო!

— მართალია, ჩხუბს ისევ დაღევა სჯობია.

ჩაი თბილი იყო, თითქმის უფერული და ძალზე ტკბილი. ფული გადავიხადე და კარში გავედი. რკინიგზის გადასასვლელი ჩაკეტილი აღმოჩნდა. მთლად გაბღღვრიანლებულმა და მოლაპლაპე საერთაშორისო ექსპრესმა ვარშავა-რომმა ჩაიქროლა. მერე, უცებ დაცარიელებულ შემოგარენს მორიგე მოველინა. ერთხანს გაუნძრევლად იდგა, თთიქოს რაღაცას აყურადებდნო, სახელური ნელ-ნელა დაატრიალა და შლაგბაუნის თეთრი ძელი მაღლა აიწია. მორიგე ჯიხურში შევიდა. ჯიხურში ნავთის ლამბა ენთო. არა, არა, ლამბა კი არა — ნათურა. ნავთის ლამბა ამ ჯიხურში ოცი წლის წინათ ენთო... „ეგებ აქ დავრჩენილიყავი?“ როგორ თუ „დავრჩენილიყავი“... ეკლესიას ჩავუარე. მთელი ოცი წელია ამ ეკლესიას ჩემს წარმოსახვაში ერთი კოშკი ჰქონდა, არადა, თურმე ორი ჰქონია. ქუჩაში ძეხორციელი არ ჰაჭანებდა. სარკმლებიდან ფარდებში გამოცრილ შუქს გამოედწია. მეხანძრეთა ორსართულიან საგარჯიშო კოშკს ჩავუარე, ახლა, წესით, დეპო უნდა განოჩენილიყო. შეგონა, ყველაფერი შესანიშნავად მახსოვდა. მაგრამ, თურმე, არაფერიც არ მხსომებია. დეპო ქუჩის მეორე მხარეს იდგა, ალაყაფის კარის თავზე ნათურა ენთო, ჰოდა, ჩემი მოხსენების მაუწყებელი, ხელით ნაწერი აფიშის წაკითხვაც შევძელი: „მოხსენება სამყაროს აგებულების შესახებ რედაქტორ.“ ერთხანს დეპოს წინ ვიდექი, მაგრამ ვერავინ დაველანდე. თვრამეტ საათამდე ნახევარი საათიღა რჩებოდა. ვიცოდი, ხალხი დათქმული დროიდან ერთი საათის შემდეგ რომ დაიწყებდა მოსვლას და მათ თავშეყრას კიდევ ნახევარი საათი დასჭირდებოდა. ალაყაფი დაკეტილი აღმოჩნდა. აფიშა ერთხელ კიდევ წავიკითხე და მხოლოდ ამჯერად შევნიშნე, რომ სიტყვა „რედაქტორს“ ბოლოში ასო „ი“ აკლდა... ხრეშზე გახშიანებული ნაბიჯების ხმა შენომესმა, ჩემსკენ ვიღაც ძალზე გრძელლაბადიანი ქალი მოჩლატუნებდა.

— დიდება იესო ქრისტეს, — მომმართა წრიპინა, მკვახე ხმით. თავი დავუკარი და რაღაც ჩავიბურტყუნე.

— თქვენ ის დელექტორი ხართ, ქვეყნის გაჩენაზე რომ უნდა ილაპარაკოთ?

— რაო, მოსასმენად მოხვედით?

— ე, რას ამბობთ, ეგ რა ჩემი საქმეა, სანაგისოდ უკვე მოხუცი ვარ. ისაო. გამგემ გთხოვათ, ავად ვარ და პან დელექტორი თავად მოვიდესო.

— ხომ არ იცით, რატომ არის დარბაზი დაკეტილი?

— ღია იქნება, შიგნიდან ვრაზამთ... პანი გამგე ლოგინადაა ჩავარდნილი, ისეთი გაპარპარებულია და გაწითლებული, რომა... ასე თქვა, დამთავრდება თუ არა ის ლაპარაკი, პან დელექტორი იმწამსვე ჩენთან მოვიდეს იმ ლაპარაკის ფულისთვინაო. მაგრად უნდა დაარახუნოთ, თორემ მორიგეს ან ეძინება, ან კარ გამობრუებული იქნება. ე, პან დელექტორო, თქვენ მაგაზე ნუ იდარდებთ, ხალხი ნელ-ნელა შეგროვდება. უფროსები მოუცლელად არიან, მარა წვრილფეხობა, იცოცხლე, შოვა. — ქალმა გაიღიმა და ალაყაფს მუშტები დასცხო. შიგნიდან ვიღაც გამოეპასუხა, მერე გასაღები გაჩხაკუნდა და კარი გაიღო.

— რაო, ხანძარია? — იკითხა მამაკაცის ძლიერმა ხმამ.

— ხანძარია, ხანძარი... — დაიწრიბინა ქალმა. — გვოჟღეიკო ხვრინავს ან ლუდს წრუპავს, პან დელექტორი კი თავისი სალაპარაკოთი, იმ ძაღლისა არ იყოს, ღობესთან ატუზულა...

— მორჩი ლაილაის.

სინათლის შუქზე ახალგაზრდა, ტანმალალი კაცი გამოჩნდა. ყელიანი ჩექმები ეცვა, წელზე ბრტყელი ქამარი შენოერტყა, თავზე კი მცველის ნიშნიანი მუქ-ლურჯი ქუდი ეხურა, ჯარისკაცურად მომესალმა.

— თქვენ უნდა წაიკითხოთ ლექცია?

— დიახ, მე.

— გთხოვთ, შემობრძანდეთ. მე გვოჟღეინსკი ვარ... — ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

— აბა, გავიქეცი, — დაიწრიბინა ქალმა, — პანი გამგეს ვეტყვი, რავარც კი ლექციას ჩაიკითხავს, ფულისთვის იმწამსვე გამოიქცევა-თქვა...

— პან რედაქტორო, რა თემაზეა თქვენი ლექცია? — თავაზიანად მკითხა მორიგემ.

— აბა, აუცილებლად მოდით, — კიდევ შემახსენა ქალმა.

— მოვალ, მოვალ... სამყაროს აგებულებასა და „ირმის ნახტომის“ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

ქალმა რატომღაც გაიცინა და გავიდა.

— მაპატიეთ, პან რედაქტორო და ეგ ისეთი სისულელეა... გთხოვთ, შინაურულად მოეწყით.

ღებოს დარბაზი გაჩახახებულ იყო. ჭერზე ფერადი ქალღღების ფარნები და ლენტები ეკიდა. დარბაზში რამდენიმე ძელსკამი, მუშამბაგადაფარებული მაგიდა და სკამი იდგა. მაგიდის ქვეშ, ყუთში, ცარიელი ლუდის ბოთლები შევნიშნე. მორიგემ პაპიროსი გამოიწია, ქუდი მოიხადა და უჩვეულოდ სქელი თმა სავარცხლით გადაივარცხნა. ფეხი ფეხზე შემოიდო, ჩაფიქრდა.

— მაშასადამე, პან რედაქტორო, დღეს სამყაროს აგებულებასა და ირმის ნახტომზე გვესაუბრებით... დიდი ბოდიში, ასე მოუჩივებლად და გაუცნობლად რომ გელაპარაკებით, მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ, ამგვარ დიდ საქმეზე შეც ხშირად მიფიქრია. თუმცა ეს ჩვენი დაბა, როგორც იტყვიან, ერთობ მიყრუებული სოროა, მაგრამ დიდ საკითხებზე აქაც გვიყვარს დაფიქრება, აი, თუნდაც, ირმის ნახტომი ავიღოთ, რატომ მაინცდამაინც ირმის? ნუ გამიბრაზდებით, რომ ახალგაგნობილ ადამიანს ასე ძვირფას დროს ტყუილუბრად ოდ გაკარგვინებთ, თუმცა, მაინც „ირმის ნახტომზე“ უნდა გვესაუბროთ...

— დიახ, განსაკუთრებით გალაქტიკებზე, ირმის ნახტომზე...

ხალხმა თავშეყრა იწყო. მორიგემ ქუდი დაიხურა, თასმა ნიკაპქვეშ ამოიღო. კარში ჩადგა და შემომსვლელებს დაკვირვებით ათვალიერებდა.

ღებოში სირბილით შემოიჭრა აყიყინებულ ბავშვთა გუნდი. ეტყობოდა, ბავშვები მასწავლებელს გამოეგზავნა სკოლიდან. მათ კვალდაკვალ მოჰყვა რამდენიმე ხნიერი მოქალაქე, რომლებიც მორიგეს მიესალმნენ. ახალგაზრდებიც ნოვიდნენ, სულ ბოლო სკამებზე, კედელთან დასხდნენ და ხმადაბალი საუბარი გააბეს. საათს დავხედე — დროა, დავიწყო-მეთქი, ვთქვი, მაგრამ არ დაძინებია. სწრაფი ნაბიჯების ხმა და ხმამალალი სიცილი გავიგონე. დარბაზში აქლოშინებული შემოვიდა ის ორი ქალიშვილი, „პალტომში“ რომ ენახე. შეკრებილთა წლოვანება და გონებრივი დონე ისე განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რომ

უკვე თემის შეცვლაზე დავიწყე ფიქრი. ყოველი შენთხვევისთვის, მარაგში მუდამ მიქონდა ორი-სამი თემა. პირველ სკამზე მჯდარ ბიჭუნას გადავხედე, რგი ცხვირს იჩიჩქნიდა და თან მე შემომცქეროდა. „რაში ენალვლება ამას კობერნიკი...“ და ანაზდად გონებაში უცნაურმა აზრმა გამიელვა, რომ უკვე მთელი აღმოჩენას არც ჩემთვის და არც იმ ორი ქალიშვილისთვის არცერთს შენელობა არ ჰქონდა. ბიჭუნას გავუღიმე და თითით დავემუქრე. ცხვირის ჩიჩქნას მოეშვა და სირცხვილისგან ხელები უცნაურად დაგრიხა. დარბაზის მოსანუსხად საჭიროა ენამახვილობა, რაიმე მოსწრებული სიტყვის თქმა და ისე დაწყება-მეთქი, გავიფიქრე. ისევ დავხედე საათს; ამჯერად რვეული უყოყმანოდ გადავშალე და მოხსენების კითხვას შევუდექი. ანაზდად, გაუსაძლისმა გულგრილობამ შემიბყრო, საკუთარი ხმა თითქოს კედლის მიღმიდან მესმოდა.

„...სამყაროს სიღრმეში კიდევ უფრო ღრმად შევიჭერთ XX საუკუნეში. უპირველეს ყოვლისა, სისტემატურმა გამოკვლევებმა შესაძლებლობა მოგვცა, დაგვედგინა ირმის ნახტომის აგებულება და სიდიდე. ვიცით, რომ მისი რელიეფის დიამეტრი გამოისახება უდიდესი ციფრით—10 000 სინათლის წლით და მის შემადგენლობაში შედის ასობით მილიარდი ვარსკვლავი“... „მილიარდი“, — გაიმეორა ვილაცამ ხმამაღლა. ოპო, ე. ი. მისმენენ... „...რადგან უკვე ცნობილია, რომ სამყარო მოიცავს გალაქტიკათა უსაზღვრო რაოდენობას, შეიძლება დაგვებადოს კითხვა: აქვს თუ არა სამყაროს საზღვარი, თუ ყოველივე უსასრულობისაკენ მიემართება“... მესმოდა საკუთარი ხმა, ჩურჩული... მალლა ავიხედე, ქალაღდის ფარნები ნაზად ანათებდა. „...დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფიაზე დაფუძნებული მეცნიერული მსოფლმხედველობა იმ დასკვნამდე მიდის, რომ სამყარო უსასრულოა დროსა და სივრცეში. ამ უსაზღვრო და დაუსრულებელ სამყაროში მატერია განუწყვეტლევ მოძრაობს და განიცდის ფორმათა ცვალებადობას; მაშასადამე, შესაძლებელია გაქრეს და გაჩნდეს არა მარტო ვარსკვლავები ან თანავარსკვლავედები, არამედ პლანეტებიც.“ ლექცია დავასრულე და რვეული დავხურე. მსმენელები ისევ ისხდნენ, მაგრამ ლაბადები შეიკრეს და ლაპარაკი გააბეს. უცებ, დარბაზის ბოლოდან ქალიშვილის ხმა გაისმა:

— შეიძლება, რაღაც გკითხოთ?

იქით გავიხედე. შავსვიტერიან ქალიშვილს, რომელსაც წელან „პალომში“ შევხვდი, სკოლის მოწაფესავით ორი თითი აეწია.

— გთხოვთ.

— ძალიან დიდი ბოდიში, მხოლოდ იმის კითხვა მინდოდა, გწამთ თუ არა, რომ სამყარო უფაღმა ღმერთმა შექმნა?

მაგიდის შორიახლო მდგარმა მორიგემ ქუდი მოიხადა და მეშის შიგნითა შემონაკერზე ცხვირსახოცი გაუსვ-გამოუსვა. ნერე მე შემომხედა და გაიღიმა. რვეულზე თითი დავაკაკუნე. გავიგონე, როგორ ჩაილაპარაკა ვილაცამ: „შტერი“.

— იცით... არა, არ მწამს, რომ სამყარო უფალი ღმერთის შექმნილია.

— შეიძლება კიდევ გკითხოთ?

— რასაკვირველია, მე ხომ იმისათვის ჩანოვედი, რომ თქვენს კითხვებზე გამეცა პასუხი.

— მაპატიეთ, კიდევ იმის კითხვა მინდოდა, გწამთ თუ არა უფალი ღმერთი? მორიგეს გადავხედე, მან მხრები აიჩეჩა.

— უფალი ღმერთი, — მივუგე გარკვევით. — არ მწამს.

— გმადლობთ, მეტი შეყითხვა არ მაქვს. — და ქალიშვილი ამხანაგის გვერდით დაჯდა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკოლის გამგე ლოგინში იწვა. ხალათი ეცვა, თავზე ბადე წაეყრა; ჩემი შესვლისთანავე წამოჯდა და თბილი, ოფლიანი ხელი გამომიწოდა. საწოლთან, სკამზე, ჩაით სავსე ტიქა, ვიტამინიანი ბოთლები და თერმონეტრი ეწყო. საწოლის თავზე ჩენსტობოვის ღვთისმშობლის მომცრო ხატი ეკიდა. იქვე იდგა დეპოში ჩემს გასაფრთხილებლად გამოგზავნილი ქალი. იგი მდუმარედ შემომყურებდა, ხელები ნუცელზე დაეწყო, თითები ერთმანეთში ჩაეხლართა. გამგემ ბალიშქვეშიდან ჩანთა გამოიღო და ერთხანს შიგ რაღაც ეძებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ამოიღო ფული და ანგარიში, რომელზეც ხელი მოვაწერე. ხმადაბლა ლაპარაკობდა და სიტყვები ყელში ხმელი ფოთლებივით უშრიალებდა. რატომღაც „მაგისტრი“ მიწოდა.

— ჩაის ხომ არ ინებებთ, პან მაგისტრო?

— არა, არ შეგაწუხებთ, ლექციის დაწყებამდე გეახელით.

— რას ანბობთ. აბა, პან მაგისტრს ჩაი მოართვი, ოღონდ ხელახლა აადუღე. აჰ, ეს ახლანდელი ჩაი!

— მოვართმევ, რატომაც არა, ღმერთმა შეარგოს.

გამგემ სახე და ხელები ოდეკოლონით დაიზილა.

— ალბათ გიკვირთ, ბიბლიური იობივით, უფრო სწორად, მისი ცოლივით რომ ვწევარ. — გაეცინა. — აბა, პირი ნუ დაგიღია, წადი, ჩაი აადუღე!.. პირველ კლასში გასაშლელი საწოლი დადგი და თეთრეულიც გაიტანე.

— დიახ, დიახ! — ბრაზიანად გაიმეორა ქალმა, მაგრამ ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია.

— ძალიან გთხოვთ, ნუ შეწუხდებით. — უარი განვაცხადე. — ჩემი მატარებელი ზუსტად შუალამისას გადის. თანაც ავად ხართ! არა, მართლა გეუბნებით, მადლობელი ვარ, გარჯად არ ღირს. — სკამზე ლაბადიანად ვიჯექი, პორტფელი მუხლებზე შედო. გამგემ ჩანთიდან სარკე ამოიღო, შიგ ჩაიხედა და გამონაგონი მწუხარებით შესძახა:

— ეს რა დამემართა, საფრთხობელას დავემსგავსე, — ხელები საბანზე დააწყო — რას იზამ! ოცდაათი წლის ცოლქმრული ცხოვრების შემდეგ მარტო დავრჩი. მამალი ბუდიდან აფრინდა, ფრრრ! კი მაგრამ, რას დგახარ და მომშტებებიხარ, შე დოყლაპიავ, თითქოს ოცი წელია არ მიცნობდე!

— ხომ თქვეს, ნუ შეწუხდებითო! — დაიწრიპინა ქალმა.

— წადი და პან მაგისტრს ახლავე ჩაი აადუღე, არ გესმის პოლონური? ქალმა მხრები აიჩეჩა და სამხარეულოში გავიდა.

— მთლად გამოჩერჩეტდა, ეს საცოდავი! ეგებ გადაგეწყვიტათ დარჩენა, ლოგინს ახლავე გავაშლევინებ.

— რადგან ასე ძალიან შეწუხდით, მხოლოდ ჩაის დავლევ.

— პოდა, ასე მიმატოვა ოცდაათი წლის ერთგული სამსახურის შემდეგ. ახალგაზრდა გომბიოს გაედევნა, სულ ახალწამოჩიტულს. ხომ ხვდებით... არადა, არავითარი თვალთმაქცობა და თავხედობა არ სჩვეოდა, წესიერი, განათლებული კაცი იყო... დაფასებული პედაგოგი, ახალგაზრდების აღმზრდელი, მოღვაწე. ნერედა, რა გამოვიდა? დაჰკრა ფეხი და „ამქვეყნიური“ ცხოვრების შეგობარი მიატოვა, ფეხქვეშ გათელა პრინციპები, უარი თქვა სულის ცბონე-

ბაზე და გომბიოს გაედევნა... მაგრამ ისიც კაი ძუქნა იყო... ჰოდა, სალბარაკოდაც არ ღირს... თქვენ ცოლიანი ხართ? შვილები თუ გყავთ?

— ცოლი ამ რამდენიმე წლის უკან გარდაიცვალა... ქალიშვილი მასწავლებელშია.



საქართველოს
წიგნიერება

— სურათი გაქვთ?
— არა, არ ვატარებ, — ვიცრუე.

— იცით, უკვე ხანდაზმული ქალი ვარ და მეგონა ცხოვრებასაც ვიცნობ და მანკაცის ბუნებასაც-მეთქი. თურმე, ნურას უკაცრავად! რასაკვირველია, ვიცოდი, როგორებიც ბრძანდებიან, რომ ყოველ წამს მზად არიან ვინმეს ჩაუწუნონ, თუნდაც აგერ, ჩემი მოახლისთანა ქალსაც... გეცინებათ? არა, სისულელის მოყოლას არ ვაპირებ. მაგრამ რა ყრია იმ ამბავში, თუ ღმერთი გწამთ?.. უკვე ხნიერი ადამიანები ვართ, პან რედაქტორო და დაუმორცხვებლად შეგვიძლია ამგვარ რამეებზე ლაპარაკი; ჩემი ქმარი ქეშმარიტად წესიერი, ნოკრძალებული და ჯანსაღი მისწრაფებების ჰამაკაცი იყო, გულახდილად რომ გითხრათ, ცოლქმრულ ამბავში ხანდახან მისი წაქეზებაც კი ნჭირდებოდა. და ანაზდად, ასეთი უბედურება. არადა ის გომბიო ნამდვილი ღლაპი და ცხვირმოუხოცელი იყო, დაბანაც კი არ იცოდა ხეირიანად. ეს ისე მოულოდნელად და-მატყდა თავს, კინაღამ გავგიყდი. ვიგინდარა მოახლესავით თავის შოკვლაც კი ვცადე... იოდი დავლიე, მთელი ღამე ვფიქრობდი მასზე, საკუთარ თავზე, ჩვენს ერთობლივ ცხოვრებაზე. ჰოდა, ბოლოს და ბოლოს, მე სულელი, როგორც იქნა, ჩავწვდი ამ ამბის ფილოსოფიას... შესაძლოა, ნათქვამი თავხედურ გულახდილობად ჩამითვალათ, მაგრამ ჩემი ნაქმარევის ამგვარი შეცვლის მიზეზი ის სულელური, ვიწრო ხვრელი იყო. ამასთან კი ვერც მღვდელი და ვერც პარტკომი ვერას გახდება, რადგან ამგვარი რამ არც პარტიას ექვემდებარება და არც ეკლესიას... — ქალმა გაიცინა. — ჰოდა, კაცი ავ ძალღს დაემსგავსა.

ქარში მოახლე ჩამოდგა.

— საწოლი უკვე დავდგი. — თქვა ქერისაყენ თვალეზაპყრობილმა.

— რა საწოლი? რას ამბობ... აკი პან მაგისტრმა დარჩენაზე უარი თქვა, ჩაი ნოიტანე.

— ჩაი არ არის.

— რაო?

— ათი ხელი ხომ არა მაქვს, თუ ლოგინს ვშლიდი, ჩაის რანაირად ავადულებდი.

— ღმერთო, რა შტერია... გამოყრუებული, გამოყრუებული!.. ის კი ადგა და გაფრინდა.

— ძალიან გთხოვთ, პანი, ჩემი გულისთვის ნუ შეწუხდებით. საქმეს მოვრჩი და ჰაიდა, წავალ! თანაც ავად ხართ, მართლა, სულ არ მინდა თქვენი შეწუხება...

— ჩაის ახლავე მოვიტან, ე-ემწამს, — ქალი გავიდა და ჩაი უმაღვე შე-ნოიტანა.

— შექარი? — ჰკითხა სახეშეჭმუხნულმა გამგემ.

— უკვე დავშაქრე...

— ლჰ, ძალიან დიდი ბოდიში, პან მაგისტრო, ერთი წუთით... აბა, ეს ჩაი ახლავე გადაღვარე და ახალი დაასხი... საშაქრეც მოიტანე.

— კი მაგრამ...

ქალმა ფინჯანი აიღო და სამზარეულოში გავიდა. მალე საშაქრე და იგივე

ფინჯანი შემოიტანა. იდგა გულზელდაკრეფილი და შენომყურებდა, როგორ ვყრიდი ფინჯანში შაქარს. ჩაი ცივი, ოდნავ შეფერადებული და ტკბილი, თითქმის ბლანტი იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამგზავრო მატარებლის პირველი კლასის კუბე ცარიელი იყო. ხავერდგადაცვეთილ მერხზე წამოვწექი. პალსტუხი მოვუშვი, ფეხსაცმლის ზონრები გავიხსენი. ლაბადაც. პორტფელი თავქვეშ ამოვიდე. მთვარის შუქი კუბესა და მერხებს ანათებდა. ვაგონის ბოლოში საპირფარეშოს ღია კარს ერთი ხათქახუთქი გაუდიოდა. დროდადრო ისეთი შეფრქვება მიჩნდებოდა, თითქოს ჩემს მხრებქვეშ მოქცეული ძველი ვაგონი, სადაცაა, ნაწილ-ნაწილ დაიშლებოდა. მთვარის შუქი გაჭრა. დაგადუგი მიხელდა. ვაგონმა ახლა დაჩხარული კასრივით ტკაცატკუცი დაიწყო. ვიწექი და კვლავ ყურში ჩამესმოდა უცხო, ოფლიანი და თმაქალარა ქალის ნაამბობი... იოდის დაღევა, ჯოჯოხეთად ქცეული სახლი, წესიერი, შემდეგ ავ ძალღად ქცეული ქმარი... ჩემს სიცოცხლეში იმდენი რამ მომესმინა... ის საძაგელი ჩაი... იმდენი ვარსკვლავი, იმდენი პლანეტაა სამყაროში... მილიარდი ვარსკვლავი... რა უნდა ამ ხალხს უფალი ღმერთისაგან... დღევანდელი ჰონორარით მირეჩკას რეიტუსს, ანდა ფერად წინდებს ვუყიდი. ახლა მოდაშია. მირეჩკას უნდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს, ანასაც ვეტყვი... რამდენი თვეა, ანასათვის გულთბილი სიტყვა არ მითქვამს... ავღგები და საშობაო სუფრასთან ყურში ჩავჩურჩულე: „დაიკო, შენს უმცროს ძმას ძალიან ძალიან უყვარხარ...“ ყველა ეს ვარსკვლავი და გალაქტიკა საკუთარ თავს უსასრულობაში გაუბრბის... და ამ სიცარიელეში საჭიროა ადამიანებს უთხრა, რომ ისინი გიყვარს. დაუმორცხველად, ხმამაღლა უნდა თქვათ: „მიყვარხართ, ნიყვარხართ ადამიანებო...“ ეგებ მირეჩკა უკვე შინაა... არა, არ დავიძინებ, რადგან ძილი დაკარგული სიცოცხლეა; რადაც არ უნდა დამიჯდეს, სანამ შესაძლებელია, დაუსრულებლად უნდა ვიფიქრო... არა, უფალი ღმერთი არ არსებობს... უფლება არ მაქვს დავიძინო, საჭიროა, ყველაფერზე ბოლომდე ვიფიქრო. რომელ ბოლომდე? არავითარი ბოლო არ არსებობს, ბოლო თვითონ მე ვარ, ბოლო თვით ჩემშია. ვერ დავისვენებ ღმერთში... ის ხომ ტახტი არაა...

ვაგონები ისე აჯაყჯაყდა, თითქოს მატარებელს ლიანდაგებიდან რიყის ქვებით მოკირწყლულ ქუჩაზე გადაეხვიოს. ავღექი და შუქი ავანთე. მხოლოდ თხუთნეტ წუთს გაველო, რაც დავწექი. შიმშილმა შემაწუხა, პორტფელიდან გამხმარი ფუნთუშა და ძეხვი ამოვიდე. ძეხვი ძალიან მეგემრიელა. ძეხვი ყოველთვის მოტეხილი უფრო მეგემრიელება, ვიდრე თხლად დაჭრილი. კიდევ ერთი სულელური ჩვევა მჭირს — ყოველთვის და ყველგან ვკითხულობ, მრცხვენია თქმა და — საპირფარეშოშიც. დაკუჭული გაზეთი ახლაც გავშალე. რომელიღაც გაზეთის დამატება იყო თუ ლიტერატურისადმი მიძღვნილი ნომერი, რადგან ერთი ლექსის უცნაურ ახსნას წავაწყდი. ეგებ სხვების თანდასწრებით ვერ გაშვებუდა, მაგრამ კუბეში მარტო ვიყავი და ამ შუალანისას გიყვივით ვიხარხარე... არა მაინც რა ლექსებს წერენ... დაჯერებაც არ მინდა, რომ მოწიფული, ჯანსაღი მამაკაცი ასეთ რამეს წერს... ვიღაც კაცი თავის სიყვარულს აღწერდა, მაგრამ რაღა არ ჩაეტია ამ ლექსში: კოსმოსი, ქვანტური თეორია, ატმოსფერო, კიდურის ლათინური სახელწოდება, აკვანი, სადაც მწოლარე ჩვილი ტელეფონით სპილოს ურეკავს, მაგრამ შემდეგ ირყვევა, რომ ის სპილო ცხენი ყოფილა, ჩვილი კი — გარდაცვლილი ბიძა და მთელი თხზულება უეჭველად მოგაგონ-

ებდათ დანაწევრებულ მეტყველებას დედაბრისას, რომელიც სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მეჯლისზე ჯუჯას როლს განასახიერებს... გაზეთი ფენებქვეშ დაიფინე, ზედ ლაბადა წაეხურე და დაძინება ვცადე. ძილი კი არა დავგრძელებდი.

ნიკოლოზიძე

დიდი სალექციო დარბაზი თავიდან ბოლომდე სავსეა. მსმენელები ყვითელ ნაბერხმოყრილი არენის ირგვლივ სხედან. ისინი ათასსახოვან, ერთ მთლიან მასას ჰქმნიან. ყველანი ახალგაზრდები არიან, თვრამეტიდან ოცდახუთ წლამდე. გატრუნულები ისმენენ წამებასა და მხეცობაზე წაკითხულ ჩემს მოხსენებას. საკუთარ ფეხებს დავცქერი, ძველისძველი ბათინკები მაცვია. ერთს ლანჩა აჭვევია. მისალმების ნიშნად საფრანგეთის პრეზიდენტივით ხელს მაღლა ვწევ. ვიწრო პიჯაკი იღლიებთან მერღვევა. ძალზე თავდაჭერილად ვირჯები. ჩემი სამოსის უბადრუკობას ვერავინ ამჩნევს. აუდიტორიას ვუყურებ. ყველანი თვალდახუჭულნი სხედან. ვყვები წამებისა და ტანჯვის სხვადასხვა ხერხებზე. საკუთარი თვალით ვნახე, როგორ უბრძანა თქვენმა ტოლმა პიტლერელმა მოხუცებულ ცოლ-ქმარს ტანთ გახდა, ცეკვა და კოცნა, შემდეგ ერთმანეთისთვის თავსა და სასირცხვო ადგილებზე თმების დაგლეჯა. ნათ თვითონაც წაეტანა და თავები იმდენ ხანს არტყმევინა ერთმანეთზე, სანამ სახეები არ დაუსისხლიანა. მერე კაცს ფეხები გაალაჯვინა და პანლური უთავაზა.

გამეფებულ მღუმარებაში აქეთ-იქიდან ჩუნი ხითხითი გაისმა. ხელი კვლავ მაღლა ავწიე. ესტრადაზე, არენის შესასვლელთან, წითელტრიკოიანი მოცეკვავე იდგა. თავი პირწმინდად გადაეპარსა. ჩემსკენ ხელი ისე გამოიშვირა, როგორც ჯადოჭრისაკენ, რომელმაც ხალხს ეს-ესაა სულისშემძვრელი ნომერი აჩვენა, თავი დავუკარი და ლექცია განვაგრძე: პროფესორი ცდებს ატარებდა თვრამეტი-ოცდახუთი წლის ვაჟებისა და თხუთნეტი-თვრამეტი წლის ქალიშვილებზე. შეარჩევდა ულამაზეს ქალიშვილებს, დაუსხივებდა საკვერცხეებს და ექვსი კვირის შემდეგ ზოგს მარჯვენა საკვერცხეს ამოჭრიდა, ზოგს — მარცხენას. სხვაგვარ ცდებს ატარებდა საშოს ნაწილის ამოჭრაზე... ხელი მაღლა ავწიე... პიჯაკი გავიხადე და შავიდაზე დავდე. მოცეკვავე ქალმა ჩემს მკერდსა და მუცელზე ქვებისა და ცემენტის ფილების პირამიდა აღმართა, მსწრაფლვე ზედ მოექცა, ხალხს თავი დაუკრა და მსუბუქად ჩამოხტა... გაისმა ტაში და წრიპინა შეძახილები: „ბის“, „ბის“, მაგრამ ნე უკვე მაგიდასთან ვიდექი და ლექციის კითხვას განვაგრძობდი... პატიმრები საქონლის გადასაყვანი, ცხატრებიანი, კირმოყრილი ვაგონებით მიჰყავდათ, ერთად ჩაეყარათ ცოცხლები და მკვდრები... სნეულები, შერყეულები, ბავშვები; ისმოდა ბლავილი, ლოცვა, სიძღვრა. დარბაზში ისევ სიცილი გაისმა. მუხლებზე დავეცი და აუდიტორიას შევლაღადე: „შვილებო, ხომ გესმით ჩემი, შვილებო! ხომ კარგად გესმით, მე თქვენ სიღრმიდან მოგმართავთ.“ პასუხად აშკარად ბავშვური ხმა გაისმა: „ბავშვებო, მამილო მთვრალია“. მოცეკვავე ქალმა მოირბინა, ღვინოშერეული წყლით სავსე ჭიქა მომაწოდა; ჭიქა ბოლომდე დავცალე. ქალმა თავი დამიკრა და არენიდან გავარდა. ციებიანივით ვეძებდი ჭიბეებში გადანახულ ლექციის კონსპექტს.

ჭიბეებიდან ათობით დიდი და პატარა ქალაღლი ამომქონდა, პიჯაკის უბიდან კი თეთრი და შავი სერპანტინები; ქალაღლებს შორის იყო რაღაც მოსაწვევები, ასე განსაჯეთ, ბანქოც კი. ნაგიდისაკენ დავიხარე და გარკვევით, მკვეთრი

ხმით დავიწყე ბანაკებში გამომწყვდეულ პატიმართა ტანჯვა-წამების მონაცემების კითხვა:

ა — ექომე გაიმეორა „ა“ — დამოკიდებულება მუშა-პატიმრებთან; დამანცირებელი დამოკიდებულება და ცემა მუშაობისას; ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გასაძვირებლად სირბილის გამოცხადება;

სისაძაგლის — განავლის, თაგვების ჭამის ბრძანება....

ამჯერად დარბაზში შეძახილები და სიცილი გაისმა. ვილაცამ იყვირა: „წყნარად, ეს ძალიან საინტერესოა.“

ქალებთან და ბავშვებთან დამოკიდებულება:

შიშველ ქალთა მომსახურება აბანოში, გაცრეჭა და გაპარსვა მამაკაცების წიერ...

სიცილი თანდათან მთელ დარბაზს მოედო. ხალხი თვალებს ახელდა, იფშვნიტდა; პირლია შემომცქეროდნენ, ერთმანეთს რაღაცას აჩვენებდნენ, ჩურჩულებდნენ, მაგრამ მე უფროს ხმამაღლა და სწრაფად ვლაპარაკობდი:

მამებს უნდა ჩამოეხრჩოთ საკუთარი შვილები;

ქნრები უნდა დახმარებოდნენ ესესელებს თავიანთი ცოლების გაუპატიურებაში.

დარბაზში ვილაცამ საყვირი ააჭყვიტინა.

კასრზე, რომელშიც პატიმარი ზის, ზედამხედველი ჯდება;

პატიმრის წყალში გადაგდება რამდენიმე სართულის სიმაღლიდან;

ფისწასმულ კასრზე პატიმრის დასმა და რკინით ან რეზინით ცემა;

ფარდა გადაიწია და არენაზე შემოვარდა თეთრტრიკოიანი ქალიშვილი, რომელიც კასრს მოაგორებდა. კასრი ჩემი მაგიდის მახლობლად დადგა, თავი დახარა და არენიდან ხტუნვა-ხტუნვით გავარდა.

ქალების დაწვენა მაგიდაზე ან ძელსკამზე და სასქესო ორგანოზე ცემა...

მათრახის ტკაცუნა გაისმა და არენაზე გაწვრთნილი ძაღლების ჯგრო შემოიჭრა, უმაღვე ატყდა სტვენა, ძაღლები ერთმანეთს უღრენდნენ, ვილაცამ ცარიელი ლუდის ბოთლი მესროლა, მერე წამოვიდა და წამოვიდა ყვავილები, კვერცხები, ნაღრღენები, შინაური ცხოველები, პანიდორი.

ვილაც საცოდავად გაჰკიოდა: „ბის“, „ბის“. თავი დავხარე და ოვაციისთვის მადლობა გადავიხადე.

თავი დაბლა დავხარე და პარკი გადამიძვრა.

მარტო ვიდექი უზარმაზარ, ცარიელ დარბაზში. ჩვეულებრივი ტომარა შეცვა, თავ-პირი მურით მქონდა მოსვრილი. თვალებში ტუტყიანი ხელი ამოვიღე. სიჩუმეში ქალის უსიამოვნო, წრიპინა ხმა რომესმა:

— როგორ წაბილწე აქაურობა. — ჩემს წინ სახედანაოკებული, სქელ-თმიანი დედაბერი იდგა და წვრილი თვალებით მტრულად შემომცქეროდა. — აქაურობა დაანაგვიანა და კიდევ პირი გაულია; ნეტა, რამ გამოგაღენჩა? ბავშვები სუფთად ისხდნენ, ამან კი ტუტყით აავსო აქაურობა. ერთი ამას დამიხედეთ, წამებულად რომ მოაქვს თავი! ჩერჩეტი ბერიკაცი. — ქალი პარკეტიდან ნაგავს კრფოდა და ვედროში ყრიდა. მუშაობა შეწყვიტა, ადგა და დოინჯი შემოიყარა. თვალებდახუჭულს უკბილო პირი სიცილმა გაუპო. — არა, ბავშვებს გულიანად ეძინათ, ეს კი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. მტრედებს ეძინათ. — ერთი ამას უყურეთ, სახე ცირკის მახარასავით რომ მოუხატავს, არა, ნახე, რას დაემსგავსა. — ჩემი თავი ახლავა შევათვალეჩე... თეთრი, ბრტყელზოლიანი

პიჯაკი და გენერლის ლამპასებიანი ნიფხავი მეცვა, მასხარასავეით გრძელცხვი-
 რას სახე ამჭრელეობდა. — აქაურობას ნუ ამინძურებ, თორემ მაგ შენი ლაქ-
 ლაქის გაგონებაზე, ლამისაა, გული ამერიოს. დიდი ამბავი, თუ გაწამეს...
 თუ არა, შე რა მიყვეს? გაჩვენო სხეული? — დიდხანს, დიდხანს მიტყუებულნი
 ეგ ყველაფერი მე გადამხდა თავს, — თქვა, — ადამიანის განავალსაქმებში
 სენებ, შენი ულუფა გიჭამია და გეყო, სხვებსაც ნუ წამლავ, რადგან იმ სისა-
 ძაგლეს არც ღმერთი ჰყავს გამკითხავი და არც პოლიცია. — ისევ ჩაიმუხლა
 და ნაგვის მოგროვება განაგრძო. — შავ, პრიალა კაბაში გამოკვეთილ მის ვე-
 ებერთელა უკანალს ვუყურებდი.

— ესენი უგულო, თითქოსდა ქვის ბავშვები არიან.

— შენ შაინც გჯობია, ბებერო ბაღდაშო.

— ბოდიში, მე ყოფილი პარტიზანი, ჯარისკაცი, პატიმარი, მასხარა, ნუხან-
 ძრე, კაზაკი, საფრთხობელა ვარ... ბრწყინვალე მოვალეობა მაქონია.

— მოვალეობა... ყველგან თუ შენს წამებაზე არ იყბედე, ვერ მოისვენებ.
 მასხარავ.

— არა, რა გამოვა მათგან?

— ის, რაც ჩვენგან გამოვიდა. ღროა, მოეშვა სახრჩობელების ხსენებას.

— წამება!

— ფუ, — ქალმა გადააფურთხა, — როგორ არავინ ჩაგაფურთხებს მაგ
 ნაწამებ ხახაში.

— იცი თუ არა, რომ წამებულთა სისხლს აფურთხებ! გეტყობა, გესტა-
 პოელთა კახა იყავი.

ქალი მომიახლოვდა, მხრები მოიღვლა, კისერზე შემომეხვია. ძალიან, ძა-
 ლიან ჩამეხუტა.

გამყოლმა ვაგონი ფარნით გაანათა. მერხზე მგზავრი იწვა. ლაბადა თავზე
 წაეხურა, ფეხებქვეშ საგულდაგულოდ დაკეცილი გაზეთი ეფინა. გამყოლი
 ფრთხილად შეეხო.

— თქვენი ბილეთი.

— საღამო მშვიდობისა. რაა?

— ა... ბილეთი. — მგზავრი წამოჯდა, ხელები სახეზე მოიხვა.

— რა ძილი გცოდნიათ, — უთხრა რკინიგზელმა, — მატარებელი ესესაა
 დაიძრა, თქვენ კი ახალშობილივით გძინავთ.

— ჰოოო, — გაეცინა მამაკაცს, — ახალშობილივით... კიდევ შორსაა?

— თხუთნეტი წუთია, მატარებელი დაიძრა, — გაიცინა გამყოლმა, — ძა-
 ლიან მაგარი ძილი გცოდნიათ. — მგზავრის პირისპირ ჩამოჯდა. — პაპიროსი
 გამითავდა, — ჯიბეები მოისინჯა, ცარიელი კალოფი ამოიღო, შიგ ჩაიხედა. —
 გამითავდა, — თქვა საბოლოოდ დარწმუნებულმა.

— მე არ ვეწვევი, — უთხრა მგზავრმა.

— სწორედაც იტყვი.

უბრად ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ. ერთმანეთს სახეში შესცქეროდნენ.
 ბერე მგზავრმა სარკმლის მინას ხელი გადაუსვა და მზერა სიბნელეს გაუსწორა.

ქალაქში სადღესასწაულო ფაციფუცი იგრძნობოდა. სამსახურიდან შინ მი-
 ძაველმა ნაძვის ხის საყიდლად მოედნისკენ გადავუხვიე. სოჭისა და ნაძვის ხე-
 ები კედელზე მიეყუდებინათ. ზოგი კი პირდაპირ მიწაზე ეყარა. ჰაერში კვამ-

ლის სუნი ტრიალებდა. ქუჩაში უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა მანქანები. ჩქარობდნენ ქვეითები. აქ კი, მოედანზე თითქოსდა მწვანე ჯალაღირა დასწლილიყო. მხოლოდ ეგ იყო, ხეები ნოქრათ და ერთმანეთზე დაეწყოთ. ხოგს ტოტები შემტვრეოდა. მოედანზე ხალხი ირეოდა. მიდიოდნენ ხეებზე დასწლილებდნენ, აქეთ-იქით ატრიალებდნენ და ბოლოს მიწაზე აგდებდნენ. — აქეთ-იქით დასწლილებდნენ, დიან ქალს ნაძვის ხე ორივე ხელით ჩაებლუჯა, ერთხანს მდუმარედ შეჰყურებდა, მერე შეარხია და დააგდო. იქვე მდგარმა ვილაც ქალმა დაგდებული ხე აიღო.

— ეგ ხე ჩემი არჩეულია! — შესძახა ბეწვისჭურჭიანმა.

— რას ამბობთ, მშვენივრად დავინახე, როგორ დააგდეთ, ახლა კი მე ვიღებ.

— ვერაფერსაც ვერ აიღებთ, ეგ ჩემი ხეა.

— როგორ გეყადრებათ, ჯერ დააგდეთ და ახლა იძახით ჩემიო?

— ჩემია და ვიძახი კიდევ! ახლავე მომეცით.

მაგრამ ქალს ხისთვის ხელი არ გაუშვია, პირიქით, ალყაფის კარისკენ გაეძარტა.

— გეუბნები, ახლავე დამიბრუნეთ ჩემი ხე. ხედავ, ვოიტუშ, — მიუბრუნდა სათვალთან ბიჭუნას, რომელსაც მოთხილამურის ქუდი ეხურა, — ამ ქალს შენთვის ხის მოპარვა უნდა.

— ხომ არ შეიშალეთ!

— ხედავთ მაგას, რა აღზრდილი ყოფილა!

— ძალიან გთხოვთ, შენობით ნუ შელაპარაკებით.

— მაშ, პანი გიწოდო? წავიდა პანების დრო.

ორივენი ხეს წაეტანნენ. ბიჭუნამ ჩაილაპარაკა:

— ბებო, აქ იმდენი ხეა... — და სახეზე შიში ალებეჭდა.

ხალხმა ხეები მიატოვა და ყველანი გაწიწმატებული ქალებისაკენ გაეშურნენ. ჩემს გვერდით მდგარმა კაცმა გაიციინა და ხელი ჩაიქნია.

— ტყუილუბრალოდ დროს ნუ დაკარგავთ, — მომიბრუნდა, — თუ შეიძლება, ერთი ეს ხე დამიჭირეთ, შორიდან შევათვალავრებ და მერე მე დაგიჭერთ. — ხელში დიდრონი, ტოტებგაფოფრილი ნაძვის ხე შემომარჩია და ირგვლივ შემოუარა. მოუახლოვდებოდა, ტოტს ხელს შეახებდა, მერე ისევ უკან დაიხევდა. — ხედავთ, — მითხრა, — რანაირები არიან ეს ქალები. მოიცათ, ახლა ოდნავ გვერდით ნიდექით... — დამჯერედ მივდექი ნაძვის ხიხად, ამასობაში კი ის ქალები ხეს ერთმანეთს ხელიდან გლეჯდნენ, თან სალანძლავი სიტყვების კორიანტელი დააყენეს.

გამყიდველმა ხელები გაშალა:

— ხალხნო, საყვარელო ქალებო, ხომ ხედავთ, რამდენი ხეა, აირჩიეთ, რომელიც გსურთ, რა ფერიც გსურთ, ეს რა ხალხია, რისთვის ჩხუბობენ.

ბიჭუნამ ტირილი მორთო.

— ბებო, — იძახდა საცოდავად, — ბებო! — ბეწვისჭურჭიანი ქალი ბიჭუნასაკენ გაიქცა.

— ბავშვი გადამირიე, შე ხეპრევე, შენა! ამის მაინც შეგრცხვეს, მთლად გალურჯდა. ვაითუ ავად გახდეს.

ქალების ხმა ერთიან ველურ კვილში გადაიზარდა. „სადაა მილიცია, აიღე შენი ხე და... შეირკვე. რა უნამუსობაა. ბავშვს კრუნჩხვები დაეძარტა! ახლახან ფილტვების ანთება გადაიტანა! ვაი, ლურჯდება!

ქალებმა ხეები მიწაზე დაყარეს. იქით ვილაც დედაბერი აქოთქოთდა:

— ღმერთიც შეგეწიოთ და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელიც, არ გვეჭოთ ომი, ბომბები და ბანაკები? თქვენ ისევ ომი თუ დაგაწყნარებთ.

ერთი ქალი წიოკ-წიოკით მიიწევდა ალაყაფის კარისკენ.

— ხელ-ფეხი დაგემტვრეთ საზიზღრებო, სეფისკვერმა დაგახრჩოთ, გამყიდველმა ხელები მალლა ასწია და შესძახა:

— წყნარად, ქალებო! როგორ არ გრცხვენიათ! აჰა, პანი, ხე! ყველაზე ღამაში, ყველაზე გაშლილი. ვერ ხედავთ, საკუთარი შვილიშვილიც კი დაგცინით! აბა, ჰე! სიჩუმე იყოს. დამთავრდა ომი.

მართლაც, ხმაური მინელდა. ხალხი, თითქოსდა ანაზღად გონს მოეგო. ვინება ბეწვისქუდიანი მამაკაცები ისევ ხეებს მიუბრუნდნენ. მხოლოდ ზოგიერთებმა გადახედეს ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად.

მოედანზე ქალების დაწუნებული, ტოტებმეჩხერი ხე ევდო. ის ხე ამოვიღლიავე, თვრამეტი ზლოტი გადავიხადე და ქუჩაში გავედი. ვიტრინები გაჩახჩახებული იყო. დახლებზე ზვინებად ეწყო ვაშლი, ლიმონი, ფორთოხალი, ბანანის გალები. რიგებად ჩაემწკრივებინათ ღვინო და ლიქიორი. ყველგან მოჩანდა სოჭის ტოტები, ბამბის თოვლით დაფარული პაწაწკინტელა ნაძვის ხეები, ვარსკვლავები, წმინდა მიკოლაი, ვერცხლისფერი „წვიმა“, ფერად-ფერადი ნათურები. ერთ-ერთ ვიტრინაში რელიგიური კულტის ნივთები გამოეფინათ. გრძელ რიგებად გაჭიმულიყო ჩვილი იესოს თაბაშირის ფიგურები. ვარდისფერი, სავარელი ჩვილი სახლისკენ ბუნჩულა ხელებს იწვდიდა. ფიგურები სიდიდისა და ფასის მიხედვით დაეწყოთ, სულ პატარა — თითისტოლა იქნებოდა, დიდი კი წყრთამდე. ბევრგან ანგელოზების, მოციქულების წმინდა იოსების და გვირგვინოსან მეფეთა ფიგურები გამოეფინათ. თვალი ვერ მომეწყვიტა ჩვილი იესოსათვის, რომელიც აქ, ქალაქურ ვიტრინაზე დაედოთ, მის გვერდით კი აფუსფუსებული ხალხი მიმოდიოდა. ჩაიარეს ატკარცალებულმა გოგონებმა, სართულებად დაეხვავებინათ ძეხვი, ლორი, ბანანი, „წვიმა“, ჭუჭები, სანთლები.

ერთგან ხელოვნური შუქით განათებული, თვალისმომჭრელად მოლაპლაპე ულამაზესი სინთეტიკური ნაძვის ხეები შევათვალევრე. ყველა ხე უნაკლო იყო და წყლის ორი წვეთივით ჰგავდა ერთიმეორეს. „ასეთი ხე რამდენიმე წელიწადს გასძლებს, — გავიფიქრე, — შესაძლოა, სიცოცხლის ბოლომდეც გაგყვეს. საკმარისია, მტვერი ჩამოფერთხო, გარეცხო და ცოცხალივით იქნება“.

თოვს. თოვს დღისით და ღამით, ნეონისა და ქუჩის ფარნების შუქზე. ათოვს მთელს ქვეყანას. მთასაც და ზღვის სანაპიროსაც. თოვს იდუმალად დაუვანებია მინდვრებზე. შეუსუდრავს ტყე. თოვს. მიმოდიან მატარებლები და თვითმფრინავები, მანქანები, მარხილები. ბავშვები სარკილებს აკვრიან. თოვს დილას და საღამოს. ირწევა ტოტებზე დადებული ქულები, ძირს ცვივა, მოჩანს უთვალავი ნაკვალევი. ადამიანის, ცხოველის, მანქანის.

მინდორში, ქალაქგარეთ, მამაკაცი ციგას მიასრიალებს. ციგაზე ბავშვი ზის. ისე შორს წასულან, სახეები აღარ უჩანთ. ციგა გადაბრუნდა. გაისინის შეკვივლება და სიცილი. გუნდაობენ. ქრებიან ადამიანები და მათი ხმაც ქრება. თოვს. სიჩუმეა.

„ბინძურს“ გუშინ გაზეთების ჯიხურის მახლობლად შევხვდით თუმცა, ამას შეხვედრა არც ეთქმოდა, რადგან მას არ შევეუბნევივარ. ადრე ფარდული ჰქონდა, ადრე ჩემოდანი, იდგა ქუჩაში და გამვლელებს არ ჩხუბავდა. ჯიხურთან კარგა ხანს გავეჩერდი, სურათებიანი ჟურნალის ყდას ვათვალიერებდი, თან „ბინძურის“ უცნაურ მოქმედებას ვაკვირდებოდი. ცალ ხელში ღია ბარათები ეკავა, მეორე, დახეულთათმანიანი ხელი კი გამვლელებისაკენ გაეშვირა. ვილაცქალმა ბარათებს დახედა, „ბინძურს“ ფული მისცა, მაგრამ ბარათი არ აუღია და თავისი გზით წავიდა. „ბინძური“ მათხოვრობდა. ბარათები საბაბი იყო. სინამდვილეში კი უსაძაგლესად მათხოვრობდა. გვერდით ჩავუბრე, მაგრამ ვერ მიცნო. დაძინებლი, ჰუჭყიანი ლაბადა ეცვა. თავზე ისევ ის პაწაწინა ბერეტი ეხურა, ჯიბიდან ბოთლი ნოუჩანდა. შარვლის ტოტები წინდებში ჩაეტანებინა. „ბინძური“ გულგრილად ავათვალიერე, თითქოსდა რომელიღაც საგამოფენო თუ სამუზეუმო ნივთი ყოფილიყო.

„ჰო, კოლეგავ, — გავიფიქრე ჩემთვის, — უფსკრულისაკენ მიექანება, უნდა მივცე, — განვაგრძე ფიქრი — რამდენიმე ზლოტი უნდა მივცე, არა, რამდენიმე კი არა, ოცი ზლოტი“.

სულაც არ ვუბრაზდებოდი მაშინდელის გამო. ანდა, როგორ გავბრაზდებოდი. აშკარად წაგებული იყო. მოგვიანებით მოგვიქცა იმ ფულს, კოლეგავ, ვგონებ, გამოგადგება თავის მხრივ, საგულსხმოა, როგორ მიმდინარეობს ადამიანში მსგავსი პროცესი. ალბათ, ღოთია, გამოუსწორებელი ღოთი. ჰე, ვითომდა ბარათებს ყიდის... ჰო, ერთხანს უნდა ვადროო. ნეტა, რას ფიქრობს ასეთი ადამიანი, რით სულდგმულობს, რა დამოკიდებულება აქვს ღმერთთან ან საყვარელ სამშობლოსთან; ანგარიში აქ ორჯერ ორივით მარტივია — ორთავეს ძონძებზე გაცვლის, მაგრამ შემდეგ, შემდეგ რა იქნება? ანაზღად, თავში ერთნა უგუნურმა აზრმა გამიელვა — რა მოხდება. „ბინძურს“ რომ შექსპირზე გავუბა საუბარი? რატომ შაინცდამაინც შექსპირზე? უფალმა უწყის. ამეკვირტა აზრი და მორჩა. წავალ წიგნის მაღაზიაში და „ჰამლეტს“ ვუყიდი... არა... „ჰან თადეუმს“... თავს მოიკლავს და „ჰან თადეუმს“ არ წაიკითხავს... არადა... მეც შევუბრჩიე წასაკითხი, რა თუმცა ეს, თავის მხრივ, ძალზე დამაფიქრებელი რანაა. მაგრამ ეს ის არაა. მე ხომ ქსენდი არა ვარ, ანდა სოციოლოგი... დროდადრო მაინც მეწვევა ხოლმე მსგავსი ფიქრები... აღდგომას „ჰან თადეუმს“ ვაჩუქებ... „ლიტვავ, სამშობლო ჩემო“...

ასეთ უაზრო ფიქრებში გართულმა შევალე ატელიე „ელეგანტის“ კარი, „ოსტატი“ პიმპუშიაკო ვიკითხე. ახალი კოსტიუმის საბოლოო გასინჯვაზე ვიყავი დაბარებული. ატელიე მალლა იყო. იგი ორი დარბაზისაგან შედგებოდა — თვით სამკერვალოსა და თეჯირით გამოყოფილი მომცრო დარბაზისაგან. აქ საკიდარი და მაგიდა იდგა, მაგიდაზე კი სურათებიანი ჟურნალები ეწყო... წარმოსადეგი ახალგაზრდა მამაკაცები, ზღაპრულად ტანწერწეტა, მაგრამ როგორღაც უცნაურად მდგარი ქალები და ქალიშვილები. არა, მაინც რა მეტიმეტად გალავლულან... შესაძლოა, სამოსს ასე უკეთ წარმოაჩენდნენ... ადრე კი ქალები მუდამ მოკრძალებულად იდგნენ ხოლმე.

— სალაში, პან პროფესორო, — გაისმა პან პიმპუშიაკოს მკაცრი, მაგრამ ძალზე კეთილისმსურველი ხმა, რომელშიც ოპტიმისტური, ცხოვრების, ადამიანისა და მომავლისადმი, ერთი სიტყვით, კაცობრიობისადმი გამსჭვალული კილო იგრძნობოდა...

— ყველაფერი მზადაა, ამ წუთას მოგემსახურებით, პან პროფესორო, დღეს შარვალ-კოსტიუმს საბოლოოდ გაისინჯავთ.

ახლა ეთლიანად პან პიმპუშიაკოს ხელში ვიყავი, ოსტატის, ^{შეიძლება} ითქვას, შემოქმედის ხელში. პან პიმპუშიაკომ სრულიად ახალ ადამიანად მსგავსა. მკაცრად, მაგრამ კეთილად მაკვირდებოდა. ვგრძობდი მისი ხელის შეხებას. მაგრამ არც ის გამომპარვია, რომ იღლიებქვეშ რაღაც მიჭერდა. უფრო უაღრესად იყო შარვლის საქმე. სარკმელში ჩაეიხედე. თერძმა ზოგიერთი ადგილი ცარცით მოხაზა. კოსტიუმში საყულოსთან მინათდებოდა.

— ეგ წვრილმანია, — თქვა ოსტატმა, — ამ წუნის გამოსწორება დღესვე მოხერხდება. ნხოლოდ არის ერთი, არცთუ ისე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ახლავს საჭიროებს გადაწყვეტას... რა ვუყოთ გულის ჭიბეს, შემთხვევით მარჯვენა მხარეს მოხვდა, ეგებ გადავაკერო? არაფერი დაეტყობა რას იტყვიან?

— ჭიბე? სულ ერთია, მარჯვნივ იქნება თუ მარცხნივ.

— ო, არა, დაკვირვებულ თვალს არაფერი გამოეპარება.

— თუ ასეა, გადაკერეთ.

— პირობას გაძლევთ, არაფერი დაეტყობა! მაშ, ხვალამდე, პან პროფესორო!

შინ, მაგიდაზე, დის ბარათი დამხვდა, თევზის საყიდლად გავედით. ამ დღეების მთავარ სასაუბრო თემას თევზი წარმოადგენდა. თევზის მალაზიების წინ, გრძელ რიგებში მდგარ ქალებს ხელში ბადურები, ჩანთები და ვედროები ეჭირათ. ტელევიზიით აჩვენეს თევზსარეწის მუშაობა, ჭანარის დასაქურად როგორ წრეტდნენ გუბურებს. საშობაო სუფრას ათასობით ტონა თევზს პირდებოდნენ. დულდა წყალსაცავები და აუზები. ზურგის მოლურჯო ფარფლები, ჰაერზე გაღვებული, დაფჩენილი პირი... მყიდველის სურვილისამებრ, გამყიდველი გირის მოხერხებული დარტყნით თევზს ადგილზევე კლავდა... გაისმოდა ძვლის ნაზი ტკაცუნის, გაიბზინებდა თევზის ოქროსფერი ქერცლი, გამოანათებდა მისი თეთრი მუცელი...

ნაძვის ხე ოთახის კუთხეში დავდე. იატაკის გაპრიალებას შევუდექი. მასტიკა წასმული ჰქონდა და გაპრიალებადა აკლდა. ქეჩის ნაჭრები კართან ეწყო.

ჩავიმუხლე და პარკეტის ყოველ ფიცარს სათითაოდ ვაპრიალე. თან იატაკზე დარჩენილ გაზეთებს ვიღებდი. მაგიდის ქვეშ რომელიღაც სურათებიანი ეურნალი ეგდო. მუშაობა შევწყვიტე და ჩვეულებისამებრ, კითხვა დავიწყო. მაკარონის მოხარშვის წესების გვერდით აფრიკული საპატარძლო კაბის ნოდელი ეხატა. იქვე ქალების ნაირნაირ ვარცხნილობას გვთავაზობდნენ. სიამოვნებით დავყურებდი ახალგაზრდულ სახეებს. კვლავ მუხლებსა და იდაყვებზე დაყრდნობილი ვკითხულობდი. „თუკი გრძელი თმის შესაკრეჭად ნებისყოფა არ გყოფნით, მოდიდან გამოსულ, ძველყაიდურ აბურძგნულ ქოჩორს მაინც უნდა შეეღიოთ“.

ოთახში ხორავით დატვირთული ჩემი და შემოვიდა.

— ღმერთო! ფეხზე ველარ ვდგავარ!

თევზიანი ბადურა კარის სახელურზე ჩამოკიდა და ნაძვის ხესთან მივიდა.

- აქა-იქ ტოტები შემტვრევია, საცოდავი ხე... ტყეში ყოფნა ერთია.
- ოც წელზე მეტია ჩემო ძვირფასო, რაც პირზე გვაქვია „საცოდავი ხე“ და ამგვარები — ცოდოა ხეები, ტყე უფრო მომჭირნედ უნდა მოგიხმაროთ, რომ შესაძლებელია, ცოცხალი ხის ხელოვნურით შეცვლა, მაგრამ საჭიროა, ეინ იყიდის ხელოვნურს, როდესაც ყველას ნამდვილი ხე უნდა, ამასობაში კი, აღმოჩნდა, რომ ჩვენი ტყე არც ისე ღარიბია, საჭიროა მხოლოდ სელექცია, ხეების გამოხშირვა, რომ ერთადერთი ჭკვიანური გამოსავალი ესაა და სალაპარაკოდ არ ღირს. საცოდავი ხე, საცოდავი ადამიანები, საცოდავი თევზები; თევზებიც საცოდავები არიან, ეგენი ახლა წყალში უნდა დაცურავდნენ, არადა ხვალ-ხევ ლაბად მოხარშულს მივირთმევთ... — დამ თითქოსდა შორცხვად გადმომხედა. ნივედი და ხელზე ვაკოცე. სკამზე დაჯდა...
- ორი საათი ვიდექი რიგში, მაგრამ წელს თევზიც ბევრი იყო და ხალხიც. შარშან კი, კრუპნიჩზე, ერთმა ქალმა პენსიონერი მოკლა ვედროთი!
- როგორ, ვედროთი პენსიონერი მოკლა? — გამეცინა და იატაკის მოპრიალება განვაგრძე.
- აბა! უცებ კი არ მომკვდარა, წაიჭცა და გონი დაკარგა; ეს ამბავი სწორედ თევზის რიგში მოხდა; ბერიკაცი გვიან მოვიდა და მაღაზიაში ურიგოდ შესვლა დააპირა, მაგრამ დედაკაცმა თავში ვედრო ჩასცხო, თევზისთვის მოტანილი ვედრო... მართალია, მაშინვე არ მომკვდარა, მაგრამ „სასწრაფო“ რომ მოვიდა, უკვე უგონოდ იყო, თუმცა აღარც მოსულიერებულა და საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ის ქალი ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობდა, საღმთო ვიცნობდი... ეჰ, ჯობია ისევ თევზს მივუბრუნდე, ოღონდ არ ვიცი, როგორ გავანაწილო... მირეჩკას შემწვარი უყვარს.
- ორი შეწვი და ერთი ლაბად გააკეთე ჩვენთვის.
- წვნიანი მოეხარშო?
- რაღად გინდა, სოკოს წვნიანიც გვეყოფა... მოიცა, წელს რამდენი თავი საჭმელი გვექნება? შემწვარი თევზი — ეს ერთი, ლაბა — ორი, სოკოს წვნიანი — სამი, ქაშაყი — ესეც ხუთი...
- კომპოტი.
- კომპოტი არ ითვლება... ეგებ ცერცვიანი კომპოსტო მიგვემატებინა?
- მდრეჩკა პირს არ დააკარებს, არც მე შეეჭამ და არც შენ, ახლა გგონია, რომ მთელ თევზს გაათავებ, მაგრამ გასინჯავ თუ არა, ლუქმას ველარ გადავლაპავ. კიდევ ვაშლი გვექნება, კანფეტი, თხილი, ერთი კილო ბანანიც ვიყიდე, ოღონდ არ გამიჯავრდე. ბანანში, თურმე, საოცარი ვიტამინები ყოფილა. აბა, იმ სტუდენტურ სასადილოში რას შეჭამს... იცოცხლე, შინ ვაჭმევ და ვაჭმევ. იცი, რომ მოვდიოდით, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მირეჩკა შინ უნდა დამხედროდა, არა, ეგებ მართლა ჩამოვიდა და დამეშალა?
- რა სისულელეს ამბობ, სად უნდა დამალულიყო?
- მართალი ხარ, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, ჩამოსული იქნებოდა.
- სადგურში განრიგს გადავხედე, ან შუალამის მატარებელს ჩამოჰყვება, ან დილისას.

ნაძვის ხის სათამაშოებიანი-მუყაოს ყუთები მტვერს დაეფარა. მაგიდაზე დავაწყვე, ჩვრით გავწმინდე და ზონრების გამოხსნას შევუდექი. ერთ ყუთში ფერად-ფერადი, ბრჭყვიალა სათამაშოები — ვარსკვლავები, სოკოები, ლოლუები ეწყო. ყოველ მათგანს საგულდაგულოდ ჰქონდა გაზეთი შემოხვეული. ეს

მირეჩკას შარშანდელი ნაზელავი იყო. გრძელ, ლაბლაბა, ვერცხლისფერ „წვე-
როს“ გაზეთი მოვაცილე, მსუბუქსა და ნაზ სამშვენისს ჩვარი ფრთხილად გა-
დავუსვი. მაშინ უკანასკნელი შობა იყო, სიმწიფის ატესტატის აღებამდე შეგო-
სული დღესასწაული. ის დიდი, „ნამდვილი საუბარი“ უცაბედად იქცა...
ცა, სჯობს, დაწვრილებით აგიხსნათ.

სინამდვილეში იმ ჩვენი „დიდი“ საუბრისათვის რამდენიმე წელი ვემზა-
დებოდი. ეს უნდა ყოფილიყო მამის საუბარი ქალიშვილთან, ბავშვთან კი არა,
უკვე ქალიშვილთან, რომელსაც რამდენიმე თვის შემდეგ სიმწიფის ატესტატი
უნდა მიეღო და მამისეული კერა დაეტოვებინა. აღრეც ვაპირებდი მირეჩკას-
თან დარბაისლურ საუბარს, ოღონდ არა მეცნიერებასა და მომავალ სწავლა-
განათლებაზე, არამედ პირადად მასზე. ხშირად გვიან ღამემდე შერჩებოდა მე-
ცადინეობას. ჩემს დას ეძინა, მე კი ვიჯექი, ანდა ტახტზე წამოწოლილს ხელში
გაზეთი მეჭირა. არ ვკითხულობდი. მდუმარედ შევცქეროდი შოლურჯო, სასკო-
ლო წინსაფარში ჩაკარგულ მის თხელ ტანს, ჩაცვენის, სუსტ მხრებს, თეთრ,
წაწვდენილ და სრულიად უმწეო კისერს, თმის კულულებს. ამ დროს თავში
გამიელვებდა სხვადასხვაგვარი, არასერიოზული, სულელური, „არამქვეყნიუ-
რი“ აზრები, რომლებიც ხმამაღლა არასოდეს დამცდენია. ვფიქრობდი, რომ
შინიდან არსად გავუშვებდი, რომ ბოლომდე ასე უნდა ვქსხდარიყავით. ბო-
ლომდე. სუსტი, ნაზი და სრულიად უმწეო მეჩვენებოდა... იჭდა მაგიდასთან და
მესმოდა წიგნის ფურცლების შრიალი. რაღაცას ჩურჩულებდა თავისთვის. რა
ხანია ამ საუბრისათვის ვემზადებოდი. ეს უნდა ყოფილიყო ყველაზე უფრო
სერიოზული საუბარი მამასა და ბავშვობის ასაკს უკვე გადაცილებულ ქალი-
შვილს შორის. უნდა ამეხსნა მისთვის ცხოვრების ავ-კარგი. რამდენი წელი
ვსწავლობდი ამ ცხოვრებისეულ სკოლაში: გამოცდილების გაზიარება. არა მარ-
ტო სასურველია, აუცილებელიცაა. რამდენს ველაპარაკებით ხოლმე სრულიად
უცხო ადამიანებს, ანდა ნაცნობებს მატარებელში, მოსაცდელსა თუ რესტორაბ-
ში... საჭიროა ბოლოს და ბოლოს ბავშვს აუხსნა, რა არის ყველაზე ღირებული,
რის წაღება შეიძლება ცხოვრების საგზლად. ჩვენმა გონიერებამ, ჩვენმა გამო-
ცდილებამ უნდა დაიცვას იგი მრავალი უაზრო შეცდომისაგან. არადა რო-
გორ უნდა იბრძოლოს ამ გოგონამ არსებობისათვის, ბრძოლა ხომ შეუბრალებ-
ბელია. ეს კი აგერ, ახლახან, თოჯინას ეთამაშებოდა. ის თოჯინა აწყამად კარა-
დის უჭრაში დევს, თუმცა მირეჩკა ხანდახან ამოიღებს, იცინის და ესაუბ-
რება.

— მირეჩკა, მეცადინეობა შეწყვიტე და აქ მოდი. მოუჯექი შენს ბებერ
მამას და მოუსწინე. ოღონდ ყურადღება დაძაბე.

— კარგი რა, მამო, ერთ წუთს მაცალე, ამას გადავწერ და მოვალ.
ეს უნდა ყოფილიყო ყველაზე მნიშვნელოვანი საუბარი, მირეჩკამ კი
სრულიად გულგრილად მითხრა, „ერთ წუთს მაცადეო“. „აი, ხომ ხედავ, მი-
რეჩკა რასაკვირველია, გადაწერე... ჩავილაპარაკე გაბზარული ხმით, თუმცა,
ალბათ მომეჩვენა, რომ რაღაც ვთქვი, რადგან მირეჩკას ყურადღება არ მოუ-
ქცევია, რვეულში რომელიღაც ტექსტს იწერდა.

მამაჩემს ჩემთან არასოდეს ჩაუტარებია „გადამწყვეტი“ ანდა „უმნიშვნე-
ლოვანესი“ საუბარი.

— მირეჩკა...
— დიახ, მამო, გისმენ. — ჩემსკენ კვლავ ზურგშექცევით მჭადარი წიგნებს
და რვეულებს ხურავდა.

— ჯერ წიგნები ჩააწყვე. ჰო, ახლა ისე მომიჯექი, რომ მენს სახეს ვხედავდე.



— დღეს რა „დარბაისელი“ ვინმე ხარ!

— არსებობს ადამიანის ცხოვრებაში წუთები...

— არ ვიცი.

— ბრმა ხომ არა ვარ.

— დღეს ძალიან უცნაურად ლაპარაკობ, მამიკო, ან სერიოზული რად უნდა ვიყო, ჯერ ხომ არაფერი გითქვამს?!

პირისპირ ვისხედით და ერთმანეთს თვალებში შევცქეროდით. ანაზღად შევნიშნე, რომ მირეჩკას საულვაშეზე მელანი ეცხო.

— რა, მელანი დალიე?

— არა, კალაში დაიბრიცა და კბილებით ვცადე გასწორება... — მირეჩკან სარკესთან მიიბრინა, საკუთარი სახე შეათვალიერა და სიცილი წასკდა. სულ უფრო და უფრო ხმამაღლა იცინოდა, მერე სარკის წინ ჩაცუცქდა.

— ვაი, ვკვდები... მართლა უღვაში მაქვს... სიცილით ვკვდები...

...ჩვრით ვწმენდდი ვეებერთელა მწვანე და ვერცხლსფერ ბურთებს და მაგიდაზე ვაწყობდი. სათამაშოებს შორის აბურღულიყო შარშანდელი „წვიმა“ და ბამბის „თოვლი“. ხის კენწერო დაბლა დაეწიე და ზედ „წვერო“ ჩამოვაცვი. ხარის ხმა გაისმა.

— კარი გააღე! — გამომძახა დამ. — ხელები დასვრილი მაქვს.

ჩემი და მაგიდასთან იდგა. თასში თევზის ნაჭრები ეწყო, გამოშიგნული ჭანარი ფიცარზე თრთოდა. ხელებდასისხლიანებული ანა კარისაკენ იცქირებოდა.

— რა მოხდა?

დამტარებელმა დეპეშა მოიტანა.

— სალაპარაკოა, ვარშავასთან. მირეჩკა თუ რეკავს.

— რატომ რეკავს, ან საიდან რეკავს?!

— აზრზე არა ვარ, ახლავე უნდა გავიქცე. დეპეშა თხუთმეტზე მოიტანეს. სალაპარაკო თხუთმეტსა და ოცდაათ წუთზეა. მაგათ არასოდეს ეჩქარებათ. ჩავიცვი და კარში გავვარდი.

ფოსტა. შემინულ სალაპარაკო კაბინათა რიგი. მინებს მიღმა მოლაპარაკენი ჩანან. ჩანს მათი ხელების მოძრაობა, სახის შეცვლილი გამოხეტყველება, ტუჩების რხევა. ფრაზები განუწყვეტლივ ხმაურად და ზუზუნად ისმის, ყურს მხოლოდ დროდადრო თუ სწვდება რომელიმე ცალკეული სიტყვა. ერთ-ერთ განათებულ კაბინაში ორი ქალაქელი გოგონა ლაპარაკობს, მესამე ღია კართან დგას. მხრებზე მოკლე ლაბადები და სასკოლო ჩანთები გადაუციდიათ. ერთმანეთს ნიყვრიან, იცინიან. მესამეც ცდილობს კაბინაში შესვლას, მაგრამ შიგნით მყოფნი ხელით ანიშნებენ. მანდ იყავიო. მას, რომელიც ლაპარაკობს, ყურმილი მეგობრის ყურთან მიაქვს, ორივენი გულიანად კისკისებენ. მესამე იძახის: „ვაცეკო ჩერჩეტი, ვაცეკო ვირი, ვაცეკ, უსინდისო ხარ“. მოლაპარაკეთ სახეები ეცვლებათ, იცინიან. ისე ცმუკავენ, თითქოს ცეცვავენო. სმენადქცეულნი ერთმანეთს ეყვრიან, მერე ისევ ტკარცალებენ. მეზობელ კაბინაში ბეწვის საყელოიანი ქალი წრიბინა ხმით რაღაცას გაჰკივის, ყურმილს ხელს აფარებს: „არაფერი მესმის, არაფერი, ხმამაღლა თქვი... ჰო, ბებიაშ დასაკეცი სკამი წამოიღოს! გოცნით... რაო?! გოცნით-შეთქი არა, არაფერი... გოცნით ყველას! რა ვქნა.

არ გესმით და ნუ გესმით... კიდევ! ვინ ლაპარაკობს, ვაციუ, დეიდას რაღაც უნდა უთხრა? ოღონდ ხმამაღლა, არაფერი მესმის... შენც კოცნი დეიდას, ჩემო ტბილო? ვაციუ, კარგად გესმის? ათასჯერ გკოცნი... დედას აკოცე... ნახვამდის, ნახვამდის, პაწიავ... ერთხელ კიდევ გილოცავთ დღესასწაულს და ბედნიერებას და მხიარულებას გისურვებთ!“ გვერდით კაბინაში ქუფიქუფი მუხლით ცი თავს აქნევს, ისმენს, არას ამბობს. იმ ორ გოგონას ორი ტყავისქუჩის მხარეშია პი ამოდგომია. კისერზე ორივეს ზონრებს გამობმული საწოვარები ჰკიდია. დროდადრო საწოვარებს პირში იღებენ. ქალებივით გრძელ თმას ივარცხნიან.

— ვარშავა მეორეში! — ესმის ანაზღად ჰენრიკს მორიგის ხმა.

— მე?

— გამოძახება ხომ თქვენ გაქვთ? მეორეში მიბრძანდით, მეორეში!

— მაპატიეთ! — ჰენრიკი კაბინაში შედის. კარს ხურავს. ყურმილს ერთი ზუზუნი გააქვს... ქალის შორეული ხმა რაღაცას ამბობს, მაგრამ ჰენრიკი სიტყვებს ვერ არჩევს. ნოთმინებით იცდის. ბოლოს კითხულობს:

— მირეჩკა, შენა ხარ? ხმამაღლა ილაპარაკე!

ყურმილში ახლა გარკვევით ისმის:

— გთხოვთ, ცოტა ხანს მოითმინოთ, ვარშავასთან ახლავე შეგაერთებთ! — ჰენრიკი ყურმილს ყურზე იკრავს. მოგუდული, ძალზე სუსტი ხმა ესმის, თითქოს მოსაუბრე სქელი კედლის მიღმა იდგეს. ანდა პირი საჭმლით ჰქონოდეს გამოტენილი. მაგრამ ჰენრიკს ერევენება, თითქოს ნაცნობი ხმა გაეგონოს.

— მირეჩკა, შენა ხარ? რა დაგემართა, შვილო? რატომ რეკავ? ჯერ არ წამოსულხარ? მე შეგონა, უკვე მატარებელში იჯექი და ნოდლიოდი, შვილიკო! გესმის ჩემი ხმა? რა? არაფერი მესმის... ძალიან შეცვლილი ხმა გაქვს... ალბათ ცივი დალიე რამე! არა უშავს რა! შინ გამომჯობინდები და ნოდლიონიერდები, როგორც მამიდა ამბობს... ნაძვის ხე უკვე ვიყიდეთ. რატომ არაფერს ამბობ? — ჰენრიკი კაბინის კარს აღებს და მორიგეს გასძახის:

— ძალიან გთხოვთ, არაფერი მესმის! — და კარს ისევ ხურავს.

ცოტა ხანიც და მის სმენამდე საკმაოდ მკვეთრი ხმა აღწევს:

— მაპატიეთ, მე ამხანაგი ვარ, დიახ, მირეჩკას ამხანაგი, მირეჩკამ მთხოვა თქვენთვის შეცნობებინა, რომ ვერ ჩამოვა, რადგან ავადაა, საშიში არაფერია, არა!

ჰენრიკს რაღაცის თქმა სურს, მაგრამ ქალიშვილი სწრაფად ლაპარაკობს და ხმის ამოდებას არ აცდის.

— თან გადადებული გამოცდები უნდა ჩააბაროს და პრაქტიკაც გაიაროს... უბრალო ანგინა აქვს, ჩვენ ვუვლით. მთხოვა, შობა მის მაგივრად მომელოცა თქვენთვის და მამიდასათვის! დიახ, წევს, მაგრამ სიტყვას გაძლევთ, საშიში არაფერია. ალბათ ნაახალწლევს ჩამოვა... Ciao! — ყურმილში სიცილი ისმის. — თქ, მაპატიეთ!

— ალო... ალო... — ჰენრიკს ყურმილი კიდევ ხელში უკავია. ანაზღად მორიგის ხმა ესმის: — ვარშავამ ლაპარაკი დაასრულა. დიახ, უკვე გათიშეს! დიახ, პან, ვარშავამ ლაპარაკი დაასრულა.

სამობაო ვახშამს ჩვენ ორნი შევექცით. შინ დაბრუნებულს ქააქათა სუფრაგადაფარებული მაგიდა სამი კაცისთვის დამხვდა გაწყობილი. ხაქვი, ხეც მორთული იყო. ხის ქვეშ საჩუქრებიანი შეკრულები ეწყო. სეფისკვერი უხმოდ გავტეხეთ. ერთი ნატეხი მირეჩკას თეფშთანაც დავდეთ. ვახშობას საკმაოდ

სწრაფად მოვრჩით. დამ მადლობა გადამიხადა „ანგელოზის“ ნოტანილი თბილი წინდებისათვის, მე კი საჩუქრად შესანიშნავი ტერმინოლოგიური კალენდარი მივიღე. სწრაფი მატარებელი დილის ხუთზე გადიოდა.

ვახშამს მოვრჩით თუ არა, უმაღლვე შევუდექით მირეჩკასთვის წასაღები სანოვაგის ჩალაგებას. ჩემი სამგზავრო ჩემოდანი გამოფხვნილი

— ყველანაირი საჭმელი ჩავუწყით, — თქვა ჩემს სამგზავრო ნამდვილი საშობაო სუფრა გამოუვიდეს.

— ნუთუ ლაბაც ჩააღწევს?

— ქილაში ჩავდებ. კარგად მოვხუფავ და ლაბა რომც გალღვეს, არა უშავს რა, წვნიანიც გემრიელი იქნება, მით უფრო, თუ ყელი სტკივა, უკეთესიცაა, ცივს თუ არ შეჭამს.

— ეგ უაზრობაა, შენწვარი თევზიც საკმარისია.

— დამიჯერე, ვიცი, რასაც გეტუბნები, თითებსაც ჩაილოკავთ და მეც გამოხსენებთ... ხომ არ გგონია, იმ საერთო საცხოვრებელში სანატორიუმი ჰქონდეთ? სადღესასწაულოდ ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, მირეჩკა კი ალბათ მარტოკა წევს... ქაშაყზე დიდი ბოდინში, სამაგიეროდ, მირეჩკას საყვარელ ნამცხვარს გატან... მოკოლაღითა და ქიშინით გამოვაცხვე.

ჩემმა დამ ნამცხვარი ყუთში ჩადო და შრამუნა პერგამენტი შემოახვია. ლაბიანი ქილაც საგულდაგულოდ მოხუფა. მერე ჩანთაში თბილი ჩაყარა. არც ვაშლი და ფორთოხალი დავიწყებია.

— ნამდვილი საშობაო სუფრა ექნება, — თქვა, — საჩუქრები ცალკე ჩავუწყით, ასე უფრო საიმედოა. ურიგო არ იქნება, ერთ ბოთლ ღვინოსაც თუ წაიღებ. ერთად დაღვეთ. შემთბარი წითელი ღვინო ორივეს მოგიხდებათ, ვინ იცის სადღესასწაულოდ გათბობაც განოთიშული იყოს. მოიცა, ეგებ მირეჩკასათვის ერთი ხელი თბილი თეთრეულიც წაგელო? ავადმყოფ ბავშვს კიდეც გაუხარდება, პიყამოს თუ ჩაუტან. ნახმარი თეთრეული გაგიხვიოს და გამოგატანოს.

ჩემი და სწრაფად და ბევრს ლაპარაკობდა, მაგრამ ანაზღად დადუმდა. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ნაძვის ხეზე ერთი სანთელი ავანთე. მე და ჩემი და შორიანლო გავირინდეთ, მერე დამ მაგიდის ალაგება დაიწყით და უცებ შეპყვირა: — ჩემი სიყვდილი... რამ დამავიწყა... ადამიანი რომ ხანში შედის, ჰკუთავლდება... ჩვენ ხომ ვარდის ხილფაფიანი თაფლაკვერებიც გვაქვს! ჩემოდანში კიდეც ბევრი რამ ჩაეტევა, შენ კი უარზე ხარ... თაფლაკვერები ორ კვირაზე მეტს სძლებს.

— დაღლილი ხარ, დაწექი.

— შენ?

— ცოტას წავიკითხავ და დავწვები.

— მატარებელი რომელზე გადის?

— ხუთზე, მაგრამ ოთხზე უნდა ავდგე.

დამ ჩემოდანი დაკეტა.

— ერთი საკეტი გაფუჭებულია, მშვიდად რომ იყო, ჩემოდანს თოკი შემოუჭირე, თორემ შეიძლება გზაში გაგეხსნას. მაგარი თოკია, ოღონდ, თეთრია.

— არა! თოკშემოჭერილ ჩემოდანს ხელში როგორ დავიტყურ! თანაც, თეთრი თოკი გქონია. ავდგები და ქამარს შემოვუჭერ. — მაგრამ სახლში შესაფერი-სი ქამარი ვერ ვნახეთ. მეტი რა ჩარა იყო, ისევ თოკზე დავყაბულდი.

— ვერაფერს შეამჩნევს, — მამშვიდებდა და, — იმ დროს ქუჩაში ვინ იქ-

ნება. საჭმელს რომ ამოალაგებ, შეინახე და უკან წამოიღე, ჰაგარი თოკია, კიდევ გამოგვადგება!

ისევ მღუმაარება ჩამოწვა. ჩემი და ოთახიდან გავიდა.

ფეხსაცმელი და პიჯაკი გავიხადე. ტახტზე დავწვი და შუქი არ ჩამიქრია. შუალამისას ეკლესიის ზარები ააგუგუნეს.

საბანო წავიდარე.
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადგურში ხალხმრავლობა არ ყოფილა, მაგრამ ტახტის დაჭერა მაინც გამიჭირდა. გზა გავიკითხე და ფეხით წავედი, ხელში ჩანთა და თოქშემოჭერილი პაწია ჩემოდანი მეკავა. საერთო საცხოვრებლისაკენ მიმავალი ნირეჩკასა და ამ თოქზე ვფიქრობდი. დავაკაკუნებ. მირეჩკას ოღნავ შეცვლილ ხმას გავიგონებ. ოთახში მარტო იქნება, დანარჩენი გოგოები სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. ანგინა არც თუ ისე საშიში ავადმყოფობაა, მაგრამ მაინც კლოგინში წოლა სჭობია. შესაძლოა, ანგინაც არ იყოს და უბრალოდ ყელი მტკიოდეს. ცივ წყალს დალევდა, ანდა ნაყინს შეჭამდა... არა, ნირეჩკა, თქვი ერთი, რომელი ჭკუათამყოფელი ჭამს დეკემბერში ნაყინს? პატარა რომ იყო, მუხლზე დაგისვამდი და ყურს აგიწევდი. აბა, მაჩვენე ყელი... პირი გააღე და თქვი ააა... ოღნავ შეგწითლებია, მაგრამ არა მგონია, ანგინა იყოს... სიცხე თუ გაიზომე? რასაკვირველია, არა. ოთახში თბილა და სიმყუდროვეა, სარკმლის რაფაზე ყვავილი დგას. ეს ოთხი საწოლი რომ არა, რა უშავდა...

— ახლავე ავადგები, მაძილო, კაჟივით ვარ, ოღონდ ყელი მტკივა ოღნავ. ოთახში ძალიან თბილა. — მირეჩკა ხალათს შემოიცვამს... მუხლზე დაქისკუბდება, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ, როგორც ბავშვობისას იცოდა ხოლმე, კისერზე ხელებს შემომხვევს და ჩემს მკერდში თავჩარგული გაიტრუნება.

უცებ დინჯი, დარბაისლური ხმით შეტყვის:

— ძალიან მიხარია შენი ჩამოსვლა. მთელი დღე და მთელი საღამო ერთად ვიქნებით.

— რა თქმა უნდა... მაგრამ ყური დამიგდე! ჯერ სადღესასწაულო საუბრე ვქამოთ... უფრო სწორად, საშობაო ვახშამი. თუმცა, რას ვამბობ, რა მნიშვნელობა აქვს დილას და საღამოს. როგორ შეხვდი შობას? მარტოცა, ცარიელ ოთახში და ისიც კლოგინში მწოლარე, არა?

— რას ამბობ, მამი, საღამო მშვენიერად გავატარე. ქალაქიდან ჩემი მეგობარი გოგონები და ერთი ვაჟი მოვიდნენ! აგე, შავიდაზე რომ პატარა ხე დგას, მათ მომიტანეს.

მართლაც, ახლალა შევნიშნავ ქოთანში ჩადგმულ პაწია, მწვანე ნაძვის ხეს... ტოტებს ბამბის თოვლი ადევს... დავყნოსავ... ლინოლეუმის კაუჩუკისა თუ რაღაც ამგვარის ხელოვნურ სუნს ვიგრძნობ.

— ნამდვილი გეგონება, — იტყვის მირეჩკა, — უფრო ღამაზიც კია... თან არც წიწვი სცვივა. იცი, ეს იმ ჩემმა მეგობარმა ვაჟმა მომართვა. ხომ მართლა ღამაზია... ალილოც ვინღერეთ... გადასარევი საღამო იყო. შოიცა, ჩაის ავადუღებ.

ჩემოდანს სკამზე ვდებ, მაგრამ გაკვანძულ თოქს ვერაფრით ვხსნი და იბულებელი ვხდები ჯაყვით გავჭრა. ჩემოდნის გახსნა და... მირეჩკა ბალდივით შემოჭკრავს ტაშს, რიგრიგობით ამოალაგებს საჭმელს და სასუსნავს. თან ყოველი მათგანის ამოღებაზე კივის და ჭყლოპინებს.

— წითელი ღვინო არ გაწყენს, — ვიტყვი და ჭიქებს შევავსებ.

ბოლოს, როგორც იქნა, მივალწიე იმ დიდ სახლამდე, რომელშიც ეს რამდენიმე თვეა, მირეჩკა ცხოვრობდა. უკაცრიელ შენობაში სიწყნარე სუფევდა. პირველად ვიყავი მირეჩკას „მეორე სახლში“. ვითომ „მეორეში“ იგი ხომ აქ ატარებდა თავის ყოველ ბედნიერ თუ უბედურ წამს. თვალი შევავლე კედლებზე გაკრულ აფიშებსა და განცხადებებს, ვიტრინებში გამოფენილ მსურათებს. მორიგე ქალმა ნისვლის მიზეზი მკითხა. ჩემი გვარი დასახელის ვუთხარი. ერთხანს რაღაც სიას უცირკიტა, მერე ქალაღლები ქექა და ბოლოს განმიცხადა, ერთი თვე იქნება, რაც მირეჩკა აქედან გადავიდა.

— ისე, მისამართი დაგვიტოვა. აგერ, მის სახელზე წერილებია. რადგან მაინც მიდიხართ, ბარემ წაუღეთ. — და სამი წერილი განომიწოდა. მათ შორის იყო ამ ორიოდ კვირის წინ ჩემს მიერ გამოგზავნილი წერილიც.

— ეგებ რომელიმე მისი ამხანაგია შინ, ორიოდ სიტყვას ვეტყუოდი.

— ოთახის გასაღები ნე მაქვს, ყველანი სახლებში წავიდნენ.

მირეჩკას ახალი მისამართი ჩავიწერე და გარეთ გავედი. ქუჩაში კაციშვილი არ ჰქაჩანებდა. თოვა დაიწყო. ბედად, ტაქსი შალე გამოჩნდა. მძღოლს გამოველაპარაკე, მაგრამ ხმა ვერ ამოვალებინე. რასაკვირველია, მირეჩკა ბინას დაიჭირავებდა, საერთო საცხოვრებელში ხომ ოთხნი ცხოვრობდნენ ერთ ოთახში. მაგრამ, რატომ არაფერი მოიწერა. ჩანდა, მან და მისმა მეგობარმა ერთად იჭირავეს ბინა და იქიდან დარეკეს... ეგებ ასეც სჯობდა.

მირეჩკას ახალი ბინა მეექვსე სართულზე მდებარეობდა. კარზე არავითარი წარწერა არ ჩანდა. ერთხანს სული ნოვითქვი, თმა გადავივარცხნე; რაც არ უნდა თქვა, მეექვსე სართული შაინც მეექვსე სართულია. დავაკაკუნე და ყური მივუგდე, ეგებ რაიმე ხმაური გავიგონო-მეთქი, მაგრამ კარს მიღმა ჩამიჩუმი არ ისმოდა. მხოლოდ მოგვიანებით შევნიშნე ზარის ღილაკი. ორი მოკლე-მოკლე ზარი დავრეკე:

სძინავთ... კიბის რადიატორი გადახურებული იყო და დამცხა. ჩემოდანი კართან დავდე. არა მაინც რამ მოგვაფიქრა თოკის შემოჭერა. ახლა იგი აღარაფრის მაქნისი იყო. გავხსენი დ ჯიბეში ჩავიჩურთე. მეორედ დავრეკე, ამჯერად ღილაკისთვის თითი არ ნომიცვილებია. ჯერ შეძახილი გავიგონე, მერე ფხსაცმილის ფრატუნის კარი ნამძინარევა ახალგაზრდა კაცმა გამიღო.

— რა მოხდა, დეპეშაა? ღმერთო, რა ამბავია? — და თმა გაიხსორა. ცაუღიძე.

— დეპეშა კი არა, შამა ვარ. — ჩენი აზრით, მოსწრებულად მივუგე. ვაჟმა ჯერ მე შემაელო გაოცებული მხერა, მერე ჩემოდანს გადახედა.

— ალილოზე დადიხართ? ცოტა დაგავვიანდათ.

ვიფიქრე, კმარა ხუმრობა-მეთქი და დარბაისლურად ვკითხე:

— განა მირკა აქ არ ცხოვრობს? ნუთუ შევცდი და ეს ცოლ-ქმარი კოვალსკების ბინა არ არის?

ვაჟმა დაამთქნარა და პირზე ხელი აიფარა. კარადსავით ვიწრო დერეფანში ვიდექით.

— მაპატიეთ, ძილი დაგიფრთხეთ, მაგრამ პირდაპირ სადგურიდან მოვდივარ, ღამის მატარებელს ჩამოვყევი. ჩემი ქალიშვილის ოთახი ნაჩვენებთ და მეტს აღარ შეგაწუხებთ.

— თქვენთვის მართალი არ უთქვამთ... მაპატიეთ. არ ვიცი, როგორ მოგმართოთ... მე ჰარი ნქვია... ჰარი კოვალსკი.

ერთმანეთს ხელი ჩაშოვართვით. ამ ახალგაზრდა, ნამძინარევი კაცისადმი კეთილად განვეწყვე...

— კარგი სახელი გქვიათ, ოლონდ, გვართან შედარებით ოდნავ უცხოურად ელერს... — ბინაში საოცარი მდუმარება იდგა.

ვაჟმა გაიღიჟა, შესაძლოა, არც გაუღიწია, უბრალოდ სახე დაეღმრა. — საერთო საცხოვრებელში თქვენთვის ტყუილი უთქვამთ.

— არა, მაინც რა ძილისგუდაა ეს ჩემი ქალიშვილი, ვერც ზარმა გააღვიძა, ვერც ჩვენმა ლაპარაკმა. აღარ შეგაწუხებთ, შევალ და თავად გავაღვიძებ.

— ძვირფასო პან, აჰ, ჩემს გარდა, არავითარი ცოლ-ქმარი კოვალსკები არ ცხოვრობენ; არც თქვენი ქალიშვილი არ ცხოვრობს ამ ბინაში.

ნისაშართიანი ქალაქი გავუწოდე. დახედა და უკან დამიბრუნა.

— შეცდომაა?

— როგორ გითხრათ... შეცდომაცაა და არც არის. — ვაჟი შეყოყმანდა. — ასე ხომ არ ვიდგებით, ერთი წუთით შემოდით.

— დიდი ბოდიში, რომ შეგაწუხებთ, მაგრამ ახლავე უნდა წავიდე.

— სად მიდიხართ?

— ქალიშვილთან.

— შემოდით, შემოდით, ოლონდ, არეულობან არ შეგაშინოთ, მოგეხსენებათ უცოლო კაცის ცხოვრება; ქალიშვილთან წასვლას კიდევ მოასწრებთ. გთხოვთ, გთხოვთ... — ვაჟმა სკამიდან რაღაც ქალაქლები და წინდები გადაქარა. — მაპატიეთ, — სვიტერი ნაჩქარევად გადაიცვა. ხალათი ტახტზე მიადგო. სკამზე ლაბადიანად ჩამოვჯექი. ჩემოდანი წინკარში დავტოვე.

კედლებზე ქურნალებიდან ამოჭრილი ფერადი სურათები გაეცრა.

ქერა ახალგაზრდა ოთახის შუაგულში ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და თავდახრილი იდგა, თითქოს გაქეჩილ ფლოსტებში წაყოფილ საკუთარ ფეხებს ათვალიერებდა. შემოტყეცილი ზოლიანი შარვალი ეცვა და სვიტერი, გოლფს თუ რაღაც ამდაგვარს რომ ესახიან. სიგარეტს დინჯად მოუკიდა, მეორე სკამი მოიტანა, ჩემს პირისპირ დადგა და დაჯდა. დაკვირვებით შემომხედა, თითქოს ჩემი ლაბადის, ფეხსაცმლისა და პერანგის აღწერა სურდა. აღგომა დავაპირე, მაგრამ ხელი გამოსწია და მუხლზე მსუბუქად შემეხო, თან თვალმოჭუტულმა შემომხედა. შევამჩნიე, ნაზი, თეთრი ხელები ჰქონდა, ოლონდ ეგ იყო, ფრჩხილებქვეშ ტუტყის შავი ზოლები მოუჩანდა.

— დიდი ბოდიში, — წარმოთქვა პარიმ, — ვინ ხვდება სტუმარს ფლოსტებიანი, — სკამიდან წამოხტა და წინკარში გავიდა. ოთახში შემობრუნებულს შავი, უცნაური ქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა.

პარი სწრაფად მიმოდინდა, ჩერდებოდა... ოციოდ წლისა თუ იქნებოდა. მწყაზარ ნაკვთებიანს და ჭერაც ბავშვურად პირმრგვალს, ასაკი არ ემჩნეოდა. კობტად გამოყვანილი მსხვილი ვარდისფერი ბაგე ჰქონდა. ცხვირი მოკლე, გრძელი, საკმაოდ შეთხელებული, ყურებზე გადმოშვებული თმის კულულები ნეილონის საყელოზე სცემდა. მაღალი, გამხდარი, ოდნავ მოღვენთილი და როგორღაც დაუდევარი, ხელებს თეატრალურად შლიდა. პენრიცი დაძაბული შეპყურებდა ამ უცხო სახეს და დროდადრო გამომშრალ, დანძიმებულ ქუთუთოებს ლულავდა. ახალგაზრდა კაცს სახე ბაღლისას მიუგავდა. თუმცა, გამომეტყველება მაღიმალ ეცვლებოდა. ხან საშინელი დასანახავი უხდებოდა, ხანაც ულამაზდებოდა და კეთილი ღიმილი დასთამაშებდა. ოლონდ ვაჟს თავისი

სახისთვის შეუფერებელი, მეტისმეტად პაწია ცხვირი ჰქონდა. არც პაჭუა ეთქმოდა, არც კეხიანი, არც ბერძნული, არც ჩვენებური. მოკლე, სკოლამდელი ასაკის ბიჭუნას მოცუცქნული ცხვირი ჰქონდა. დაეცემოდა თუ არა სახეზე შუქი, საუღვამეზე მეჩხერი ღიზილი აუბრიალდებოდა. თვალები თაგვისყურას მიუგავდა, ოღონდ საშრობი ქაღალდისაგან გამოჭრილ, მარჯვენაზე

— ასე რად მოცქერით? — ჰკითხა ვაჟმა.
 — ამ ამბისა ვერაფერი გავიგე. თქვენ ჩემი ქალიშვილის საქმრო ხართ? ჰარის სიცილი წასკდა და გაიმეორა: — ქალიშვილის საქმრო... ჰა, ჰა...
 — შეყვარებული თუ რას ეძახით მაგას თქვენებურად?
 — რა ვიცი, აბა, სხვადასხვა სახელს ვეძახით, — ფიქრიანად მიუგო ჰარიმ.
 „მაშ, ეს მირეჩკას „საქმრო“ ყოფილა, — გუნებაში გაივლო ჰენრიკმა და დაურიდებლად ჰკითხა:

— რას საქმიანობთ?
 ვაჟს რომ შეცბუნება შეატყო, ჰენრიკმა კითხვა დაუზუსტა:
 — იმას გეცითხებით, რას აკეთებთ, ე. ი. რას სწავლობთ-მეთქი.
 — სისულელეს... ვმსახურობდი, მაგრამ ამჟამად უმუშევარი ვარ. თუმცა სწავლის გაგრძელებას ისევ ვაპირებ, ან არადა, ისევ სამსახურს დავუბრუნდები, სინდისს გეფიცებით, მუდმივი სამსახური მენატრება!.. ხანდახან ვფიქრობ, მაინც არაფერი მეშველება, სხვებს რით ვჯობივარ, მეც მათსავით ჩვეულებრივი ადამიანი ვარ-მეთქი...

ჰენრიკმა მის ხმაში გაბოროტება და ირონია იგრძნო.

— სიტყვა გამიგრძელდა, თქვენ კი ალბათ მირაბელკას ამბავი უფრო გაინტერესებთ.

— მირაბელკასი?
 — ჩვენს წრეში ასე ვეძახით. მიროსლავას გაგონებაზე ყველა სიცილით იგუდება. თუმცა, თქვენი ნებაა... უნდა გამოგიტყდეთ, თვეზე მეტია, შირკასთან აღარ დავდივარ, ერთმანეთს აღარ ვხვდებით. ეს ყორყმაც იცის, რადგან ახლის დადის მასთან... ყორყის ნახვას თუ მოისურვებთ, გეტყვით... ხომ საკუთარ თვალთ ნახეთ, რომ ამჟამად მარტო ვარ. ხანდახან ვფიქრობ, რომ ჩემი წილი ცხოვრება უკვე მოვჭამე და აღარაფრის იმედი არ უნდა მქონდეს... ყორყმა ამას წინათ მოთხრა, მირაბელკა შარიოლასთან ცხოვრობსო. ეგ მისი აღრიზდელი ქალია. ორი თვეა მათკენ არ გამივლია და აზრზე არა ვარ, როგორ არიან... ისე ყორყეს...

— ეგ ყორყი ვინლაა?

— ჩემი ძმაცაცია.

— ამხანაგი?

— ჰო, შეიძლება ითქვას, ამხანაგი. ყორყეს არაფერი შეეშლება. თუმცა ზოგიერთ საკითხზე, მისგან განსხვავებით, მე სხვა აზრი მაქვს. სასწავლებელში ერთად დავდიოდით, მაგრამ ყორყმაც თავი დაანება. ამჟამად მეც სხვა რამით ვარ გატაცებული.

ჰენრიკი ახალგაზრდას დაუინებით შესცქეროდა სახეში, თითქოს მის ნაჩქარევად, ხანაც ღიზად და ხელოვნურად წარმოთქმულ ფრაზაში ამოკითხვა სურდა იმისა, რაც მათში სულაც არ იგულისხმებოდა. ჰარის გადატყეცილი, თითქოსდა ნოტიქული სახე ჰქონდა. პაწია, დაბუნტულ ბაგეებზე ღიმილი დასთამაშებდა, მაგრამ ამ ღიმილში თვალები არ მონაწილეობდნენ.

— მაშ, მირეჩკას ამბავი არ იცით? დღესასწაულზე სახლში არ ჩამოვიდა.

მისმა ამხანაგმა დარეკა, ანგინა აქვს და წევსო... ძალიან გთხოვთ, იმ ამხანაგის მისამართი მითხარით...

— მარიოლასი? ნუ ღელავთ... მარიოლა გიყია... ალბათ რამდენი სისულელე წამოროშა... ნაღდი იდიოტია. მირაბელკა გუშინ „პოლონიამში“ დავინახე ვილაც ბიძასთან ერთად. — ანაზდად ჰარიმ საუბარი შეწყვიტა და მეტყველებდა ხარა. — რას ვბოდავ... თავად მაქვს სიცხე... ნოკლედ, მირაბელკა „მეტირნიკსმეტირნიკს“ ეორეთან ერთად იყო. მისამართს ახლავე მოვძებნი და მოგცემთ. — ჰარიმ გაიღიმა.

— მშვენივრად მესმის თქვენი, როგორც მამისა... ლაბადა გაიხადეთ, თორემ ძალიან ცხელა, თითქმის ოცდაათი გრადუსია... მეტირნიკსმეტად ათბობენ. სარკმელი თუ არ გამოვალე, დავიხაშმებოთ... მოგეხსენებათ, თავს დავიმართობელებ თუ არა, მთლად დედისმობილა დავდივარ, როგორც მამა ადამი სამოთხეში მიბოძეთ, — ვაჟმა ჰენრიკს ლაბადა ჩამოართვა და კარზე ჩამოჰკიდა.

— ჯობია, ჩემთან მოიცადოთ, თორემ იქ მაინც კართან ყურყუტი მოგიწევთ. შუადღემდე სძინავთ... თან დღეს უქმეა... მარიოლას გუშინ წვეულება ჰქონდა... მართალია, მირაბელკას საქმრო არა ვარ, თავს ვალდებულად ვთვლი, ავიხსნათ... ადრინდელი გატაცება იყო და მორჩა... არ სვამთ?... ერთი ბოთლი წითელი ღვინო მაქვს. უარს ნუ მეტყვით. — ვაჟმა ჰიქები იატაკზე დადგა, ღვინო დაასხა და ჰენრიკს მიაწოდა.

— მაპატიეთ ასეთი არეულ-დარეულობა... მაგრამ მოგეხსენებათ მართობელა კაცის ამბავი.

ერთი ყლუბი მოსვა და ანაზდად დინჯი, ხნიერი პედაგოგისა თუ პენსიონერისათვის დამახასიათებელი დარბაისლური კილოთი წამოიწყო: — აბა, რა გითხრათ თქვენს ქალიშვილზე... მაინც რა? ძალზე უინტერესო ვინმეა, უღინდამო, ცივი და სრულიად გამოუცდელი. კარგად არც კი ვიცნობ, რადგან მხოლოდ რამდენიმე თვე დავდიოდით ერთად. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში, ერთხელაც არ გამიგონია, რაიმე ორიგინალური, ანდა მახვილგონივრული ეთქვა. ერთმანეთს მშვიდობიანად, უცრემლოდ დავცილდით... Ciao, Ciao... მისთვის ასე ჯობდა. უნდა გამოგიტყდეთ, მე ძალიან უზიაკი კაცი ვარ. ძნელია, გარეგნული შესახედლობით განსაჯო, რა ტრიკლებს ადამიანის გულში... — ჰენრიკის თავთან მდგარ ჰარის გაეღიმა და მისთვის არც შეუხედავს, ისე განაგრძო:

— იცით, რას ვაკეთებ?... ვქმნი... მაგრამ ეს ვის ენაღვლება. მივატოვე სწავლა, ოჯახი, მეგობრები. უარი ვთქვი ყველაფერზე, დედაჩემის გამოგზავნილი ორიოდ პოლონური ზლოტითლა ვსულდგმულობ და ვწერ, ვწერ, ციებიანივით ვწერ... ნიჭისა კი რა მოგახსენოთ, ან მაქვს, ან არა... თუ გენიოსი ხარ, ყველაფერი გეპატიება; ამ თემაზე სარტრს აქვს კარგად ნათქვამი და მეც სწორედ ამაზე ვწერ, თუმცა იგი ანუამად რაღაცას მიედ-მოედება, მარქსისტობას იჩემებს, ბატონო ჩემო! ახლა სხვა ხმაზე მღერის... ეშმაკმა დალაზვროს, ჩემი თავისა ვერაფერი გამიგია... რამდენ გვერდსაც დავწერ, უმაღვე ვხევ, ყველაფერს ვანადგურებ, რაც კი ოღესმე შენიქმნია, ხან კი ისეთი ფიქრი ამეცვიატება, ყოველი ჩემი სტრიქონი ნაღდია-მეთქი, მაგრამ უმაღვე, ჭედს ვხრი... ეორეი დამცინის! შვილის ამბის გასაგებად მოხვედით და თქვენი, როგორც მამისა, მშვენივრად მესმის, მაგრამ შემოდინხართ უბოდიშოდ, დროს მართმევთ, იმას კი არ კითხულობთ, გულში რა ცეცხლი მიტრიალებს... იცოდეთ, ამჟამად ჩემთვის ქალები არ არსებობენ!

ჰარი სკამიდან წამოიჭრა, ჰიქა იატაკზე დადო.

— ქალებთან კინკლაობა და ცემა-ტყევა, მეტია, ვიდრე სიამოვნება. არ იცით, რა თქვა ერთხელ შოპენმა? რა და, ყოველი დარტყმა ერთ მახურკად მიღირსო. ერთი დარტყმა და ერთი ნაწარმოები! მეც სწორედ ასე ვფიქრობ და თავს შთავაგონე, მორჩა-მეთქი! — ჰარიმ სარკმელი დახვდა ჰიქა ჰენრი-კისაკენ გაიშვირა: — გაგიმარჯოთ! იცით, ძალიან მომეწონებოდა თქვენთან, ასე დაურიდებლად რომ გამოვთქვამ გრძნობებს, მაგრამ ეს ~~ქვეყნის მატყუარაა!~~ გამჩნევთ, ისე წრიალებთ, თითქოს ნემსებზე იჯდეთ, მაგრამ გარწმუნებთ, ტყუილად ღელავთ.... ახლავე დაგიწერთ მარიოლას მისამართს. ოღონდ, არ დაგცდეთ, რომ მე გაგაგზავნეთ, უთხარით, რომ მისამართი ცნობათა ბიუროში, ან სულაც, საერთო საცხოვრებელში გაიგეთ. მაგრამ ახლავე რომ წახვიდეთ, შეიძლება ტყუილი გარჯა გამოგივიდეთ, რადგან მარიოლას ხანდახან ისეთი ხუმტური მოუვლის, შინ არავის უშვებს. კარის შემტვრევა მოგიწევთ... გეცინებათ? ძალიან გთხოვთ, ჯერჯერობით ჩემთან იჯექით! ყველას აჯობებს, შუადღისას წახვიდეთ. დიახ! უცებ გავვარდები და მარიოლას დავურევავ... აგერ, მეზობლისგან... ტელეფონი აქვთ. ყველაფერს გავიგებ და გულდამშვიდებულს გაგიშვებთ. ალბათ ძალზე მომქანცველია ბარგი ანდა ქუჩა-ქუჩა სიარული. რაიმეთი გაერთეთ და ახლავე მოვალ. — ჰარი ოთახიდან გავიდა, ოღონდ კარი არ დაუკეტავს.

— ყველაფერი ისეა, როგორც გითხარით, — შესძახა ჰარიმ, — ჯერ არ დაბრუნებულან. შინ შუადღისას იქნებიანო. ძალიან გთხოვთ, ნუ მომერიდებით და ჩემთან დარჩით. თქვენს გასართობად ერთგვარი გეგმაც კი შევადგინე. არა, საშიში არაფერია! — ჰარი დადუმდა და კარგა ხანს იდგა თავჩაქინდრული. მერე შარვლის ჯიბიდან რამდენიმე დაკუჭული ფურცელი ამოიღო, მაგრამ უმალვე შეინახა. — თუ თქვენი სურვილიც იქნება, მომისმინეთ... თუმცა, იდიოტი ვარ... ახლა წამოწოლა ალბათ ყველაფერს გირჩევნიათ!

— არა, არც დაღლილი ვარ და არც მეძინება, მხოლოდ მირეჩკას დარდი მაქვს. ავად თუა ლოგინში უნდა იწვეს, თორემ შესაძლოა, ანგინა გაურთულდეს.

— არაფერიც არ გაურთულდება, გავიგე, ძალიან კარგად ყოფილა. მართლა, მართლა, დამიჯერეთ, მირაბელკა კაჟივით არის, — ჰარიმ დაკუჭული ფურცლები ისევ ამოიღო.

— იცით, — თქვა დაუდევრად, — ეს არის ჩემი ცხოვრებისეული ნაწილი და მხოლოდ ამზე ვმუშაობ. თუ აქაც არ გაგიმართლა, არ ვიცი, რას ვიზამ. ამგვარ პაწაწკინტელა ფურცლებზე ვწერ და მართალია, ჯერ არ დამილაგებია, მაგრამ მშვენივრად ვიცი, მთლიანობაში რას წარმოადგენს. თუ მომისმინო, მთელ მოქმედებას ზეპირად გადმოგცემთ, თუმცა, მოქმედება, აქ ჩვეულებრივი გაგებით არ ხდება. ამეამად ეს საქმე სულ სხვანაირად გამოიყურება და ძველებურ სიუჟეტებს ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბოლო, ვინდა დაგიდეფს ძველმოდურ ამბებს, სადაც დასაწყისი და დასასრული თავთავის ადგილზე იყო. იცით, ახლა ყველაფერი შეცვლილია, კინოდრამატურგიაცა და თეატრის დრამატურგიაც, მოკლედ, ყველაფერი... მაშ, დავიწყო?

— კი ბატონო, გთხოვთ.

— ეგებ წამოწოლა გირჩევნიათ, ნუ მომერიდებით. აგერ, ტახტზე უფრო კარგად მოისვენებთ... შეგიძლიათ ფეხსაცმელი გაიძროთ და ფლოსტები ჩაიცვათ. ჩემთვის სულ ერთია, როგორც გსურთ. მაშ, ამბავი ხდება ყველგან და

არსად, მაგრამ სინამდვილეში ეს ჩვენი ხდება. სულელურად ვიწყებ, თუცა, დასაწყისში ყოველთვის ასე მემართება, მერე კი, არა მიშავს რა, სათქმელს დაღვებით ვყვები. მაშ, ამბავი ზღვის სანაპიროზე ხდება. მზის ჩასვლის დროა, მოჩანს პლაჟი. იქით ზღვაა და ზვირთცემა. ტალღები ქვიშიან სანაპიროსაკენ მოქცევა და ისევ ზღვის წიაღს უბრუნდება. და ანაზდად საორღანო მუსიკა ისმის. ბახი. მერე ეს მუსიკა განიმცვრევა და სმენას ჯახის ყაიდაზე გადაკეთებული ბახის მუსიკა სწვდება. არაფერი არ ხდება, ოღონდ მოჩანს ქვიშაზე მიმოყრილი ყუთები, ქალაღები, ცარიელი კალათები და სხვა. მაგრამ კამერა ვრცელ პანორამას ნობახავს და მოულოდნელად საბურღავ მოწყობილობაზე ჩერდება. ეს ნავთობის საბადოს მაძიებელი გეოლოგების ბანაკი თუ კარიერის მიდამოებია. იცით, ეს ისეა ჩაფიქრებული, რომ პროდუქცია ჩანდეს, თორემ ფილმში მთავარი არის არსებობა და სიყვარული. სხვაგვარად არ შეიძლება, რადგან ეს კინოსათვის დამახასიათებელი ოინებია. პოდა, სწორედ აქ ხვდება ის ვაჟი, ჩემი ფილმის მთავარი გმირი, ერთ სტუმარს, რომელიც ადრე ენახა, მაგრამ ვერაფრით გაუხსენებია — სად. ამასობაში აქ ჩამოდის სტუდენტი გოგონა; იგი ამ მხარის კულტურულ ძეგლებზე სადიპლომო თემის დაწერას აპირებს. გოგონა სრულიად მარტოა. ამასობაში, ადამმა შინიდან წერილი წიილო, მამა გულის შეტევით გარდაიცვალაო. იგი ნებართვას ლებულობს და მხარზე ჩანთაგადაკიდებული სადგურისაკენ მიეშურება. უცებ ქექა-ქუხილი გაისმის. ადამი ტყეში მირბის, მერე რომელიღაც ტაძრისა თუ კოშკის ნანგრევებს შენიშნავს და თავს შეაფარებს. ადამი ყელზე ხელს წაივლებს და ლექსს წარმოთქვამს... მაგრამ ამ ლექსს სცენარის დასასრულს გეტყვით, რათა მოქმედებას თანმიმდევრულად მივყვეთ. ეს ეკლესია ომის დროს დაუბომბავთ და საკურთხეველზე მდგარი შესაწირავის ყუთი ახლა ვირთხებისა თუ მტრედების თავშესაფრად ქცეულა. მოკლედ, ეს რეჟისორზეა დამოკიდებული, როგორ ეფექტს შესთავაზებს მაყურებელს, პირადად ჩემთვის კი სულ ერთია! ის იყო ადამი საუკრთხეველის საფეხურზე დაჯდა, რომ ეკლესიაში ბაშკა. ის სტუდენტი გოგონა შემოვარდა. თავით ფეხამდე გაწუწულს თხელი, საზაფხულო კაბა ტანზე მიკვრია და შესანიშნავ ნაკვთებს უჩენს, თმიდან წვიმის წვეთები ჩამოსწურწურებს. კაჟიკის დანახვაზე, თუცა, რას ვამბობ, კაჟიკის კი არა, ადამის დანახვაზე გოგონამ შეჰკვივლა!.. მაგრამ ადამმა გაუღიმა, თავი ღირსეულად დაუკრა, მერე წელში გასწორდა და წარუდგა. ამასობაში, ქექა-ქუხილი მინელდა და ტაძრის ნანგრევებში დღის ნათელმა შემოიჭიატა. ყუთში ერთი ფათქაფუთქი ატყდა. იქიდან სამი მტრედი ამოფრინდა და გოთური ყაიდის ტაძარში ფრთოსნებმა შეიფრთხილეს.

პარი გაცხარებული ლაპარაკობდა და ყოველ სცენას განსხვავებული ექსტით, გამომეტყველებითა და ხმით ანსახიერებდა. მერე დადუმდა, სიგარეტს მოუყიდა.

- ხომ არ მოიწყინეთ? თუ მოიწყინეთ, გავჩუმდები.
- ძალიან გთხოვთ, განაგრძეთ.
- რას ვამბობდი? რაზე შევჩერდი?
- ტაძარში მოფრთხილეთ მტრედებზე.
- პო, ეს შესანიშნავი სახეა... ადამი ოდესღაც სამუსიკო სკოლაში სწავლობდა, მაგრამ სწავლას თავი მიაწება და უმიზნოდ დაეხეტებოდა... ამ ნანგრევებში რაღაც სასწაულს გადაერჩინა ორღანი. ადამი საკრავს მიუჯდა და ბახის დაკვრა დაიწყო... — პარი წანიერად დადუმდა, ჯიბიდან ფურცლები ამოი-

ლო. — იცით, აქ ერთ მნიშვნელოვან აღვივებს ვტოვებ, მაგრამ არა უშავს რა, ადამის სულში მიმდინარე ძვრებზე იგი სრულიად არ ახდენს გავლენას... ტაძრის ნანგრევებში შეხვედრამდე სცენარში წვეულება ემართება ანჯეისთან — ადამის სკოლის მეგობართან. ანჯეისაც მრავალ სარბიელზე უცდიდა თავი, იგი კოშტურიდან ხტონაში ექსპედიციონიც კი იყო, მაგრამ ყველაფერზე ხელი აიღო და მსახიობი გახდა. სცენარის ამ ნაწილში ნამდვილი ცხოვრებისეული ამბები გამოყენებული, რადგან ანჯეის ჩემი მეგობარი ყოფილი თვისებები ახასიათებს, ადამი კი მე ვარ. მაგრამ ნთლიანობაში ამბავი გამოგონილია. ჰოდა, ანჯეისთან გამართულ წვეულებაზე ბაშკა და მისი მეგობარი გოგონაც მოდიან...

ჰენრიკი ჰარის თვალმოუცილებლად შესცქეროდა, ხედავდა მის ბაგეებს, ესმოდა სიტყვები... ვაჟი ახლა წამდაუწუმ უკიდებდა სიგარეტს.

— სულს მოვითქვამ და განვაგრძობ, — თქვა ბოლოს. — ტრაბახში არ ჩამომართვით და შემიძლია სამი საათი ვილაპარაკო... მაგრამ ყოველივე ამას ჩაწერა უნდა, ნე კი ნებისყოფა მალაატობს. თუმცა, რა თავს ვიტყუებ... ვინ რაში სჭირდება ჩემი ნაცოდვილარი?

...ხანდახან საკუთარი თავის რწმენა მეკარგება, მაგრამ ამჯერად კიდევ ვცდი ბედს და ან ჩემსას მივალწევ, ან არადა, თავს მოვიკლავ. მეტი რა ჩარაა! ხანაც ბოლმა შენომაწვება და სადღაც გადაკარგვა მომინდება... შეიძლება განვაგრძო? მისმენთ? საინტერესო თუ მაინც არის? ერთი ასეთი ეპიზოდის ჩართვას ვაპირებ: იმ ტაძრის უკან ჯარისკაცთა საფლავები მოჩანს. სექტემბრის გმირების ან პარტიზანთა ჩვენებით მინდა თანამედროვენი წარსულისაკენ გავახედო. ეს იქნება სიმბოლური სახე. განცალკევებით აღმართულ ჯვარზე ჯარისკაცის ტყვიით დაცხრილული ნუზარადი მოჩანს, შემდეგ კიდევ უფრო შორეულ წარსულში ვიხევეთ და ტანკსა და თვითმფრინავზე ულანთა შეტევის სცენას ვხედავთ. ოფიცერი ცხენიდან ვარდება. შესაძლოა, იგი ბაშკას წინაპარიც იყოს. უპატრონოდ დარჩენილი ცხენი მთელი ოკუპაციის განმავლობაში ტყე-ღრეში ეხეტება, ბოლოს დაბომბილი ტაძრის ნანგრევებში შეიხედავს, ცალ მუხლზე დაიჩოქებს, სწორედ ამ დროს კი ზარის ხმა ისმის და ცხენი ცეცვას იწყებს, რადგან თურმე გაწვრთნილია... ეს გმირობის ერთგვარი კრიტიკა იქნება. თუმცა, ამ ეპიზოდის ჩამოჭრაც შეიძლება იმ კადრთან, სადაც სტუდენტი გოგონა ძველის-ძველ ფრესკებს აღმოაჩენს. და როდესაც იგი საკურთხეველის კედელს ბათქაშს აცლის, ტაძარში იქაური ქსენძი შედის... აზრზე არა ვარ, საჭიროა თუ არა ქსენძის გამოყვანა, მაგრამ კარგი იქნებოდა, თუ მის სახეს არც თუ ისე მტრულად მივუდგებოდით. მე მორწმუნე არა ვარ, მაგრამ იმის მოუხედავად, რომ სოციალიზმს ვაშენებთ, ჩვენ მაინც უპირვილესად ყოველისა, კათოლიკენი ვართ. ეს ქსენძი ე. წ. „სულებზე მონადირე“ გახლავთ. ჩაიგდებს თუ არა რომელიმე ცოდვილ კრავს ხელში, უმაღვე ნოაქცევს და ეკლესიის წიაღს უბრუნებს. ჰოდა, დგას ახლა იგი და თვალმოუცილებლად შესცქერის მოხდენილ სტუდენტ გოგონას, რომელიც კიბეზე ასულა და კედელს ბათქაშს აცლის... მას რომელიღაც წმინდანის ფრესკა აღმოუჩენია, ოღონდ ჯერ ამ ფრესკის გარკვეული ნაკვთები მოჩანს, ვთქვათ, თვალი ანდა ფეხი, რათა დაძაბულობა თანდათან გაძლიერდეს. ამასობაში, კამერა ქსენძის სახეზე გადადის და მისი თვალებით მიჰყვება გოგონას ფეხებს მაღლა, სულ მაღლა... მერე ქსენძი თვალებს დაბლა ხრის და გამლღვალი ხნით ამბობს „დიდება იესოს“, ანდა სხვა რამ ამის მსგავსს. უცხო ხმის გაგონებაზე გოგონა წონასწორობას ჰკარგავს და ათრთოლებული

ფრესკას ეხება ხელისგულებით... ამჯერად ყოველივეს სიმბოლურად უცქერის ბაშკას თითებშუიდან მომზირალი წმინდანის თვალი, სარკმელში კი, სანტუხ-ლოს მხრიდან, ლოკომოტივის სტვენა აღწევს, ამის შემდეგ კაპერა მალარაელთა და მეფოლადეთა სახეებს გვიჩვენებს... სტვენა თანდათან ძლიერდება, მთქანს უზარმაზარი ღუმელები, მავთულები, წყალსადენები, სტვენა ძლიერდება, მთქანს ლოს ისმის ტკაცანი და აქ ან ისევ წელი გადასვლაა საჭირო, ანდა დაბნელება, და ანაზღად თავს ამოეყოფთ ვაცეკის წვეულებაზე... თუმცა, რას ვამბობ, ვაცეკისა კი არა, ანჯეის წვეულებაზე... დიდებული საღამო იმართება, მოგეხსენებათ, ქალები, ბროლი, ადაპტერი... შემდეგ მოულოდნელი გადასვლა და, ბაშკას მეგობარი გოგონა ეკლესიის სააღმასრულებლოში მუხლს იყრის. იქვე ზის ქსენძი, მაგრამ სახე არ მოუჩანს, მას ქალიშვილისათვის ცოდვების მიტვეება არ სურს. ანაზღად, ქსენძი კაპიშონს იხდის და ვხედავთ, რომ ეს ანჯეია, რომელსაც მსახიობობაზე უარი უთქვამს და სასულიერო სემინარიაში თეოლოგიის შესწავლა გადაუწყვეტია... სულ ესაა. თუმცა, კიდევ ბევრი რამის დამატება შეიძლება. ისე, ყოველივე ეს ადამის სულში ხდება, მაგრამ დროც თავისას ითხოვს. მოგეხსენებათ, ჩვენში ახლა ასეთი მოდაა, მაგრამ თავს პირობა მივეცი, ან გავცურავე, ანდა მორჩა-მეთქი.

პენრიკს კარი ხანდაზმულმა ქალმა გაუღო. სანამ სტუმარი ვინაობას ეტყოდა, ქალმა შესძახა:

— რა ხანია გელოდებით, პან პროფესორო, გენია, პან პროფესორო მოვიდა. გეთაყვათ, ჩემი დისწული მოუთმენლად გელოდებათ, შეგიძლიათ, ჩემოდანი და ლაბადა აქ დატოვოთ... გთხოვთ! — და კარისაკენ მიუთითა. პენრიკმა დააკაკუნა.

— მობრძანდით, პან პროფესორო, მოხარული ვარ... — პაწია შაგიდასთან ჩათქვირებული, ქერათმიანი ქალიშვილი იჯდა. შავი, საგარეო კაბა ეცვა. ჩანდა, ფრჩხილებს იწმენდდა, ანდა იფერავდა, რადგან შაგიდზე ხელსაწყოები და წითელლაქიანი ბოთლები ეწყო. სტუმარს დიდი თბილი ხელი გაუწოდა და მომლომარმა თეთრი, ლაწაზი და პომადით ოდნავ დასვრილი კბილები გამოაჩინა.

— პარემ დამირეკა და შემატყობინა თქვენი ჩამოსვლა, ოლონდ, ცოტა აედუღდი, ამდენხანს რომ დაიგვიანეთ. წარმომიდგენია, როგორ გაიხარებს მირაბელკა... სულ მთლად ბავშვია.

პენრიკს მიუახლოვდა და ხელი ხელზე დაადო.

— ძალიან მიხარია, პან პროფესორო, თქვენი გაცნობა... მირაბელკას სახელით შე დაგირეკეთ, ოლონდ ტელეფონში ხმა საშინლად შეცვლება, თან იმ ციად-მაც ხომ თავი მომჭრა... დაბნეულმა ყურმილიც მოუფიქრებლად დაგიკიდეთ. სულ სხვანაირი მეგონეთ, პან პროფესორო, თუმცა მეცნიერები ჩვენ, ქალებს, ყოველთვის მოულოდნელობებით გვაოცებთ ხოლმე... ალბათ ძალიან დაიღალეთ... ისე მოიქეცით, თითქოს საკუთარ ოჯახში იყოთ.

— თქვენ ძალიან კეთილი ხართ, პანა მარიოლა, მაგრამ...

— მარიოლა... რა სასაცილოდ თქვით! ასე მხოლოდ უახლოესი მეგობრები და კეთილი ნაცნობები მეძახიან.

— პანა მარიოლა, რასაკვირველია, ოდნავ დავიღალე. მირაბელკას კიდევ სძინავს?

— ო, ღმერთო! სულ დამავიწყდა, რისთვის ჩამოხვედით, — კარი გააღო

და ორჯერ დაიძახა: — მირებელკა, მირებელკა! — ოთახიდან გავიდა და ცოტა ხნის შემდეგ თითქოსდა შეშფოთებული დაბრუნდა.

— წარმოდგინეთ, ჯერაც არ მოსულა. კი შითხრა წელან დეიდაჩემმა, მისი ოთახი დაკეტილიაო. ჩანს, გასაღებიც თან აქვს. ჰმ, მისი ოთახსა და ევერ გაჩვენებთ... გაგიყდა, თუ რა დაემართა მთლად გამოიცვალა, თუ მისი ოთახისაა, — მარიოლამ ხელები ოდნავ სასაცილოდ გაშალა: — ასე იცის სიყვარულმა. ყორეი კარგი ბიჭია, მირაბელკასგან ადამიანს გამოიყვანს, ყელის ტკივილი კი არაფერია, უკვე გაუარა. თუ ერთ საათში არ მოვიდა, ავდგეთ და ჩვენ წავიდეთ მათთან, ასე აჯობებს. მირაბელკამ ბევრი რამ მიაშბო თქვენზე... მე მეგონა, რომ ჩვენი დიდი მეცნიერი, რომელიც ლექციებს კითხულობს ამერიკასა და ეგვიპტეში, უკანასკნელ წოდებზე იქნებოდა გამოწყობილი... მართლაც რომ პროვინციული წარმოდგენა გვაქვს დიდ სამყაროზე, ამაში კი მეცნიერები მით უფრო კონსერვატორები არიან... თუმცა, მე ყოველთვის დაუდევარი მამაკაცები მიზიდავდა... არ გვაწყენდა, თქვენი ქალიშვილის მოსვლამდე რამე დაგველია... — მარიოლამ ჭიქები შეავსო. — შობის მონარჩენია. არ ვიცი, გიყვართ თუ არა, ჩვენებური კონიაკი. — ჭიქიანი ხელი ჰენრიკისკენ გაიშვირა, შეარხია.

— მირეჩკამ მიაშბო ეგვიპტეში თქვენს ბოლო ლექციებსა და იმ სასწაულებრივ ოქროს ქანდაკებაზე, ერთ-ერთი სარკოფაგის აღმოჩენისას რომ გიპოვიათ... მართალია, მეცნიერები სრულიად მოწყვეტილნი არიან ცხოვრებას, მაგრამ მათ ეს კიდევ უხდებათ... ნუთუ მართალია, რომ ეგვიპტეში ძროხასა და კატას სცემენ თაყვანს? კოსმოსურ ხანაში ასეთი ჩამორჩენილობა, პირდაპირ დაუფერებელია!

ჰენრიკმა კონიაკი წოსვა. შიოდა. ისეთი უცნაური გრძნობა დაეუფლა, თითქოს ყოველივე, რასაც მისი ქალიშვილის მეგობარი, ლამაზი ქერათმიანი ქალი უამბობდა, უკვე სადღაც მოესმინა. შესაძლოა კინოში, ტელევიზორში, ანდა თეატრში... იჯდა სავარძელში და წარმოდგენაში მონაწილეობდა. თითქოსდა ახლა იმ წარმოდგენის მეორე განყოფილება მიმდინარეობდა. პირველ განყოფილებაში ჰარი გამოდიოდა, ახლა კი ამ ქერათმიანის ჯერი დამდგარიყო... ჰენრიკმა ახლად გაიზრა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ახალგაზრდა მსახიობებს უსმენდა. მართლაც, ისინი თავიანთ აზრებს არაბუნებრივი ეგზალტირებული ხმით გამოთქვამდნენ. სიტყვებიც საოცრად უცნაურად უღერდა — ოდნავ გაწლიზიანებლად, ბუნდოვნად, იღუმალად, მაგრამ იმავდროულად იგი ჩამთრევიც იყო და ტრაგიკულიც, თითქოს მოყვარულთა თეატრში წამიერად შემოჭრილიყო ბერძენი ტრაგიკოსი... იყო გრძნობაც... ამ ოთახის გარეგნული იერიც თეატრს მოგაგონებდათ, ავეჯი აქ თითქოს ვიღაცას ორიოდ წუთით დაედგა. ნეტა, როგორები იყვნენ ეს ახალგაზრდები სინამდვილეში? ეგებ, სწორედ ისეთები, როგორნიც ჩანდნენ! ქალიშვილმა ჭიქები ისევ შეავსო, დალიეს. საგულისხმოა, რა ილაპარაკა მირეჩკამ აქ ჩემზე: პროფესორი, მეცნიერი, კაირო, ამერიკა... არა, მაინც რა აზრები მოსდის ამ ხალხს თავში? ეს ყოველივე ვიღაცამ უკვე თქვა და წარმოდგინა კიდევ... ეს არის „ახირებული ახალგაზრდობის“ სამყარო, რომელზეც ოდესღაც ვიღაცან ილაპარაკა... რა შორეული ამბავია... საპარფიუმერიო მაღაზიათა გარემო, ნელსურნელება... ოცნება... „მის დიუარის“ სამას ზლოტიანი სუნამო, შედარებით ნაზი „დიორამ სკანდალი“ — წითურებისა და წაბლისფერთმიანთა საყვარელი სუნამო, ქერათმიანებისა კი „შანელ კოტი“ „დიორამისი“ — მსუბუქი, ჰაეროვანი სურნელების მფრქვევი... ამბრის, რეზედას მძაფრი სურნელი... სადღაც, სულ ახლო

არსებობს წყარო ამ საოცარი სურნელებისა, იგი ხან ახლოვდება, ხანაც შორი-
დან სწვდება ყნოსვას... ეს წვრილმანები: წიგნაკები, პაწაწკინტელა ფურცლები,
„პერანგის“ ყაიდის კაბები... ჩანთა, მძივები, სამხრეულები, წვივსაკრავები...
ტუჩების პომადა — ვარდისფერი, ყაყაჩოსფერი, ალუბლისფერი, ყვითელი...
თუმცა რა, კომბოსტოს ტომრით ყიდვაც შეიძლება და მისი ჩამყავრება...
ცვიანი კომბოსტო — ხმამაღლა დასცდა ჰენრიკს და გაეცინა.

— ო, თქვენ უკვე იცინით. როგორც იქნა, გუნება გამოგიკეთდათ, არადა,
ეგრძნობდი, რომ სულ სხვანაირი იყავით, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანხართ.
რაზე ფიქრობდით?

— არაფერზე, რაღაც სისულელე გამახსენდა... ჩემი ახალგაზრდობისას
შობას ყოველთვის ცერცვიანი მყავე კომბოსტო გვქონდა ხოლმე.

— რას ამბობთ. არა, მართლა? ძალიან უცნაური ვინმე ხართ, სულ მამა-
ჩემს მაგონებთ. საშინლად მიყვარდა მამიკო. ისიც ასე ამბობდა, ოღონდ ცერ-
ცვიან კომბოსტოს კი არა, ცერცვიანას ეძახდა... მამაჩემი ცოცხალი აღარაა,
გარდაიცვალა და მე და დედაჩემი ობლად დაგვტოვა... — მარიოლამ კაბის
სახელოდან მაქმანშემოვლებული ცხვირსახოცი გამოაცურა და თვალებზე ნა-
ჩქარეად აიფარა... ჰენრიკმა კვლავ ცხადად შეიგრძნო სუნამოს სურნელი.

— ხანდახან საშინლად უბედური ვარ.

— თქვენ მირეჩკასთან ერთად სწავლობთ?

მარიოლამ ჰენრიკს გაოცებულნი მზერა შეავლო.

— მე? რას ამბობთ... მე უკვე ვმუშაობ. მირაბელკაზე უფროსი ვარ, ბევ-
რად უფროსი... სამუსიკო სასწავლებელი დავამთავრე... უფრო სწორად ახლა
ვაპირებ ვოკალის განხრით დიპლომის აღებას. მომღერალი ვარ... კინოში გადა-
ლებას და სცენაზე გამოსვლასაც მთავაზობენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყორეი მაჩე-
რებს, სანამ საბოლოოდ არ გაგაშალაშინებ, გზას არ დაგილოცავო... სიმღერის
ტექსტებს ჰარი წერს საგანგებოდ ჩემთვის.

კარს მიღმა მჭახე ხმა გაისმა:

— გენია, ჩაი ან რაიმე ტკბილეული ხომ არ მოგართვათ?

— გმადლობთ, დეიდა. ძალიან კეთილი ხარ... არაა საჭირო. დეიდაჩემი დე-
დის მაგივრობას მიწევს, ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ სულ კუდში დამდევს და
ჩემს გემოზე ცხოვრებას არ მანებებს... ისევ ბავშვი ვგონივარ, არადა უკვე მო-
წიფული ქალი ვარ. ეგ კი, შეიძლება ადგეს ახლა და მოულოდნელად შემოგვი-
ვარდეს! სადაცაა ნევრასთენიას დამმართებს. — მარიოლა კართან მივიდა და
გასაღებით ჩაკეტა. — ასე აჯობებს, — თქვა.

ჰენრიკი დუმდა. ოთახში სიჩუმე ჩამოწვა.

ქალიშვილიც დუმდა და ცისფერი ფანქრით დაგრძელებულ თვალებს ჰენ-
რიკს არ აცილებდა, მერე ბაგეზე რამდენჯერმე მოისვა თითი.

შეუძლებელია, რა არის ეს, ან რას ჰგავს? მე იგი მომწონს. მომწონს? ჰო,
მისი მკერდი, ბარძაყები, ბაგე, მთლიანად... კისერიც, ხელებიც... სურნელიც...
არა, ეს საშინელებაა. რატონაა საშინელება? სისულელეა!

განა რა გასაკვირია, რომ ახალგაზრდა, ლამაზი ქალიშვილი მოგწონდეს...
საშინელებაა, შეუძლებელია მომწონდეს, არა, არ შეიძლება... არადა, დიდი
მასთან ყოფნის სურვილი... ახლა სკოლის მოწაფესა თუ ჯარისკაცისათვის ვაზ-
როვნებ... ეს ხომ... სასაცილოა... უჰ, ეს სურნელი... უნდა ავდგე და წავიდე...

რაღაც ხმა მოესმა... ვერცხლისფერდილებიან სკოლის ფორმაში განოწყო-

ბილი ბიჭი ჩაბნელებულ, ჭუჭყიან, ჭრაჭუნა კიბეზე მიაბიჯებდა და მიჰყვებოდა თავის პირველ ქალს... ხორცისფერ წინდებიანსა და შავ კაბაში განმარტობილ შავ ვლადკას... კართან მისულმა ქალმა უკან მოიხედა და გაუღიმა... სახეზე სქლად ედო გრინი... სქელი, შავი და დიდი ხნის დაუბანელი თმა ჰქონდა... უხმოდ გაიმოტა ხის საწოლზე, კაბა წამოიხადა, თავი დაუქნია... უღრამაბებდა შავი, გადაბმული წარბები და თითქოსდა ყვითელ ზეთგადასმული სახე... ხელები შემოხვია, შემოესკვნა, ბარძაყებს შორის ჩაიზიდა... დანაე, ლედა, ვენერა, კბილებჩამტვრეული შავი ვლადკა...

ანაზღად, ქალიშვილის ხმა შემოესმა:

— რა სიტყვაძუნწი ყოფილხართ. ჯერ კიდევ პაწია გოგონა ვიყავი, და დედოფალათი ვთამაშობდი, დიდი მეცნიერის შეყვარებაზე რომ ვოცნებობდი.

— გეთაყვათ, დამიჯერეთ, მირეჩკას თქვენთვის რალაც სისულელე მოუჩმახავს, უნივერსიტეტის პროფესორი კი არა, გიმნაზიის მასწავლებელიც კი არა ვარ.

— არა? — დაუდევრად შესძახა მარიოლამ და გადაიკისკისა. — არა ხართ და ნუ ხართ. ამას ჩვენთვის იოტისოდენა მნიშვნელობაც კი არა აქვს. — ბაგეზე თითი მიიღო და ჩურჩულით განაგრობო: *Fer amur* — გაიციხა. — რას ვლაქლაქებ, მე იდიოტი. არადა, რა ვქნა, ამჟამად ძალიან ნიჭირს... ისე კი, ჩემო პროფესორიყო, ამ ხელიდან განა ერთ და ორ შენნაირს უჭამია!

ჰენრიკი უგულისყუროდ ისმენდა ქალიშვილის ლაქლაქს. უნდოდა, ამ ოთახიდან გასულიყო, მაგრამ ფეხს ვერ იცვლიდა. ერთადერთი, რის გაგებაც სურდა, ის იყო, რას იზამდა ქალიშვილი, რას გააკეთებდა, რას ეტყოდა... მერე თავად როგორ მოიქცეოდა, რას ნოიმოქმედებდა აქ, ამ ოთახში.

— იცი რა, — უთხრა მარიოლამ, — თავში სულელური აზრი მომივიდა, ორ „ჭუჭყიანს“ მომცემს-მეთქი.

— „ჭუჭყიანი“ რალაა, გეთაყვათ?

— დამავიწყდა, რომ სულ სხვა სამყაროდან ხარ მოსული. ორი „ჭუჭყიანი“ ათას ზლოტს ნიშნავს, ერთი კი ხუთას¹ ანუ გურალს¹, როგორც იტყვიან შენი ხნის კაცები, რომელთაც ჩვენი კეთილდღეობისათვის დაღვარეს სისხლი და ა. შ. პა, მომიცემ იმ ორ „ჭუჭყიანს“ თუ არა? — ბავშვური სიჯიუტით გაიმეორა მარიოლამ და ჰენრიკის სავარძლის წინ ჩაყუნცდა. კაბა მუხლებზემით აეწია, ჰენრიკს ახლა საოცრად შორიდან უცქეროდა და ეტიტინებოდა:

— ძალიან მიყვარს იატაკზე თამაში, თქვენ? კიდევ, ბავშვებით „ექიმობანასა“ და „ცოლქმრობანას“ თამაში მიყვარს. მოდიოთ, თქვენც აქ დაჯექით. კახპა არ გეგონოთ. იმიტომ გაფრთხილებთ, რომ ვიცი, კახპა გგონივართ, არა? მაგრამ გიმეორებთ, არა ვარ. უბრალოდ, მართახელა ქალი ვარ, თანაც იდიოტი, ხომ მართალია? ნაღდი იდიოტი ვარ, ვიცი, გუნებაში დამცინით... რატომ არ ჯდებით იატაკზე, იქნებ ასე ჯდომა ქარაფშუტობად მიგაჩნიათ? მეტისმეტად დარბაისელი ვინმე ჩანხართ.

— სულაც არა.

— მოდიოთ, ის ათასი ზლოტი ისე მომეცით, სულ უბრალოდ, კარგი? თქვენ ხომ ახლა გაგიცანით.

ჰენრიკი თვალს ვერ აცილებდა ამ ლამაზ, უცხო, ჯერაც ახალგაზრდულ სახეს, რომელიც მის წინ უცხო და სანატრელ ქვეყანასავით გადაშლილიყო.

1. გურალი — 1. მთიელი. 2. პიტლერული ოკუპაციის დროს ხუთასზლოტიან ბანკოტს გურალს ეძახდნენ.

მარიოლამ მისი ხელი აიღო და თავის თვალებსა და ბაგეებზე მოისვა. შესცქეროდა ჰენრიკი ამ სახეს და ისეთი გრძნობა აეკვიატა, თითქოს რაღაც დაგვიგვოდა. მერე მის მჭიდროდ მიტყუებულ მუხლებს დაჰხედა. რაღაც ეძებდა ამ სახეზე, ძუძუებს შორის წვრილ, ვერცხლის ძეწკვზე ჩამოკიდებულ ზეწია, შავ ჯვარს ჰკიდა შხერა.

— მორწმუნე ხართ?

— ო, დიახ, დიახ, — მიუგო მარიოლამ, — ყოველდღე ვლოცულობ წმინდა ტერეზას ხატის წინ, იგი ისეთი ტკბილია... ასე რატომ თხრავთ, უკვე მოგწყინდით? — მარიოლა საგარძლის სახელურზე ჩამოუსკუბდა და დარბაისლურად განაგრძო:

— იცით, ის ათასი ზლოტი აუცილებლად მჭირდება ვალების გადასახდელად. ფრედი დასასვენებლად წავიდა და უკაპიკოდ დამტოვა, ფრედი მუდამ იდიოტს მეძახის, ყველგან, სადაც არ უნდა ვიყოთ, იდიოტს და კრეტინს მეძახის. ლოგინშიც, კინოშიც, სეირნობისასაც, თქვენ წარმოიდგინეთ, ამხანაგების წრეშიც კი; პოლიტიკაზე თუ რამე დამცდა, უმალვე „იდიოტს“ მომახლის, თუ კინოზე ვთქვი რამე, მაშინაც იდიოტად მომნათლავს... ჰოდა, წავიდა, ვალები დამიტოვა. თქვენ ძალიან მომეწონეთ, თავაზიან კაცს ჰგავხართ. ჰკუას ვკარგავ თქვენნაირი თავაზიანი მამაკაცებისათვის.

მარიოლამ თბილი ხელი პიჯაკის ჯიბეში ჩაუყო და გაიტრუნა.

— მიამბეთ რამე. ორი „ჭუჭყიანი“ ძალიან გეძვირათ? მხიარული რამე მიამბეთ, საშინლად მიყვარს სიცილი... იცით, რამდენი რამის გაკეთება შემიძლია?... გაჩვენოთ? ვიცი, ვნება მოგეძალათ, მაგრამ განგებ იბღვირებით შესაფლავესავით. არა, ეს შეცნიერები საძაგლები ხართ. სურვილი მკლავს გავიგო, რა ხელობის კაცი ხართ. დაგენიძლავები რომ, მივხვდები. დავნიძლავდეთ იმ ათას ზლოტზე? მოიცა, ჯერ ვნახო, აქ რამდენი გაქვს. — ჰენრიკისაკენ გადაიხარა და მუხლებზე დაუსკუბდა. საფულეს ამოუღო და გახსნა.

ჰენრიკი ბარძაყებზე მისი სხეულის სიმძიმეს გრძნობდა. ხელებზე დასცქეროდა, მათ მოძრაობას აკვირდებოდა, სიწყვეები კი საოცრად შორიდან აღწევდა მის სმენამდე. ნდომა აღეძრა, მაგრამ ამაზე უფრო ძლიერი იყო ის უცნაური, თითქოსდა „შეცნიერული“ სურვილი იმის გაგებისა, რა მოხდებოდა, როგორ გათამამდებოდა შემდგომი სცენა, რას იზამდა ქალიშვილი?

ამასობაში, მარიოლა საფულეს სწრაფად და მარჯვედ ჩხრეკდა. ფული ხელში მოიგდო: — ერთი „ჭუჭყიანი“ და ორი „მამილო“. „ჭუჭყიანი“ რამდენიც არის უკვე იცი... „მამილოს“ კი ფრედი ასზლოტიანს ეძახის. საშინლად სასაცილოა, არა? — საფულეში ისევ ჩაიჭყიტა და მირეჩკას მოწაფეობის სურათი ამოიღო. შუაზე გაყოფილი მუქი თმა გოგონას სადად გადაევარცხნა, თეთრი კოფთა ეცვა. მარიოლამ ტუჩები ისე დაბუშტა, თითქოს საკოცნელად ემზადებოდა.

— ძალიან ტკბილი გოგონაა ეს ჩვენი პაწია... — ჰენრიკს საფულე ჯიბეში ჩაუღო, მუხლებიდან ჩამოუხტა და თითი ხუმრობით დაუქნია: — თითქოს ანგელოზი იყო, არადა, მუხლებზე რომ გეჯექი, რაღაც მაგარი ვიგრძენი... ეე, ფუ... ალბათ რაღაც სიბილწე გაიფიქრე, მამილო. მოდი, საყველაწმინდო დავლიოთ. ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს, ისე კი, ფრედი მართალია, ეს პროვინციელი ირმები ძალზე სასიფათონი ხართ. ჩამოვა მივლინებით დედაქალაქში თქვენნაირი ჩანთიანი, თვალებზე ქუდჩამოფხატული, ლაბადა გაღვლილი... ხელში თოკშემოჭერილი ჩემოდანი უკავია... ყველანი ერთნაირები ხართ... და-

ლიე! შენ გაგიმარჯოს, რაც მართალია, მართალია, პატიოსნად გადამიხადე სასმელისა და ამფსონობისთვის, არა? „თუ შეიყვარებ, უნდა გიყვარდეს, ვით ტანგოლიტას.“ — ანაზდად კარზე დააკაჯუნეს. მარიოლამ კარი უშალა და გააღო.

— გენია, ფრედი რეკავს, — უთხრა დეიდა და დაკვირვებით მოაწვია. ჰენრიეს მოეჩვენა, რომ იმ ქალმა დასცინავდა შენედა... თავი გადააქნია და გავიდა. ჰენრიეს მარიოლას ხმა გაიგონა. ძალზე სწრაფად დაბრუნდა, თან იცინოდა... ბოლოს ორჯერ გაიმეორა: „Ciao, ciao“ და ყურშილი დადო. ჰენრიეს წინკარიდან შემოსდახა:

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ მირაბელკასა და ჟორჟთან ვერ გამოგყვებით, ზრედმა დამირეკა სადგურიდან, ჩამოვედი და ნახევარ საათში შენთან გავჩნდები. საშინლად მწყინს, მაგრამ გამოგებთ, პან პროფესორო, ფრედი საყვედურებით ამიკლებს, შინ რომ არ დავხვდე, ძალიან ბრაზიანი... ჟორჟს უჩემოდაც მშვენივრად მიაგნებთ, აქვე, ახლო ცხოვრობს... ღმერთო! რა დაღლილი ვარ... დეიდა, დეიდა, აუხსენი პან პროფესორს, სად ცხოვრობს ჟორჟი... Ciao, ფრედის ნოსვლამდე უნდა მოგკოხტავდე. — მარიოლამ ჰენრიეს ხელი მეგობრულად დაუქნია და კარი მიიხურა. ჰენრიეს გასაღების ჩხატუნი ძოვსმა.

ჟორჟი შროდშიეშჩიეს სადგურის მახლობლად ცხოვრობდა. გზად სადგურში შევიარე განრიგის გასაგებად და უკან დასაბრუნებელი ბილეთის საყიდლად მიწისქვეშა, გაღიანიებულ დარბაზებში სიცარიელე იგრძნობოდა. დაღლილი ვიყავი და ძილი მომერია. მომცრო მოსაცდელში სკამზე ჩამოვჯექი. ჯიბის სარკეში ჩავიხედე და საკუთარი სახე შევათვალიერე. ნიკაპსა და ლაწვებზე წვერი შავად მომდებოდა, ქუთუთოები ჩამწითლებოდა. თვალის კუთხეებში ჭუჭყი მომიჩანდა. ცხირსახოცი ამოვიღე და თვალები ამოვიწმინდე. ხელებსა და ფრჩხილებქვეშაც ჭუჭყი ჩამოვსკობდი. „ხელის დაბანაა საჭირო“. ჩემოდანი ისევ გამეხსნა. სახლში უნდა შემეცეთებინა-მეთქი, გავიფიქრე. დავკეტე და კვლავ თოკი შემოვუჭირე. ასე უფრო საიმედო იყო, ისლა მაკლდა ჭურჩაში გამხსნოდა. ღამის გასათევად მზად არ ვიყავი, პიჯამოც კი არ წამოშლია. მეტი რა ჩარა იყო, შინ ამაღამვე უნდა გავბრუნებულიყავი. თუ მირჩკა თავს უკეთ გრძნობდა, ავდგებოდი და თან წავიყვანდი. აქ უფრო გაცივდებოდა და ავად გაზრდებოდა. ახლა არაფერს შევქამ, სჯობია, ისევ ჟორჟთან ვისადილო და ვივანშმო კიდევ... ისე კი, რა უცნაურ სამყაროში მოვხვდი, სწორედ ისეა, წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში რომ წამიკითხავს... ლაქლაქებენ, ლაქლაქებენ და იმას კი არ იფიქრებენ, კაცს რომ ხელის დაბანა უნდა... ნეტა, თვითონ როგორღა ჭამენ... ჩანს, ჭამა აქ მოდაში არ არის... ალბათ სასადილოში მიირთმევენ. ჭამაზე მხოლოდ ხანდაზმულები თუ ფიქრობენ... ახალგაზრდების კვებაზე თავს არავინ იწუხებს, თუმცა ეს არც თავად მათ აღარდებთ... ჭიქა ჩაი, სიგარეტი, ღვინო, ყავა... ცერცვსა და კომბოსტოს დასცინიან. ნეტა, რა აცინებთ... იმ თავქარიან ჰარის რომ ფაფან ცერცვიანი კომბოსტო ეჭამა, ვინ იცის, გონსაც მოსუულიყო. საჭმელი ხომ ყველაფერზე მოქმედებს, ტემპერამენტზეც, აზროვნებაზეც. რასაკვირველია, შვმოქმედნა კაცმა დროდადრო ფინჯანი ყავაც უნდა დალიოს და ჩაიც... ჰმ, მეცნიერი... არა, რაც მთავარია, ჟორჟისაგან უნდა შევიტყო, რას ნიშნავს ყოველივე ეს. მართალია, არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, მაგრამ მარიოლა ნაღდად არ არის მირეჩკას ამხანაგი. მირაბელკა... მსახიობი კი ყოფილა, მაგრამ მაინც ძალზე თამამად ეჭირა თავი... ამ „ბოჰემურ“ წრეში, ეტყობა, ასეთი მოდაა. სისულელეა: „პროვინციელ ირშებს“ კი დასცინიან, მაგრამ

თავად ყველაფერი ერთმანეთში ერევათ: კაირო, ამერიკა ირემი, წმინდა ტერეზა, თუმცა, არც ვნალვლობ... ეს ხომ მირეჩკას ახალი წრეა... ხომ მისი ახალი „დაძმანი“ არიან... არა, ეს მარიოლა... ის ხომ... შენ თავად კი ირემი არადა, ვირი ნალდად ხარ... კმარა გართობა... ხომ გაერთნენ ჩემს ქორწინებას დგანან ალბათ ახლა და ერთმანეთს უამბობენ ჩემს „ირმობაზე“... ფართხუნებული ლაბადა. აქ დიდად ვერაფრად გამოიყურება... არადა, პინტუ-შიაკო დამოკლებას უპირებდა... საში თითის დადებაზე... ნამდვილად კარგი იქნებოდა, თუმცა, სამოსი კი არ ამშვენებს ადამიანს, პირიქით... აინტაინი შარვალგამოხეული დადიოდა, წმინდა ფრანჩიშკეს ჩვეულებრივი ტომარა უცვა... ესენი კი ცხაურა ბადისაგან ჩვეულებრივ კაბებს იკერავენ... ისე, კარგი გაკვეთილი კი ჩამიტარა იმ ცინგლიანმა გოგომ... ცინგლიანმა, აბა! ახლა მე მიყურონ. იცოცხლე, დავუფრთხო მაგათ ანგელოზები. არადა, ის პარია თუ ვილაც, მაგარი ფანტაზიორია, რაღას არ მიედმოედება... თანაც პირზე სულ ოში, პარტიზანები, ულანები, გესტაპო აკერია... მაშინ ეგ და მაგის ტოლები ჩვრებში ისვრიდნენ, ახლა კი დიდ გულზე არიან... საოცარი ამბავია... როგორ თქვა? იმდროინდელ ამბავს გაამბობთო... ეგენი ან გენიოსები არიან, ან არადა, ჩვეულებრივი ცინგლიანები... მაგრამ ყველაფერს ნაზად აღიქვამენ... ცირკის ცხენი ეკლესიაში წირავს და ჯარისკაცთა საფლავებზე ამოსული ბალახით იკვებება... მოუფიქრებია, რა... ლაწირაკი, ეგა... ჩვენ არ ვიყავით, ტყე იყო, აღარ ვიქნებით და ტყე მაინც იქნება.

ვაკაკუნებდი, ზარს ვრეკდი, მაგრამ კარს არავინ მიღებდა. ხმამალალ საუბარსა და სიცილს მოვკარი ყური. კარს რამდენჯერმე მუშტი დავარტყი და საბელურს დავაწეე. კარი ღია იყო. წინკარში შევედი და ხმამალლა ვთქვი „გამარჯობათ“, მაგრამ არავინ გამომპასუხებია. მერე ინგლისურად წარმოთქმული წინადადებები გავიგონე. ოთახში უხმოდ შევედი. ლაბადა არ გამიხდია, ქუდი ხელში მეკავა.

ვიწრო, გრძელ, ერთსარკმლიან ოთახში ამოვყავი თავი. სარკმელზე ფარდა ჩანოეფარებინათ. იქაურობას ჩიტებით მოხატული აბაყურიანი ლამპა ანათებდა.

ოთახში სამი ადამიანი დავინახე. ტახტზე თეთრპერანგიანი მამაკაცი იწვა. პალსტუხს მკერდზე დაფარებული პიჯაკი უფარავდა. მუჭი ფერის თვალები და მრგვალი პირისაზე ჰქონდა, ძალზე გულმოდგინედ გადავარცხნილ თმაზე ლაქი უპრიალვებდა. სარკმელთან, კარისკენ ზურგით მდგარ სკანზე პარი იჯდა. ტახტის კიდეზე წამოწოლილ, პლატინისფერ თმააჩეჩილ გოგონას ხელში რაღაც რვეული თუ ბროშურა ეკავა. გაცხოველებული საუბარი გაემართათ ინგლისურ ენაზე. ისე ირჯებოდნენ, თითქოს ვერ დამინახეს, თან ესეც ძალზე დაუდევრად გამოსდიოდათ. მივხვდი, რომ ტახტზე წამოწოლილი მამაკაცი ყორჟი უნდა ყოფილიყო. იწვა და თვალები ჭერისათვის გაეშტერებინა. ძალზე ხმამალლა და სწრაფად ლაპარაკობდნენ:

- Hallo, Mr. Kowalski.
- Oh, hallo, are you John?
- Is Betty here?
- This is Betty, Mr. Kowalski.
- Oh, how do you do?
- What's Mary doing?

გოგონამ პირიდან სიგარეტი გამოიღო და უპასუხა:

— She's smoking a cigarette?

ანაზღად ყორყი ტახტიდან გველნაკბენივით წამოიჭრა, გოგონას ხელიდან რვეული გაუვარდა, მხოლოდ ჰარი იჯდა გაუნძრეველად. ექვორჯე — ისე ნომია-
ხლოვდა, ერთმანეთს ლამის მუცლებით შეევეხეთ. ჩემზე ამთელნი თანაგა პალაღი
იყო. თითქოს შემცბარი ჩანდა, ამასთანავე შეშფოთებულიც, პიჯაკი ნაჩქარევად
შემოიცივა, პალსტუხი გაისწორა და თმა ხელისგულებით გადაიტკეპნა.

— მაპატიეთ, თავგზა ამებნა... თუ ნებას დამრთავთ, პან პროფესორო... სა-
დაცაა, ამათ გაკვეთილს დავუმთავრებ, დაბრძანდით, ეს წუთია, მარიოლამ და-
მირეკა, მაგრამ სულ გადაშავიწყდა... ჰარი, დღეს ამით დავასრულოთ გაკვეთი-
ლი, პან პროფესორი შოვიდა... ისე კი, აჯობებდა, დაგვემთავრებინა, თუ პან
პროფესორი წინააღმდეგი არ იქნება... მოგვცემთ ნებას? ხუთ წუთში მოვრ-
ჩებით. — ოთახში ერთადერთი სკამი იყო და იმაზეც ჰარი იჯდა. გოგონა ფეხ-
ზე წამოდგა და ხარმაც მოწაფესავით კაბის კალთას დაუწყო წვალება.

— ცოტა დაისვენეთ, პან პროფესორო და მე ამ წუთას მოვრჩები. ინგლი-
სურს ვასწავლი... მაგრამ ამაზე შემდეგ... ძალიან მიხარია თქვენი გაცნობა. აბა,
განვაგრძოთ, ბავშვებო. — ყორყი ტახტზე ჩამოჯდა.

— დაჯექი, ბეტი, სწრაფად დავამთავროთ!

სანივენი დასხდნენ, მე კი, ოთახის შუაგულში გახევებული, კვლავაც ფეხ-
ზე ვიდექი. ლაბადა ისევ მეცვა და ქუდს ხელში ვატრიალებდი. სულელურ
მდგომარეობაში აღმოვჩნდი. თავი უხერხულად ვიგრძენი, მაგრამ, მეტი რა ჩა-
რა იყო, გავიციინე და ხუმრობით ვთქვი:

— ხომ არ აჯობებდა, წინკარში დავლოდებოდით?

— შესანიშნავი აზრია! — შესძახა ბეტიმ, მაგრამ ყორყი კვლავ ფეხზე წა-
მობტა და ხელზე ხელი მომკიდა:

— ჩემი ატელიე, რასაკვირველია, ძალზე მოუხერხებელია. ჰარი! — უთ-
ხრა ცვედრებით: — ვერ ხედავ?

ჰარიმ ცერად გადმომხედა და თქვა:

— And look at Jim's hat?

თითქოსდა გამხიარულებულნა ყორყმა თავი დაუქნია და კვლავ ტახტზე
დაჯდა.

სარკმელს მივუახლოვდი. თითქმის ჰარის გვერდით ვიდექი და სარკმლი-
დან ქუჩას გავცქეროდი.

— გთხოვთ, თქვენი ნათქვამი პოლონურად გაიმეოროთ... ბეტი, გთხოვთ.

— What about his hat... რას იტყვით მის ქუდზე?

— It isn't his own hat... ეს მისი საკუთარი ქუდი არ არის, — ბეტის სი-
ცილი წასკდა.

1.

- ალო, მისტერ კოვალსკი.
- ო, ალო, ჯონი ხართ?
- ბეტი, შენა ხარ?
- ბეტი ვარ, მისტერ კოვალსკი.
- ო, გამარჯობათ.
- შერი რას აკეთებს? (ინგლ.).

2.

— სიგარეტს ეწევა (ინგლ.).

3. შეხედე — ჩემის ქუდს (ინგლ.).



— Yes, he is wearing his wife's hat... დიახ, მას ცოლის ქუდი ახურავს.
 — All this is a joke of course. ბეტი გაიშეოჩე, და თარგმნე.
 — რასაკვირველია, ეს ხუნრობაა.
 — ჰარი, რას კითხულობ, ისევ ლექსებია?
 — დიახ, ახალი კრებულება, ვინდათ, წაგიკითხოთ?
 — შეგის დრო არაა, პან პროფესორი შორიდან ჩამოვიდა საქმეზე, შენ კი შენი ლექსები დაგიჩემებია.

— საქმეზე არა ისა, — ზიზლიანად ჩაილაპარაკა ჰარიმ, — მარიოლას გამოჭერა უნდოდა... ტკბილი ცხოვრება მოუხდა. Ciao!

— წაიკითხე, ჰე, წაიკითხე, — უთხრა ეორჟმა და თვალი მრავალმნიშვნელოვნად ჩამიკრა... — პოეტი!

ჰარი სკამიდან წამოდგა, თავი მძიმედ დახარა, ერთი ხელი გულზე მიიღო, მეორეთი მოგრძობა წიგნი ეკავა, სათაურს ყური ვერ მოვყარი. თბილი, ხავერდოვანი ხმით დაიწყო:

ესკიმო ტიბეტი ლოდენი
 დიაგონალი
 დიპლომატი
 მეფე და ელჩი
 აღრია ტვიდი ჯინი და ვისკი
 ტუნისის ფრესკო
 ვერმუტი
 რიპსი
 და ბალათონი
 ბლეკ ბერი
 კრები
 კრები
 და კრები
 ჩაის ყუთები
 მარაგო... ტვისტი....

ბეტი ტახტზე დაეხეთქა და სიცილი წასკდა, მერე ჰარის მივარდა და შიგ ტუჩებში აკოცა.

ეორჟმა ტაში შემოჰკრა:

— აბა, ბავშვებო, წიგნები აკრიფეთ და ნოუსვით. მეც ხომ მეკუთვნის დღესასწაული!

ჰარი ისე აღგა, ჩემთვის არც შემოუხედავს. ჯიბეში ხელეზრახულობილი და თავდახრილი საკუთარ ფეხსაცმელს დაჰყურებდა...

— მოემზადე, ბაშკა, — მიმართა გოგონას.

წინკარში უსიტყვოდ გავიდნენ, იქ რაღაცაზე ლაპარაკობდნენ და თან იცინოდნენ, ჩემს ჩემოდანს დასცილობდნენ.

— შეხე, — გაისმა ჰარის ხმა, — ჩემოდანი, პარიზის, კაიროს, ლონდონის სურათებითაა აჭრელებული, აი, ამას ჰქვია ნაღდი ცხოვრება... ეს თოკი რაღაა? ჰა?!
 — Ciao! — ნიაძახა ახალგაზრდებს ეორჟმა. — მირყას თუ შეხვდეთ, უთხარით, რომ მამამისი ჩამოვიდა და საჩქაროდ წამოვიდეს.

წინკარიდან პარის სიცილმა შემოაღწია:
— გუდბაი, მისტერ კოვალსკი.



— უჰ, როგორც იქნა, წავიდნენ. შეგვიძლია საქმიანად ვისაუბროთ. ეორჟი ტახტზე ჩამოჯდა, მე კი სკამზე მიმითითა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს თეატრში ვიყავი. მაგრამ ახლა ისე მომეჩვენა, მე ვთამაშობდი, ისინი კი მიყურებდნენ და შესანიშნავად ერთობოდნენ. და კიდევ ერთი აზრი მომეძალა, მაგრამ ეს ისეთი აზრი იყო, მისი ბოლომდე განალიზება არამც და არამც არ მინდოდა, თუმცა იგი უცვლელ ფაქტი იყო და მხოლოდ თავს ვიკატუნებდი, რადგან ერთი პირობა თავი ვეღარ შევოყავე და ხმა-მალლა დამცდა: — ღმერთო, ღმერთო.

ეორჟმა დაკვირვებით და თითქოს თანაგრძნობით შენომხედა, მერე საკუთარ ხელებს დაამტერდა. დუმდა.

— მითხარით, სად არის ჩემი ქალიშვილი, ახლავე თუ არ გითქვამთ, მილიციაში წავალ და ყველაფერს ვიტყვი. ჩემი აზრით, ეს ისეთი საქმეა... ერთი სიტყვით, კმარა მასხრობა! ან ახლავე ამიხსენით, ან არადა... სად არის-მეთქი მირკა?

ეორჟმა ყურადღებით, თან წალვლიანად გადმომხედა.

— იტყვი თუ არა, სად არის?! — შევძახე.

— თქვენი ქალიშვილი ამჟამად, ალბათ, მარიოლასთანაა, გავიგეთ თუ არა თქვენი ჩამოსვლა უმაღლესე გამოიქცა, რათა უფრო მალე ენახეთ. თუ არ გჯერათ, შეგიძლიათ მიუსწროთ. და კიდევ რომ გაბედოთ და ხმას კიდევ აუწიოთ, იცოდეთ, გარეთ მიგაბრძანებთ. — ამ სიტყვებზე ეორჟმა სიგარეტს მოუყიდა და ჩაფიქრდა. — მე ხომ ისიც არ ვიცი, ვინ ხართ. სახლში შემომეჭერით და მეჩხუბებით. თქვენი ჭალარის პატივისცემა რომ არა... თან უმაღლესე ვიგოძენი, სასმლის სუნი რომ აგდიოდათ. მაგრამ იცოდეთ, ამას ყველაფერს დიდსულოვნად გაპატიებთ. მამა ხართ და მესმის თქვენი გულსტკივილი, მირაბელკა თქვენი შვილია, ჩემი კი საცოლე.

— მირაბელკა თქვენი საცოლეა? — ვკითხე და შიშმა ამიტანა.

ეორჟმა ხელი დაუდევრად ჩაიქნია...

— რასაკვირველია, სისულელეა, მაგრამ მირკა ასე ფიქრობს და მეც სწორედ ამაზე მინდოდა მოგლაპარაკებოდით. წერილის მოწერას ვაპირებდი, მაგრამ, კიდევ კარგი, თვითონ ჩამოხვედით. მომისმინეთ. — ეორჟმა მუხლზე ხელი დანადო.

— თქვენ ხომ ხნიერი ხართ... ალბათ ორმოცისა იქნებით... მირკა კი ბავშვია. თან გამხდარია და სუსტი. რა თქვენი შესაფერისია?

— პაწია ბავშვივით მეც მაგას ჩავჩიჩინებ. პოდა, თქვენთანაც ამაზე მინდოდა საუბარი. უკეთესიც კია, ახლა აქ რომ არ არის. მინდა, როგორც მამაკაცი მამაკაცს ისე გელაპარაკოთ. ძალიან მძიმე სამუშაო მაქვს, თავს უცხო ენის გაკვეთილებით ვირჩენ, ყოველ შაურს ოფლისღვრით ვშოულობ. ხანდახან ახალგაზრდებს უსასყიდლოდაც ვეხმარები, მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. მეც თქვენსავით პედაგოგი ვარ და ძალიან მიხარია, და ბოლოს და ბოლოს მოხერხდა ჩვენი საუბარი. მირკას ამბავს მოკლედ მოგახსენებთ: სწავლას თავი დაანება. ერთხანს პარისთან ცხოვრობდა... პარი კეთილი ბიჭი არის, მაგრამ ძალზე უპასუხისმგებლოა... მსახიობობს... ლიტერატორობს... მოკლედ ჭერ ყველაფერი წინ აქვს... მაგრამ მეტისმეტად ჭირვეულია და „დედაკაცემს“, როგორც ესენი

ეძახიან, ხელთათმანებივით იცვლის. გულახდილად გელაპარაკებით, როგორც სა-
კუთარ მამას... ახალგაზრდები არიან, გამოუცდელები... იგივებენ, იმდენად
და კატასტროფაც გარდუვალია... ფეხმძიმობა... მართალია, ეს ყოველივე იმდენ-
ნად ჩვეულებრივი ამბავია, თქმაც კი შესირცხვილება, ჰოდა, ვეცდები, ჩემს
გითხრათ... რას ვამბობდი?... ჰო, ფეხმძიმობა, ტრაგედია, აბორტი... რასაკვირ-
ველია, კერძოდ... ფული, ფული! საქმეც ესაა! ჰარის ფული არა აქვს... აყალ-
მაყალი, ცრენკლისღვრა, ჩხუბი, მგონია, ჰარიმ მირაბულცა სცემა კიდევ. თუმცა,
რას გაიგებ, ვინ ვის სცემა... ცრემლი, განშორება, ზიზღი... თვითმკვლელობის
ცდა. ბოლოს კი ყველაფერი მე დამაწვა ზურგზე. მირეჩკამ ბევრი რამ მიამბო
უცხოეთში თქვენს მოგზაურობაზე, მეცნიერულ მიღწევებზე, ლექციებსა და
ოქროთი და აღმასით შემკულ მუმიის აღმოჩენაზე... მეც ავდექი და დავეხმარე
როგორც ფინანსურად, ასევე მორალურად. ექიმის ფული მივეცი ერთხელ,
მეორედ, მერე ტანსაცმლისა და საქმლის ფულსაც ვაძლევდი. ყველაფერი და-
წვრილებით მაქვს ჩაწერილი... დღევანდელ დღემდე მირეჩკასთვის მიცემული
მაქვს ხუთი ათასი ზლოტი... რასაკვირველია, ყველა წვრილმანი არ მიანგარი-
შებია, რადგან ქალია და ხან გამირეცხავდა, ხან ოთახს დამილაგებდა, ხანაც სა-
ჭმელს გამიკეთებდა. თუმცა იმ საქმელსაც თუ საქმელი ეთქმის! — ფორეი ყუ-
რადლებით ფურცლავდა უბის წიგნაკს.

— თუ ერთ საათში ჩემი ქალიშვილი არ მოგიციათ...

— მომკლავთ? ასე, არა? ვხედავ, ჩემი ნათქვამისა ვერაფერი გაიგეთ. მარ-
თლაც „პროვინციული ირემი“ ყოფილხართ, მარიოლას თქმისა არ იყოს. ისე
კი, მარჯვე ტიპიც ბრძანებულხართ, ქალიშვილისათვის თავს იკლავთ, იმ ფულ-
ზე კი, მას რომ დავახარჯე, კრინტს არ ძრავთ. მაგრამ იცოდეთ, საქმეც ისაა, მე
მირეჩკას არ ვაკავებ, პირიქით, დღედაღამ იმას ჩავჩიჩინებ, წადი, მომცილდი.
თავი დამანებე-მეთქი. ბედნიერი ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს გამოჩნდით. თუმ-
ცა, ფარაონის ოქროს მუმიის მპოვნელი პროფესორი კი არა, ვილაც
გასაცოდავებელი კაცუნა შეგვრჩი ხელთ... გასაკვირი რაა, ჰარის
გავლენით, გოგოები რაღა სისულელეს არ ჩმახავენ. შესანიშნავია,
რომ ჩამოხვედით, როგორც იქნა, მომაშორებთ თქვენს ქალიშვილს
და თავისუფლად ამოვისუნთქავ, რა ხანია ყველაფერი ყელში ამომივიდა. მაგ-
რამ საკითხავია, წამოგყვებათ თუ არა, მას ხომ გაგიყვებით ვუყვარვარ. ეგ კი
არადა, ჩემზე ლოკულობს. არ გჯერათ? ვხედავ, არ გჯერათ. მართლაც, უბედუ-
რება ისაა, რომ მირეჩკას ვუყვარვარ. ალბათ, უმაღვე აქ გაჩნდება, გაიგებს თუ
არა რომ ჩემთან ხართ. თუ გასურთ, ყველაფერში თვალნათლივ დარწმუნდეთ,
აგერ, ტახტქვეშ დაიმალეთ. არა! ისევ კარადის უყან აჯობებს. საკუთარი ყურით
გაიგონებთ და ჩემს მდგომარეობასაც მიხვდებით. ამ სისულელის გულსთვის
საცოლევ კი დავკარგე, დიახ, მარიოლა ჩემი საცოლვე იყო... ხანდახან თქვენს
ქალიშვილს დამეს ვათევიჩებ, მაშ, რა ვქნა, კარში ხომ ვერ გავაგდებ. ტირის,
ხელებს მიკოცნის, მიჩოქებს. ისიც კი ვიფიქრე, მილიციას შევატყობინებ-მეთ-
ქი. ამქვეყნად შენს მეტი არავინ მყავსო, მეუბნება.

— შენს მეტი არავინ მყავსო?

— ეგ ეგრე ითქმის, გულთან ახლო ნუ მიიტანთ, სისულელეა, ქალები რა-
ღას არ იტყვიან! ბუდი ჰქონია, მე რომ შემხვდა... თორემ ჰარი... აქამდე უნდა
მოსულიყო, მაგრამ ალბათ რაღაც შეემთხვა. არ ნიყვარს ასეთები. უნდა ვი-
ცოდე, ვისთან არის და რას აკეთებს...

ფორეს სახეში გავარტყი.

რასაკვირველია, ხელი ჩემდა უნებურად წამცდა. თუმცა, ამას გარტყმა არც ეთქმოდა, სილის გაწვნა ვერ მოვახერხე: ანგარიშმიუცემლად ვმოკლბობდი, ხელი ზედ მის სახესთან ჩამომივარდა და კლოყაზე მხოლოდ თითის წვერებით შევეხე.

თითქოსდა შეცბუნებულმა შემომხედა, მაგრამ კრინტი ^{ერქუნული} აღგა, სარკნელთან მივიდა, ერთხანს ასე იდგა, შერე მომცრო სარკმელში ჩაიხედა, გაყოფილი თმა პაწია, ფერადი სავარცხლით გაისწორა.

უაზროდ, უგრძნობლად ვიდექი.

ამ დროს ზარის ხმა გაისმა და ოთახში ჰარიმ მირეჩკა შემოიყვანა, ჩემი პატარა, საყვარელი ქალიშვილი, ჩემი გოგონა. ჩვენი საცოდავი, ავადმყოფი შვილიყო.

— კარგია, ჰარი, რომ მოიყვანე, თორემ ეს... ეს კაცი ძალიან დარდობდა. — ჟორჟმა ზურგი შეგვაქცია და კვლავ სარკმელთან მივიდა.

სად იყო აქამდე მირეჩკა?

იგი კართან იდგა. ფეხზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა, ხელში უშველებელი გალაქული ჩანთა ეკავა. ისე ურწმუნოდ გამიღიმა, თითქოს შორეული ნაცნობები ვყოფილიყოთ. მე მგონია, ძალიან მთვრალი იყო. ხელოვნური თეთრი ბეწვის ჯუბანა და შავი კაბა ემოსა, ხელოვნური ლალის მძივები და საყურეები ეკეთა. მოკლედ, მთლად ხელოვნურ სამოსში იყო გამოწყობილი... თავზე ვარდისფერი ხილბანდი წაეცრა, თმა კი ისე აებუებინა, იფიქრებდით, ჩალმა ადევსო. საოცრად გრძელი წამწამები, თვალები და ტუჩები უცნაურად შეეღება. გამიღიმა. „ღმერთო ჩემო, — გავიფიქრე, რა სისულელეა ზამთარში ასეთი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით სიარული, ჩექმები უნდა ეცვას, ანდა ბოტები, თბილი, კოხტა ბოტები... რა საშინლად წვრილი და მაღალი ქუსლებია, თან ასეთები, რა ხანია, მოდიდან გადავარდა... აღარც თმას იჩეჩავს ვინმე. არა, ვინღა დადის ასე თმაჩეჩილი. რა სასიამოვნო დასაანახია ბუშტივით გაბერილი თმა! შერე კიდევ, მგონია, აღარც იღებავენ, ღმერთო შემიწყალე... ღმერთო შემიწყალე, ვის უყვარს პერანგისნაირი კაბა, ან რა მოსაწონია პერანგისნაირი კაბა?

— რაო, რას ამბობს? — ჰარი ჟორჟს მიუახლოვდა და მხარზე შეეხო.

— რა ჩემი საქმეა, რას ამბობს, მგონია, შირაბელკას მამა უნდა იყოს.

— გამიგონე, ჟორჟ, აზრზე არა ვარ, რა ილაპარაკეთ, მაგრამ მე მგონია, ყველაფერი უნდა უთხრა, არანაირი შრომა სათაკილო არ არის.

ჟორჟი დუმდა.

— არ ვიცი, ამ კაცმა რა გაწყენინა, მაგრამ უნდა იცოდეს, სად მუშაობს მისი ქალიშვილი და თავს რით ირჩენს. ოღონაც შერბილებული კილოთი უთხარი და საქმეც მოგვარდება.

ჟორჟი არ შემობრუნებულა, ისე გამოსცრა დაუდევრად:

— იცოდე, ჰარი, ამას შენი გულისთვის ვაკეთებ, თორემ ეგ... ძალიან მაწყენინა და მასთან ლაპარაკიც არ მსურს. ჩვენ, უბრალოდ, სამუშაოს ვიძლევეთ, თქვენი ქალიშვილი თავისუფალ დროს საარსებო სახსარს შოულობს. ერთი სიტყვით, სვიტერებისა და წინდების საქსოვი მანქანები გვაქვს და მათ მცირედი გასამრჯელოს ფასად ვაქირავებთ.

— ჟორჟ, რა დაგეშართა, რატომ აბითურებ მაშიკოს?

— ხომ მთხოვე, რამე უთხარიო, და მეც ვეუბნები. — ჟორჟი შემობრუნდა და შემომხედა. — ამას რა უნდა ელაპარაკო, შეხეთ, როგორ მისმენს! თითქოს

შვილის საპატრონოდ ჩამოვიდა და ჩემს საცოლეს კი როგორც კახპას, ისე მო-
ექცა. წარმოვიდგენია, პარი, ამ ცინგილიანს მარიოლას გაუპატოვრება ^{როგორც}
დომებია, ფულიც შეუძლებია, მაგრამ, საბედნიეროდ, დეიდა შევარდნილა
ოთახში. ამის აქ მოსვლამდე დამირეკა, ნერვული შეტევა დამართნია ^{როგორც}
თავი გადააქნია. — მხიარული ცხოვრება მოგიხდა, ბებერო, არა ^{არა}
ყურებ, თორემ კარში მიგაბრძანებ! — შესძახა. — ნეტა, რამდენი წლისა იქ-
ნება.

— ორმოცდაათისა. — მივუგე წყნარად.

სიცილი წასკდათ.

— მარიოლასთან ღლაბუცის შემდეგ კი ორმოცდათერთმეტისას ჰგავხარ!..

— უფლება არ გაქვთ, შენობით მელაპარაკოთ, — კვლავ წყნარად ვთქვი,
ისევ გადაიხარხარეს.

— ბებერო არამზადავ! იპოვა რა, თავისი სწორი...

— თქვენ ხომ ორმოცი წლისა ხართ, ეს კი მთლად ბავშვია...

მირეჩკას შევცქეროდით... მის უცნაურ თავსა და სახეს. იგი ისევ კართან
იდგა.

— გამიგონე, პარი, უთხარი ამ კაცს გავიდეს და კარი გაიხუროს. თქვენს
მოსვლამდე აქ რალაც მოხდა. ერთი სიტყვით, ამ კაცმა მაწყენინა. იმის მაგივ-
რად, შვილის ვალების გადახდაზე ეფიქრა, შეურაცხყოფა მომაცენა. მირაბელკა,
ბარგი შეკარი, მამას სახლში მიჰყავხარ. ოღონდ გთხოვ, ჩემი ნაყიდი ტანსა-
ცმული დატოვე. ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრებულია... ნიშნობაც ჩა-
შლილია... პარი, ბარგის შეკერაში მიეხმარე. — ჟორჟმა საათს დახედა. — კი-
დევ ნახევარი საათი მრჩება. მერე რესტორნში უნდა წავიდე სასადილოდ. რა-
ლას უდგეხართ, მოემზადეთ და აქედან მოუსვით!

მირეჩკა ჟორჟს გაუბედავი ნაბიჯით მიუახლოვდა, მის სახელოს თითები
ისე შეახო, თითქოს მტვერი უნდა მოაცილოსო. ამ გაუბედავი, ნაზი მოძრაო-
ბისთვის ჟორჟს ყურადღება არ მიუქცევია.

ანაზღად, გონებაში გამიელვა, ეს თამაში უნდა შეწყდეს-მეთქი. სამივენი
ერთად იდგნენ, მე კი ლაბადიანად ვიჭექი და ჩემთვის ვფიქრობდი: „ახლავე
ბოლო უნდა მოელოს, ავდგები, გავცივებ და ვიტყვი: ძვირფასო ბავშვებო!
დავამთავროთ წარმოდგენა. აბა, მირეჩკა, შედი აბაზანაში, ჩანობანე, საღებავ-
ები, მოიძვრე პარიკი, კაბაც გამოიცვალე და რაც მთავარია, შენს მოხუც მამას
მიესალმე. ბიჭებო, თქვენც გეყოთ თამაში! მოდი, მირეჩკა, მომიჭექი და მით-
ხარი, რამ დაგარტყა თავში და რამ მოგაფიქრა ტელეფონით დარეკვა? ჩვენ აქ
ვიცინით და მამიდას, ალბათ, ჯავრით გული უსკდება. თქვენ, ჩემო კარგო, ჩემ-
სავით ჰენრიკი გერქმევათ და არა პარი, თქვენ კი, პან იურეკ, მართლაც რომ
ზღაპრული მსახიობი ყოფილხართ. მირეჩკა, შენი ანგინით კაი შიში გვაჭამე,
ალბათ მშიერი ხარ, არა? პან იურეკ, ძალიან გთხოვთ, რესტორანში ნუ წა-
ხვალთ, ჩემოდანი საჭმლით მაქვს სავსე, ყველაფერი შინაურია — შემწვარი
ჭანარი, ჭანარის ლაბა, იცინეთ, პო, იცინეთ... ლაბა, რასაკვირველია, ქილაშია...
ოღონდ ეგაა, ჩემოდანი პანა მარიოლასთან დავტოვე... მაპატიეთ, პანა გენიას-
თან... დაურეკეთ, პან იურეკ, თქვენს საცოლეს და უთხარით, რომ ყველანი
მოუთმენლად ველოდებით მას და ჩემოდანს. არა რა მაგრად გამაპაძულებთ!
პან იურეკმა ისე ბრწყინვალედ შეასრულა თავისი როლი, რომ ყველაფერი
მართალი მეგონა. კინალამ ღილიციაში არ წავედი! პანა გენიამაც ძალიან გამაბი-
თურა, ის ჩემი „ტუტყიანი“ უნდა გამოვართვა, Ciao! ძალიან სასაცილოა! ისე

კი, მართლა ლამაზი ქალიშვილია და გირჩევთ, პან იურეცა, გაუფრთხილდეთ. ნავახშმევს კი, ჩემო მირეჩკა, შევეკრათ ბარგო-ბარხანა, როგორც მამაჩემი იტყოდა ხოლმე და ჰაიდა, შინისაკენ მოვუსვათ“.



მირეჩკა

მირეჩკას ტირილი გავიგონე. პაწია ხელებით ეობოძებოდა და ხელები ჩაე-
ბლუჯა და სწრაფ-სწრაფად ჰკოცნიდა. ეორეს გაბეზრებული სახე ჰქონდა.

— ბოდიშს მოგიხდის... — გავიგონე მირეჩკას ხმა. — მართლა მოგიხდის...
ოღონდ ნუ ბრაზობ და ახლავე პატიებას გთხოვს... მამამ ხომ არ იცის, რა გა-
აკეთე ჩემთვის. — ეორეს ხელი გაუშვა და მომიახლოვდა. სუნამოს მძაფრი
სურნელი მომწვდა.

— მამიკო, — მომმართა დინჯად, — ეორეს ბოდიში მოუხადე, გულკეთი-
ლია და გაპატიებს... ახლავე, ამ წუთას მოუხადე ბოდიში.

ეორემა ჯიბიდან გასაღები ამოიღო და ნელა ააწკარუნა. მერე წინკარში გა-
ვიდა და მალევე უკან შენობრუნდა. ლაბადა ეცვა და იმეამად მოდაში შემოსუ-
ლი ტირილური ქუდი ეხურა... ხელები ლაბადის ჯიბეებში ჩაეწყო და დაძცი-
ნავად გვიცქეროდა.

— მამიკო, — კვლავ მომესმა მირეჩკას ხმა, — თუ ახლავე ბოდიშს არ
მოუხდის, იცოდე, ვეღარასოდეს მნახავ.

ჰარიმ ხელზე ხელი წამავლო.

— მირეჩკა რასაც იტყვის, შეასრულებს. ერთხელ კინალამ სარკმლიდან
გადახტა... გამოსათხოვარი წერილი დაეწერა და ხტებოდა! სიკვდილს მე გადა-
ვარჩინე და ახლა როგორც საკუთარ მამას ისე გთხოვთ, ჩემი და ამის სახელით,
ეორეს ბოდიში მოუხადოთ, რა დიდი ამბავიც ამას უნდა! ეორე, ცოტა ხანს მოი-
ცადე, ახლავე მოგიბოდიშებს. ერთმანეთს გადააკოცნით და ყველაფერი ამით
დანთავრდება. ეორეი სწორედ დღეს აპირებდა თქვენი ქალიშვილის ხელის
თხოვას... მარიოლასთან ვიყავი. ვიცი, ჩემო ეორე, გული გწყდება, მძიმე შრო-
მის სამაგიეროს რომ უმადურობით გიხდიან. თუ იცით მამილო, რა ძნელია,
ქალიშვილი რომ ადამიანად აქციო და გზაზე დააყენო?! საშინელი სამუშაოა!

— ნამიკო! ეორეი რომ წავიდეს, იცოდე, თუმცა შენ ამას ვერასოდეს გაი-
გებ...

— დიან, — გაჰყვიროდა ჰარი, — თქვენ არ გესმით, რა არის სიყვარული!
ისეთი გრძელი ლაბადა გაცვიათ, მეეჭვება გრძნობებისა რამე გაგეგებოდეთ,
თუმცა, მარიოლამ თქვა... — ჰარი ხელებს იქნევდა. — ნამდვილი კაზაკი ხართ!

ავდექი და ვთქვი:
— ბოდიშს ვიხდი.

— ბოდიშია და ბოდიში იყოს, — შესძახა ეორემა. — აბა, მირაბელკა,
ყველაფერი რიგზეა, შეგიძლია დარჩე. მე გავრბივარ, ჰარი, შენ აქ დარჩი, სა-
ლამოს კი ორივენი მარიოლასთან მოდი, აბა, ჰე, ciao! — მირეჩკამ გაუღიმა.
ეორეი გავიდა.

— აი, ხომ ხედავთ, ყველაფერი რა კარგად მოგვარდა. სალამოს ყველანი
მარიოლასთან შევეკრიბებით, საშობაო ვახშამს ვჭამთ, ერთმანეთს სეფისკვერს
გავუყოფთ, მარიოლა „აღიღოს“ იმღერებს, მერე ახალგაზრდა წყვილს დალო-
ცავთ და ciao! მალე ბაბუაც გახდებით. მირაბელკა მანას მადლობა უთხარი,
თბილი რეიტუზი და სასუსნავეები ჩამოგიტანა.

ქორეთან ბოდის მოხდისთვის შირაბელკამ მადლობა მითხრა. ხელები კისერზე შემომხვია და კოცნაზე მაკოცა. სუნამოს, პონადისა და სასმელის გუნ-ლისამრევი სუნი ვიგრძენი. ისიც დასძინა, ბედნიერი ვარ, რადგან ქორეი ჩემ-თვის ყველაფერი იყო. მთხოვა, მამიდასთვის მეკოცნა და საჩუქრებისთვის მად-ლობა შეთქვა. თეთრეულს გასარეცხად არ მატანდა, რადგან, თურცე-საქრე-ცხომში არეცხვინებდა. მშვიდად იყავითო, დაუმატა, როგორც კი დროს მოვი-ხელთებ, სააღდგომოდ იქნება თუ სამების დღესასწაულზე, უმეტესად ჩამოვა-ლო... მან და ჰარიმ ბევრი მთხოვეს, დავრჩენილიყავი და სალამოს მათთან ერ-თად წავსულიყავით ნარიოლასთან. მღუმარედ ვიჯექი. ჰარიმ ადაპტერი ჩარ-თო, მირკამ ბოდის შთიხადა და აბაზანაში შევიდა... როგორც ჰარიმ მითხრა, თურმე ეს ტიპი ჩემს ბავშვს სცემდა და აბურად იფდებდა... ავდგები ახლა, გავალ ქუჩაში და ყოველ გამვლელს ხმამაღლა შევიჩივლებ ჩემს უბედურებას. სარკმელში გავიხედე და ანაზად ჰარის სიტყვები გამახსენდა: „მირეჩკა ერ-თხელ კინალამ სარკმლიდან გადახტა“.

სადგურისაკენ რომ წავედი, კვლავ თოვა დაიწყო. ხალხი თავთავის საქრეზე მიიჩქაროდა. ზოგს მოღური ქურთუცი ეცვა, ზოგს ძველი ლაბადა, ქურქები, ეხურათ ბეწვის ქუდები და მიდიოდნენ, მიდიოდნენ. საკუთარი სახლებისაკენ მიემშურებოდნენ. სადგურში რამდენიმე საათს ვიჯექი. მატარებლის გასვლამდე კიდევ დიდი დრო რჩებოდა. ლოცვა წამოვიწყე, მაგრამ ნახევარიც არ შეთქვა, ხელი ჩავიქნიე... ჯიხურში ბლომად ლუდი დავლიე და ბაქანზე გავედი. ანა-ზად უეცარი გადაწყვეტილება მივიღე.

სადგური უკან ჩამოვიტოვე და სწრაფი ნაბიჯით გავწიე იმ სახლისაკენ, სადაც ის ტიპი, ქორეი ცხოვრობდა.

მივალ, მოვკიდებ ხელს და მორჩა. გამოვიყვან იმ ბუნაგიდან სუფთა ჰაერ-ზე. სუფთა ჰაერი... ესაა ყველაფერი... მათი სამყარო მხოლოდ გარეგნულადაა ილუმალი და საშიში. ისინი მყრალი არამზადები არიან; არა, რა საზარელი წარმოდგენა გამიმართეს... ჰმ, ამ ხანში შესულმა „ირემმა“ თავი ვის გავაბრი-ყვებინე! უნდა მოვკიდო მირეჩკას ხელი, ჩავსვა მატარებელში და ბოლო მოვ-ელო ყოველგვარ გაუგებრობას. ისე ხანდახან, ცემაც არ აწყენდა... დიახ... სი-სულელეა. ვის უყვარს პერანგისნაირი კაბა? ვისაც პერანგისნაირი კაბა უყვარს, ის მისი გულისთვის ყველაფერს იკადრებს... როგორ შეიძლება პერანგისნაირი კაბის სიყვარული?

ჰენრიკმა ხმამაღლა გაიციინა და ნაბიჯს უყლო. სიყვარული დედის შეიძლება ქალიშვილის, სამშობლოსი... არა, როგორ ამბობენ? მე მიყვარს ფული, მანქანა... უბედურებაც ისაა, რომ მათ სიტყვებს აზრი შეუცვალეს... ისინი ხელოვნურად გამოგონილ სამყაროში ცხოვრობენ, მათი სამყარო ფერადი ნახატების, სურათების, სულელური სიმღერების, ხე-ლოვნური შუქისა და ხელოვნური ხატებისაგანაა შექმნილი. ყველაფერი ხე-ლოვნურია: წამწანები, თმა, ქურჭი, სამკაულები, ნაძვის ხე, თოვლი... საში-ნელებაა რომ ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიათ ხეები, ფრინველები, დარწმუნე-ბული ვარ, რომ ჰარი ჭივჭავს და ტოროლას ვერ ანსხვავებს ერთმანეთისაგან. უბედურებაც სწორედ აქედან ლებულობს სათავეს... ბეტონზე გაზრდილები პე-რანგისნაირი კაბებისთვის ჰკარგავენ ჰკუას... ნეტა, იმ ჰარის კოდალა თუ უნა-ხავს ტყეში?.. ქორეისნაირ ყაჩაღებს დღის სინათლე უნდა მოანატრო. მზის

ამოსვლისას რომ დგებოდეს, კიდევ ჰო... ნაგრამ ეგენი ხომ ვერც ხეებს არჩევენ, ვერც ფრინველებს, მათთვის სულ ერთია ფიჭვი, ნაძვი, სტეპი, ნუკერჩხალი, რცხილა, მუხა... ყველას ხე ჰქვია, მორჩა და გათავდა. მალაზნ გთხოვთ, მითხარით, რა გემო აქვს სამშობლოს? რა სურნელი ასდის?... რომელ ხეზე გიოცნებიათ?... აბა, სწრაფად, პან ჰარი, თქვენ ხომ პოეტიკური მსახიობი... სწორედ თქვენს თხზულებებში იგდებთ აბუჩად ჩვენი თხზულებები... ისტორიას, ჩვენს ბრძოლას, ჩვენს სიკვდილს და ანაჲ ყოველივეს ხელოვნური მასალისაგან ჰქმნით, ხომ მართალია? მითხარით ერთი, რა გემო აქვს სამშობლოს?

ჰენრიკმა ნაბიჯი თანდათან შეანელა, ბოლოს სულაც გარჩერდა.

პერანგისნაირი კაბა კი არა, ჩემო კარგებო, ადამიანი უნდა გიყვარდეთ, მაშ! შენი საუნჯე იქაა, სადაც შენი გულია... ანდა, სადაც შენი გულია, შენი საუნჯეც იქაა. თუმცა, ამაჲ რა ნნიშვნელობა აქვს... შენ, ჩემო ჰარი, ალბათ მკითხავ: „რად უნდა მიყვარდეს, ვთქვათ, ის ვიღაც?“ ისე, მართალია ხარ, ადამიანის სიყვარული ყველაზე მძიმე ტვირთია, კატორღა, მაგრამ სიყვარული მაინც აუცილებელია, შესაძლოა, ნავანის დანახვაზე გული გერეოდეს, მაგრამ იგი მაინც უნდა გიყვარდეს... ჰმ, ცერცვიანი კომბოსტო... საძყაროს წყალბადის ბომბი კი არ დაღუპავს, არამედ ის, რომ ადამიანს პერანგისნაირი კაბა უყვარს და თვით ადამიანი კი — არა. ნირეჩკა! გთხოვ, ეგ წამწამები მოიძრო და შინ წამომყვე!

ჰენრიკი იმ სახლთან იდგა.

დიდხანს იდგა იმ სახლის კედელთან.

იქაურობას მაშინლა გასცილდა, როდესაც ბავშვურ ხმას მოჰკრა ყური: „დედოცო, ის კაცი ტირის“.

შინ დილაადრიან დაებრუნდი. თუმცა, შინ კი არა, იმ ქალაქში, სადაც ვცხოვრობდით. შინ არც ნივსუღვარ. მოსაცდელის კუთხეში ვიჯექი. სახლში წასვლის სურვილი არ მქონდა. ჩავთვლიძე, ამან მხოლოდ რამდენიმე წამს გასტანა. ქალაქში სქელი, შავი ტალახი იდო. ქუჩებში უამრავი ხალხი ირეოდა. მალაზიები, კინოები და რესტორნები უკვე გაეღოთ. ვიტრინებში გაბღღვრიანლებული, თოვლით გადაპენტილი ნაძვის ხეები ეწყო. ოჯახები ეკლესიებისაკენ ნიფშურებოდნენ. ლამაზად, მდიდრულად გამოწყობილი ხალხი სალოცავად მიიჩქაროდა. ზოგი ეკლესიაში მიდიოდა, ზოგიც იქიდან ბრუნდებოდა. ოცი წელი იყო, შესაძლოა ოცდახუთიც, ეკლესიაში ფეხი არ შემედგა. ერთხანს ტრამვაის გაჩერებაზე ვიჯექი, მერე ნელი ნაბიჯით გავუყვევი ჰუჭყიანი თოვლით დაფარულ ხეივანს, რომელიც ვეებერთელა სანაგვეს მოგაგონებდათ.

ეკლესია ხალხით იყო სავსე და კარის მახლობლად დავდექი. ქსენძი ქადაგებდა და თუმცა მის სახეს ვერ ვხედავდი, კართან დანაგრებული რეპროდუქტორის წყალობით ხმა შესანიშნავად მესმოდა. ქსენძი ისეთივე საზეიმო და მხიარული, ისეთივე არაბუნებრივად ალტაცებული და დათაფლული ხმით ლაპარაკობდა, როგორც ომანდე. დასკვნათა დასამტკიცებლად კერძო მაგალითები მოჰყავდა... სიტყვა ჩამოაგდო ჰარისონსა და თემურლენგზე, მერე შთაგონებით ილაპარაკა, გასულ საუკუნეში ინგლისის პარლამენტი როგორ შეჰპირდა ოცი ათას ფუნტს მას, ვინც აღმოაჩენდა შედარებით საათს, რომელიც აწყყო და საშუალო დროს აჩვენებდა... ის ჰარისონი ერთ მიყრუებულ პროვინციაში დურგლის შეგირდად მუშაობდა, ჰარისონმა თავის თავს უთხრა: „ის ჯილდო მე უნდა მივიღო“. მიატოვა ხერხი და შალაშინი, ჩავიდა ლონდონში, შეისწავ-

ლა მესაათეობა, იმუშავა ორმოც წელიწადს და აღთქმული ჯილდოც მოიპოვა... ამ მაგალითს მქადაგებელმა მონგოლთა ბელადის, ერთ ომში რამდენჯერმე მარცხებული თემურლენგის მაგალითი მოაყოლა. მას საბჭო შეეკრიბა იმის განსასჯელად, განეგრძო თუ არა ბრძოლა. ანაზღად, კარვის კალთაზე შეაძინა ჭიანჭველა, რომელიც რამდენჯერმე აცოცდა მალლა და მიწაზე დაეცა. ჭიანჭველი იგი უმაღლვე მომქანცველ გზას ნიუყვებოდა, ჰოდა, ამის მნახველ თემურლენგს ბევრი აღარ უყოყმანია... იმ ჭიანჭველას მაგალითი ძალზე მრავალმეტყველი იყო... შემდეგ ქსენძმა ილაპარაკა მონეტ ევერესტზე, წმინდა ვინცენტ ფეფერიშა და ჟანა დ'არკზე, რომელიც ირწმუნებოდა: „მეფესთან უნდა წავიდე. ასი დედა და მამა რომ მყავდეს, მაინც ვერ დამაკავებენ“. ამ შეგონებას ხალხი დიდის გულმოდგინებითა და ყურადღებით ისმენდა, ჰე კი მაგალითები ერთნაწილს ვერ დაეუკავშირე. შესაძლოა, ქადაგების მოსმენას გადავეჩვიე და იმიტომაც. ჰარისონი. რასაკვირველია, ჰარი ვერ შექმნიდა საათს, რადგან ოთხ თვესაც ვერ იმუშავებდა, არამცთუ ჰარისონივით ორმოც წელიწადს... მცირე ხნის შემდეგ ისევ მომესმა ქსენძის სიტყვები, თითქოს ვინმე როზა ფერუჩის, ახალგაზრდა, მორწმუნე ქალიშვილს რაღაც მიეწეროს საქმროსთვის და თავად ქორწინებამდე რამდენიმე დღით ადრე გარდაცვლილიყო. მქადაგებელი ერთმანეთს ვერ უკავშირებდა გადმოცემულ ამბებს... სად რომი და სად ბოსტონი... ზუსტად ისე იყო, როგორც ჰარის სცენარში... ჩანს, ახლა ყველაფერი ასეა... ცერცვიანი კომბოსტო... აბლაუბდა... ჰა, მოისმინეთ, ბატონებო, მოისმინეთ! ნაგრამ იმის ნაცვლად, ჟანა დ'არკს გაჰყვით ევერესტზე, სახლებში წახვალთ და სადილს მიამღებით... მერე... თუმცა!.. ხელი ჩავიქნიე და ეკლესიიდან გამოვედი. რეპროდუქტორი კიდევ რაღაცას ნომძახოდა, მაგრამ ვერაფერი გავარჩიე.

არც არაყს ვსვამ, არც ღვინოს, არც ლუდს. არ მიყვარს. არ მიყვარს შეზარხოშება, სიმთვრალე. არასოდეს დამიღვია თრობამდე. შესაძლოა, ამის ბრალი ისიცაა, რომ სასმელი მწყენს. უმაღლვე კუჭი მტკივდება, გონება კი არ მენისლება. ამ ბარში სულ ორ-სამჯერ თუ შემოვსულვარ.

— ერთი პატარა, — ვუთხარი ბარმენ ქალს. ქალმა სასმელი დიდი კათხიდან პატარაში გადაასხა და წინ დამიდგა. ლუდი თბილი იყო და საძაგელი სუნის ასდიოდა.

— ცივი არ გქონდათ?

ქალი ლუდს ახლა სხვებს უსხამდა. შევითხვაზე არაფერი მიპასუხა, მხოლოდ მხრები აიჩეჩა. ბარში ხალვათობა იყო. მომცრო დარბაზში მხოლოდ ორი ჯარისკაცი იჯდა. კათხა ავიღე და მაგიდას მივუჯექი. მომშივდა.

— არაყანმოსხმული ქაშაყი და ასი ვრამი არაყი.

ვკამდი იმ ქაშაყს და ვფიქრობდი, რომ ადამიანი სრულიად მარტოდმარტოა... თუმცა, არა ვარ მართალი! ამას წინათ რადიოში მოწოდება მოვისმინე, ავადმყოფი ბავშვისთვის რომელიღაც უცხოურ წამალს — დესერისა თუ დეკავიტს ეძებდნენ და აღმოჩნდა, რომ ამ მოწოდებას უმაღლვე გაჰოებმაურა მრავალი ადამიანი, რომელთაც ნთხოვნელს წამალი რაღაც უმნიშვნელო თანხის ფასად თუ სრულიად უსასყიდლოდ შესთავაზეს, დაუყოვნებლივ იშოვეს ვერტმფრენი, მეხანძრეთა მანქანა და ავადმყოფს წამალი დროულად მიაწოდეს, ასე რომ ადამიანი სულ მართო არ ყოფილა, თუმცა, ნეორეს მხრივ, გაზეთში ისიც ეწერა, რომ ვროცლაჟში რამდენიმე საათს ეგდო ქუჩაში კაცი, რომელსაც ტრამვაიმ ფეხი წააგლიჯა, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის ნიუქცევია. შესაძლოა, ეს ვროცლაჟში კი არა, სადღაც ვარშავის მახლობლად მოხ-

და, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ ქვეყნად არსებობს მსგავსი გულგრილობაც და თავდადებაც, ვთქვათ, ბავშვს ყავანახველა აქვს და... უმაღლვე გაჩნდება არა მარტო წამალი, არამედ გემი, ვერტმფრენი და თვით რეაქტიული თვითმფრინავიც, რათა ბავშვს ყავანახველამ გაუფრთხილებს აგერ, შენს გვერდით, ზედ კედელს იქით, ათი წელია ქმარი ცხელს სიციხეს უმწარებს ცემა-ტყეპით და მეზობლები ამას აინუნშიაც არ აგდებენ, სანამ ის კაცი საკუთარ მეორე ნახევარს წუთისოფელს არ გამოასალმებს... ეს ყოველივე ერთდროულად ხდება... ჩვენი იურისტები და ესთეტიები საოცრად თანაუგრძნობენ სიკვდილმისჯილ მკვლელს და მისთვის სასჯელის შემსუბუქებას მოითხოვენ მაშინ, როდესაც მისი მსხვერპლი საერთოდ არ ახსენდებათ... ქაქანებენ, თითქოს სიკვდილით დასჯა არაა დამიანურობა იყო, რადგან მკვლელს თურმე გული ეღევა სიკვდილის მოლოდინში, თითქოს იგივე არ ემართებოდა მის მსხვერპლსაც... ჩანს, მათ ნაზ სულთან უმანკო მსხვერპლზე ახლოა საშიში მკვლელი... განა ვინ მოთვლის, რამდენი უდანაშაულო ქალისა და ბავშვისათვის მოუსწრაფებიათ სიცოცხლე სრულიად ჯანმრთელ მკვლევებს... უნდა გითხრათ, ძალზე ძველმოდური შეხედულებების კაცი ვარ, რადგან საჭიროდ მიმაჩნია ასეთი მკვლელის მოედანზე საჯაროდ დასჯა, ანდა გალიაში ჩასმა, რათა ხალხს მისთვის სახეში მიფურთხება შეეძლოს... ეს ჩვენი ბატონი ესთეტიები სიკვდილმისჯილი მკვლელის გრძნობებზე წერენ, მაგრამ, ჩანს, მათ სულს არ შეხებია უდანაშაულო მსხვერპლის შიერ გადატანილი უსაზღვრო შიში და აგონია... ხედავთ, რა აზრები ჩაბუდებულა ნათ ტვიხსა და გონებაში ზურგსუკანიდან გაურკვეველი ხმა შემომესმა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ვიღაც უჩინარი მელაპარაკებოდა. ეგებ ვცდებოდით... არა, არ შევშცდარვარ... კედელთან „ბინძური“ იჯდა. გამიღიმა. დღესასწაულის მიუხედავად, ტლაპოდან ამოღებულ ჩვარს ჰგავდა. მის წინ ლუდის ცარიელი, ფსკერზე ქაფჩარჩენილი პატარა კათხა იდგა. პირი ვიბრუნე. მაგიდაზე დაწყობილ საკუთარ ხელებს დავხედე. ფრჩხილებქვეშ სქლად ჩაბეცილი ჭუჭყი შევნიშნე. ჯაყვა ამოვიღე და ფრჩხილების გამოწმენდას შევუდექი. ცოტა ხნის შენდეგ ისევ „ბინძურისაკენ“ გამექცა მზერა. გამიღიმა და გაურკვეველად მანიშნა რაღაც უცნაური ნიშნება იყო, მგონი, თავისთან მიმიხმო; მოხრილი საჩვენებელი თითი რამდენჯერმე დამიქნია ისე, ნასწავლებელი რომ დაუქნევს ხოლმე ონავარ ბიჭებს... რა იქნებოდა, აქ რომ იესო შემოსულიყო... იესოზე ყოველთვის სიბრაღულით, ანდა აღფრთოვანებით ვფიქრობდი, იგი ყოველთვის ახალგაზრდა კაცად წარმომედგინა, სიკვდილისა რომ ეშინოდა, საშლოცველოებიდან ვაჭრებს ერეკებოდა, ესაუბრებოდა „გარყვნილ“ ქალებს... პან იესო ყველაზე ახლობელი ადამიანი იყო, წმინდა სამება კი ჭეშმარიტი გეონეტრია და ალგებრა, ამასთანავე სრულიად უსარგებლო და გაუგებარი რამ იყო ჩემთვის. სამების გამოჯერ კიდევ გიმნაზიაში მომივიდა შელაპარაკება პრეფექტთან. ხომ შეიძლებოდა, მოდიდან გადავარდნილ ლაზადასა და მანუეტებიან შარვალში გამოწყობილ პან იესოს ჩვენი ქალაქის ქუჩებში ევლო... შესაძლოა, იგი ხელოსანი ყოფილიყო, რომელიმე საწარმოს პატრონი კი არა, ჩვეულებრივი შეგირდი, შეელო გაზეთი ეკითხა... ფეხსაცმლის მაღაზიაში ემუშავა ანდა მყავე კომბოსტო გაეყიდა... აქ, ჩვენს მხარეში არც ტბა არის და არც მდინარე, მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი საწარმოო არხია, სადაც ქალაქისა და ფაბრიკის წყალი ჩაედინება... არანაირი თევზი... ყველაფერი ნოწამლულია... მდინარეზე საბანაოდ წასვლაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია... მარიოლა, ciao, ისევ ის ხმა მომესმა, გადაფურთხე-

ბისა თუ ცხვირის მოწმენდის მსგავსი, თითქოს ვიღაცას პირი გაძოვრეცხოს და გადაეპურტყებინოს... „ბინძური“ ჩემს შეხედვას ელოდა, რადგან თავი სრულიად აშკარად დამიქნია. ნანიშნა, რომ არ ვცდებოდი და მე მეძახდა. ეათ-ბა ავიღე და მივეუჩექი. „ბინძურმა“ ერთხელ კიდევ დამიკრა თავი. უბრალოდ წაიხედა.

ბინძური

— თითო ლუდიც, — მიამახა გვერდით ჩავლილ მიმტანს. — ჩამოსული ხართ? — ახლა მე მომიბრუნდა.

— განა არ მიცნობთ? — მივუგე.

დაკვირვებით შემომხედა. ჩაწითლებულ თვალის უბეებსა და ტუჩის კუთხეებში ჭუჭყი ჩაღეკოდა.

— ღმერთს გეფიცებით, პან კოლეგავ, პირველად ვხედავთ... მაგრამ მაინც გავბედე და დავიძახეთ, რადგან მომეჩვენა, რომ ჩვენი ბიჭი იყავით და არც შეემცდარვარ.

ეგებ ვერც მიცნო. ჩემი ცნობა ახლა ადვილი საქმე არ იყო. ეს კაცი საშიშელი არ მენახა. ჩანდა, ციხეში იჯდა ანდა სადმე სხვაგან, თუმცა არც მანამდე მოუქცევია ჩემთვის ყურადღება, პირიქით, მუდამ მე ვაკვირდებოდი მონდომებითა და დიდის გულისყურით.

— ახლა ჩამოხვედით? ალბათ მივლინებაში იყავით.

— არა. ქალიშვილი მოვიწახულე, დედაქალაქში სწავლობს. თქვენ თუ ყოფილხართ ვარშავაში?

— არა, არ ვყოფილვარ, მაგრამ შარშან ვიღაცან მიამბო, კარგად ალუდგენათო. — „ბინძურმა“ ლუდი მოსვა. გაუბედავად გამიღიმა.

— ორმოცდაათ-ორმოცდაათი! — გავძახე მომტანს.

— არა, პან კოლეგავ, მაინც რა ლამაზად თქვით „ორმოცდაათ-ორმოცდაათი, — პა? კაცი რომ კულტურული იქნება ეგაა. თქვენი ქალიშვილი რას სწავლობს?

— ინგლისურ ფილოლოგიას.

„ბინძურმა“ დაუსტვინა.

უცებ როგორღაც მოიწყინა და სულ გადავაფიწყდი. მღუმიწარედ იჯდა ამხელა კაცი ჩემს წინ. რაზე ფიქრობდა? დიდი სურვილი მქონდა გამეგო მისი საფიქრალი, ვკითხე კიდევ, მაგრამ ხმა არ გამცა. შეიძლება დედაზე ფიქრობდა, ანდა იმაზე, როგორ ანთებდა მინდორში თავის ტოლ ბიჭუნებთან ოდესღაც კონს ანდა პირველ კოცნაზე... შესაძლოა, სულაც არ ფიქრობდა... ან ეგებ ის აგონდებოდა, როგორ უყოფდა ვიღაცას სეფისკვერას. ანდა თოვლი... პეპლები... ან სულაც არაქანმოსხმულ ქაშაყზე ოცნებობდა.

მისდევდა და მისდევდა პეპლებს... ბალახისა და ყვავილების სურნელით გაჯერებულ მდელოზე... ავდექი და ვუამბე, რომ ჩემი ქალიშვილის სულსა და გულს ეშმაკი დაპატრონებია და ქვად და ყინულად უქცევია... იგივე ეშმაკი დაპატრონებია პარის გულსა და გონებას და ახლა იგი პარკებში ხეებს ტოტებს ამტვრევს, სკამებს თავდაყირა აბრუნებს, ლამპებს ამსხვრევს, ყვავილებს ძირფესვიანად გლეჯს და ქალიშვილებს ხელთათმანებივით იცვლის... სინამდვილეში ისინი პარი და ეორუი არ არიან. ისინი ასე თამაშობენ. იმანჭებიან.

„ბინძური“ უბრად იჯდა. კიდევ შეუკვეთა ორი ლუდი. არც ნებართვა უკითხავს, არც არაფერი. იგი ასე იჯდა მთელი ეს წლები და მელოდა, მე კი მისკენ მოვისწრაფოდი, რათა გული გადამეშალა და ყველაფერი მეთქვა, მაგრამ ნას ამ ამბისა არაფერი გაეგებოდა. მგონი, არც მისმენდა. რასაკვირველია,

სისულელეა, არც ის მელოდა და არც მე ვისწრაფოდი მისკენ. უნდა ავდგე და
ოთხი ლუდის, სამი არაყისა და არაყანმოსხმული ჭაშაყის საფლგური გადავი-
ბადო. შინ უნდა წავიდე, ხელები დავიბანო, გავიბარსო... და... და...

— ეგებ შუალდემდე გადაიჯაროს.

ერეკლე

არა, ყველაფერი გადასხვაფერდა. მაგრამ ამას ვერაფერს ვიზრუნავ. ასე ჯობია.
ადრიანად ვდგები, ვიბან, ვივარცხნი, სარკეში საკუთარ სახეს ვაკვირდები. იმა-
ვე საგნებს და სამოსს ვხედავ, როგორც აქამდე ვხედავდი, ოღონდ ეგაა, ახლა
ხშირად გავხევდები ხოლმე უაზროდ. შემეყინება ხელში ჯაგრისი ან კოვზი,
თითქოს არ ვიცოდე, რა რისთვისაა საჭირო.

ნასადილევის სიწყნარე, სარკმელში ვიციქირები, ფოთლებით შემოსილა
არყის ხე, ქუჩა სავსეა საბავშვო ეტლებით. დღეს ქალაქგარეთ ვსეირნობდი.
გარკვეული ცვლილებანი მომხდარა ჩემს პატარა სამშობლოში. ნაღველითა და
და დარდით ამევსო გული. აქ, სადაც ადრე შინდორი და კარტოფილის ნათე-
სები იყო, ფერად-ფერადი სახლების გრძელი კორპუსები გაჭიმულა. მხოლოდ
ნათ უყანდა იწყება მდელი და შევარდისფერებული კარტოფილის ყანები. სა-
ხლები აქ თავის დღეში არ ყოფილა, ახლა კი არის.

აგერ, ქვაფენილი დაუგიათ, საფუძველი ეყრება ახალ ქუჩას. ბაღ-ბოსტნე-
ბამდე მივალწინ, ამ რამდენიმე წლის წინათ მეც შექონდა აქ მომცრო ნაკვეთი,
მაგრამ ხშირი მივლინებების გამო ნისი მოვლა-პატრონობა ვეღარ შევძელი.
ამჟამად ლობეები მოუშლიათ და იქაურობა სამშენებლო მასალით აუვსიათ...
ყვავის ხეები... ხნიერი ვაშლის ტოტებს ვარდისფერი კვირტები მოსდებია.
თეთრად გადაპენტილა ალუბლები. აუარებელი უთვალავი თეთრი ფურცელი
დაფარფატებს ჰაერში, ძევს შავ, ხრეშმოყრილ ბილიკზე, ნანაობს პაწია გუ-
ბურებზე. გუშინ ისევ წამოწვიმა. რამდენი წელია ასე წვიმს და ასე ყვავის ხე-
ები. ასობით წელი ისმის ცელის შხვილი. ორმოცი წელია ამ ხრეშმოყრილ
ბილიკზე დავაბიჯებ. უკან დარჩა ჩვენი ქალაქი და სასაფლაო. იქ, ჩვენს ეზოში
მწვანით შემოსილია მსხლის ხე. იგი ჩემს თვალწინ იზრდება. ტოტებით და
ყვავილებით ფესვებისაკენ ისწრაფვის და მიწასვე უბრუნდება.

ქენრიკი ადგა. მომტანთან მივიდა. „ბინძურისთვის“ ყურადღება არ მიუ-
ქცევია. დანახარჯი გაისტუმრა და ბაროდან გავიდა.

— არ დაიძინოთ... — მომტანი ქალი „ბინძურს“ მხარზე შეეხო. — აქ ძი-
ლი არ შეიძლება... შინ წადით.

„ბინძურმა“ ლუდი მოსვა.

— მომეშვი ქალო, ხომ ზედავ, არ მძინავს.

— გძინავს, მაშ, არ გძინავს!.. რაო, დააპატიყვებინე იმ კაცს თავი? ეტყო-
ბოდა, კაი შერეცილი იყო, ყური ნოვკარი, თოვლის დედოფალზე რაღაც ზღა-
პარს გიამბობდა... როგორ არ გრცხვენიათ ამ ხნის კაცებს.. ჰჰ, რას უშვრება
არაყი ხალხს?! გესმის? არ დაიძინო, ახლავე აქედან გაეთრიე. ეს სასტუმრო
კი არა, სასადილოა.

„ბინძურმა“ ცხვირი და თვალები საშინლად ქუჩყიანი ქალღღივით ხე-
შეში ცხვირსახოცით მოიწმინდა. ქალმა ჭურჭელი ააღაგა და გავიდა.

— ისე ლამაზად ვერ გამოგივიდა, პან კოლეგავ; რა საკადრისია გამოუმ-
შვიდობებლად წასვლა. ქალიშვილი ქალიშვილია, დარდი დარდია. მაგრამ გა-
მომშვიდობება მაინც საჭიროა, — ბურტყუნებდა „ბინძური“.

ყველაფერი, რაც ახლა გიამბეთ, უკვე მოხდა. აღარასოდეს არაფერი შეეცვლება. აღარ არის ჩემი შვილი. აღარ არის ამქვეყნიად ჩემი პაწია გლეხი.

იგი განთიადისას იპოვეს იმ დიდ სახლთან. ზედ კედლის ძირას იწვა დედი-შობილა. ისე როგორც ქვეყნიერებას მოეცლინა. თლონდ სახე შეცვლილად დილდილაობით, სამსახურისკენ მიმავალი, გაზეთს რომ ვყიდებოდა, ჯიხურის მეპატრონეს გამოველაპარაკე ხოლმე. არაფერი შეცვლილა. ყველაფერი ძველებურადაა. ხალხი, სახლები, სიტყვები.

— ისევ წვიმს.

— ვითომ არ გვეყოფა ამდენი წვიმა?

კვლავ გამჭვირვალეა საფლავთა ქვებზე გადმომხობილი უშველებელი წაბლის ვარჯები. სასაფლაო ბაღს წოგაგონებთ. უშფოთველ, წყნარ ბაღს, სადაც ბალახსა და ხეებს შორის ჯვრები აღუმართავთ. ახლად მიწამიყრილი საფლავები ქალაქის ყვავილების გვირგვინებს დაუფარავს. მავთულის ღობეშემოვლებულ სასაფლაოს გვერდი ავუარე. დღეს მის საფლავზე აღარ მივსულვარ. სამსახურში მივიჩქაროდი. შორიასლო რომ ჩავუარე, ნაჩქარევად ჩავილაპარაკე: „გამარჯობა, შვილიყო. კვირას გინახულებ“.

ქალაქგარეთ, ბაღ-ბოსტანების ნაწლობლად მდებარე პატარა სასაფლაოზე დავკრძალე. არ მსურს მოვცილდე მიწის იმ ნაკვეთს, სადაც განისვენებს. სძინავს ნაღვლიან, პაწია სახეზე ცუდად, უგემოვნოდ დახატულ ნიღაბფარებულს.





რომანი

სომხურიდან თარგმნა გივი ლუარსაბიშვილმა

პირველი ნაწილი

1

სულ თვალწინ უდგას, როგორ ეშვება უძირო ქვესკნელში, მცხუნვარე დღის მჭახე ყვითელი, დარიჩინისფერი შუქი აბრმავეს და თვალებს წყურავს. ეს შუქი ტუჩებს უშრობს, წყურვილს უასკეცებს, აბრჩობს. შემდეგ, თვალს რომ გაახელს, თეთრ-ნაცრისფერი ფარდა ეშვება, მერე და მერე სინათლის ციმციმი ხშირდება, თვალებში უკიაფებს და სხეულში ეღვრება, უნდა წამოდგეს, რამეს დაეყრდნოს, მაგრამ ხელები რკინის ჯოხებივით უწყვია აქეთ-იქით — გრძელი და მძიმე, თითის წვერები წვივებამდე სწვდება და სადღაც კიდევ უფრო შორს, შორს მიიწევს. ციმციმს თავი რომ აარიდოს, თვალებს ხუჭავს და კვლავ ქვესკნელი, დაგორებული ქვალორღი...

თითქოს ძალათი ჩასჩარესო, ყელში რაღაც გადასცდა, მაგრამ მუცელში ჩასვლის მაგიერ თავი აუვისო. თვალები კვლავ გაახილა და ამჯერად ბინდში სქელი, გაფარჩხულწარბებიანი სახე მიუახლოვდა, ახლა მბოლოდ ზღვის შხუილიდა ესმოდა. ამ შხუილში ერთადერთი სიტყვა გაარკვია — „იცოცხლებს“. ეს სიტყვა რამდენჯერმე განმეორდა — „იცოცხლებს“. შემდეგ სახემ უკან გაიწია, ახლა ნიკაპზე მოჰკიდა ვილაცამ ხელი და ნჯღრევა დაუწყო. უნდოდა ეთქვა — შუბლი მტკივაო, მაგრამ ტუჩები ჰქონდა დაშაშრული, პირში ენა წისქვილის ქვასავით დამძიმებოდა და სასას უფხაჭნიდა. ბინდნაკრავ მეხსიერებაში შორეული და საამური ფიქრი ამოუტივტივდა: „ახლა მინდა დიდხანს, ძალიან დიდხანს ვიძინო“.

გამოიღვიძა, მიმოიხედა და ფეხებთან წამომართული საწოლის თავი დაინახა, კედელი, ფანჯრები, ჭერი... ყველაფერი უცხო იყო. წამოჯდომა მოინდომა, სხეული არ დაემორჩილა, თეთრ ხალათიანი ქალი მიუახლოვდა:

— რა გნებავთ, მითხარით, მე თვითონ...

— არ მოვმკვდარვარ, — გაიფიქრა, — საავადმყოფოა, ეს ქალი ექიმია.

— რა რიცხვია? — იკითხა

— ჩვიდმეტი.

— რომელი თვისა?

— მაისის, იწექით, მოისვენეთ...

მაისისა? როგორ თუ მაისის, როცა მთელი საუკუნეა გასული? ვიდრე შეეკითხებოდა, ეგონა ივნისია ან ივლისიო. თუ ჩვიდმეტი მაისია, მაშასადამე, სამი თუ ოთხი დღე გავიდოდა...

13 მაისი იყო. ქალაქამდე თხუთმეტი თუ ათიოდე კილომეტრი ჩვენი მას კი უნდოდა შინ თვალისდახამხამებაში გაჩენილიყო, გაუხდელი და საწოლზე მიგდებას. ნანატრი ძილის მოლოდინში წამით გონება წაერთვა, რადგან, შემდგომი და უკანასკნელი რამ, რაც დაამახსოვრდა, ქვესკნული რი იყო, მზით გაჩახახებული ხეობის ქვა-ლორღი, რამაც მანქანა დააჩქარა და გაავერანა. „არ მოვმკვდარვარ“, — გონებაში გაიმეორა და სხეული მოისინჯა: ფეხები, ხელები, ტანი. ხელები კვლავინდებურად მძიმედ და გაუნძრევლად ეწყო. იფიქრა, ჩათაბაშირებული თუაო.

— თქვენი განძრევა არ შეიძლება, — თეთრხალათიანი ქალი ისევ მიუახლოვდა, — როგორა ხართ? უკეთ?

თავი დაუქნია.

— თქვენი მეუღლე... ეგებ ხვალ ექიმმა ამოსვლის ნება დართოს, სამოდღეა ფეხი არ მოუცვლია, შინ არ მიდის.

მეუღლე? ლიანა? ალბათ, ჩემ ცოლად გაეცნო. საბუთებშიც ხომ ასე სწერია. რა მოუვა? გადარჩება თუ გონს მხოლოდ მცირე ხნით მოეგო და შემდეგ მოკვდება?... ავტოკატასტროფისას ბევრი მაშინვე იღუპება, ზოგიც მცირე ხნით მოიხედავს და მერე წვალებით კვდება.

— კარგი მეუღლე გყოლიათ... — ექთანი თითქოს თავისთავს ელაპარაკებდა.

ცოლი... ლიანას ხომ თბილისში საქმეები ჰქონდა, რამდენიმე ბრილიანტი იქ უნდა გაეყიდა... ბრილიანტების გახსენებამ ტყვიანაკრავივით წამოაგდო.

— რას შვრებით, რას შვრებით?! — ექთანმა წამოდგომა არ აცალა.

ის თუ შეიპყრეს, მანქანასაც ნახავდნენ, ასიათასის საქონელი და ფულია შიგ. ესეც შენ! რაღად მკურნალობენ? ციხისთვის. ეგებ, პატიმრობაშიც აიყვანეს. ეს ქალიც ამიტომ მიუჩინეს და განძრევას არ ანებებს, კარს უკან უთუოდ მილიციელები დგანან. გამოტყდება და ციხის საავადმყოფოში გადაიყვანენ. იქნებ სწორედ ესაა ციხის საავადმყოფო. ფანჯრებსაც რომ გარედან გისოსები აქვს აკრული! გათავდა, მოარჩენენ და დახვრეტენ.

იქნებ, არაფერი უნახავთ; ეგებ, არაფერი გაუგრათ? ფულები მანქანის სკამებში საგულდაგულოდ იყო დამალული, ბრილიანტები კი ბენზინის ავზში ეყარა. ეგებ რომ არაფერი იცოდნენ, სამოქალაქო საავადმყოფოშიც იმიტომ მოიყვანეს; მისი მანქანა კი მძღოლებისათვის თვალშისაცემ ადგილას გამოჭიმეს: ნახეთ და გაფრთხილდითო: იმას კი ვერ მიმხვდარან, დამტვრეულ მანქანაში რა ქონებაც ინახება. როგორმე ლიანას უნდა გააგებინოს, მანქანა სანიშნოდ ადგილიდან ჩამოიღონ.

— ცოლი... ცოლი ძალიან მომენატრა... დაუძახეთ ჩემ ცოლს, ვკვდები, სასწრაფოდ დაუძახეთ!..

— დამშვიდდით, — ექთანს შეეშინდა, — ექიმი ხვალ ნებას დართავს... ხვალ შეხვდებით.

— ვკვდები, — დაიყვირა და იგრძნო მკერდი როგორ აუკანკალდა, — ვკვდები, ჩემ ცოლს... და აქვითინდა.

— ღმერთო ჩემო, — დაიბნა ექთანი, — რაღა დარჩა, დღე თითქმის გასულია, ახლა კარგადა ხართ, გადარჩით, რა გადარდებთ? ნუ ტირით, ძილის წამალს გაგიკეთებთ და დაიძინებთ...

— არა, თუ დავიძინე, ვეღარ გავიღვიძებ. ხვალამდე ვერ გავატან... ჩემი ცოლი...

ცრემლები დაბალუბით ჩამოსდიოდა. ცრემლიანი თვალებით უცქერდა, როგორ დაიხარა ექიმის თავი, აწეწილ, მსხვილწარბებიანი წარბებს ქვემოდან მომზირალი პატარა, წყლიანი თვალები მას მიშტერებოდა.

— განერვიულებულია, — ექიმის თავმა უკან გაიწია, — ახლა ექთანს მიუახლოვდა, ცხვირზე თეთრი ფიფქისფერი და თქვა:

— დაიძინეთ, დაიძინეთ, თქვენი მეუღლე ხვალ დილით მოვა.

2

ოთახი მზით ჩახჩახებს. რბილი და ნაზი ხელი შუბლზე ეფერება, სახეზე ეალერსება. სწყურია. ხახა გაშრობია და ენას მძიმედ ამოძრავებს. კვლავ ძაბრით ჩაასხეს რაღაც. როცა თვალი გაახილა, ექთნის გვერდით მშვენიერი ახალგაზრდა ქალი შენიშნა. ქალის ჭროლა, ლამაზი თვალები სიყვარულით შესციცინებდნენ.

— ყველაფერი კარგადაა, — თქვა ქალმა, როცა მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა, — ოპერაციამ კარგად ჩაიარა, — ნეკით მოუწმინდა თვალის კუთხეში დაკიდებული ცრემლი, ნერწყვი გადაყლაპა და გაუღიმა.

— ერთი გენახათ, ავადმყოფი წუხელ თქვენ გამო რა დღეში იყო, — ექთანი თავის ქნევით გარეთ გავიდა.

უცნობი ქალი თითქოს ამას ელოდებოდაო, მიეჭრა და კოცნა დაუწყო.

— ხომ გეუბნებოდით, ხომ გეუბნებოდით, გადარჩები, არ მიმატოვებ! ჰარუთინი ყოველ დღე მეკითხება, მოსკოვიდან მამა როდის ჩამოვაო?... ექიმმა თქვა, რომ...

ვინაა ეს ქალი, რატომ ჰკოცნის ასე შმაგად?

ქალი გასწორდა, თმა გადაიწია და უცებ მოეჩვენა, რომ ის ძლიერ ნაცნობი და ახლობელი იყო მისთვის.

— უკვე კარგად გამოიყურები, — უთხრა ქალმა, მალე თუ გამოჯანმრთელდი, ათიოდე დღით ზღვაზე წასვლას მოვასწრებთ. ბავშვი ამ სიცხეში...

უნდოდა ეკითხა, ვინა ხარო, და ჰკითხა კი:

— რა, ამ სიცხეში?

— ჰარუთინი, — ქალმა გაიღიმა, — სიცხეს ვერ უძლებს.

ანაზღად ფერები დაიწმინდა და ცხადად წარმოუდგა მისი სამი წლის ჰარუთინი, დედასავით ჭროლა, მოგრძო თვალებიანი, გვერდზე გადავარცხნილი თმით, მოკლე შარვლიანი, ფერად ხალათიანი... შვილის ნახვის სურვილმა გული ჩასწყვიტა.

ოთახში ექიმი შევიდა და კარებიდან დაიძახა:

— სონა, დღეს გეყოფათ!...

ქალი სწრაფად ადგა და დამნაშავესავით რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა. ექიმმა მაჯაში მოჰკიდა ხელი და ყურადღებით შეათვალიერა.

სონა, მისი მეუღლე, მისი საყვარელი სონა. ათი დღეა არ მოშორებია..

ექიმმა ხელი გაუშვა და ეს ხელი მოჭრილი ტოტივით გვერდით დაეცა.

მერე ექიმი პატარა მაგიდას მიუჯდა და წერას შეუდგა. სონა ერთხანს ადგილიდან დაძვრას ვერა ბედავდა, ბოლოს, ფეხაკრეფით მიუახლოვდა ავადმყოფს, აკოცა და გავიდა.

შემოვიდა ექთანი, ხელში სისხლის გადასხმის სისტემა ეჭირა, საწოლის

გვერდით დადგა; მოიტანა ყვითელი, გამჭვირვალე სითხით გავსებული შპრი-
ცი, მიღს მოარგო. შპრიცზე დაკიდებულმა რეზინის წვერილმა მილმა ^{შპრიცა}
ქანაობა დაიწყო. მერე ჩქარი ნაბიჯით თეთრხალათიანი, ახალგაზრდა ^{ყავი შგ-}
მოვიდა, ხელი მარჯვენა მკლავში ჩაავლო, საჩვენებელსა და შუათითს ^{მოკრულს}
სველი ბამბა წაუსვა, მოუსრისა და მერე იმ ადგილას, უცბად, ჩხვლიტა ^{მოკრულს}
ნო, ნემსი გაუყარეს. ტკივილისათვის რომ გაეძლო, თვალეზი მოხუჭა. როცა
გაახილა, ექთანს რეზინის მილის თავისუფალ ბოლოს თითებშია უმაგრებდა.

რამდენჯერმე ჩაიძინა და გაიღვიძა. აპარატი კი აუღებლად იდგა, ხელზე
ნემსით მიმაგრებული. კუჭი ეწვოდა. პირში მწკლარტე გემო ჰქონდა.

— საუცხოო მეუღლე გყოლიათ, — ეუბნებოდა ექთანი.

რომელი მეუღლე? ხო, ლიანა, სადაა, სად არის ლიანა?

— ჩემ ცოლს დაუძახეთ!.. დაუძახეთ, მალე დაუძახეთ!..

ექთანს გაუკვირდა, შეშინებულმა შეხედა.

— რატომ არ ეძახით? ჩემთან რატომ არ უშვებთ? — ისევ აყვირდა,
რადგან დამტვრეული მანქანა, მასში გადაძალულები ფულები და საქონელი გა-
ახსენდა.

— ჩემ ცოლს დაუძახეთ! — მთელი ხმით გაჰყვიროდა, — დაუძახეთ!..

— ნემსი ჩაგიტყდებათ. რა გაყვირებთ? ახლახან არ ნახეთ? დამშვიდდით,
საკვირველია, ღმერთო ჩემო, ხან ცხვარივით მშვიდი ხართ, ხანაც ასე ყვირით...
ხომ გითხარით, ყველაფერი კარგადაა, უკვე კარგადაა ხართ, თქვენ კი ბავშვი-
ვით ჭირვეულობთ, ტირით!..

ლიანა აქა ყოფილა? არა, ტყუის, არ მოსულა, რაღაცას ატყუებენ! ანდა,
ეგებ, ლიანა მოვიდა და ნახვის ნება არ დართეს.

— თუ ჩამეძინა, გეხვეწებით, გამაღვიძეთ!

— რატომ?

— როცა ჩემი მეუღლე მოვა.

8

„ღმერთმა არ გაგწირა შვილო“, ეუბნებოდა მოხუცი ქალი და ხელით
დამტყნარ სახეზე ცრემლებს იწმენდდა.

რომელი დეიდა? — ფიქრი არ შორდებოდა, — რის დეიდა, რა დეიდა?
დეიდა არა ჰყავს. რაც თავი ახსოვს, არც მშობლები და არც ნათესავები არ
ჰყოლია. როცა საბავშვო სახლში მის დედით ან მამით ობოლ ამხანაგებს ვი-
ლაცები აკითხავდნენ (მანქანით მოდიოდნენ და რამდენიმე დღით მიჰყავდათ),
თვად მას მომკითხავი არა ჰყავდა. ამქვეყნად არავინ იყო, ვისაც გაახსენდებო-
და. როცა სხვებს ნათესავები მოინახულებდნენ, ნაცემი ძაღლივით ოთახის კუ-
თხეში მოიბუზებოდა და წკმუტუნებდა. ერთი აღმზრდელი ჰყავდათ — სახელი
დღესაც ახსოვს, პატივცემული გოპარი — მოკითხვის დღეს ეზოში გაიყვან-
და, საქანელაზე დასვამდა, ზამთრობით კი ციგით ასრიალებდა.

რა თავში იხლის დეიდას, როცა დედაც კი არ იცის ვინ იყო!

ის ჭალარა ქალი ტიროდა, ეალერსებოდა, უთხრა: ხლის, წვეწები მოგი-
ტანე, დალიე, მალე ფეხზე დადგებიო.

ექვი არაა, მახეა დაგებული. ეტყოდა, მანქანაში არაფერი უნახავთ. მაინც
ვინაა ის მოხუცი? დეიდა, რა თქმა უნდა, არაა, მას მოგზავნილი იქნება, სიტყ-

ვა რომ დააცდენინოს. მოხუცი, მოხუცი!.. ცხარე ცრემლს კი აფრქვევდა, მაგრამ ალბათ იმის ცდაში იყო, როგორმე მანქანაზე ჩამოეგდო სიტყვა.

ყველაფერი უკულმა როგორ დატრიალდა? იჯევანის ან სეფანის სასტუმროში რომ ჩამომხდარიყო, ანდა მანქანით გზიდან გადაეხვია და რამდენიმე საათით წაეთვლიმა... ეშმაკი შეუჩნდა... საჭესთან განუწყვეტლვ რედათი საათი!.. ცოტა ხანს მაინც დაესვენა!.. რად გაეხვია ამ ამბავში, ამ დეიდებთან? დეიდა!.. ნეტავი, იმ დეიდასთვის ეკითხა. დედა სადღაა? დედა თუ არაა, დეიდა საიდან გაჩნდა? მოხუცი, მოხუცი, როგორ თვალთმაქცობდა, თავს მიაპიტად აჩვენებდა, ვითომც დამდულრული ტიროდა, ცდილობდა ანკესზე წამოეგო, „ღმერთმა არ გაგწირა, შვილო“... უფალს არაფერი გამოეპარება, მოხუცო, დამსაჯა, გამომძიებელს რომ თავში ბოთლი ჩავარტყი. დამსაჯა, სიცოცხლე კი მაჩუქა, რადგან ყველაზე უკეთ მან უწყის, რომ არ მინდოდა ჩამერტყა... მეც არ ვიცი, როგორ მოხდა... „ღმერთმა არ გაგწირა, შვილო“. შენ კი გინდა გამწირო, მოხვედი ცეცხლზე ნავთის გადასასხმელად, სასჯელზე სასჯელის მოსამატებლად. შენ რა, ღმერთზე უკეთ გაგეგება ადამიანთა ავ-კარგი, ცოდვა-ბრალი? სადაც არაფერი გესაქმება, ცხვირს რადა ჰყოფ?.. თუ აქედან დავძვერი, ზუსტად იმ კლდის თავზე, საიდანაც გადავვარდი, საღვთოს დავკლავ.

„ღმერთმა არ გაგწირა“... იცი კი რატომ არ გამწირა, მოხუცო? იმიტომ რომ ამქვეყნად ოხერ-ტიალი ვარ, მინდვრის ყვავილს ვგავარ, არავის არ დავუთესივარ, მაგრამ აღმოვცენდი და ვცოცხლობ.

დეიდა! მაშიდა რა, არა მყავს? პაპა და ბებია სადღა არიან? ეგ საკენკი თქვენ ქათმებს დაუყარეთ! მახეა დაგებული. ახლა, როგორმე შექმნილ ვითარებაში უნდა გავერკვე, შემდეგ კი მოხდეს მოსახდენი, მახესიც აღარ მეშინია, ლიანა მოვა და... მახეაბრუებენ... დაველაპარაკები, გავიგებ, მერე როგორღა მოვიქცე, მალე გამოვკეთდე თუ გვიან, ჰკვიანი ვეჩვენო, თუ თავი მოვიგიჟიანო (ტვინის შერყევა მაქვს, არაფერი მახსოვს, უდანაშაულო ვარ). ოღონდ ლიანა მოვიდეს, ოღონდ მოვიდეს! მომვლელი ქალი, მიღზე კვლავინდებურად შპრიცს რომ ამაგრებს, სულ იმას ამბობს, ლიანა ხვალ მოვაო, ეს ხვალე კი ველარ დადგა! ეგებ, ლიანას ეშინია აქ მოსვლის, ეგებ, ფრთხილობს, არაფერს მიხვდნენო. ერთი კია, არავინ მნახულობს. ერთი ფეხზე დავდგე, გავიქცევი, მერე მიყარონ კაკალი. სადაა ტანსაცმელი?

— ტანსაცმელი სადაა?

— თქვენი ტანსაცმელი... -- ექთანს რეზინის მილი შპრიცისათვის, ეტყოდა, კარგად ვერ მიემაგრებინა, რადგან სითხე იატაკზე წვეთავდა. მერე, როგორც იქნა, მოარგო.

— აი, თქვენი ტანსაცმელი, — თქვა და სკამის საზურგეზე გადაკიდებულ პიჯამოზე მიუთითა.

— ჩემი ტანსაცმელი მინდა, საგარეო, საკუთარი!

— საგარეო ტანსაცმელს აქ რა უნდა? — ექთანმა მხრები აიჩეჩა და ნემსის მოსატანად გატრიალდა.

— როგორ, სადაა ტანსაცმელი, მომპარეს? ტიტლიკანა ხომ არ მომიყვანეთ?.. ჩქარა, ახლავე, მომიანახეთ ტანსაცმელი!

ერთ განსაცდელს მეორე ემატება... შარვლის ჯიბეში ხომ ორი ნახევარგარატიახი ბრილიანტი ჰქონდა. მანქანაში რომ არაფერი ენახათ, ესეც საკმარისი იყო გამომძიებლის დასაწყებად. ამ ორ ბრილიანტს იმ საქმესთან კავშირი

არა აქვს, საკუთარი ოფლითაა შექმნილი, სიგარეტის კოლოფშიც ამიტომ ჩაედევ; ჩორნის კიდევ ჩემი, საკუთარი ორი ბრილიანტის ბეჭედი მართებს.

ყოველთვის, როცა კაბიკს კაბიკი დასდებია, რაღაც უბედურებას მთელი ქონება ქარისათვის გაუტანებია; ქარის მოტანილი ისევ ქარს მიაქვს, მართალი ყოფილა. ღმერთი შეგეწია, შეგიბრალა, შიმშილით რომ არ მოკვდნენ გაძლევს, ცოტა უფრო მეტსაც, ადამიანურად რომ იცხოვრო, ოღონდ ნუ გაღორდება. ფულთან ფული უფრო ხშირად მიდის, ვიდრე ძმა ძმასთან, ვიდრე ნაგუბარში დგება წყალი. ათასი მანეთი მეორე ათასს იერთებს, ათი ათასი — ათი ათასებს, ეგებ, მილიონებიც მილიონებისაკენ მიილტვიან და სანამ ფულის შოვნის სურვილი არ ჩაგჭრობია, ფულის მთელ გვარ-ტომს, ასე ქვეყნად გაფანტულს, ერთ ოჯახში უყრი თავს. ფული სატრფოსავით გზიბლავს, გიზიდავს. თუ ქუჩაში გასვლისას თან გაქვს ამაყად, წელგამართული დააბიჯებ. მის თვალისმომჭრელ სხივქვეშ ყველა კარი, თვით ჯოჯოხეთისაც, იღება და თუ წამით დაგავიწყდა ვისაც ჰმონებ, ისიც, ურჩი, ჰირვეული ცოლივით, აიკრავს გუდა-ნაბადს და, ჰაიდა, ერთ მშვენიერ დღეს უჩუმრად გაგეყრება, დაგშორდება, შენზე მღიდარს, სხვას გაჰყვება!

ეგებ ღმერთიც ამიტომ გაფრთხილებს, გეუბნება: ფულის მონება არ გამოვადგება, იცხოვრე შენთვის, ბიჭოო.

ყოველთვის, როცა ამ მცნებას გადაუხვევს, ღმერთი ართმევს და ქარს ატანს, ყოველთვის ასეა, მაგრამ რაღაცას მაინც უტოვებს.

თითებს შორის ნემსის ჩხვლეტამ ამცნო, ამჯერად ღმერთმა დასაჯა, დასაჯა არა ფულის შეგროვებისათვის, არამედ იმიტომ, რომ გამომძიებელს თავში ჩაართყა.

არ უნდოდა ჩაერთყა. ის ვალოსა და სურენს უნდა მოეშორებინათ, ისინი იყვნენ დაინტერესებულნი, რადგან მკვლელობის იმ საქმეს ააშკარაებდა, რაშიც ბრალი იმათ ედებოდათ. ცოდვა გამხელილი სჯობია: ერთ ხუთ წელს მასაც აჰკიდებდნენ იმ გოგონას გვამის მანქანით სარის უბნის ტყეში გადამალვისათვის.

გამომძიებელმა მკვლელობის ეჭვი ვალოზე მიიტანა; დააპატიმრეს და ნახევარ წელზე მეტ ხანს ციხეში ჰყავდათ. სასამართლოზე კი, როგორ არ ცდილობდა გამომძიებელი ვალოს დანაშაული დაემტკიცებინა, არაფერი გამოუვიდა. ნივთიერი საბუთი არა ჰქონდა, არც გვამი იყო და არც მოწმე.

ის გამომძიებელი თავისას მაინც არ იშლიდა, ჯიუტი კაცი გამოდგა. საქმე წესისამებრ დაიხურა, მაგრამ მაინც არ ისვენებდა, ისევ იძიებდა, გვამს დაედებდა. გეშმა სარის უბნის ტყეში მიიყვანა.

„სწორ გზაზე დგას, — თქვა ვალომ, — თავი რომ დავალწიოთ, ისლა გვრჩება, მოვიშოროთ და მოვრჩეთ“. მოშორებისას ვალო იქ არ იყო, რადგან თქვა: „ჯერ ერთი, ეჭვს ისევ ჩემზე აიღებენ, ამიტომ ალიბი მჭირდება. მკვლელობის დღეს მივლინება უნდა გავიფორმო, როცა მილიციაში დამიძახებენ, თვითმფრინავის ბილეთითა და სასტუმრო ანგარიშით წარვუდგები“...

სურენმა გადაწყვიტა: „მე და ნორიკი წავალთ“.

„კაცის მოკვლასთან არაფერი მესაქმება, — სცადა დასძვრენოდა, თავი გაიქნია, — მე მხოლოდ ფული მაკეთებინეთ, ესაა ჩემი საქმე...“

„არაფერი არ გინდა, გამომყევი, იმის მოკვლა კი ჩემზე იყოს. ლიანაც წაიყვანოთ, გაგართობს, სანამ იმასთან ანგარიშს გავასწორებ“.

რამდენიმე დღე ტყეში გაატარეს, მიდიოდნენ და დარაჯობდნენ, როგორც

იქნა მეოთხე დღეს, საღამოს, ასე, ხუთი თუ ექვსი საათი იქნებოდა, გამომძიებელიც გამოჩნდა. ტაქსიდან გადმოვიდა და ტყეში შევიდა. ლიანამ ბორცვს შემოუარა და წინიდან „შეეჩება“. სურენი, შარვლის ჯიბეში გახსნილი და ნით, ფეხაკრეფით დაედევნა. გამომძიებელი ბორცვზე აღჩნდა, როცა ლიანა ზევიდან ჩამოდიოდა, შეხვდნენ ერთმანეთს, ლიანამ რაღაც უთხრა, სურენი ზურგიდან უახლოვდებოდა.

თავად მან კი ორიოდ ნაბიჯი უკან გადადგა, პირი შეიბრუნა, დაღვრილი სისხლის ნახვა არ უნდოდა. ფეხი რაღაცას წაჰკრა, შამპანურის ცარიელა ბოთლს, ინსტიქტურად დაიხარა, აიღო, დახეული და ტალახიანი ეტიკეტის კითხვა დაიწყო. გაურკვეველი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვები... დრო თითქოს შეჩერდა, არ იძვროდა, შემდეგ კი, შრიალითა და ტოტების ჭახუნით, სწრაფად დაიძრა.

თავი ასწია, გამომძიებლის ნაცვლად ბალახზე სურენი ეგდო, ლიანა საღვაც გარბოდა, გამომძიებელი კი მისკენ.

შიშმა აიტანა და ბოთლს ხელი მაგრად ჩაჰკიდა. უნდოდა გაქცეულიყო. ფეხს კი ვერ იცვლიდა. გამომძიებელი წაბორძიკდა, დასხლტა და წონასწორობის დასაცავად ხელებგაშლილმა გვერდით ჩაუარა.

იმის უმწეოდ დახრილმა თავმა, თუ თავდაცვის ინსტიქტმა, ახლა აღარ ახსოვს, უბიძგა, უკნიდან მიადგა და მთელი ძალით ჩასცხო თავში ბოთლი.

გამომძიებელი ჯერ ჩაიკეცა, მუხლებზე დაეცა, მერე მიწაზე გაიშხლართა. მის თავთან სისხლი დაგუბდა.

კვლავ აეკვიატა კითხვა, როცა ეჭიმმა ნემსი გაუყარა: „რა მწარე იქნებოდა ალბათ ჩემი დარტყმა გამომძიებლისათვის, ასე ყრუდ რომ ამოიგმინა და დაეცა“.

4

— სულ უფრო და უფრო გულგრილი ხდება, განურჩევლად შეჰყურებს ყველას და ყველაფერს, — აღელვებული სონა სკამის კიდეზე ზის და ეჭიმს თვალს არ აშორებს.

ეჭიმი თავის კაბინეტში ბოლთასა სცემს, ხმას არ იღებს. თითქოს გუნებაში ვინმეს ელაპარაკება, ეკითხება, ნათქვამს აზუსტებს.

— ზოგჯერ ვერა მცნობს, უცხოთნავეთ ისე გაოცებული მიყურებს, რომ მეშინია. ასეთ დროს მეც ველარა ვცნობ. ხმაც შესცვლია. ესეც იქით იყოს, დეიდა რა დღეში ჩააგდო!... საცოდავი, ძალიან ვიღობ, იცით, დედამთილის გარდაცვალების შემდეგ თავს გვევლებოდა.

— მეხსიერება აქვს დაკარგული, — ეჭიმმა ეს სიტყვები თითქოს ძალით მოსწყვიტა საკუთარ ბაგეს და ისევ დადუმდა.

— ბავშვს, ჰარუთინსაც ველარა სცნობს.

— გაუვლის, — ეჭიმმა შუბლზე ხელი მოისვა, — აღუდგება.

— როდის? — სონა წამოდგა და მიუახლოვდა.

— გაუვლის, — გაიმეორა, — კარგად იქნება.

5

ეს ყოველთვის გულის რევით იწყებოდა. ღებინების წინ პირი მწარე, უგემური სითხით ევსებოდა, თითქოს რაღაცა ძალა უროთი ამსხვრევდა და ნა-

წილებად შლიდა, არღვევდა. ღვებოდა წამი, როცა ფიქრობდა, ცოტაც და ტკივილს ვეღარ გაუძლებდა, მოკვდებოდა. სტკიოდა თვალის ბუდეები, კეფი თავის ქალა, შიგ მორყეული რალაც ნაწილები. ფიქრობდა: მორჩა, ვკვდები, სხვა არაფერი მინდა, ოღონდაც მალე გავთავდე, ძალიან ნუ გავწვალდებოდი.

ტკივილის გამძაფრებასთან ერთად გონება, მეხსიერებაც ერთმეორედ დაიშალა. მორთული ტელევიზორის ეკრანივით შუქი ქრებოდა, წერტილად, ძლივს შესაძინევ წინწყლად იქცეოდა. ამას წყვედიადი მოსდევდა, რის შემდეგაც აღარაფერი ახსოვდა. მერე, უკვე დიდი ხნის შემდეგ, ერთი წუთის, ერთი საათისა თუ ერთი დღის შემდეგ, გაახელდა თვალებს და ყველაფერი რიგზე იყო. თავს ისე კარგად გრძნობდა, რომ უკვირდა იმის გახსენება, ეს საშიში განცდა და ტკივილი ცხადში ჰქონდა თუ სიზმრად.

მოჩვენებებიც აწვალებდა, ვიღაც ქალი და ბავშვი, აშკარად ხელშესახებნი, ხორციელნი, წამდაუწუმ ეცხადებოდნენ, ეფერებოდნენ, ეალერსებოდნენ და უჩინარდებოდნენ.

ორთავეს რალაცნაირი, ერთნაირი, ტკივილიანი სიყვარულით იხსენებდა. ყოველთვის იმას ცდილობდა, სალი მეხსიერება შეენარჩუნებინა, რომ მეორე გამოცხადება-ჩვენებისას მათი ვინაობა დაედგინა, თუმცა, ამოდ.

ჩვენებები მკორდებოდნენ, დღითი-დღე ხშირდებოდნენ და მათი არც უარყოფა და არც მოცილება არ შეეძლო. ხანდახან ერთი მოხუცი ქალიც ეცხადებოდა, ის ქალი კი ნამდვილად ახსოვს: გადარეულია ვიღაც, მოდის, ტირის და გოროზად აცხადებს, დეიდაშენი ვარო.

თავზე დოღბანდი ჯერ არ შეუხსნიათ, ხელ-ფეხი კი უკვე ემორჩილება, წამოჯდომაც შეუძლია. საწოლის თავს ხელს ჰკიდებს და ფეხზეც დგება, გავლისა კი ეშინია.

სხეულზე სილურჯემ, დაბეჭილობამაც გაუარა. ეტყობა, თავი უფრო ძლიერ დაურტყამს, ასე რომ შეუხვევიათ. ორ დღეში ერთხელ ახალგაზრდა ექიმი სახვევებს უცვლის. ახლახანაც იმან შეუხვია, ისე სათუთად, დედა ახალშობილს რომ გაახვევს.

ერთხელაც, გათენებისას, როცა დალილავებულსა და დამტვრეულ სხეულს ისინჯავდა, საოცარი რამ იგრძნო, თითქოს, ეს ტანი მისი არ იყო.

დამტვრეულ თავში თითქოს რალაცები მოშლოდა. ყოველ შემთხვევაში, გონება მუდამ ერთნაირად არ ემორჩილებოდა. თუნდაც, აი, როცა გამომძიებელზე ფიქრობდა, რატომღაც, იმას გრძნობდა, რაც თვით გამომძიებელს უნდა განეცადა, როცა თავში ბოთლი ჩაართყეს. საოცარია, აშკარად ახსოვს ყურებთან თავის ქალის ყრუ ჭახანი და საშინელი ტკივილი. ეგებ, ხევში გადავარდნისას განცდილმა სახე იცვალა და გამომძიებელზე ფიქრს გადაეხლართა. ასეა თუ ისე, უჩვეულო რამაა, რაც სხვას უნდა განეცადა, იმას საკუთარივით გრძნობ, ისე ცხადად, თითქოს შენ გადაგხდენოდეს. მან ხომ ეს მხოლოდ ნახა. ნახა კი არა, თვითონ დაარტყა, მაგრამ, რატომღაც, ის კი არ აგონდება, როგორ დაარტყა, არამედ — როგორ დაარტყეს. რატომ ვერ ანსხვავებს „მე“-სა და „მას“-ს. ესეთი რამ თუ ვინმეს შეემთხვა, ის ხომ საკუთარ თავთან კავშირს ჰკარგავს. ჰკარგავს, რადგან „მე“ მხოლოდ შენა ხარ, ერთადერთი, „ის“ კი სხვა, ასეთი სხვა კი ათასია, მილიონები; შენთვისაც კი ერთადერთი აღარა ხარ, ასე რომ, აღარ არსებობ. დღეს შენთვის „ის“ მხოლოდ გამომძიებელია, რომელსაც დაარტყი და გონებიდან აღარ გშორდება. ხვალ კი ეს „ის“ შეიძლება იმ აცრემლებულ მოხუც ქალად გადაიქცეს, რომელიც ოთახიდან გააგდე, ანდა,

თუნდაც ლიანად... ასე თუ გაგრძელდა, გავიყვება. ეგებ უკვე გიყვია. ვთქვათ, გიყი არ არის, ყველაფერს კარგად ხედავს და ამჩნევს, ახსოვს. წარმოუდგენია ეტყობა, ნერვების ბრაღია.

ბოლო ორი-სამი წელია ნერვები დაწყვეტაზე აქვს. მთელი დღეებისა თუ კვირების მანძილზე გონებას არ დაუსვენია, ამას თან დაუროთე საფრთხეცა და შიშიც. ჯერ იყო და ყვავილების საქმე ებარა, შემდეგ ფეხსაცმელებისა, ორი ვაგონი ხუფების საქმეც, რასაც სიკვდილი უჯობდა, როგორც იქნა, თავი და აღწია, სხვა საქმე უფრო იოლი ეჩვენა — ოქროთი და ძვირფასი ქვებით ვაჭრობა.

თავისუფალი და მოსვენებული არასოდეს ყოფილა. ფიქრი არ შორდებოდა გზაშიც, ქეიფშიც, ყველგან. მუდამ დაძაბული... ერთი შეხედვით უდარდელ ნადიმებზეც კი საქმეებს ჩარხავდა, მრავალი ადამიანის ბედს რომ წყვეტდნენ; მის გონებაზე, მოხერხებულობაზე, საზრიანობაზე, ნართაულ სიტყვაზე იყო დამოკიდებული ადამიანთა ხსნაცა და დაღუპვაც.

გონებას არ დაუსვენია იმ დროსაც, როცა ლიანასთან თუ ვინმე სხვა ქალთან საწოლი გაუყვია, რადგან ის სიყვარულობია თუ ალერსიც საქმესთან იყო დაკავშირებული. ფიქრი ძილშიც არ ასვენებდა. სხვებისთვის დაწესებული უქმე დღეები მისთვის არ იყო. მოსვენებისთვის არც დღე არსებობდა და არც ღამე, რადგან იმ თამაშში, რომელშიც ასე აზარტულად შეჭრილიყო, ყველაფრის მოლოდინი უნდა ჰქონოდა.

რამდენადმე მოსვენებული აქაა, საავადმყოფოში, თუ არაფრად ჩავთვლით მანქანაში დატოვებულ ფულებსა და მარგალიტებზე შიშს; დრო რჩება განვლილი ცხოვრებისა და ბავშვობის დღეების გასახსენებლად, მათზე ფიქრი ლალად, უდარდელად მოედინება, არა ღლის და შიშითაც არ აშინებს. ასე არასდროს გახსენებია სკოლა-ინტერნატი და პატივცემული გოპარი. თვალწინ უდგას გამზდარი, მასავით ობოლი გოგო — ნინელი, მასაც პატრონი, მომკითხველი არა ჰყავდა, ამიტომაც მცირედიც კმაროდა შიშისათვის, ტიროდა... რამდენჯერ აუტეხავს ჩხუბი იმ გოგონას დასაცავად, ჩხუბში მასაც ბევრი მოხვედრია. გოგონას გამონათებული ცრემლიანი თვალები მისთვის უმაღლესი ბედნიერება, ჯილდო იყო. უკვირდათ, ამ შავტუხა, დიდცხვირა, წვრილთვალემა გოგონას რატომ ესარჩლებათ. ზოგს ეგონა ნათესავიანო, ზოგს რა და ზოგსაც რა. ერთხელ კედელზე ცარცით მიეწერათ „ნორიკი + ნელი = შეყვარებულებს“. ცოდვა გატეხილი ჯობია, თავადაც არ იცოდა მასთან რა აკავშირებდა. ახლალა ხვდება, მორიგი რაინდობის ჩადენის შემდეგ მოუთმენლად ელოდა იმ გოგონას მიერ ყველასგან მალულად, აცახცახებული ბელით გაწვდილ, ჭუჭყიან ქალღმერთში გახვეულ, ვინ იცის, როდინდელ საუზმეზე მიცემულ უბრალო კამფეტს; გაუწვდიდა და აკანკალებული ხმით ეუბნებოდა: გმადლობთ... გოგონას ასეთი მოპყრობა იმ დროს ობლობასა და უთვისტომობას უმსუბუქებდა.

მეშვიდე კლასიდან პროფსასწავლებელში ჩაირიცხა. ის გოგონა კი იმ დროს მეოთხე თუ მეხუთე კლასში სწავლობდა. სასწავლებელში კინომექანიკოსის ხელობას ეუფლებოდა. გოგონას კვირაობით ნახულობდა; ჯერ ყოველ კვირა, შემდეგ თვეში ერთხელ, მერე და მერე უფრო უკლო. დაპატიმრების შემდეგ კი აღარც გახსენებია. ნეტავ, სადაა ის გოგო — ნინელი? ნეტავ, ამქვეყნად მშიშარა, უმწეო გოგონასთვის თავშესაფარი თუა სადმე?! ვახსოვარ? ლიანაც აღარ მოვიდა, იქნებ ექთანისთვის ტელეფონის ნომერი მიეცა, დაურეკონ და გამოიძახონ.

ტელეფონის ნომერი?.. ლიანა?.. იქნებ ვალოს, სურენისა და სხვების ტელეფონის ნომრები, მისამართებიც მიეცა?!

არა, ნამდვილად, ნერვები არ მემორჩილება, ესენი სულგანაბულნი ფოთბილად მეკითხებიან. ცდილობენ არ დამაფრთხონ, გორგალს წვერი უჩინონ, რომ გაშალონ, დაარღვიონ მთელი საიდუმლო... მახე რომ არ დაგებულნი, ჩემი მეგობრები კარებიდან არ შემოეშვათ, ფანჯრიდან გადმოვიდოდნენ, მინახულებდნენ და აქაურობას მომაშორებდნენ, თავს შემომეველებოდნენ, შეეცდებოდნენ მალე ფეხზე წამოვეყენებინე. მათთვის მე ისევე აუცილებელი ვარ, როგორც ვეფხვისთვის კლანჭი, ლომისთვის — თათი. მართალია საქმეს თავში უდგანან, თანამდებობაც აქვთ, მაგრამ ჩემი თავგანწირვისა და ალღოს გარეშე ჯიბეს ათასებით ვერ გაივსებდნენ. ალბათ ახლა გული უსკდებათ; ერთადერთი, რასაც შეუძლია მათი დაბრკოლება, ციხის, დაპატიმრების შიშია.

საოცარია, სანახავად დღემდე არავენ მოსულა. მანქანაში რაიმე რომ არც ეპოვათ, სულ ერთია, ავარიის გამო ავტოინსპექციიდან მაინც უნდა მოეკითხათ. ალბათ არ ჩქარობენ, რადგან იციან, საიმედო გალიაშია დამწყვდეული. ეგებ, მის გამოჩანმრთელებას ელოდებიან, კაცს კითხვები მაშინ უნდა დაუსვა, როცა პასუხის გაცემა ძალუძს. ელოდებიან, როდის გამოკეთდება, რომ დაკითხვისას ძალის გამოყენებაც შეძლონ. აიძულონ.

რა კარგად ესმის მათი, მაგრამ არც მდგომარეობა უწყობს ხელს, და არც მათთან შეხვედრა სურს. რაც არ უნდა მოხდეს, აუცილებლად გაიქცევა აქედან. კარ-ფანჯარაც ჩაკეტილი რომ დახვდეს, კედელს გაანგრევს, ფრთებს გამოისხამს, საკვამლე მილიდან გაფრინდება. ოღონდ მომაგრდეს. ფეხზე დგომა შეძლოს! ეგებ გამოკეთდეს კიდევ, გამოჩანმრთელება მხოლოდ თავისთვის, მილიციისა და თუნდაც იმ მსხვილწარბება ექიმისათვის კვლავ მძიმე ავადმყოფად მოიკატუნებს თავს.

ორივე მხრისთვის ასე სჯობია; სჯობია, მისი გამოჩანმრთელების ამბავი მაშინ გაიგონ, ცხრა მთას რომ გადაუვლის.

აი, გული კიდევ ერევა, პირში წყალი ისევ უგუბდება, ისევ აჭრიალდა თავის ქალა, კეფა, თვალის ბუდეები. ეს ყველაფერი ცხადში ხდება, თუ სიზმრად? ეგებ, ეს ტკივილები მოჩვენებითია?.. იქნებ ყალბია ყოველივე, ეგებ გამომძიებელზე ფიქრი შერება, იმის გამოძახილია; და თუ ცხადია, ნამდვილი, მორჩა, საცაა მოკვდება!.. და სანამ გონება არ დაჰკარგვია, შეიგრძნობს დილის საამურ ფერებს და სურნელს, ესმის ფანჯრიდან შემოსული ბელურების გაბმული ჟღურტული და ცხადად ხედავს მისკენ მომავალ ორ მილიციონერს, ვიღაც ქალს... ლიანაა, თუ? ნაბიჯები კი სხვისია... მერე რა მისთვის ახლობელია, ნაცნობი. თავი უნდა შეიმაგროს, მეხსიერება არ წაერთვას, ეს ქალი ხომ ლიანაა, მილიციელებს მოჰყავთ, დაკითხვისას უნდა დაუპირისპირონ.

6

უკვე რამდენიმე დღეა გავლა შეუძლია, ეგებ სირბილიც შეძლოს, თუმცა, ექიმის ან ექთნის თვალწინ ორი ნაბიჯის შემდეგ სახვევთან თავზე იკიდებს ხელს, თვალებს ხუჭავს, იმანჭება, ვითომც თავბრუ ეხვევა, მათი დახმარებით, მათ მხრებზე დაყრდნობილი ლოგინთან მიდის და წვება.

დილით, ყოველ შემთხვევისათვის, ექთანს ჰკითხა, საიდან შეიძლებოდა

დაერეკა. ტელეფონი დერეფნის ბოლოს ყოფილა, მეორე კი ერთი სართულით ზევით — მთავარი ექიმის კაბინეტში. „დარეკვა თუ გნებავთ, მაგაცილებთ“. „გმადლობთ, დღეს არა“.

წევს და თავს იკატუნებს, თითქოს სძინავს. მალულად უთვალთვალებს ოდნავ მოშორებით, სკამზე მჯდომ ექთანს. დაიწყო მკვდარი კაბინეტი. ექთანი საცაა შესვენებაზე გავა. აჰა, რაღაც ქაღალდები მოკეცა, კარადაში შეინახა და გავიდა. ცოტასაც მოიკდის, დერეფანში გავა და ლიანას დაურეკავს.

დერეფნის ერთ ბოლოში ორი ავადმყოფი დგას, აბოლებენ. შინ არ პასუხობენ. ეტყობა, ლიანა სამსახურშია.

მაღაზიაში ვიღაც უცხო მამაკაცმა აიღო ყურმილი, ლიანას დაუძახეს.

— გამარჯობა, ლიანა! როგორა ხარ?

— მადლობთ, ვინ ბრძანდებით?

— ნორიკი. — სცადა ხმისთვის სუსტი, ავადმყოფური იერი მიეცა, — რატომ არ მოდიხარ?

— ვინ, ნორიკი? — ქალს ხმა აუკანკალდა.

— ნორიკი, ნორიკ თარაზიანი. სხვა ნორიკი ვილაა?.. მისმენ?

— გისმენთ!..

— რა გულცივად მელაპარაკები? ჩემი მანქანა რა უყავით. შიგნიდან საქონელი ამოიღეთ?

ქალი დუმდა, ყურმილში მძიმე სუნთქვა ისმოდა.

— რა, ენა ჩაგივარდა, ვირიშვილო?

— ვინ გნებავთ?

— დედა-ღვთისმშობელი, — გაბრაზდა, — თვეზე მეტია რაც, აქა ვწევარ; რატომ არ მოდიხარ?

— სხვაგან მოხვდით!..

ქალმა ყურმილი დაკიდა.

„წადი, შენი!“ გამწარდა. ნომერი კვლავ აკრიფა, რატომღაც, უმაღვე გათიშა.

რა მიხვედრა უნდოდა, ლიანას უთვალთვალებენ. ეგებ, იმ დროს მილიციელიც გვერდით ედგა. პირველად ის მილიციელი აიღებდა ყურმილს, არადა, მისთვის უცხო მაღაზიაში ვინ უნდა ყოფილიყო?

ყოჩაღ, გოგო! კარგად დაძვრა. „ვინ გნებავთ? სხვაგან მოხვდით“.

ცხადია, რაღაც ხდება, რაც შეიძლება მალე უნდა გავიქცე. ამ კიბეებს ჩაუყვება, კარებთან მიიყვანს. თუ ცენტრალური შესასვლელიდან არ გაუშვებს, სარდაფის გასასვლელს მოძებნის.

კარები ღია დახვდა. ყმაწვილ კარისკაცს, პირგაუპარსავს, მხრებზე თეთრი ხალათი დაუდევრად მოესხა, იჭდა კარებთან და სიგარეტს ეწეოდა. ხალხი კარებს გარედან მოჯარვოდა, ეტყობა, შესვლას სთხოვდნენ. დარაჯი კი აინუნშიც არ აგდებდა მათ თხოვნას.

როცა მიუახლოვდა, კარისკაცმა მოულოდნელად ფეხი განზე გასწია და გაატარა. გაუკვირდა, რა ადვილად გადავრჩიო.

— ბიჭო, — დაედევნა ვიღაცა.

გული უბაგუნებდა.

— ბიჭო, — დაეწია, ზევით არ ახვალ? — თავით საავადმყოფოსკენ მიანიშნა, — მერვე სართულზე ჰაიკაზ საროიანს გადაეცი, მამაშენი სოფლიდან ჩამოვიდა და არ უშვებენ-თქო.

— ავალ, — უთხრა და გარეთ გაიჭრა, ვიდრე ალაყაფის კარს მიიღწევდა, რეტი დაესხა. გულის რევაც დაეწყო, პირში საზიზღარი სითხე ჩაუღვრა და რომ არ დაეარდნილიყო, ხეს მოეხვია...

ერეკლე
ზიზღილი

7

ლიანას დღისით, სიცხეში, ციებიანივით აკანკალებდა. ყურმილი ჩამოჰკიდა. ფეხზე ძლივს იდგა, დახლთან ბარბაცით მივიდა, სხეულში სისუსტეს გრძნობდა, დიდხანს იყო ასე.

სკამი მოიწია, დაჯდა, შეეცადა თავი ხელში აეყვანა, ძალა მოეკრიფა, ცოტა ხნის წინათ მომხდარი ამბავი გაეაზრებინა.

ვინ დამირეკა?.. ნორიკი როგორ დარეკავდა, როცა საფლავში წევს? ათი დღის შემდეგ ორმოცი უსრულდება.

ნორიკის მთელი ქონება მას დარჩა, მშაჩის ბიუროს ცნობით მისი ცოლია, ვალდებულია და გადაუხდის კიდევ ორმოცს. ცოტა ფული არ დაუტოვებია, სამოთახიანი კოოპერატიული ბინაც მას დარჩა (ეს ბინა წინათ მისი იყო, ნორიკს ოცდასამ ათასად მიჰყიდა, ფაქტიურად ხელიც იმიტომ მოაწერეს, ნორიკს ბინა რომ გადაეფორმებინა).

ყველაფერს ნორიკი აკვარახჭინებდა. ორიოდ წლის წინ მოულოდნელად გამოჩნდა და ასევე მოულოდნელად, ერთი თვის უკან, გაუჩინარდა, მანქანით გადაეშვა ხევში და დაიღუპა.

ახლა კი ურეკავენ და ეუბნებიან, ნორიკ თარაზიანი ვარ, ერთ თვეზე მეტია აქა ვწევარ და რატომ არ მოდიხარო?..

ამ დროს მალაზიაში მყიდველი ნაკლებად შემოდის, თუმცა მის განყოფილებაში სულაც არავინ ჩერდება. საათების, დანა-ჩანგლის, სუვენირების განყოფილებაში კი ხალხი ბლომად ირევა, მეტწილად გოგონები. მის განყოფილებაში არაფერია, დახლის ვიტრინა ხშირად ცარიელია. ზევიდან თვიურად ხუთი ათასის საქონელიც არ იყიდება, ბანკს კი სამოც-სამოცდაათ ათასს აბარებს; არც თავის ჭიბიდან და, რა თქმა უნდა, არც ხელფასის ოთხმოცდაათ მანეთიდან; პირიქით, მოგებიდან თავადაც რჩება და არც ისე ცოტა. მის განყოფილებაში შემოსული ბრილიანტები დახლზე გამოუტანლად იყიდება. მართალია, ბრილიანტების მალულად გაყიდვა კანონით ისჯება, მაგრამ ეს, ერთი მხრივ, მორალურიცაა, ადამიანური და აი რატომ — ვთქვათ, ბრილიანტები დახლზე დაეწყოთ, გამოეჩინათ, მაშინ ეს ქალიშვილები, ახლა მეზობელ დახლთან რომ ტრიალებენ, რა უბედურნი, გულდაწყვეტილნი, შესაბრალისნი იქნებოდნენ. ასეთი ფუფუნების საგნები მათთვის, სტუდენტებისათვის ხელმიუწვდომელი იქნება; ვინც ხშირად ყიდულობს ბრილიანტებს, იმათთვის კი არაფერია, ორმაგი ფასის გადახდაც არ უჭირთ. იქნებ, ამ ახალგაზრდა ქალიშვილთაგან ერთ-ერთს ბედმაც გაუღიმოს (სულ უბრალოდ, მათ შორის ლამაზი ბევრია, ლამაზი და მოხდენილი გოგონა კი, რა თქმა უნდა, მდიდარ საქმროსაც გაიჩენს, მოიცადოს). თუ ბედი გაქვს, როგორც ამას ცხონებული ბებიამისი ამბობდა, ზღაპრული ქვეყნიდან ოქროსთმიანი უფლისწული შემოგიღებს კარს და ცოლად წაგიყვანს, თუ არადა, ზღვაზე მისულს წყალი დაგიშრებაო. შემოაღებს ამ მალაზიის კარს და ყოველი კუთხე-კუნჭულიდან ბრილიანტები გადმოლაგდება. მართალია ნორიკი აღარ არის, მაგრამ ბრილიანტის მომტანს რა დალევს. ოღონდ ნორიკი...

ვინ იყო, ნეტავ, რომ დარეკა? ნორიკს საფლავში ტელეფონი საიდან?.. (უფალო შეგცოდნე, რას ვამბობ!) ვილაცამ ნორიკის მაგიერ... ხომ რომ გავ-
და, მისებურადაც უქცევდა! ეტყობა, ვინც დაურეკა, ნორიკს იცნობდა და ხმაც
მიამსგავსა. მაგრამ რა თავბედობაა, მკვდრის ნაცვლად! მარტო ვიქნებოდა!

ეს ამბავი ცუდის მაუწყებელია. რაღაც ხდება: ნორიკის სულმა დაურეკა
და თავისთან იხმო (ცივმა ოფლმა დაასხა), ან მილიციიდან იყვნენ (რაღაცას
მიხვედრილან, უნდათ წონასწორობიდან გამოიყვანონ და მერე ნერვებაშლილს
ადვილად გამოტეხავენ).

ისევ აცახცახებს, ხომ არ გაგიყდა?! ვინც დაურეკა, ახლა აქ, ახლო-მახ-
ლო, დადის და უთვალთვალებს. უნდა როგორმე შიში დაძლიოს, ისე დაიჭიროს
თავი, ვითომ არაფერი მომხდარა, სხვანაირად, თუ მიუხვდნენ, გაიყიდება, სა-
ფრთხეში ჩავარდება, მერე კი თავს ველარაფრით უშველის.

რა ზარი, რის ზარი? მშვიდად განაგრძობს სამსახურს; იმაზე არც იფიქ-
რებს, განყოფილება დროზე ადრე დაკეტოს და შინ წავიდეს. იმ საქმეში არც
გარეულა, იმ საქონელთანაც არავითარი კავშირი არა აქვს.

იქნებ, მილიციაში იციან საქონლის შესახებ?

ამოიღეს ნორიკის მანქანიდან, დათვალეს, ისევ შეინახეს და ახლა უთვალ-
თვალებენ, ვინ მიაკითხავს...

არა უშავს, თავს დასძლევს და შვიდ საათამდე მოიცდის, რვის ათ წუთზე
გავა მალაზიიდან, წავა... სად? ნორიკის სახლში არ მივა, კედლებისაც კი შე-
ეშინდება, საწოლთან ჩამოკიდებული იმის სურათიც შეაშინებს. მშობლებთან
ნაც არ უნდა მივიდეს, მამის დარიგებებს დღეს რა მოისმენს? ღამეს სირანას-
თან გაათენებდა, მაგრამ იმისიც ეშინია, მისვლით საფრთხეში არ ჩააგდოს.

ცოტაც და ატირდება. მის დახლთან მისული ყოველი ადამიანი გადაცმუ-
ლი მილიციელია, ქუჩაში ორნი რომ დგანან, ისინიც და ისიც, გაღმა ტროტუა-
რზე ხეს რომ არის მიყრდნობილი. ყოველი ადამიანი შეიარაღებული ყაჩაღი
იყო, სამსხვერპლო კი თვითონ, შიშნაკრავი შველივით დაბნეული და აკანკა-
ლებული...

ქვეყანა ვიწროა; ვერც გაიქცევი, ვერც ვერავის დაურეკავ და გააგებინებ,
როგორ შეგაშინეს... შეძრწუნებულმა, მარტოდ-მარტომ მანამდე უნდა ითმინო,
ვიდრე მარეკი. შიგ გულში არ დაგახლის ტყვიას. მხოლოდ თოფის გრიალზე
აღმოგხდება კენესასთან ერთად სხეულიდან შიშიცა და ძრწოლაც. მანამდე კი
უნდა ძრწოდდე და ელოდე, რადგან ამ გასროლის თავიდან აცილების იმედიც
არა გაქვს. ღმერთს შეევედრე, იქნებ დაგინდონ.

— როდის მიიღებთ საქონელს? — ეკითხება ვილაცა ქალი.

— რაა? — ლიანა სახეში მიაშტერდა და მაინც ვერაფერი გაიგო.

— ახალ საქონელს როდის მიიღებთ-მეთქი? — ქალმა ხმას დაუწია. —
„ბაღჩა“ ბეჭედს ან საყურეებს, ასე, ათასი მანეთის ფარგლებში...

„ბაღჩა“ ბეჭედი გუშინწინ მიიღეს, სეიფში ხუთი ცალი დარჩა. (სურენი
უნდა გავაფრთხილო, სეიფიდან ამოიღოს, გადამალოს...) ეგებ აჩვენოს ამ
ქალს, სახელმწიფო ფასშიც მიჰყიდოს? როგორ მისცეს? ამას თუ მისცა, სხვებ-
საც ასევე უნდა მიჰყიდოს. მერე? ხაჩიკს რაღა ჩააბაროს, მათ კიდევ თავიანთ
უფროსებს? თუ არაფრად ჩავთვლი, რომ ეს ქალიც შეიძლება...

— დალოცვილო პასუხის ღირსი მაინც გამხადე, ან ხო თქვი, ან
არა! — ქალს ეწყინა, გაბრუნდა, საათების განყოფილებაში დადგა და დიდ-
ხანს ტრიალებდა, მალაზიიდან არ გადიოდა.



მოჩვენებები თავს არ ანებებენ, არ ასვენებენ. რანაირად არ წარმოადგენ-
ბიან თვალწინ! ხან თვითონაა ნორიკ თარაზიანი, უცოლო (თუმცა მამის მემკვიდრე
ლიანას ქმარია), ორჯერ ნასამართლელი, ხან სხვაა. ვინ, არ იცის. მაგრამ — მისივეა

როგორ შეიძლება ერთი ადამიანი შენ თავსაც წარმოადგენდე და სხვა-
საც! აი, ექთანი, ილიაში თერმომეტრს რომ უდებს, ხუთი წუთის შემდეგ თე-
რმომეტრს ამოუღებს, დაბერტყავს, მაგიდაზე ქალაღლები რომ აწყვია, შიგ
რალაცას ჩაწერს, ჩაინიშნავს და იგივე ადამიანად დარჩება, იმად რაც გუშინ
იყო, ხუთი, ათი თუ ოცი წლის წინათ... ექიმიც იგივეა, რადგან ყოველი ადამი-
ანი ერთადერთია, შეუცვლელიცაა და განუმეორებელიც, ესაა ძირითადი
და მთავარი, რაც ამ კონკრეტულ ადამიანს სხვა ადამიანებთან, სამყაროსთან
აკავშირებს, როგორ შეიძლება სხვათა ცხოვრებით ცხოვრობდე და ამგვარად
ქვეყნიერებას უკავშირდებოდე? შეიძლება კი იცხოვრო ისე, რომ შენი წარსუ-
ლიდან, არსებობიდან მომდინარე ჯაჭვი გაწყდეს, დაირღვეს?..

ფიქრი თავით მდგარმა ორმა მილიციონერმა შეაწყვეტინა.

როგორც იქნა, გაიფიქრა, და იგრძნო, ტვირთი როგორ მოეხსნა, შვებით
ამოსუნთქა. ასე სჯობია, დაე, დამკითხონ, გაურკვეველად ყოფნა აღარ შეიძ-
ლება. იმას მაინც გაიგებს რა იციან, რომ სხვა არაფერი წამოსცდეს.

მილიციელებმა ხელი მეგობრულად ჩამოართვეს, ჩამოსხდნენ და უთხრეს,
კარგად გამოიყურებიო. ერთი კვირის უკანაც ყოფილან, მოუნახულებიათ,
მაგრამ უგონოდ იყავიო. კარგია, უკეთ გამოიყურები, გამოეწერები, და ერთი
კარგად შეეუბეროთო!

„კაცო, ეს რა შეგემთხვა“, — თავი გაიქნია კაპიტანმა.

ღიმილით, ტკბილი სიტყვით, ყალბი გულისტკვილით უნდათ სიტყვა და-
აცდენინონ, არც ერთი სიტყვის არ სჯერა, როგორც ესენი არ დაუჯერებენ.
როცა ლაპარაკის ჯერი მასზე მიდგება.

მაშინ მილიციაში პირველად მოხვდა; ის გამომძიებელი ამათზე მეტად
თანაუგრძნობდა. მის უაზრო საქციელზე ისე დარდობდა (ეგრეც უთხრა, — ბი-
ჭო, რა უაზროდ, სულელურად მოქცეულხარო), თითქოს, საცაა და, ატირდე-
ბაო, ეგ თხრად დასარჩენი იმპორტული კევი, ორას ათი ცალი, ვისგან იყიდე
და რად გინდოდაო? აშკარაა, ამდენს მარტო თვითონ არ დალეჭავდა, იყიდა,
რომ ძვირად გაეყიდა, ერთი-ორი კაპიკის ხეირი მაინც ენახა. თხუთმეტი წლის
ბიჭი იყო, პატარა აღარ ეთქმოდა, თავის მოსაწონებლად, გოგოების კინოში
დასაპატიყებლად სჭირდებოდა. რა ფულია სტიპენდიის ოცდაერთი მანეთი?
მე შენ გეტყვი, დედა მისცემს სახარჯო ფულს თუ მამა?

პატიოსნებას ნუ დაკარგავ, პატიოსნება ადამიანისათვის უმაღლესი განძია,
ჯილდოა, გულწრფელად აღიარე, გამოტყდი, რომ, როცა გაგათავისუფლებენ,
ძია გამომძიებელი დარწმუნებული იყოს გზას აცდენილი სწორ გზაზე დავაყუ-
ნეო...

აჰა, ყველაფერი აღსარებასავით უთხრა, მოინანია და სულიერადაც დაი-
სვენა. ახლა ქალაღზე დაწერე, რაცა თქვი, და თავისუფალი ხარო...

მისი ნათქვამი „თავისუფალი ხარ“ იმას ნიშნავდა, რომ ორი წელიწადი
და თოთხმეტი დღე ბავშვთა კოლონიაში უნდა გაეტარებინა.

ახლა ველარ მოატყუებთ!

„ რას გაჩუმებულხარ? — ჰკითხა ლეიტენანტმა, — თქვი, როგორ მოხდა ყველაფერი? “

ეს საუბარი მილიციის განყოფილებაში რომ ყოფილიყო, თანაქმედობის მიხედვით, ყველა თავ-თავის ადგილზე, მაგიდის სხვადასხვევ-სხვევებზე დაჯდებოდა, ქვევით, უჯრაში ან სადმე, მალულად მაგნიტოფონი იქნებოდა ჩართული. ისიც ასე დაიწყებდა:

„ ამხანაგო გამომძიებელო, რა საჭიროა კუკუმალულობა? პირდაპირ საქმეზე გადადიო, თავი დაანებეთ ჩემ ავადმყოფობას, აუწყობელ ცხოვრებას, უბედურებას. ბავშვი არც მე ვარ და არც თქვენ. სათქმელი არაფერი მაქვს, თუ რამე გაინტერესებთ, მკითხეთ! “

მაგრამ აქ, საავადმყოფოში, მდგომარეობა ოდნავ სხვაგვარია. საჭირო არაა ასე უხეშად მიმართოს. ისინი სკამებზე სხედან, ხელში ქუდები უჭირავთ, თვითონ კი გაფარფაშებული ზურგზე წევს. დე ისევ იმათ ილაპარაკონ, გამოკითხონ — როგორა ხარო: აქ ძალიან ყურადღებიანნი ჩანან; თავის ქნევით მოუყვანენ, რა მძიმე მდგომარეობაში იყო მაშინ, ოპერაციამდე, და რა სასწაულით გადარჩა. ბოლოს და ბოლოს, შეუძლია მშვიდად უსმინოს ან ყური არ ათხოვოს მათ ლაპარაკს, თვალები დახუჭოს და წაიძინოს; თუ დაჭირდა, გონებას დაჰკარგავს კიდევც...

გამომძიებლების ლაპარაკი და მისი ფიქრები შეწყვიტა ზმანებაში ქალის გამოჩენამ. ქალმა გამომძიებლებს თავი დაუქნია, მას მიუახლოვდა, დაიხარა, აკოცა და ამის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა (სონა მისი ცოლი... თვალები დახუჭა და უცებ სონას სახე მიუახლოვდა; ამჯერად, მოკლედ შეჭრილი თმის ნაცვლად, გრძელი, ტალღოვანი თმა მხრებზე დაჰყროდა; ეს სონას სტუდენტობის სურათია...), მერე და მერე მილიციონერები მის ამხანაგებად იქცნენ — არმენად და ვარაგად. არმენი მათ შენობაში ცხოვრობს, მეთერთმეტე სართულზე. ვარაგი რამდენიმე სახლის იქით. ამ ეპოლეტებიანი, ფორმიან-ჩინიანი მილიციელების უცხო, შორეული სახეები ახლობლად გადაიქცა, გარდაიქმნა. ახლა ისინი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილნი წარმოუდგნენ. გაახსენდა ახალი წლის ღამეც, როცა ამ ორ კაცთან, მათ მეუღლეებთან და სონასთან ერთად რესტორანში გათენებამდე ჭეიფობდა.

და ახლა, როცა მარტო დარჩა, კვლავ გაუჭირდა გარკვეულიყო ცოტა ხნის წინანდელ მდგომარეობაში. ახსოვს, გულლიად ესაუბრებოდა; რაზე ლაპარაკობდა, ხომ არაფერი წამოსცდა?

ცხადზე ცხადია, უთვალთვალეებენ (გაქცევა სცადა, დაიჭირეს და დააბრუნეს), ლიანაც ამგვარ დღეშია (ტელეფონზე ლაპარაკის ნებასაც არ აძლევენ) და ახლა, როცა ოთხივ კუთხივ საფრთხეშია, ასეთი მოჩვენებებილა აკლდა!..

ეგებ სიზმარია ყველაფერი, გრძელი, არეული სიზმარი; მძიმე სიზმარი, მომქანცველი, მრავალი დღითა და ღამით, ექიმ-ექთანით, თითებს შორის გაყრილი ნემსის ჩხვლეტით, სხეულში ყვითელ სითხეს რომ უსხამენ. ერთ ასეთ კოშმარულ სიზმარს ათი-თხუთმეტი წლის წინათ ხედავდა: დიდთავა, დაჭყეტილ-თვალეებიანი გველი საიდანღაც მოულოდნელად, ქუჩაში თუ სასწავლებელში შეეყრებოდა. ჯერ შორიდან გამოჩნდებოდა და უკვირდა, სხვები როგორ ვერ ხედავენო. თვითონ კი გაურბოდა, სასწავლებლის სახურავზე ადიოდა, ცდილობდა სადმე, პატარა, მიტოვებულ ოთახში შეეფარებინა თავი, მაგრამ ამაოდ,

გველი მხოლოდ მას დასდევდა, სხვა არავის ერჩოდა; მისკენ მიემართებოდა, მშვიდად და გაფაციცებით.

მართალია, ეს სიზმარიც დიდხანს გრძელდებოდა, რამდენიმე დღეც გასულიყო, მაგრამ დილით სიზმრისაგან თავისუფლდებოდა, მშვიდად უძებნებოდა. გველი მხოლოდ ღამით ეცხადებოდა. ახლა კი დღითა და ღამით მოსვენება დაჰკარგვია. ეს სიზმარი მისი ცხოვრებისაგან ერთი ქარაფითაა გამოყოფილი, საიდანაც, რამდენიმე დღისა თუ ერთი თვის წინათ, საკუთარი მანქანით გადავარდა, გადაიჩეხა.

ხევი და ხიფათი რომ არა (ეს კი უტყუარად ახსოვს), ყოველივე იქნებ, სიზმარი ჰგონებოდა და გაღვიძებას უღარდელად დალოდებოდა, მაგრამ ავბედი სინამდვილე სიზმარს გამოორიცხავდა და რაღაც სხვას აფიქრებინებდა; ან ყველაფერი ეს ცხადში ხდება (ავარიაში მოყოლილი კაცი სად უნდა წაეყვანათ, თუ არა საავადმყოფოში), ანდა ხევში ჩაეარდნისას გარდაიცვალა და ახლა იმქვეყნად ამგვარი სასჯელი დაუწესეს.

არცერთი დანაშაული, ცოდვა, დაუსჯელი არ რჩება. გამომძიებელს თავში რომ ჩაართყა, ამის გარდა სხვა რა ცოდვა აქვს? საქონელს მალაზიას ოცდათხუთმეტამდე აბარებს, როცა ისინი ორმოცდაათად ჰყიდიან, განა ეს ცოდვაა? ანდა, ბრილიანტებს შენი ფულით ყიდულობ, მყიდველებამდე მიგაქვს, აწვდი, ხელს უმართავ, განა ეს ცოდვაა?

ცოდვა არ არის, მაგრამ დანაშაულია. თუ სახელმწიფოს ან ადამიანთა მიერ შეთხზულ, დაწესებულ ნორმებს არღვევ, სხვა სიტყვებით, უკანონოდ იქცევი, უნდა დაისაჯო კიდეც, დაგსჯის სახელმწიფო და მისი კანონი. მას კი ღვთის კანონი აფიქრებს, რა არის ღმერთისათვის დასაშვები და რა — დაუშვებელი? ღმერთი არ გაბატონებს, რომ შამპანურის ბოთლი, ან სხვა რაიმე მაგარი საგანი, გამომძიებელს ან ნებისმიერ კაცს თავში ჩაართყა. და თუ მაინც ჩაართყი, ეს დანაშაული არაა, ცოდვაა. სწორედ ესაა მიზეზი, რომ, როცა იმ ამბავს იხსენებს, ყველაფერი თავდაყირა დგება. მეხსიერებაში ის კი არ წამოტივტივდება, როგორ დაართყა თავში მან, ნორიკ თარაზიანმა, გამომძიებელს, არამედ როგორ ჩაართყა მას ვილაცამ, თავდაღუნულს, უმწეოს; პირქვე დაცემაც ახსოვს და ტკივილიც — ყრუ, მწარე...

ასე უკუღმართად ალბათ იმიტომ ახსენდება, რომ სამყაროში ყველაფერი გაწონასწორებული უნდა იყოს: თუ დედამიწაზე ცხოვრებისას სხვას დაართყი და დაუსჯელი დარჩი, აქ, ამ ქვეყანაში სამაგიერო უნდა მოგეზლოს; და რადგან ფიზიკური ტანჯვა აქ შეუძლებელია, ფიქრში იმდენი თავში დარტყმა უნდა განიცადო, ვიდრე არ მიხვდები ჩადენილი ცოდვის, ბოროტების ძალასა და სისასტიკეს. ფიქრში იმდენჯერ უნდა დაიტანჯოს იმ ჩარტყმის გამო, რომ მისი მსხვერპლის ტკივილთან ბარიბარში იყოს; მის ტკივილს, წამებას გაუტოლდეს.

„ახლა როგორაა?“ — ჩაესმა ექიმის ხმა.

„ეს-ესაა ჩაიძინა, — სკამი გაქრიალდა, ეტყობა, ექთანს წამოდგა. — ცოლმა და მეგობრებმა მოაკითხეს; ისინი წასულელებიც არ იყვნენ, ცუდად რომ გახდა“.

„ყურადღებით იყავით, — ექიმი საწოლს მიუახლოვდა, — გაფრთხილდით, კიდეც არ გაიქცეს“.

„მაშინ, ბატონო ექიმო... — ექთანს ენა შეეებორკა, თავს, ეტყობა, დამნაშავედ თვლიდა, — მე, მაშინ, მხოლოდ ერთი წუთით...“

ჩანდა, ექიმი გარეთ გავიდა, რადგან ექთანმა სათქმელი აღარ გააგრძელა, ამოიოხრა და ჩაიბურღლუნა — „ეპ, ეპ, რა ვიცი?“

9



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხელი ყავაა. სურენ ხშტოიანი უბერავს, გამალებით, ყლუპ-ყლუპით სვამს, ტუჩებს ილოკავს, თითქოს ნიძლავი დაედო, ეს ქაფქაფა, შავი სითხე რაც შეიძლება მალე დაეღია. ლიანა სავარძელში მოიკეცა, ხალათის კალთები აკრეფილი აქვს და აბოლებს.

— რამდენჯერ დაგირეკეს? — ჰკითხა სურენმა ისე, ჭიჭისთვის თვალი არ მოუწყვეტია.

— ორჯერ, ერთხელ მაღაზიაში, მეორედ აქ, სახლში.

— გუუბნება, ნორიკი ვარო, არა? შენც უთხარი, ნორიკი ხარ, ნორიკი, დიდი ამბავი, მერე რა?

— მირეკავს და მეძახის, — ლიანა კვამლს გვერდით აბოლებს და ჭერს შეჰყურებს.

მოზრდილმა ყლუპმა პირი დასწვა და სურენმა აკანკალებული ხელით ფინჯანი უკან გასწია, რამდენიმე წვეთი ჰალსტუხსა და თოვლივით ქათქათა პერანგზე დაეცა.

— როგორ თუ გეძახის? — ფინჯანი ლამბაქზე დასდო, ჯიბიდან ცხვირ-სახოცი ამოიღო და ყავის წვეთები ჩამოიწმინდა, — თუ კიდევ დაგირეკა და დაგიძახა, უთხარი, მოითმინე, დრო მოვა და მოვალ-თქო.

ლიანამ ამოიოხრა და თავი გააქნია.

— შორჩი, — სურენი წამოდგა, — ფერი აღარ გადევს, ვილაც ლაწირაკი გამაიმუნებს და შენც მეტი არ გინდა.

— მაღაზიიდან წავალ, — ლიანა სავარძლიდან გადმოვიდა, ფანჯარას მიუახლოვდა, ფარდები ჩამოაფარა და ისევ ძველ ადგილს დაუბრუნდა, — შეშინია.

— ამას მაღაზიიდან წასვლასთან რა კავშირი აქვს? — ეტყობა, ყავა განელებულიყო, სურენმა ფინჯანი შეანჯღრია, ნალექი გადაჰკრა და გადააბრუნა, — თუ მაღაზიიდან წახვედი, რა, გგონია, აღარ დაგირეკავენ? იოლი საქმეა, უნდა მოვძებნოთ ის ცინგლიანი და ნორიკის გზას გავუყუენოთ, — გულიანად გადაიხარხარა.

— მილიციიდან მირეკავენ, — ლიანამ ახლა ახალ სიგარეტს მოუკიდა.

— რა მილიცია? — ჭიქა ლამბაქიანად დააბზრიალა, წამოდგა და ლიანას ახლოს მიუჯდა. — მილიციას რა ესაქმება?

— რა ვიცი? — ნიკაპი სიგარეტის ხელის გულზე ჩამოედო. — განა რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩვენისთანებთან მილიციას?

— შენც ამბობ რაღა, — წამოდგა და ახლა წინ და უკან მოჰყვა სიარულს, — მეტი საქმე არა აქვს მილიციას, შენ დაგირეკავს?! ამ საქმეში მილიცია რომ ჩარეულიყო, საქონლის მიღებისთანავე თავზე დაგადგებოდა, განყოფილებას ჩაკეტავდა, ყველაფერს აღწერდა, თვალის დახამხამებასაც კი ვერ მოასწრებდი.

— პირველად რომ დარეკა, ბრილიანტებიც იკითხა.

— რა ბრილიანტები? — შეშინდა სურენი.

— ეს, ბოლო დროინდელი... მანქანაში...

— რა თქვა?



საქონელი რა უყავიო?

— რა საქონელი-თქო, არა ჰკითხე?

ლიანამ მხრები აიჩეჩა.

— ცუდი სუნი მცემს, — სურენი სკამზე გადაჯდა, — რამდენიმე თვეა, საქონელი თუ ბრილიანტები?

— საქონელი, — ლიანა სავარძლიდან ჩამოვიდა, ფეხები ფლოსტებში გაჰყო, მეორე ოთახში სასმელის მოსატანად გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ კონიაკი და შოკოლადის ფილა შემოიტანა.

— კარგად მახსოვს, საქონელიო, — ბოთლი მაგიდაზე დადგა და კარადიდან ჭიქები გამოიღო.

— თუ საქონელიო, საშიში არაფერია, — სურენი გაიჭვიმა, — ის ვილაცაა, მილიციიდან... მილიციიდანაც რომ იყოს... არა მგონია, მილიციიდან ყოფილიყო. მასხარად გიგდებს ვილაც, ან არადა ჩვენგან რაღაცას მოელის...

— ძალიან გავდა ნორიკის ხმას — ლიანამ სკამი მიიწია, დაჯდა. გაბნეული კვამლი ელექტრონათურის შუქქვეშ მათ გაფითრებულ სახეებს უფრო მეტად აუფერულებდა, — ნორიკისებურადაც უქცევდა.

— ეს, — სურენმა ამოიოხრა, ბოთლი პირთან მიიტანა, თითბრის სახურავს კბილები ჩაავლო, მოაგლიჯა, გახსნა და პატარა, მომწვანო ჭიქები გაავსო. — ნორიკის სურათი სადაა? — ბოთლი მაგიდაზე დასდო.

— შევინახე, შევინახე, მეშინია, — ლიანამ ჭიქა აიღო, თვალები მოხუჭა და ჩურჩულით თქვა, — ნორიკის შესანდობარი იყოს, ჩვენი გადარჩენისა!

როცა, რამდენიმე საათის შემდეგ, ბოთლი გამოცარიელდა, ერთად დაწვენენ. სურენი ოდნავ წამოიწია და შუქი ჩააქრო, ლიანა საწოლში მოიბუხა, სურენის ტუჩებს თავი აარიდა და ატირდა.

— მიყვარდა ნორიკი, — ცახცახებდა და სლუკუნებდა. — ნამდვილად მიყვარდა...

10

— რამდენიმე დღეში გამოეწერება, — ექიმს პირი შეებრუნებინა და ერთ წერტილს დაშტერებოდა, თან მარცხენა ხელის თითებით მაგიდაზე აკაკუნებდა.

— ექიმო, რაც დრო ვადის, სულ უფრო გულგრილია, განურჩეველია ჩემდამი, — სონას ნამტირალევი თვალები ჰქონდა, ხელში დაქმუჭნული ცხვირსახოცი ეჭირა, — როგორც გითხარით, ექიმო, ხანდისხან ისე შემომყურებს... როცა გავახსენდები, იცით... თვალები უცისკროვნდება, ჩემს ხელს ხელებში მოიქცევს და აღარ მიშვებს. ვატყობ თავს ძალას ატანს...

— ყველაფერი მოგვარდება, — ექიმმა ღრმად ჩაისუნთქა, — მეხსიერება აღუდგება... ბავშვს მომვლელი ჰყავს? — სონამ თავი დაუქნია, — კარგია, მაშ, ხვალიდან აქ დარჩებით, ავადმყოფს მიხედავთ, მთელი დღე თქვენ წარსულზე ელაპარაკეთ. საინტერესო და სასიამოვნო ამბები გაიხსენეთ, თან ფოტოსურათებიც წამოიღეთ, ხანდისხან, ისე, სხვათა შორის, აჩვენეთ კიდეც, სრულებითაც არ უნდა იგრძნოს, რომ სავანგებოდ უყვებით. ვითომც აქ არაფერია, ესაუბრეთ. კარგი იქნება, თუ ლაპარაკში მასაც აიყოლიებთ...

ექიმმა ჯიბეში კალამი მოძებნა, უჯრიდან ქალაღდი ამოიღო, მსხვილი, გაკრული ხელით რაღაცა დაწერა და გაუწოდა.

გამომართვით, ავადმყოფის მოვლის ნებართვაა, ხვალიდან მოხვალთ...



ეს სახლი მისთვის იმდენადვე ნაცნობია, რამდენადაც უცხო ქვეყანაშია აღმყოფოდან აქამდე გაწოლილი გზა. ნაცნობია ეს სადარბაზოც და მისი წინააღმდეგ ტაქსი შეჩერდა.

როგორ ხდება, რომ წუთის წინათ უცნობი ნივთი ან კაცი უცბად შენ მეხსიერებაში იაე დაბინავდება, რომ ახლობლად, მშობლიურად მიიჩნევ- იმის გაფიქრებაზე, რომ სხვა ვინმედ, ვილაც უცხო ადამიანად შეიძლება გარდაიქმნას, შეაყრუოლა და ცხადად იგრძნო, ცივი წყალი როგორ გადაესხა, ძვალ-რბილში როგორ დაუარა, ნიკაპი აუცახცახდა და კბილები გააღრჭიალა.

ორიოდე დღის წინ, როცა ექიმმა, როგორც იქნა, თავზე სახვევი შეხსნა, სონას სარკე მოათხოვა.

ოთხკუთხა, პატარა სარკიდან უცხო კაცის სურათი შეჰყურებდა. ეს კაცი სადღაც უნახავს. აკანკალებულს ხელი არ ემორჩილებოდა. „ფოტოსურათი“ შეიჩხრა, კადრში საწოლის თავი, კედელი და სონას მხარი შენიშნა.

არა, ეს სურათი არ არის, სარკეა, სარკეში კი მისი სახე არეკლილა, ანაზ- დად. სარკეში გამოსახული კაციც გაახსენდა — გამომძიებელი, რომელსაც...

გამომძიებელს სახე ნელ-ნელა მოელუშა, დაიღრიჯა და კვლავ გულის რე- ვა, ლებინება დაეწყო, პირში წყალი ჩაუდგა. ამ დღეზე მეტია, რაც გულის რევა არ ჰქონია, ახლა მოულოდნელად უბშირა, მარტო ხელიდან გავარდნი- ლი სარკის მსხვრევის ხმა და სონას კივილი ახსოვს...

როცა გონს მოეგო, თვალები აეხვიათ. უნდოდა ბანდი მოეგლიჯა, სონამ არ დაანება. ექიმი ორი დღის შემდეგ შეგხსნისო. სახვევი აუცილებელი იყო, რადგან მძიმე ავადმყოფობა გადაეტანა, რისგანაც მეხსიერება დაჰკარგოდა; ეგებ, საკუთარი სახეც შეცდომით ახსოვს? გაუვლის ყველაფერი, მალე მეხსი- ერება აღუდგება, ოღონდ მანამდე ფსიქოლოგიურად უნდა მოემზადოს.

ყველაფერზე თანახმაა, გინდ სახეც დაუმახინჯდეს, ღრმა და უშნო ნათ- ჰებით დაეღაროს; ოღონდ კი არ შეიცვალოს. გამომძიებელს არ დაემგვანოს...

სონა ეუბნება, არ შეცვლილხარო, ისეთი ხარ, როგორიც იყავიო. სონა თუ მართალია, მაშ გამომძიებლის სახე მოჩვენება ყოფილა მხოლოდ, და ეგებ სწორედ ესაა მისი სასჯელი.

სულიერადაა დაავადებული: ამის მეტი რაღა უნდა დაემართოს, როცა სა- რკეში საკუთარის ნაცვლად სხვის სახეს ხედავს, სახეს, რომლის სიზმარში მოლანდებასაც არ ისურვებდა.

ეს აახე კი წარამარა ეზმანება, რადგან უკვე ერთი თვეა მასთან დაკავში- რებული მოგონებები თავს არ ანებებენ, მაშინაც კი, როცა სხვა რამეებზე ფი- ქრობს (ეს სახე აღბეჭდვოდა მეხსიერებაში, როცა მანქანით თავქვე, ხევისკენ მიექანებოდა) გამომძიებელს რომ ჩაართყა, იმ ამბავმა ისე ძლიერ იმოქმედა, აგერ, ხორცშესხმულად სარკეში გამოეცხადა კიდევ.

დრო ყველაფრის მკურნალია, თავიდან თუ ამოიგდო ეს ცოდვა და დავი- წყებას მისცა. ეგებ, გონებიდან, ფიქრიდან მომდინარე ამ სახის ანარეკლიც სა- რკეს მოსცილდეს და გაქრეს. მერე კი აღბათ თავისი თავი გამოეცხადება.

როგორი იერ-სახე, როგორი თვალები, თმა, ნიკაპი ჰქონდა თავად მას? გა- დააუწყდა კიდევ. ის კი ახსოვს, სარკეში ნანახ თვალებს, ნიკაპს არ უნდა ჰგვანებოდა. როგორი უნდა ყოფილიყო? აღარ ახსოვს. ამიტომაცაა, სარკეში

სხვისი სახე რომ ირეკლება, ეჭიმმა უთხრა, მეხსიერება რომ დაგიბრუნდეს, შენს ფოტოსურათებს ხშირად უნდა ათვალიერებდეო.

ახლა არა, უხერხულია, სტუმრები ჰყავს.

ეს ახალგაზრდა ქალი სონას მეგობარია, ანაპიტის. ის წარმოსდგა ქალი ქალი კი მამიდა ვარდუშა. შავად შეღებილთმიანი მეორე მოხუცებულია. მამიდა — ჰრანტ სარქისიანი, სისხლის სამართლის განყოფილების უფროსი გახლავთ: სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი წვერმოშვებული ახალგაზრდა — ვარაგ კარაპეტისანი, კუთხეში მჯდომი კი იმისი მეუღლე, ლუსიკი.

ეს მისი სახლია, როგორ მოენატრა, როგორ მოენატრა საკუთარი გარეგნობა! რატომ ეჩვენება ეს ოთახები უცხო, ჭერიც თითქოს უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო, სააბაზანო და საპირფარეშო — გადატიხრული. რა დროს ესენია (ტანსაცმლის საკიდოც შეცვლილი დახვდა), შინ სტუმრები ჰყავს და მათთან ერთად უნდა მოილხინოს. სუფრის თავში, თავის სკამზე ჯდება. ვინ დარეკა? შემოსწრებული სტუმრები არიან? სიდედრს საბავშვო ბალიდან ჰარუთინი გამოუყვანია. მაიმუნი, კისერზე როგორ ჩამოეკიდა! არა უშავს, არა უშავს, იჯდეს მუხლებზე, არ უშლის. სათამაშოები, საიდან, მოსკოვიდან?... ხო, როგორ არა, ჩამოუტანა. ხო, სამსახურში მაგიდის უჯრაში... დაავიწყდა ხვალ აუცილებლად მოუტანს. რა გასწავლეს საბავშვო ბაღში?

ციტო, ციტო მოდი აქ

გაქმევ ქერსა და ხორბალსა...

შეგეშალა, აბა თქვი, ჩიტო? გაიზარდე, მშობლები გაახარე!.. მეტი აღარ გახსოვს? არა უშავს, მე რე გაიხსენებ... ბებიას სამზარეულოში გაპყევი და ისაღილე. არა, ნუ გეშინია, არსად წავა. თუ კერძს გაათავებ, სალამოს მამიკოსთან და დედიკოსთან ერთად გაისეირნებ...

სტუმრებს განა სად მიეჩქარებათ? განა რომელი საათია? ჯერ თერთმეტის არაა, მამიდა რა იქნა? ანაპიტს გაპყვა?

კეთილი, ღამე მშვიდობისა, კარგად ბრძანდებოდეთ.

სიდედრი და სონა მაგიდას ალაგებენ. ჰარუთინმა დაიძინა? რა იყო, ასე ადრე რომ აძინებთ? მაგიდის ალაგებაში დაეხმაროს? არა, არ ეძინება, არც დაღლილა. არა, არ დაწვება. აქ, მათ გვერდით, ურჩევნია...

რატომ მოატყუა? მას ხომ ეძინება? მარტოობის ეშინია, არ უნდა, რომ განმარტოვდეს, ეშინია, ფიქრები არ აეშალოს, კვლავ გონება არ დაკარგოს. სადაა ლიანა, სურენი, ვალო? რას აკეთებენ? რა იქნა მისი დამტვრეული მანქანა? მანქანაში დამალულ ფულებსა და საქონელს რა ბედი ეწია?..

არ წავა დასაძინებლად, არ განმარტოვდება, ასე ურჩევნია. სანამ სიდედრი და სონა გვერდითა ჰყავს, ვიდრე მათ ელაპარაკება, ყველაფერი კარგადაა. მარტო რომ დარჩება, კვლავ აემღვრევა გონება, აეშლება, აეწეწება მოგონებები, მეხსიერება წაერთმევა.

სონამ მარტო ორი ფინჯანი ყავა მოადუღა. სიდედრს — ქალბატონ ლუსიკს, რატომ არ მოუდუღა? არა სვამს? მაღალი წნევა აქვს? ქალბატონო ლუსიკ, წნევა რის წნევაა, ხან აიწევს, ხან დაიწევს...

ახლა, როცა სიდედრი დასაძინებლად წავიდა და სონა მათთვის ლოგინს შლის, იქნებ საკუთარი სახის გასახსენებლად ფოტოსურათები სთხოვოს. არა, ახლა არა! როცა მარტო დარჩება...

სონამ რაო? ათი წლის წინათ? როგორ არა, ახსოვს. მართალია, გელარ-

დიდან ფეხით კლდე-კლდე მოდიოდნენ, ტბასთან დაეშვნენ. ახალგაზრდები იყვნენ. პო, ტყეში ეძინათ. აგვისტო იყო, იმ ღამით კი მაინც ციოდა. ერთმანეთს ჩაეკვრნენ, ცახცახებდნენ. ფიჩხი შეაგროვა და კოცონი გააჩალა. კინალამ ტყეს ცეცხლი არ წაუკიდა?! აბა! რას ბრაზობდა მოხუცი ტყისმცველი?! მართლაც რომ კაი კაცი იყო. როგორ არ ახსოვს ტყისმცველებს — შიშსაშხაშხლიანი ფარღალალა სახლი, მოხუცის ქურჭიცი... შიგ გახვეულნი ერთ არსებად ქცეულიყვნენ და ისე ეძინათ...

სადღა მოასწრო გახდა, უკვე ლოგინში წევს. მას კი არ უნდა... არ ეძინება. რატომ? სონა ახლა უფრო სწყურია, ვიდრე მაშინ, ტყისმცველის ქობში, ხმელ იატაკზე...

სონას სუნთქვა ყურის ძირში უღიტინებს, თავით ფეხამდე მისი ტანის სიმხურვალით იწვის. გრძნობს მის საამურ თრთოლვას. მერე კი, უცაბედად, როცა წამით ფიქრს გაჰყვა, თვალწინ ლიანა წარმოუდგა, შეშინდა, შეკრთა და ჩაბნელებულ ოთახში სონას სახეს დააშტერდა.

— ხომ გეუბნებოდი, — სონა მკლავებში ჩაადნა, — გეუბნებოდი, არ მიმატოვებ. ამის უფლება არა გაქვს-მეთქი, — სონას ხმა აუკანკალდა — უშენოდ როგორ მეცოცხლა?

ამქვეყნად რამდენნაირი სასჯელი არსებობს? დღემდე მხოლოდ ერთი იცოდა — დააშავე, იქურდე, გაძარცვე თუ კაცი მოჰკალი — კანონით ისჯები... გსჯიან, რომ გამოსწორდე და თუ არ გამოსწორდი და თუ ისევ დააშავე, ხელმეორედ გაგასამართლებენ რამდენჯერაც არ უნდა დაგსაჯონ, ვიდრე ცოცხალი ხარ. იგივე კაცად რჩები იქნებ, სული ტყდება, ხორცი ცვდება, მაგრამ სახე სახედ რჩება, მიხვრა-მოხვრაც, სარკიდანაც, სადაც არ უნდა იყო, შენი, საკუთარი გამოაახულება შემოგყურებს.

ეს ადამიანთა დაწესებული სასჯელია, მარტივი, უბრალო. რაც აშკარად ადამიანის პირადი დანაშაულის ალაგმვას გულისხმობს. მაგრამ თურმე სხვაგვარი სასჯელიც არსებობს, როდესაც გსჯიან არა ფიზიკურად, არამედ პირიქით, სხეულს მკურნალობენ, სიცოცხლეს გიხანგრძლივებენ, რათა სულით დიდხანს იტანჯებოდე. ეს განაჩენი უფრო მიიმეა და მტანჯველი: ფიზიკური წამების მაგიერ, გარეგნობას გიცვლიან, სხვა ვითარებაში და ადამიანთა სხვა გარემოცვაში გაგდებენ. ახალ წარსულს გაბარებენ, რათა დარწმუნდნენ შენი მომავალი ცხოვრების ქეშმარიტ მიმართულებაში. და ყველაზე მიიმე ამ სასჯელში მაინც ის არის, რომ შენი მსხვერპლის სახედ შეგქმნეს, რათა თავად იყო შენ მიერ ჩადენილი ბოროტების მარადიული მოწმე. შენი მსხვერპლის სახეს უნდა ნიადაგ ხედავდე სარკეში, ფანჯრის მინაზე. მის გარეგნობას უნდა ატარებდე მეხსიერებაში და ისიც ყოველთვის თან უნდა გდევდეს, სხეულშიც, სულშიც. მართლ უნდა განიცდიდე იმ ტკივილს, რაც შენს მსხვერპლს თავად მიაცენე.

ეს სასჯელი ვინ დააწესა? ვინც არ უნდა ყოფილიყო, სასჯელის ეს ფორმა უფრო სრულყოფილია, რადგან, თუ ადამიანთა დადგენილ მსჯავრს დასაწყისიცა აქვს და დასასრულიც (მას თავი რამენაირად შეიძლება დააღწიო: კაიქცე, დაიძალო, დროზე ადრე გათავისუფლდე), ამას ხელვარი არსაიდან უდევს.

თუ არ შეცბი, ბოლომდე თუ გაუძელი და არ გაგიყდი, უთუოდ გამოსწორდები, სწორ გზას არასოდეს გადასცდები. იცოცხლებ სხვისი, შენივე მსხვე-

რბლის დარჩენილი დღეებითა და წარსულით; შენი მსხვერპლი ვიდრე ცოცხალი ხარ, შენში ცხოვრობს, მოკვდები და ისიც გარდაიცვლება. რა რთული და სრულყოფილია ასეთი სასჯელი! ნეტავ სად გამოაქვთ იგი. სულეთში თუ აქ, დედამიწაზე? თუ დედამიწაზე ხდება ყოველივე, მაშინ მეგობრებო, რა უნდა იყოს სად გაქრა შენ მიერ გატარებული ცხოვრების კვალი? ბიზლიჩისევა

მანქანა, რომლითაც ხევში გადავარდა, სადაა? მანქანის სკამებში, ძაობის ღრიჭოებში, ბენზინის ავზში ფული, ოქრო და ბრილიანტები იყო.

გუშინ ტაქსით მივიდა იმ ხევთან, საიდანაც გადაეშვა. ქარაფი უცვლელი დახვდა, ყველაფერი იგივე იყო, თუმცა ქვევით არც მანქანა ჩანდა და არც საავტომობილო კატასტროფის რაიმე კვალი. აი, ახლა მალაზია „იაგუნდის“ წინა დგას, ვიტრინებში გაფაციცებული იყურება. დახლის უკან ლიანას მაგიერ სხვა ქალია. ყველა და ყველაფერი ძველებურადაა, ლიანა კი არა ჩანს. ეტყობა, მარტო შენ არ შეცვლილხარ, შენტან ერთად ის ადამიანებაც იცვლებიან, ვინც გვერდით გყავდა, სხვები კი იგივე რჩებიან. იცვლებიან მხოლოდ ახლობელნი, ვისთანაც ყველაზე თბილი ურთიერთობა გქონდა.

აქედან მის სახლამდე ერთნახევარი გაჩერებაც არ იქნება. იქითკენ გაუყვება გზას. ნეტავ, რა დახვდება შეცვლილი? არა, შენობა ისევ თავის ადგილზეა, თაღის ქვეშ შედის. ესეც ეზო. რკინის გარაყები ძველებურად მთელ სიგრძეზეა გამწკრივებული. ერთ-ერთი მისია, აი, ის, ბოლოდან მეორე, რიგით ოცდამეშვიდე. ყველა გარაყს პატრონის ხელი ეტყობა, „სად-საღამათია“, მისი კი, ოცდამეშვიდე, ამოძრობილ კბილივითაა. კარები ღიადაა დატოვებული. თითქოს ოცდამეექვსე და ოცდამერვე გარაყებს შორის ბეტონის კედლები ორი მეტრის სიგანეზე დაშორიშორებულან. იქნება, ავიდეს და ნახოს, ბინაში ხომ არაფერია შეცვლილი. თუ?..

ლიფტი იგივეა. შეექვსე სართულის ღილაკი ძველებურად მომტვრეულია. არა, ბინას გარედან არაფერი ეტყობა, კარებიც იგივეა, მხოლოდ ფირფიტა წარწერით — „ნორიკ თარაზიანი“ — გამქრალა.

კარები არაფერია, შიგნით შეიცვლებოდა. ტანაცმელთან ერთად გასაღები დაკარგა. თან რომ ჰქონოდა, გააღებდა, ნახავდა შეცვლილ ოთახებს, სხვანაირ ავეჯს, მორთულობას, საკიდს.

მერე რა, გასაღები თუ არა აქვს, ღილაკი რისი მაქნისია, დააჭერს თითს და იმ უცნობს, რომელიც კარს გაუღებს, ჰკითხავს, აქ მცხოვრებნი. ძველი ბინადარნი, სად გადავიდნენ.

კარებს შიგნიდან ვიღაც მიუახლოვდა. გასაღები გაჩხაკუნდა. გული უჩვეულოდ უცემს. ეგებ გაბრუნდეს?..

კარები ოდნავ გაიღო, ლიანამ გამოიხედა.

— ლია, ლიანა, — თვალებს არ უჭერებდა. — შენა? — შინ შევიდა. ხო, ეს მისი ბინაა, საკიდიც იგივეა, ფიანდაზიც.

— ვინა გნებავთ? — ლიანა გაშტერებული უყურებდა. შემოსული როგორ ათვალეოვებდა, ხელს უსვამდა ავეჯს, ოთახიდან ოთახში დააბოტებდა.

ყველაფერი რიგზეა, ლიანაც არ შეცვლილა.

— დღეს რა, არ მუშაობ, ლი?.. — ჰკითხა და დივანზე გაიშხლართა. ხელი გაიწვდინა და ეურნალ-გაზეთების დაბალ მაგიდაზე მდგარი მაგნიტოფონი ჩართო. ოთახის სხვადასხვა კუთხეში დაყენებული ხმის გამაძლიერებლებიდან მუსიკის ჰანგები დაიღვარა.

— შემო, კარი მოიხურე. რას გაშტერებულხარ, ყავა მოადუღე.

რა მოულოდნელი იყო, ყველაფერი რიგზე რომ დახვდა სახარტული. თავ-
 ხარდამცემი სიზმარი დასრულდა. მისუსტებულია, დაიღალა,
 ესეც მისი ბინა, ლიანა (სულელი თვალს არ მაშორებს), გათვინებულია, არ
 მელოდია), ეს მუსიკა მისი ჩაწერილია, ჩარჩოდანაც ლიანასთან ერთად გადა-
 დებული ფოტოსურათი შემოჰყურებს. როგორი უღვაშები ჰქონდა, ქერა, ქვე-
 ვითკენ დაშვებული... ქორი გვერდზე აქვს გადავარცხნილი.

— ვინ გნებავთ? — ხელმეორედ იკითხა ლიანამ.

— როგორ თუ ვინ? — გაიღიმა. — საკუთარი თავი, შენც მინდიხარ, მაგ-
 რამ მანამდე ერთი ფინჯანი ყავა მომიდულე!..

— დატოვეთ ოთახი! — ხმადაბლა, მკაცრად თქვა ლიანამ. — გაბრძანდით!

— მომიახლოვდი, — ადგა, მივიდა ხელი წელზე მოჰკიდა, — მოდი ჩემ-
 თან.

ლიანა იდაყვებითა და მუშტებით გათავისუფლებას ლამობდა, ჰკბენდა და
 ცდილობდა დასხლტომოდა.

— რა გინდათ, ვინა ხართ?.. — სურდა მოშორებოდა. — გამიშვით...

— ნორიკი ვარ, ქალო, ვაგიყდი? კარგი, დამშვიდდი...

ლიანამ შემზარავად იკივლა.

— ნორიკ თარაზიანი, — ლიანას ხელი გაუშვა. — რას სულელობ?..

— გაეთრიეთ! — გაბრძანდა, — გაეთრიეთ!

გაბრაზდა, სისხლი თავში აუვარდა, ხელებით მხრებში ჩააფრინდა და მო-
 ისროლა. ლიანა იატაკზე დაეცა, ტირილსა და წივილ-კივილს უმატა.

— კახა, — სიბრაზისაგან ცახცახებდა, — ჩემს სახლში ვაფარფაშებულ-
 ხარ და საკუთარი ბინიდანაც მაგდებ?! ალბათ გეგონა მოვკვდებოდი და ყვე-
 ლაფერი შენ დაგრჩებოდა... — კარს მიუახლოვდა, გასაღები გამოიღო, ჭიბეში
 ჩაიღო, კარი გააღო ძირს გაშხლართულ ლიანას ხელი ფეხებში ჩაავლო და
 ტომარასავით გაათრია. ლიანა წკმუტუნებდა, იგრიხებოდა, უძალიანდებოდა,
 მხარზე უკბინა.

ყვირილზე მეზობლები შემოცვივდნენ. ზოგს სახით იცნობდა. ყასაბმა ან-
 დრომ ხელი მოჰკიდა და განზე გაიყვანა.

მერე ოთხი თუ ხუთი ყმაწვილი მილიციელი გამოჩნდა, ხელები გადაუგ-
 რიხეს, ჩაიყვანეს, მანქანაში ჩასვეს. ის იყო მანქანა უნდა დაძრულიყო, რომ
 ბავშვმა მოიბრინა და ერთ-ერთ მილიციელს რაღაც უთხრა, მაშინვე მანქანი-
 დან გადმოიყვანეს, ჭიბეები გადმოუბრუნეს, გასაღები უპოვეს, მისცეს ბავშვს
 და ამჯერად უფრო უხეშად შეაგდეს მანქანაში, მანქანაც მოსწყდა ადგილს.

თუმცა მომხდარ ამბავში გარკვევა უჭირდა, ლიანას ნაკბენები აეწვა და
 მიხვდა, ცის სასჯელი მარტო სულიერი არ ყოფილა, ხორციელიცაა, ფიზიკუ-
 რი...

— მოიწიეთ, — უთხრა მაგიდის თავში მჯდარმა კაცმა და წამოდგა, — აი,
 აქ დაბრძანდით.

ოთახში სხვებიც იყვნენ, ვიღაცა ბოლთას სცემდა, თეთრხალათიანი ქალი
 კარებთან ახლოს იჯდა, სავარძელში მოკალათებული ახალგაზრდა ქალი კი მა-
 გიდიდან საკმაოდ მოშორებით.

მითითებულ სკამს მიუახლოვდა, მიმოიხედა და დაჯდა. სხვებიც, თითქოს

ამას ელოდებოდნენ, ირგლივ შემოუსხდნენ და გაშტერებული შეჰყურებდნენ.

ვინ არიან? ერთიც ვთქვათ და, ყველა მისი ნაცნობი და ნათესაური ვინც შემოიყვანა — მამამისი, თეთრ ხალათიანი ქალი — ბებია, მარჯვნივ მჯდომი მამაკაცი — ძმა, გოგონა, გაფაციცებით რომ შეჰყურებს — და, ~~ცოცხალი სხეული~~ რელი...

მიდი და გამოიცანი ვინ ვინ არის! ამასობაში ყურებში ფუტკრების ბზუილი ჩაესმა...

რთული ამქვეყნად არაფერია. საკმარისია ერთ-ერთი მათგანის ნაკვთები ანდა მოძრაობა ბუნდოვნად მაინც გაახსენდეს, რომ უმაღლესი გონება გაეხსნება, გაუნათლება — გაახსენდება წარსული, ბავშვობა, თავგადასავლები...

— ჰაირაპეტტიანი გახლავართ, — თქვა ოთახში შემოსულმა კაცმა და რატომღაც გაიღიმა კიდევ, — გვსურს გავგესაუბროთ, თქვენი ნებართვით.

— შეიძლება, — მიუგო.

— ახლა ზამთარია თუ ზაფხული? — ჰკითხა იგივემ.

მოესმა თუ კითხვა კარგად ვერ გაიგო? დიდრონი ფანჯრები ფართოდაა გაღებული, ფარდები გადაუწევიან და ოთახი ზაფხულის ცხელი მზის სხივებით ლიცილიცებს.

— თამამად, — გაამხნჯვა „მოსამართლემ“, — აბა, გვითხარით, ახლა ზამთარია თუ ზაფხული?

სიგარეტი მოითხოვა. მილიციაში სამი დღე დაჰყო და ამ ხნის მანძილზე არ მოეწია.

ჰაირაპეტტიანმა სხვებს გადახედა. აღმოჩნდა, რომ სიგარეტი მხოლოდ იმ ახალგაზრდა ქალს ჰქონდა. ქალმა გახსნა მუხლებზე ჩამოდებული ჩანთა, ამოიღო სიგარეტის კოლოფი, ისევ მოჩხრიკა, ასანთი მოძებნა და ორივე ერთად გაუწოდა. მანაც გამართვა, ერთი ცალი ამოიღო და ხარბად გააბოლა.

— ჩვენ შეეთანხმდით გვესაუბრა, ასეა ხომ? — ჰკითხა ჰაირაპეტტიანმა.

პასუხის ნიშნად თავი დაუქნია.

— ესეც ასე, — ჰაირაპეტტიანი მუდარით სავსე თვალებით შეჰყურებდა. — კარგი იქნება, თუ კითხვებზე მიპასუხებთ.

— როგორი ამინდია გარეთ?

— თქვენ, რა, ვერ ხედავთ? — იყო პასუხი, თანაც სიგარეტს დაჭიმითებული ეწეოდა, თითქოს ფიქრობდა, ვუპასუხებ და მოწევას დამიშლიანო.

— არა, ჩვენ რას ვხედავთ, ამას მნიშვნელობა არა აქვს, — უთხრა ჰაირაპეტტიანმა, — მთავარი ისაა, თქვენ რას ხედავთ.

— თოვლსა ვხედავ.

— რა? თოვლს? — ჰაირაპეტტიანს ეს პასუხი ისე გაუხარდა, როგორც ბავშვს უხარია ხოლმე ახალი სათამაშო, — როგორ თოვლსა ხედავთ, ფანტელუბია თუ ხორხოშელა?

ეს კაცი ან თვითონაა გიჟი ან მე ვგონივარ.

— აბა, აბა, — ჰაირაპეტტიანი მიუახლოვდა და კეთილი ღიმილით მხარზე ხელი დაადო.

— თქვენ რა, დაიჯერეთ, რომ მართლა თოვს?

— რატომაც არა.

— შუა ზაფხულში თოვლს რა უნდა? — თქვა და გაოცებულმა სხვებს

გადახედა. ისინი ჩუმად იყვნენ, დაძაბულნი, ყურადღებით შეჰყურებდნენ. სახეზე ძარღვი არავის შესტოკებია.

ჰაირაპეტეიანი თავის ადგილს დაუბრუნდა, მაგიდის თავში დაჯდა.

— მაშ ასე, დავალაგოთ თქვენი წინადადება და ვთქვეთ, რა უნდა იქნება თოვდეს, რადგან ახლა ზაფხულია, ხომ?

— დიახ, — უპასუხა, საფერფლეში სიგარეტი ჩასრისა და წამოდგა, — ბარელამ, მითხარით და გაათავეთ, რა მომელის; პირდაპირ საქმესთან დაკავშირებული კითხვები დამისვით.

ჰაირაპეტეიანი წამოდგა. ხმას არ იღებდა.

დუმილმა დაისადგურა. მანაც სიჩუმეში ადგილზე გაქვავებულ ადამიანებს მოაელო თვალი. ვიღაც ლაწირაკი ნუ ვგონივარ, ლობე-ყორეს ნუ ედებიან; ფიქრობენ, ასე დამტყუონ სიმართლე... სრულიადაც არ გავურბი პასუხისმგებლობას. არ იციან, როგორ ამხსნიან სულიერ ტანჯვას, თუკი ფიზიკურ სასჯელს გამომზადებენ. რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესი: სულიერ მსჯავრს, ამდენ წამებაა გადავრჩები.

იმ ზარდამცემმა ამბავმა, გამომძიებელა თავში რომ ჩაართვა, შეაგნებინა, ბოროტება ქვეყნად დაუსჯელი არ რჩება. სამართალმა თუ არ დაგლო მსჯავრი, არ გამოგააშკარავა, სულ ერთია, შენ თვითონ გამოგაქვს განაჩენი საკუთარი თავისთვის და ამ სასჯელს სიკვდილამდე ატარებ.

— აჰ, აჰ, — ჰაირაპეტეიანმა ნაძალადევად ჩაახველა და ხელების ფშვნეტას მოჰყვა. მერე მაგიდიდან ერთი ქალაღი შეარჩია და გაუწოდა.

— აბა, ამ სურათზე რა არის გამოსახული?

მანაც გამოართვა და შემცბარმა განზე გადასდო.

— მინდა ვითხრათ, რომ კაცი მოვკალი.

— ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, — თქვა ჰაირაპეტეიანმა.

— მაშ, რასა აქვს მნიშვნელობა? — გაიკვირვა.

— მთავარი და მნიშვნელოვანი ახლა ისაა, თუ რას ხედავთ მაგ სურათზე.

— სამ ლაბუა ბელურას.

— ყოჩაღ! — ჰაირაპეტეიანმა თავი დაუქნია. — ახლა ამ სურათს შეხედეთ აქ რა არის გამოსახული?

— არაფრის ნახვა არ მინდა, მინდა გკითხოთ, — სურათი ხელით განზე გაწია. — აქ რისთვის ვართ?

— ესაუბრობთ, — უპასუხა ჰაირაპეტეიანმა.

— ესენიც საუბრობენ? — თვალი მოავლო იქ მსხდომთ.

— არა, ესენი ჩვენ საუბარს ისმენენ.

— ცდებით, ჩვენ კუკუმალულობას ვთამაშობთ, ესენი კი მაყურებლები არიან. ვაყვაცურად გეუბნებით, კაცი მოვკალი-მეთქი, თქვენ კი ჩიტუნების ფოტოსურათებს მათვალიერებინებთ. იცით, რა მძიმეა კაცის მოკვლა?

ჰაირაპეტეიანმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

— ჩემ აღსარებას რატომ არაფრად არ აგდიბთ?.. გვერდს შეგნებულად უვლით, ამით, იცით, თანამონაწილე მიხდებით..

— დაამთავრეთ? — ჰაირაპეტეიანის კეთილგანწყობა ახლა დადლილობისაგან გულგრილობაში გადაზრდილიყო.

— დავამთავრე.

სხვები, რომლებიც, კაცი ვერ გაიგებდა, იქ რისთვის ისხდნენ, ძველებურად დუმდნენ.

— ჩვენი საუბარი რომ კვლავაც გაგრძელდეს, გამოგიტყდებით, ჩვენ მილიციის თანამშრომლები არ გახლავართ. ეს ფსიქიატრიული საავადმყოფოა. ლარისა აკოფოენა — პათოლოგიის განყოფილების გამგე, ამხანაგი, ქალიშვილმა თავისი სახელი უკარნახა, — ამხანაგი სიმა პრაქტიკანტია. ახლა სომხედავთ, რატომ ვართ ასე დაინტერესებული თქვენი ჯანმრთელობის შესახებ? რი მდგომარეობით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნორმალური კვლავი თუ არა? ამის გასარკვევად კი აუცილებლად უნდა გვიპასუხოთ.

კვლავ სიგარეტი მოითხოვა, ასე რომ საგიჟეთია... ხო, რა თქმა უნდა, რომელი ნორმალური ადამიანი ხედავს სარკეში საკუთარის ნაცვლად სხვის გამოსახულებას? საგიჟეთი არც სასამართლოა და არც ციხე. კარგად ახსოვს, სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთ მუხლში ნათქვამია, რომ პასუხისმგებლობა არ მიიკეციან სულიერად დაავადებულნი.

იმედი გაუცრუვდა, რომ დასჯიან, ამით კი ტანჯვაზე ტანჯვა დაერთვის. მორჩა, ამ გამოკეტულ ოთახებში მისი ნერვიული დაძაბულობა უფრო გამძაფრდება, უფრო გაუხშირდება ზმანებები, მოჩვენებები, კოშმარები, რადგან ეს ყოველივე ნერვების ბრალია, ოთხ კედელში კი, ამ საგიჟეთში გამომწყვდეული, მარტოობისა და უსაქმურობისაგან უფრო დაიტანჯება.

— აბა, გვითხარით, აქ რას ხედავთ? — ექიმმა ხელში რაღაც ქალალდი ჩასჩარა, სადაც გეომეტრიული ფორმები იყო მოცემული.

— სამკუთხედი, მრგვალი...

— წრეწირი, — შეუსწორა ექიმმა.

— წრეწირი, ოთხკუთხედი, პატარა ოთხკუთხედი, ისევ სამკუთხედი.

— მართალია, — ექიმმა გამოართვა ფურცელი და ახლა მეორე მისცა.

— გოგონა კრეფს ყვავილებს.

— რამდენი გოგონა?

— ერთი გოგონა, — გაოცდა.

— ერთი გოგონა, სწორეა, — დაუდასტურა ექიმმა, — ახლა ასეთ კითხვაზე მიპასუხეთ: ანაპიტის თმა უფრო ბაცია, ვიდრე სუსანასი, თუმცა უფრო მუქია, ვიდრე ჟანასი, ვისი თმაა უფრო ბაცი ფერის?

— კითხვა კარგად ვერ გავიგე, — შეშფოთდა, რადგან ცდილობდა ყოველ კითხვაზე სწორი პასუხი გაეცა, სხვანაირად თავს ვერ იმართლებდა.

ექიმმა სხვებს შეხედა და თავი გაიქნია, შემდეგ მხარზე ხელი მოჰკიდა და ერთ-ერთ ღია ფანჯარასთან მიიყვანა.

— გარვთ როგორი ამინდია?

— ცხელა.

ექიმი გამომცდელად შეჰყურებდა.

— რა, ექიმო, არა ცხელა?

— ცხელა, ცხელა... — ექიმი გამოერკვა, ძველ ადგილზე დაბრუნდა, მაგიდიდან ქალალდი აიღო და გაუწოდა, — ამ ფოტოსურათზე რამდენი კაცია გამოსახული?

სურათი მისი იყო, ლიანასთან ერთად გადაღებული.

— ორი კაცი.

— ორი ბავშვი? ორი ქალი? ორი მამაკაცი?

— ერთი ქალი და ერთი კაცი.

— იცნობთ ამ ადამიანებს?

— დიახ, ეს ლიანაა, ეს კიდევ — მე.



ახლა ექიმმა სხვა ფოტო გაუწოდა.

— აქ რამდენი კაცია?

სურათიდან გამოძიებელი იყურებოდა.

— ერთი კაცი.

— ქალია თუ კაცი?

— კაცი.

— იცნობთ ამ კაცს?

— დიახ, ეს ის გამოძიებელია, რომელიც მოგვკალი.

— როდის მოჰკალით? რითი მოჰკალით? დანა დაარტყით თუ ესროლეთ?

— ცარიელი შამპანურის ბოთლი ჩავარტყი და მოგვკალი.

ექიმმა სხვებს გადახედა, სახეზე ყველას გამოცოცხლება ეტყობოდა.

— უკაცრავად, — უთბრა ექიმმა, — ჩვენ ორიოდუ წუთით გვერდით ოთახში გავალთ, ვიმსჯელებთ სიგარეტები დაუტოვეთ, — მიუბრუნდა პრაქტიკანტს და ყველა გაიკრიფა.

მაშასადამე, გამოძიებლის მკვლელი რომაა. მილიციამ იცის (ამ სურათს მხოლოდ მილიცია მისცემდა), მაგრამ არ ასამართლებენ, რადგან ექვობენ, რომ გიყია. გიყი არაა, იმ შემთხვევის ყველა წვრილმანი ახსოვს. შეგნებულად, ანგარებით არ მოუკლავს, აფექტურ მდგომარეობაში ჩაიღინა დანაშაული. ასეა თუ ისე. ციხეში ყოფნა ურჩევნია, სულიერი ტანჯვისაგან მაინც გათავისუფლდება.

ექიმი და მისი ამაღა შემოვიდა, თავ-თავიანთი ადგილები დაიკავეს.

— ასე რომ, ეს შენი და ლიანას ფოტოსურათია? — ექიმმა ისევ ის ფოტო გაუწოდა.

— დიახ, — თავი დაუქნია.

— ლიანა რა არის შენი?

— ხელი გვაქს მოწერილი, მაგრამ ნამდვილად კი საყვარელია.

ექიმმა სხვებს შეხედა და განაგრძო:

— ლიანასთან სახლში ყოფილხართ? ეს უკანასკნელ შემთხვევას არ შეეხება, როცა თქვენ... ერთი სიტყვით, როცა მილიციაში მოხვდით.

— ხშირად ის ბინა ჩემია.

— მე მოქალაქე ლიანა მინასიანის ბინაზე გეკითხებით.

— მოქალაქე ლიანა მინასიანის ბინა ჩემი ბინაა. ოცდაცამეტ ათასად ვიყიდე.

— როდის?

— ერთი წლის წინათ.

აშკარად ეტყობოდა, ექიმს ეჭვი ეპარებოდა.

— იმიტომ მოვაწერე ლიანასთან ხელი, რომ ბინაში ჩავწერილიყავი.

— მიუახლოვდით იმ კედელს და რიგრიგობით ჩამოთვალეთ რა ფერებია. კედლის მთელ სიგრძეზე პლაკატი ეკიდა, ზედ ფერად-ფერადი სვეტები იყო გამოსახული.

— წითელი, შავი, წითელი, ლია წითელი, ლურჯი, მწვანე, შავი, ყვითელი, მუქი მწვანე, ისევ წითელი, შავი...

— კმარა, — შეაწყვეტინა ექიმმა, — ამ ფოტოსურათზე ვის ხედავთ?

— მე და ლიანა ვართ.

— შენ და ლიანა, თუ ლიანა და შენ?

— ჩვენ, ორივენი, — იგრძნო, თავბრუ როგორ ეხვეოდა.

— ეხლა მითხარით, აქედან ლიანა რომელია და თქვენ — რომელი? — ექიმს სახე სახესთან ისე ახლო მიეტანა, ცოტაც და სილას გააწნავდა „მკვდ-მყოფი“.



— ეს, ეს ქალი მე ვარ, ხოლო ეს კაცი...

პირში სითხე ჩაუდგა, უხილავმა ხელმა სატეხებით თავის ქალის მკერდს დაუწყო. წამოიჭრა, წამოიძარტა, სასტიკი ტკივილებისაგან დაიყვირა და ძირს ბრაგვანით დაენარცხა.

— ექიმო, მართალია, სიცოცხლე აჩუქეთ, მაგრამ მისი მოქმედება... — სონა თითებს აწვალვებდა, ამტვრევდა... — ასე თუ გაგრძელდა... უცხო ქალს ოთახში უვარდებდა, ამტკიცებს, რომ ის ქალი მისი საყვარელია და ბინაც მისი ნაყიდია, უზარმაზარი თანხით... ამდენი ფული თვალითაც არ გვინახავს, რა თავში ვიხლიდი მაგ ბინას... სირცხვილია, აუ, რა სირცხვილია...

სწორედ გამიგეთ, ექიმო, ეჭვიანი არა ვარ... მით უფრო, რომ ის ქალი პირველად ნახა... როცა მილიციაში მისამართი გამოვართვი და ვინახულე, ქალი დანაკლისს მძიმედ განიცდიდა... მეუღლე გარდაეცვალა... სულ ახლახან... ტრავმირებულია, გაღიზიანებული, ექიმო, ეს ინცინდენტი რაღაცნაირად მისი გარდაცვლილი მეუღლის შეურაცხყოფას გავდა. წარმოგიდგენიათ, რობერტი გამოეცხადა როგორც მკვდრეთით აღმდგარი... უნდოდა მოხვეოდა, ეკონა და როცა არ დანებდა, გაურტყამს, იატაკზე დაუგდია და საკუთარი ბინიდან აგდებდა... აგერ, რვა წელია ერთად ვართ და ხელი არ დაუკარებია ჩემთვის... საავადმყოფოშივე ეტყობოდა, რაღაც მოჩვენებები აწუხებდა, ყველაფერს სულ სხვანაირად აღიქვამდა, წონასწორობას ჰკარგავდა, თავს ვერ ერეოდა, ვიდრე საავადმყოფოდან გამოეწერებოდა, უკანასკნელ ღამეს ატირდა და ჩურჩულით გამიმხილა ხევში გადავარდნილი მანქანის ამბავი... თითქოს ამ მანქანის ბენზინის ავზში ასი ათასი მანეთის ბრილიანტები და რაღაც-რაღაცები ყოფილა გადამალული; რაღაც არ უნდა დაგვიჩდეს, უნდა მოვძებნოთ და გადავარჩინოთ...

სონას საუბარს ექიმი ჩუმად ისმენდა, იჭდა სავარძელში, ნიკაპი მარცხენა ხელზე ჩამოედო და ერთ წერტილს დაშტერებოდა. ნეონის შუქქვეშ სახე ყვითლად მოუჩანდა და რომ ხშირი, აბურღული წარბების ქვემოთ დაკვესებული თვალები არა, იფიქრებდით, სანთლისაგან ჩამოსხმული მუმივით, ადამიანის მსგავსი, უძრავი.

ამგვარმა მიმსგავსებამ სონა შეაშინა, იფიქრა, მეც მოჩვენებები დამეწყო.

— ექიმო... — სონა დაიბნა, დაფრთხა, დაავიწყდა, რას ამბობდა. როგორც იქნა გონს მოეგო: — მილიციიდან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდა...

— ვიცი, — როგორც იქნა, ექიმმა ენა დაძრა, ეტყობა, რაღაცის თქმა უნდოდა და უმძიმდა, წამოდგა და სონას სთხოვა, გავიდეთ, გავისეირნოთ.

— ფსიქიატრიულში რამდენ ხანს ეყოლებათ?... შეიძლება საბოლოოდ განიკურნოს? — სონას გადაეწყვიტა ამ კითხვებზე პასუხი სწორედ ახლა, ამ საღამოს, ექიმის კაბინეტში მიეღო, რადგან მხოლოდ აქ ეტყვიან მართალს, გარეთ ექიმი სულ სხვა კაცი იქნება, ისევ დიდთავა, დაბალი, ტყბილი მოხუცი. მის სიტყვებს მხოლოდ ნუგეშისცემად ჩათვლის, არ დაუჯერებს, როგორც მაშინ, ოპერაციის წინ, გაჩერებამდე რომ მიაცილა.

— ფსიქიატრიულიდან როდის გამოეწეება? — სონა ხელებით კარის სახელურს ჩააფრინდა და გაავლის საშუალებას არ აძლევდა ექიმს.

— ხვალ, ხვალ უკვე სახლში იქნება, — ექიმმა შუბლზე ხელი მოიხსია. — გავიდეთ, შვილო, შუქი უნდა ჩავაქრო... იმ საავადმყოფოს ექიმს ველაპარაკე, მოვისმინე მასთან ჩატარებული საუბრის ჩანაწერიც, ფსიქიატრიის არაფერი სჭირს. აგისნი, შენს მეუღლესაც ავუხსნი, ხვალ დილით ისევ ვინახულებ...

ქუჩაში ხელი-ხელ გაკრილნი მიდიოდნენ, ექიმი სონას მკლავს ჩამოჰკიდებოდა. ჩია, დაბალი, კეთილი მოხუცი ენად გაკრეფბლიყო.

ფრონტის ამბებს უყვებოდა, მაშინ ახალგაზრდა იყო, სამედიცინო ინსტიტუტი ია-ის იყო დაემთავრებინა. სანთლის შუქზე, ყოველგვარი ჰიგიენური პირობების გარეშე, მიწურში ობერაციები ჩაუტარებია. უნარკოზოდაც... ავადმყოფის ცოდვით გული ეწურებოდა, ხელი კი არ ასტოვებია: ახლა, პირიქით, გული გაუმაგრდა, ხელი კი აღარ ემორჩილება... ბევრი გადაარჩინა, ბევრი სასიკვდილო სარეცელს გამოსტაცა, და მაინც რამდენი დაიღუპა...

შემდეგ კი, ომი დიდხნის დამთავრებული იყო, უბედურმა შემთხვევამ ხელიდან ცოლ-შვილი გამოაცალა.

სიკვდილსა და ახლობლების დაკარგვაზე საუბარე სონას ცუდად ენიშნა. შიშით ელოდებოდა, როდის დაუკავშირებდა ექიმი ყოველივე ამას მისი მეუღლია სახელს. ახლა თუ ეტყვის, ერთი კაცის სიკვდილი იმდენი ხოცვა-ჟლეტვის შემდეგ არაფერია, როგორმე უნდა შეურიგდეთ?..

ვერ შეურიგდება, არა და არა, მისი ვაჟი — ჰარუთინი და ის, ვინც ახლა სხეულში ჰყავს, არ უნდა დაობლდნენ...

ექიმი სხვანაირად ფიქრობს.

ეს ახალგაზრდა ქალი შეძრწუნებულია. მართალია, ოპერაციის შედეგები თავადაც აფიქრებს, თუმცა კარგად ჩატარებული ოპერაცია იმის იმედს იძლევა, რომ ყველაფერი ხელ-ხელა მოწესრიგდება, რიგზე დადგება. ენა არ გაუჩერებია, ეგებ, ამ ქალს სევდა და შიში გაუქარწყლოს, უყვება ომისა და სიკვდილის შემზარავ ამბებს, რადგან, სხვისთვის რაგინდა უმნიშვნელოდაც არ უნდა ჩანდეს, სწორედ ესაა მისი საოცნებო, ტკბილი ყმაწვილკაცობის მოგონებანი, იმედითა და ნეტარებით სავსე წლები, მისი ცხოვრებაც ამ წლებს თან გაჰყვა, დარჩენილი დრო მეცნიერებას, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტების აღზრდას მოანდომა. სიცოცხლე მეცნიერებაა და ავადმყოფებს შეაღია.

ამ კეთილ, შეშინებულ გოგონას გული გადაუხსნა, რომ ისიც, თავის მხრივ, მიენდოს, დაუჯეროს, რადგან, რასაც მოგვიანებით გაუმჟღავნებს, ახალ დარდად არ დააწვეს.


ღია, საზაფხულო ყავახანაში ექიმმა ნაყინი და ორი ფინჯანი ყავა გამოართვა და მაგიდას, რომელსაც სონა უჯდა, თავმომწონედ მიუახლოვდა მისი ასაკისათვის შეუფერებელი, სასაცილო რონინით.

— ექიმო, გეხვეწებით, რობერტის შესახებ მელაპარაკეთ! — სონამ ალუმინის ანაყინე გააწია. — რა თქმა უნდა, გარდაცვლილები... ეს იქით იყოს... კერძოდ... უნდა იცოცხლოს ჩემთვის, ჩვენი შვილებისათვის, — ყელში ბურთი მოაწვა, ცრემლები ლაპა-ღუპით სდიოდა.

წუთის წინათ სონას სიძართლე უნდოდა გაეგო, თუმცა კი შიშობდა, რომ ეს სიძართლე შეიძლება მწარე და თანაც იმდენად ჩვეულებრივი გამომდგარიყო, როგორც იყო ამ ზაფხულის თბილ ღამეს ეს ყავახანა, ყავახანაში მჯდარი

გრძელთმიანი, წვერმოშვებული თუ უწვერულვაშო ყმაწვილები და ჯინსის შარვლებში გამოკვართული გოგონები.

ექიმი აღელდა.

გარდაცვლილები ვითომ რატომ?.. მე ვარ მათი ჭირისუფალი ყველა ღონეს ვხმარობ, ავადმყოფის ახლობლებს რამე სანუგეშო ვუთხრა, შენ კი ვინ...


— დამშვიდდი, შვილო... შენი ქმრის საქციელში განსაკუთრებული არაფერია. ბუნებრივია... ყავას რატომ არ სვამ? სულწასულობით უხერხულ მდგომარეობაში მაყენებ... ყველაფერს დალაგებით მოგიყვები... ეს განურჩევლობა თანდათან...

— როდის, რამდენ ხანში?..

— ერთი თვის შემდეგ, — ყლუპი სასულეში გადასცდა, — ერთი თვის შემდეგ ან უფრო მალე, — ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცა, თავი დაუქნია.

მოპირდაპირე მაგიდასთან მჯდომი წვერებიანი ბიჭი ასანთის ღერით კბილებს იჩიჩქნიდა, თვალით კი სონას ბურღავდა.

— რა ემართება? — სონამ სკამი გააჩოჩა, წვერებიანის მზერას დაემალა. — ამგვარი საქციელი რითი აიხსნება?..

წვერებიანი მათ მაგიდას მიუახლოვდა და ასანთი ითხოვა. სონამ სახე მოარიდა. ექიმმა ჯიბეები მოიჩხრიკა, უბის ჯიბიდან ასანთის კოლოფი ამოიღო და გაუწოდა. ახალგაზრდამ სიგარეტს აუჩქარებლად მოუკიდა, ასანთი დაუბრუნა და გაშორდა, ისევ თავის მაგიდას მიუჯდა.

— არაფერი უშავს, ახლაც ჯანმრთელია, — უთხრა ექიმმა. — გასაგებია, ტვინის ერთ-ერთი ნაწილი ხომ სხვა ადამიანისგან აქვს გადანერგილი... იმ ქალის მეუღლე, რომ თქვი, ავტოავარიაში მოჰყვაო, იმავე დღეს გარდაიცვალა, როცა რობერტს ოპერაცია გავუკეთე. შენ მეუღლეს ორი კაცის მეხსიერება აქვს — თავისი და იმ ქალის ქმრის, გაივლის დრო და უცხო მეხსიერებას დაკარგავს, ორგანიზმი...

წვერებიანმა ადგილი მოინაცვლა, მათთან ახლოს გადმოჯდა, ისე, რომ სონასთვის თვალი გაესწორებინა.

— წავიდეთ, — სონა წამოდგა, — გავიაროთ, ექიმო.

— ეს უცნაური საქციელიც მხოლოდ ამას მიეწერება და არა სივიყეს, — სონას მკლავს ძველებურად ჩამოეკიდა. — ამის შესახებ ავადმყოფმაც უნდა იცოდეს, შეიგნოს... დღეს დიდხანს ვესაუბრე. ხვალაც ავუხსნი, თქვენც უთხარით, შინ რომ დაბრუნდება.

— მაშ, სხვა კაცია? — სონას ყრუანტელმა დაუარა, უცბად იგრძნო, როგორ შეშურდა იმ ქერათმიანი ქალის.

— სხვა როგორ არის?.. მხოლოდ მეხსიერების ერთი კუნჭულია... ეგეც მალე გაუვლის, მით უფრო, როცა ყველაფერს მიხვდება, ეცოდინება, თავადაც შეეცდება, საკუთარს დაუპირისპირებს, უცხოს გამოდევნის... ახლა, ალბათ, მადანაშაულებთ, მაგრამ ეს ერთადერთი გამოსავალი იყო... მისი ორგანიზმისთვის ეს უცხო სხეული აუცილებელი იყო, იმდენად საჭირო, რომ საკუთარივით მიიღო. დრო გავა, ორგანიზმი ამ სხეულს შეითვისებს, გაითავისებს, სხვის მეხსიერებას კი დაჯაბნის... ოო, უკვე დამაგვიანდა, — ჯიბიდან საათი ამოიღო, დახედა და აფორიაქდა — საღამოს პროცედურას ხუთი წუთი გადასცდა. სონას ხელი გაუშვა, ადგილზე ცქმუტავდა, აღელვება ეტყობოდა.

სონა ჯერ ვერ გამორკვეულიყო, ეჭიმმა რომ მანქანა გააჩერა და ჩაჯდა. მიდის სონა ავტობუსის გაჩერებისკენ და ფიქრობს, სხვისი მეხსიერება მანს როგორ უნდა ჰქონდესო.

როგორ შეიძლება მის მეუღლეს, ვინც იგივე კაცად დაეძინა, მანქანაში სხვა მოსდომებოდა, სხვა გახსენებოდა, იმ სხვასთან გატარებული დროები ეგებ, თავადაც ის არაა, რაც არის. ეგებ, რასაც ახლა ფიქრობს, მის ცხოვრებასთან, წარსულთან არაფერ კავშირშია. ეგებ, ახლა ამ წუთას, ისიც სხვისი ცხოვრებით ცხოვრობს, იხსენებს... ეგებ, აქ, ქუჩაში ერთ-ერთი გამვლელთაგანი სონას მეხსიერებას დაატარებს...

II ნაწილი

ესაა მისი ბინა. სონა ცოლია, პარუთინი — შვილია. აი, ესაა მისი ნამდვილი, ჭეშმარიტი ცხოვრება, ეჭიმიც ამას ეუბნება. ლიანა, სურენი, ვალო, ვასილი ჩორნი, მანქანა, ფულები, სხვისი კუთვნილებაა, მათთან კავშირი არასდროს ჰქონია. პალუცინაციებია, მირაჟი, რაც მკაფიოდ, ცხადად მოჩანს, ახლოს კი ვერ მიეკარები, მიახლოვებაც რომ სცადო, შორს გაგირბის, ხელშეუხებია. ეჭიმმა თვალნათლივ დაუმტკიცა და ხატოვნად აუხსნა: „...ასე მანამდე დაიტანჯები, სანამ შენში შენივე მეხსიერებას ნათელი ისე არ მოეფინება, რომ განგიდევნოს, წაგიშალოს იმ სხვა მეხსიერების კვალი“.

მოკლედ, სახე, რომელსაც სარკეში ხედავს, მისი გამოსახულება ყოფილა. ლიანასთან ერთად გადაღებული კი უცხოა, გარდაცვლილი, მანქანიდან ხევში გადავარდნილი და დაღუპული.

მის ფიქრსა და საქციელში არსებული უცნაურობები ორი ადამიანის მეხსიერებით აიხსნებოდა...

ეჭიმი მართალია, ყველა ადამიანს მხოლოდ ერთი მეხსიერება შეიძლება გააჩნდეს. განა შეიძლება, იმ ადამიანის ცხოვრებით იცხოვრო, რომლის მეხსიერებაც შენშია? იმ სხვისი მეხსიერებით, რომლისგანაც ნაფლეთებილია შემორჩენილი?..

ეჭიმმა განუმარტა, რომ ასეთი რამ შეუძლებელია. მას, გამომძიებელ რობერტ ნერსესიანს, ჰყავს ოჯახი, საკუთარი ნათესავ-მეგობრები და თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, იმ ცხოვრებით, რომელიც ეჭიმმა სიკვდილს ხელიდან გამოგლიჯა (თურმე ოპერაციის დროს სონა ისე განიცდიდა, რომ გული წასვლია), და ესეც რომ არა, იმ მეორე ადამიანის — ნორიკ თარაზიანის ტოლამხანაგები თავისიანად არ მიიჩნევენ, როგორც მისმა ცოლმა არ მიიღო... არ მიიღებენ, რადგან იმ სხვა ადამიანის ოჯახისა და მეგობრებისათვის მუდამ უცხოა და გარეშე..

ეჭიმმა ისიც უთხრა, რომ შეიძლება ოპერაცია მეორეჯერ ჩაატაროს და იმ მეორე ადამიანის თავგადასავლები და მეხსიერება მოაშოროს, თუმცა შიშობს, ოპერაციამ შეიძლება საკუთარ მეხსიერებას ავნოს და ამით მას, გამომძიებელ რობერტ ნერსესიანს, ყოველგვარი მეხსიერება წაერთმევა, მისეულიც კი.

ცხადია, ახლა უკვე მისთვისაც აშკარაა, ის გარეგნობა და წარსული, რაც მას თავისად შიანია, სხვისია, სარკეში არეკლილი სახე კი მისეულია, საკუთარი იმ, სარკეში გამოსახულ ადამიანს ნელ-ნელა მეხსიერება დაუბრუნდება. და რომ ეს რაც შეიძლება მალე მოხდეს, საჭიროა შეგნებულად ნებადღევნოს უცხო პირის მეხსიერება და თან საკუთარი გამოაღწევის ნებადღევნოს.

მერე რა, მართალია, ეს არც ისე იოლია, რთულია, მაგრამ ესაა ერთადერთი შველაც და გამოსავალიც.

თვითონ რობერტ ნერსესიანი, გამომძიებელი... და არა ის ბიჭი ხევიდან რომ მანქანით გადაეშვა. ვინაიდან მანქანა არასოდეს ჰყოლია. არც ფული, ოქროული და ძვირფასი ქვები დაპყარგვია; რაც არა გაქვს, ვერ დაკარგავ. თუმცა ყოველივე ამის შესახებ იცის, იცის, რამდენი და როგორი ფული იყო, იცის, ის ბექდები და თვლები საიდან მოდიოდა და სად მიდიოდა, რა მიზნით. სხვაც ბევრი რამ იცის, მაგრამ ეს ხომ მას არ ეხება. ამიტომ, არც უნდა აინტერესებდეს და არც უნდა აღელვებდეს, რადგან ფული და ოქროული იმას დაეკარგა, ვისაც ჰქონდა და ვინც დღეს ცოცხალი აღარაა. ბოლოს და ბოლოს, ეს თავგადასავალი სხვას გადახდა და რა მნიშვნელობა აქვს მისთვის, წიგნში ამოიკითხა ყველაფერი თუ ოპერაციის შემდეგ შეიტყო.

თუმცა, ცხადია და გასაგები ეს თავგადასავალი, ერთი ბუნდოვანი ადგილი მაინც რჩება. ესაა, რომ მოსვენებას არ აძლევს. კარგი, ხევში არ გადავარდნილა, არც კატასტროფაში მოხვედრილა. მაგრამ რად გაჩნდა იმ სხვა ადამიანის მეხსიერება მის არსებაში, რაში დაჭირდა იმ ვილაცის ტვინის ნაწილი.

რა თქმა უნდა, ტვინი მარტო უბედური შემთხვევისგან არ ზიანდება. ეს შეიძლება რაიმე ავადმყოფობის გადატანის დროსაც მომხდარიყო, დავუშვათ, ავთვისებიანი ან კეთილთვისებიანი სიმსივნისაგან, ან არადა, გრიპოზული ანთებით, ან... ვინ მოთვლის, კიდევ რისგან. ეგებ ფეხი დაუცდა, თავი კიბის საფეხურს დაპყრა, იქნებ ასფალტზე დაეცა... რა არ შეიძლება მომხდარიყო!.. მაშ, რატომ არ ახსოვს? ეჭიმმა მაინც რატომ არ უთხრა?

სონა ფეხაკრეფით შემოვიდა. ფრთხილად, ნაზად ეამბორა. მერე ასევე ფრთხილად კარადასთან მივიდა და რაღაცა გამოიღო.

— სონა! — რობერტ ნერსესიანმა თვალი გაახილა. — თავი რისგან დამიზიანდა? — თქვა და, იმ წამსვე იგრძნო, რომ თავში რაღაც დაპყრეს და პირქვე გაიშხლართა. ისიც გაახსენდა, ეს სად მოხდა (ტყის განაპირას, ფერდობზე, ქვა-ლორღიან ბილიკზე), ისიც, რომ დავარდნილმა ზევით ვილაცის შარვლის ტოტი შენიშნა.

სონა მიუახლოვდა, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, თბილი, მხურვალე ხელი ხელზე მოჰკიდა...

— დაგარტყეს, — უთხრა, — რკინა ჩაგარტყეს...

ამაზე ნუ ფიქრობო... რა დაავიწყებს, თავიდან არ შორდება... რკინა კი არა შამპანურის ცარიელი ბოთლი იყო.

...გამომძიებელი გაიქცა, წაბორძიკდა, წინ წახრილი, ინერციით ჯერ კიდევ გარბოდა, როცა თავში მთელი ძალით დაუნდობლად.. ტკივილიც ახსოვს.. ერთადერთი, რაც აქამდე არ გახსენებია, ცისფერუჯრედებიანი შარვლის ტოტები იყო, ოღონდ მაშინ, იმ შარვლის პატრონისათვის, სახეზე არც შეუხედავს, ვერ მოასწრო.

— ვილაც გოგონას საქმეს იძიებდი; ის გოგო უგზო-უკვლოდ დაკარგულიყო, მაგრამ გჯეროდა, რომ მოკლეს... გოგონას გვამს დაეძებდი...

ყველაფერი ახსოვს. იმას ლუსიკი ერქვა. ლუსიკ პაროტიანი მკვლელობა ვალიკ გალიკიანს ეძებოდა ბრალად... ცოდვა გატეხილი ხეობის მარტოობაზე ეჭვი მოიხსნა, გაამართლეს.. მას კი მტკიცედ სწამდა, რომ ვალიკიანი, იყო მკვლელი, მაგრამ ნივთიერი საბუთი — ქალის გვამი — არ არსებობდა.

— ვილაც ქალს დაერეკა შენთვის, ეთქვა, ის გოგონა სარის უბნის მიდამოებშია დამარხულიო. — უყვებოდა სონა და თან პატარა ბავშვივით თავზე ხელს უსვამდა, შუბლზე ჰკოცნიდა.

ხო, რა თქმა უნდა, დაურეკეს და მასაც ეჭვი არ შეპარვია, არ ატყუებდნენ... ერთ კვირაზე მეტ ხანს დადიოდა, დაეძებდა...

...გამომძიებელი ტაქსიდან გადმოვიდა, ტყეში შევიდა, მთის ფერდობზე ადიოდა, გზაზე ჩერდებოდა, ქვებს ფეხით აქეთ-იქით ისვროდა, ტოტები გასწი-გამოსწია... რაღაცას ეძებდა.

ლიანამ ბორცვს შემოუარა, გამომძიებელს წინ „შეეჩება“.

ლიანა და გამომძიებელი პირისპირ შეიყარნენ, ერთმანეთს გაესაუბრნენ, სურენმა დანა გახსნა და მათკენ გაემართა.. გამომძიებელი განზე გახტა, ფეხი დაუცდა, მთვრალივით წაბარბაცდა და ცხვირწინ ჩაუარა...

ბოთლი თავში ძლიერად ჩაართყეს...

ვინ? ვის?

მოგონებები, თუ ვის ჩაართყეს და ვინ ჩაართყა, თავში განუწყვეტლივ უტრიალებდა, ერთმანეთს ეხლებოდა, იმ შამპანიურის ბოთლის ლაწანივით მოესმოდა, თვალებიდან ნაპერწკლები რომ გადმოაყრევინა, თეთრი რგოლების დასტა მეორე დასტას აედევნა და ხის ტოტებს შორის დაიძრა, დასავლეთისკენ გაწოლილ ღრუბლებს გაჰყვა; ეს რგოლები, დასაწყისში რომ ყვითელი ფერის იყო, თანდათან გაწითლდა, განაცრისფრდა, შემდეგ გამუქდა, ჩაშავდა და ბინდი გადაეფარა ყოველივეს...

— იქიდან უგონოდ, სისხლისგან დაცლილი, საავადმყოფოში წაგიყვანეს.

— სონას ხმა უკანკალებდა, თვალზე ცრემლი უბრწყინავდა.

...გამომძიებელი მიწაზე ეგდო. იმან, ვინც თავში ბოთლი ჩაართყა, ისურვა მიხმარებოდა, წამოეყენებინა, ამ დროს ქოშინით მივიდა სურენი, მკლავში ხელი ჩაავლო, შეაჩერა, არ დაანება.

„რას შერებდი ხელი არ ახლო, თითების ანაბეჭდს დაამჩნევ, დაგვიტერენ!“

„საავადმყოფოში წაგიყვანოთ“, — ნორიკმა თქვა, თვითონ კი არა.

„სავადმყოფო არა, — სურენმა გასისხლიანებული ტუჩები ჩამოიწმინდა, მერე მტვერში ამოგანგლული ტანსაცმელი ჩამოიბერტყა და დაუმატა:

— სასაფლაო უფრო მოუხდება, ნუ გეშინია, არ დატოვებენ, უჩვენოდაც მოუვლიან... გავიქცეთ, სანამ არავის დავუნახივართ!..“

მერე ის, ვილაცა, ვინც ჩაართყა, მთვრალი კაცივით სახლში მიბანცალდა, მილიციაში დარეკა და შეატყობინა, ტყეში კაცი მოუკლავთო. გამოიღო არაყი, ჭიქა და ტანსაცმელგაუხდელი, ქუჩიანი ფეხსაცმელებით ლოგინზე მიეგდო, თავდავიწყებამდე, გონების სრულ დახშობამდე სვამდა.

ახლა არა, შემდეგ ეტყვის სონას... რკინა კი არა, შამპანიურის ცარიელი

ბოთლი ჩაართყეს, მთელი ძალით, რისგანაც სასტიკი... ამჯერად არა, არ შეუძლია, პირში ისევ მწკლარტე სითხე ჩაუდგა, თითქოს ვიღაცამ მარჯვა და საცაა ძვლებსაც დაუმტვრევს. არა, გონება არ უნდა დაეარგოს, ფიქრს სხვა საგანზე გადაიტანს: სონაზე, პარუთინზე... კარგი იქნებოდა, თუ შეეცდებოდა ცივი წყალი შეისხას, წყლის ჭავლს კეფა შეუშვიროს... არა, არ შეუძლია.

თავის ტკივილი ნელ-ნელა ცხრება, თავის ქალიდან ძირს, კეფისაკენ, კისრისკენ ეშვება, იქ ინთქმება და ყრუ ჟუილს ტოვებს.

სასაფლაოდან ახლობლების გარდა ათი-თხუთმეტი კაცი მივიდა ქელებზე. სულის სახსენებლად, დანარჩენებმა ან გზიდანვე გადაუხვიეს, ან არადა მანქანით სადარბაზომდე მობრუნდნენ და მაშინვე გაეცალნენ იქაურობას.

ლიანას ორ დიდ ოთახში ორმოც-ორმოცდაათ სულზე სუფრა გაეწყო, არაფერი დაიშურა, ხორაგი თავსაყრელი ჰქონდა: წითელი და შავი ხიზილალა, ზაფხულში ფორთოხალიც იშოვა, მოკლედ, რა აღარ იყო იმ სუფრაზე. ნორიკს „ხორბლისა“ და „ლიმონის“ არაყი, კონიაკი „ნაირი“ უყვარდა და მაგიდაზეც სწორედ ეს სასმელები იყო ჩამწკრივებული. ხალხი კი ფართოდ გაშლილ სუფრას კანტიკუნტად შემოსხდომოდა; თბლად, უბედურად გამოიყურებოდნენ, ისე, როგორც ყოველივე ის, რაც ნორიკის სახელთან იყო დაკავშირებული. დამსხვრეული „გაზ-24“ ლიანამ ცამეტ ათასად ძლივს გაყიდა, მანქანის სალონის შიდა მოწყობილობა — მთლად მუქთად. ხო, ყველაფერი ირგვლივ ისე უპატრონოდ და მიუსაფარი ჩანდა, როგორი უპატრონო, მიუსაფარი და საცოდავიც იყო ახლა ლიანა.

შეკრებილებმა სულ რამდენიმე ჭიქა დალიეს. შესვეს ნორიკის შესანდობარი, მისი სულის ცხონებისა, მისი დანატოვრის ანუ ლიანას სადღეგრძელო... ანუგეშეს ლიანა, ნორიკის სულმა დღეიდან იმქვეყნად დაიღო ბინა, შავების ჩაცმა და გლოვა საჭირო აღარააო.

ამიერიდან ცოცხლად ვადღეგრძელოთო, — თქვეს, — მისი სული ახლა ცის სარკმლებიდან გვითვალთვალებს და დღეიდან ნურავის შეაწუხებს. ნორიკის უბედურებაო...

„ნორიკს ვინა ჰყავდა, რომ შეწუხებულიყო?“ — გაიფიქრა ლიანამ.

საბრალოს საფლავზე დამტირებელიც არ გამოუჩნდა. ლიანამაც რომ არ იტირა! ის ბრბო, პარაკლისზე მღვდელს ფული უშურველად რომ ჩაუჭიბა, უფრო თვალის სასეიროდ მოსულს წააგავდა.

ნახევარი საათიც არ მსხდარან, გამოემშვიდობნენ და წავიდნენ. ნელ-ნელა ოთახი დაიცალა. ზოგმა წასვლის წინ ყავა მოითხოვა. სამზარეულოში მოფუსფუსე ლიანას დედამ და მეზობლებმა სინანულით შეხედეს თანგირა ქვაბში მოთუხთუხე ხაშლამას, თევზეულს, ტოლმას... ესეც ოხრად რჩებოდა, ზედმეტი იყო, ისინიც ზედმეტნი იყვნენ, ჩააქრეს გაზქურა, გამორთეს შუქი და წავიდნენ.

— ვალო, ხაჩიკ, ნუ წახვალთ, დარჩით! — განაცხადა სურენმა. — გალუსტ შენც, სიტყვა მაქვს.

ხაჩიკმა, ლიანას სექციის ახალმა გამგემ (ვალომ, რაც სასამართლომ

ბრალდება ახსნა, სხვაგან დაიწყო მუშაობა, უნივერსიტეტში, ტყავ-გალანტერი-ის სექციის გამგედ), საათს დახედა და თქვა:

— მხოლოდ ნახევარი საათით, საქმიანი შეხვედრა მაქვს დანიშნული.

— მოასწრებ. — მიუგო სურენმა. — მოდით, ამ კუთხეში ჩამოვსხდეთ. დინამიკიდან სამგლოვიარო მუსიკა ისმოდა. ლიანამ ფარდები ჩამოათარა. სურენმა არაყი დაისხა და სხვებსაც დაუსხა, დადგა ბოთლი და ჩაფიქრდა. ეტყობა, თქმა უჭირდა, ხელი ჩაიქნია და მერე დასძინა:

— კარგი, ეს ერთიც დავლიოთ... ნორიკის სულის შესანდობარი დავლიოთ! ლიანა, ხმა ჩააწყვეტინე მაგ ოხრად დასარჩენს! — გალუსტმა რადიო გამორთო — კარგი ბიჭი იყო ნორიკი, კაცური კაცი... ნორიკი ჩვენსა და მის საყვარელ ლიანას მეხსიერებაში მუდამ წმინდად და ძვირფასად დარჩება... რას იზამ, ასეთია ბედისწერა... ისეთი ვინ უნდა იყოს, ვისთვისაც ნორიკის სახელი და მისი ხსოვნა... ეჰ, ხალხი ჭრელია. მოდით დავლიოთ და მერე გეტყვი...

— ბიძია, მოხდა რამე? — იკითხა გალუსტმა, — რა მოხდა?..

— მოხდა, — სურენმა არაყი გადაჰკრა და პირის წკლაპუნით კიტრის მწნილი დააყოლა. — ის გიყი აქ, ამ სახლში რომ მოვიდა, გუშინ ლიანას ქუჩაში აედევნა.

— რაო, ლია, არ დაიჭირეს? — გაუკვირდა ვალოს.

— არა, არ ამდევნებია, — ლიანამ სიგარეტს მოუკიდა, — ქუჩაში შემხვდა, თვალს არ მაშორებდა.

— ჯერ დაჭერა რა იყო, მერე ასე მალე გამოშვება? — ტუჩები მოპრუწა და მხრები აიჩეჩა ვალომ.

— რომ შეხვედით, რა გითხრა? — იკითხა ვალომ და თვალი საათისაკენ გააპარა.

— არაფერი, — ლიანამ თავი გააქნია.

— თუ არაფერი, შეხვედრაში რა ყრია?... — ხაჩიკი წამოდგა.

— შე კაცო, გაგონილა?. — ღრმად ამოისუნთქა ვალომ, — დღისით, მზისით, უცხო ქალს სახლში უვარდები, სცემ, ლანძღავ, აგინებ, მოდის მილიცია, აპატიმრებს და რაღაც ორ დღეში ისევ გარეთაა!..

— მაჩვენეთ ერთი რა გიყია, ბიძია, — წამოდგა გალუსტიც. — მითხარით, სად ცხოვრობს, ბიჭებს დავასევ, აქ მოვიყვან და მერე ვნახოთ.

— რამდენჯერ უნდა გითხრა, სხვები რომ ლაპარაკობენ, არ უნდა ჩაერიო, ტაქტის და ზომიერების გრძნობა უნდა გაგაჩნდეს, — სურენმა დისშვილს წყრომით გადახედა, — ბიჭებს დაასევ და მოიყვან... აფერუმ, შენც ვითომ ფადიშაპი ხარ და დერვიშებიც შენ ბრძანებას ელოდებიან, უსიტყვოდ დაიჭერენ და მოგგვრიან.

— რას ერჩი, მართალია, — ჩაერია ვალო, — მილიციამ გზა თუ ვერ მოუნახა, ჩვენი ხელით უნდა ავუგოთ ანდერძი.

— თქვენც რა, ჭკუა მოგეკითხებათ? — ხელი ჩაიქნია სურენმა. — დასხით, ერთი ჭიქაც დავლიოთ. მუშტი-კრივი, აბა რა?.. ერთი სცადეთ და თითი დააკარეთ მაგ გიყს, ნახათ, სადაც ამოჰყოფთ თავს.. მეტი რა მოგეთხოვებათ? ვერ გაგიგიათ, რაც ხდება...

— მეშინია მაგ კაცისა, — თქვა ლიანამ. — ისე შემომყურებდა, თითქოს ჩემგან რაღაცაზე პასუხს მოელოდა...

— ეგეთი კაცი სასიკვდილოდაც არ დაგინდობს, — თქვა ვალომ და თან სურენს არყის ჭიქას უვსებდა.

— არა, — სურენმა თავი გააქნია, თითო ბოთლს პირე აუწია, — მკვტი არ მინდაო. — მკვლელობა გამორიცხულია, ასეთი ადამიანები — ჩაბრუნებულნი ჩაიდენენ. ის კაცი, ვინც ამ სახლში შემოიჭრა, გიყი სულაც არაა. ის შენზე უფრო ჰკვიანია, დეტექტივის გამირსა ჰგავს, სხვადასხვა ადგილებიდან საბუთებს აგროვებს; იცის, ვის რას გამორჩება, შანტაჟით და ფულის გამოძალვით ცხოვრობს.

— წავიდე? — იკითხა ხაჩიკმა.

— ორი წუთიც მოითმინე, — სთხოვა სურენმა.

— რა საბუთები ექნება? — ვალო ნაწყენი იყო და პირმოუბრუნებლად იკითხა.

— უბრალო საბუთები, — სურენმა ცერითა და საჩვენებელი თითით ლამბაქი დააბზრიალა, — აი, თუნდაც, ნორიკის დამტვრეულ მანქანაში რამდენი ფული და საქონელი იყო გადამალული. ისიც ეცოდინება, ნორიკმა ეს ბინა ლიანასაგან რამდენად იყიდა. სხვა საბუთებიც ექნება, ჩვენთვის ერთი შეხედვით უბრალო და არაფრისმთქმელი, მილიციისთვის კი ძალზე საინტერესო, ერთიც ვნახოთ და, მე, შენ, მართალია, ხაჩიკი იმ დროს არ მუშაობდა, მაგრამ ახლა ხომ მუშაობს, ხაჩიკიც, ჩვენი დაიკოც, — თავით სავარძელში მოკუნტულ ლიანაზე მიუთითა, — მიგვიწვიონ და გულახდილადაც გაგვესაუბრონ.

— თუ მაგდენი საბუთი აქვს, მივცეთ ფული და გავაჩეროთ, — განაცხადა ხაჩიკმა.

— არა, ფულს არ აიღებს, — ჩაერია ლიანა, — რალაც უცნაური კაცია.

— თუ მაგდენი იცის, მილიციელი იქნება, — თქვა ვალომ. — უბრალო მოქალაქე ჩვენ ამბავს ხომ არ დაუწყებდა ჩხრეკას.

— ჩხრეკავს, — შეაწყვეტინა სურენმა, — სწორედ მაგის საქმეც ეგაა, რომ ჩხრეკავს და იძიებს, ფაქტებს აგროვებს, შანტაჟს აწყობს და ფულს ამ გზით აკეთებს.

— რა მილიცია, რის მილიცია! — გული მოუვიდა ვალუსტს, — მილიციას ეგეთი საქმეები არ ეხება!

— ალლოიანი, მოხერხებული კაცია, — განაგრძო რუბენმა, — ფულის შოვნის უამრავი გზა ეცოდინება, დაიჭირეს და თავი სულიერ ავადმყოფად გაასაღა.

— ღმერთიც გიშველის. რაც არ უნდა დაგვიჯდეს, მივაშავოთ და მოვისვენებთ კიდევ, — მტკიცედ თქვა ხაჩიკმა, — ძალიან დამაგვიანდა, წავალ, თქვენ გადაწყვიტეთ, მე ჩემ წილს ჩამოვალ.

— წადი, — უთხრა სურენმა. ხაჩიკი წავიდა. სურენმა უბის ჭიბიდან ქალღი ამოიღო. — აი, მისამართიც, ათარბეკიანის 26-ე კვარტალი, 27-ე კორპუსი, მე-ნ სადარბაზო, ბინა 97, აქ ცხოვრობს.

— სად არის ათარბეკიანის ქუჩა? — გაიკვირვა ვალუსტმა.

— რა უნდა მაგის გაგებას? — სურენმა ქალღი მაგიდაზე დადო. — ათი ათასი შეგუგროვოთ, ისიც გაჩუმდება და ჩამოგვეხსნება. ფულს ვალუსტი მიუტანს. აიღე მისამართი, სხვა ფურცელზე გადაწერე... ისეთმა კაცმა უნდა გადასცეს, ვინც ჩვენ საქმეში არაა გარეული.

— სასჯელის რომ არ გეშინოდეს, უნდა აიღო და ძალღივიტ ჩაქლა, მაგის... — ჩაიბურღლუნა ვალომ, — ფულის სუნი გეცა, შენი, შენ, კირიშვილო, ფული რა, მანანაა?.. ციდან ცვივა?.. ფული გინდა და ხელი გაანძრიე. რის ვაივაგლახით, შიშითა და კანკალით კაბიკი კაბიკზე დაგვემტყნებოდე და ესე ერთბაშად მიართვი, შენი ჭირიმე, მილიციაში ნუ დაგვამტყნებოდათ-ხოვარი!..

— რა, გგონია, თავის მოგიყიანება კი ადვილია? — ლიანამ ოთხი ფინჯანი ყავა შემოიტანა. გალუსტმა სინიდან ფინჯანი აიღო, ერთი ყლუბი მოსვა და განაგრძო: — საგიჟეთში იმდენს ურტყამდნენ.

— როგორც შევთანხმდით, — სურენმა ყავის ფინჯანი განზე გასწია და ისევ არაყი დაისხა, — ხაჩიკიც მივათვალოთ და ოთხნი ვიქნებით, ათი ათასი ოთხად გავყოთ, თითოეულს ორიათას ხუთასი მოგვიწევს. ბვალ საღამოს აქ მოვიტანოთ, მერე გალუსტი შეხვდება და...

— ბიძია, ხუთად გავყოთ, — უთხრა გალუსტმა, — ორი ათასსაც მე მოვიტან.

— შენ ჩვენ საქმეში წილი არ გიდევს, ვინ რას გეკითხება, ცხვირს რომ ჰყოფ, — სურენს ხმაში შეეტყო, არ ესიამოვნა დისშვილის უადგილო ჩარევა. — რასაც გეუბნებიან, ის გააკეთე და მაგისიც მადლობელნი დაგრჩებით. არა, ვალო?

ვალოს უნდოდა ეთქვა: ბიჭო, შენ კაი დედ-მამის შვილო, როგორ თუ მაგას არაფერი ეკითხება, ეგეთ ადგილზე მოაწყვე და მაინც არაფერი?

— შევთანხმდით? — იკითხა სურენმა და თან ვალოს ჯიქურ მიაჩერდა.

— ეხლა უფულოდ ვარ, — თქვა ვალომ, — ჯერ იყო და რამდენიმე თვე დაბატიმრებული ვიყავი, მერე ორი თვე უმუშევარი დავდიოდი.. ჩემს მაგიერ ჩამოდი და გაგისწორდები.

სურენი ვალოს ისე მიშტერებოდა, თითქოს მხერით ეუბნებოდა, ფული რომ გამომართვი აღარ უნდა დამიბრუნოო...

— რამდენიც გაქვს, იმდენი მოიტანე, დანარჩენს ლიანა გასესხებს, კარგი?

— კარგი, — ვალო წამოდგა, — მეც წავალ, გვიანაა.

— ჩვენც მივდივართ, — სურენი და გალუსტიც ადგნენ.

— გამოგყვებით, — თქვა ლიანამ, — მამაჩემთან მიმაცილეთ, აქ მარტო დარჩენის შეშინია!..

მეორე ნაწილი

სისხლის სამართლის სამსახურის გამომძიებელი რობერტ ნერსესიანი პირაღმა იწვა, ხელები სახეზე აეფარებინა და თითებშორის უკიდევანო სივრცეს გასცქეროდა. ცაზე ოქროს ლამბაქივით ეკიდა მზე. სონას მზის სათვალე ეკეთა და წიგნს კითხულობდა.

მეექვსე დღეა, ამ პატარა ქალაქში, სონას მამიდასთან ცხოვრობენ. რობერტმა სასტუმროში ცხოვრება ამჯობინა, სონამ არ დაიშალა, რა მოხდა, დიდი ბინა აქვს, ოთხი თუ ხუთი ოთახი, მარტო მამიდა და მამიდაშვილი არიანო.

ზღვა ექიმმა ურჩია. დღეში რამდენიმე საათი წყლის ლურჯ, მშვიდ ზედა-

პირს უმზირე და არაფერზე იფიქროო; ასე ნერვები დაუმშვიდდებოდა და განიკურნებოდა კიდევც.

მთავარი ისაა, რომ უკვე გაუარა კოშმარულმა მოჩვენებებმა, ახლა დარწმუნებულია, არავის ცოდვა არ აძევს კისერზე. პირიქით, დამსხვრეულ ფეხქალაში დაზიანებული ტვინის ნაცვლად, სხვისი ჯანმრთელი ტვინის ნაცვლად გადაუნერგეს, სიკვდილს გამოსტაცეს, სიცოცხლე აჩუქეს და ჯერ კიდევ, ვინ იცის, ეგებ, ხელახალი ოპერაციაც მოელის...

სანამ ზღვაზე წავიდოდნენ, ერთი კვირით ადრე ქუჩაში ვილაცა მიუახლოვდა და უთხრა, ლიანას ძმა ვარო. უნდოდა წესიერად მოლაპარაკებოდა. მივარდნილ, მყუდრო ყავახანაში შევიდნენ, თან ერთი ბოთლი არაყი წაიღეს. ის ტიპი დიდხანს ეხვეწებოდა, ჩემს დას დაეხსენიო. ბოლოს ათი ათასი შეაძლია: „რაც იცი, ყველაფერი დაივიწყე, თითქოს არ გვცნობია ერთმანეთი არასდროსო“.

იცნობდა, როგორ არ იცნობდა ამ ცისფერთვალა ბიჭს, სურენის დისშვილს. არაფერზე შედავებია, არ უკითხავს, ლიანას ძმა როდის გაუჩნდაო, არც ის უთხრა, ეს ათიათასიც რომ არა, ლიანასთვის თავი მაინც დანებებული მაქვსო. პირიქით, ათის ნაცვლად თხუთმეტი ათასი სთხოვა და, როგორც იქნა, ცამეტ ათასზე მორიგდნენ. ბოლოს ერთმანეთს ძმურად ჩაეხვივნენ და გაშორდნენ. მეორე დღეს ეს ფული სონას სახელზე შემნახველ საღაროში შეიტანა იმ იმედით, რომ ამ თანხას მერე და მერე სხვაც ბევრი მიემატებოდა.

სონა, მისი მეუღლე, ბედნიერი უნდა იყოს. გრძნობდა, დღითიდღე უფრო და უფრო უღვივდებოდა მისდამი სიყვარული. ლიანა სულ სხვაა... ლიანას ისედაც ბევრი ფული ჰქონდა, მისი ნორიკ თარაზიანის ფულებიც მასვე დარჩა...

სონამ წიგნი დახურა, გვერდზე გადასდო და მეუღლეს მიეაღერსა. სონას თითებმა საამური ლიტინით ნელ-ნელა ზევით, თმისკენ გადაინაცვლა და თმაშიც ჩაიკარგა.


— მოდი, ზღვაში შევიდეთ, — უთხრა სონამ, — შე, უქნარა, შენა, მთელი დღე სანაპიროზე კოტრილობ, მზეს ეფიცხები და მეტი არაფერი გინდა, ხელის განძრევა გეზარება...

სონა გაბერილ ლეიბზე იწვა და წყლის სუსტ ტალღებზე დალივლივებდა. ყველაფერი საუცხოოდ ეწყობა. ახლა უკვე სრულიად გამოჯანმრთლებული იქნებოდა, სიზმრები რომ არა. ეს სიზმრები კი თავს არა და არ ანებებენ, ყოველდამ ეზმანებიან და სულს კვლავინდებურად უფორიაქებენ. სიზმრების წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობ. სიზმარში გონება უძლურია, სიზმარში სხვა ადამიანად იქცევა ხოლმე და თავს ვერ ერევა. სიზმარში ჯერ კიდევ ის კაცია, ვისაც ბლომად ფულები აქვს, მანქანა ჰყავს (ის მანქანა, რომლითაც ხევში გადაეშვა, სპილოსძვლისფერი, უნაკლო სალონით) და ამ მანქანაში გვერდით მუდამ სონა უზის.

— შევიდეთ რა წყალში! — სონა ნაპირზე ამოვიდა და ხელი დაუქნია, — შევიდეთ ეგრე ითენთები...

რობერტ ნერსესიანი წამოდგა, სირბილით ზღვის ნაპირს მიუახლოვდა და წყალში შეიჭრა; ტალღებმა სონა ლეიბიდან ჩამოაგდო.

ლეიბი მოშორებით მიიწეოდა, სონა ლეიბისკენ მიცურავდა, ამასობაში რობერტი დაეწია და მეუღლეს მხარზე აკოცა.

— მე ბედნიერი კაცი ვარ, სონა, ჩვენ ბედნიერები ვიქნებით, პარუთინიც, ჩვენი მომავალი გოგონაც, შენებრ ლამაზთვალეებიანი.  აქ გინდად საკუთარი მანქანით ჩამოვალთ.

— ოჰო, აღარ ხუმრობ, — სონა ლეიბის კიდეს ჩამოეკიდეს და ეკისკისდა. — რა მანქანა გეყოლება, ალბათ, თუ ინვალიდად ჩამოვალთ, სხვალი გამომშვების „ზაპროუეცი“ არა?

— „გაზ-24“, — რობერტ ნერსისიანი ლეიბს მეორე მხრიდან მოეკიდა და საკოცნელად გაიწია.

— „მერსედეს-ბენცი“, — სონამ გაღიმებული სახე მოაჩინა, ლეიბს ხელი წაჰკრა და გაფრთხილდა, თევზივით გაცურა, რობერტს ფეხებშორის გაუძვრა, ზურგიდან მოადგა და მხრებზე ჩამოეკიდა.

— მერსედეს-ბენცი, — გაიმეორა სონამ და თან სულს იბრუნებდა, — შავი ფერის, უკანასკნელი გამოშვება...

— კეთილი, — რობერტ ნერსისიანი მობრუნდა, სონას ხელი წელზე მოხვია, — ეგრე იყოს, „მერსედეს-ბენცი“. — მოსკოველ დიპლომატებს შეიძლება გამოვართვაო, გაიფიქრა და წუხანდელი სიზმარი გაახსენდა: ვასილ ჩორნის ვალად დარჩენილ ბექდებს თუ იმ ბექდების საფასურს სთხოვდა. „მერე, მერე მოგცემ“, — ეუბნებოდა ჩორნი, და ამ დროს გამოეღვიძა.

ვასილ ჩორნისთვის დღე დილის ხუთ საათზე იწყებოდა (აგერ უკვე ათი წელია, რაც ასე იყო). რალაც ბუნდოვანი, აუხსნელი წინათგრძნობა თუ ალლო ჰქონდა და ეს ალლო არასდროს ღალატობდა. წინასწარვე გრძნობდა, როგორი დღე მოელოდა — დღე ბედნიერებისა თუ დღე უბედურებისა; გაშუალებული, სხვანაირი — არ არსებობდა. იწყებოდა დღე და მას უთუოდ ან ბედნიერება უნდა მოეტანა ან უბედურება.

თვალის გახელისთანავე ცუდი წინათგრძნობა დაეუფლა (კედლის საათის ისრები ხუთ საათსა და სამ წუთს აჩვენებდა). ამ წინათგრძნობას ისიც დაერთო, რომ მაგიდაზე შეექვსე კლასელი გოგონას, ნადიას გადაშლილი წიგნი შეამჩნია (ნადია საბავშვო სახლიდან გამოიყვანეს, ერთი შეუხედავი და ჰკუასუსტი გოგონა გამოდგა. სხვა გაკვეთილებს დედა უმზადებდა, მაგალითები კი ჩორნის გამოჰყავდა).

ნიფხავ-პერანგიანმა მაგალითი შავად ამოხსნა, მაგრამ პასუხი შეცდომით მიიღო. დრო აღარ ჰქონდა, მეორედ მიბრუნებოდა. თანაც საკუთარი მიგნებით, მათემატიკური კანონების უცოდინრად ხსნიდა, ამჯერად კი წესის ცოდნა იყო აუცილებელი.

ახია, მიიღოს „ორიანი“, ეგრეც მოუხდება, გაიფიქრა გულმოსულმა და ტანსაცმელი ნაჩქარევად გადაიცვა. სიჩქარეში მუხლი კარის ჩარჩოს მიართქვა, ტკივილისაგან წამით შედგა. თავში ისევ გაუელვა იმ აზრმა, რომ ყველაფერს უნდა ჩამოშორებოდა: საქმესაც და ბრილიანტებსაც (აუტკივარი თავი ვისთვის აიტკიოს? ვისთვის? ცოლისთვის, სხვასთან რომ დაეთრევა? სიდედრისთვის? ან იქნებ ამ უღლეური ბავშვისათვის?).

დღეს თუ არა ხვალ ციხე არ ასცდება. ყველაფერს თავი უნდა დაანებოს, ვიდრე მსს-ს სისხლიან კბილებში არ მოქცეულა, იქ სულ ერთიანად ჩამოაყრევინებენ ამდენი ხნის მონაგარს.

შენ ნუ მომიკვდები, კარგია ყველაფერს თავი დაანებო, სუფთად გინდა გამოხვიდე?! ეგებ, გგონია, ფეხებზე ხუნდების ნაცვლად ბაწარი გაქვს შემპული. მოიხსენი, მოიგლიჯე და, პა, თავისუფალი ხარ! არა, რკინის მძიმე ბორკილები გადევს, გიჯობს თითი-თითზე არ დააკარო, უკან დასახვევი არ არის. მოსვენებისათვის მხოლოდ ფეხის მონაცვლება შეგიძლია, არ გაიხსნაკუნო, არ გაინძრე, თორემ ბორკილის ქლარუნი მიეყურებათ სამართლის მოდარაჯეებს და მერე გვიანი იქნება...

ვთქვათ და, დღეს სამუშაოდ არ წავიდა, განა ეშველება რამე? ჯერ ერთი, ბედისწერას ვერსად გაექცევა და, მეორეც, ის, რომ უმუშევრობას ვერ შეძლებს, კვირა დღესაც კი არ შეუძლია უქმად გაჩერება.

ჩორნი „ოქროულობის“ მალაზიაში“ მუშად მუშაობს. უმისოდ ვერც მალაზიის გამგე და ვერც ნებისმიერი თანამშრომელი ვერას გახდება. დე იცოდნენ, მუშის, ამ შავ, ჭუჭყიან ხალათში გამოწყობილი კაცის გარეშე, „ტორგშიაც“ გაუჭირდებათ არსებობა.

წესით ამ დღეს მშვიდად უნდა ჩაეარა: საქონელი არ ჰქონდათ მისაღები. ჩორნი საწყობში დაბალ ხის სკამზე იჯდა და თვლემდა, ტელეფონის ზარმა გამოაფხიზლა.

საათს დახედა: თერთმეტი საათი და ერთი წუთი იყო. ზარი წუთ-ნახევარს გაგრძელდა. შემდეგ, მოკლე ხანში, ისევ განმეორდა. ჩორნიმ გაიფიქრა, ბედისწერას ვერსად გაექცევიო.

მამაკაცის ხმა იყო, ერევნიდან ჩამოვედი, აუცილებელი საქმე მაქვსო, უთხრა.

ერთმანეთს მალაზიის პირდაპირ ყავახანაში შეხვდნენ. ის კობწიად ჩაცმული ახალგაზრდა განათლებული და ზრდილი კაცი ჩანდა, თანაც დიდი გაქნილი ვინმე უნდა ყოფილიყო.

ჩორნი საწყობიდან არ იყო გასული, როცა გაიფიქრა, ყველანაირ საქმიან გარიგებას თავს ავარიდებ, რაც არ უნდა შემომთავაზოს, უარს ვეტყვიო. ყმაწვილი კაცი არაფერს არ სთავაზობდა, პირიქით, ან ფულის ან ბეჭდების დაბრუნებას სთხოვდა. ეს ბეჭდები ჩორნის ერთი მისი თანატოლი ჭაბუკის გარდაცვალების შემდეგ დარჩა.

— შენ რომ ამბობ, მაგ ხალხს არ ვიცნობ, — უთხრა ჩორნიმ, — ვილაცაში გეშლები.

— არ გედავები, — თქვა ყმაწვილმა და ჩანგლით სოსისი გადაუღო (წინდაწინ, შეხვედრამდე, ყმაწვილს ორი ბოთლი ღვინო, სოსისი, ყველი, მწვანელი და ორი ჭიქა ყავა აუღო), — მიირთვი, პაპაშა, იქნება, სურენს არ იცნობდე, ეგებ, არც ნორიკი გაგიგია, მაგრამ ის ბეჭდები, ვალად რომ გადევს, გინდა თუ არა, უნდა დააბრუნო, რადგან ვალის დავიწყებაზე ცუდი ამქვეყნად არაფერია. საზოგადოების წინაშე ვალიცა და მოვალეობაც შენი საქმეა, მაგისტვის არ მოვსულვარ, ჩემ წინაშე — ნორიკის დეიდაშვილის წინაშე — ვალი უსიკვდილოდ უნდა გაიხსენო.

— ეგ შენი ნორიკი თვითონ რატომ არ მოვიდა? მოსულიყო და იმას ეთხოვა, — ჩორნი ჩაივით დამტკბარ ყავას ნელ-ნელა წრუპავდა და თან იმაზე ფიქრობდა, დილანდელ წინათგრძნობას, ეტყობა, ახდენა უწერიო.

ყმაწვილს სახე ჩამოუგრძელდა, გაოცდა. ჩანგალი მაგიდაზე დადო, ლუქმა გულმოდგინედ დალეჭა, გადაყლაბა და უპასუხა:

— პაპაშა, ნორიკს შენთან მოსვლა არ შეუძლია. შენ თვითონ წახვალ ნორიკთან და რომც წახვიდე, იქ ვალს ვერ გაისტუმრებ, რადგან რომი ფიცრის გარდა არაფერს გაგატანენ, ნორიკი ხევში გადაიჩენა, პაპაშა, — ყმაწვილმა ქამა განაგრძო, ღვინო დაისხა და იმასაც დაუსხა, რაც ხევში გადაიჩენა და მოკვდა, მას შემდეგ, რაც შენ დაგშორდა და ერევნისკენ წაიქცა.

ჩორნიმ ჭიქა გასწია და სიგარეტი „ავრორა“ მრავლისმეტყველად გააბოლა, თან მოსაუბრეს ეშმაკურად მიშტერებოდა.

— ახლა ალბათ იმას ფიქრობ, ამან რა იცის იმ ვალის ამბავი, მაშინ, როცა ნორიკი ქალაქში არ ჩასულა და გზაში გარდაიცვალაო...

— ხო ვფიქრობ.

— ადვილად აგიხსნი, პაპაშა, მარტივად. ჩვენ ერთად წამოვედით საქონლის წასაღებად. მე თბილისში მქონდა საქშეები და იქ დავრჩი, ნორიკმა გზა განაგრძო, — ყმაწვილმა ღვინო დაისხა, გადაჰკრა, ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადგა და ისევ სათქმელს მიუბრუნდა: — ეტყობა, ვერ დაგარწმუნე, ახლა მეორე ფაქტს გეტყვი: მეც და ნორიკიც ერთ სასტუმრო „ზღვის მარგალიტში“ ვცხოვრობდით, ნორიკი ერთი სართულით ქვემოთ ცხოვრობდა... რა ცხვირპირი ჩამოგტირის, ეგებ, ისიც თქვა, თითქოს ერთ საღამოს, ასე ათი საათისათვის მის ნომერში... კიბეებიდან მარცხნივ მეორე კარები... 206-ე ოთახში არ შესულხარ?..

— რომ არ მოგცე? — ჩორნი წამოდგა. — გავიდეთ, მეჩქარება.

— რომ არ მომცე?! — ყმაწვილმა ხელსახოცით პირი მოიწმინდა, — რომ არ მომცე, იქ წახვალ, სადაც მიგაბრძანებენ, — ჰაერში ხელის თითები გადააჯვარედინა, საპყრობილის ბარისებური ფანჯარა გამოსახა. — დაჯექი, გეტყვი, ვალს თუ არ გადაიხდი, შენთვის სასჯელის რამდენნაირი ზომა მაქვს შემუშავებული; პირველი, მარტივი და უხეშია, ძალისმიერი: ღორივით დაგკლავ. მაგანი მაგანს ხშირად თერთმეტი მანეთისათვის არ ინდობს და სინდისი ქეჯნას არ დამიწყებს, თერთმეტი ათასისთვის მოგკლა. მეორე, შედარებით მსუბუქია, თუმცა შენთვის სულ ერთი უნდა იყოს, რადგან შედეგი იგივე იქნება, უფრო უსიამოვნო დასასრულით.

— იაფფასიანი შანტაჟია, — ჩორნი კვლავ წამოდგა. ამჯერად ყმაწვილმა ხელი მაჯაში ჩაკიდა და უხეშად მოქაჩა.

— რადგან სული არ გითმენს, შენი სასჯელის ყველა სახეობა ყურით მოისმინო, აგერ, დაწერილი განჩინება წაიკითხე, — ამოიღო დაქმუჭნული ქალაღი და გაუწოდა.

— რა არის ეს? — ვერ მიუხვდა ჩორნი.

— იმ წერილის შავი პირი, რასაც შსს-ში მიიღებენ. მაგის წერაში ღამე მითენებია, ვცდილობდი გამართულად, უშეცდომოდ ჩამომეყალიბებინა სათქმელი, ის, რისთვისაც იქ სამ თვეზე მეტი ხანია თავს იმტვრევენ. სახელდობრ, ძვირფას საქონელს რა უნდოდა და საიდან გაჩნდა ნორიკის მანქანაში. თუ არ ვცდები, ეს რიგით მეცხრე სასჯელის ზომაა.

ჩორნი სულ უფრო და უფრო ფითრდებოდა. ნაწერში ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტი, წინასწარ აწონ-დაწონილი იყო, მისხალ-მისხალ გაანგარიშებული. ყველა დასახელების საქონელს გვერდით მიწერილი ჰქონდა როგორც სახელმწიფო, ასევე სპეკულაციური ფასები. „ამაში იოლად დარწმუნდებით, თუ თვალის ერთი გადავლებით მაინც შეამოწმებთ ქალაქ ოდესის საოქრომ-

ჭედლოდან გამარჯვების ქუჩაზე მდებარე ოქროულობის მაღაზიაში გაგზავნილ საქონლის ნუსხას“, ასე მთავრდებოდა წერილი.

— რას ფიქრობ, თუნდაც მარტო ეს საკმარისია?

— საკმარისია, — ჩორნიმ მოკეცა, ჯიბეში ჩაიღო, — რამდენი უნდა მოგცე?

მოგცე?

ქუჩაში გავიდნენ და მოპირდაპირე ტროტუარზე გადავიდნენ.

— ორი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი...

— ბრილიანტები არა მაქვს.

— არა უშავს, იმ ბეჭედების საფასურს გადაიხდი, თერთმეტი ათას ოთხას მანეთს.

— თერთმეტი ათას სამასი მანეთი, — შეუსწორა ჩორნიმ.

— ასი მანეთი ჩემი მგზავრობის ხარჯია.

— ხვალ პირველ საათზე იმავე ყავახანასთან შევხვდეთ. — ჩორნი უკვე მაღაზიის კარებთან იდგა, შესვლას აპირებდა და იქიდან გამოსძახა.

— პაპაშ, ეგრე არ გამოვა! — ყმაწვილი მაღაზიაში შეჰყვა. — რაღაც, ერთ-ორ საათში მივემგზავრები. გაფრთხილებ, ჯიბეში რომ ქალაღდი გიდევს, იმის სუფთა პირი და სხვა მამხილებელი ბარათები ჩემთან, სასტუმროში ინახება.

„მადლობა ღმერთს, გადავრჩი, — ფიქრობდა საღამოს შინ მიმავალი ჩორნი. — თერთმეტი ათასი დიდი ფულია, მაგრამ რას იზამ, რაც არ გერგება, არ შეგერგება“.

ამ გაქნილი უნამუსოს შემდგომი შანტაჟებისგან თავის დასაღწევად ჩორნიმ ხერხს მიმართა: სანამ სურათს არ გადაგიღებ, კაპიქსაც ვერ მიიღებო, უთხრა და თან პატარა „მოყვარულთა“ ფოტოაპარატი მომართა.

— რაში გამოგადგება, — ჰკითხა ყმაწვილმა, — სახსოვრად უნდა დაიტოვო?

— ეხლა დაწერე, რომ ჩემგან მიიღე... — უთხრა გადაღების შემდეგ, ჯიბიდან ქალაღდი ამოიღო და გაუწოდა, — დაწერე: მე, სახელი, გვარი, მამის სახელი, იმის შესახებ, რაც ვიცი, არაფერს ვიტყვი, არ გავცემ მოქ. ვასილ ჩორნის, ამისთვის მისგან, ვასილ ჩორნისგან, მივიღე თერთმეტი ათას სამას ორმოცდაათი მანეთი, ქვეშ დღევანდელი თარიღი დაუსვი და ხელიც მოაწერე.

— რას მიედ-მოედები, პაპაშა? — გაიკვირვა ყმაწვილმა.

ჩორნიმ ცხვირსახოცში გახვეული ფული ამოიღო და ქალაღდში გაუცვალა.

— არაფერია, — უთხრა, ქალაღდი ჯიბეში ჩაიღო. — შენ სურათს საწოლთან ჩამოვკიდებ, ამ ფურცელს კი ბალიშის ქვეშ ამოვიდებ. თუ მუხამ ისევ წამოვიარა და იგივე ამბავი დამაწიე, ამ შენს სურათსა და ფურცელს შსს-ში ახლა მე წავიღებ, იქიდან ოქროს ეტლს გამოგიგზავნიან, ჩაგსვამენ და გაშლილ სუფრაზე მიგიწვევენ... იქ შეგეხვეწებიან, საღლეგრძელო წარმოთქვიო, შენც იტყვი, შენისთანა კაცს თბილისში რა საქმეები უნდა ჰქონოდა...

ნაცნობი ფოტოგრაფი კარგად გამოუმუქლავნებს, რამდენიმე ცალად გაამრავლებინებს. ღმერთმა ქნას, არ დასჭირდეს, მაგრამ, თუ დასჭირდა, ყოველ შემთხვევისთვის, მაინც ხელთ ექნება; კაცნი ვართ, ვინ იცის, რაში გამოადგება.

„შენ გამომძიებელი ხარ, — ეუბნებოდა ექიმი, — გამომძიებელი... ხევში შენ არ გადავარდნილხარ, მანქანა არა გყოლია... თავში მაგარი საგანი ჩაგარტყეს.. სისხლისგან დაცლილი... სიკვდილს დიდი წვალეებით გამოგტყვეს, ასიდან ხუთი პროცენტია ასეთ შემთხვევაში გადარჩენის შანსი. ჩვენ შენი თავის დაზიანებულ ნაწილში სხვა, ჯანმრთელი ტვინი გადავწერგეთ და იმ სხვა ადამიანის ტვინი თავის მეხსიერებით გადმოვიდა შენს სხეულში. თუმცა ეს დროებითია, გაგივლის. ვიდრე თავისით გაგივლიდეს, შენით უნდა ეცადო წინ აღუდგე იმ სხვა ადამიანის მეხსიერებას, მეუღლესთან ერთად ხშირად ისაუბრე წარსულზე და თუ მის მონაყოლში რაიმე შემთხვევა, პიროვნება, სახე, თავგადასავალი უცხო გეჩვენა, შეეცადე საუბარში აჰყვე, გაიხსენო, იმ ამბიდან თუნდაც ერთი, მცირედი, უმნიშვნელო, მაგრამ ნაცნობი წვრილმანი და თუ გაიხსენე, შემდეგ, ნელ-ნელა სხვა ამბებიც გაგახსენდება“...

რაში დაჭირდა ახლა ექიმს მაშინდელი დამოძღვრის გახსენება. სჭირდება, რადგან ამ საუბრიდან მთავარი, ძირითადი, მაინც ისაა, რომ ის გამომძიებელი რობერტ ნერსესიანია.

ასეა თუ ისე, ეს ფულები მისთვის აუცილებელია. ბოლოს და ბოლოს მანქანას იყიდის. ჯიბეში რომ ვიდევს მანქანის გასაღები, თავი უკვე კაცი გგონია, ცხოვრებას სხვა შინაარსით ავსებ და სულ სხვაგვარად წარმართავ.

ეს მისი ფული არაა, ეს ფული მას არ მოუგია.

არ მოუგია?! აბა, სცადოს ვინმემ და იმ წითურს თერთმეტი ათასი კი არა, თერთმეტი კაპიკი დასცინცლოს. მთელი ეშმაკობა და ჭკუა დაახარჯა ამ ფულის შოვნას (ჩორნი რა, თავის ფულებს ამ გზით არ შოულობს? ვალო, სურენი, გალუსტი, ფეხსაცმლის ბაზაში მომუშავე ჰაიკი და სხვა ათასობით ადამიანი, ვისაც ბევრი ფული აქვს, განა ასე არ გამდიდრდა! ესაა მათი სამუშაო).

ეჰ, სულერთია, ეს ფული მისია და ცოცხალი თავით ვერავის დაუთმობს. ჯერ სადა ხარ, კიდევ იშოვის, სხვაც ბევრი ექნება. ლიანა ბინისა და მანქანის საფასურს გადაუხდის, სურენსაც მართებს, ბევრი ფული ექნება. მას ხომ საკუთარი ხუთი თითივით ახსოვს, რომ ვალომ კი არა, სურენმა მოკლა ლუსიკი, ის გოგონა... როგორ გამოართმევს ფულს?... მოახერხებს!

მერე რა, რომ ის ნორიკი არაა, მერე რა, რომ ნორიკ თარაზიანი გარდაიცვალა? მართალია, თავად სხვა კაცია, მაგრამ ფული მაინც მას ეკუთვნის. ამ ფულებისთვის ხშირად სიცოცხლე საფრთხეშიც ჩაუგდია, სწორედ ამიტომ გადაიჩეხა ხევში... გორგალის წვერს უნდა ჩაეჭიდო, კვლავ რომ არაფერი აიწეწოს, ყველაფერი მოგვარდეს. იყო ორი ადამიანი. ამათგან ერთმა მეორეს თავში ჩაართყა და მოკლა. არა, ვინც ჩაართყა, ის გადაიჩეხა ხევში და დაიღუპა. ბოლოს და ბოლოს, მათგან რომელი გადარჩა? გამომძიებელი? თუ გამომძიებელია, გამომძიებელს ჩორნისათვის ფული რატომ უნდა გამოეძალა? გამომძიებელს ასეთი ვინმე უნდა ემხილებინა, პასუხისგებაში მიეცა. ხო, ასე უმალ არ მოხდებოდა, ჯერ ერევანში დარეკავდა, შეატყობინებდა, ბრილიანტების საქმის კვალი აღმოვაჩინეო, პროკურორისაგან სანქციას მიიღებდა, ადგილობრივ მილიციის განყოფილებას წარუდგებოდა და დამნაშავე მის ხელში აფართხალდებოდა. სამართალი პურსა სჭამდა. მერე? ამით გამომძიებელი რა ხეირს ნახავდა, რას მოიგებდა? მან კი იხეირა, მოიგო, თუმცა ეს ფული დიდი

თანხის მცირე ნაწილია, მაგრამ ახლა, როცა სონასთან მისი, საერთო, ოჯახური სალარო რაღაც კაპიკებს ითვლის... სონა ვიღაა?.. სონა ხომ გამომძიებლის ცოლია!

რადიომ ანაპაში მიმავალ მგზავრებს აუწყა, თვითმფრინავში ჩასვლის დროაო.

რობერტ ნერსესიანმა ჯიბეში ფული მოისინჯა და ადგილიდან წამოდგა. მერე რა, იყოს გამომძიებლის ცოლი. სონა ახლა მისი ცოლია... ჰარუთინიც მისია, იმასაც საკუთარ შვილად მიიჩნევს, ჯერ რომ არ გაჩენილა. თუკი გამომძიებლისაგან ამდენ რამეს ლებულობს, განა უფლება არა აქვს ნორიკისგანაც რაიმე დარჩეს, თუნდაც მხოლოდ ფული.

თვითმფრინავში გვერდით ახალგაზრდა წითური მამაკაცი მიუჯდა, ცდილობდა რამენაირად პოლიტიკურ ვითარებაზე ჩამოეგდო სიტყვა.

თავად ნორიკი არაა, მაგრამ ისიც იცის, რომ არც გამომძიებელია. მაშ, ვინაა? ამ ორის გარდაცვალებით შობილი მესამე ადამიანი, ჰიბრიდი?

— იცით, რამხელა ფული ჯდება ერთი ნეიტრონული ბომბის დამზადება?

რობერტ ნერსესიანმა უპასუხა, არ ვიციო.

— ჩინეთისადმი როგორა ხართ განწყობილი? — წითური ისეთი სერიოზულობით სვამდა კითხვებს, გეგონებოდათ, მთელი პლანეტის ბედ-იღბალი მის კითხვებსა და რობერტ ნერსესიანის სწორ პასუხზეა დამოკიდებულიო.

— არც როგორ, — რობერტმა პირი სარკმლისაკენ მიიბრუნა და ფული ხელახლა მოსინჯა.

ეგებ ეს ტიპი მოგზავნილია? ტკიპასავით მიჰკვრია და თავს არ ანებებს. როგორა ჰგავს ჩორნის! ეგებ ჩორნის ვაჟია. ბიჭმა ჩაიცინა. თუ მოგზავნილია, ღმერთმა ქნას, ჩორნის ვაჟიშვილი გამოდგეს და არა შინაგან საქმეთა სამსახრო განყოფილების გეშაღებულ თანამშრომელი...

— მალე კორეაშიც დაიძაბება ვითარება, — თითქოს თავისთვის განაგრძობდა და ყველა სიტყვაში ოხვრასა და სევდას აქსოვდა. — კაცობრიობა წინ მიდის, ვითარდება, პროგრესი აშკარაა. ეს ერთის მხრივ კარგია, მეორე მხრივ კი...

ამასობაში თვითმფრინავის ბორბლები ძირს, ასფალტირებულ ბილიკს დაეხეთქა, სალონი შეტორტმანდა, წითური დადუმდა, ამჯობინა საიდუმლოდ შეენახა, რა ხდებოდა პროგრესის მეორე მხარეს...

თვითმფრინავიდან გადმოსულს ყმაწვილი მაინც არ მოშორდა. ფეხდაფეხ მისდევდა. რობერტ ნერსესიანმა ნაბიჯს აუჩქარა, ცდილობდა, ან წინ გაესწრო, ან არადა, ჩამორჩენოდა, ვერაფერს გახდა, ბიჭი გვერდიდან არ შორდებოდა. ანაზღად მიხვდა, წითურისკენ თავად მიიწევდა ისე, ქვეცნობიერად, კურდღელი მაგიური ძალით გველის პირისკენ რომ მიემართება.

სხვა გზა არ იყო, შედგა. ვითომ რაღაც მნიშვნელოვანი დაავიწყდა, მობრუნდა და უკან, აეროპორტის შენობისაკენ გაიქცა.

შენობაში შევიდა, შემინული კარებიდან მალულად გაიხედა. მის გასაოცრად, დაინახა, რა მშვიდად ჩაჯდა წითური ტაქსში და წავიდა.

სონა ნერვიულობისაგან თითებს ატკაცუნებდა, ხშირ-ხშირად დასცქეროდა საათს და არ იცოდა, რა ელონა.

რობერტს ჯერ ისევ ეძინა, სონა დილაადრიანად რომ ადგა, ბაზარში ხილს ვიყიდო. ბაზრიდან მობრუნებულმა გზად სასურსათო მაღაზიაში შეიარა. რომელ ქალს არ ენდომება, ერთი ოცი დღით მაინც, საოჯახო საქმეებს თავი აარიდოს, რესტორანში სადილობა კი ძვირი ჯდება, თანაც საქმეებს უგემურ კერძებს ამზადებენ. რობერტის ავადმყოფობამ ხელიდან უკანასკნელთა კაბიციც გამოაცალა (მადლობა ღმერთს, ხომ გადარჩა, ფულს აღარ ჩივის). ახლა ბილეთის ფულის გარდა, ოთხმოცდაათი მანეთიღა რჩებოდათ და როგორმე უნდა ეკმარათ. საათის ისრები თორმეტს უახლოვდებოდა, როცა შინ დაბრუნდა. რობერტი არ დახვდა. იფიქრა, ზღვაზე გავიდოდაო. პირსახოცი და საცურაო ტანსაცმელი ჩანთაში ჩააწყო, მაგიდაზე ბარათი შენიშნა: „ნაცნობს უნდა შევხვდე, აუცილებელი საქმეა, მოვალ და მოგიყვები. სალამოს დავბრუნდები. დღეს უჩემოდ წადი საცურაოდ. გკოცნი — შენი რობერტი“. ქვეშ რიცხვი იყო დასმული და მისთვის უცხო ხელმოწერა.

იმის, იმ უცხო ადამიანის ხელმოწერააო, იფიქრა სონამ, ამიტომ იყო, რომ მოსვენება დაკარგა. ნეტავ, სად წავიდა? სად ეძებოს? ვინაა ის ნაცნობი? სადაური ნაცნობია? რა მოეპრიანა?

ზღვაზე არ წავიდა. მთელი დღე მოუთმენლად ელოდა. საათს დაჰყურებდა. გადი-გამოდოდა, მერე, როგორც იქნა, წამოწვა, დაძინება სცადა. „თუ ამაღამ არ მოვიდა ერევანში უნდა დავრეკო, ექიმს ვაცნობო, მილიციას ვავაგებინო... ეს რა ღვთის რისხვაა, ღმერთო ჩემო“. სონა ბავშვივით აქვითინდა, აქვითინდა და ჩაიძინა. რობერტ ნერსესიანი შინ რომ დაბრუნდა, სონა მძინარე დახვდა.

— გაიღვიძე, სონა, შეგცივდება, — რობერტ ნერსესიანს სიხარულისაგან სახე უბრწყინავდა, — გაიღვიძე, ჩვენ ბედნიერნი ვართ. ბევრი ფული გვაქვს, ახლა ყველაფერი თავსაყრელად გვექნება.

სანოვაგით სავსე ორი პარკი მაგიდაზე ხელუხლებლად იდო. რობერტ ნერსესიანი მივიდა, ვაშლი ამოიღო, გაკბინა, დალეჭა...

— ჰა, გამოიღვიძე, სონიკო. ეს ვერმიშელი და ბრინჯი რაღად გინდოდა?

სონას გაღვიძებოდა, მაგრამ კოშმარული და არეული სიზმრებიდან ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო.

რობერტ ნერსესიანი ფეხაკრეფით მიუახლოვდა.

— მოხვედი? — სონამ, როგორც იქნა, მოიშორა მძიმე ხილვები და წამოჯდა.

— ზილი გაურეცხავია, — თქვა ხმადაბლა. — სად იყავი?

— ჯადოსნურ ქვეყანაში, ოქროთი სავსე ქვევრს დავეძებდი, — ჯიბიდან ნაჭრის ფუთა ამოიღო, გახსნა, ხუთთუმნიანებისა და ასმანეთიანების დასტა არტისტულად მიმოაბნია.

სონას ამდენი ფული ერთად არასოდეს ენახა, ეგონა, ისევ სიზმარში ვარო.

— ეს რა ფულია, — გონს მოეგო და ჰკითხა, — ჩვენია?

— ჩვენია, — რობერტ ნერსესიანი ვაშლს ნელ-ნელა შეექცეოდა, — ჩვენია. ეს ჯერ კიდევ რაა! ამაზე მეტი ერევანში გვაქვს, შემნახველ სალაროში, შენ სახელზე.

სონა გაოცებას ვერ ფარავდა. ეს უკვე სიზმარი აღარ იყო: მაგიდაზე დაწყობილი პარკები ძალიან ჰგავდა ნამდვილს.

— საიდან? — სონა გაფანტულ ფულს ფრთხილად აწყობდა.

— ზღაპრულმა ჯადოქარმა მოგვართვა, — რობერტი დაიხარა და სონას თმაზე აკოცა, — წითურმა, ბრუციანმა ჯადოქარმა, ვასილად წოდებულმა... აიღეთ შვილებოო, ასე თქვა, ღირსი ხართ და ბედნიერად უნდა იცხოვროთო, არც მერე დაგაკლებთ ზრუნვას, ფულს სხვა დროსაც უხვად მოგცემთ, ბევრ ფულს, „მერსედეს-ბენციც“ თქვენი იქნებაო, თქვენზე ალალია ეს ფულიო. გამომძიებელმა რობერტ ნერსესიანმა მეუღლეს ხელი ლოყაზე მოუცაცუნა და აკოცა. — ეს ჩვენი ფულია — ჩემი, შენი, ჰარუთინის, პირი დაიბანე, ჩაიცვი, რესტორანში წავიდეთ, მომშივდა.

— და მაინც, საიდან? — სონა უნდობლად შეჰყურებდა ხან მეუღლეს და ხანაც ფულებს.

— დაწვრილებით მოგიყვები, — რობერტ ნერსესიანი ცოლის გვერდით, საწოლზე ჩამოჯდა. — მაშ ასე, ზღაპრულმა ჯადოქარმა...

— არ გეხუმრები! — სონას თვალებში ეჭვი აუკიაფა. საწოლიდან გადმოვიდა, ფული მაგიდაზე დადო, ბარათი აიღო და ისევ გვერდით მიუჯდა: — საიდან მოდიხარ? რა ნაცნობს გადაეყარე?

— ხომ გეუბნები, ვასილმა, ბრუციანმა, მართალია, არც ისე კეთილი ჯადოქარია, როგორცა ვთქვი, მაგრამ ფული საკუთარი ხელით მომცა, შემძლია დავიფიცო. მშვიდად ავუხსენი, ვალის გასტუმრება კაცს არ უნდა დაავიწყდეს-მეთქი, მანაც შეიგნო, დამეთანხმა, — რობერტ ნერსესიანი ცოლს მხრებზე მოეხვია — რა არის აქ გაუგებარი?

სონამ რობერტ ნერსესიანის ხელები მხრებიდან მოიშორა და უკან დაიხია.

— მომაშორე ეს ფულები, ახლავე, გესმის!. — მერე ლოგინზე დაეცა, სახეზე ხელები აიფარა და ასლუკუნდა.

— ეგლა გვაკლდა!. მაშინ იყო და ვიღაცა ქალს შეუვარდი... ეხლა საიდანღაც ფული მოათრიე, ხვალ კიდევ, ვინ იცის, რას ჩაიდენ?

— გაჩერდი, სონა! ეს ფულები მე არ მომიპარავს. რა გატირებს? ყველაფერს აგიხსნი.

— როდის? — სონამ თავი ასწია და მეუღლეს თვალი თვალში გაუყარა. მზერაში შიში, ძრწოლა და უმწეობა გამოსჭვიოდა.

სისხლის სამართლის სამძებროს გამომძიებელმა თვალი მოარიდა. სონას გამოხედვამ უცბად დიდი ხნის მივიწყებული ადამიანის, სუსტი, ჩამომხმარი, უშნო გოგონას სახე გაახსენა. ამ გოგონას ნინელი ერქვა.

— ადექი, სონა, — რობერტ ნერსესიანმა ხელი მხრებში ჩაავლო, წამოაყენა და სველი თვალები დაუკოცა, — ასე ნუ მიყურებ, თუ ძალიან გინდა, ახლავე მოგიყვები... — საწოლზე ჩამოჯდა, ხელი შუბლზე გადაისვა, თუმნიანების დასტას ფეხი წაჰკრა.

ბავშვობა კარგად არ ახსოვს, მშობლები არ უნახავს. საბავშვო სახლი, სკოლა-ინტერნატი... ერთხელ უამრავი კევი უპოვეს, გაასამრთლეს. მეორეჯერაც დააპატიმრეს... ფეხსაცმელების საქმეს მიჰყო ხელი... რას აღარ აკეთებდა იმ წლებში! შემდეგ ერთი გოგონა გაიცნო, ლიანა ერქვა, და ბრილიანტე-

ბის საქმეს მოეკიდა. ამის შემდეგ ვასილ ჩორნის შეხვდა, იმან მისცა ეს ფული, ვალი ჰქონდა...

სონას თვალები გაუფართოვდა. მხრებში ჩააფრინდა და შეაჩქარია.

— ეგ შენ არა ხარ! — სონა გიჟივით ჰკოცნიდა ქვეყნის უფროს რაღაც უხილავი ძალა არ ანებებდა, ართმევდა მეუღლეს და ისევე გამწვანებული უძალიანდებოდა, — ეგ კაცი მოკვდა, გარდაიცვალა. დაივიწყე, ყველაფერი დაივიწყე! ეგ შენ არა ხარ. შენ ჩემი მეუღლე რობერტ ნერსესიანი ხარ, გამომძიებელი ხარ და არც არასდროს ყოფილხარ ქურდი, დამნაშავე, ბოროტმოქმედი... რობერტ ნერსესიანი გამოერკვა, გაწყდა აზრის მდინარება.

— მე გამომძიებელი ვარ, — თითქოს ძილ-ბურანიდან გამოერკვა, აცახცახდა, — რა უნდა მოგიყვე?

— ეს ფულები, საიდან, ვისია?..

— იმის, იმ ბედის მაძიებელი მაწანწალის, მიუსაფარი ადამიანის, რომელიც გარდაიცვალა. — რობერტ ნერსესიანმა იატაკზე დაყრილი ფული აკრიფა, სონას ჩანთაში ჩაუღო და თავის ადგილს დაუბრუნდა. რობერტ ნერსესიანმა იცოდა, ახლა მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი ეამი იდგა, არაფერი არ უნდა შეშლოდა, იმის უფლებაც არ ჰქონდა ეს სათნო და ერთგული ადამიანი მოეტყუებინა.

— ის ვილაცა მოკვდა, სონა, — რობერტ ნერსესიანმა თავი საცოდავ, ეულ და ნაცემ-ნაგვემ ადამიანად იგრძნო. — ასე იცი შენ, ასე იცის ექიმმა, ლიანამ, იმ ქალმა. მეც ეგრე მწამს, მაგრამ ის კაცი მაინც არ არის მკვდარი. მე გამომძიებელი არა ვარ და შენ მაინც ჩემი ცოლი ხარ. ჩემთვის შენ... არასდროს მიგატოვებ...

სონას სახე დაეძაგრა. თითქოს ვილაცამ ბასრი ბრჭყალები შიგ გულში ჩააჭდო. ტანში მწარე ტკივილმა დაუარა. ეს ხელებში თავჩარგული მამაკაცი მისთვის უცხო იყო, უცხო იყო ხმით, მოძრაობით, მოქმედებით.

ექიმი ამბობდა, უცხო მეხსიერება თანდათან დაეკარგებაო. ნუთუ ყოველივე ეს მეხსიერების ბრალია? ნუთუ ექიმი მართალია? არ შემცდარა? ამ მეხსიერებამ ხომ მისი მეუღლის ბუნება მთლიანად გარდაქმნა; მსჯელობით, ცხოვრების წესით, მოქმედებით, გრძნობით, რობერტი სულ სხვა ადამიანია... ამ უცხოსთან ლოგინს რომ იყოფს, განა მეუღლეს არ ლალატობს?

— მოიცა, გასწიე ხელები... — სონას ბეჭებზე თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, უსიამოვნოდ გააცია ტანში. — მოიცა.. — თავი იდაყვებით გაინთავისუფლა. — კარგი, გამიშვი. როგორ დავიჯერო, რომ არ გახსოვს შენი საკუთარი წარსული, ბავშვობა, სტუდენტობის წლები, არაფერი?.. არ გახსოვს იმ გოგონას მკვლელობის საქმე, რომელსაც ბოლო ორი წლის მანძილზე იძიებდი? არ გახსოვს თავში როგორ ჩაგარტყეს?.

არა, რა თქმა უნდა, ახლაც თვალწინ უდგას ტყე, ქვა-ლორლიანი, ციცაბო ბილიკი, ახსოვს, რაღაცა ისე ძლიერ ჩაარტყეს, რომ მუხლი მოეკვეთა და რბილად ჩაიკეცა, პირქვე გაიშხლართა. წამით თვალი მოჰკრა მასთან ახლომდგარ ადამიანის შარვალს.

ამ ამბის მოყოლა დაწვრილებით შეუძლია.

ვილაც ქალი შემოხვდა, მოპირდაპირე მხრიდან მოდიოდა, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, სიგარეტი მომაწევინეთო, სთხოვა. მერე, როცა, იმის სიგარეტს ცეცხლს უკიდებდა, შენიშნა, ქალს ტუჩებში გაჩრილი სიგარეტი უკან-

კალებდა, ზურგს უკან ტოტების შრიალი მოესმა, მოახლოებული საფრთხის სუნი იყნოსა, განზე რომ არ გამბტარიყო, დანა შიგ ბეჭებში გაეყრებოდა, ისიც ახსოვს, დანას ფეხი როგორ წაჭკრა. თავქვე დაეშვა, რადგან მიხვდა, ალყაში იყო მოქცეული და ზურგიდან შეიძლებოდა ჩაერთყათ. ღია, გაშლილ ადგილზე უნდა გასულიყო, იქ თავს უფრო ადვილად დაიცავდა. ფეხქვეშ მკვირვებზე ეცალა, დაგორდა, წონასწორობა ძლივს შეინარჩუნა ხელები გაშალა და იმწამს ჩასცხეს თავში...

რობერტ ნერსესიანი ახლა ისევ სონას მეუღლე იყო. ეს თავგადასავალი სონას თვალნათლივ წარმოუდგა. რობერტს მოყოლისას ნიკაპი ოდნავ უცახცახებდა და ხელებს ნერვიულად იფშვნიტდა.

სონა მეუღლეს ჩაეკრა.

— გეხვეწები, გამუდმებით გაიხსენე ხოლმე ეს, — უთხრა, — გაიხსენე მშობლები, დედა, ჩვენი სტუდენტობის წლები. გახსოვს, ტაქსის მძღოლს როგორ წაეჩხუბე უნივერსიტეტთან... ტალახიანი წყალი შემოგვასხა, მაშინ ჩემი თანდასწრებით პირველად შეიგინე.

გაიხსენა. გაახსენდა სონას ბაცი ცისფერი, მოქსოვილი პალტო, ტალახიანი წყლით მოსვრილი, გაბრაზდა და შეაგინა. ტაქსის მძღოლმა გინებითვე უპასუხა, შეაჩერა მანქანა, გადმოვიდა, მიექრა, გარტყმა კი ვერ მოასწრო. პირველად რობერტმა გაართყა. მძღოლი დატრიალდა და ტალახიან გუბეში ჩავარდა. მერე უნივერსიტეტში შევიდნენ და მიიმაღნენ.

— ეგ გაიხსენე, საკუთარი თავგადასავლები გაიხსენე, დაივიწყე ის, ვილაცა, როცა იმაზე ფიქრობ, სხვა კაცი ხარ.. — ემუდარებოდა სონა.

გარედან ფეხის ხმა მოისმა. ალბათ მამიდა ან მისი ქალიშვილი დაბრუნდა სამსახურიდან. სონა კარს მიუახლოვდა და გასაღებით გადაკეტა.

— არა, — ჩანთა გადმოაბრუნა და ფული მაგიდაზე დაყარა. ქალაღდის ფულთან ერთად ფერუმარილი, რამდენიმე თმის სარჭი, ზურდა და ავტობუსის სამგზავრო ტალონები ჩამოცვივდა, — არა, — გაიმეორა მან, — ეს ფული ჩვენი არაა. ცოტა ხნის წინათ უცხო იყავი, შიშისაგან ფეხები დამიდუნდა, დაღუპულად მიგიჩნიე... მეგონა, ვილაცა უცხომ ნამუსი ამხადა. გეხვეწები, იმ ადამიანად ნულარ იქცევი.

— იმას ჩვენთან რა ესაქმება? მე გამომძიებელი რობერტ ნერსესიანი ვარ, შენი მეუღლე, ეს ფული კი ჩვენთვის აუცილებელია...

— ჩემ მეუღლეს ეს ფული არასოდეს დასჭირდებოდა.

— არ დასჭირდებოდა, რადგან ამდენ ფულს ვერ იშოვიდა, ეს ჩემი ოთხი-ხუთი წლის ხელფასია. ის კი ამდენს ერთ დღეში შოულობდა. ზოგჯერ ამაზე უფრო ბევრსაც... არ იპარავდა, არ ძარცვავდა, მას თავისი, განსხვავებული სამუშაო ჰქონდა, რაც ყველას არ შეუძლია. გამომძიებელს გულითაც რომ სდომებოდა, ამდენს ვერ გააკეთებდა.

— ტყუი, ამ გზით ნაშოვნია ფული რომ გდომებოდა, შეგეძლო ქრთამი აგელო!

— ამ გზით ნაშოვნია ფული რა, სხვა გზით ნაშოვნისაგან განსხვავდება? ფული ფულია. ის ან გაქვს, ან არა. ფული ადამიანის არსებობისათვის გაცემული უფლებაა. ამ ფულით ავტომანქანას ვიყიდით.. გახსოვს, იმ დღეს ზღვაზე მითხარი...

— არა, — სონას ღია ცისფერი თვალები ჩაუშავდა.

უკავშირებდა და ეს კაცი აქვე, მის წინ, ზის, ნამდვილი დამნაშავე კი ამ მამ-
ხილებელ საბუთებში საგულდაგულოდ მიმაღულდა, არა ჩანს, კაცი უღვთოდ
არ წახდება. კიდევ კარგი, რომ მაშინ მისი აზრი არ გაიზიარეს და გალიკიანი
სიკვდილით არ დასაჯეს. გამომძიებელს ხომ ცხოვრებისეული ვაჭრობისათვის
ნაკარნახევი რამდენიმე ფაქტორი გამორჩა,

— გახსოვთ, მაშინ თქვენი შეცდომის წყალობით ციხის კედლები ცხრა
თვე ვლესე, ამხანაგო გამომძიებელო? ახლა რამდენი ხნით მიპირებთ დაპატიმ-
რებას? ვიდრე სასამართლო არ გამათავისუფლებს და თქვენც არ დასძენთ, გა-
უყვებრობა, ვცდებითო, არა? და მაინც, გინდათ თუ არა, საკანში გატარე-
ბული დღეების ხელფასს სამსახურში რომ უნდა მიმეღო, ამინაზლაურებთ და
ამით დამთავრდება ყველაფერი.

— დაკარგულ დროს რაღა ვუყოთ, იმ ტკივილებს და განცდებს? — ვალი-
ნაკ გალიკიანი უდანაშაულო მსხვერპლის როლს თამაშობდა. — ჩემი ოჯახის
ტკივილს, სირცხვილს, გატეხილ სახელს, ნათესავთა, ტოლ-ამხანაგების თვალ-
ში დამცირებას? — აშკარად ჩანდა, გალიკიანი წინდაწინ საგულდაგულოდ
მომზადებულიყო. — გეკითხებით, ამხანაგო გამომძიებელო: კაცს სიცოცხლე
როგორ უნდა მოუწამლოთ, ფეხქვეშ გაუთელოთ თავმოყვარეობა და დაუს-
ჯელი დარჩეთ?.. რა გინდათ ჩემგან, ამხანაგო ნერსესიან, რა დაგიშავეთ?..
მაშინაც ალაღმართალი კაცი ცხრა თვე ვიჯექი...

— ამჯერად, დარწმუნებული ვარ, ცხრა წლით ჩაგსვამენ, — გამომძიე-
ბელმა საქალაქდებ დახურა, განზე გასწია და ამგვარი პასუხით გაოგნებულ
ბრალდებულს სიგარეტი მიაწოდა. — მართლმსაჯულებამ თქვენისთანა ადამი-
ანი საზოგადოებას უნდა ჩამოაშოროს.

— დიდი მადლობა, რომ დახვრეტა ცხრა წლით შემეცვალეთ, — ამოი-
ოხრა გალიკიანმა და პირი იბრუნა.

— ამჯერად ბრალი გედებათ, არა როგორც მკვლელს, არამედ როგორც
მკვლელობაში თანამონაწილეს და გვამის გადამძალავს.

— რა მეთქმის, — ვალინაკ გალიკიანს ნირი წაუხდა. — ხალხი ამბობს,
ნუ შეხვალ, ნუ იბანები, ნუ გამოხვალ და ნუ თრთიო. საქმე გახსენით, ძიება
წამოიწყეთ და რა, შუა გზაზე ხომ არ მიატოვებთ? ერთი რამ მაინტერესებს,
ვთქვათ და, სასამართლომ ისევ გამამართლა, მერე რა ბრალდებას წამომიყე-
ნებთ, ახალს რას მოიგონებთ? ალბათ, გადაწყვეტილი გაქვთ, თქვენი სამუშაო
კარიერა ჩემს განადგურებას და მიწასთან გასწორებას მიუძღვნათ. ტყუილად
გარჯილხართ, ქვეყანა ჩალით დახურული როდია; ჩემი დროც დადგება.

— სისულელეს თავი დაანებეთ, არც ადრე იყავით მამა აბრამის ბატკანი.
მკვლელობაში თანამონაწილეობა და გვამის გადამძალავაც რომ არ იყოს, ბრი-
ლიანტების გადამყიდველობაც საკმარისია, ათი წელი აიკიდოს კაცმა.

— ბრილიანტები? — გამოფხიზლება შეეტყო, — შესაშური ფანტაზია
გქონიათ, ამხანაგო გამომძიებელო. თქვენ ხელმძღვანელობას ეს ძალიან მოე-
წონება, აჯობებდა კია, ამგვარი ფანტაზია სხვა საქმეში მოგეხმარათ.

— გმადლობთ, — რობერტ ნერსესიანმა სიგარეტი აიღო, მოუკიდა, ზა-
რის ღილაკს თითი დააჭირა. ოთახში მილიციელი შემოვიდა.

— გაიყვანეთ პატიმარი!

ვალიკ გალიკიანი წამოდგა, კარებისაკენ გაემართა და ვიდრე გავიდოდა,
შემობრუნდა:

— მე თუ არ მომიკლავს, მაშ ვინ მოკლა, ვის მივეხმარებ...
გამომძიებელმა მილიციელს ანიშნა, გარეთ მოიცადეო.

— აი, რა, ამხანაგო ვალიკ გალიკიან! მაშინ, როცა უფროსი მკვლელობას გაბრალებდნენ, თავს იცავდი და ბობოქრობდებოდა სხვა ბრალდება წამოგიყენეს, მართალია, უწინდელთან შედარებით უფრო მსუბუქი, დაფრთხი და ჩვეულ ხერხსა და ჭკუის სწავლებას თავი ანებე. ახლა მაგ შენ მიშს მეტი საზრდო უნდა: მივცე, ისეთი, რომ შენდაუნებურად ნილაბი ჩამოგშორდეს და ნამდვილი სახე გამოგიჩნდეს, მერედა რა კარგად ვიცნობ მაგ ნამდვილ სახეს! გახსოვს, ციხიდან გამოსულმა ოჯახში ლხინი გამართე და მომლოცველი მომლოცველზე მოგდიოდა? არც ის დაგვიწყებია ალბათ, სურენს შენ მიერ ციხეში გატარებულ ცხრა თვის საფასურს რომ ევაჭრებოდი.

ოცი ათასი მოსთხოვე: ადვილია, კაცის მკვლელობაში ეჭვმიტანილმა ცხრა თვე ციხეში გაატარო? დოღს არ მოხვედრია იმდენი, რამდენსაც მე მირტყამდნენო.

თხუთმეტ ათასზე მორიგდით, როცა სურენმა გკითხა, მეტად არ შეგაწუხებენო? ხელი ჩაიქნე და უთხარი: ისე არ ამირევია გზა-კვალი, მეორედაც მომაკითხოვნო.

ეხლა თვალი იატაკისთვის ვერ მოგიწყვეტია, ყურები ჩამოგიყრია და სულმოუთქმელად ელოდები უმთავრესს, მკვლელის სახელს, მაგრამ მე არ გეტყვი, თავად დაასახელებ იმ ადამიანს.

მოქალაქე ვალინაკ გალიკიან, მავანმა სხვა რამეშიც, ფულის გამოძალვაში დაგადანაშაულათ. — გამომძიებელმა საქალაქდეს ხელი მოჰკიდა, ამოიღო ერთი ქალაქი, დახედა და თქვა: — აჰა, სურენ ხშტოიანი, ცოლშვილიანი, კმაყოფაზე ჰყავს ოთხი სული: მეუღლე, ორი შვილი, დედა... და სხვა და სხვა. რას იტყვით?

— დარჩალა რამე, რომ არ დამაბრალოთ?

— ეს კი არ უნდა გაგეკეთებინათ, მოქალაქე გალიკიანო, გამომძიებელმა ქალაქი დააბინავა — ზემოთ ხსენებული პიროვნება, ხშტოიანი, ამტკიცებს, რომ თქვენ მას თხუთმეტი ათასი გამოართვით, რათა მის მაგივრად ცხრა თვე ციხეში მჭდარიყავით, სულიერი და ფიზიკური წამება აგეტანათ. იგი წერს, ჯერ იყო და ოცი ათასს მთხოვდაო. როცა გათავისუფლდით და ამის აღსანიშნავად ქეიფობდით, აი, სწორედ იმ ქეიფის შემდეგ, ერთ-ერთი თქვენი ამხანაგი... დამაცადეთ, ახლავე გეტყვით მის სახელს... — გამომძიებელმა ქალაქი ისევ ამოიღო — დიახ, ეს ამბავი თქვენი ამხანაგის, ნორიკ თარაზიანის, თანდასწრებით მოხდა. მაშინ ამ უკანასკნელის კუთვნილ „გაზ-24“ მარკის ავტომანქანაში ისხედით... დამსახურებას არ დაგიკარგავთ, ხშტოიანს ფასდაუდებელი დახმარება აღმოუჩინეთ, როცა საგამომძიებლო ორგანოებს ყალბი ჩვენება მიეცით და შეეცადეთ სწორი გზიდან აგეცდინათ... ჰა, რატომ გაფითრდით? წყალი დალიეთ. — გამომძიებელმა წყალი დაუსხა და გალიკიანს მიაწოდა. — ეს არ შეგშვენიოთ. ცოტა ხნის წინათ ისე კარგად მსჯელობდით ჩემს ნიჭზე, კარიერაზე, ფანტაზიასა თუ წარმოსახვის უნარზე, სახეზე ისეთი ვარდისფერი გადაგდიოდათ... ეხლა მიტკლის ფერი გადევთ.

არ დამავიწყდეს, სურენ ხშტოიანის ჩვენებაში ერთმა საინტერესო ადგილმა მიიქცია ჩემი ყურადღება, რად იშმუშნებით, ინებეთ, მოწიეთ.. თქვენ ამ პუნქტს, რა თქმა უნდა, არ უარყოფთ, რადგანაც იგი თქვენ სასარგებ-

ლოდ მეტყველებს. სურენ ხშტოიანი ამტკიცებს, რომ თქვენ არასოდეს ყოფილხართ ინტიმურ კავშირში განსვენებულ ლუსიკ ჰაროიანთან, ისე, როგორც ამას თქვენ წინანდელ ჩვენებაში იძლეოდით. განსვენებულთან ასეთი კავშირი თავად მას, სურენ ხშტოიანს ჰქონდა და კიდევ ერთი წვრილმან, მართლაც ელილი ლუსიკ ჰაროიანი, როცა მოკლეს ფეხმძიმედ იყო და არც ამ ამბავთან გაქვთ რაიმე კავშირი, რადგანაც სურენ ხშტოიანი ამასაც თვითონ იბრალეებს.

ვალინაკ გალიკიანი სიგარეტს ეწეოდა და ისე ხარბად ისრუტავდა კვამლს, თითქოს თავის გაგუდვა მოუწადინებიაო.

გამომძიებლის ფაქტებმა ნათელი მოჰფინა მისი ცხოვრების ყოველ მივარდნილსა და მიგდებულ კუთხე-კუნჭულს, ბნელში არაფერი დაუტოვა, თავის შესაფარებლად საჩრდილობელიც არ აღირსა. ერთი სიტყვაც რომ დასცდეს, მორჩა, მის წისქვილზე დაასხამს წყალს, უფრო მეტად გაიყიდება, ამიტომ ახლა მოიბუზება და ღედაკაცივით ავიშვიშდება, მაგრამ ხმის ამოუღებლობა კი აჯობებს, ეგებ როგორმე დრო გაიყვანოს, დააცდის ილაპარაკოს, გაიგებს მაინც, კიდევ რა იცის?... რა უცებ გაიზარდა მის თვალში ეს ღლაპი, ერთი წლის წინ საკუთარ ჰკუთხე რომ ათამაშებდა. სურენი.. ძაღლიშვილი! უშნო! ვითომ მაგანაც გააწყო რამე. ერთი გამომძიებლის თავიდან მოშორებულს დამიხედეთ! ნორიკი... მამაძაღლს ცოტა ძლიერად მაინც გამოსვლოდა ის ჩარტყმა...

ნეტა ამ ლაწირაკმა სურენი ისე როგორ დააშინა, რომ ერთბაშად ათქმევინა ყველაფერი. ციხეში ცხრა თვე ვიჯექი და სიტყვა ვერ დამაცდენინეს, შენ კი ერთი კვირაც ვერ გაუძელი, შენი დედ-მამის ლოგინის ამბავიც მოუყევი...

— წინასწარ პატიმრობაში აყვანილო მოქალაქე ვალინაკ გალიკიან, შეგიძლიათ ჩვენება მომცეთ თუ შემდეგისათვის გადავდოთ?

— თუ შეიძლება, სურენ ხშტოიანის ჩვენება წამაკითხეთ...

— სანამ თქვენ ჩვენებას არ გავაფორმებთ, მანამდე არ შეიძლება. სასაძილობასა და სისწორეს... აქვე იმასაც გეტყვით, რომ ჩვენების მოცემის შემდეგ შეგიძლიათ გაეცნოთ სხვა ორი ადამიანის ჩვენებასაც. ერთი — ლიანა მინასიანი გახლავთ. გაგიგიათ ეს სახელი? და მეორე — ოდესაში მცხოვრები თქვენი მეგობარი ვასილ ჩორნი.

— ეგეთს არავის ვიცნობ.

მაშ ბრილიანტების საქმეც გახსნილა.

— ვასილ ჩორნი თავადაც უარყოფს, რომ პირადად ვიცნობთ თქვენ და თქვენ მეგობრებს. სხვა სიგარეტი ამოიღეთ, ფილტრამდე მისულხართ... ჩორნი სურენისა და ნორიკის ხელით თქვენს მაღაზიაში აგზავნიდა ბრილიანტებს. სხვათა შორის ეს საქმე ლუსიკ ჰაროიანის მკვლელობის ამბავს არ ეხება, ბრილიანტებით ვაჭრობასთანაა კავშირში...

ვალინაკ გალიკიანი მოდუნებულიყო, მხრები ჩამოეყარა, რამდენიმე წუთის წინ თუ გაფითრებული ჰქონდა სახე, ახლა ფერი შესცვლოდა, ჩაშავებულიყო...

— თავისუფალი ბრძანდებით, — თქვა რობერტ ნესრესიანმა, — შეგიძლიათ წახვიდეთ..



საუწყებო ბარათში წერია: „ამა წლის 6 ოქტომბერს, 1937 წლის 19 საათზე მოქ. ლიანა მინასიანი უნდა გამოცხადდეს მილიციის მთავარსარეზერვუარეობაში, მე-3 სართული, № 37 ოთახი, გამომძიებელ ვ. სოლოვიანთან. გამოუცხადებლობის შემთხვევაში იძულებით იქნება მოყვანილი“.

ლიანას გააყრუოლა. ექვსი ოქტომბერი გუშინწინ იყო. დღეს უკვე რვაა, საღამო ხანია, საცაა ცხრა საათი გახდება. რა იღონოს, ასეთ დროს მილიციაში ვინ დახვდება? ხვალ დილაადრიან მივა.

უკვე სამი თვეა, მალაზიას თავი დაანება. საამქროში მუშაობს. სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი ადრინდელ ნაცნობ-ამხანაგებთან. თავისთვის მშვიდად ცხოვრობს, ჩალიჩისა და შიშის გარეშე. თან, რახანია ნატრობს, ბავშვი შვიდი წლისა გახდეს, ბებიას და პაპას გამოვართმევ და მე თვითონ გავზრდიო. არ დასცალდა. კარის ღრიჭოში შეცურებულმა ქალაღის ნაგლეჯმა სულ თავდაყირა დაუყენა ოცნება მშვიდსა და პატიოსან ცხოვრებაზე.

ამდამ სახლში ვერ დარჩება, ღამით უთუოდ მოვლენ და წაიყვანენ. მშობლებთან გაათევეს ღამეს, ხვალ დილით კი იქიდანვე წავა მილიციაში.

წავა, ბავშვს ნახავს, მიეფერება, მიესიყვარულება. ვინ იცის, ეგებ, ხვალ მილიციიდან, ვაღოს რომ უყვეს ისე, პირდაპირ ციხეში წაიყვანონ. თუმცა ვაღო, რაღაც ცხრა თვეში გამოუშვეს. მასაც გამოუშვებენ? ვთქვათ და, ხუთი-ექვსი წლით პატიმრობა მიუსაჯეს, მოსწყვიტეს ბავშვს, თავისუფალ ცხოვრებას!..

და მაინც, რატომ? ლუსიკის, მისი თანამშრომლის მკვლელობის საქმე უკვე დახურულია. დახურულიც რომ არ იყოს, და კვლავაც მიუბრუნდნენ, იმაში გარეული არაა. მკვლელობის ამბავი თავადაც გვიან გაიგო, ნორიკმა გაუმხილა. ის საქმე კი, ნორიკმა რომ გამომძიებელი მოკლა, ჯერ არ გახსნილა (ნორიკი ხომ მანქანით ხევში გადაეშვა და დაიღუპა. ალბათ გამომძიებლის უბრალოდ დაღვრილმა სისხლმა უწია. მერედა, როგორ განიცდიდა ნორიკი მაშინდელ ამბავს. ეუბნებოდა: სურენი ნაძირალაა, რისთვის გავეხვეე მაგ საქმეში, რაში მჭირდებოდა გამომძიებლის მოკვლაო?..) და თუ ის საქმე მაინც გასკდა, ვერაფერს გახდებიან, ნორიკი მკვდარია. ვთქვათ, მასაც ბრალი დაედო — მივიდა, გამომძიებელი შეაქცია, რომ სურენს მისთვის... ესმოდა კი მაშინ რას სჩადიოდა და ამ საქციელს რა მოჰყვებოდა?.. რა სისაძაგლეა, როცა სულდგმულის, ცოცხალი არსების მოკვლაში მონაწილეობ! იმ ადამიანსაც ხომ თავისი ცხოვრება აქვს, ჰყავს ოჯახი, მეგობრები!. მოკლა, ეს იგივეა, სიცოცხლის უფლება წაართვა, მის ახლობლებს, ნათესავებს გამოსტაცო ამ ადამიანის არსებობა (ნორიკის გარდაცვალების შემდეგ ამაზე ბევრი იფიქრა).

თუ ამ საქმესთან დაკავშირებით იბარებენ, ხუთს კი არა, ათ წელს აპყიდებენ. მართალიც იქნებიან, ოღონდ ბავშვია ცოლო.

მერე რა, მალაზიაში სამართლისათვის ბევრჯერ გადაუხვევია. არა, მალაზიის ამბავი არ ადარდებს, მალაზიიდან სუფთად გამოვიდა, მიღება-ჩაბარებისას ყველაფერი რიგზე იყო. ახლა, სამი თვის შემდეგ, რაში დაანაშაულებენ? სამი თვის უკან შიშის ათასგვარი საფუძველი გააჩნდა, ახლა რა? ახლა საამქროში შემფუთველად მუშაობს. სხვებს იქიდან ფეხსაცმლის მასალა და მზა

ნაწარმი გააქვთ, ის კი ცარიელ ხელფასზეა, კაპიკი რაა, კაპიკიც არავისი უნდა...

ეგებ მალაზიაში რაიმე დარღვევა აღმოაჩინეს და ძველი თანამშრომელიც ამიტომ ჰყავთ დაბარებული, რომ ჩვენება მისცეს და გმირჩვენებას დაგვხმაროს.

ზოგადად იტყვის, რა ვითარებაა მალაზიაში, ხელს კი არავის დაადებს, არავის გასცემს, კაცს არ გააფუჭებს. რა იცის, ვინ რას აკეთებს? ვინ იპარავს, ვინ ჩაქურდალს ასაღებს, ვინ ქორვაჭრობს, ვინ უხეშობს, რა მისი საქმეა?!

შიში როგორმე უნდა დაძლიოს. მშვიდად, აუღელვებლად უნდა გამოცხადდეს მილიციაში, თორემ ყველაფერს შეატყობენ. დაგვიანებით რატომ მივიდა? შინ არ იყო, შეუძლიათ მეზობლებს ჰკითხონ, ბავშვთან ერთად ორი დღით წახკაძორში ჩავიდა...

მამას უკვე ეძინა. დედას პირკატა ეცა, გაუკვირდა შვილის მისვლა. ორი-ოდე საათის წინათ ბავშვი დაუტოვა, შინ წავიდა და ახლა დაბრუნდა, გახევებული, გაოგნებული...

— რა მოხდა? — კარებშივე ჰკითხა დედამ. — იმ გიჟმა ხომ არაფერი?..

— არა, გიჟი არაფერ შუაშია. ტიგრანთან მინდა დავიძინო.

ღამით ტიგრანის მშვიდმა, უზრუნველმა სუნთქვამ უფრო გაუმძაფრა შიშისა და ხიფათის მოლოდინიც. ფრთხილად ჰკოცნიდა ბავშვს, თავს ძლივს იკავებდა, რომ არ აღრიღებულყო. თუ ახლა არ გაასამართლეს, დარჩენილ ცხოვრებას მშვიდად და პატიოსნად გალევს. ოღონდ გადარჩეს...

მერე თანდათან დაცხრა, დაშოშმინდა, დაწყნარდა; გათენებისას ისე ღრმად ჩაეძინა, რომ დილით პატარამ ძლივძლივობით გააღვიძა.

„დე, ზღაპარი მომიყევი“, — ეხვეწებოდა ბიჭი, — „წითელქუდას ზღაპარი“.

ზღაპარს, რა თქმა უნდა მოუყვება. საბავშვო წიგნსაც უყიდის, ლექსებსაც ასწავლის, თოჯინების თეატრშიც წაიყვანს. მთელ თავისუფალ დროს ტიგრანის კაცურ კაცად გაზრდას მოახმარს...

ათი საათიც არ იყო, მილიციის შენობასთან რომ მივიდა. მანამდე სამსახურში გაიარა და დაეთხოვა.

როცა კიბეებზე აღიოდა, ზევიდან ჩამომავალმა უცნობმა — უკაცრავად, სიგარეტი ხომ არ გექნებათ?

უნებურად ხელი მხარზე გადაკიდებულ ჩანთისკენ გასწია, ჩანთა უნდა გაეხსნა და სიგარეტი მიეცა. მაგრამ ის კაცი უცბად გამობრუნდა: მობრძანდითო, სოლოიანთან მიგაცილებთო, და ისიც უკან გაჰყვა, კიბეებს აუყვანენ.

სუსტად განათებულ დერეფანში იმ კაცს მონუსხულივით მიჰყვებოდა, ენას ვერ აბრუნებდა, ჭირის ოფლს ასხამდა. ეს ხომ ის გიჟი იყო, შინ რომ შეუვარდა და უმტკიცებდა, ნორიკ თარაზიანი ვარო.

გიჟი კი არა, ეს ის გამომძიებელია... ეტყობა, უმკურნალეს, გამოჯანმრთელდა, არ მომკვდარა... „უკაცრავად, სიგარეტი არ გექნებათ?“.. ამ სიტყვებით მიმართა ამ კაცს სარის უბნის ტყეში, და ახლა მანაც სწორედ ეს სიტყვები შეახსენა. ნეტა, ამ დახლართული დერეფნით სად მიდიან? შიშმა აიტანა, ლიანა მუხლმოკვეთილი მილასლასებდა.

გამომძიებელი, როგორც იქნა, ერთ-ერთ კართან შეხერდა.

— შებრძანდით, მოიცადეთ, სოლოიანი ახლავე მოვა.

ლიანა ცარიელ კაბინეტში შევიდა და მოწყვეტით დაეშვა სკამზე. ისე იყო შეძრწუნებული, კრინტსაც არ დასძრავდა, „გიგუნდში“ შემოქცეულა და შეაგულ ოთახში მოეხრჩო.

სოლოიანი აგვიანებდა, თუმცა ეგებ ლიანა მინასიანს ეჩვენებოდა ასე, და როცა კარში ახალგაზრდა, შეჭადრაკეობის კაცი გამოჩნდა, ლიანა ფაცხაფუცხით წამოდგა და მიხვდა, გზაში რომ ფიქრობდა, რაც არ უნდა მოხდეს, არ ავლელდებო, გაუმტყუნდა, აღარ გამოუვიდოდა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით, — სოლოიანმა გვერდით ჩაუარა, მივიდა ცეცხლგამძლე სეიფთან, გააღო, შეინახა ოთახში შემოტანილი საქალაქდებები და მერე მისთვის განკუთვნილ ადგილზე დაჯდა.

— ბრძანეთ, გისმენთ!

— გამოძახებული ვარ, აი... — ლიანამ წინასწარ მომზადებული უწყება გაუწოდა.

— ვიცი, — სოლოიანმა ქალაქი გამოართვა, ზედაც არ დაუხედავს, განზე გადასდო.

— შინ არ ვიყავი, მხოლოდ წუხელ... შეგიძლიათ მეზობლებს ჰკითხოთ... ყოველ შაბათ-კვირას ჩემ შვილთან ერთად...

— არაა საჭირო, — თქვა სოლოიანმა, — მთავარია, რომ მოხვედით. ასე რომ... — სოლოიანი მაგიდაზე თითების რაკუნს მოჰყვა. — არაფერი გინდათ მოგვიყვით?

— რაზე? — ლიანამ ნერწყვი მძიმედ გადაყლაპა.

— წითელქუდაზე; — უდარდელაყდ გაიღიმა სოლოიანმა.

წითელქუდა... დილით ეს ზღაპარი მოუყვა ტიგრანიკს. ეს კაცი ალბათ მაშინ მივიდა ჩვენთან, როცა წამოსული ვიყავი, ეგებ, ტიგრანიკმა გულუბრყვილოდ უთხრა. დღეს დილით დედამ წითელქუდას ზღაპარი მომიყვაო, ასე იქნებოდა ალბათ და ამიტომ დააგვიანდა...

— მაშასადამე, მაღაზია „იაგუნდში“ მუშაობთ, ხომ? — ჰკითხა სოლოიანმა.

— არა. ფირმა „მასისის“ № 3 ფეხსაცმელების საამქროში.

— სად, სად? — სოლოიანს გაუკვირდა. — თქვენ რა, ოქროულობის მაღაზიის უფროსი გამყიდველი — ლიანა მინასიანი არა ხართ?

— ვიყავი, — ლიანამ ნერწყვი გადაყლაპა, — ახლა არა ვარ.

— როგორ? — სოლოიანმა ვერ გაიგო, — გვარი შეიცვალეთ?

— სამსახური შევიცვალე.

— რატომ? ძველი სამსახური რითი იყო ცუდი? — სოლოიანმა უჯრიდან ბამბანერკა ამოიღო, სახურავი ახადა და ლიანას გაუწოდა: — მიირთვით.

— რა ვიცი, — ლიანამ ყუთი გასწია, — ფაბრიკა ჩემ სახლთან ახლოა, თანაც მაღაზიაში არ მინდოდა... გული არ მიწევდა...

— სწორედ ამაზე მესაუბრეთ, — სოლოიანმა ყუთიდან შოკოლადი ამოიღო, პირში ჩაიღო და გაღეჭა. — მაინც გული რატომ არ მიგიწევდათ, რა არ მოგწონდათ? სამსახური, სამუშაო, თანამშრომლები, იქ შექმნილი ვითარება, ვთქვათ, საქონელს სახელმწიფო ფასზე ძვირად ყიდდნენ და ასე შემდეგ?

ამის თქმა იყო და ოთახში მეორე გამომძიებელი შემოვიდა, ის გიჟი.

— მობრძანდით, ამხანაგო ნერსესიან, — სოლოიანი წამოდგა.
 — არა უშავს, არა უშავს, განაგრძეთ, ხელს არ შეგიშლით, ნერსესიანი კუთხეში დაჯდა.

— აბა მითხარით, რატომ არ მიგიწევდათ გული თქვენს მკვლელსა და სიძულველს? — სოლოიანი თავის სკამს მიუბრუნდა, დაჯდა. — კერძოდ, რა არ მოგწონდათ?

თავგზა აებნა, ზურგს უკან მჯდომი ადამიანის მზერა ბურღავდა, სწვავდა. მიიხედა. გამომძიებელ რობერტ ნერსესიანს თვალი არ აურიდებია. ლიანა გაოცდა, ამ მზერაში სიძულვილის ნაცვლად მონატრება ამოიკითხა. ეს მზერა, ეს მონატრება უცბად მისთვის ნაცნობ მზერად გადაიქცა...

სალამოს ქალაქგარეთ, პატარა რესტორანში ისხდნენ. დაკითხვის არც ერთი წვრილმანი არ გამოუტოვებია, სურენს დილანდელ ამბავს რომ უყვებოდა, იმ „გიჟის“ მზერაზე კი სიტყვაც არ დასცდენია, თუმცა მასზე ფიქრი არ ასვენებდა.

თუ ვინმე ლაპარაკობდა, მხოლოდ ლიანა, მეტწილად ორივე ღუმდა.

დაკითხვას სოლოიანი აწარმოებდა, ის მეორე კი ხმაამოუღებლად, გაუნძრევლად იჯდა და თვალს არ აცილებდა.

— მაინც რამ გაიძულათ, მალაზია რომ მოატოვეთ?

— არაფერმა.

— სექციის გამგესთან, ვალინაკ ვალიკიანთან, უთანხმოება ხომ არ გქონდათ?

— არა, არ მქონია.

— მალაზიის გამგე სურენ ხშტოიანთან?

— არა, უთანხმოება არც სურენ ხშტოიანთან მქონია.

დახლთან მთელი დღე ფეხზე იდგა, სამსახურიდან დაბრუნებულს დაღლილი ფეხები უბეუოდა. ხო, რა თქმა უნდა, სკამი ჰქონდა, შეეძლო დამჯდარიყო, მაგრამ სამუშაო საათებში რომელი გამყიდველი ჯდება, ის რომ დამჯდარიყო?

სოლოიანი თავისას არ იშლიდა, მაინც ცდილობდა რაღაც ეთქმევიინებინა მისთვის. ეგებ სამსახური იმიტომ გამოიცვალა, რომ მუშტარს ზედმეტს ართმევდა, ანდა... მაშ, ოთხ წელიწადს მუშაობდა და ფეხები არ ეღლებოდა, მერე უცბად დაეღალა?

მართალია, ოთხი წელი იმუშავა, მაგრამ კიდევ ერთი წელიც რომ დარჩენილიყო, მაშინ ეტყოდნენ, ხუთი წელი მუშაობდი და მერე დაგეღალა ფეხები, ველარ გაუძელიო. ბოლოს და ბოლოს, თუ არ მოგწონს სამსახური, ერთხელაც ხომ უნდა გადაწყვიტო, რა მნიშვნელობა აქვს, ამას როდის მოახერხებ?

„კერძოდ, რა არ მოგწონდათ, რა?..“ სოლოიანს ეს სიტყვები იმდენჯერ ჰქონდა ნათქვამი, რომ ლიანას ეგონა, ამ სიტყვების ხშირი გამეორებით გამომძიებელი მისკენ ქამანდს ისროდა. ერთი წინდაუხედავი პასუხი და ყულფში თავს ამოაყოფინებს, მერე კი ნელ-ნელა მოსწევს, მოქაჩავს და ასე მოახრჩობს.

ამის გაფიქრება იყო, ისევ მიიხედა და იმ ადამიანის თბილმა, ახლობელმა, ძალიან მშობლიურმა მზერამ ყოველგვარი ყულფი შეხსნა, აარიდა...

ამას სურენს არ ეტყვის. ქვეყნად არავის გაუმხელს, რადგან იმ წუთას

„გიჟი“ რალაციით ნორიკს ჰგავდა. სწორედ ასეთი მზერით იხსნა „გიჟმა“, გაახსენდა ნორიკი და სოლოიანის კითხვასაც პასუხი მოუძებნა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ძველ სამსახურში გაჩერება აღარ შეეძლო.

— მაშ, არ მომკვდარა... — გარეთ მანქანა იდგა; შინამანქანით უნდა დაბრუნებულიყვნენ. საქესთან სურენი უნდა დამჯდარიყო და მაინც განუწყვეტლივ სვამდა. ლიანამ გაიფიქრა, იქნებ განგების ძალით მეც იმ ხევში გადავიჩებო, სადაც ნორიკი გადაიჩეხა და მოვრჩე ამ წამებასო.

— ჰმ, ცამეტი ათასი გამოგვართვა და ისევ ჩვენ საქმეს ჩაჰკირკიტებს. მაინც არ მესმის „გიჟობა“ რაში დასჭირდა, — სურენს თვალეები ამღვრეოდა, ჩასისხლიანებოდა, — ან შენ სახლში რისთვის გამართა სცენები... ეჰ!..

ანაზღად სურენის ბუნდოვან მეხსიერებაში რალაციამ გაიელვა, წერტილივით გაიბრწყინა, ნელ-ნელა ძალა მოემატა და დაუკავშირებელი, წყვეტილი წარმოსახვები ჯაჭვის რგოლებივით გადაინასკვა, ფიქრად გადაიქცა.

— ჩორნისთან კაცი გავგზავნეთ, ერთი თვეა მისგან არაფერი ისმის, ეს ერთი...

მაგ შენმა „გიჟმა“ ამდენი რამ საიდან იცის, საიდან გაიგო, ნორიკის მანქანაში რა საქონელი იყო? ანდა ნორიკმა შენგან ბინა რამდენად იყიდა?.. ვალო. ისევ დააბატიმრეს, ეს სამი...

მეც დამიჭერენ, ოთხი...

შენც, და კიდევ რამდენს, ესეც ხუთი, ექვსი, ათი...

რა გაოცებული მიყურებ, გიკვირს ერთს მეორესთან რა კავშირი აქვს, არა? აქვს, თანაც, მეტისმეტად მჭიდრო...

მაინც რა გგონია, რატომ მოხდა ეს ყველაფერი?.. — სურენს თავადვე აკვირვებდა საკუთარი მიგნებები. ისევ და ისევ აოცებდა რა სიზუსტით, ლოგიკურად, მიზეზ-შედეგობრივი კავშირით დალაგდა ყველაფერი. — ნორიკმა დაგვაბეზლა. მილიციაში სულ წვრილად ჩაუკაკლა, მერე ადგნენ და ისიც თავიდან მოიშორეს, მოკლეს, მანქანიანად ხევში გადაიჩეხეს. არც საქონელსა და არც ფულს ხელი არ ახლეს, დაინტერესდნენ, ვინ მიაკითხავდა... ამ „ფოკუსის“ გაგრძელება იყო „გიჟის“ სტუმრობაცა და კიდევ ბევრი სხვა რამ...

— როგორ თუ მოკლეს? — ლიანა შეშინდა, — მილიცია კაცს სასამართლოსა და განაჩენის გარეშე როგორ მოკლავდა?

— კაცს არა, ნორიკს — ხო!.. ნორიკი გარეწარია... მილიციაც იმის მილიციაა, რომ გარეწრები ფესვიანად მოთხაროს.

„შენ ხარ გარეწარი“, — ლიანას ეს სიტყვები არ უთქვამს, რადგან სურენი მთვრალი იყო და შეეშინდა, მაგრამ სულში რალაც ქვიშის ბორცვივით მოერღვა და ჩაეშალა.

— რა გატირებს? — სურენი შუბლს ისრესდა. — მეც დამნაშავე ვარ, შენც, ვალოც, ხაჩიკიც, ვასილ ჩორნიც... ნორიკის მოშორება უფრო ადვილი იყო. რატომ? იმიტომ, რომ ოხერ-ტიალი, ობოლი ბიჭი იყო, ქვეყნად არავინ ჰყავდა, არსად მუშაობდა, გამომძიებელს თავი გაუჩეჩქვა.. — სურენი გაიდმიჭა, ამოიოხრა და ცრემლი რომ შეემაგრებინა, თვალეები მოისრისა.

— ჩვენ ცუდი ადამიანები ვართ, — განაგრძო. — გითხრა, რატომ? იმიტომ, რომ სხვა ადამიანებს არა ვგავართ... გვინდა ნებიერი, კარგი ცხოვრება, გვინდა მანქანა, ეს ყველაფერი კი აკრძალულია, გესმის?.. რაც გვინდა, ის აკრძალული გვაქვს, არ შეიძლება!.. თუ არ მოვიპარეთ, თუ არ გავძარცვეთ, არ

მოვკალით ვინმე, არ გვექნება... ეხლა ხომ გაიგე, ნორიკი რატომ მოიშორეს?..
 გზაში ლიანა ფიქრობდა, აი, ახლა, ჩვენც რომ დავიღუპოთ, ხევში გადა-
 ვიჩეხოთ... ხვალ ჩვენზეც იგივეს იტყვიან, რაც წელან სურენმა ნორიკზე/
 თქვა...

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომელი რობერტ ნერსესიანი სამუშაო დღის შემდეგ კაბინეტში ჩაკეტილიყო, ლუსიკ პაროიანის ხელახალი დაკითხვის ჩანაწერს ამზადებდა, როცა მეუღლემ დაურეკა და უთხრა, მალე ჩვენთან სტუმარი მოვაო, არ გაუმხილა ვინ და დასძინა, მოულოდნელი სტუმარი უფრო სასურველიაო.

სტუმარი ღვთისაა. სასურველ სტუმარს კი რა სჯობია, მაგრამ დღეს ბევრი საქმე აქვს. საბრალოდებო დასკვნა უნდა დაასრულოს, ამასთან პაროიანის საქმეც მოსაწესრიგებელია. რაო?.. უჩემოდ არ იქნება? - კარგი, კარგი, მალე მოვალ.

დღეს დილით უფროსმა გამოიძახა, როგორა ხარო, - მერე დაურეკა, ლუსიკ პაროიანის საქმეს თავი დაანებე, ზედმეტია მაგაზე დროის დაკარგვა, არა მგონია, მანდედან რამე გამოვიდეს, ისედაც ბევრი სამუშაო დაგროვდა, ხალხი კი გვაკლიაო...

სტუმრები ჯერ არ მოსულან.

პარუთინი მიეგება. მიიჭრა და მამას ფეხებზე შემოეხვია, მერე კისერზე ჩამოეკიდა.

— პარუთიკ, აცალე მამას, ლაბადა მაინც გაახდევინე, — გაუწყრა ბავშვს სიდედრი და სცადა მოეშორებინა.

— არა უშავს, იყოს, ლუსიკ აშოტოვნა, — რობერტ ნერსესიანი ჩაცუცქდა, ბავშვი ხელში აიყვანა, ბიჭი მამის საყელს ჩააფრინდა. მამა-შვილი ბედნიერი იყო. არა უშავს, ჩააფრინდეს, აწვალოს, კალთებზე ჩამოეკიდოს, ქუდი ჩამოუფხატოს, ბავშვთან თამაშში სულიერ შვებას გრძნობს, ისვენებს.

სონა სამზარეულოში ნამცხვრებს აცხობდა.

— სონ, ვინ უნდა მოვიდეს? — მეუღლე ბავშვივით აიყვანა ხელში და ფქვილით დასვრილ ლოყაზე აკოცა. წამით თავი მკერდზე მიადო, ისევ გასწორდა და დამარცვლა:

— ე-ქი-მი...

— ექიმი? — რობერტ ნერსესიანმა ბავშვი ძირს ჩამოსვა.

— რა, არ ვიხარია? — სონამ აირღუმლიდან ტორტი გამოიღო და ქმარს შეხედა.

კარზე დარეკეს.

— მოვიდა. — სონამ წინსაფარი მოიგლიჯა. — გემუდარები, მხიარულად შეეგებე, მაგან სიცოცხლე გაჩუქა.

ექიმი გახუნებულ პალტოში უფრო მოხუცი ჩანდა. ჯერ ზღურბლზე არ გადაებიჯებინა, ფეხსაცმელების ბაკუნს მოჰყვა და საათს დახედა.

— მხოლოდ თხუთმეტი წუთით.

— ეგრე როგორ იქნება, ექიმო? — სონამ ექიმს ხელი გაუყარა და მაგიდასთან მიიყვანა. — დღეს თავი არ ამიღია, სამზარეულოდან არ გამოვსულვარ?

— სუფრა არსად გაიქცევა, ჩემო გოგონა, — უთხრა და ხელი გაითავისუფლა, — იმის უფლება მაინც მომეცი, ჩემს ყოფილ ავადმჯირღვს ჯანმრთელობის ამბავი გამოვკითხო...

— ყველაფერი კარგადაა, ექიმო. — რობერტ ნერსესიანი ექიმს კვირდით მიუჯდა და მუხლებზე პარუთიკი დაისვა.

— ყველაფერზე კარგი ისაა, რომ ეწვევი და ბავშვს აბოლებ, — გაიღიმა ექიმმა. — ხო, ბავშვისთვის... პალტო სადაა? — ექიმი საკიდარს მიუახლოვდა. პალტოს ჯიბიდან პატარა, შიშველი თოჯინა ამოიღო. — აი, რა უნდა აჩუქოს პაპა ექიმმა შვილიშვილს...

ექიმი ჩუმი კაცი არ გამოდგა, მხიარულობდა, ხუმრობდა, ანეგდოტებს ჰყვებოდა. რობერტ ნერსესიანს უკვირდა, ეს ცოცხალი, მხნე მოხუცი საავადმყოფოს უღიმღამო კედლებში როგორ ძლებსო?

— სონა, შვილო, რად გინდა მაგიდას ასე რომ ამძიმებ, გადაწყვიტე მოხუცს ჭამით ამოხადო სული, ხომ?

მართალია, ექიმი წამდაუწუმ საანას დასცქეროდა და ეკლებზე იჯდა. მაგრამ სონამ იმარჯვა და ორ საათზე მეტ ხანს გააჩერა. სახლიდან რომ გადიოდა, ექიმმა თქვა, რობერტმა გამაცილოსო.

რობერტ ნერსესიანი ლოგინში წევს და ძილი არ ეკარება, თვალი მოუხუჭავს, თავს იკატუნებს, არ უნდა სონა შეაწუხოს, მაგრამ ვერ დაუძინია და რა ქნას. გზაში ექიმმა ჰკითხა: დაგანება იმან თავი, თუ ისევ გიწეწავსო გონებას? რობერტმა უპასუხა, დამანებაო.

ექიმმა ძველებურად მკაცრი იერი მიიღო: „ან იქნებ ღამღამობით ძილი რომ არ გეკარება და ფიქრი აგეკვიატება?...“

სიზმრებს არ ვხედავ და თუ ვხედავ, ისეთი არეული და გაუგებარია, რომ ვერ გამომიტანიანო.

სიზმარი ზოგჯერ არეულია და გაუგებარი, ეს მართალია. მაგრამ რატომ არ ღვი ბოლომდე გულწრფელი ექიმთან? ამ სიზმრებიდან რაღაც მაინც რჩებაოდა ფრაგმენტულად, ნაკუწ-ნაკუწად და იმ დარჩენილში მის მაგივრად სხვა იყო, ერთ დროს მისი ტვინის მეორე ნახევრის მფლობელი, მისი ბავშვობა, მისი სიყვარული და გაწბილებული ოცნებები, მისი ცხოვრება და მისეული მსოფლმხედველობა, შეხედულებები...

სონასაც უმაღავს, უმაღავს, რადგან იცის, ვერც სონა და ვერც ექიმი ვერაფერს უშველიან. ორივე ერთსა და იგივეს ეტყვის — შენში ორი მუხსიერებაა, საჭიროა როგორმე მოერიო და მოიშორო.

საჭიროა, მაგრამ ვერაფერი გაუწყვია. ან, ეგებ შეუძლია და არ უნდა, იქნებ ქვეცნობიერად არ სურს მოიცილოს, მოიშოროს თავიდან?

სხვაგვარად რითი აიხსნება ლიანას დაკითხვისას მისი მოქმედება, რისთვის გავიდა მეზობელ ოთახში, რატომ დაურეკა სოლოიანს და სთხოვა, დაკითხვა შეეწყვიტა? ეს იმ დროს, როცა, ვითომდა შემთხვევით შეხვდა და ამ შეხვედრით დაბნეული ლიანა ის-ის იყო უნდა გამოტეხილიყო, მაღაზიაში არსებული დარღვევები, დანაშაულებები გაემხილა, ბრილიანტების საქმე გახსნილიყო, ეთქვა ყველაფერი, რაც კი იცოდა.

განა მცირედი სურვილი მაინც არ გაუჩნდა იმ დროს რამენაირად დახმარებოდა ლიანას, მისთვის ციხე აერიდებინა? გაუჩნდა, შეეცადა კიდევ, შეე-

ცადა იმიტომ, რომ მისი ორეულის, ნორიკ თარაზიანის, მეხსიერების ტყვეობაში იყო.

ნორიკ თარაზიანი... იმ ობოლ, მიუსაფარ, თავზეხელაღებულ სულ უფრო ახლობლად მიიჩნევს. რატომ? განა სასაცილო არაა შენთვის ხო ბოროტმოქმედი, ერთი ნახვით შეგიყვარდეს? ბოროტმოქმედს შენს მოკვლას ცდილობდა? დავუშვათ, პირიქით მომხდარიყო: თვითონ მომკვდარიყო, ხოლო მეორე, ვინც თავში ჩაართყა, ცოცხალი დარჩენილიყო, ის კი იფიქრებდა ამდენს?

ასეა თუ ისე, მისი მოკვლა უნდოდა...

რატომ ცდილობს გამართლება მოუძებნოს გზას აცდენილ ადამიანს? ბოლოს და ბოლოს საზოგადოებაში ადამიანზე შეხედულება იმის მიხედვით ყალიბდება, თუ რას მოიმოქმედებს ეს ადამიანი და არა იმის მიხედვით, რა უნდოდა და რა გამოუვიდა. თავში რომ ჩაართყეს, რა თქმა უნდა, ეს ბოროტმოქმედებაა და არავითარი ახსნა, გამართლება ამ ბოროტმოქმედებას არ დაეძებნება. მაშ რატომ არ სძულს საკუთარი ჭალათი და, პირიქით, ყოველგვარ ძალას ახმარს მის გამართლებას?

გამართლება ყველაფერსა აქვს, თვით უმძიმეს დანაშაულსაც კი. თავი არ უნდა მოიტყუო, სიმართლემ, საღმა განსჯამ უნდა იმარჯვოს. მასში დღეს სწორი შეფასების უნარი დამცრობილა, იმის, იმ მეორის სასარგებლოდ და საკუთარი თავის საუბედუროდ. ეს რა ღვთის წყრომაა? ნუთუ იგი გამომძიებელი რობერტ ნერსესიანი არაა, ნუთუ ის მეორე — ნორიკ თარაზიანი და ის უკანასკნელი თავს ირწმუნებს, რობერტ ნერსესიანი ვარო?

თუ ასეა, აქ რა უნდა, ამ სახლში? რატომ აქვს გაორებული მეხსიერება, დღისით — ერთი, ღამით — მეორე? რატომ არ უნდა აქედან წავიდეს, გადაიკარგოს? ქვეყანა უკიდევანოა, წადი, სადაც გენებოს, იცხოვრე იმ მეორის სახელითაც და ცხოვრებითაც. ნუ დააყოვნებ, ახლაც შეხედე უცხოთ თვალთ აქაურობას, ოთახს, გვერდით რომ გიწევს, მაგ ქალს, მეორე ოთახში რომ სძინავს, იმ ბაღშვსაც — ჰარუთიქსაც, გამომძიებლის თანამდებობასაც, ყველაფერს!..

არ შეუძლია. არ შეუძლია, რადგან იგი რობერტ ნერსესიანია და არა სხვა ვინმე. აშკარაა, ბოლოს და ბოლოს ქვეყნად ყველა ადამიანი ერთადერთია და განუმეორებელი. აჰა, დასტურიც. საავადმყოფოში, გონს რომ მოეგო, თავი ნორიკ თარაზიანი ეგონა, წამითაც არ გასჩენია ეჭვი. უცხო მეხსიერება თავს არ ანებებდა, ვიდრე იმხანად მისთვის აუხსნელი გარემოება არ შეიგრძნო: როცა ბოთლი გამომძიებელს მთელი ძალით, დანდობილა ჩაართყა, იმ ბოთლის ძალაცა და მისგან მიყენებული ტკივილიც საკუთარ თავზე იწვნია: გამომძიებელს ჩაართყა და თავად კი ეტკინა. ახლაც, ამ ყიამეთ ღამეში, თვალწინ უდგას ცხადად, ქვა-ლორდიან ბილიკზე პირქვე როგორ გაიშხლართა, თვალები ქვიშით აევსო, სისხლში დაცურავდა. ეს მოგონება უცნაურადაა გაორებული.

გამოსტაცა ერთ ადამიანს დღეცა და განთიადიც, სამსახურიცა და სახეც, მასვე უნდა გამოსტაცოს ღამეც. უნდა გამოსტაცოს, რადგანაც ღამე კაცთათვის ნაჭაფ-ნატანჯი მთელი დღის შემდეგ განტვირთვისათვის მოსვენებისთვისაა ბოძებული, ძალის მოსაკრებად. ღამეს კი ათასგვარი აუხსნელი თუ გასაგები ფიქრები ახლავს, ერთ-ერთი ამათთავანი ძილი და სიზმარია. სიზმარი, რაც ადამიანის მიერ განვლილი თუ გაუვლელი ცხოვრებით იშობა, ჩნდება მომა-

ვალ დღეზე ოცნებით და იმედების გაცრუებით. ნათელხილვით, წინათვრძნობით, რაც ისე ღრმადა ზის ადამიანის ბუნებაში, რომ თუ არა სიზმარი, სხვა ვერაფერი გეტყვის, გაგაგებინებს, აგისნის ამას. ღამეც და სიზმარიც დღისით გატარებული ცხოვრების გაგრძელება უნდა იყოს, რადგან სხვა ადამიანის სიზმარი ვერ განგიმარტავს, ვერ გაგინათებს მომავალ დღეს, პირიქით, უფრო მოგქანცავს, დაგლღის, სულს მოგიწამლავს და როცა სულიცა და სხეულიც ვაგეთიშება, ვერ გაუძლებ ასეთ მოთენთვას, მოვა, მოგეახლება დიდი, საუკუნო ძილი, რომელსაც ალბათ თავის მხრივ სიზმარი ექნება და ამ საუკუნო ძილშიც შენი მაგიერი სხვა იქნება.

— რატომ არ იძინებ? — შეეკითხა სონა.

რობერტ ნერსესიანს ფიქრის ძაფი გაუწყდა.

— არ გეძინება? — არ მოეშვა. — რა მოხდა? რა გითხრა ექიმმა?

რობერტ ნერსესიანი, თითქოს ეს-ესაა გააღვიძესო, შეიშმუშნა და სონასაკენ გადაბრუნდა.

— ნუ თვალთმაქცობ! — სონა სიბნელეში ჭერს მიშტერებოდა. — ნუ მატყუებ!

რა საყვარელი, კეთილი და ახლობელია მისთვის ეს ქალი.

— შენ რალად არ გძინავს, სონა, გენაცვალე?

ნორიკი... ეგებ იმ გაურკვეველი საქმიანობის ღლაპმა შეიყვარა ასე ძალუმად ეს ქალი, მისი მეუღლე, მისი სონა? იქნებ მის ნაცვლად იმ ღლაპმა მიითვისა მისი ცოლი, გაიყო სონას ლოგინი...

— რა გითხრა ექიმმა? — არ იშლიდა, უნდოდა გამოეტეხა.

რობერტ ნერსესიანი წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, სკამის საზურგეზე გადაკიდებული პიჯაკიდან ასანთი და სიგარეტის კოლოფი ამოიღო, ხელის ფათურით საფერფლეც დაძებნა, მაგიდას მიუჯდა და გააბოლა.

ის მეორე რომ შეიძულოს, მას რომ ღამეც გამოსტაცოს, ახლა სონას დახმარებაა საჭირო.

— სონა, დღემდე შენთვის არ მითქვამს... რატომღაც სიტყვას არ მოჰქონდა, იცი, რომ?... იცი, თავში ვინ ჩამარტყა? სონიკო, თავში იმან, მეორემ ჩამარტყა... ვისი ტვინიც... ანუ მეხსიერება...

სონა ადგა, სკამის საზურგედან პიჯაკი ჩამოხსნა და მეუღლეს წამოაყურა.

— მერე? — იკითხა, — განაგრძე...

რობერტ ნერსესიანმა სიგარეტი საფერფლეში ჩაჭყლიტა, სონას მხრებზე ხელი გადახვია და საწოლისაკენ წაიყვანა.

— სონიკო, ამას იმიტომ გეუბნები, რომ შენი დახმარება მინდა. მინდა ის კაცი მძულდეს. ვიცი, რომ უნდა მძულდეს, მაგრამ არ შემიძლია. გამოვიტყდები, იმას არ უნდა ჩაერთყა. ჩემ წინააღმდეგ მოწყობილ თავდასხმაში ის უნებურად ჩაითრიეს, არ ევალებოდა და არც არაფრად სჭირდებოდა. როცა გამომძიებელი... ანუ, როცა მე დავუძვეერი მკვლელს და იქითყენ, მისკენ წავედი... მანაც დაუფიქრებლად... ფეხქვეშ შემთხვევით შამპანურის ბოთლი ვგდო... ვერც კი მიხვდა, როგორ მოხდა... მთელი ძალით. ზოგჯერ ისიც მგონია, მისთვის სულ ერთი იყო, ბოთლს ვინ ვის ჩაართყამდა, ის — მე, თუ მე — მას...

— ვიცოდი, — თქვა მკაცრი და ცივი ხმით სონამ. — თავში რომ ჩავარ-

ტყა ეგ არა, მაგრამ... ზღვაზე გახსოვს, როცა ფული მოიტანე?.. მაშინვე მივხვდი, ის, მეორე, გზასაცდენილი გარეწარი ყოფილა.

„ეგრე სასტიკად ნუ, ძვირფასო!..“

ის ობოლი, უბედური ბიჭი იყო... ამქვეყნად არავინ ჰყავდა. არც მესამედიანა იყო მისთვის გაჩენილი და არც ის — ამ ქვეყნისათვის. თავს უნდოდა გაშინაურებოდა, რომ პატარა, მაგრამ მაინც კუთვნილი ადგილი მიეღო...“

— რატომ გაჩუმდი, — ჰკითხა სონამ, — რას ფიქრობ?

— მართალი ხარ, სონა, უღირსი კაცი იყო.

— იცი კი, რატომ მოკვდა? — სონას ხმაში სიამაყე დაეტყო. — მოკვდა იმიტომ, რომ მე დავწყევლე.

— დაწყევლე? — რობერტ ნერსესიანს გააყრუოლა. — შენ რა, იცნობდი?..

— როცა საავადმყოფოდან დამირეკეს... როცა სისხლიან დოღბანდებში გახვეული გნახე, არ სუნთქავდი... სწორედ მაშინ დავწყევლე.. დღესაც წყველა-კრულვას ვუგზავნი. წყველას არ დავაკლებ, ყოველთვის, გესმის, მუდამ...

სონას მხარი აუკანკალდა. რობერტ ნერსესიანი მიხვდა, სონა ტიროდა.

— გვიანია, სონა, დაიძინე... მოისვენე...

24

— ნერსესიან, თქვენზე საჩივარია შემოსული, — თქვა და აიმრიზა, ეს იმას ნიშნავდა, რომ უგუნებოდ იყო.

— ვინ მიჩივის?

— საჩივარი, მე მგონი, საფუძვლიანია, — უფროსმა თავი გააქნია, — მართლაც რომ უპრეცედენტო შემთხვევაა: კაცი ერთხელ პატიმრობაში აიყვანო, ცხრა თვე დააკავო, გაათავისუფლო და ერთ მშვენიერ დღეს, ისევ დააპატიმრო...

— არარატ აშოტიჩი, წინა გამოძიება მცდარი გზით წარიმართა, ეხლა ეჭვმიტანილი თავად იძლევა ჩვენებებს...

უფროსმა ხელი ჩაიქნია.

— მაგის იმედი ნუ გექნება. სანამ ფაქტობრივი მასალა და მოწმეები არა გყავს, ეგ მამხილებელი ჩვენებები ჩალადაც არ ღირს, ზღაპარია. ზღაპარი ძილისთვისაა კარგი, სასამართლოზე კი არ გამოდგება; ისე გაგამტყუნებენ, შენი მოწონებული. პირზე დაგადგება და გეტყვის, ჩემი კი არა, შენი ზღაპრებიანო, შენი მოჩმახული, შენით ჭრი და შენით კერავო... იცი კი, რას ნიშნავს ეს, ძვირფასო, ეგ შენი ზღაპრები მე რის ფასად დამიჯდება? მეტყვიან, არარატ აშოტიჩი ეგინიან, პენსიაზე გადადიოთ. შენ კი პასუხისგებაში გადაგცემენ. აიღე და წაიკითხე, იმ შენი ჩვენებების ავტორი რა მკაცრ საჩივრებს წერს. — უფროსმა უჯრა გამოსწია, რუსულ ენაზე გადაბეჭდილი ქალაქი ამოიღო და მაგიდაზე ისე დადო, თითქოს ეს რობერტ ნერსესიანის სისხლის სამართლის პასუხისგებაში გადაცემის ბრძანება ყოფილიყოს. — ხომ ხედავ, მოსკოვშიც უჩივლიათ, — თითებით ცხვირი და შუბლი მოისრისა, — იქიდან კი ჩვენი მინისტრისათვის უკითხავთ ამის თაობაზე. ეს ჯერ შეკითხვაა, მაგრამ, როცა სასამართლოზე ძველი, გატეხილი ვარცლი დაგიბრუნდება, კომისია მოვა და არარატ აშოტიჩი ეგინიანს პასუხს მოსთხოვს.

— არარატ აშოტიჩი, ვაღინაკ ვალიკიანს ბრალი თანამონაწილეობაში ედება. ვალიკიანი მკვლელს ლუსიკ ჰაროიანის გვამის გადამალვაში მისმარებია.

— სად გადამალეს? თქვი, სად? წავიდეთ, ამოვთხაროთ, გვამი ამოვიღოთ. ის ქალი მოკლულია? ეგებ ცოცხალია და არხეინად დასერიტნობს, ჩვენ კი აქ ათასგვარი ფანტაზიებით ვიქცევთ თავს? გვიგონებენ

— მოკლულია...

— ამას შენ ამბობ. ეგ შენი გამონაგონია, ფანტაზია. ვთქვათ, დარწმუნებულიც ხარ, რა გგონია, რესპუბლიკის პროკურატურა ფაქტობრივი ჩვენებების გარეშე დაგიჭერებს, რომ მოქალაქე ა-მ მოკლა მოქალაქე ბ?

— უკანასკნელი დაკითხვისას საკმარისი ფაქტები... და მე რე, არარატ აშოტიჩი, წინასწარ პატიმრობაში აყვანილი ვალიკიანის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ბრილიანტების გაყიდვის ფაქტიც, რაც ნაწილობრივ საბუთებით...

— რობერტ, ძვირფასო, შეილო და შირო, ბრილიანტების გაყიდვის საქმე სხვა რამაა, მკვლელობა კი სხვა. როცა მოქალაქე ა ექვმიტანილია მოქალაქე ბ-ს მკვლელობაში, ბრალმდებლისაგან მოქალაქე ა-ს წინააღმდეგ მხოლოდ მკვლელობის მამხილებელ საბუთებს მოითხოვენ და არა სხვა დანაშაულებების გამოჩხრეკვას... მარგალიტების გადაყიდვა, მოდი, სახელი შევუცვალოთ, ასე დავარქვათ, ამ ახალ საქმეს.

— არარატ აშოტიჩი...

— არ გეთანხმები... რამდენი დრო დაგჭირდება, რომ ან ნივთიერი საბუთები დაძებნო, ანდა ამ საქმეზე უარი თქვა?...

— ერთი კვირა, ან იქნებ...

— თხუთმეტ დღეს გაძლევ, — უფროსმა აიღო მაგიდიდან ქალაღი და უჭრაში შეინახა. — ოლონდ ისევ არ გაგიჟდე და გვამს მარტო არ დაუწყობებნა. მოამზადე მოხსენებითი ბარათი და შიგვე მიუთითე ის სავარაუდოდგილი, სადაც, შენი აზრით, შეიძლება გვამის პოვნა. სამძებრო ჯგუფს გაკავზავნით, ისე, როგორც წესია...

ეს ყველაფერი დილით მოხდა. ცოტა ხნის წინ კი ვილაცამ დაურეკა და უფროსზე მკაცრად მოსთხოვა, დაუყოვნებლად შეეწყვიტა ვაღინაკ ვალიკიანის წინააღმდეგ აღძრული „ბინძური“ საქმე. „ეგ მკვლელობა ფანტაზიაა, ავადმყოფი ტვინის მონაჩმავი. გაფრთხილებთ, სასამართლოზე გამასხარავდებით, რადგან პროცესზე გარდაცვლილი ლუსიკ ჰაროიანი გამოცხადდება... ხვალამდე გადროვებ“, — ამით უცხო ხმამ დაასრულა ლაპარაკი და ტელეფონი გაითიშა.

ესღა მაკლდა, შანტაყი, დაშინება. ლუსიკ ჰაროიანი საღ-საღამათია, მოვა, სასამართლოს დაესწრება... ლუსიკ ჰაროიანის გვამი ნორიკ თარაზიანმა საკუთარი თვალთ ნახა და არა თუ ნახა, არამედ სურენტან და ვალოსთან ერთად გვამი სარის უბნის მიდამოებში გადაიტანეს, იქ, სადაც სურენმა და ვალომ მას...

ნეტავი, მაშინ რას იზამდა, ამ ხმას წინა გამოძიებისას რომ დაერეკა და იგივე ეთქვა, დაიბნეოდა?... ალბათ.

და მაინც, კარგად მოუფიქრებიათ მამაძაღლებს. შიგ ნიშანში მოარტყეს. ფაქტები არ გაგაჩნია, ნივთიერი საბუთი არა გაქვს, საქმეს გუმანით წარმართავ, ჩვენ კი ხელიდან ამ ერთადერთ საბუთს გამოგაცლით და შენც გვამის

ნაცვლად ცოცხალ ლუსიკ ჰაროიანის ძებნას დაიწყებ. ვერ იპოვი, იმედს გა-
დაიწურავ და საქმეზეც ხელს აიღებ.

რობერტ ნერსესიანმა უმაღლესე შეადგინა მოხსენებითი ბარათი და მოითხო-
ვა, მისი ტელეფონი, სამსახურისაც და ბინისაც, „მეთვალყურეობის საქმეზე“ ვა-
ვანათ“. კიდევ დარეკავენ. არაა გამორიცხული, რომ თავად „ლუსიკ ჰაროიანის“
მა“ დარეკოს.

ციხეში ცოტა დაგვიანებით მივიდა... ვალინაკ გალიკიანი ზედამხედველ-
თან ერთად გამომძიებლის ოთახში იჯდა. მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა.

— აბა, როგორა ხართ? — ჰკითხა. — თავს კარგად გრძნობთ?

— რაში გაინტერესებთ? — ვალინაკ გალიკიანმა საბრალობლად შეხედა.

— ისე, მაშინ აღელვებული ჩანდით. დღეს შეგვიძლია მშვიდად ვისაუბ-
როთ?

გალიკიანი არ ჩქარობდა, წერდა, ზოგჯერ, როცა სათქმელისათვის სიტყვა
უნდა მოერგო, ჩერდებოდა, თვალებს ჰუტავდა და დიდხანს ფიქრობდა. ასეთ
დროს რობერტ ნერსესიანი თან წამოღებულ საქალაქს ფურცლავდა, თავი
ისე ეჭირა, თითქოს არც კი აინტერესებდა გალიკიანის საქმიანობა. იცოდა,
ზედმეტი ყურადღება შეზღუდული ვალინაკ გალიკიანს მხოლოდ დააფრ-
თხობდა.

გალიკიანმა წერა დაასრულა, წამოდგა, იქაურობას ნამძინარევი კაცივით
უაზროდ მოავლო თვალი.

— დაბრძანდით, დაბრძანდით, — რობერტ ნერსესიანმა დახურა საქა-
ლადე, ახლოს მიიწია ახლახან დაწერილი ქაღალდები და კითხვას შეუდგა.

„მე, ვალინაკ გალიკიანი, ცოლ-შვილიანი, კმაყოფიან მყავს ოთხი სული:
ცოლი და შვილები, უპარტიო, პასუხისგებაში არ ვყოფილვარ, ეროვნებით
სომეხი, ვიძლევი ჩვენებას მასზე, რომ გასული წლის 21 მარტს, საღამოს, ასე
თერთმეტ-თორმეტ საათზე ჩემმა უშუალო უფროსმა, მალაზია „იაგუნდის“
გამგემ, სურენ ხშტოიანმა დამირეკა და მითხრა, შენი სახლის წინ მდებარე
ავტომატიდან გელაპარაკებო. ვთხოვე, ჩემთან, შინ მოსულიყო. მან კი მით-
ხრა, რალაც მნიშვნელოვანი საქმე უნდა გაცნობო. ჩავიცი და ჩავედი. სუ-
რენ ხშტოიანი უკვე ჩვენს სადარბაზოსთან მიყენებულ „ვოლგა-21“-ში მელ-
დებოდა. მანქანაში სხვა კაციც იჯდა, ნორიკი, იგი ახლახან გარდაიცვალა.

სურენ ხშტოიანი ძალიან ღელავდა. მე ვკითხე, რა მოგივიდა-მეთქი? ნო-
რიკმა მითხრა, ჩვენი მალაზიის თანამშრომელმა, შენი სექციის ერთ-ერთმა გამ-
ყიდველმა, ლუსიკ ჰაროიანმა თავი მოიკლაო.

ლუსიკ ჰაროიანი სურენ ხშტოიანის საყვარელი იყო. ერევანში გორისი-
დან ჩამოსულიყო, დაემთავრებინა სავაჭრო კურსები და ჩვენს მალაზიაში გამ-
ყიდველად მუშაობდა, ცხოვრობდა საერთო საცხოვრებელში. მერე, როცა სუ-
რენ ხშტოიანს დაუკავშირდა, ხშტოიანმა ნორქის მასივში ბინა უჭირავა და
მასთან ინტიმურ კავშირში იმყოფებოდა.

თვითმკვლელობის ამბავი რომ გავიგე, არ გამკვირვებია, რადგანაც ლუსიკ
ჰაროიანმა ერთხელაც სცადა თავი მოეკლა, იოდი დალია, მაგრამ არ მომკვდა-
რა. მისი ამგვარი მოქმედების მიზეზი მიეწერებოდა ფეხმძიმობას. სურენ ხშტო-
იანს ეშინოდა, რომ მათი კავშირი გამოაშკარავდებოდა და ხალხში შერცხვე-
ბოდა, ამიტომ უნდოდა, ლუსიკ ჰაროიანს მუცელი მოეწყვიტა.

მე ვკითხე, როგორ მოკვდა-მეთქი. ნორიკმა მითხრა, თავი ჩამოიხრჩო.

სურენ ხშტოიანმა თქვა, გვიანდება, გვამი დროზე გორისში უნდა წავილოთო, ლუსიკ ჰაროიანის დედ-მამასა და უმცროს დასთანო. ამის შესახებ არავინ უნდა იცოდესო.

ვიფიქრე, რომ არც ჩემთვის იყო კარგი ლუსიკ ჰაროიანის ხეცვდილის გამოაშკარავება, რადგან ჩემი თანამშრომელი იყო და ადრე სურენის თხოვნით მე ვუჭირავე ნორქის მასივში ერთოთახიანი ბინა.

მანქანით წავედი ლუსიკ ჰაროიანის სახლში. სურენ ხშტოიანმა კარი თავისი გასაღებით გააღო. საწოლზე შავი ფერის ფუთა იდო. შიგ ლუსიკ ჰაროიანის გვამი აღმოჩნდა. სურენ ხშტოიანსა და ნორიკს ორად მოეკეცათ და სურენ ხშტოიანის მანქანის გადასაფარებელში გაეხეციათ. ეს გადასაფარებელი შავი ფერის იყო. ამიხსნეს, ასე იმიტომ მოიქცნენ, რომ, როცა წავიღებდით, მეზობლებს ეჭვი არ აეღოთ. მე და ნორიკმა ფუთა ლიფტით ჩავიტანეთ, მანქანის საბარგულში მოვათავსეთ და სურენ ხშტოიანის ჩამოსვლას დაველოდეთ. მერე ნორიკმა თქვა, აჯობებს სადმე აქვე დავმარხოთ, ვითომ და ლუსიკ ჰაროიანი სხვა ქალაქში გადავიდა საცხოვრებლადო.

მე არ დავეთანხმე, მაგრამ ორივემ ერთად დამიყოლიეს: ეს ამბავი თუ შეიტყვეს, შენზეც ეჭვს მიიტანენო, რადგან ლუსიკ ჰაროიანს ბინა შენ უშოვე და ბინის გამჭირავებლები იტყვიან, რომ მათ შენ მოურიგდიო.

სურენ ხშტოიანმა თქვა, ვერავინ ვერაფერს ვერ გაიგებსო. მას მალაზიის ში უკვე ბრძანება გაეფორმებინა, რომ ლუსიკ ჰაროიანი საკუთარი სურვილით თავს ანებებს სამსახურს, ხოლო ბინის გამჭირავებლები რომ ვერაფერს მიმხვდარიყვნენ, იმათთვის მე უნდა მეთქვა, ლუსიკმა ბინა ახლა სხვაგან იჭირავა-მეთქი.

სურენ ხშტოიანმა მანქანა სარის უბნის მიდამოებისაკენ წაიყვანა. მე და სურენმა გვამი ტყის სიღრმეში შევათრიეთ. ნორიკი მანქანასთან დარჩა. მე და სურენ ხშტოიანმა მოშიშვლებულ ადგილას მიწა ამოვთხარეთ და გვამი იქ ჩავმარხეთ. ამის შემდეგ, ეჭვი რომ არ აეღოთ, სურენის წამოღებული ხუთი პაკრიშკა დავადეთ საფლავს ზემოდან, ბენზინი გადავასხით, დავწვიოთ. მერე, იქვე ნაგავი იყო, მივაყარეთ ზედ და იმასაც ცეცხლი მოვუკიდეთ ისე, ვითომ, ნაგავი დაუწვამთ.

მერე დამიჭირეს და მეუბნებოდნენ, ლუსიკ ჰაროიანი შენი მოკლულიაო. რადგან ჰაროიანი მე არ მომიკლავს და მისთვის თითიც არ დამიკარებია, არ შემეძლო დანაშაული მეღიარებინა, გამოძიებას შეცდომაში ხომ არ შევიყვანდი. მაშინ დავმალე, რაც ვიცოდი, ახლა ვაღიარებ.

ჩვენება დაწერილია ჩემს მიერ და გამომძიებელ რობერტ ნერსესიანს ძალა და მუქარა არ უხმარია, რაზეც ხელს ვაწერ: ვაღინაც ვაღიკიანი, ქალაქი ერევანი.

1979 წელი, 11 ოქტომბერი“.

— ყველაფერი ზუსტად დავწერე, — ვაღინაც ვაღიკიანმა მლიქვნელურად გაიღიმა და მაგიდაზე დაგდებული კოლოფიდან ერთი სიგარეტი ამოიღო.

— კმ, — გამომძიებელმა რობერტ ნერსესიანმა თავი დაიქნია და ქალაქები საქალაქოში ფრთხილად ჩაალაგა.

ზუსტად, ზუსტად დაგიწერია... ზოგადად ზუსტია, მაგრამ შენთვის არასასურველი წვრილმანებისათვის გვერდი აგივლია. რატომ არ აღნიშნე რამდენიმე სიტყვით მაინც, რომ ლუსიკ ჰაროიანი სურენს აშინებდა, თუ ხელს არ

მოვაწერთ, ბრილიანტების არაკანონიერი გზით ყიდვა-გაყიდვის შესახებ მილიციას ვაცნობებო? ისიც, რომ, როცა უარი უთხარი გვამის გათვალისწინებით, გითხრა, ბრილიანტების საქმე გაიხსნება და ათ წელს მაინც აგკიდებენო. შენც ამის შიშით არ დასთანხმდი? პირველად ლუსიკ ჰაროიანმა იხმარა ძალი და სურენი მხარში დასჭრა. ამის შემდეგ სურენმა ხელიდან დანა გამოკრწინა და ჯერ ჩაართყა და მოკლა (გვამის შემოწმების შემდეგ საექიმო ექსპერტმა დასწამა აზუსტებდა ჩვენების ამ ნაწილს).

მიუხედავად ამისა, ჩვენება, მართლაც რომ მშვენიერია. ამ ჩვენებით, ჯერ ერთი, უარყოფ იმას, რომ ლუსიკ ჰაროიანი სასამართლო პროცესზე „გამოცხადდება“, რასაც ახლახან შენი ერთ-ერთი მეგობარი ტელეფონით სრული სერიოზულობით მიმტკიცებდა; მეორე, მიგვასწავლე მიახლოებითი ადგილი, სადაც გვამია დამარხული (რამდენჯერ ჩაუვლია მას, რობერტ ნერსესიანს, იმ ადგილთან, მაგრამ ეჭვი არ შეპარვია, არ უფიქრია, რომ გვამი იქ შეიძლება ყოფილიყო დამარხული. ეს ის ადგილია, ყოველდღე ათობით ადამიანის ფეხი რომ ხვდება, ტყის განაპირა მდელს).

რობერტ ნერსესიანმა ღილაკს თითი დააჭირა და ზედამხედველს სთხოვა პატიმარი საკანში მიეცილებინა.

კართან გალიკიანი მოულოდნელად შემობრუნდა.

— ამხანაგო გამომძიებელო, თქვენ შემპირდით, სურენ ხშტოიანის ჩვენებას წაგაკითხებთო...

— სხვა დროს. — რობერტ ნერსესიანი წამოდგა — ხშტოიანის ჩვენება ეხლა აქ არა მაქვს. ორი დღის შემდეგ კვლავ შევხვდებით და მაშინ წაგაკითხებთ.

სპილოსძვლისფერი „გაზ-24“ საათში 100-120 კილომეტრი სიჩქარით მიჰქროდა. წინამავალ მანქანებს მარჯვნიდან უვლიდა გვერდს. ნორიკ თარაზიანს რული ერეოდა. დამძიმებულ ქუთუთოებს ძალას ატანდა, ცდილობდა თვალი არ მოხუჭვოდა. მაგნიტოფონი მთელი ხმით გაჰკიოდა, მუსიკის ხმას, რიტმსა და ტაქტს მისთვის ძილი უნდა გაეფრთხო, გამოეფხიზლებინა მისი მოდუნებული, მოშვეებული, ბინდში გახვეული გონება, სახლამდე კი, სულ რაღაც ათითხუთმეტი კილომეტრი რჩებოდა. ერთ-ერთ მკვეთრ მოსახვევში, უეცრად, წინ მიმავალი ლურჯი „ეიგული“ გამოჩნდა. ნორიკის მიძინებულმა გონებამ გამოიანგარიშა, უღელტეხილის დასაწყისი ჯერ კიდევ შორს უნდა ყოფილიყო, ამასაც აუქცევს გვერდს, მერე კი, ორასი მეტრის იქით, უღელტეხილიც დაიწყება. „რას ჩადიხარ! — ამოსძახა რაღაცამ შიგნიდან და მისი გამოფხიზლება სცადა. — გეძინება, მარჯვნივ მიაყენე მანქანა, ნახევარი საათი წათვლიმე და გზაც მშვიდად განაგრძე! ლურჯ „ეიგულს“ გინდა გაასწრო? გაასწრებ. სატვირთო მანქანას კი ვერაფრით დაეწევი, რადგან ის უკვე უღელტეხილზე გადადის და შენც ხევში გადავარდნა არ აგცდება“.

ნორიკ თარაზიანმა ტუჩზე იკბინა, მთელი ძალით დააწვა სიჩქარეთა კოლოფს; ჩართო გასწრების მანიშნებელი შუქი, ფეხით დააწვა გაზს და მის წინ გაწოლილი გზა წინამავალ მანქანამდე თვალის დახამხამებაში გიკურა სისწრაფით შეამოკლა.

„რას ჩადიხარ, ვადაირიე?! — ამოსძახა იგივე ხმამ. — არ გესმის, ვაგაფ-

რთხილვ, ხევში გადაიჩეხები... ერთხელ ხომ უკვე გადავარდი, ჰკუთა მაინც ვერ ისწავლე“.

„რატომ დავუჯერო, ეს ხომ სიზმარია?“ — ჩაიბურღლუნა ნორიკ თარაზიანს ერთი ხელი საჭეზე ედო, მეორე ყბის ქვეშ მიეჭირებინა ეგებ ტუჩზე კბენის სიმწარემ, ტკივილმა, თვალებიდან რული მომარყევებინა.

„მანქანაში ხომ მაგდენი საქონელი, მაგდენი ბრელიანტი სტაწყია, — შიშისაგან გულის გამგმირავად გაჰკიოდა იგივე ხმა, — რომ არ იცოდე რა მოგელის, კიდევ ხო, იცი, იცი, რომ ყველაფერს დაკარგავ. ბრილიანტები სიგარეტის ცარიელი კოლოფიდან მაინც ამოიღე, რომ ლიანამ არ მოჭმუჭნოს და ნავაგში არ გადაუძახოს“.

„გადააგდოს, — პასუხობდა ნორიკ თარაზიანი. — მოხდეს მოსახდენი! დიდი ცოდვა დავიღე. გამომძიებელს შამპანიურის ცარიელი ბოთლი ჩავარტყი თავში. ღმერთი არ მაპატიებს ამ სისასტიკეს. გამომძიებელს კი არა, ცარიელი შამპანიურის ბოთლი თავში არავის არ უნდა ჩაართყა. ახლა ღმერთიც ამიტომ მსჯის, ხევში გადამჩეხავს, რომ ჩემი ტვინის ერთი ნაწილი გამომძიებელს ჩაუდგან დაზიანებული ტვინის ნაცვლად“.

„მოაშორე ფეხი გაზის პედალს, დაამუხრუჭე! — არ ცხრებოდა შინაგანი ხმა. — მაშინ არ იცოდი, არ გაგაფრთხილე და იმიტომაც გადაიჩეხე, ახლა ხომ გაფრთხილებ. იცი, რაც მოგელის. გააჩერე მანქანა, დაიძინე, დაისვენე, მერე მშვიდად, აუჩქარებლად განაგრძე გზა...“

„ეს სიზმარია, — ამბობდა ნორიკ თარაზიანი. — მოხდეს მოსახდენი, განმეორდეს. და თუ განმეორდა, ტყუილი იქნება... უნდა მოვკვდე, რომ ჩემმა მსხვერპლმა იცოცხლოს, შევეწირო. მე ოხერ-ტიალი ვარ, ბოროტმოქმედი, მოვკვდები და დამტირებელიც არ მეყოლება. გამომძიებელი კი კანონის კაცია, პატიოსანი, ოჯახი ჰყავს, საცაა მეორე შვილიც ეყოლება. გამომძიებელი სიკვდილით ოჯახს დააობლებს... ცოლს გამომძიებელი თავდავიწყებამდე უყვარს... ამიტომ დამწყევლა... წყევლას არ მომაკლებს. უნდა მოვკვდე, რადგან ამქვეყნად არავის ვუყვარვარ... მხოლოდ იმ შავტუხა, ულამაზო გოგონას ვუყვარდი პრიუტში — ნინელის. მეც მებრალებოდა, ვცდილობდი დავხმარებოდი, რადგან, მათ შორის, ვისაც ვიცნობდი, ყველაზე საცოდავი და უბედური მხოლოდ ის იყო, უსუსური, უშნო და ბლუკუნა. ყველა დასცინოდა, სცემდა, იბრიყვებდა, მხოლოდ მე და პატივცემულ გოჭარს გვებრალებოდა. რამდენჯერ მიჩხუბია იმ გოგონას დასაცავად! იმ კუსპარას ძმად მივაჩნდი და ალალი გულით ვუყვარდი. როცა ვახშამზე კამფეტს გვირიგებდნენ, თავის წილ კამფეტს მე მინახავდა, გადამალავდა და მერე მაძლევდა.. ახლა არ ვიცი სადაა. ცოცხალი რომ იყოს, გვერდით რომ მყავდეს, ვუყვარდე, მტრები რომ დამიწყევლოს, სიკვდილი ვერ მომერეოდა...“

ქუთუთოები სულ უფრო და უფრო უმძიმდებოდა. მოულოდნელად გამომძიებლის სახე დაუდგა თვალწინ და მანქანაც გადაბრუნდა, თავქვე გადაეშვა, ღრუბლებში ამოტრიალდა. მერე უფსკრულში მზით გაჩახჩახებულ კლდეს ქვა-ლორღი სცვიოდა, მასაც და მანქანასაც ზევიდან ეყრებოდა.

„ააა!“ — იყვირა შინაგანმა ხმამ.

„ააა!“ — იყვირა ნორიკმა და ბურთივით ახტა.

— რა მოხდა? — სონა საწოლიდან დაფეთებული წამოვარდა, შუქი ანთო...

გამომძიებელი რობერტ ნერსესიანი ლოგინში იჯდა, დაქანცული, სახეზე მიტკლისფერი დასდებოდა, მძიმედ სუნთქავდა. მერე უცბად გულზე მოეშვა და ცრემლი აუკიაფდა.

სონამ შეაჯანჯლარა.

— რა დაგემართა?..

— ცუდი სიზმარი ვნახე, სონა.

კედლის საათის ისრები ოთხის ოც წუთს აჩვენებდნენ.

ცოლ-ქმარი ლოგინში პირალმა იწვა, გვერდიგვერდ, ჩუმად.

— რობერტ, უარი თქვი მაგ საქმეზე, — როგორც იქნა სონამ სიჩუმე დაარღვია.

— რა საქმეზე? — რობერტ ნერსესიანი ფიქრიდან გამოერკვა.

— უარი თქვი იმ გოგონას მკვლელობის საქმეზე.

— სიზმარში რაც ვნახე, მაგასთან არაფერ კავშირშია. ის ბიჭი დამესიზმრა, ნორიკ თარაზიანი, მანქანით... ისევ ხევში გადავარდნის ამბავი... ვითომ-და მე... ანუ იმ ბიჭმა იცოდა, რაც მოელოდა, მაგრამ სიკვდილზე შეგნებულად მიდიოდა და იცი, რატომ? იმიტომ რომ შენგან იყო დაწყევლილი... ყველაფერი ცხადლივ ხდებოდა, გზაც იგივე იყო, მანქანაში მუსიკაც, თვითონაც, მანქანებიც, რომლებსაც უკან იტოვებდა, ხევის ქვა-ლორღიც...

— მაგ გოგონას საქმე სხვას გადააბარე! — გაბრაზდა სონა, — და საერთოდ, სამსახური გამოიცვალე... ასპირანტურაში გინდოდა ჩაგებარებინა, დისერტაცია დაგეცვა... მასწავლებლად გადადი. შენ მასწავლებლად უფრო ვარგინარ, ვიდრე გამომძიებლად. თქვი რამე!..

— ეს საქმე ორ დღეში დაიხურება, — რობერტ ნერსესიანი ადგა და შუქი ჩააქრო. — ყველაფერი რიგზეა, ფაქტებით დამოწმებული.. .მაგ საქმესთან ერთად ბრილიანტების საქმეც გაიხსნა.. .რამდენიმე დღეში დავასრულებ და ეგებ, მართლაც, ვიფიქრო ასპირანტურაზე.

— მე მაინც მეშინია. მეშინია, კიდევ არაფერი დაგემართოს.

— საშიში აქ არაფერია, — რობერტ ნერსესიანმა სონას წელზე მოჰხვია ხელი, თავისკენ მიიზიდა, — ნუ გეშინია, ეგ საქმე ჩემთვის დღესავით ცხადია, წაკითხული წიგნივითაა, — რობერტ ნერსესიანმა ცოლს ლოყაზე აკოცა.

— გამიშვი, — უთხრა სონამ, — მინდა სამეცნიერო სამსახურს მოექიდო... შემპირდი, შემომფიცე, რომ შეასრულებ!

— ვფიცავ, — რობერტ ნერსესიანი ცოლს ჩაეკრა...

26

ლიანა შეწუხებული იყო, სკამის კიდეზე მობუზულიყო და ციებიანივით ცახცახებდა.

— თავისუფლად დაჯექით, ნუ გეშინიათ, — რობერტ ნერსესიანს ნორიკ თარაზიანის სიტყვები აეკვიატა და თავს არ ანებებდა: — „უნდა მოვკვდე, რომ გამომძიებელმა იცოცხლოს... ცოლ-შვილს იგი ძლიერ უყვარს, მე კი ქვეყნად არავის ვუყვარვარ. ნინელი რომ ცოცხალი იყოს და მასაც ვუყვარდე...“

ამ ბოლო დროს ნორიკ თარაზიანის მეხსიერებას და შეგრძნებებს ბინდი ედებოდა, მისეული, რობერტ ნერსესიანისეული კი, სულ უფრო აშკარავდებო-

და, ნათელი ეფინებოდა. წყვილიდან წამოვიდა მის მიერ გატარებული ცხოვრება. წუხანდელმა სიზმარმა კი ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

ეს გოგონა... რატომ კანკალებს ასე? რატომაა, გამომძიება თითქმის დასრულებულია, სადაცაა საქმე დაიხურება და მაინც ფებს ითრევს, არ უნდა ბოლომდე მიიყვანოს, არ უნდა ამ გოგონას იმ ბრალდებებში ერთი კი უნდაც პატარა ადგილი მიუჩინოს?

რატომ? რატომ უნდა მას გვერდი აუქციოს, გაათავისუფლოს, საქმეში არსად გააჭაჭანოს? ქვეცნობიერად მის არსებაში მცხოვრები ნორიკ თარაზიანის სურვილია ასეთი? ეს გოგონა ხომ ნორიკს არ უყვარდა, არც ამის სიყვარულის სჯეროდა, ამ ხნის მანძილზე არც ერთხელ არ დასიზმრებია. არა, აქ ნორიკი არაფერ შუაშია, ეს იმისეული განცდა არაა; ამას თვითონ რობერტ ნერსესიანი განიცდის, ნორიკს უპირისპირდება, მის საწინააღმდეგოს სჩადის, რადგან, რაც არ უნდა იყოს, ეს ქალი ამქვეყნად ნორიკ თარაზიანის ერთადერთი ახლობელი იყო და ამიტომაც ეცოდება.

საკვირველია, გამომძიებელი რობერტ ნერსესიანი მისი ჯალათისათვის ნორიკ თარაზიანისათვის ზრუნავს, ცდილობს დაიხსნას, გაამართლოს ნორიკის ახლობელი ადამიანი, გაამართლოს და დაიხსნას მასზე, გამომძიებელზე თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილე.

ის ბიჭი, ნორიკი, ჯალათი, მკვლელი არ ყოფილა. ერთი გზასაცდენილი, თავზეხელაღებული ყმაწვილი იყო. სიზმარშიაც ხომ ნებით კვდება, რათა რობერტ ნერსესიანმა იცოცხლოს...

მაგრამ ეს მხოლოდ სიზმარში მოხდა, ნორიკი თავს სასიკვდილოდ არ გასწირავდა, პირიქით, გაიხარებდა, მის ნაცვლად გამომძიებელი რომ მომკვდარიყო.

კმარა! საკუთარ თავში ძალა უნდა ჰპოვოს და შეიძულოს ნორიკ თარაზიანი, მისი თავგადასავლები და მისი ნაცნობ-მეგობრები. სძულს ეს გოგონაც, ისე, როგორც ბავშვობაში თანატოლი მეზობლის გოგონა, ნუშიკი, სძულდა...

...ექვსი-შვიდი წლისანი თუ იქნებოდნენ. და იყო ერთი მოხუციც, მათ უბანში თვეში რამდენჯერმე ნავთი რომ მოჰქონდა ურმით. მოხუცი ნავთს ვერ ამბობდა, „ნოთი, ნოთიო“, გაიძახოდა და ზარს აწკარუნებდა.

ისინი მოხუცის გამოჩენას ზარ-ზეიმით ხვდებოდნენ, იყო ერთი ყიყინი, ურემს სირბილით დაედევნებოდნენ და უკნიდან აბტებოდნენ.

ერთხელაც, რომელიღაც ბიჭმა ურემზე შემოდგმულ კასრს ონკანი მოუშვა, ნავთი თქრიალით იღვრებოდა მტკრიან ქუჩაში, მოხუცს კი თავისი ზარისა და „ნოთ-ნოთის“ ძახილში ჩხრიალის ხმა არ ეყურებოდა. მერე ვიღაცა ქალი ნავთის ქურჭლით მიუახლოვდა და მოხუცმა ონკანიდან წამოსული ნავთი შენიშნა.

ლურჯთვალა, მუჭისხელა ბერიკაცი გადაიჩია: „ვახ, მე თქვენი დედა!“ წამოიჭრა და სწორედ იმ ბიჭს ჩააფრინდა, ვინც ონკანი მოუშვა.

„არა, ბიძია, არა, ეგ არ იყო“, — მივარდა ნუშიკი, ქროლათვალებიანი გოგონა, წვრილ ნაწნავებზე ბაფთა ეკეთა.

„აბა, ვინ?“ — ჰკითხა მოხუცმა და იმ ბიჭს ხელი გაუშვა.

„აი, ის“, — ნუშიკმა თითი გაიშვირა.

ეს „ის“ ექვსი წლის რობერტ ნერსესიანი იყო; მოულოდნელობისაგან

დაიბნა. სანამ გამოერკვეოდა, მოხუცმა მათრახი გადაუჭირა და ზურგი აუწვა.

მეზობლის ქალები გამოენტენენ. დედაც იქ გაჩნდა. ის კი მტვრიან ქუჩაში ეგდო და ცხარე ცრემლით ტიროდა. ფიზიკური ტკივილი არაფერი იყო, უფრო მეტად ისა სტკიოდა და სწყინდა, რომ სულ რაღაც ორი საათის წინ ეს გოგო ძალიან მოსწონდა, ისე, როგორც ბავშვს მოსწონს ლამაზი სათამაშოები. ეგონა, ამ გოგონასაც მასთან ყოფნა და თამაში სიამოვნებდა.

სწორედ მაშინ ქუჩის მტვერში გაწოლილმა რობერტ ნერსესიანმა ქირის დღესავით შეიძულა ის გოგო. ახლაც სძულს...

იმ გოგონას სიძულვილი სწორიც იყო და გასაგებიც. გაუგებარი სხვა რამაა: რატომ არ შეუძლია სძულდეს მის წინ მჭდომი, შიშისაგან გაოგნებული ქალი, მან ხომ გამათრახების ნაცვლად, მისი დანით დაჭრა და მოკვლა მოიწადინა?

— მოქალაქე ლიანა მინასიანო, ამა წლის 7 მაისს, საღამოს, რას აკეთებდით დაახლოებით ასე ხუთ-ექვს საათზე?

ამ გოგონას საქმესაც წერტილი უნდა დაესვას. და საერთოდ, უკვე დიდი ხანია დადგა დრო, ეს საქმე ერთხელ და სამუდამოდ დაიხუროს, ბოლო მოეღოს კუკუმაღულობას.

— არ მახსოვს, — ლიანა წამოდგა, — მაისში მაღაზიაში ვმუშაობდი, სამსახური კი რვაზე მიმთავრდებოდა...

— ეს ის დღეა, როცა თქვენ, სურენ ხშტოიანმა და ნორიკ თარაზიანმა, ამ უკანასკნელის მანქანით, სარის ტყეში „გაისეირნეთ“... არ გახსოვთ? შემიძლია დავაზუსტო; როცა ჩემი მოკვლა მოიწადინეთ... გახსოვთ, მაშინ სიგარეტი მთხოვეთ? ინებეთ, აიღეთ, მოწიეთ... — გამომძიებელმა სიგარეტის კოლოფი გაუწოდა.

ლიანა მინასიანს თავბრუ დაესხა. ხელებით მაგიდის კიდეს მოეჭიდა, ნერწყვი უნდოდა გადაეყლაპა და ვერ მოახერხა.

გამომძიებელმა წყალი დაუსხა, მერე ქალაღებები და კალამი წინ, მაგიდაზე დაუწყო და სთხოვა, იმ დღის ამბავი აღეწერა.

ლიანასთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო ეს შეკითხვა, პირიქით, დაკითხვის პირველი დღიდან ყოველ წუთს ამ კითხვის დასმას მოელოდა... შიში თოვლში დაგორებულ გუნდასავით იზრდებოდა, ისე ძალიან, რომ ეგონა, მეტის ატანას ვეღარ შეძლებდა, საცაა ნერვები დააწყდებოდა და შემზარავად იკივლებდა.

ცრემლები ჩუმად, ლაპალუპით დასდიოდა. სწრაფად, არეულად წერდა, წერდა ყველაფერს, რაც კი იცოდა მკვლელობის შესახებ. თითქოს დიდი ხნის დაგროვილ ცოდვათაგან სულის განწმენდა მოეწადინებინა.

გამომძიებელმა წაიკითხა ჩვენება, თავი დააქნია, თავისუფალი ხარ, შეგიძლია შინ დაბრუნდეთ...

როგორ თუ შინ, განა ახლავე არ შეიპყრობენ?

— წადით! — უთხრა რობერტ ნერსესიანმა, — როცა დაგვჭირდებით, გამოგიძახებთ...

უფროსი ადგილზე არ დახვდა, მდივანმა, საქალაქო სასამართლოშია წასულიო. ვაღინაკ ვალიკიანისა და ლიანა ლუსიკიანის ჩვენებებით სამუშაო

ოთახში ბრუნდებოდა, რომ უცხად გამომძიებელ რობერტ ნერსესიანს ვაახსენდა, მთელი დღის მანძილზე ყელში ლუკმა არ გადასვლიდა.

სამს ხუთი წუთი აკლდა. სამუშაო დღის დამთავრებამდე ორი საათი რჩებოდა, უკვე აღარ ღირდა სასაუბროდ გასვლა, მით უმეტეს, რომ ახლომანლო წესიერი სასადილო არც იყო.

აჯობებს, მოხსენებითი ბარათი შეადგინოს სურენ ხშტოიანისა და ლიანა მინასიანის დასაპატიმრებლად და აგრეთვე ლუსიკ ჰაროიანის გვამის დასაძებნადაც. მერე, სამუშაო დღის დამთავრებამდე, უფროსიც დაბრუნდება და მაშინვე წარუდგენს დაკითხვის შედეგებს.

რობერტ ნერსესიანს ის იყო ხშტოიანის დაპატიმრებაზე მოხსენებითი ბარათი უნდა დაესრულებინა, რომ ტელეფონი აწკრიალდა.

გუშინ რომ დარეკა იმის ხმა იყო.

— გამარჯობათ! ჩემი ნათქვამიდან რა დასკვნები გამოიტანეთ?

— რა გაინტერესებთ?

— ლუსიკ ჰაროიანი ახლა ერევანშია... — უთხრა და დიდხანს დუმდა. რობერტ ნერსესიანმა ჯერ იფიქრა, ყურმილს დაკვიდებო, მერე ვაახსენდა, სატელეფონო საუბარი იწერებოდა და ეს სასამართლოზე გამოადგებოდა.

— მერე? — ჰკითხა. — ეს ჯერ კიდევ გუშინ ბრძანეთ, დღეს რას დაამატებდით?

— თქვენ თქვენთვის იყავით მშვიდად და ჩვენც მშვიდი ცხოვრება დავანებეთ, მით უფრო, რომ მაგაში ცამეტი ათასი უკვე გადაგიხადეთ...

— რა გინდათ ამით თქვით?

— გვინდა საქმე სასამართლომდე დაიხუროს, არ გაწყენინებთ, კმაყოფილი დაგვრჩებით...

— რამდენს ვარაუდობთ?

— თხუთმეტს.

— ცოტაა, — მრავლისმეტყველად ახლა რობერტ ნერსესიანი დუმდა. მერე ისე, თითქოს თქმა უჭირსო, უთხრა: — ორმოცდაათი ათასი მანეთი. ყურმილში მხოლოდ ქშენა ისმოდა.

— ქალაქის ფულად არა, — დასძინა რობერტ ნერსესიანმა, — ვასილ ჩორჩის ბრილიანტებით... ჰა, რა ენა ჩაგივარდა, დღეს მოიტან თუ ხვალ?

— წადი, შენი დედა!.. — შეაგინა და ყურმილი დაკიდა.

ორი წუთიც არ გასულა, ტელეფონის ხარი განმეორდა.

— რა გადაწყვიტე, ბრილიანტების მოტანა, თუ ისევ უნდა შემაგინო? უზრდელო, ვირიშვილო!..

— უკაცრავად... გამომძიებელ ნერსესიანს სთხოვეთ. — სიდედრს აღელვებისაგან ხმა უკანკალებდა.

— ჟანა აშოტოვნა, თქვით, რა გნებავთ, მე ვარ.

— რობერტი?... რობერტ, სონა სასწრაფო დახმარებით... საავადმყოფოდან გირეკავ, სამშობიარო... მუცელი ასტკივდა... ჩემი საბრალო გოგო... — სიდედრი ტიროდა.

— სად წაიყვანეს? ცენტრალურ სამშობიაროში? რა გატირებთ? რა? დააშინეს... ვინ დააშინა? — რობერტ ნერსესიანს დაბურძღლა — როდის?... დილით, ტელეფონით?... შიშისაგან დროზე ადრე დაეწყო?... — მხოლოდ ახლა ვაახსენდა, სონას მოლოგინებამდე ორი თვე რჩებოდა. — ადრე რატომ

არ დამირეკეთ? არა, არსად არ გავსულვარ, ფეხი არ მომიცვლია... სონამ დამირეკა? ალბათ უფროსთან ვიყავი... სახლში მიგაქვთ ტანსაცმელი?... ზო... კარგი... საავადმყოფოში მივდივარ, ახლავე.

ყურმილი დაკიდა, წამოდგა და გაშტერებული იყურებოდა. იქნებ დაჯდეს/ და დაამთავროს, ამის შემდეგ კი... ერქვეულნი

დაჯდა, კალამი აიღო, ორი სიტყვაც არ დაეწერა, რომ, თითქმის ~~შეძინებულ~~ ხელი ჰკრესო, გამოფხიზლდა, გამოერკვა, მიხვდა გადახდენილი ამბის სიმძიმეს, ასე არ შეიძლება, აქ მშვიდად ზის, მოხსენებით ბარათს ადგენს, იქ კი სონას სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, იქნებ სონა უკვე...

კარი მოიხურა. სწრაფად გადაკეტა და კიბეზე დაეშვა.

საავადმყოფოს ალუმინის ფურცელგადაკრულ კარებზე ქალაღი იყო მიწებებული: „შესასვლელი ეზოდან“.

შენობას შემოუარა და შეწუხებული შედგა. როგორ შევა, როცა ჭიშკარი დაგმანულია? რკინის გისოსებიდან შეიჭვრიტა. ვრცელ ეზოში კანტიკუნტად ფოთოლგაცვენილი ხეები იდგა. ახორხლილი ყუთებისაგან ოდნავ მარჯვნივ ცარიელი აუზი იყო, აუზის შუაში ქვის პატარა კვარცხლბეკზე თაბაშირში ჩამოსხმული. პირდაბჩენილი თევზი წამომართულიყო, მოტეხილ კუდთან დაბრეცილი ძავთული გამოშვეროდა. ჭიშკრის იქითა მხარეს, მარჯვნივ, შეთეთრებული ჯიხური იდგა.

შიგ დარაჯი იქნებო, — გაიფიქრა და ჭიშკარს რახუნი აუტეხა. ხმაურზე წყლის ცარიელი აუზიდან ძალი ამოხტა და ფეხებგაჩაჩხული აყეფდა. რახუნს უმატა, თან კისერი წაიგრძელა და ჯიხურს დაუწყო ყურება. ჯიხურის კარს გარედან ბოქლომი ეკიდა.

რობერტი ცენტრალური შესასვლელისაკენ გაბრუნდა. მირბოდა. მივიდა და ბინის გასაღებით დააკაკუნა. ფართო კიბეებზე თეთრხალათიანმა ჩამოირბინა, წამით შეხედა და ისე, კაკუნისათვის ყურადღება რომ არ მიუქცევია, მარჯვნივ გაუხვია. მოკლე ხანში მეორე თეთრხალათიანიც გამოჩნდა, ისიც კიბეებით ჩამოვიდა, პირველთან შედარებით უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა.

— მეგობარო, თუ შეიძლება, ცოტა ხნით... — რობერტი ახლა მუშტებს ურტყამდა, — გთხოვთ, კარები გააღებინეთ!

— ეზოდან, — თეთრხალათიანმა კითხულივით ხელი წინ გაიშვირა და თვალს მოეფარა.

— ერთი წუთით, ერთი წუთით, — გასძახა რობერტ ნერსესიანმა. თეთრხალათიანი მობრუნდა.

— ჭიშკარი დაკეტილია, — კარებს მიღმა ხმა რომ გაეგოთ, რობერტმა ხმამალა დაიძახა: — თუ შეიძლება, დარაჯს დაუძახეთ.

— მეორე მხრიდან, — შენობაში მყოფმა მარცხენა მხარეს მიუთითა და წავიდა.

რობერტ ნერსესიანი ახლა იმ მხარეს გაიჭრა, საითკენაც ცოტა ხნის წინ ხელით ანიშნეს. მართალი გამოდგა: იმ მხარეს კიბეები ჩადიოდა, ქვემოთ პატარა კარი იყო, ღია დახვდა.

იქ არავინ იყო. დერეფანს მარჯვნივ, მთელ სიგრძეზე, მაღალი ფანჯრები მიუყვებოდა, ფანჯრებს გარედან მტვერი მოყროდა, კედლის გასწვრივ, გრძელი ფიცრის სკამი იდგა. ორგან ტელეფონის ავტომატი ეკიდა. ბოლოში,

ფანჯრების მოპირდაპირედ, სამი ხის კარი ჩამწკრივებულიყო, იმის იქით, ფართო დერეფანი მოჩანდა, დერეფნის ბოლოს — ისევ კარი. კარი ჩაკეტილი დახვდა. რობერტმა დერეფნისკენ გაიხედა, იქიდან კერძების უსამოვნო სუნი მოდიოდა, ეტყობა, იქ სამზარეულო უნდა ყოფილიყო.

რობერტი ისევ კარს მიუახლოვდა და ბრაზბრუნად ამტკუნა.

გარედან ორი ქალი შემოვიდა, ხელში პარკები უჭირავთ; მათგან ასაკით უფროსი, რომელიც ისე ქშინავდა, თითქოს ჩამოსვლის მაგიერ სხვენში ტვირთს ეზიდებო, რობერტს მიუახლოვდა და ჰკითხა:

— ძამიკო, „პერედაჩი“ ვის უნდა ავატანინო?

— არავინ არ არის, — რობერტმა ბრაზუნს უმატა.

კარს მიღმა ფეხის ხმა გაისმა.

— კარებს რატომ ამტვრევ, გაგიყდი?

— გამიღეთ...

გასაღები გაჩხაკუნდა, კარი ოდნავ შეაღეს; ღრიჭოში უკმაყოფილო კაცის სახე გამოჩნდა.

— რა მოგივიდა?..

— ჩემი მეუღლე... — ნერსესიანს აღელვებისა და დაღლილობისაგან თავი უტრიალებდა. — ჩემი მეუღლე თქვენთან დააწვინეს...

კარი უმაღვე დაიხურა, ვიდრე იმას მოიფიქრებდა, ხელი ეკრა და შეელო, გასაღები გადატრიალდა.

ბრაზისაგან ცახცახებდა.

— გამიღეთ კარი! — ყვიროდა. — ახლავე, გამიღეთ!

— რას ღრიალებ! — მშვიდად გამოსძახა ხრინწიანმა ხმამ. — „პერედაჩის“ ღრო არ არის.

კარს ძლიერად ანჯღრევდა, თავს იკავებდა, რომ წიხლები არ დაეშინა.

— გაეთრიე, წადი! — გამოსძახა იგივე ხმამ. — წადი, სანამ მილიციისათვის არ დამიძახია.

— გამიღე, ვირო! — ახლა უკვე მუშტებით უბრაგუნებდა.

გასაღები ისევ გაჩხაკუნდა, ამჯერად საშუალო ტანის ქალი გამოჩნდა.

— რა გნებავთ?

რობერტ ნერსესიანმა იმარჯვა, გამოღებულ კარში ფეხი შედგა, სული მოიბრუნა და უპასუხა, რომ მთავარი ექიმის ნახვა უნდა.

— მთავარი ექიმი შვიდი საათის შემდეგ იქნება, — თქვა ქალმა. — რა გნებავთ?

— ჩემი მეუღლე ორი საათის წინათ... ნაადრევი მშობიარობა...

— რა გვარია?

— ნერსესიანი... სონა ნერსესიანი.

— მოითმინეთ, — ქალმა კარი ღია დატოვა და შეტრიალდა. დიდი ღრო არ გასულა, მობრუნდა და ახარა: — ნურაფრის გედარდებათ, სონას ქალი-შვილი შეეძინა. თქვენ მეუღლეს სისხლს უსხამენ, ბავშვი ინკუბატორში მოუთავსებიათ, იმედია, რომ გადარჩება. შვილის შემდეგ შეგიძლიათ თქვენ მეუღლეს ვიდეოტელეფონით ელაპარაკოთ, — რობერტმა მოსაუბრის ხელს თვალი გააყოლა და მხოლოდ ახლა შენიშნა ტელეფონებთან მოთავსებული ციციქნა ეკრანები.

ექვსის თხუთმეტი წუთი იყო შინ არავინ იქნება (სიღედრი ახლა ჰარუ-

თიკის საბავშვო ბაღიდან გამოსაყვანად წავიდოდა). აჯობებს, ისევ სამსახურში დაბრუნდეს და ლუსია ჰაროიანის გვამის დასაძებნად დაწყებული მოხსენებითი ბარათი დაასრულოს. ამის შემდეგ შინ მისვლას და ლუკმის ~~გაღვივებას~~ მოასწრებს.

უფროსი არ დაბრუნებულიყო.

რობერტ ნერსესიანმა კავშირგაბმულობის სამინისტროში ^{დარეკა. აცნობეს,} რომ მთელი დღის მანძილზე მასთან, სახლში, სამჯერ დაურეკავთ, სამსახურში კი ერთხელ.

— შინ ვინ დარეკა?

— შინ პირველად 68-70-70 ნომრიდან დაურეკეს თერთმეტის ოცდაცამეტ წუთზე; მეორედ ზარი № 72 ავტომატიდან იყო ორის ოთხ წუთზე, და ბოლოს, № 79 ავტომატიდან — სამის ოც წუთზე. საუბრის ჩანაწერს მოგასმენინებთო.

პირველი ჩანაწერი: სონას სასწავლო ნაწილის გამგე ურეკავდა. ჰკითხა, დეკრეტული შვებულების შემდეგ სამსახურში დაბრუნდები თუ სხვა ავიყვანოთო.

მეორე: მისთვის უკვე ნაცნობი მამაკაცის ხმა:

„გიყვართ ხო, ქმარი?“

„ვინ მელაპარაკება?“ — სონას ხმა უთრთოდა.

„თქვენმა ქმარმა უდანაშაულო კაცი დააპატიმრა — ვალინაკ გალიკიანი. ეს კაცი ხვალვე უნდა გაათავისუფლოს. სცადეთ დაიყოლიოთ. ჩვენც ვეცდებით. და თუ ხვალ გარეთ არ იქნება, მეუღლის გვამი იმ ადგილებში მოძებნეთ, სადაც გამომძიებელი ლუსიკ ჰაროიანის გვამს დაეძებდა...“

სონამ იკივლა და ტელეფონში „ტუ-ტუ-ტუ“ გაისმა.

მესამე: სიდედრს დაერეკა, ფორთოხლის რიგში ვდგავარ, დამაგვიანდება და ნუ იდარდებაო.

სონას შეშინებულმა ხმამ უბასუხა: „დე, ახლავე მოდი ცუდადა ვარ, ძალიან ცუდად. ტაქსში ჩაჯექი და მოდი!“

რობერტ ნერსესიანს კუჭი აეწვა, თავი უტრიალებდა.

„ნაძირალებო, გარეწრებო, ხვალ ყველა ხელში ამიფართხალდებით!..“

მღივანმა კარებში თავი შემოჰყო, შემოიხედა და მოახსენა, უფროსი დაბრუნდაო.

— ახლავე მოვდივარ.

რობერტ ნერსესიანმა მოხსენებით ბარათებს ხელი წამოავლო და უფროსის კაბინეტში შევიდა.

უფროსი ტელეფონზე ლაპარაკობდა, თავი დაუქნია, ანიშნა — დაჯექითო.

ისიც დაჯდა და ქაღალდები უფროსს წინ, მაგიდაზე დაუწყო.

უფროსი თავისუფალი ხელით სათვალეს გადასწვდა, გაიკეთა და ქაღალდებს დაუწყო თვალთვლება. ეტყობა, წაკითხული სულ უფრო და უფრო იზიდავდა. „ღიახ, ღიახ“, — იმეორებდა ტელეფონში. ჩანდა, მოსაუბრეს უკვე აღარც უსმენდა. ერთხელ ყურმილი ცოტა ხნით ყურთანაც მოიცილა, მერე ისევ მიიღო, და საღამოს ჩემთან შინ მოდი და მოვილაპარაკოთო, ყურმილი ჩამოჰკიდა.

— А что же?.. — კითხვა რომ დაასრულა, თქვა უფროსმა და სამივე მოხსენებით ბარათზე ხელი მოაწერა. მერე ზარის ღილაკს თითო დააჭირა.

— ეს ქაღალდები გაატარე და სისხლის სამართლის განყოფილებაში მიიტანე, — უთხრა ოთახში შემოსულ მდივანს.

— და მაინც, რატომღაც, უგუნებოდ ხარ? — ჰკითხა უფროსმა, — ისეთი საქმე გახსენი, სიხარულით ცას უნდა სწვდებოდე.

— ცოლი საავადმყოფოში დააწვინეს, არარატ აშოტიჩ... ვიღაც გარეწარმა ტელეფონით დააშინა... ნადრევი მშობიარობაა.

— რომელ საავადმყოფოშია? — იკითხა უფროსმა. — მითხარი, მთავარ ექიმს დავურეკავ, კარგად მიხედავენ.

— არა უშავს, — მიუგო რობერტმა, — მთავარი ექიმი წასულია, შვილის შემდეგ იქნება.

— ეჰ, ეჰ, — უფროსმა მაგიდაზე თითები აარაკუნა. — გადაწყვეტილი მქონდა სადმე წავსულიყავით და ერთად აღგვენიშნა... არაფერია, ამალამ ამ ნაყარ-ნუყარს, ნაძირალებს თავს მოვუყრიოთ, ხვალ საავადმყოფოში მივალთ, შენს მეუღლეს მოვინახულებთ და მერე იქიდან სადმე გავუხვევთ, ვიქეიფებთ... აბა, გასწი, არ დაგაგვიანდეს!

რობერტი წამით სამუშაო ოთახში შეყოვნდა, თავი ხელებში ჩარგო. შიმშილისაგან თავი სტკიოდა. მაინც სძლია თავს, შიმშილსაც, და საქმე ბოლომდე მიიყვანა...

ექვსს ცამეტი წუთი აკლდა. სიღედრი შინ იქნებოდა. დაურეკა.

შეირბენს, წაიხემსებს და შვიდისთვის საავადმყოფოში გაჩნდება.

— შენ ხარ, რობერტ? — სიღედრი გახარებული იყო. — სონა კარგადაა... გოგო შეეძინა... ახლა დავბრუნდი, ჰარუთიკი საბავშვო ბაღიდან მოვიყვანე... ხუთი მანეთი მივეცი სამახარობლოდ.

ქალიშვილი შეეძინა. გოგო შეეძინათ. იმ თეთრხალათიანმა ქალმა უთხრა, ბავშვი გადარჩებაო, უთხრა და მას კი დაავიწყდა.. უფროსს რომ ელაპარაკებოდა, არ გახსენებია, არ უთქვამს, რომ ქალიშვილი ეყოლათ... ქვეყნად კიდევ ერთი ადამიანი გაჩნდა, მისი ჰარუთიკის და...

— რობერტ, პირდაპირ სახლში მოხვალ თუ საავადმყოფოში?

— საავადმყოფოში.

გარეთ საამური ამინდი იდგა. მივა ექიმთან, წარუდგება, სონას ამბავს იკითხავს და მერე ნახვის ნებართვასაც სთხოვს. ტელეფონით, თუნდაც ვიდეოტელეფონით, არ დაელაპარაკება. მის გვერდით იქნება. მის ხელს ხელში მოიმწყვდევს და ეტყვის, რომ ბოროტმოქმედებს დღესვე დაიჭერენ, ამით სონას შიშს გაუქარწყლებს, გულიდან დარდს ამოუგდებს.

შვიდის სამი წუთია.

სავადმყოფოში წასვლამდე სადმე, ყავახანაში შესვლასა და მსუბუქად დანაყრებასაც მოასწრებს.

ქუჩის აქეთა მხარეს ყავახანაა. მაშ რატომ არ შედის? რატომ ჩაუარა? საითკენ მიემართება? ეს მანქანა რატომ გააჩერა? იქ რა უნდა? მძლოლს ფული მიაწოდა, მანქანიდან გადმოვიდა; უხილავ ძალას სადღაც მიჰყავდა.

აი, ტყვეც აქედან იწყება. ფეხები არ ემორჩილება, სად მიდის? აქ რა უნდა, თანაც ასე უდროოდ დროს?

კარგა ხანია აქ არ ყოფილა. იგივე ბილიკს მისდევს, მაშინ გაზაფხული იდგა, ხეები ხასხასა მწვანე ფოთლებით შემოსილიყვნენ, ახლა კი ნამდვილი შემოდგომაა, შუაგული, ყვითელი ფერი დასდებია მიდამოს, ალაგ — ხამბახისფერი, მეწამური, ალაგ — წითელი...

„სანამ ნივთ-მტკიცება, საბუთები არა გაქვს, თავს ნუ იტყუებ, ნაღვს ნუ აჰყვები, სასამართლოზე გამტყუნდები...“

ნივთიერი საბუთი ისეთი რამაა, ვერსად გაექცევი. ახლა ეს საბუთებიც გააჩნია, ნამდვილად გააჩნია. მაშინ ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი რაც კი მოხდა, საკუთარი თვალით ენახა. იქნებ შეცდა, იქნებ ეს მხოლოდ ფანტაზიაა, საკუთარი გამონაგონი.

საბუთები რომ არ ეყოს? ხელი თუ მოეცარა? მკვლევლებიც თუ დაუსხლტნენ?

გამომძიებელი რობერტ ნერსესიანი აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა.

ამ მაღლობს იქით მდებლო უნდა იყოს, ქვას ფეხი წამოჰკრა და კისერწაგრძელებულმა თავი ძლივს შეიმაგრა. მიმოიხედა, ეს ის ადგილი უნდა ყოფილიყო, სადაც თავში ბოთლი ჩაართყეს. სიზმარში ნორიკ თარაზიანი ამბობდა: „უნდა მოვკვდე, რომ გამომძიებელმა იცოცხლოს, რადგან ცოლს...“

სიცივემ დაუარა ტანში.

ერთი ნაბიჯიც, კიდევ რამდენიმე... ესეც მდებლო. შეჰყურებდა და თვალთ დაბნელებოდა, ვერაფერს ხედავდა. არეული სურათი, როგორც იქნა, დაიწმინდა, გასწორდა, მდებლოს შუა საბურავები შენიშნა, დათვალა, ზუსტად ხუთი იყო.

იგრძნო, ძალა გამოსცლოდა. ნორი არყის ხეს მოეხვია, თავი მიაყრდნო და თვალები მოხუჭა. ნელ-ნელა გული საგულეში ჩაუდგა. შუბლით გრძნობდა არყის ხის ცახცახი მის სხეულში როგორ გადმოდიოდა და ისიც თრთოდა.

„მორჩა, — გუნებაში თქვა, — გათავდა საქმე ნომერი 219“.

ჩიბიდან სიგარეტი ამოიღო. როგორც იქნა, გაიმარჯვა. ამხილა დანაშაულისა და დამნაშავეებიც.

შვიდს ოცდაექვსი წუთილა აკლდა.

რა აკავებს? ორიოდ ნაბიჯიც და... საბურავებისაკენ ფეხი ვერ გადაუდგია, უჭირს. ეშინია? არა, არ ეშინია!.. უბრალოდ გვიანაა... შვიდ საათზე საავადმყოფოში უნდა იყოს.

მობრუნდა და ქვევით დაეშვა.

ნორიკ თარაზიანმა არ იცის, რომ მას, რობერტს, დღეს ქალიშვილი შეეძინა, თორემ იტყოდა: „...მის გოგონასაც, ახალშობილს, მამა ძალიან უყვარს“.

რობერტ ნერსესიანმა კვლავ მოჰკრა ყური შრიალის ხმას და ახლა უკვე აშკარად იგრძნო კეფასთან ვილაცის სუნთქვა. მობრუნებაც ვერ მოასწრო. ღვთის რისხვად, ცის სასჯელად თავში რაღაც მოხვდა, თვალები გადმოკარკლა, თვალწინ რგოლები აუკიაფდნენ, მაღლა-მაღლა აცურდნენ და მზეს შემოერთყნენ გარშემო.

გამომძიებელი რობერტ ნერსესიანი წაბარბაცდა. ხეებიც წაბარბაცდნენ, აბარბაცდა მის ფეხქვეშ გაწოლილი ბილიკიც. რობერტ ნერსესიანი თავწალუნული წავიდა, გასხლტა და ქვა-ლორღიან ბილიკზე ისე დაეშვა, როგორც მა-

შინ, ყველაფერი ძველებურად დატრიალდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა, შარვლის ტოტების ნაცვლად, ცხადზე უცხადესად სულ სხვა რამ წარმოუდგა. ნახა გამომძიებელი, თავში რომ ჩაართყეს, რანაირად დაბორიალდა, ძძიმედ, ოხვრით პირქვე გაიშლართა. მტვრის ბუქსა მისი სხივებში მზეს შარავანდელი დაადგა. „თავი დაანებე მაგ საქმეს, თავი დაანებე! — ეუბნებოდა სონა, — შეშინია, ისევ არაფერი შეგემთხვას“.

„ყველაფერი უნდა განმეორდეს, — ამბობდა ნორიკ თარაზიანი, — თუ ყველაფერი არ განმეორდა, მაშ ტყუილია...“

„მე შენ ჩემებრ ჭროლა, მოგრძოთვალეზიანი ლამაზი გოგონა გაჩუქე. ის ვერასდროს ველარ გნახავს, შენც ვერასდროს ნახავ...“ — ამბობდა სონა.

„დაგამარცხე, — ფიქრობდა რობერტ ნერსესიანი, — მაინც დაგამარცხე, დაგჯაბნე. მოხსენებითი ბარათები უკვე მზადაა... ამაღამ ყველა გაიძვერა...“

ეს მისი ბოლო თქმაცა და გაფიქრებაც იყო, რამაც რობერტ ნერსესიანის ჩანაველულ მეხსიერებაში უკანასკნელად დაიკვესა. წამიც და მის წინ გადათეთრებული ყვავილოვანი მღელო იყო, ირგვლივ ჩიტუნები დაფრინავდნენ, ჩუხჩუხით წყარო მორბოდა, ყვავილებს შორის მოედინებოდა. უძირო ლურჯი ციდან მზე გადმოკიდებულიყო, ძირს დაშვებულიყო, ჰკოცნიდა და თან ეუბნებოდა: „გადაილაღე, ძალიან, ძალიან გადაილაღე, მოდი, დაისვენე, ჩემს მწველ მკლავებზე მოისვენე!“

რობერტ ნერსესიანი ჩაეკრა მზეს, ჩაუწვა ლოგინში და ყველგან, ყოველგან მზე ჩახჩახებდა, ანათებდა, ნათობდა, მზე იდგა, მზე...



ქველბერძნულიდან თარგმნა ნანა ტონიამ

ქველი ბერძნული ლირიკის იმ წარმომადგენელთა შორის, რომელთა სახელებიც ამშვენებენ მსოფლიო პოეზიის ისტორიას, მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ პოეტ ქალებს. მართალია, მათი შემოქმედების ნიმუშებმა ერთობ ფრაგმენტულად მოაღწიეს ჩვენამდე, მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ, რომ მეტ-ნაკლებად მსგავსი ბედი ეწვია ქველი ბერძნული ლირიკის თითქმის ყველა წარმომადგენელს.

ჯერ კიდევ ძვ. წ. ა. III საუკუნის II ნახევრისათვის შექმნილ ე. წ. ბერძენ პოეტთა კანონში პოეზიის სხვა ჟანრების წარმომადგენელთა შორის დასახელებულია ცხრა საუკეთესო ლირიკოსი. მასში პოეტ ქალთაგან მოხსენიებულია ერთადერთი — საფო, რომელსაც პანდარესა და ბაკილიდეს შემდეგ ამ ჟანრის საუკეთესო შემოქმედად თვლიდნენ. წინაქრისტიანულ ხანაშივე შეადგინეს, როგორც ჩანს, ცხრა საუკეთესო პოეტი ქალის ნუსხა. ამ ნუსხის მიხედვით ანტიპატროს თესალონიკელს (ძვ. წ. ა. I—ახ. წ. ა. I ს. ს. მაკედონელი პოეტი) შეუდგენია ეპიგრამა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. ამ ეპიგრამაში მოხსენიებულია ცხრა პოეტი ქალი: პრაქსილა, მოირო, ანიტე, საფო, ერინა, ტელესილა, კორინა, ნოსისი, მირტისი. ჩვენამდე შემორჩა ეპიგრამაში დასახელებული თითქმის ყველა პოეტი ქალის შემოქმედების ნიმუშები, რა თქმა უნდა მეტ-ნაკლები მოცულობით. არ შემონახულა მხოლოდ ერთის — მირტის ანთედონელის ფრაგმენტები. გარდა ამ ნუსხაში მოხსენიებული პოეტი ქალების კმნილებებისა, ჩვენამდე მოაღწია ორი პოეტი ქალის — ჰედილესა და მელინოს — შემოქმედების ფრაგმენტებმა.

ასე რომ, ამჟამად ჩვენ მოგვეპოვება ანტიკური საბერძნეთის ათი პოეტი ქალის შემოქმედების ნიმუშები. შემორჩენილი ფრაგმენტების, ანტიკურ წყაროებში დადასტურებული საოცრად ძუნწი ბიოგრაფიული, მითოლოგიური თუ ფილოსოფიური ხასიათის მონაცემების გათვალისწინებით საშუალება გვეძლევა შევიქმნათ გარკვეული აზრი ანტიკურ საბერძნეთში მოღვაწე პოეტ ქალთა შემოქმედების ზოგიერთი თავისებურების შესახებ.

თუ გავიზიარებთ ქველი საბერძნეთის პოეტი ქალების ჩვენამდე მოღწეულ შემოქმედებას, შევამჩნევთ, რომ მათი პოეტური სამყარო მეტად მრავალფეროვანი უნდა ყოფილიყო, ამ პოეზიაში ჩვენ ვხვდებით მითოლოგიურ სიუჟეტებზე აგებულ სიმღერებს, ფრაგმენტებს მიძღვნილთ ღვთაებათაღმებ; ბერძენ პოეტ ქალთა შემოქმედებაში გვხვდება შეგონებები, გვხვდება საბრძოლო თემატიკაც. უფრო ხშირად კი პოეტი ქალების შემოქმედებაში არის ეპიგრამები, მიძღვნილი ხელოვნების კმნილებებისადმი, საფლავის ქვის წარწერები. დიდი სიმსუბუქითა და პოეტურობით თხზავდნენ პოეტი ქალები ეპიგრამებს ცხოველურ თუ მცენარეულ სამყაროზე. სამწუხაროდ, ჩვენამდე მეტად მცირერიცხოვანმა ფრაგმენტებმა მოაღწიეს. შედარებით მეტი რაოდენობის ფრაგმენტები შემორჩა საფოს შემოქმედებიდან. და ეს ალბათ ბუნებრივია: ისტორიამ შემოინახა პოეზიის ის ნიმუშები, რომლებმაც უფრო მეტად გაუჩღეს ეამთა სრბოლასა და რომლებიც უფრო მეტად უახლოვდებოდნენ ამაღლებულს. ამ თვალსაზრისით სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია საფოს პოეზიას, რომლის სიმადლესაც ვერ მიაღწია გვიანი ხანის ვერცერთმა ლირიკოსმა პოეტმა ქალმა, რამეთუ მათი პიროვნება მოკლებული იყო იმ ზოგადსა და ამაღლებულს, რასთანაც ზიარება შესძლო საფომ თავისი არსებობით. ამის ძირითადი მიზეზი, ჩვენი აზრით, უნდა ვეძიოთ იმ ეპოქებისათვის დამახასიათებელ ტენდენციებში, როდესაც მათ უხდებოდათ მოღვაწეობა.

რაც შეეხება თარგმანს, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულად ძველი საბერძნეთის პოეტიკის ქალების ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები სრულად ბირველად თარგმნილია. შევეცადეთ შეძლებისდაგვარად დაგვეცვა შინაარსისა და ფორმის სიზუსტე. ქართულ მკითხველს ვთავაზობთ ზოგიერთი ძველი ბერძნული საზომის (დაქტილური ჰეგზამეტრი, ქაფურული, ელეგიური დისტიქი და სხვა) ქართულად გადმოტანის შესაძლო ვარიანტს.

კორინა
(ძვ. წ. ა. VI-V ს. ს.)

ცით მაუწყებს ტერფსიხორა,
მაღალ ჰანგზე ვიწყო ძნობა,
თეთრი ბიალონით მოსილ

ტანაგრელთა საამებლად:
ქალაქს ნათელი ხმა
ამკობს.

წინაპრების შეთხზულ ამბებს
გარდასახულთ ახალ ჰანგზე
ქალწულთათვის ვიტყვი ქებად.
კეფისოსის ღვთიურ სახეს

უწინ ვადიდებდი მიწყვი,
ვადიდებდი დიდ ორიონს
და მის ვაჟებს, ვინც ნიმფებმა
მასთან ტრფობით ჩაისახეს.

პელიკონი დ კითერონი

კურეტები ახალშობილს
რეას მიერ მოტაცებულს,
აეისმზრახველ კრონოსისგან
ნამალევად ზრდიდნენ მღვიმედ.

ასე მღეროდა მგოსანი.
ღვთაებრივმა ძემ პატივი
მოიპოვა ღმერთთა შორის.
მუზამ ნეტართ მოუწოდა:
ჩაეყარათ იდუმალი
ქვები ოქროცურვილ თასში.

აღასრულეს მისი სიტყვა.
კითერონის გამარჯვება
ღმერთთა მაცნემ განაცხადა.
სიამაყით ივსებოდა
დიადემით შემოსილი.
ბობოქრობდა პელიკონი,
ღმობათაგან გატანჯულმა
შემზარავად დაიღმუვლა,
ვეება კლდე ამოგლიჯა,
ციდან დაატეხა მიწას.

ასოკოსის ქალწულეგი

ზევსმა, ყოველთა მეუფემ,
სამი ასული მოგტაცა,
სამი ცოლად ჰყავს ზღვის ბატონს,
ორს ფოიბოსმა თავისი
საწოლი გაუზიარა,

ერთი მაიას ნაშიერს
დიდებულ ჰერმესს დანებდა,
ისინი დიდი ღმერთების
კიპრისისა და ეროსის
ბრძანებას აღასრულებენ.

მათ მოუვლინეს ქვეყანას
ნახევრადღმერთი გმირების
მიწყვიტობადი, უხრწნელი
სახელოვანი თაობა.

ასე მისნობდა სამფეხი.

წილად მხვდა დიდი პატივი
ორმოცდაათმა მოყვასმა
მანლო დიდებულ აკრეფევსს
უწმინდეს ტაძრად მისნობა,
რათა გაუწყოთ სიმართლე.

პირველად ევრონიმოსმა
მიიღო აპოლონისგან
ტაძრად მისნობის უფლება.
ეს დიდებული პატივი
მას ჰიერევსმა წაართვა,

პოსეიდონის დიდმა ძემ.
ამ ადგილების მეუფე
კვლავ ორიონი შეიქმნა,
ჩემი მშობელი, აწ იგი
ცად აღაზევეს მნათობად.

მერმე მე გავხდი მისანი.
ჩემს მართალ სიტყვას ერწმუნე:
მოყვასო, ღმერთებს შეუხდე,

სულს განარიდე რისხება,
ხარ ღვთაებათა სიმამრი.



ასე დამოძღვრა მისანმა, **ერყვენული**
მას ასოპოსმა სიამით **ზიზღიქითეკა**
მარჯვენა ხელი შეახო,
აკრემლებული თვალებით
ასეთი სიტყვით მიმართა:

ძალმოსილმა ორიონმა
გაიმარჯვა და ქვეყანას
თვისი სახელი უბოძა.

ტკბილხმიერ მირტისს გავკიცხავ,
უკეთუ ქალადშობილი
ეტოქებოდა პინდარეს.

გმირთა სიქველეს ვადიდებ
იონიური ჰანგებით.

პრაქსილა

(ძვ. წ. ა. V საუკუნე)

უმშვენიერესი, რაც ქვეყნად დავტოვე, იყო მზის ნათელი,
დავტოვე მეორეც: მბრწყინავი მთიები და მთვარის სახება,
დავტოვე აგრეთვე ვაშლები, მსხლები და მწიფე ნესვები.

ისმინე მოყვასო, აღმეტეს ნათქვამი: გიყვარდეს კეთილი,
მდაბალს ნუ ენდობი, მცირედ სიხარულსაც ვერ მოგგვრის მდაბალი.

ერიცა

(ძვ. წ. ა. IV საუკუნე)



•
ქადესის სამეფოს აღწევს მხოლოდ მიმჭრალი ეჭო,
ღუმილი სუფევს მკვდრებში, თვალებს ეფარება ბინდი.

•
ეს ხატი, მაღალი პრომეთევს, შექმნეს დიდოსტატის ხელებმა,
გყოლია მოკვდავთა შორის თანაზიარი სიბრძნით,
ესოდენ ცოცხალი ქმნილება ხმითაც რომ შეემკო შემოქმედს,
წარმოდგებოდა ჩვენს წინ აგათარხისი თავად.

•
ვეკუთვნი დედოფალ ბავკისს, როს მოხვალ საფლავთან მეგზურო,
იხილავ დაცრემლილ მიწას, ქადესს გადასძახა რისხვით:
„ქადეს, შურიანი ყოფილხარ!“ ნატიფი წარწერა გიამბობს
ოდესლაც რა მწარე ხვედრი ეწია დედოფალ ბავკისს.

ფიჭვის ჩირაღდნებით, რომელთაც ქორწილის ჰანგები ამკობდნენ,
სამგლოვიარო კოცონი ანთო მოყვასმა ცრემლივით.
შენ კი, უმოწყალო ღვთაებავ, შეცვალე ნათელი ჰანგები
და საქორწინო ძნობა აქციე მწუხარე გლოვად.

•
ჩემო სირენებო, სვეტებო, გლოვის და წუხილის სამარევ,
რომელიც უნახავ ქადესს ფერფლად გადაქცეულ სხეულს,
კეთილად მიიღეთ ყოველი საფლავთან მოსული მეგზური,
იქნება მშობელი მიწის თუ სხვა ქალაქის მკვიდრი.
აუწყეთ, რომ ადრე წასული დედოფლის სამარეს უმზერენ,
რომელსაც შეარქვა „ბავკისი“ დაბადების დღეს მამამ,
რომ კუნძულ ტელოსზე ვსახლობდი, რომ ჩემმა დობილმა ერიანამ
ეს შესანდობარი სიტყვა თავად წააწერა საფლავს.

ანიტი

(ძვ. წ. ა. III საუკუნე)



●
 აქ დარჩი მრავალთა მმუსრველო, შინდისგან ნათალო ოროლო,
 შეაშრეს მეტოქის სისხლი ბრინჯაოს დამლუბველ ბუნის,
 ათენას მაღალი ტაძარი გექცევა მარადის სავანედ
 კრეტელ ექსეკრატეს დიდების ღირსეულ ამბავთა მაცნეს.

●
 პანს, შემკულს ხვიარა კულულით და მესალამურე ფერიებს
 კლდის ძირას უბოძა მწყემსმა თეოდოტოსმა ძღვენი,
 რომელიც მწველ ხვატში გათანგულს, სიცხისგან დამაშვრალს ამშვიდებს,
 საამო წყალს აწვდის იგი მწყურვალს საკუთარი ხელით.

●
 ჭაბუკად დარჩები, პროარხოს, შენმა ადრეულმა სიკვდილმა
 შამა ფიდიასის სახლი დარდსა და ვაებას მისცა,
 მაგრამ შენს შესახებ იმღერებს საფლავის ქვა ლამაზ სიმღერას,
 იმღერებს თუ როგორ შესწირე სანუკვარ სამშობლოს თავი.

●
 ხშირად დასტიროდა კლეინო ძვირფასი ქალწულის სამარეს,
 უდროოდ წასული შვილის გარდაცვალებას წუხდა,
 უხმობდა სულს ფილენისისას, ვინც საქორწინო სარეცელს
 ველარ მოესწრო, გაჰყვა მქრალი აქერონის ნაკადს.

●
 წმინდა სანთიობოს, ქორწილის მაღალი ჰიმნების სანაცვლოდ
 გიძღვნა მარმარილოს ძეგლი დამწუხრებულმა დედამ,
 რომ ქალწულებრივი მშვენებით მოსილი სახებით გვახსოვდე.
 შენ გარდაიცვალე თერსის, და მაინც ვსაუბრობთ შენთან.

●
 თხაო, მხიარულმა ბავშვებმა შეგაბეს წითელი სადავე,
 ამოგდეს წითელი ლაგამი ბეწვით დაფარულ დრუნჩზე,
 და მივაჭენებენ ისინი ცხენით ღვთის ტაძრის გარშემო,
 ვიდრე შეგიძლია, ატარე, ცელქი ბავშვები ფრთხილად.

●
ხედავ ბრომიოსის რქით მოსილ თხას ამპარტავანს და მზვანობარს,
რა მედიდურობით უმზერს თავის წვერებიან ნიკაპს,
ამაყოფს იმით, რომ მაღალი მთების მწვერვალებზე მის ლაწვერებს
ვალერსებოდა ნიმფა ნაისი ვარდისფერი ხელით. ბიზანტიონი

●
ამ წმინდა ადგილის მეუფედ ითვლება ღმერთქალი კიპრისი,
აქ მოდის ღვთაება მიწყვი ზღვის მბრწყინავ სივრცეთა მზერად,
და ძალმოსილია რამეთუ კეთილპყოს ზღვად მყოფთა რუდინი,
მის დიდებულებით მზირალ ძეგლს მორჩილებენ ზვირთნი.

●
ეს ძეგლი აუგო დამისმა ბრძოლის ჟამს დაღუპულ ბედაურს,
არესმა განგმირა მისი შეუპოვარი მკერდი,
სისხლის მეწამულმა ნაკადმა დაფარა ძლიერი სხეული,
საზარი მკვლელობის ადგილი დამძიმდა დაღვრილი სისხლით.

●
სული განუტევე ოდესღაც ფესვებით დახუნძლულ ბუჩქებში
შენ, ლოკრისელო ძაღლო, მოყეფარ ქოფაკთა შორის
აღმატებულო სრბოლით, კისერმოხატულმა ასპიტმა
დაგესლა საზარი შხამით შენი სწრაფმავალი თათი.

●
ჩემი გაღვიძება აისზე აღარ შეგეძლება, მამალო,
ველარ შეირხევა შენი ხშირი, მოფარფატე ფრთები,
რამეთუ მზაკვარი ცხოველი ღამე მოგეპარა მალულად,
მომაკვდინებელი ბრწყალით უმალ გამოგლადრა ყელი.

●
ლამაზად შეფოთლილ დაფნის ქვეშ შეჩერდი, ჩამოჯექ ყარბო,
მიირთვი ანკარა წყაროს გრილი და საამო წყალი,
ზაფხულის მოსავლის აღებით მოღლილ და მოთენთილ კიდურებს
მიესალბუნება ჩრდილში თავად ზეფიროსის სიო.

●
იქ სადაც სამი გზა იყრება ქალარა ზღვის სანაპიროსთან
მიწყვი ნიავიან ქალად ღვთაება ჰერმესი დგება,

რათა შორი გზებით მოღლილებს არგუნოს შვება და სიმშვიდე:
გასაგრილებლად უძღვნას ცივი და ანკარა წყარო.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

●
მგზავრო, ამ თელის ქვეშ ინებე მოღლილი სხეულის მოთენთვა,
მის მწვანე ფოთლებში მიწყევ საამოდ შრიალებს სიო,
ხის საგრილობელში წყაროა, მიირთვი ანკარა სასმელი,
მგზავრს მოსასვენებლად ზვატში ასეთი ადგილი ხიბლავს.

●
რად ზიხარ ფოთლებით დაჩრდილულ ტყეში, სოფლის პანო, ეულად,
შენი ტკბილხმიერი სტვირით მიდამოს რად ავსებ ძნობით?
მიტომ, რომ ცვარ-ნამით დაფარულ ამ მთიან ველებზე მოსული
პურის ლამაზთმება თავთავი ხარების ნახირმა ძოვოს.

●
მუხის ზედ ბინადარ ჭრიჭინას და მინდვრის მომღერალ კალიას
საერთო საფლავი აუგო დამწუხრებულმა მირომ,
ო, ბევრი იტირა გოგონამ, რადგან უღმობელმა ჰადესმა
ასე უმოწყალოდ წაართვა ორი მეგობარი ერთად.

●
ველარ ჩავუქროლებ ამაყად ზვირთებში ბინადარ ქარავნებს,
ველარ ამოვისვრი სხეულს უძირო სიღრმიდან მაღლა,
ველარ წარვუძღვები ხალისით ძლიერსოლებიან ხომალდებს,
მათ უმშვენიერეს კიჩოებს ვერ მივეფერები ქშენით,
რადგან მარადიულ სავანედ მექცა საუცხოო ნაპირი,
სადაც გამომრიყა მიწად ზღვის ძოწისფერმა ზვირთმა.

ნოსისი

(ძვ. წ. ა. III საუკუნე)

●
დიდი სიყვარული ტკბილია. ამ ქვეყნის ყოველი სიამე
დაჩრდილა ეროსმა, თაფლიც ჩემმა ბაგეებმა დათმეს.
ამას აღიარებს ნოსისი: ვისაც აფროდიტე არ სწყალობს,
ის ვერასოდეს იგრძნობს ვარდის მშვენიერების ძალას.

●
სძლიეს ბრუტიუმელ მებრძოლებს ომებში მედგარმა ლოკრებმა
და სასიკვდილოდ განწირულთ უბადრუკ ბექთავან ახსნეს.

ის აღსაქურველი, რომელიც შესწირეს ღმერთების ბომონებს
და არ იცოდებენ აბჯრები იმ ჯაბანთ, რომელთაც დათმეს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღრმად პატივცემულო ქალღმერთო, ჰერავ, ღრუბლებიდან რომ უმზერ
ლაკინიონის გუმბათს, გუნდრუკის სურნელით მოსილს,
მიიღე ბისოსის სამოსი, მას თეოფილისი ქსოვდა,
კლეოხას მორჭმული ასული, ქალიშვილ ნოსისთან ერთად.

წავიდეთ, ვისწრაფოთ ტაძრისკენ კიპროსის მეუფე ღვთაების
დიდი ოსტატობით ნაძერწი ოქროს ქანდაკების ბილვად,
ეს უძვირფასესი ქმნილება მიუძღვნა ღმერთს პოლიარხისმა,
რომელმაც ნატიფი სხეულით თავად დაიხვავა განძი.

ჩვეული სიამით მიიღო კიპროსზე შობილმა ღმერთქალმა
თავრიდე რომელიც ამკობდა სამითაისის თავს უწინ,
დიდი ოსტატობით მოქსოვილს ასდის იმ ნექტარის სურნელი,
რომელსაც აბკურებს-ხოლმე მშვენიერ აღონისს ღმერთი.

მართლაც დიდებული ქმნილება — ხატი საკუთარი სახების
უძღვნა აფროდიტეს ტაძარს ოქროსფერთმიანმა კალომ,
მოსავს მომხიბლავი დგომა და ყველასთვის ნანატრი ასაკი,
ასეთს გაუმარჯოს, ცხოვრებას ვერ უსაყვედურებს იგი.

ო, რა დიდებულად ასახავს ხატი თავმარეტეს არსებას,
თვალეები ცოცხლობენ თითქოს მოწყალე, კეთილი მზერით,
კუდს აქნევს პატარა ფინია, სასახლის ერთგული დარაჯი,
ნახატს კი არა და, ჰგონია, ჰეშმარიტ ქალბატონს უმზერს.

ო, ჰეშმარიტად მელინას ხატი შეუქმნია შემოქმედს,
რა მომხიბლავი სახით და სიყვარულით გვიმზერს,
ღედის განსახიერება არის ქალწული აშკარად,
დიდებულია, როცა შვილი ასე ჰგავს მშობლებს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

●
შორიდან მზილველიც შეიცნობ ხატზე საბითისის სახებას,
მაღალი აზრით და ფიქრით შთაგონებული გვიმზერს,
ხედავ, წარმოსახა მხატვარმა სიბრძნით, სათნოებით აღსავსე,
ვგრძნობ მის მოწყალე მზერას, გაგიმარჯოს, ნეტარო ქალო!

●
რაოდეს ჩაუვლი ჩემს სამარხს ხმამაღლა იცინე, ყარიბო,
და გაიმეტე ჩემთვის წყალობა კეთილი სიტყვით,
ვარ სირაკუზელი რინთონი, მუზის უბადრუკი ბულბული,
ტრაგი-კომიკური ლექსით მაქვს მოპოვებული სურო.

●
მგზავრო, მიტილენედ თუ მიხვალ, სადაც დიდებულად მღერიან,
რათა აღენტო საფოს დიდი პოეზიის მაღლით,
ახსენე, რომ მუზებს უყვარდათ ლოკრების მიწაზე შობილი
პოეტი სახელად ნოსისი, არ დაივიწყო, წადი!

●
არტემის, დელოსის მფლობელო, წარმტაც ორტიგიას მეუფევ!
მოზიდე მშვილდი და სტყორცნე ისრები ქარიტებს მკერდქვეშ,
ტანი განიშმინდე ინოპში, შინ გამოეცხადე ალკესტისს
და სამშობიარო ღმობათა განცდისგან იხსენი, ღმერთო!

პოირო

(ძვ. წ. ა. III ს.)

●
ბაკხოსის შანარით აღვსილო ვაზის დიდებულო მტევანო,
გფარავს აფროდიტეს ტაძრის ოქროცურვილი სვეტი,
აღარ მოგვევლება გარშემო დედა მოალერსე სუროთი,
არ აღმოგიცენებს ბუნზე თავის ამბაროვან ფოთოლს.

●
ჰამადრიადებო, ნიმფებო, მდინარის ღვთიურო ქალწულნო,
ვარდისფერ ტერფების შეხებით უფსკრულებს რომ თელავთ მიწყვი,
უკვდავო ქალღმერთნო, იდიდეთ და კლეონიმოსი მიიღეთ,
მან ხომ ფიჭვების ძირას ლამაზი ძეგლები გიძღვნათ.



მაღალმა ზევსმა რომ კრეტად დაივანა, იქ ჰპოვა საფარი,
იმძლავრა სხეულით, არარა უწყიან ნეტარმა ღმერთებმა.
ოკეანის წყლიდან მოჰქონდათ მფრთხალ მტრედებს მისთვის
ასე გამოკვებეს დიდი კრონიონი ღვთაებრივ მღვიმეში.
კლდიდან გადმომდინარ ნექტარს აგროვებდა არწივი ნისკარტით
და საამებელი სასმელი მოჰქონდა მაღალი ღმერთისთვის.
რაოდეს დაამხო მამა, კრონიონმა, შორით მოქუხარმა,
დიდ არწივს არგუნა მარადიულობა და ცად აღაზევა.
მფრთხალი მტრედებისთვის ზევსმა მოავლინა სხვაგვარი წყალობა:
მათ ზამთარ-ზაფხულის წინასწარუწყების პატივი მიაგო.

მელინო
(ძვ. წ. ა. II ან I საუკუნე?)

რომო, არესის ქალიშვილო, მოგესალმები,
ოქროს თავრიდით შემოსილო დიდი ღმერთქალო,
მარადიული ოლიმპოსის მთის მწვერვალია
შენი სავანე.
პატივდებულო ღმერთთა შორის, მხოლოდ შენ გიძღვნა
გარდაუვალი მმართველობის უფლება ბედმა,
შენ უნდა პყრობდე ჰეგემონის ძალას და პატივს
და მეუფებდე.
ამაღლებულო, შენს ძალმოსილ ლაგამთა უღელს
მიწის გული და ქალარა ზღვა ემორჩილება,
სახელმწიფოებს, სადაც ხალხი ოდითგან მკვიდრობს,
ურყევად მართავ.
დიადი ეამი ანადგურებს ამ ქვეყნად ყოველს,
კაცთა სიცოცხლეს გარდასახავს და გარდააქცევს,
და მხოლოდ შენი ძალისადმი კეთილმოდრეკილს
ვერ სწვდება იგი.
მრავალთა შორის მხოლოდ შენ ერთს ხელგეწიფება
აღსაჭურველით უძლიერეს ჯართა აღკაზმვა,
რათა მოიმკა უმამაცეს კაცთა ნაყოფი
ღემეტრესავით.

□

ოღუზური ენიდან თარგმნეს

ელიზბარ ჯაველიძემ და გიორგი შაყულაშვილმა



თხულება შედგება შესავლისა და თორმეტი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სიუჟეტის მქონე კარისაგან. მათ აერთიანებს მხოლოდ ერთ-ერთი გმირის სახე.

ეპოსი, რომელიც პოეტური ფორმით მოგვითხრობს ოღუზთა, თურქულენოვან ტომების წარსულს, აღიარებულია შესანიშნავ მხატვრულ ძეგლად და დღეისათვის თარგმნილია მსოფლიო ხალხების არაერთ ენაზე. იგი საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისათვისაც. მასში ბევრჯერ არის მოხსენებული საქართველოს გეოგრაფიული თუ ისტორიული არეალი. ერთ-ერთი თავისი სიუჟეტი კი (ბეგლის ძის ამრანის მოკვლის ამბავი) რამდენადმე ეხმაურება ქართული ამირანიანის ამბავს.

მკითხველს ვთავაზობთ აღნიშნული თხულების ერთი ნაწილის თარგმანს.

შესავალი

სახელითა ღვთისა მოწყალისა და შემწყნარებლისა, მოციქულის დროს — მშვიდობა სუფევდეს მასზე — ბაიათის ტომში გამოჩნდა კაცი, რომელსაც ქორქუთი ერქვა. ოღუზებში იგი ყოვლისმცოდნედ ითვლებოდა, ოღუზთა შორის სასწაულებს ახდენდა. რასაც იტყოდა, აღსრულებოდა. იმისი შთამაგონებელი ყოვლისშემძლე უფალი იყო.

ქორქუთ ათას უთქვამს: და ბოლოს მბრძანებლობა კვლავ ქაის ტომს დაუბრუნდება, არვის არ ძალუძს შეეცილოს მას ამიერიდან ვიდრე განკითხვის დღემდე.

ეს ოსმანთა ჩამომავლობაზე ითქვა, იგი აღსრულდა და კვლავაც ასე იქნება.

მან ბევრი ამის მსგავსი სიტყვა ბრძანა.

ქორქუთ ათა ოღუზთა ტომის ყველა გაჭირვებას ადებდა მალაქოს.

რა საქმეც არ უნდა ყოფილიყო, ვიდრე ქორქუთ ათას არ დაეკითხებოდნენ, არ იქმოდნენ. რასაც ის ბრძანებდა, უსიტყვოდ სრულდებოდა.

დედე ქორქუთს უთქვამს:

ალაჰს თუ არ შესთხოვ, არა საქმე არ აღსრულდება;

ყოვლისშემძლე ღმერთმა თუ არ ინება, კაცი ვერ გამდიდრდება;

თუ არ უწერია მონას (ღვთისას), თავს უბედურება არ დაატყდება;

ვიდრე აღსასრულის დღე არ დადგება, არვინ არ აღესრულება;

მიცვალებული არ გაცოცხლდება;

აღმომხდარი სული უკან არ ჩაბრუნდება;

ვაუკაცს ყარა დაღის ოღენა ქონებაც რომ ჰქონდეს, მეტის მოხვეჭას ცდილობს, თუმცაღა თავის წილხვედრზე უმეტესს ვერ შეჭამს;

მდინარენი როგორადაც არ უნდა ადიდნენ და ნაპირს გადმოვიდნენ, ზღვას მაინც ვერ შეავსებენ;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაცი ამპარტავანი უფალს არ უყვარს;

კაცს გაამაყებულს ბედი არ ეწევა;

რამდენიც არ უნდა უფარეზო, სხვისი შვილი შენად არ იქცევა. გაიზრდება და გაგმორდება. წავა და შენზე იტყვის — თვალითაც არ მინახავსო;

ნაცარი მთად ვერ გახდება, სიძე შეილობას არ გაგიწევს;

შავ სახედარს თავზე რომ აღვირი ჩამოაცვა, ჯორად არ იქცევა;

მხეველი რომ სამოსში გამოაწყო, ქალბატონად ვერ გახდება;

რა დიდი თოვლიც არ უნდა დასდოს, ზაფხულამდე ვერ გაძლებს;

ხშირი და მწვანე მდელო შემოდგომაზე უკვე აღარ იქნება;

ძველი ბამბა ნარმად ვერ იქცევა;

ძველი ღუშმანი მოყვრად არ გაგიხდება;

ცხენს თუ არ გაიმეტებ, გზას ვერ გაივლი;

შავი ფოლადის მახვილს თუ არ დაჰკრავ, მტერს ვერ გააბრუნებ;

ვაუკაცი, ვიდრე ქონებას არ გასცემს, სახელს ვერ მოიხვეჭს;

გოგომ დედასთან მისაბაძი თუ ვერაფერი ნახა, მარტო დარიგება არაფერს მისცემს;

ვაჟმა მამისგან თუ არ ისწავლა, სუფრას ვერ გაშლის;

ვაჟი მამის გამოზრდილია, ორთაგან ერთ-ერთი თვალია;

ვაჟი თუ ბედნიერ ფეხზე დაიბადა, ოჯახის თვალია;

რა ჰქნას ვაჟმა, თუ მამა მოუკვდა და ქონება არ დარჩა;

ან მამის ქონებისაგან რა სარგებელს ნახავს, თუ თვითონ გონი არ გააჩნია;

უქონელთა შარისაგან დაგიფაროს ალაჰმა, ხანო ჩემო.

დედე ქორქუთს ერთიც უთქვამს, ვნახოთ ერთი რა უთქვამს:

ძნელად სავალ გზებზე ცუდ მხედარს კავკასიურ ბედაურზე ჯდომა თუ

არ შეუძლია, უკეთესია, არ შეჯდეს;

მზღალს, ბასრი მახვილის მოქნევას, ურჩევნია არ მოიქხიოს;

ვაუკაცს, ვინც ხმლის მოქნევა იცის, ხმალსა და ისარს კომბალი ურჩევნია;

შავ სახლებს, რომელშიც სტუმარი ფეხს არ შედგამს, ურჩევნიათ ხგრხებს;

მწარე ბალახს, რომლესაც ცხენი არ ძოვს, ურჩევნია სულაც არ ამოვიდეს;

ჩამდინარე მწარე წყალს, რომელსაც კაცი შვილი არ სვამს, ურჩევნია არ ჩაედინებოდეს;

უზრდელ, ბრიყვ ვაჟს, რომელიც მამის სახელს ვერ განადიდებს, უჯობს მამის წელიდან არ გამოვიდეს;

დედის საშოში რომ არ მოხვდეს, ის ურჩევნია;

საამაყო ვაჟი, რომელიც მამის სახელს განადიდებს;

ამ ქვეყნად ავი სიტყვის არსებობას, რომ არ არსებობდეს, ისა სჯობს;

ღირსეულთ უჯობთ იცოცხლონ სამჯერ ოცდაათი ათეული წელი;

სამჯერ ოცდაათი ათეული წელი შეგვესოთ, უფალმა ცუდი ნუ მოგიზლოთ.

ღმერთმა თვისი კალთა გადაგაფაროს, ხანო ჩემო.

დედე ქორქუთს კვლავ უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:

მოხეტიალე ირემმა იცის, სად როგორი საძოვარია;



თავისუფალი, ამწვანებული იალაღები კანჯარმა იცის;
 სხვადასხვა მხარის გზა-კვალი აქლემმა იცის;
 შვიდი ხეობის სუნი მელამ იცის;
 ღამით გავლილი ქარავნის კვალი ტოროლამ იცის;
 ვაჟი ვისიც არის, ყველაზე უკეთ დედამ იცის;
 ვაჟკაცი მძიმეა თუ მსუბუქი, ცხენმა იცის;
 მძიმე ტვირთის ფასი ჯორმა იცის;
 სადაც ტკივილი მიზეზიანობს, ავადმყოფმა იცის;
 თავქარიანი თავის ტკივილი (მარტო) ტვინმა იცის;
 ტომიდან ტომში, ბეგიდან ბეგთან ხელკოფუზიანი ოზანი დადის;
 ვაჟის ჯომარდ-ნამარდობა ოზანმა იცის;
 ხალხის წინაშე სიტყვა ოზანმა უნდა თქვას;
 უბედური შემთხვევისაგან გიხსნას უფალმა, ხანო ჩემო.
 დედე ქორქუთს კვლავ უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:
 ბაგეს თუ გავხსნი და ხოტბას თუ აღვაველენ, ვიტყვი — ჩვენსა ზედა ამა-
 ლლებულს დიდება;
 ღვთისგან რჩეულს, რჯულის წინამძღოლს მუჰამედს დიდება;
 მუჰამედის მარჯვნივ ნამაზის აღმსრულებელს აბუ ბექრ უზეკველს დი-
 დება;
 ამმას, ბოლო სურის საწყისს დიდება;
 დამარცვლით სწორედ წასაკითხი იასინს დიდება;
 მამაცთა წინამძღოლს, ვინც ხმალი დაჰკრა და სარწმუნოებას გზა გაუხსნა,
 ალის დიდება;
 ალის ვაჟებს, წინასწარმეტყველის ჩამომავალთ, ქერბალას ველზე იეზი-
 დის ხელით მოწამებრივად დაცემულთ ჰასანსა და ჰუსეინს, ორთავ ძმას დი-
 დება;
 დაწერილსა და გაწყობილს, ციდან ჩამოსულს ღმრთის სიბრძნეს — ყუ-
 რანს დიდება;
 ვინც ყურანი დაწერა, გააწყო, უღებთა სასწავლებლად დადო, სწავლულთა
 წინამძღოლს ოსმან აფფანის ძეს დიდება;
 დაბლობზე დადგმულ სახლს ღმერთისასა მექას დიდება;
 მექას გზაზე ჯანმრთელად შემდგარს, საღ-სალამათად ჩასულ ჭეშმარიტ
 მლოცველს დიდება;
 განკითხვის ეამს პარასკევ დღეს დიდება;
 პარასკევ დღეს აღვლენილ ხოტბას დიდება;
 გულისყურით მსმენელ მრევლს დიდება;
 მინარეთზე დაღადმყოფ მუზეინს დიდება;
 ფეხმორთხმით მჯდომარე ალაღ მეუღლეთ დიდება;
 საფეთქელგაჭალარავებულ მამას დიდება;
 თავისი თეთრი რძით მაძღრისად ძუძუს მაწოვებელ დედას დიდება;
 გზაზე დამდგარ შავ ულაყს დიდება;
 მშვენიერი, ფერადი სახლის გვერდით დადგმულ საქორწინო კარავს დი-
 დება;
 მის გრძელ თოკს დიდება;
 ვაყს დიდება;
 არ ვისა და არაფრის მსგავსს, ქვეყნის შემოქმედ ღმერთს დიდება;

ღმერთს, ვისაც ვადიდებთ, ვინც უნდა შეგვეწიოს და მოწყალება გვიბოძოს, დიდება, ხანო ჩემო.

ოზანი იტყვის:

ქალები ოთხი ჯურისანი არიან, ერთი ჯიშის დამკნინებელია, ერთი მათრეველა და შარახვეტია, ერთი ოჯახის დედაბოძია, ერთიც, რაც ვინდაოქვი და, ყველაზე უვარგისია.

ოზანო, სახლის დედაბოძის არის, ვინც მოსულ სტუმარს, როცა ქმარი შინ არა ჰყავს, თვით დაუხვდება, აჭმევს, ასმევს, პატივს სცემს, გაუძასპინძლდება და გაისტუმრებს. ასეთი ქალი აიშესჯიშისაა. ხანო, ჩემო, იმისი ჩამომავალი გამრავლებულიყოს, ასეთი ქალი შენს ოჯახში შემოსულიყოს.

მერე, ის, ვინც ჯიშის დამკნინებელია — დილაადრიან წამოდგება, ხელპირს არც კი დაიბანს, ცხრა ბაზლამაჩს ერთ კასრ იოღურთაში მოხარშავს და მიადღება. ხელს ფერდებზე შემოიკრავს და იტყვის: დაიქცეს და გავერახდეს ეს სახლი! რაც გავთხოვდი, მუცელი არ გამძლომია, სახეზე ღიმილი არ გამკარებია, ფეხზე ფეხსაცმელი და სახეზე ჩადრი არ მღირსებია. ეჰ, ნეტავ ეს ჩემი ქმარი ჩაძაღლდებოდეს, ერთი კიდეც გავთხოვდებოდე, და, ის ქმარი იმაზე უკეთესი შემხვდებოდეს, მე რომ მენატრება. ხანო ჩემო, მისი ჩამომავალი არ გამრავლებულიყოს, ასეთი ქალი შენს ოჯახში არ შემოსულიყოს!..

მერე, ის, ვინც მათრეველა და შარახვეტიაა, გაიღვიძებს თუ არა, წამოდგება, ხელპირს არც კი დაიბანს, ისე გავარდება გარეთ. ხან ერთ კარავს მიაწყდება, ხან — მეორეს. აქ ამას გაჭორავს, იქ იმას ჩაუსაფრდება და დააყურადებს. დილიდან შუადღემდე დაძრწის, შუადღე რომ გადავა, მაშინ დაბრუნდება შინ და რას ხედავს — მაწანწალა ძაღლს ხბორების ბაკი თავდაყირა დაუყენებია, საქათმეში შესულა, ბოსელში შემძვრალა. ის კი შეზობლებს გასძახის — გოგო ზელიძა, ზუბეიდე, ურუგეიდე, ჯანკიზო, ჯან ფაშავ, აინა მელიქო, ყუთლიე მელიქო მოუსავალში და დასაკარგავაში კი არ წავსულვარ. ეს ჩემი საწოლი ისევ აუოხრებიათ, რა იქნებოდა, ჩემი სახლ-კარისათვისაც მიგებედათ; ნათქვამია, ნება მეზობლისა, ნება ღვთისაო. ხანო ჩემო, ასეთი ქალი შენს ოჯახში ნუ შემოსულიყოს.

მერე, ის ვინც ყველაზე უვარგისია. უცხო, მორიდებული სტუმარი რომ ეწვიოს, ქმარიც რომ შინ ჰყავდეს და უთხრას — ადექი, პური მოიტანე, ჩვენც ვჭამოთ, ამასაც ვაჭამოთ, დატოვება არ შეიძლება, უნდა შეიჭამოსო, ცოლი პირში მიახლის — მე რა ვქნა, ამ დასაქცევ სახლში ფქვილი არ არის და საცერია. აქლემი წისქვილიდან არ დაბრუნებულა. თუ რამეს მოიტანს, ამ ჩემ გავაზე დაყაროსო... თან ხელს უკანალზე დაირტყამს, გვერდზე გაიხედავს და ქმარს ზურგს შეაქცევს. ათასიც რომ უთხრა ერთს არ შეუშვებს ყურში, ასეთი ქალი ნოე წინასწარმეტყველის სახედრის ჩამომავალია, იმისგანაც დაგიფაროს ღმერთმა, ხანო ჩემო! ასეთი ქალი შენს ოჯახში ნუ შემოსულიყოს.

კანლი კოჯას ქის კან თურალის ამბავი

ჰეი, ჰეი, ჩემო ხანო, ოღუზების დროსაო, ცხოვრობდა ერთი ძალოვანი ვაყკაცი. რომელსაც კანლი კოჯას ეძახდნენ. მას ჰყავდა მოწიფული, ახოვანი ვაყი. სახელად კან თურალი.

კანლი კოჯა იტყვის, მეგობრებო, მამაჩემი მოკვდა და მე დავრჩი, მისი ადგილი, სამყოფელი მე დავიკავე. ხვალ მე მოვკვდები, ჩემი ვაყი დარჩება.

ამაზე უკეთესი რაღა იქნება, მოდი, ბარემ, შვილო, ვიდრე თვალთ სინათლე მაქვს. დაგაქორწინებო!

ვაჟი ეტყვის: მამავ, თუ კი მეუბნები — ცოლს მოგაყვანიებო, მაშინ ჩემი ღირსიც უნდა იყოს, ესეც უწყიდე. კან თურალი კვლავ იტყვის: მამავ, ვიდრე მე ავდგები, ის უნდა ადგეს, ვიდრე მე ჩემს სწრაფმავალ ცხენს მოკვებო ტები, ის უნდა ამხედრდეს, ვიდრე მე სისხლისმსმელ გიაურების ქვეყანის მთავარს ვალ, ის მივიდეს, მოკვეთილი თავი მომართავსო.

კანლი კოჯა უბასუბებს: შვილო, შენ ასული კი არ გდომებია, შენ ახოვანი ფალავანი გწადია თურმე, მის ზურგს ამოფარებულმა რომ არხეინად ჭამო, სვა და დრო გაატაროო.

კან თურალი ეტყვის: ცხადია, ძვირფასო მამავ, ასეთი ქალი მსურს. არადა, შენ წახვალ, ერთ ნაზ თურქმენ გოგოს მომიყვან. ერთიც ვნახო, უცებ დავაწვე, ზედ გადავაჯდე, საშო გავუფხრიწო?!

ახლა კანლი კოჯა მიუგებს:

— ვაჟო, ასულის ნახვა — შენი საქმეა, ქონებისა და სურსათ-სანოვავის გაღება ჩემი.

ასე რომ უთხრა, მამაცთა შორის უმამაცესი კან თურალი ადგა, ორმოცი ჭიგითი იახლა, შიდა ოლუზები მოიარა, ასული ვერ ნახა, უკან მოტრიალდა, დაბრუნდა, სახლში მოვიდა.

მამა ეკითხება: ვაჟო, ასული იპოვე?

— დაიქცეს ოლუზთა მხარე, ჩემი შესაფერი ასული ვერ ვპოვე, მამა! — პასუხობს კან თურალი.

მამა კვლავ ეტყვის: პაი, ვაჟო, ვისაც სურს, ასე არ მიდის!

— მაშ როგორ მიდის — კითხავს იან თურალი.

კანლი კოჯა ასე დაარიგებს: ვაჟო, დილას წასული, შუადღეს ვერ მოვა; შუადღეს წასული, საღამოს ვერ დაბრუნდება. შვილო, შენ ქონებას მიხედე, ფული დააგროვე, მე კი წავალ შენთვის ასულს ვიპოვიო.

კანლი კოჯა მხიარულად, ლალად ადგა, თეთრწვერა მოხუცები იახლა, შიდა ოლუზები მოიარა, ასულს ვერ მიაგნო. ახლა გარე ოლუზებს მიაშურა, იქაც ვერ ნახა. გამობრუნდა, ტრაპიზონს მივიდა.

ტრაპიზონის მბრძანებელს ერთი ძალზე ლამაზი ასული ჰყავდა. მოზიდავდა ორ მშვილდს, მარცხნივ და მარჯვნივ ისროდა. გატყორცნილი ისარი ძიწაზე არ ვარდებოდა. იმ ასულის გამოსასყიდად სამი ნადირის ტყავი იყო საჭირო. მამას აღთქმა ჰქონდა — ვინც ამ ნადირს შეებრძოლება, დაამარცხებს, შოკლავსო — ქალს მას გავატანო. ვინც ვერ დაამარცხებს, თავს მოვაჭრიო. ასე და ამგვარად, ოცდაათორმეტი ურჯულო ბეგი ვაჟების თავი ციხის ქიმზე ეკიდა.

იმ სამ მხეცთაგან ერთი მძვინვარე ლომი, ერთი შავი ბულა, ერთიც შავი აქლემი იყო. სამივე გველეშაპი გეგონებოდათ. ციხის ქიმზე რომ ეკიდა იმ ოცდაათორმეტი თავის პატრონებს გამძვინვარებული ლომი და შავი აქლემი თვალითაც არ უნახავთ. მხოლოდ ბულას რქებმა მოუხსწრაფეს სიცოცხლე.

როცა კანლი კოჯამ ეს თავები და ეს ნადირები ნახა, რაც თავში ტილი დაუდიოდა, ფეხებში ჩაუსხდა, იფიქრა — წავალ და ჩემს ვაჟს მართალ ამბავს ვაუწყებ, თუ შესწევს ძალი, მოვიდეს. თუ არა და — შინ იპოვოს და შინაურს დაჯერდესო.

ცხენის ფეხი მარდია, ოზანის ენა მოქნილი. კანლი კოჯამ გასწია და ოლუ-

ზებს მიაღწია. კან თურალის აუწყეს, მამაშენი მობრძანდაო. ის ორმოცი ვაჟ-
კაციოთ მამას მიეგება, ხელზე ემთხვია, უთხრა:

— ძვირფასო მამავ, იპოვე ჩემი საკადრისი ასული?

მამამ უპასუხა: ვიპოვე, შვილო, თუ კი ძალი და შნო შეგწევსო!..

— ვერცხლი სურს თუ ოქრო, ჯორი თუ თეთრი? — ეკითხება
ვაჟი.

მამა კვლავ ეტყვის: უნარი და შნოა საჭირო. კან თურალი იტყვის:

— მამავ, ჩემს შავფაფარა მერანს შევკაზმავ, სისხლისმსმელი გიაუარების
ქვეყანაზე გავილაშქრებ. სისხლს დავღვრი, თავებს დავაჭრი, სისხლს ვანთხე-
ვინებ, მონებს და მხევლებს მოვლალავ, ჩემს მამაცობასა და უნარს ვაჩვენებ.

კანლი კოჯა კვლავ მიუგებს:

— ეი, ძვირფასო ვაჟო, მე რომ გითხარ შნო და უნარია საჭირო-მეთქი,
ეგ არ არის იმ ასულისათვის სამ ნადირს ინახავენ. ვინც კი იმ სამ ნადირს და-
ძლევს, ქალს მას გააყოლებენ. ვინც არ დაძლევს და არ მოკლავს, მას თავს
მოკვეთენ და კოშკზე გამოკიდებენ.

კან თურალი ამბობს: მამავ, ეს სიტყვა შენ ჩემთვის არ უნდა გეთქვა.
რადგანაც მითხარი, უნდა წავიდე, უეჭველად, რათა სირცხვილი არ ვჭა-
მოო, დედა-ბატონო, მამა-ბეგო, ბედნიერად იყავით.

კანლი კოჯა ამბობს: ნახეთ, რა დავმართე ჩემს თავს? შვილს საშიში ამბავი
მოვუყევი, იქნება, არ წავადეს და უკან დაბრუნდეს-მეთქი. აჰ კანლი კოჯა
იტყვის, ვნახოთ, ჩემო ხანო, რას იტყვის:

ეი, ვაჟო!

სადაც წასვლა განგიზრახავს,

იქ დაგხვდება მრუდე გზები,

გაუვალი ტალახია,

ვერ იკიდებს ფეხსა ცხენი;

დაბურული ტყეებია,

ვერ გაძვრება ჭრელი გველი;

აწოწილი კოშკებია,

ცასა სწვდება მათი წვერი;

მზეთუნახავთ ქვეყანაა;

გულს წარგტაცებს მათი მზერა;

მრავლადა ჰყავთ ვაჟკაცები,

თავსა კვეთენ ისე კაცსა,

არ დასცდებათ ერთი კვნესა;

ფეხოსანი ლაშქარი ჰყავთ

რკინა-ფარ-აბჯარ ასხმული;

ბოროტების სამეფოში განგიზრახავს, შვილო, წასვლა,

სჯობს, დაბრუნდი, ნუ აობლებ,

თეთრწვერიან მამაშენსა,

და მხცოვანსა დედაშენსა!

კან თურალი გაბრაზდება და იტყვის:

ამას რად მეტყვი, მამავ ძვირფასო?

ამგვარ რამეებს თუ უფრთხის კაცი,

განა მას ეთქმის მამრი ჯიგითი?!

გულადი მამრის შეშინება — თავის მოჭრაა!

გზებსა დახვეულს, ციცაბოს, დამრეცს,
 ღამე გავივლი, ღმერთია შემწე!
 ცხენით გაუვალ აყალო მიწას,
 ქვიშით ავაფსებ, ისე გავალწევ
 იმ უდაბურ ტყეს, სრულ გაუვალსა,
 კვესაბედს გავკრავ, მთლად მივცემ აღსა
 იმ ციხეებსა ცას რომ წვერით უერთდებიან,
 დავაქცევ, მოვსპობ — ღმერთია შემწე!
 იმ მზეთუნახვებს, გულის მომკვლელთა,
 თვალის წარმტაცველთ, ყელს მოვუგრიხავ, ვაკოცებ
 ზედა.



რკინა-ფარ-აბჯარასხმულ მათ მხედრებს
 თავებს დავაჭრი ღმერთია შემწე!
 იქნებ მოვიდე, იქნება ვერა?!
 იქნებ დავბრუნდე, იქნება ვერა?!
 იქნებ აქლემმა გამქელოს მკერდით,
 იქნება ბულამ ამაგოს რქებზე,
 იქნება ლომმა დამტოროს თათით?!
 იქნებ მოვიდე, იქნება ვერა,
 იქნებ დავბრუნდე, იქნება ვერა?!
 იყავით კარგად, ვიდრე მნახავდეთ,
 მამავ, ბატონო, დედავ ბატონო!

ნახეს, რომ ნამუსის გამო ველარ დაიყოლიებდნენ, დალოცეს, ბედნიერი იყავი
 შვილო, ჯანმრთელად წადი და საღ-საღამათი დაბრუნდიო.

დედ-მამას ხელზე ემთხვია. ორმოცი ვაჟკაცი იახლა. შვიდი დღე, შვიდი
 ღამე ცხენები აჭენეს. ურჯულოთა საზღვარს მიაღწიეს. კარვები აღმართეს,
 კან თურალი თავის თოხარიკ ცხენს აჭენებდა, კომბალს ჰაერში ისროდა,
 ვიდრე ძირს დაეცემოდა, ეწეოდა და იჭერდა:

ჰეი, ორმოცო, მეგობარო და ამხანაგო!
 იუ კი ჩავუშვი, მარდი იქნება, გავეჯიბრები,
 თუ კი ძალღონით სავსე იქნება, დავეჭიდები;
 თუ კი მაღალი სვე-უფალი შემწე იქნება,
 თუ კი იმ მხეცებს მოვუღებ ბოლოს,
 თუ კი ვილოცებ სელჯენ ხათუნსა,
 თუ კი მშვიდობით დავბრუნდები მე ჩემს მამულში,
 ჰეი, ორმოცო მეგობარო და ამხანაგო,
 თავს შემოგწირავთ უწყოდეთ ბოლოს!

ესენი რომ ასე უბნობდნენ, ჩემო ხანო, მბრძანებელს ამბავი აუწყეს,
 უთხრეს: ოღუზთაგან ვინმე ვაჟკაცი, კან თურალის რომ უხმობენ, შენი ქალის
 სათხოვნელად მოდისო. ურჯულოები შვიდი აღჯის მანძილზე წინ შემოეგებნენ:
 რატომ მობრძანდი, ბეგო-ვაჟკაცო — ჰკითხეს.

— მოვედი, რომ მოგცეთ და წავილოთო, — უპასუხეს.

პატივი მიაგეს, უმასპინძლეს. თეთრი კარვები ააგეს, ჭრელი ხალები და-
 აგეს, თეთრი ცხვარი დაკლეს, შვიდი წლის წითელი ღვინო ასვეს, მბრძა-
 ნებელთან მიიყვანეს. მბრძანებელი ტახტზე იჯდა, ასი ურჯულო აბჯარასხმული
 შვიდ რიგად მოედანზე იდგა.

ასულმა მოედანზე ერთი კოშკი ააშენებინა. მის ირგვლივ ყველა ასული წითლად იყო შემოსილი, თავად ყვითლად იყო გამოწყობილი. შემოდან უძნერდნენ.

კან თურალი მივიდა, მიესალმა შავფაფრიან მბრძანებელს და სალა-მითვე უპასუხა. ჭრელი ხალი დაუგეს და დასვეს, მბრძანებელს უკმაყოფილება, ვაჟო, რომელი მხრიდან მოდიხარო?

კან თურალი წამოდგა, რხევა-რხევით მივიდა, თეთრი შუბლი განსხა, თეთრი მკლავები დაიკაპიწა. თქვა:

შენი შავი მთა, გაწოლილი რომ გადავლახო, მოვსულვარ
შენთან,

შენი მდინარე, მოჩხრიალე და ბობოქარი რომ
გადავცურო, მოვსულვარ შენთან,

შენი კალთათა სიფართოვე და სივიწროვე მკლავთა
შენთა, რათა შევიგრძნო, მოვსულვარ შენთან;
უფლის შეწევნით შენი ქალი რომ შევიერთო, მოვსულვარ
შენთან.

მბრძანებელი იტყვის, ამ ვაჟკაცს სიტყვა მოუღის, თუ კი მკლავშიც ასეთი ძალა მოსდევს, კვლავ დაუმატებს: ეს ვაჟკაცი გააშიშვლეთ დედის შობილად! გააშიშვლეს. კან თურალიმ წელზე შემოიხვია ოქროთი მოსირმული სელის თხელი ნაჭერი. აიღეს და თურალი მოედანზე გაიყვანეს.

კან თურალი ლამაზი და სრულყოფილი ვაჟი კაცი იყო. თლუზთა შორის ოთხი ჭიგითი ატარებდა ნიღაბს: ერთი კან თურალი, მეორე კი ყარა ჩექური და მისი ვაჟი კირკ კინუკი და ნაცრისფერი მერანის პატრონი ბეირეჭი.

კან თურალიმ ნიღაბი ჩამოიგლიჯა. ქალი კოშკიდან უჭვრეტდა. სახსრებში მოეშვა, გულმა რეჩხი უყო, ახლად შობილ ხბოსავით პირზე ნერწყვი მოადგა. ვოგოებს ეუბნება: მაღალმა ღმერთმა მამაჩემს გული მოუღბოს, გამოსასყიდი აიღოს და მე იმ ვაჟს გამატანოს. ამისთანა ვაჟკაცი აფსუსია, რომ მხეცებმა დაგლიჯონო.

ამასობაში რკინის ჯაჭვებით მოიყვანეს ბულა. ბულამ მუხლებზე დაიჩოქა, მარმარილოს ქვას რქები კრა, ყველივით დაფშვნა.

ურჯულთებმა თქვეს: ახლა ვაჟს დაესხმის, გაქელავს, ათრევს, დაგლეჯსო. დაიქცეს ოლუზთა ქვეყანა! ორმოცი ვაჟკაცი და ერთი ბეგის ვაჟი ერთი ასულის გამო იხოცებიან, რა არის ეს?!

ეს რომ ორმოც ვაჟკაცს ესმა, ატირდა. კან თურალიმ მარჯვნივ გაიხედა. ნახა, რომ ორმოცი ჭიგითი ქვითინებს. მარცხნივ გაიხედა, იგივე დაინახა. ეტყვის: ეი, ჩემო ორმოცო მეგობარო, ორმოცო ამხანაგო, რას ტირიხართ? მომიტანეთ ჩემის ხელის ტოლა კოფუზი, შემაქეთ მე! აქ ორმოცი ჭიგითი ადიდებს კან თურალის, ვნახოთ, ხანო ჩემო, როგორ ადიდეს, იტყვიან:

ეი, სულთანო ჩვენო, შენ კან თურალი,
როს წამოდექი და დაუტევე ადგილი შენი,
და როს ამხედრდი შავ-ფაფარა ბედაურ ცხენზე,
და ის ჭრელი მთა დამრეცი და ძნელად სავალი
ხომ გადასერე, როს ნადირობდი?!
ნუთუ არასდროს არ გინახავს
მამაშენის თეთრად აწოწილ კარვის ზღურბლთან
როგორ წველიან ძროხებს ქალები?

რომ უძახიან ბულა-ბულაო.

შაეი ძროხის ხბო, ხომ არის ისა?!

განა ნამდვილი მამაცები მტერს გაურბიან?

ყვითლად მოსილი სელჯენ ხათუნი კოშკიდან გიჭკრეტს,

ვისაც შეხედავს, სიყვარულის ცეცხლით წვავს წამსვე,

ყვითლად მოსილი ასულისათვის ახსენე ღმერთი, შენ,

კან თურალი.



კან თურალი იტყვის:

მაშ, გამოუშვით თქვენი ბულა, დაე, მოვიდეს!

ბულა ახსენეს ჯაჭვებიდან, გამოქანდა, რქები ალმასის შუბივით ჰქონდა, კან თურალის ეძგერა.

კან თურალმა ლოცვა აღავლინა სახელოვანი მუჰამედის სახელზე. ბულას შუბლზე მუშტი ისე დაკრა, რომ ბულამ უკანა ფეხებზე ჩაიჩოქა. შუბლზე მუშტი მიაბჯინა და ასე მოედნის მეორე მხარეს გაათრია. კარგა ხანს იბრძოლეს, არც ბულა მარცხდებოდა და არც კან თურალი. ბულამ ქლოშინი დაიწყო, პირზე ქაფი მოადგა.

კან თურალი გაიფიქრებს: ეს ქვეყანა ვაჟკაცებს ჰკუთნოდა. მე ამას გვერდზე გავუხტები, ზურგიდან მოვექცევი და რა ძალიც შემწევს, ვაჩვენებო; ახსენა სახელოვანი მუჰამედის სახელი, ბულას გამოეცალა. ბულა რქებით დაერჭო. კუდში ხელი წაავლო. სამჯერ ასწია და მიწას დაანარცხა. ძვლებში დაიფშენა. დააწვა და ყელი გამოლადრა. აიღო დანა და გაატყავა, ხორცი მოედანზე დატოვა, ტყავი მბრძანებელს მოუტანა, უთხრა: უთენიას ასული უნდა მომცეო.

მბრძანებელი ბრძანებს: მიეცით ქალი. ქალაქიდან გააძევეთ, წავიდეს, მოშორდეს.

მბრძანებელს ძმის შვილი ჰყავდა, ის სიტყვას ჩააგდებს: მხეტოა მეფე ლომია, გვაჩვენოს ლომთან როგორ გაითამაშებს, ასული მერე მიეცეთო.

წაეიდნენ ლომი გამოიყვანეს მოედანზე.

ლომმა ისე დაიღრიალა, მოედანზე რაც კი ცხენი იყო, ყველამ შიშით სისხლი მოშარდა.

ჩიგიტები ამბობენ: ბულას გადაურჩა, მაგრამ ლომს როგორ გადაურჩებო, ატირდნენ. კან თურალიმ ნახა, რომ ჩიგიტები ტირიან და უთხრა:

— ეი, აიღეთ ჩემი წითელი კოფუზი და მე მადიდეთ, ყვითლად მოსილი ქალის სიყვარულის გამო განა ლომს გავექცევი?

მისი მეგობრები აქ იტყვიან. ვნახოთ, ხანო ჩემო, რას იტყვიან.

ეი, კან თურალი, სულთანო ჩვენო,

თეთრ ლერწმოვანში ყვითელ ტყავსა როს კიდებს

თვალსა,

იციცებს რომ ესხმის, გულის ძარღვს უგლეჯს და უწოვს

სისხლსა,

ლაფანდახვეულ, თეთრ, მაგარ მშვილდს სულ რომ არ

უფრთხის,

ისარსა მჭრელსა, თეთრ ფრთიანსა, რომ არ გაურბის,

მძვინვარე მხეცი, ნადირთა მეფე — ლომია ისა!

ოდეს ყოფილა ნადირთა ლეკვებს ჭრელი ქოფაკი

დაუკბინოს.

ოდეს ყოფილა ჭეშმარიტ ვაჟკაცს ბრძოლისა ეამსა პირი

ეჭრუნუსი

ზიზლიწიძეა

იტყვიან და დაუმატებენ:

ყვითლად მოსილი სელჯენ ხათუნი კოშკიდან გიჭვრეტს.

ვისაც შეხედავს, სიყვარულის ცეცხლით წვავს წამსვე,

ყვითლად მოსილი ასულისათვის ახსენე ღმერთი,

შენ კან თურალი.

კან თურალი დაიყვირებს: ეი, ურჯულოებო, გამოუშვით თქვენი ლომი, მოვიდესო: შავი ფოლადის ხმალი არ მაქვს, რომ ბრძოლის ეამს ორად გავჩეხო. შენ მიგენდობი, მწყალობთა მწყალობელიო მაღალო ღმერთო, შენ შემიწყალე!

ლომი გამოუშვეს, წამოვიდა, გამოქანდა.

კან თურალიმ ნაბადი დაიხვია, ლომით თათებს მიაგება. სახელოვანი მუჭამედის სახელზე ლოცვა წარმოთქვა. ლომს შუბლზე ისე ჩასცხო მუშტი, რომ მუჭი ყბამდე დავიდა, ზურგზე ხელი წაავლო, წელში გადატეხა, ასწია და ძირს დაანარცხა, მთლად დაფშვნა:

მოვიდა მბრძანებელთან. უთხრა: ხვალ ასულს მე მომცემო!

მბრძანებელმა თქვა: ქალი მოიყვანეთ, ეს ჯიგითი მომეწონა, შემიყვარდა. გინდა დარჩეს, გინდა წავიდეს!

კვლავ მისი ძმისშვილი იტყვის:

— მხეცთა თავი და თავი აქლემია. მასაც შეერკინოს — ამის შემდგომ მივცეთ ასულიო.

რადგან ღმერთი წყალობდა, ბეგების და ფაშების ლოცვაც შეეწია. თექურმა ბრძანა აქლემისათვის პირი შვიდ ადგილას შეეკრათ. შურიანმა ურჯულოებმა არ შეუკრეს, აღვირი შეხსნეს და გამოუშვეს.

კან თურალი მივარდა, აქლემს ფეხებში შეუვარდა, გავარდა, გამოვარდა მთვრალი ჯიგითი უკვე ორ ნადირთან ბრძოლა გადახდილი იყო. ფეხი აუცურდა, დავარდა. ექვსი ჯალათი თავზე წამოადგა, გაშიშვლებული ხმლები ხელთ ეპყრათ.

აქ მის მეგობრებს უთქვამთ, ვნახოთ ხანო ჩემო, რა უთქვამთ:

ეი, შენ კან თურალი,

რას წამოდექი და დაუტევე ადგილი შენი

და სწრაფლ ამხედრდი შავ-ფაფარა ბედაურ ცხენზე,

და თან იახლე ჭროლა თვალთა ჯიგითთა რაზმი,

და ის ჭრელი მთა, დამრეცი და ძნელა სავალი, შენ

გადალახე,

და მდინარენი, მოჩხრიალე და ბობოქარნი, შენ

გადაცურე,

ლამით მიხვედი პირსისხლიან ურჯულოთ მხარეს,

და როს ეძგერე ბუღასა შავსა, რაც მთლად დაფშვენი,

და როს ლომს, ძლიერს წელში ეცი, ორად მოზნიქე,

შავი აქლემი როცა გეძგერა, რატომ შეყოვნდი?!

ამ მთასა შავსა სწრაფლ გადავა ამბავი შენი,

ამ მდინარესაც სისხლით ავსილს, ვასცდება ხმები

და სახელოვან ოლუზთა მხარეს მიალწევს.

ასე იტყვიან: რა დამართვია კანლი კოჯას ძეს კან

თურალის.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა ეძგერა შავი ბუღა, ხმლით აკუწა.

როცა ეძგერა ლომი მბრდღვინავი, წელში გაზნიქა.

როცა ეძგერა შავი აქლემი, რატომ შეყოვნდა?

გაიტლიკება დიდი თუ მცირე,

გაილექსება ქალი თუ კაცი,

დაგიღონდება თეთრწვერა მამა,

სისხლის ცრემლს დაღვრის დედა მოხუცი.

თუ ვერ აღგები და გასწორდები, შენ ხანო ჩვენო,

ზურგს უკან გადგას ხმალშემართული ექვსი ჯალათი,

და უმეცრობით წაგაცლიან მაგ ლამაზ თავსა.

განა ვერ შესძლებ აიხედო ქვემოდან ზემოთ.

თავს დაგტრიალებს კრელი ბატი,

ვეღარ მიაგდებ მაგ შენ შავარდენს?!

ყვითლად მოსილი სელჯენ ხათუნი განიშნებს რასმეს,

ნუთუ ვერ ხედავ?!

შენზე ამბობენ აქლემის დრუნჩით განიგმირება,

ნუთუ არ იცი?!

ყვითლად მოსილი სელჯენ ხათუნი კოშკიდან გიმზერს,

ვისაც შეხედავს, სიყვარულის ცეცხლით წვავს წამსვე,

ყვითლად მოსილი ასულისათვის ახსენე ღმერთი შენ

კან თურალი!

კან თურალი წამოდგება და მათ ეტყვის: მე რომ აქლემს დრუნჩზე მოვე-
ჭიდო, იტყვიან იმ გოგოს სიყვარულით მოიმოქმედაო ეს საქმე. ხვალ ოლუზთა
მხარეს ამბავი ჩავა, აქლემი იმსხვერპლა, ქალი გადაარჩინაო. აბა, ჩემი ხელის
კოფუზი დაუკარით, შემაქეთ მე მაღალ შემოქმედს, ღმერთს მივენდე, განა
აქლემს გავექცევი? ინშალაჰ, ამასაც თავს მოვაჭრიო.

ჯიგითებმა კან თურალი შეაქეს, ხოტბა უთხრეს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა
უთხრეს:

მაღალ კლდის ქიმზე ბუღეს რომ იღებს,

ღვთის სიახლოვეს რომ მიქრის-მოქრის,

ლოდსატყორცნიდან გატყორცნილი ლოდის ზუზუნით

ძირს რომ ეშვება

და წმინდა ტბაზე იხვს რომ იპყრობს გაშმაგებული,

ბრდღვნის, გლეჯს და წეწავს გამწარებული;

როს მოშივდება კვლავ იჭრება ცაში კამარით

მეფე ფრთოსანთა, ის შავ-თეთრა ლალი ფრინველი

განა ოდესმე მას ფრთას გაკრავს კაჭკაფი კრელი?!

განა ოდესმე მტერს ზურგს აქცევს ჯიგითი ძველი?!

უთხრეს და კვლავ დაამატეს:

ყვითლად მოსილი სელჯენ ხათუნი კოშკიდან გიმზერს,

ვისაც შეხედავს, სიყვარულის ცეცხლით წვავს უმაღ,

ყვითლად მოსილი ასულისათვის ახსენე ღმერთი,

შენ კან თურალი!

კან თურალიმ ლოცვა აღავლინა ღირსეული მუჰამედის სახელზე. აქლემს ერთი წიხლი ჰკრა, აქლემმა დაიბლაღლა. ერთი კიდევ შემოჰკრა, აქლემმა თავი ვერ შეიკავა და დაეცა. წამოჯდა და ორ ადგილას კისერი გამოდიდრა. ზურგიდან ორი საქამრე ააჭრა. მბრძანებელს წინ მიუგდო, უთხრა: „შენს ღვაზაკებს საისრეს შესაკვრელად, უზანგის ღვედების გამოსაჭრელად მს რაიმეს შესაკერად გამოადგებათო.“

მბრძანებელი იტყვის: ღმერთმანი, ეს ჯიგითი თვალთ მომივიდა, გულით შემიყვარდა. ორმოც ადგილას კარვები ააგეთ. ორმოც ადგილას წითელ-ჭრელა საქორწილო კარვები ააგებინა.

კან თურალი ასულთან ერთად საქორწილო კარავში შეიყვანეს. აქ დატოვეს. ოზანი მოვიდა და იეთლემე დაიწყო.

ოღუზი ჯიგითი განრისხდა, ხმალი იძრო, მიწას დაარტყა, გააპო, თქვა: ამ ადგილივით გავიპო, მიწასავით დავიფშვნა, ჩემი ხმლით ავიკუწო, ჩემი ისრით განვიგმირო, ვაჟი არ შემეძინოს, თუ კი დამეზადება ათ ღლეს ვერ იცოცხლოს თუ ამ საქორწილო კარავში ისე შევიღე, რომ მამაჩემის და დედაჩემის სახე არ ვიხილო.

თავის კარავი დააშლევინა, აქლემთა ჯოგი ააბლაღლა. ბედაური ცხენები ააჭიხვინა, მოსალამოვდა და გზას დაადგა.

შვიდი ღლე და ღამე იარა. ოღუზთა საზღვრებს მიაღწია, კარავი აღამართვინა. კან თურალი იტყვის:

„ეი, ჩემო ორმოცო მეგობარო და ამხანაგო

ჩემი თავი თქვენი სამსხვერპლო იყოს

მაღალმა ღმერთმა გზა მაჩვენა. წავედი ის სამი მხეცი მოვკალი. ყვითლებში მოსილი სელჯენ ხათუნი შევირთე, მოვედი. წადით, აუწყეთ, მამაჩემი შემეგებოს!

კან თურალიმ გაიხედა და ნახა, რომ იმ ადგილას, სადაც გაჩერდა, გედები, წეროები, ღურუჯები, მწყერები დაფრინავენ. ცივ-ცივი წყლები მოჩხრიალებს, ყვავილნარით და მდელოებით მოფენილია იქაურობა. სელჯენ ხათუნი ამ ადგილმა მოხიბლა. დაწვნენ, მხიარულებას მიეცენ. სვეს, ჭამეს. იმ დროს ოღუზთა ბეგებს თუ რამ უბედურება ეწეოდა, ძილის მიზეზით. კან თურალის ძილი მოერია. დაიძინა. როცა ეძინა, ქალმა თქვა: „მე მრავალი თაყვანისმცემელი და გამიჯნული მყავს, მოულოდნელად არ დაგვესხან თავს. არ შეგვიპყროხ და ჩემი ჯიგითი არ მოკლან. მე კი, თეთრსახა პატარძალი, არ შემიპყრონ და კვლავ მამაჩემის და დედაჩემის სახლში არ ჩამიყვანონო. კან თურალის ცხენს ჯავშანი მოასხა, თავადაც თორი გადაიცვა. შუბი ხელში აიღო და ერთ მაღალ მთაზე ავიდა, იქიდან უმზერდა.

ამასობაში კი, ჩემო ხანო, მბრძანებელმა წუხილი დაიწყო. სამი ცხოველის მოკვლის გამო, ჩემი ერთადერთი ქალიშვილი წაიყვანათ. შეარჩია ექვსასი შავად მოსილი, აბჯარასხმული გიაურა. ღლე და ღამ მიაქროლებდნენ და წამოეწიენ.

ქალი მზად იყო. ნახა, რომ თავს უნდა დაესხან, ცხენი გაახურა. კან თურალისთან მოვიდა. უთხრა, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთხრა: ეტყვის:

დაუდევრობა ხელს არ მოგვცემს, თავი აწიე, ჯიგითო!

ეგ თვალეზი, ჭრელად ხატულნი, ახილე, ჯიგითო!

ეგ თეთრი მკლავნი, ვიდრე მაგრა არ გაუკოჭავთ,

ეგ თეთრი თავი, ვიდრე შავ მიწას არ ჩაუფლიათ,

ეგ თავი შენი ღირსეული, ვიდრე ხმლით არ მოუჭრიათ,
ეს სისხლი შენი ძალზე წითელი, ვიდრე მიწაზე არ
დაუღვრიათ.



მტერი მოგვიხტა, თავს წამოგვადგა, შენ რაღას წევხარ
ადექ, ჭიგითო!

მაღალი კლდენი არ შეძრულან, მიწა დაიბზარა რად?
მოხუცი ბეგები არ დახოცილან, ხალხი განმარტოვდა
რად?

რად აღირია, რად აისია, მთიდან სწრაფლ დაეშვა რად?
ვიდრე გეძინა, მტერი მოგვიხტა, რა დასაწოლი და საამო
ადგილი ჰპოვე,

რა გემართება, ადექ ჭიგითო!

კან თურალი შეიძრა. გამოიღვიძა, წამოდგა და ეტყვის: რას ამბობ, ჩემო
მშვენიერო. ქალი უპასუხებს: ჩემო ჭიგითო, მტერი დაგესხა. გაღვიძება ჩემი
საქმეა, ბრძოლა და გმირობის ჩვენება შენით.

კან თურალიმ თვალი გაახილა, წამწამები აწია, ნახა: პატარძალი ცხენზე
ამხედრებულა, ხელში შუბი უჭირავს. მიწას აკოცა და თქვა:

ჩვენ შევიცანით ალაპის სიტყვა და ვიწამეთ, ჩვენმა მიზანმა მაღალი
ღმერთის დერგაჰში ჰპოვა გასხივოსნება, — თქვა და წმინდა წყლით აბდესთი
მიიღო, თეთრი შუბლი მიწას დაადო, ორი რეჟათა ნამაზი გააკეთა. ცხენზე ამ-
ხედრდა, ახსენა სახელოვანი მუჰამედის სახელი. შავად შემოსილი გიაურები-
საკენ ცხენი აფრინა, წინიდან დაუხვდა.

სელჯენ ხათუნმა ცხენი გაახურა, კან თურალის წინ გაუჭროლა. კან თუ-
რალიმ სიტყვა დაადევნა: მშვენიერო ჩემო, საით მიჭრიხარო?

ქალი ეტყვის: ბეგო ჭიგითო. თავი თუ მთელია, ქუდიც მოინახებო. მოძ-
ხდური ურჯულოები მრავალზე მრავალია. შევერკინებით, შევებრძოლებით,
ვინც მოკვდება, მოკვდეს, ცოცხლად დარჩენილი კი კარავში მოვიდესო.

აქ სელჯენ ხათუნმა ცხენი გააქენა, მოწინააღმდეგეს შეუტია. გაქცეულს
არ გამოეკიდა, მაპატიეო, ვინც სთხოვა, არ მოკლა, იფიქრა, მტერი დამარცხე-
ბულია და კარავში დაბრუნდა. ხმალი ყუამდე სისხლში ჰქონდა ამოსვრილი.
მაგრამ კან თურალი ვერსად ნახა.

ამასობაში კან თურალის დედ-მამაც მოვიდა. ნახეს, რომ ამ დაძვდურ
ადამიანს ხმალი მთლიანად სისხლში აქვს ამოსვრილი, ვაჟი კი არსად ჩანს,
ამბავი ჰკითხეს, ვნახოთ, რა ჰკითხეს: დედა ეტყვის:

„დედილავე ჩემო, შვილო ჩემო,
დილა აღრიან ადექი განა?

ეული ვაჟი მარტოხელა, შეიპყარ განა?

და უმეცრეთ თავი, ლამაზი წარკვეთე განა!

— ვაი დედავ და მამავ ბატონოო, — ატირე განა?

შენ მოხვედი და ჩემი ბეგი არსად ჩანს განა?

სულ მთლად დამეწვა, დამედაგა გულის ფიცარი.

ხმა ამოიღე, სიტყვა დაძარ, რამე მითხარი.

მამიტანია, თავი ჩემი, სამსხვერპლოდ შენდა!

ასული მიხვდა, რომ მისი დედამთილი და მამამთილი იყო. ძათრახით ნი-
შანი მისცა, კარავში შებრძანდით; — უთხრა, — სადაც მტერი ეშვება და
ირევა და სადაც ყვავ-ყორანი დასტრიალებს, იქ ვეძებოთო. ცხენს დეზი ჰკრა,
ერთ მაღალ მთაზე ავიდა. იქიდან გაიხედა, ნახა, რომ ერთი მტერი მტვერი
ხან გროვდება, ხან იფანტება. იქითკენ გაემართა, ნახა კან თურალის ცხენი
მთლად დაისრულია, თავად დაისრულია. სახე მთლად სისხლში აქვს მოსვრი-
ლი, განუწყვეტლივ სისხლს იწმენდს. ურჯულოები ეხვევიან, ხმაღს იშიშვ-
ლებს, ურჯულოებს მიერეკება.

სელჯენ ხათუნმა ეს რომ დაინახა, ცეცხლი მოედო. ცხენი მიაგლო გააუ-
რებს, ისე გაერია, ვითარც შავარდენი იხვთა გუნდში. ერთი თავიდან მეორე
ბოლოში გავიდა.

კან თურალიმ ნახა, რომ ვიღაცამ მტერი წინ გაირეკა, გამოეკიდა. არ
იცოდა, სელჯენ ხათუნი თუ იყო. აქ უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:

რომ წამომდგარხარ, გამზადებულხარ,
ჯიგითო, ვინა ხარ?!
ამხედრებულხარ შავფაფარა ბედაურ ცხენზე
ჯიგითო, ვინ ხარ?
არა რა უწყი, ისე კვეთ თავებს,
ჯიგითო, ვინ ხარ?!
მე არა მკითხე, ჩემ მტერს დაესხი,
ჯიგითო, ვინ ხარ?!
ასე მოქცევა ჩვენ მხარეში
დამცირება და თავის მოჭრაა!
მაშ, აბა, წადი!
თუ გამოვისხა, შავარდენის ფრთები და ცად აღვიდე,
და ვიდრე გონზე მოეგები, თავი მოგაჭრა,
და თავი შენი შავზე-შავი, ცხენის კუდს ვაბა?!
და თავი შენი შავზე-შავი, ცხენის კუდს ვაბა?!
განგების ზარმა დარეკა, ალბათ,
ჯიგითო, ვინ ხარ?!
გიჯობს დაბრუნდე; ჩამომეცალო!

სელჯენ ხათუნს აქ უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:

ჯიგითო ჩემო, ბეგო ჩემო!
ვის გაუგია, აქლემთა ჯოგში წითელ აქლემებს
ზურგი ექციოთ კოზაკებისთვის?!
ვის გაუგია, რომ თავლაში ბედაურ ცხენებს
თავის კვიცები დაეწიხლოთ?!
ვის გაუგია, რომ ფარეხში თეთრსა ცხვარს
რქებზე წამოეგოს თავისი ბატკანი?!
განა ჯიგითნი მამაცნ, მამრნი
თავის გულისწორს ასაკუწად გაიმეტებენ?!

ჩემო ჯიგითო, ჩემო ბეგო ჯიგითო, ამ ურჯულოთა ერთი ნაწილი შენზე
იყოს, მეორე ნაწილს მე გავუსწორდები. კან თურალი მიხვდა, რომ ის, ვინც

მტერს ასე შეუტია და არივ-დარია, სელჯენ ხათუნი იყო. მეორე მხრივ ის შეი-
კრა მტრების რიგებში, ხმალამოწვდილი, მარცხნივ და მარჯვნივ თავებს კვეთდა.
მტერი დამარცხდა და განადგურდა. სელჯენ ხათუნმა კან თურალი უკან მოი-
სვა და წამოვიდა. გზაზე კან თურალის ასეთი ფიქრი დაეხატა:

მარცხნივ
ნივთი

შენ როს ადგები, სელჯენ ხათუნ,
და ამხედრდები შავ-ფაფარა ცხენზე,
როს მამაჩემის თეთრბანიანს სახლის ზღურბლს მიხვალ,
და როს წართქვამენ ლოცვას გრძელსა ჭრელ-თვალეხსა
ოღუზთ ქალები,

და როს ყველა კაცს თავის სიტყვა ექნეს სათქმელი,
შენ იქ იქნები და ტრაბახით რაიმეს იტყვი,
რომ კან თურალი დაუძღურდა, ღონე წაერთვა
და მე ჩემს ცხენზე შემოვისვი, გადავარჩინე.
ახლა თვალთ ბინდი მეფარება, ცეცხლი მეღება
სიცოცხლე უნდა მოგისწრაფო, ბოლო მოგილო!

სელჯენ ხათუნი მიხვდა, თუ რა მოხდა. აქ იტყვის, ვნახოთ, ხანო ჩემო რას
იტყვის:

ბეგო ჯიგითო,
თუ ვინმეს ეთქმის საქები სიტყვა,
ვაჟმა უნდა თქვას, ლომად შობილა.
ღიაცად შობილთ არ შეშვენით ცრუ ქება თვისი.
თვით გადიდებით ქალი ვაჟად როდი იქცევა?!
ჭრელი საბნის ქვეშ მე შენ გვერდით არა ვწოლილვარ,
ბაგენი შენნი ტკბილზე ტკბილი არ მიგემია,
წითელ დუვაქქვეშ სიტყვა შენი არა მსმენია,
სწრაფ შემიყვარე და ასევე სწრაფად შეგჯავრდი,
შენ ნაძირალავ, ნაბიჭვარო, ნაძირლის ძეო!
თვით ღმერთმა უწყის, თუ რა ოდენ გეტრფის ეს გული!

კან თურალი კვლავ ეტყვის: არ უეჭველად უნდა მოგკლავო. ქალი აქ უფრო
გაკაპასდება, ეტყვის, ეი, ნაბიჭვარო, ნაძირალავ, მე შენსკენ და შენ ეშმაკების-
კენ, მოდი ნაძირალას ძევ, ისრით გინდა თუ ხმლით შევერკინოთ, თქვა და
ცხენი გააჩერა მაღალ ადგილზე. ააგელვა, კაპარჭიდან ოთხმოცდაათი ისარი
გადმოყარა, ორ ისარს რკინის წვერი მოაძრო, ერთი მოსაზიდად მშვილდის
ლარს გამოდო, მეორე ხელში დაიჭირა, ვერ გაიმეტა რკინის წვერიანი ისრის
სროლა. ეტყვის; აბა, ჯიგითო, მესროლეო.

კან თურალი უპასუხებს:

— ვაჟკაცს ეგების ქალის პატივისცემა, გზის დათმობა. ჯერ შენ მესროლე.
ქალმა ისარი ისე სტყორცნა კან თურალის, თავზე ტილი რომ დაუდიოდა,
მის ფერხთით დაეცა. ის წინ წამოდგა, სელჯენ ხათუნს მოეხვია, 'შერიგდხეხ,
ურთიერთი გადაკოცნეს.

კან თურალს უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:

ფერად-ფერად მოსილო და სხივ შუქჩამდგარო ჩემო,
როს დაგოგმანებ, თითქოს მიწას არ ეკარები,
საროსტანიანო ჩემო,

ფიფქივით თვალზე თითქოს სისხლის წვეთი კიაფობს,
 წითელ ლოყებზე ჩემო,
 ორი ნუშიც რომ ვერ გეტყვია, მომცრო პირიანო ჩემო,
 თითქოს ყალმოსნებს მოუხატავს წარბები შენე, მწვეული
 წარბეჭნულ ჩემო,
 ორმოც თუთმანის სიგრძის ნაწნავი ამშვენებს შენს
 წელს, ნახშირთმიანო ჩემო.

შენ ძევ ლომისავ, სულთანის ასულო,
 ვერ გაგიმეტებ მე სასიკვდილოდ,
 მიჯობს, რომ თავი მოვიკლა უმალ,
 მე მხოლოდ შენი გამოცდა მსურდა და არა მოკვლა,
 უწყოდე, სულო!

სელჯენ ხათუნიც აქ იტყვის, ვნახოთ, ხანო ჩემო, რას იტყვის:
 როს ავდგებოდი და ჩემ სადგომს მივატოვებდი,
 და შავფაფარა ბედაურ ცხენს მოვახტებოდი,
 და მამაჩემის თეთრბანიან სახლს დავტოვებდი
 დამრეც ციცაბო იმ ჭრელ მთებზე მე ვნადირობდი,
 ჭრელ ჯეირანსა და კლდის ჯიხვსა უკან დავდევი,
 მშვილდს მოვზიდავი, ერთი ისრით რას ჩავიდოდი,
 ისარს, ბუნკუკი რომ არ გააჩნდა, როგორ ვტყორცნიდი.
 მე მხოლოდ შენი გამოცდა მსურდა.
 მე სასიკვდილოდ ვერ გიმეტებდი.

ურთიერთს მიახლოვდნენ. ურთიერთს მაგრა მიეჭიდნენ, ჩაეხუტნენ, ბაგე-
 ბაგეს მიაგებეს, დაეწაფნენ. თეთრ ქურანა ცხენზე ამხედრდნენ, გააჭენეს, მამა
 ბატონთან მივიდნენ.

მამამ თავის ვაჟი რომ დაინახა, ალაჰს მადლობა უთხრა. კანლი კოჯა
 თავის ვაჟით და პატარძლით ოღუზებში მივიდა. მწვანე აყვავებულ ველზე კა-
 რავი აღმართეს. ულაყი, ლოინი, ყოჩი დაკლეს. ქორწილი გადაიხადეს, ძალო-
 ვანი ოღუზ ბეგებს უმასპინძლეს.

მოოქროვილი საჩრდილობელი აღმართეს. კან თურალი საქორწილო კა-
 რავში შევიდა, თავის წადილს ეწია.

მოვიდა ჩემი დედე ქორჭუთი დაუკრა სამხიარულო, ადიდა გვარი და მო-
 დგმა, თქვა რა გადახდა — მამაც ყაზიებს:

სადღა არიან ის ჯიგითები,
 რომ ჩემულობდნენ ამ ბნელ ქვეყანას,
 მოუხტათ კარზე აჯალი მწყრალი
 და მათი თავი მიწაში ჩაფლა.
 ვის შერჩენია ეს ქვეყანა, ცრუ წარმავალი,
 მომსვლელთ-წამსვლელთა ადგილი და მარად სავალი,
 ქვეყანა, რომლის დაარსებულაც სიკვდილი არის.

როს დარეკავს სიკვდილის ზარი, წმინდა სარწმუნოებას არ განგაშოროს
 ღმერთმა, ყოვლის შემძლემ მუხანათებს არ დაგაკავშიროს, ალაჰის ხაწყალობი
 იმედი არ გაგცრუებოდეს.

შენ თეთრ შუბლს ხუთი სიტყვისგან შემდგარ ლოცვას ვუძღვნით, ისმი-
 ნოს უფალმა ვინც თქვას ამინ, მან იხილოს სახე ღვთისა, გამრავლოს და გა-

ძლიეროს უფალმა, შენი ცოდვანი სახელდებულ და სახელოვანი მუჰამედეს-
თვის მოგიტევოს უფალმა, ხანო ჩემო!

კაზილიკ კოჯას ძის იეგენეჟის ამბავი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქამ ჰანის ძე ბაინდურ ხანი ამდგარა და შავ მიწაზე თეთრთაფიანი კარავი აღუმართვინებია. ჭრელი საჩრდილობელი ცათამდე აუწვდენიათ. ათას ადგილას აბრეშუმის ხალები დაუგიათ, შიდა და გარე ოლუზთა ბეგები სამასლა-ათოდ შეკრებილან, სმა-ჰამას მისცემიან.

ერთი კაცი იყო, სახელად კაზილიკ კოჯას ეტყოდნენ. ხანის ვეზირი იყო. დრო რომ გამოხდა, ღვინო თავში შეუჯდა ღონიერ მუხლებზე დაიჩოქა და თხოვა ბაინდურ ხანს ნებართვა გალაშქრებისა. ბაინდურ ხანმაც დასტური მისცა, უთხრა, სადაც გინდა, იქ წადიო.

კაზილიკ კოჯა ნაცადი, გამობრძმედილი და მრავლის მნახველი ადამიანი იყო. შემოიკრიბა მამაცი მოხუცები, სურსათ-სანოვავით და საჭურველით მოიმარაგა და გზას გაუდგა. ბევრი იარა თუ ცოტა, მთა-ბარი გადაიარა და ერთ დღეს დუზმურდის ციხესთან მივიდა, შავი ზღვის პირას რომ იყო აღმართული. მას რომ მიაღწიეს, დაბანაკდნენ.

იმ ციხეს ერთი უფროსი ჰყავდა, სახელად არშუნის ძე დირექ თექურს ეტყოდნენ. ის ურჯულო სამოც არშინის სიმაღლე იყო, სამოც ბათმანიან გურზს იჭნევდა, ძალზე მძიმე მშვილდის მოზიდვა შეეძლო.

კაზილიკ კოჯამ ციხეს შეუტია და ბრძოლა დაიწყო. შემდეგ ის თექური ციხიდან გარეთ გამოვიდა. მოედანზე გავიდა, მამრი გამოითხოვა.

კაზილიკ კოჯამ ის რომ დაინახა, მაშინვე ადგილიდან წამოხტა, ყარა ყოჩის ცხენზე ამხედრდა, ბნელი სარწმუნოების ურჯულოს ქარივით შეუტია. წებოსავით გაეკრა ცხენს, ურჯულოს კეფაში დაჰკრა ხმალი, ოდნავადაც ვერ გაუჭრა.

ახლა რიგი გიაურზე მიდგა. ის სამოც ბათმანიანი გურზი ხელში აიღო, კაზილიკ კოჯას თავში ძლიერად ჩაართვა. ეს ცრუ ქვეყანა მთლად დაუვიწროვა. ცხვირ-პირიდან სისხლი თქრიალით წასკდა. დუღუკივით აჩხრიალდა სისხლი. კაზილიკ კოჯა შეიპყრეს, ციხეში დაამწყვდიეს. ჭიგითებმა ეს რომ დაინახეს, თავადაც დაძაბუნდნენ, ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა, გაიქცნენ.

კაზილიკ კოჯა ზუსტად თექვსმეტი წელი იჯდა ციხეში. იყო ვინმე ფალავანი ემენი, რომელმაც ექვსჯერ სცადა ციხის აღება და კაზილიკ კოჯას განთავისუფლება, მაგრამ ამაოდ...

ჩემო ხანო, როცა კაზილიკ კოჯამ ბაინდურ ხანს ხელზე აკოცა, წავიდა და დაატუსაღეს, ერთი ვაჟი ჰყავდა. მას აქეთ თხუთმეტი წელი გამოხდა, ვაჟი დავაჟკაცდა. ასე იცოდა, რომ თითქოს მამა მოუკვდა. ყველა გააფრთხილეს. არავინ უმხელდა, რომ მამამისი ტყვედ ჰყავდათ.

იმ ვაჟს იეგენეჟი ერქვა.

ერთ მშვენიერ დღესაც იეგენეჟი იჯდა და ბეგებთან საუბრობდა. ის და ყარა გუნეს ძე ბუდალი ვერ მორიგდნენ, წაკინკლავდნენ, მკვახე სიტყვები უთხრეს ურთიერთს. ბუდალი ეტყვის: აქ რომ ლაყბობ და ღლაბუცობ ამით რას აკეთებ? რადგან გწადია მამართან შერკინება, წადი მამაშენი დაიხსენი ურჯულოსაგან, თექვსმეტი წელია ტყვედ არისო.

იეგენეჟმა ეს რომ შეიტყო, გული ყელში მოებჯინა, შავი ჭიგარი დაე-

თუთქა, აღვა, ბაინდურ ხანთან მივიდა, თაყვანი სცა; აქ იეგენექს უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:

სისხამ დილით მოშორებით, გზის გადაღმა
რომ მართავენ თეთრთაგან კარავს შენსას,
ატლასისაგან რომ კერავენ
ცისფერ საჩრდილობელს შენსას,
რიგში მწკრივად რომ დევნიან
ლალ ბედაურთ, ცხენებს შენსას,
ხმამალლა რომ გაჰკივიან
გზის ჩაუშნი ნებას შენსას!
მოწყალევე და ხელგაშლილო
სუფრა უხვო, ხვაიანო!
ხელმოცარულ ჯიგითების დასაყრდენო,
ქვრივ-ობოლთა იმედო და დასანდობო,
თურქისტანის დედაბოძო.
თულუს ფრინველისა ბარტყო!
შენ ტიგროსის დიდო დარო,
ყარაჯულის ჭრელო ვეფხვო,
ბედნიერო, ხანო ჩემო!



— მე მეგონა, რომ მამაჩემი მიიცივალა, არა ვიცოდი რა, ახლა გავიგე, რომ ურჯულოების ტყვე ყოფილა; წყალობა ჰქმენ, შენ, ბედნიერების მოდგმავ, მე ლაშქარი მომეცი და სალაშქროდ გამიშვი იმ ციხეზე, სადაც მამაჩემი არის დატყვევებული.

ბაინდურ ხანმა ბრძანა: ოცდაოთხი სანჯაყის ბეგები აქ მოვიდნენო. შენთან წამოვიდეს, უპირველეს ყოვლისა, რკინის კარიბჭესთან, დერბენდში ბეგად მყოფი დელუ დუნდარის ძე ყიან სელჯუკი, რომელიც, როცა მტრის წინ აღმოჩნდება, არც კი იკითხავს ვინა ხარო, ისე წამოაგებს ბამბუკის შუბის წვერზე და ააბლავლებს.

და მერმე შენთან წამოვიდეს ეილიგი კოჯას ძე დოლექ ევრენი, აიგირი გოზლერის წყლები რომ გადაცურა ცხენით და ორმოცდაჩვიდმეტი ციხის გასაღები იგდო ხელთ. და კვლავაც შენთან წამოვიდეს იალრინჯის ძე ელალშიში, წყვილ კოშკიდან ნატყორცნ ისარს რომ არ უფრთხის და მერმე შენთან წამოვიდეს დოღსუნის ძე რუსტემი, რომელიც სისხლის ცრემლებს აფრქვევს, სამჯერ მტერი თუ არ ნახა და აგრევე შენთან წამოვიდეს დელი ევრენი, გველეშაპის პირიდან ადამიანებს რომ იხსნის.

და, ბოლოს, შენთან წამოვიდეს სოღან სარუ, რომელიც ჩემულობს ქვეყნის ერთი თავიდან მეორე თავში გავალო.

თუ კი ჩამოთვლას მოყვები ოღუზ ბეგებისა, ვერ დაასრულებ; ერთი სიტყვით, ბაინდურ-ხანმა ოცდაოთხი ფალავანი, სადროშის ბეგები — იეგენექის ლაშქარში განამწესა. ბეგები შეიკრიბენ, იარაღი აისხეს. გზას გაუდგნენ.

მაგრამ იმ ღამეს, იეგენექმა სიზმარი ნახა. სიზმარი მეგობრებს უთხრა, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთხრა, ეტყვის: ბეგებო, მეგობრებო, როცა უღარდელად ჩემი შავი თავი და თვალები ძილს მიეცა, სიზმარი ვნახე, როცა კი ჩემი ჭრულა თვალები გავახილე, ქვეყანა ვიხილე, ვნახე მოთეთრო ნაცრისფერ ცხენებს დაატყენებდნენ მხედრები. მე ჩემთან მოვიხმე გმირები, თეთრი ჩაჩქარი რომ ედგათ თავზე. თეთრწვეროსან დედე ქორქუთმა დამარიგა. წინ გაზიდული შავი

მთა გადავლაზე და გადაწოლილ შავ ზღვაში შევედი. ხისგან გემი გავაკეთე, თეთრი პერანგი გავიხადე, იალქნად გამოვიყენე. წინ გადაწოლილი ზღვა გავაპე. მეორე ნაპირზე, შავი მთის ერთ-ერთ კალთაზე ერთი მამრი შევაჩხიე, რომელსაც შუბლზე და თავზე ნათელი ედგა. ავდექი და ჩემი ბავშვები შუბი შევმართე და იმ კაცისკენ გავემართე. ის იყო მისთვის შუბი უნდა მიწერაო შევყოყმანდი, ერთი თვალი იმ კაცს შევაგლე, ბიძაჩემი ემენი იყო. შევიცანი, მივბრუნდი იმ კაცს მივესალმე: ოლუზთა მოდგმათა შორის, შენ რომელი ხარ-მეთქი, ვკითხე. წამწამები ასწია და სახეში შემომხედა: შვილო იეგენეკ, სად მიდიხარ? — მკითხა. მე ვუპასუხე: დუზმურდის ციხეში მამაჩემი დაუპატიმრებიათ, იქ მივდივარ-მეთქი.

აქ ბიძაჩემმა მითხრა, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა მითხრა. ემენი იტყვის:

როს დავქროდი შვიდი მხედრით, ქარიც კი ვერ
გვეწოდა,
მგელს ველისას წააგავდნენ, ჭიგიტები მე რომ
მახლდნენ,
შვიდი კაცი თუ მართავდა. ამ ჩემს მაგარ, მძიმე
მშვილდსა,
ვერხვის ისარს ვუკეთებდი, თანაც ოქროს წვეტიანსა,
ქარი ქროდა, წვიმა წვიმდა და ბურუსი იწვა მთებში,
შვიდჯერ შვიდგზის გავილაშქრე, ვერ ავიღე ციხე
ბნელში,
ჩემს უმჯობეს მამაცობას, შენ ვერა და ვერ ჩაიდენ,
გიჯობს უკან რომ დაბრუნდე, თორემ სურვილს ვერ
აიხდენ.

იეგენეკს სიზმარში ბიძამისისთვის უთქვამს, ვნახოთ ხანო ჩემო, რა უთქვამს:

როს შენ ადექი და ადგილიდან სწრაფლ წამოდექი,
თან არ იახლე ქრელთვალემა ოლუზთ ბეგები,
და არ იმხედრე ღირსეული ბრგე ჭიგიტები
დაიძმობილე ხუთახჩიანი მხდალი მხედრები.
და ამიტომაც ვერ დაამხე ციხის კედლები.

იტყვის იეგენეკი და კვლავ დაუმატებს:

ნება-ნება საჭმელად იაჰნია კარგი,
გვალვიან დღესა მოჩუხჩუხე წყაროა კარგი,
ბედნიერება მუდმივი და მყარია კარგი,
ცოდნასას თვისას რომ არ ივიწყებს, ჰკუა კარგი,
მტერს რომ არ უფრთხის, არ გაურბის, ვაჟია კარგი.

ეს სიზმარი იეგენეკმა მეგობრებს უამბო. თურმე ნუ იტყვი, ბიძამისი ემენი იმ დროს იქ სიახლოვეს იყო, ისიც თავის ბეგებით მოვიდა და მას შეუამხანაგდა, ყველანი ერთად გზას გაუდგნენ. ერთ მშვენიერ დღეს მიაღწიეს დუზმურდის ციხეს. დაბანაკდნენ, ალყა შემოარტყეს.

როცა ურჯულოებმა ისინი დაინახეს, თექურს, არშუნის ძეს ღირექს ყოველივე აუწყეს. იმ წყეულმა არ დაახანა და როგორც კი ეს ამბავი შეიტყო, შექურვილი ციხიდან გარეთ გამოვიდა, მომხვდურთ წინ დაუხვდა. მოედანზე გავიდა, მეტოქე გამოიძახა. ტყიან სელჩუქის ძე დელი დუნდარი ადგილიდან წამოდგა, სამოცი მუშტის სიგრძე თავისი ბასრი შუბი იღლიაში ამოიღო და

ურჯულოს შეუტია, იფიქრა ამ ურჯულოს პირისპირ გავგშირავო, გერ გავშირა. ურჯულო თექურმა ხელი წაავლო, დაკრა, შუბი გამოსწია, ხელიდან აართვა. ის სამოც ბათმანიანი გურზი კეფაში ჩასცხო, ჩაართყა, ეს ვრცელი ქვეყნად ვიწროდ უქცია და დაუბნელდა. ბედაური ცხენი უკან გამოაბრუნდა, უკან მოვიდა.

შენ ხარ მალალი

შემდგომ დოღექ ევრანმა, რომელსაც უკან დახევა არა სჩვევია, ცხენი გამოაგელვა და ექვს ფრთიან კვერთხით შეუტია და ძლიერად დაკრა ზემოდან, ვერ სძლია. თექურმა ხელიდან კვერთხი გამოგლიჯა, თავისი გურზი ზურგში ჩაკრა. ისიც დაძაბუნდა, ბედაური მოაბრუნა, უკან დაბრუნდა. რალა სიტყვა გავაგრძელო, ჩემო ხანო, ოცდაოთხი სანჯაყის ბეგს სძლია თექურმა.

შემდგომ კაზილიკ კოჯას ძე იეგენექი ადგილიდან წამოდგა. ახალგაზრდა ჯიგითი ალაპს დაენდო, ადიდა, მარადიული ღმერთი, ვნახოთ, ხანო ჩემო, როგორ ადიდა:

შენ ხარ მალალი

მალალთა შორის,

არავინ უწყის, თუ როგორი ხარ,

ძლიერო ღმერთო!

შენ დედათაგან არა შობილხარ;

შენ ხარ რომელსაც მამა არა გყავს,

არვის საკვები არ გიგემია,

არავინ ძალით არ დაგიჩაგრავს!

ერთარსება ხარ, ყველგან ერთი ხარ,

ღმერთო მფარველო და მწყალობელო!

შენ ხარ ადამის ამბალლებელი,

შენ ხარ ეშმაკის დამაქცეველი,

არ აპატიე მას ერთი ცოდვაც

და სამოთხედან განდევნე უმაღ.

ნემურდმა ცასა ისარი სტყორცნა,

შენ მოახვედრე გამოფატრულ თევზს,

შენ ხარ დიადი, არა გაქვს ზღვარი

შენ არ გაქვს ტანი, არცა სამზღვარი.

არ გაქვს სხეული, არც წინაპარი!

ვისაც ადაბლებ, არ განადიდებ

რასაც გათელავ, აღარ აღადგენ

შენ მაცხოვარო, ნათელო ღმერთო!

ვის აღამალლებ, ცაში აღავლენ,

შენ დიდებულო ზეშთა ნათელო,

თუ განურისხდი, გაანადგურებ,

შენ ძალოვანო, ყოვლის მსახვრელო!

მე შენს ერთობას მივანდე თავი

უფალო ღმერთო, ძალის მხეველო!

შენგან მოვითხოვ მე შემწეობას.

მე ცხენს მივაგდებ შავად მოსილს იმ ურჯულოსა,

და საქმე ჩემი შენ წარმართე საკეთილოსა.

ეს თქვა და მაშინვე ურჯულოს, რომელიც შავებში იყო გამოწყობილი, ცხენი მიაგდო. ქარივით გააქროლა ცხენი, წებოსავით გაეკრა ზედ. იმ ურჯუ-

ლოს მახვილი დაკრა მხარზე, აბჯარი და მხარი გაუბო. ექვსი თითის სიღრმეზე გაჭრა. შავმა სისხლმა იჩქეფა. შავი ტყავისგან შეკერილი წულა სისხლით ავესო. შავი თავი დაუტრიალდა, აერია გონება. მაშინვე ცხენი მოაბრუნა და ციხისაკენ მოქუსლა. იეგენეჭი ურჯულოს დაედევნა. ის იყო ურჯულო ცხენში უნდა შეესწრო, რომ იეგენეჭმა შავი ფოლადის ნაწრთობი ხმაღმამსმს ცხენს უსწორა და ისე შემოკრა, რომ თავი ბურთივით მიწაზე გაგორდა. მერე ცხენი მოაბრუნა და ლაშქართან მივიდა. ურჯულოებმა ეს რომ დაინახეს, იქნება ომი დამთავრდესო, დატყვევებული კაზილიკი კოჯა გამოუშვეს, ისიც მოვიდა. რკითხა, ჰეი, ბეგებო, ურჯულო ვინ მოკლაო. აქ მას უთქვამს. ვნახოთ ხანო ჩემო, რა უთქვამს:

აქლემთა ჯოგში დედა აქლემი დავტოვე მაკედ,
 ჯამა დაბადა თუ ლოინი — ეს მაცოდინა;
 მე შავ მხარეში თეთრი ცხვარი დავტოვე მაკედ,
 ყოჩი დაბადა თუ ცხვარი შვა — ეს მაცოდინა;
 ჭროლათვალება მშვენიერი ხათუნი ჩემი დავტოვე
 მიდგმულ

ასული იშვა თუ ვაჟი-მამრი — ეს მაცოდინა;
 ეი, ბეგებო, ჯიგითებო, მაუწყეთ რამე,
 ღვთის მადლითა და უფლის წყალობით.

იეგენეჭი მამას არაფერს არ აუწყებს, ის ეტყვის, ვნახოთ ხანო ჩემო, რას ეტყვის:

შენ რომ აქლემი დავტოვე მაკედ,
 მან ლოინი შვა;
 შავ მხარეში რომ ცხვარი დავტოვე მაკედ,
 მანაც ყოჩი შვა;
 ჭროლათვალება შენმა ხათუნმა
 ვაჟი დაბადა.

მამა-შვილმა იხილეს ურთიერთი. მერე ყველამ ერთად ციხეზე გაილაშქრა, შეუტია.

მამა-შვილი ურთიერთს გადაეჭდო, როგორც ორი ურთიერთ დანატრებული, დაწყურებული ადამიანი, აღმუვლდნენ ვითარცა უდაბურ ადგილას მგლები. ღმერთს მადლობა უთხრეს.

ციხე აიღეს, გადარჩენილი ეკლესიები დაანგრირეს, მათ ადგილზე მუხეტები ააგეს. მღვდლები დახოცეს, უზანი წაიკითხეს, დიდებულ ღმერთის სადიდებლად ხოტბა წარმოთქვეს.

ფრინველთაგან წითელსისხლიანი, ნაჭერთაგან საუკეთესო. ასულთაგან მზეთუნახავი, ცხრა ხელი ჩოხისაგან მოსირმული ჩოხა: ერთი სიტყვით ყველაფრისაგან ბაინდურ ხანისათვის მეხუთედი გამოყვეს. დანარჩენი ყაზიებს უწყალობეს, დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში.

მოვიდა ჩვენი დედე ქორჭუთი დესტანი თქვა და ადიდა შთამომავალი. ნახე როგორ თქვა. თქვა, ეს ოლუნამე იეგენეჭის იყოს, ჩემ შემდგომ მამაცმა მამრმა ჯიგითებმა თქვან, შუბლ გახსნილმა ჯომარდებმა ისმინონ.

დაგილოცავ ჩემო ხანო, შენი მშობლიური შავი მთები არ დაქცეულიყოს. ჩრდილის მომლები ვეება ხეები არ მოყრილიყოს. თეთრწვერა მამაშენის ადგილი სამოთხე იყოს. თეთრკულულა დედაშენის ადგილი ედემი იყოს. ბოლომდე წმინდა რწმენის არ განდგომოდე შენ, თეთრი შუბლის მადლმა, ხუთი

სიტყვით ლოცვა ვთქვით, ამინ იყოს. შენი ცოდვები მოგიტევოს უფალმა სახე-
ლოვანი მუჰამედის სახის სიყვარულით, ამინ ჩემო ხანო!



ცალთვალა ბასათის მოკვლის ამბავი

სიბრძნის მკვლელობა

ჰოდა ხანო ჩემო, ერთ დღესაც, როცა ოღუზები ჯერ კიდევ საკუთარ მიწაზე ესახლნენ, თავს მტერი დაეცა. ღამე იყო, აირ-დაირივნენ და გაიქც-გაპოიქცნენ.

როდესაც გარბოდნენ, არუზ კოჯას პატარა ვაჟი დაჰკარგოდა. ერთ ლომს ეპოვნა, წაეყვანა და გამოეზარდა. გავიდა ხანი. ოღუზები კვლავ დაბრუნდნენ და თავიანთ მიწაზე ისევ დასახლდნენ.

ოღუზ ხანის მეჯოგეები მოვიდნენ და ამბავი მოიტანეს; თქვეს ხანო ჩემო. ლელიანიდან ერთი ლომი გამოდის, ცხენს იტაცებს. კაცივით მიხრა-მოხრა აქვს. ცხენს წამოაქცევს, დააჯდება და სისხლსა სწოვსო.

მაშინ არუზი იტყვის, ხანო ჩემო, როგორც ჩანს, ჩემი ვაჟი უნდა იყოს, მტრის თავდასხმის დროს რომ დამეკარგაო.

ბეგები ამხედრდნენ, ლომის ბუნაგისკენ გასწიეს, ლომი წამოაგდეს და ბიჭი შეიპყრეს.

არუზმა ვაჟი შინ წაიყვანა. გაიხარეს, ჭამა-სმა გამართეს.

მაგრამ ვაჟი არ გაჩერდა, კვლავ ლომის ბუნაგს დაუბრუნდა.

ისევ დაიჭირეს და წამოიყვანეს, მოვიდა ჩვენი დედე ჟორჯუთი და უთხრა:

— ჩემო შვილო, შენ ადამიანი ხარ, ცხოველებთან რა გესაქმება! მოდი, კარგ ბედაურზე ამხედრდი, კარგ ვაჟკაცებთან იარე. შენ უფროს ძმას კიან სელჯუკი ჰქვია, შენი სახელი კი ბასათი იყოს. სახელი მე მოგეცი. სიცოცხლე ღმერთმა გიბოძოს.

ერთხელაც ოღუზები საიალალოდ გაემართნენ. არუზს ერთი მწყემსი ჰყავდა, სახელად კონურ კოჯა სარი ჩობანს ეძახდნენ. იმაზე ადრე საიალალოდ არავინ არ აიბარგებოდა. ერთი წყარო იყო, ის წყარო ყველამ იცოდა. გრძელ წყაროს უწოდებდნენ და იმ წყაროსთან ფერიები ბინადრობდნენ. უცებ ცხვრები აირ-დაირივნენ, დაფრთხნენ. მწყემსი ყოჩს გაუწყრა, წინ გავიდა — ფარას თავში მოექცა, ხედავს, რომ ფერიებს ფრთა-ფრთაზე გადაუბიათ და დაფრინავენ. მწყემსმა ნაბადი გადაუფრიალა და ერთი ფერია ნაბდის ქვეშ მოიძწყვდია. ვნებამ აიტანა და მასთან იცხოვრა. ცხვარი სულ მთლად აირ-დაირია, მწყემსი სასწრაფოდ ფარას თავში ჩაუდგა.

ფერიაში ფრთა-ფრთას შემოჰკრა და გაფრინდა, თან უთხრა: მწყემსო, წლის თავზე მოდი, შენგან დანატოვარი აიღე და წაიღე, მაგრამ იცოდე, ოღუზებს დიდი უბედურება მოუტანეო.

მწყემსს გულში შიში შეეპარა, გოგოზე დარდით კი სახე გაუყვითლდა.

დადგა დრო და ოღუზები კვლავ იალალოდ გავიდნენ. მწყემსი კვლავ მივიდა წყაროსთან. ცხვარი ისევ დაფრთხა. მწყემსი ფარას თავში მოექცა და რას ხედავს, გზაზე რაღაც ყრია და ისეთ სხივებს ისვრის, თვალსა ჭრის.

ფერია მოვიდა და უთხრა: მწყემსო, მოდი და შენი დანატოვარი წაიღე, მაგრამ, იცოდე, ოღუზებს თავს დიდი უბედურება დაატეხეო.

მწყემსმა ის გროვა რომ დაინახა, შეშინდა, უკან მობრუნდა, 'შურდულ'ში ქვა ჩასდო და ესროლა. ის გროვა გაიზარდა. მწყემსმა ის გროვა მიატოვა და გაიქცა. დამფრთხალი ცხვარი თან აედევნა.

ამ დროს ბაინდურ ხანი სასეირნოდ გამოსულიყო. ამ წყაროს თავთან მი-

ვიდა. ხედავენ, რომ ერთი რაღაც საოცარი რამ გაშლართულა, რომელსაც კაცი ვერც თავს გაუგებს და ვერც ბოლოს. წრე დაარტყეს, ცხენებიდან ჩამოხტნენ, ერთმა მამაცმა მას ფეხი წაართვა. ის რაღაც უცებ გაიზარდა. რამდენიმე მამაცი კიდევ ჩამოქვეითდა, იმათაც წაართვეს ფეხი. რამდენიც არ წაართვეს, იმდენი გაიზარდა, არუზ კოჯა ჩამოხტა ცხენიდან და დეზი წაჭყობა. მას ჩამოხტა გასკდა და შიგნიდან პატარა ბიჭი გამოხტა. ტანი ადამიანისა ჰქონდა, შუბლზე კი ერთი თვალი აჯდა.

არუზმა ის ვაჟი აიყვანა და კალთაში გამოახვია. თქვა: ხანო ჩემო, მომეცი ეს ბიჭი, ჩემ ვაჟთან, ბასათთან ერთად გავზარდო.

ბაინდურ ხანი დათანხმდა, შენი იყოსო, ასე უპასუხა.

არუზმა ცალთვალა შინ წამოიყვანა. ბრძანა და ძიძა მოვიდა, ძუძუ პირში ჩაუდო. იმან ერთი გამოსწოვა და რაც ძუძუში რძე უდგა, სულ გამოუშრო; მეორედ გამოსწოვა, სისხლი გამოაყოლა; მესამედ, როცა გამოსწოვა, სული გააფრთხობინა. რამდენი ძიძაც არ მოიყვანეს, ყველა მოკლა.

ხედავენ, რომ ასე არაფერი არ გამოვა. რძით უნდა გამოკვებონ. დღეში ერთი ქვაბი რძე არა ჰყოფნიდა.

გამოკვებეს. გაიზარდა, გავიღ-გამოვიდა, ბავშვებთან თამაში დაიწყო. ზოგს ცხვირი მოაქამა, ზოგს — ყური. ორდუს ხალხი დიდ გასაჭირში ჩავარდა. ველარ მოითმინეს, არუზს შესჩივლეს და შესტირეს.

არუზმა ცალთვალა ერთი კარგად მიბერტყა, დაუშალა. იმან არ დაიშალა. ბოლოს სახლიდან გააგდო.

ცალთვალას დედა ფერია მოფრინდა, თავის ვაჟს თითზე ბეჭედი წამოაცვა. უთხრა, შვილო, შენ ტანს ისარი ნუ გაეკარება, მახვილი ნუ გაჰკვეთსო.

ცალთვალა ოღუზებს გაექცა. ერთ მალალ მთაზე ავიდა და გზა გადალობა. ხალხს იტაცებდა, საშიშ ყაჩაღად გადაიქცა.

იმასთან რამდენიმე კაცი გაგზავნეს. ისარს ესროდნენ, არ იკარებდა, ხშალს ურტყამდნენ, ვერ აჭრევინებდნენ, ხელშუბებს უსობდნენ, არ ესობოდა. ცალთვალას ერთი მწყემსი და ერთიც ხეიბარი გადაურჩა. დანარჩენი შეჭამა. ცალთვალამ ოღუზთა ხალხის ჭამაც დაიწყო.

შეიყარნენ ოღუზები და ცალთვალასკენ გასწიეს.

ეს რომ ცალთვალამ დაინახა, გაცოფდა. ერთი ხე ძირ-ფესვიანად მოგლიჯა და ესროლა. ორმოცდაათი-სამოცი კაცი მოკლა. ვაჟკაცების თავკაცს ყაზახს დაარტყა თუ არა, ყაზახს ქვეყანა ეცოტავა... ყაზახის ძმას ყარა გუნეს ცალთვალამ არაქათი წაართვა და დააძაბუნა. დუზენის ვაჟი ალფრუსტემი მოწამებრივად დაეცა. ორივე ძმას წმინდასული ცალთვალამ წაართვა. უშუნ კოჯას ვაჟის მსგავსი ფალავნებიც კი მასთან ბრძოლაში დაეცნენ. რკინისაბჯრიანი მამაკე შემოაკვდა. ულვაშისხლიანი დუგდუზ ემინიც არაქათგამოლეული გამობრუნდა. თეთრწვერა არუზ კოჯას სისხლი აღინა, იმის ძეს კიან სელჯუკს შიშით ნალველი გაუხეთქა.

ოღუზებმა ცალთვალასგან სიკეთე ვერაფერი ნახეს, დაფრთხნენ და აიყარნენ. ცალთვალამ გზა გადაულობა და ყველანი დაიჭირა. ყველა უკან დააბრუნა.

ოღუზები შვიდჯერ აიყარნენ და გაიქცნენ. ცალთვალამ ყველანი დაიჭირა და შვიდჯერვე უკან დააბრუნა.

ოღუზები ცალთვალას ხელთ მთლად გაუბედურდნენ. წავიდნენ და დედე ქორჭუთი იხმეს. მოითათბირეს, წადიო, უთხრეს, მოელაპარაკეო.

გაგზავნეს ჩვენი დედე ქორჭუთი ცალთვალასთან. მივიდა, მიესალმა. ეუ-

ბნება: შვილო, ცალთვალავ, შენს ხელში ოღუზები მთლად გაუბედურდნენ, ილაჯი გაუწყდათ. შენთა ფეხთა მტერი შენთან გამომგზავნეს, ასე დაიშარეს ხარაჯას მივცემთო.

ცალთვალა ეტყვის, საჭმელად დღეში სამოცი კაცი მომცნო, მაშინ დედე ქორქუთი ეუბნება, ასე შენ ადამის მოდგმას დასწავლავადგურებ. დღეში ორ კაცსა და ხუთას ცხვარს მოგართმევთო.

დედე ქორქუთმა ასეთი პასუხი რომ გასცა, მაშინ ცალთვალა იტყვის, კარგი, ასე იყოს, მხოლოდ ორი კაცი მომიჩინეთ საჭმელ-სასმელი მომიზიდოსო.

დაბრუნდა დედა ქორქუთი, ოღუზებში მივიდა, ეტყვის — იუნლუ კოჯა და იაფალილუ კოჯა ცალთვალას გაუგზავნეთ სასმელ-საჭმელი მოუშადოს და ყოველ დღე ორი კაცი და ხუთასი ცხვარი მიართვითო.

ასე შეთანხმდნენ: ვისაც ოთხი შვილი ჰყავდა, ერთს აძლევდა და სამს იტოვებდა; ვისაც სამი ჰყავდა — ერთს აძლევდა და ორს იტოვებდა. ვისაც ორი ჰყავდა, ერთს აძლევდა და ერთსაც იტოვებდა.

ერთი კაცი იყო, კაფაკ კანს ეძახდნენ, ორი ვაჟი ჰყავდა. ერთი ვაჟი მისცა და ერთი დაიტოვა. რიგი მობრუნდა და ჯერი კვლავ მასზე დადგა.

დედამ კივილი ატეხა, ატირდა, ზარი და მოთქმა გააბა.

ამ დროს, ხანო ჩემო, არუზის ძე ბასათი სალაშქროდ ყოფილიყო და ამ სოფელზე გამოიარა.

მოხუცმა ქალმა იფიქრა, ბასათი ახლა დაბრუნდა, სამეკობროდ იყო წასული. იქნებ ერთი ტყვე მომცეს და ჩემ ბიჭს გადავარჩინო.

ბასათი თავის მოოქროვილ საჩრდილობელში იჯდა, როცა დაინახა, რომ მას ერთი ქალი მიუახლოვდა. ის ქალი შიგნით შევიდა, მიესალმა და ატირდა:

თხის რქებისგან გაკეთებული მაგარი მშვილდის მფლობელო, შიდა ოღუზებში თუ გარე ოღუზებში სახელგანთქმულო, არუზის ძეო, ხანო ჩემო, მიშველე რამე!

ბასათი ჰკითხავს, რა გინდაო.

მაშინ მოხუცი დედაკაცი ეუბნება:

ამ ცრუ წუთისოფელში ერთი ვაჟი გამოჩნდა. ოღუზის ხალხი იალალზე არ გააჩერა. შავი ფოლადის მახვილებს ურტყამდნენ. თმის ბეწვიც ვერ გაუჭრეს, გრძელი შუბები იხმარეს, ახლოს ვერ გააკარეს, რცხილის ისრები დაუშინეს, ვერაფერი დააკლეს. გმირთა თავკაცი ყაზანი და იმისი ძმა ყარა გუნე არაქათგამოლეულები დაყარა. უღვაშისხლიანი ბულდუზ ეიშინი ვერაფერს გახდა. თეთრწვერა მამაშენს, არუზს, სისხლი აღინა. შენ ძმას, ყიან სელჯუკს ბრძოლის ველზე შიშისგან ნალველი გაუსკდა და სული განუტევა. ძალოვან ოღუზთა ბეგები ზოგი დაიმონა, ზოგი შეჰიდათ დაეცა. შვიდჯერ აიყარნენ ოღუზები, გაცლა უნდოდათ, შვიდჯერვე უკან დააბრუნა. დედე ქორქუთმა პირობა დაუდო, დღეში ორი კაცი და ხუთასი ცხვარი უნდა მივართვათ. იუნლუ კოჯა და იაფალილუ კოჯა ფარეშებად დაუყენეს. ვისაც სამი ვაჟი ჰყავდა ერთი მისცა, ორი დაიტოვა; ვისაც ორი ჰყავდა, ერთი მისცა. მე ორი ვაჟი მყავდა, ერთი მივეცი და ერთიც დავირჩინე, რიგი მობრუნდა და კვლავ ჩემი ჯერია. ისიც უნდა წაიყვანონ. ხანო ჩემო, დამეხმარე!

ბასათს სისხლიანი თვალეები ცრემლით აევსო. თავისი საწყალი ძმისთვის უთქვამს. ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:



მთის ფერდობზე წამოჭიმული შენი კარვები
 იმ უღმობელმა დააქცევინა ალბათ, ძმაო,
 შენი მოჭირითე ცხენები თავლიდან
 იმ უღმობელმა ამოარჩევინა, ალბათ, ძმაო.
 შენი აქლემის ჯოგიდან მორბენლები
 იმ უღმობელმა გამოარჩია, ალბათ, ძმაო.
 შენს წვეულებებზე დასაკლავი ცხვარი
 იმ უღმობელმა გაანადგურა, ალბათ, ძმაო.
 სიამაყით მოყვანილ შენს პატარძალს
 იმ უღმობელმა დაგაშორა, ალბათ, ძმაო.
 თეთრწვერა მამაჩემი —
 შვილო, შვილო, აატირა, ალბათ, ძმაო,
 თეთრ პირსახიანი დედაჩემი
 შვილო, შვილო, ცრემლად დაღვარა, ალბათ, ძმაო...
 ჩემს წინ გაწოლილი შავი მთის მწვერვალო, ძმაო,
 ჩემი ლამაზი მდინარეების აზვირთებავ, ძმაო,
 ჩემი მძლავრი წელის ძალავ,
 ჩემი შავი თვალების სინათლევე, ძმაო,
 მე ჩემი ძმისაგან შორს ვიმყოფები!

ესა თქვა და ძალზე ატირდა, ზარი და ვაება შექმნა. იმ ქალს ერთი ტყვე
 მისცა და უთხრა, წაიყვანე და შენი შვილი გამოიხსენიო.

ხათუნმა ტყვე წაიყვანა და ჩააბარა. თანაც არუხს ახარა, ვაჟი დაგი-
 ბრუნდაო.

არუხმა გაიხარა, მძლე ოლუზთა ბეგებთან ერთად ბასათს ეწვია.

ბასათმა მამას ხელზე აკოცა, იტირეს და იბღავლეს.

დედის სახლისაკენ გაემართა. დედა გამოეგება, თავის ვაჟს გადაეხვია.
 ბასათმა დედას ხელზე აკოცა. ერთმანეთი ნახეს და იბღავლეს.

ოლუზთა ბეგები შეიკრიბნენ, ჭამა-სმა გამართეს.

ბასათი იტყვის, ბეგებო, ჩემი ძმის გულისთვის ცალთვალას უნდა შევე-
 კიდო, რას იტყვითო?

აქ ყაზან ბეგს უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:

შავი გველეშაპი გამოტყვრა — ცალთვალა,

ზეცის მადლმა, ალყაში მოვიქციე, ვერას გავხდი, ბასათ;

შავი ვეფხვი გამოტყვრა — ცალთვალა,

შავ-შავ მთებზე ალყაში მოვიქციე, ვერას გავხდი, ბასათ;

გაცოფებული ლომი გამოტყვრა — ცალთვალა,

გაუვალ ლელიანში ალყაში მოვიქციე, ვერას გავხდი,
 ბასათ;

ვაუკაცი თუ ხარ, უფრო მეტიც თუ ხარ,

მაინც ჩემთან, ყაზანთაუ, ვერ მოხვალ, ბასათ.

თეთრწვერა მამაშენს ნუ აატირებ,

თეთრთმიან დედაშენს ნუ ააბღავლებ.

მაშინ ბასათი იტყვის. უეჭველად უნდა წავიდეთ.

ყაზანი უპასუხებს, შენ უკეთ იციო.

ბასათის მამა ატირდა, შვილო, კერას ეუღლად ნუ დამიტოვებ, სიკეთე

ჰქმენი და ნუ წახვალო. ბასათმა აიხირა — არა, თეთრწვერა ძვირფასო მამა, უნდა წავიდეო.

არ დაიშალა. კაპარტიდან ერთი ბლუჯა ისარი ამოაძრო. წელში გაიჩყო. ხმალი შემოირტყა. მშვილდი მხარზე გადაიგდო, კალთები აეჭყუტა, გაქოემშვიდობა, კარგად იყავითო, სიტყვა დაუტოვა.

იმ კლდის სასაკლაოსთან მივიდა, სადაც ცალთვალა ცხოვრობდა. ხედავს, ცალთვალა წევს, ზურგი მზისთვის მიუფიცხებია. მარტოა. წელიდან ერთი ისარი ამოიღო, ტყორცნა, გულში გაუწონა. ისარი სხეულში არ ჩაესო, კანზე დაიმსხვრა. ერთიც ესროლა, ისიც დაიმსხვრა.

ცალთვალა მოხუც ფარეშს ეუბნება, ამ ბუზებმა თავი მომაბეზრესო.

ბასათმა ერთიც ესროლა. ის ისარიც დაიმსხვრა. ერთი ნატეხი ცალთვალას წინ დაეცა.

ცალთვალა წამოხტა, შეხედა, ბასათი დაინახა. ხელი ხელს შემოჰკრა და გადაიხარხარა. მოხუც ფარეშებს ეუბნება, ოლუზებისაგან ერთი ბატკანი მოჩერჩეტებულაო.

ბასათი წინ გაიგდო, დაიჭირა, პირქვე დაჰკიდა, საწოლში შეათრია და ჩექმის ყელში ჩასტენა. მერე თქვა, ჰეი, მოხუცებო, სადილისთვის კარგად შემობრაწეთო. დაწვა და დაიძინა.

ბასათს ზედ ხანჯალი ჰქონდა. ჩექმა გაჭრა და გამოძვრა. მოხუცებს მიმართა, ჰეი, მოხუცებო, ამას რა მოჰკლავსო?

უპასუხეს, რომ არ ვიცით, მაგრამ იმ ერთი თვალის გარდა ხორცი არსად არ ასხიაო.

ბასათი ცალთვალას თავს წაადგა, წამწამები გადაუწია და ნახა, რომ თვალი მართლაც ხორცისა ჰქონდა. მოხუცებს მიუბრუნდა. აბა ერთი შამფური ცეცხლში ჩააგდეთ და გააწითლეთო.

შამფური ცეცხლში შეაგდეს, გავარვარდა. ბასათმა ხელთ აიღო, სახესხივოსან მუჰამედს მადლი შესწირა, მერე ის შამფური ცალთვალას იმ ერთადერთ თვალში ჩაჰკრა და გამოსთხარა კიდევ. იმან ერთი ისეთი იყვირა, ისე დაიღრიალა, რომ მთამ და კლდეებმა ხმა მისცა.

ბასათი გადახტა, გამოქვაბულში შევარდა და ცხვრებში გაერია.

ცალთვალა მიხვდა, რომ ბასათი გამოქვაბულში იმყოფებოდა. გამოქვაბულის გასასვლელში გადალაჯული ჩადგა და თქვა, აბა ერკემალო, ფარას თავში ჩაუდექი და გამოქვაბულიდან სათითაოდ გამოდიეთო!

ცხვრებმა სათითაოდ იწყეს გამოსვლა. ცალთვალა ყველას ხელს უსვამდა და ეუბნებოდა, თოხლებო, ჩემო დოვლათო, ნიშა ცხვარო, მოდი და გაიარეო. ერთი ცხვარი უცებ წამოხტა, გაიზმორა და ფეხები გაქიძა.

ბასათმა ცხვარი უმაღ დაკლა და გაატყავა. ღუმა და თავი ცხვარს არ მოაცილა. ტყავი გადაიკვა და ცალთვალას მიუახლოვდა.

ცალთვალამ იცოდა, რომ ბასათი ტყავში იყო გამოხვეული. თქვა: აბა, ჩემო ნიშა ცხვარო. ხომ იცი მე რაც მომკლავს? ახლა გამოქვაბულის კედელზე ისე მიგანარცხებ, რომ შენი ღუმა ზედ დარჩესო.

ბასათმა ცხვრის თავი ცალთვალას ხელში შეაჩეჩა. ცალთვალამ რქებში ხელი მაგრად ჩაავლო. როცა ასწია, რქები და ტყავი შერჩა ხელში.

ამასობაში ბასათი ცალთვალას ლაჯებში გაუძვრა და გაიქცა.

ცალთვალამ ტყავი რქებით ასწია და მიწას დაანარცხა. იტყვის, ვაჟო გადარჩიო?

ბასათი უპასუხებს, ღმერთმა გადამარჩინაო.

მაშინ ცალთვალა ეუბნება: ჰეი, ვაჟო, მოდი, ამ თითიდან ბეჭედი წამაძრე, შენ გაიკეთე. ისარი და მახვილი ვერაფერს დაგაკლებს.

ბასათმა წააძრო და თითზე წამოიცვა.

ცალთვალა ეუბნება, ვაჟო, ბეჭედი გაიკეთეო?

ბასათი უპასუხებს, გავიკეთეო.

ცალთვალა ბასათს დაედევნა, ხანჯალი დაარტყა, გააჭრევინა.

ბასათი გავარდა, გაშლილ ადგილზე შეჩერდა. ხედავს, ბეჭედი კვლავ ცალთვალას ფეხით გდია.

ცალთვალა ეკითხება, გადარჩიო?

ბასათი პასუხობს, ღმერთმა გადამარჩინაო.

ცალთვალა ეუბნება: — ვაჟო, იმ გუმბათს ხედავ?

ბასათი უპასუხებს, ვხედავო.

ცალთვალა ეტყვის: იქ ჩემს საგანძურია. წადი, დაბეჭდე, ამ შობუცებმა არ წაიღონო.

ბასათი გუმბათში შევიდა. ხედავს, რომ ოქრო-ვერცხლი აგროვია. როცა დაინახა, თავი დაავიწყდა:

ცალთვალა კარებში ჩადგა და ეკითხება, გუმბათში შეხვედიო?

ბასათმა უპასუხა, შევედიო.

ცალთვალა ეტყვის: ისე დაგკრამ, რომ ამ გუმბათთან ერთად დაიფშვნებიო.

ბასათს ენაზე მოადგა — არ არს ღმერთი თვინიერ ალაპისა, ხოლო მუჟამედი წარმოგზავნილია მისი...

უმალ გუმბათი გაირღვა, შვიდ ადგილას გაიხსნა კარი. ერთი კარიდან ბასათი გარეთ გამოვარდა.

ცალთვალამ გუმბათში ხელი შეჰყო. ერთი ისეთი შეაზანზარა, რომ გუმბათი თავდაყირა დადგა.

ცალთვალა ეტყვის, ვაჟო გადარჩიო?

ბასათი უპასუხებს, ღმერთმა გადამარჩინაო.

ცალთვალა ეუბნება: შენ სიკვდილი არ გიწერია. იმ გამოქვაბულს ხომ ხედავ?

ბასათი უპასუხებს, ვხედავო.

ცალთვალა ეტყვის: იქ ორი მახვილია. ერთი ქარქაშიანი, ერთიც უქარქაშო. მე ის უქარქაშო ხმალი მომჭრის თავს. წადი, მოიტანე და ბარემ თავი მომჭერიო.

ბასათი გამოქვაბულის კართან მივიდა. დაინახა, რომ უქარქაშო ხმალი ჰკილია და არ ჩერდება, აიწევს და ისევ ჩამოეშვება.

ბასათმა იფიქრა, თუ რამე არ ვიღონე, ისე ახლოს არ მივალო. თავისი ხმალი ამოიღო და იმ ხმალს შეახო. ორად გადაუტყდა, გამობრუნდა, ერთი ხე შეიტანა, მახვილს მიადო. ისიც ორად გადატყდა. მაშინ მშვილდი მოიხსნა, ისარი იმ ჯაჭვს ტყორცნა, რომლითაც მახვილი ეკიდა. ხმალი ძირს დაეცა, მიწაში ჩაეხსო. თავისი ხმალი ქარქაშში ჩააგო. იმ ხმლის ვადას ხელი მაგრად ჩაავლო.

მივა და ეტყვის, ჰეი, ცალთვალა, როგორა ხარო?

ცალთვალა ეუბნება: ჰეი, ვაჟო, კიდევ არ მომკვდარხარ?

ბასათი უპასუხებს, ღმერთმა გადამარჩინაო.



შენ სიკვდილი არ გიწერიაო, — დაიძახა ცალთვალამ. უთქვამს, ვნახოთ ერთი, ხანო ჩემო, რა უთქვამს:



თვალო, თვალო, ჩემო ცალო თვალო,
შენით, ერთო თვალო, ოღუზები დამიმარცხებია
ჩემ ცისფერ თვალს დამაშორე, ვაუკაცო, მე, არქონული
ნიგლიქოსეკა
ტკბილი სულისგან გაგაშოროს გამჩენმა შენ.
მე რომ თვალის ტკივილს ვითმენ დღეს,
არცერთ ვაუკაცს გამჩენმა არ მისცეს ასეთი თვალი
დღეს.

ცალთვალა კვლავ იტყვის:

სადაც რჩები და საიდანაც დგები, რა ადგილია,
ვაუკაცო?
ბნელ ღამეში გზა თუ აგებნა, ვისი იმედი გაქვს,
ვაუკაცო?
მძიმე ალმის აღმმართველი თქვენი ხანი ვინ არის,
ვაუკაცო?
ომში წინ რომ მიგიძღვით, თქვენი გმირი ვინ არის,
ვაუკაცო?
თეთრწვერა მამაშენს რა ჰქვია, ვაუკაცო
გმირმა რომ ვაუკაცთან სახელი დამალოს, აუგია,
ვაუკაცო!

რა გქვია სახელად, მითხარი ვაუკაცო.

ბასათს ცალთვალასათვის უთქვამს: ვნახოთ ხანო ჩემო, რა უთქვამს:

სადაც ვრჩები და საიდანაც ვდგები, გუნ-ორთაჩია
ჰქვია,
ბნელ ღამეში თუ გზა ამებნა, ჩემი იმედი ალაჰია,
მძლე ალამი რომ უბყრია, ჩვენი ხანი, ბაინდურ ხანია,
ომში რომ მიგვიძღვის, გმირი სალურის ძე ყაზანია,
მამაჩემის სახელს თუ მკითხავ, მძლე ხეა,
დედაჩემის სახელს თუ მკითხავ, მრისხანე ლომია,
ჩემს სახელს თუ მკითხავ, არუზის ძე ბასათი ვარ.
ცალთვალა ეტყვის, ახლა ძმები ვართ, ნუ მომკლავო.

ბასათი უბასუხებს:

ჰეი, სალახანავ, თეთრწვერა მამაჩემი აგიტირებია,
მოხუცი, თეთრთმიანი დედაჩემი აგიბლავლებია,
ჩემქ ძმა კიანი საიქიოს გაგისტუმრებია,
ჩემი სახეთეთრი რძალი დაგიქვრივებია,
ჰრელთვალა წვრილი ბავშვები დაგიობლებია,
არ გაცოცხლებ შენ.
ვიდრე ჩემს შავი ფოლადის მახვილს არ ამოვიწვდი,
ვიდრე შენს ბაშლიყიან თავს არ წაგაცლი,
შენ წითელ სისხლს მიწაზე არ დავღვრი,
ჩემი ძმის კიანის სისხლს არ ავიღებ,
არ მიგატოვებ შენ.

ცალთვალას უთქვამს:

ვთქვი, ავღგები და ჩემი ადგილიდან წამოვდგები-მეთქი,
 მძლე ოლუზთა ბეგებთან პირობას დავარღვევ-მეთქი,
 ხელმეორედ დაბადებულთ გავანადგურებ-მეთქი,
 კაცის ხორციით ერთხელ კარგად გავძლები-მეთქი,
 მძლე ოლუზთა ბეგები ჩემზე წამოვლენ-მეთქი,
 გავიქცევი და სასაფლაო კლდეს შევეფარები-მეთქი,
 ქვის სასროლი მანქანით ქვას დავუშენ-მეთქი,
 ერთი ქვა მევე მომხვდება თავში და მოვკვდები-მეთქი,
 ჩემ ცისფერ თვალს დამაშორე, ვაჟკაცო, მე,
 ტკბილი სულისგან გაგაშოროს გამჩენმა შენ.



ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ცალთვალას ერთიც უთქვამს:

ბევრი თეთრწვერა მოხუცი ამიტირებია,
 თეთრწვერათა წყევლამ გიწია, თვალო ჩემო.
 ბევრი თეთრთმიანი მოხუცი ქალი მიტირებია,
 მათთა თვალთა ცრემლმა გიწია, თვალო ჩემო.
 ბევრი უღვაშაღინდლული ჭაბუკი შემიტამხა,
 მათმა ვაჟკაცობამ გიწია, თვალო ჩემო.
 ბევრი ინით ხელშეღებილი გოგო შემიტამია,
 მათმა წყევლამ გიწია, თვალო ჩემო.
 მე რომ ვითმენ თვალის ტკივილს დღეს,
 არცერთ ვაჟკაცს არ მისცეს გამჩენმა (ასეთი) თვალი
 დღეს.

ვაი თვალო, ჩემო ცალო თვალო!

ბასათი გაცოფდა, ადგილიდან წამოვარდა, ცალთვალა, როგორც აქლემი,
 მუხლებზე დააჩოქა, თავისივე მახვილით წააცალა თავი. მშვილდის ლარი გაუ-
 ყარა და გამოქვაბულის კართან მიათრია. იუნლე კოჯა და იაფადლე კოჯა ოლუ-
 ზებთან სასიხარულო ამბით გაგზავნა. ნისლა ულაყებზე ამხედრდნენ და გას-
 წიეს. მძლე ოლუზთა ხალხში ამბავი გავარდა. ცხენისლაშება არუბ კოჯას სა-
 ხლში მიცვივდნენ. დედას ბასათის ამბავი შეატყობინეს — შენმა შვილმა ცალ-
 თვალას სული გააფრთხო ბინაო.

მძლე ოლუზთა ბეგები შეიკრიბნენ, სასაკლაოს კლდესთან მივიდნენ. ცალ-
 თვალას თავი შუაში მოიქციეს.

მჩვიდა ჩვენი დედე ქორქუთი და სამხიარულო ააყდერა. მოჰყვა, რაც გა-
 დახდათ იმ ვაჟკაცებს, ვინც სალაშქროდ იყო წასული, თან ბასათს ქება შეა-
 სხა:

როცა შავ მთაზე გადადიოდე, გზა გაგხსნოდეს,
 სისხლიან მღინარეებზე ფონი მოგეცეს.

ვაჟკაცურად აილე ძმის სისხლი. მძლე ოლუზთა ბეგები იმისგან იხსენი.
 ღმერთმა მალაღმა სახე შენი ნათლით შემოსოს.

სიკვდილის ეამს წმინდა რწმენა ნუ დაგტოვებს, შენი ცოდვანი სახელსხი-
 ვოსანი მუჰამედისთვის მოგიტევოს, ხანო ჩემო.

ბეგილის ძის ამრანის მოკვლის ამბავი

ქამ ჰანის ძე ბაინდურ ხანი ადგილიდან ამდგარა. თეთრთავიანი კარავი
 შავ მიწაზე აღუშართვინებია. ცასა წვდებოდა ჭრელი საჩრდილობელი. ათას
 ადგილას აბრეშუმის ხმლები დაუგიათ. შიდა და გარე ოლუზთა ბეგებს თავი
 მოუყრიათ.

ცხრა დუმენად დაყოფილი საქართველოდან ხარაჯა მოვიდა: ერთი ცხენი, ერთი ხმალი, ერთი კომბალი იყო. ბაინდურ ხანი ძალზე შეწუხდა.

მოვიდა ჩვენი დედე ქორქუთი. სამხიარულო სიმღერა ღიქვა: *ეთხრა, ხანო ჩემო, რად მოგიწყენიაო.*

ბაინდურ ხანმა უპასუხა: როგორ არ მოვიწყინო, ყოველწელს ქორქოს და ვერცხლს აგზავნიდნენ. ჭიგითებს, ბეგებს ვურიგებდი და ამით კმაყოფილი რჩებოდნენ. ახლა ეს ვის მივცე, ვინ დავაკმაყოფილო.

დედე ქორქუთმა მიუგო: ჩემო ხანო, ეს სამივე ერთ ჭიგითს მიეციო, დე, ოლუზთა მხარის დარაჯი გახდესო.

ვის მივცეო — იკითხავს ბაინდურ ხანი. მარცხნივ გაიხედა, მარჯვნივ გამოიხედა, არავის სურდა, არავინ დათანხმდა. ერთი ჭიგითი იყო ბეგილს უწოდებდნენ, მას შეხედა, ჰკითხა: — შენ რას იტყვიო:

ბეგილი დათანხმდა, ადგა, მიწას ემთხვია. ჩვენმა დედე ქორქუთმა სასწაული ხმალი წელს შემოართყა, კომბალი მხარზე გაუდო, მშვილდი მკლავში ამოუდო. შაბაზი ცხენი მოაყვანიდა. ისიც ამხედრდა, გაშორდა თავის გვარტომს, თავის კარავი აშალა, ოლუზთაგან გადასახლდა. ჩავიდა ბარდასა და განჯაში, იქ დაიდო ბინა, ცხრა დუმენად დაყოფილ საქართველოს საზღვარს მიაღწია, იქ დამკვიდრდა. საზღვარს დარაჯობდა, უცხო გიაურები თუ კი მოვიდოდნენ, მათ თავს საჩუქრად ოლუზებს უგზავნიდა.

წელიწადში ერთხელ ბაინდურ ხანის დივანში მიდიოდა. კვლავ ბაინდურ ხანისგან კაცი მოვიდა, სასწრაფოდ მოვიდესო უხმობდა ხანი. ბეგილიც მოვიდა, საჩუქარი მიართვა. ბაინდურ ხანს ხელზე აკოცა. ხანიც გაუმასპინძლდა მას. ერთი კარგი ცხენი, კარგი ხალათი, უამრავი სახარჯო ფული მისცა, ზუსტად სამი დღე უმასპინძლა. შემდეგ კიდევ ბრძანა: მოდიო, ბეგებო, სამი დღე კიდევ ვუმასპინძლოთ ბეგილს ნანადირევის ხორციით.

ნადირობა გამოაცხადეს, როცა სანადიროდ აღიჭურვეს, ზოგი ცხენს იქებდა, ზოგი ხმალს, ზოგი კიდევ ისრის მიზანში ტყორცნას. სალურ ყაზანი დუძდა, არც თავს იქებდა, არც ცხენს, მხოლოდ ბეგების სიმარჯვეზე და უნარზე საუბრობდა.

სამას სამოცდაექვსი ცხენოსანი ჭიგითი სანადიროდ გავა, დაედევნება და სისხლიანებულ ჭეირანს, მაგრამ ბეგილი არც მშვილდს მოზიდავს და არც ისარს ისვრის. მხოლოდ მშვილდს ჩამოიხსნის მხრიდან, ესვრის კისერზე ხარირემს, მოიზიდავს, თუ გამხდარია, ყურს გაუხვრიტავს: დე იცოდნენ ნადირობის უამსო. ხოლო თუ მსუქანია, გამოულადრავს კისერს. თუ კი ბეგებიც ჭეირანს დაიჭერდნენ და ყურგახვრეტილი აღმოჩნდებოდა ბეგილის მიერ დამლადადებულთა, იტყოდნენ და ბეგილს უგზავნიდნენ.

ყაზან ბეგი იტყვის: ეს ხელოვნება ცხენს მივაწეროთ თუ მხედარსო? ეტყვიან: ჩვენო ხანო, მხედარსო. მაგრამ ხანი იტყვის: არაო, ცხენი თუ იმუშავეს, მხედარი ვერ დაიკვებნის, ეს სიმარღე ცხენს უნდა მივაწეროთ.

ეს სიტყვა ბეგილს არ მოეწონა, ეტყვის, მამაცთა შორის ჩვენ დაგვამცირე და ლაფში ამოგვსვარე. ბაინდურ ხანის ნაბოძვარი მასვე წინ დაუყარა. ხანზე განრისხდა. მის კრებულიდან გამოვიდა, ცხენი მოგვარეს. თავის ქროლათვალება ჭიგითებს უხმო და შინ დაბრუნდა.

შვილები შემოეგებნენ, არ მოეფერა. თავის თეთრსახა ხათუნს სიტყვაც არ უთხრა. აქ ხათუნს უთქვამს, ვნახოთ ხანო ჩემო, რა უთქვამს:



ბეგო ჭიგითო,
 ოქროს ტახტის უფალო ჩემო,
 როს თვალი ვალე და დაგინახე,
 გული წარმტაცე და შეგიყვარე,
 და როს აღექი და დაუტევე სანახნი შენნი,
 და თან იახლე ჭრელთვალება ჭიგითნი ქველნი,
 ღამით გადახველ ის ჭრელი მთა, ძნელად სავალი,
 ღამით გაცურე ის მდინარე, თქეშად მავალი,
 ღამით მიხვედი საკრებულოს ბაინდურ ხანის,
 და ჭრელთვალება ჭიგითებთან დაჰყავი ხანი,
 ყველა თვის მოდგმას დიდს თუ პატარას დაჰკითხავს
 ჭკუას,

და შენი თავი, ობოლი-მწირი, რად მიეც ურვას.
 ეჰ, ხანო ჩემო, ნუ მეტყვი უარს,
 მითხარ, სადღაა ის კარგი ცხენი, ზედ რომ იჯექი,
 მითხარ, სადღაა სხივოსანი ჩაჩქანი შენი, თავზე რომ
 გედგა,
 მითხარ, სადღაა ის ოქროს ჯუბა, ზურგზე რომ გესხა.
 ჭროლა თვალებით შენ პატარებს არ ეფერები
 შენ თეთრსახიან მზეთუნახავს სიტყვას არ ეტყვი,
 რა მოხდა, მითხარ, რადა ხარ უნჯი და უტყვი?!

აქ ბეგილს უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს, ეტყვის:
 როს ავდექი და დავუტევე ადგილი ჩემი,
 და როს ავმხედრდი შავფაფარა ცხენზე,
 ღამით გადაველ ის ჭრელი მთა ძნელად სავალი,
 ღამით გავცურე ის მდინარე თქეშადმავალი
 თეთრშუბლიანი ბაინდურის მოვედი კარზე.
 როს ვსვი და ვჭამე ჭრელთვალება ბეგებთან ძალზე.
 დიდს თუ პატარას — ყველას ერთად დავკითხე ჭკუა,
 კარგად შევიტყე, ხანი ჩვენი, ამრეზით მიმზერს,
 უნდა დავტოვოთ ჩვენი სახლი, ტომი და გვარი,
 და ცხრად დაყოფილ გურჯისტანის შევადლოთ კარი,
 მე ოღუზ ტომებს ავუჩანყდი მათზე გამწყრალი.

ამაზე ხათუნი ეტყვის: ჩემო ჭიგითო, ბეგო ჭიგითო, ფადიშაჰი ღმერთის
 ჩრდილია ამ ქვეყნად: ვინც ფადიშაჰს აუჩანყდება, მისი საქმე ვერ წავა კარ-
 გად. თუ შენ წმინდა გულში მწუხარებამ დაისადგურა, მას ღვინო გახფანტავს.
 შენ რაც წახვედი, ჩემო ხანო, ჭრულ მთაზე, წინ რომ დაყუდებულა, არავის
 უნადირია, წადი სანადიროდ გული გაგეხსნება, დარდი გადაგეყრებაო.

ბეგილმა ნახა, რომ ხათუნს კაცის ჭკუა ჰქონდა, მისი დარიგება უპრიან-
 ნია. ბედაური ცხენი გამოაყვანინა. ამხედრდა, სანადიროდ წავიდა.

როცა ნადირობდა, წინ გამოუბტა დაჭრილი ჯეირანი. ბეგილმა მას ცხენი
 მიაგლო. უკანიდან წამოეწია და მშვილდის ღარი კისერზე სტყორცნა. ჯეირანმა
 კამარა შეჰკრა და კლდიდან გადახტა. ბეგილმა ვერ მოზიდა ცხენის ლაგამი,
 ისიც მას გადაჰყვა. მარჯვენა თეძო კლდეს გაკრა და მოიტეხა. ბეგილი წამოდგა,
 ატირდა: არ მყავს მე დიდი ვაჟი და არც დიდი ძმა. მაშინვე კარპაქიდან უფრო
 ბლაგვი ისარი ამოაძრო. უნაგირის ღვედები მოზიდა, ნაბადში ფეხი მაგრა გა-

ხვია, და რაც ძალა ჰქონდა, ცხენის ფაფარს მოეკიდა. მონადირეებს გაშორდა, დოლბანდი ყელზე მოიგდო, თავის ორდუს საზღვარს მიაღწია.

მისი ვაჟი ემრენ ბაჰადური მამას შეეგება, ნახა, რომ სახე მთლად გაყვითლებოდა, ყელზე დოლბანდი შემოეხვია. გამოჰკითხა მეგობრებს და მეორე უთხრა, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთხრა, ეტყვის:

როს ადექი და დაუტევე სანახნი შენი
და როს ამხედრდი შავ-ფაფარა ბედაურ ცხენზე
და ინადირე წინ ამართულ ჭრელი მთის ფერდზე,
გადაეყარე ურჯულოებს, შავად შემოსილთ
და ჭრელთვალება ჭიგითები მათ ამუსვრინე?!
განხვენ ბაგენი, რაიმე მითხარ, რამე მასმინე,
და თავი ჩემი, ძალზე ბედშავი, შენ შეიწირე!

ბეგილს თავის ვაჟისათვის უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს ეტყვის:

ვაჟო, ვაჟო, ჰეი ჩემო პირმშო ვაჟო,
როს ადექი და დაუტევე ჩემი სანახნი,
და ვინადირე მალლად აზიდული შავი მთის ფერდზე,
შავად ჩაცმულნი ურჯულონი არსად მინახავს,
და ჭრელთვალება ჭიგითებიც არ დამიმარხავს,
ის ჭიგითები კარგად არიან თავის გემოზე.

— ნუ ცხარობ, ნუ დელავ ვაჟო — განაგრძობს ბეგილი — სამი დღეა მოსვენება არ მაქვს. ვაჟო, ჩამომხსენ ცხენიდან და სარეცელთან მიმიყვანე.

ლომის ლეკვი თავადაც ლომია. მამა ცხენიდან გადმოიტანა და ატატებული საწოლთან მიიტანა. ჯუბაში გაახვია, კარი გადარაზა.

მეორე მხრივ კიდევ ჭიგითებმა ნახეს, რომ ნადირობა ჩაიშალა. ყველამ თავის სახლს მიაშურა.

ხუთი დღე გავიდა. ბეგილი დივანში არ გამოჩენილა, არავისთვის უთქვამს, ფეხი რომ ჰქონდა მოტეხილი. ერთხელაც ღამით თავის საწოლში ღრმად ოხრავდა და კვნესოდა, ხათუნმა უთხრა:

— ჩემო ბეგო-ჭიგითო, უამრავი მტერი გესხმოდა და ზურგი არ გიჩვენებია. თეძოში ჭრელი ისარი შეგრჭობია და არ გიკვნესია. განა კაცი არ ეტყვის საიდუმლოს თავის მეუღლეს, რომელთანაც სასთუმალს იყოფს. რა დაგემართა ასეთი? ბეგილი უპასუხებს: ჩემო მშვენიერო, ცხენიდან გადმოვვარდი, ფეხი მოვიტეხე.

ღიაცმა ხელი ხელს შემოკრა და მსახურ ქალს უთხრა. მსახურმა მეკარეს აუწყა. ოცდათორმეტ კბილში გაცრილი ამბავი მთელ ორდუს მოედო: ბეგილი ცხენიდან ჩამოვარდნილა, ფეხი მოუტეხიაო. ახლა ურჯულოებს ჯაშუში ჰყავდათ. ეს ამბავი რომ გაიგო, წავიდა თექურს აუწყა.

თექურმა თქვა:

— ადექით, წამოდექით, შეიპყარით ბეგილი იქ, სადაც წევს. თეთრი მკლავები შეუჟარით. უღარდელათ მოკვეთეთ მშვენიერი თავი, მისი წითელი სისხლი მიწაზე დაღვარეთ, გაუნადგურეთ გვარ-ტომი და სახლ-კარი, მისი ასულები, პატარძლები ტყვედ წამოასხით.

მაგრამ ბეგილსაც იქ თავის ჯაშუში ჰყავდა, რომელმაც ამბავი შემოუთვალა: მოემზადეთ, აღიჭურვენით, თქვენზე მტერი მოდისო. ბეგილმა ზემოთ აი-

ხედა, თქვა: ცა შორსაა და მიწა მკვრივიაო. თავის ვაჟთან მივიდა და ეტყვის,
ვნახოთ, ხანო ჩემო, რას ეტყვის:



ვაჟო, ვაჟო, ჰეი, ვაჟო,
ჩემო თვალის სინათლეო,
ჩემო წელთა სიმაგრეო,
ნახე ბედის სიმუხლეო.
რა დამატყდა მუ თავზეო?!

და კიდევ ეტყვის:

როს ავდექი და დავუტევე სანახნი ჩემნი,
და როს შევაჯექ კისერ მოსატებ წითელ ულაყსა,
და როს ვხოცავდი ფრინველსა და ნადირს მსუნაგსა,
დამიფრთხა ცხენი, გვერდზე გახტა, კისრით დამიშვა
მარჯვენა ფეხი მომტეხა და თავი აიშვა.
რა დაემართა ამ ჩემ ბედშავ თავს,
გასცდა ამბავი ამ მაღალ შავ მთას
და სისხლიანი მდინარენი გადაიარა
და ჩააღწია რკინის კარსა დერბენდისასა,
ცოტა იარა, ბევრი იარა
ძალზე განრისხდა შოქლუ მელიქი,
წითელ ულაყის პატრონი და წარდი მხედარი
იმ რისხვით ნისლმა მთლად დაბურა შავი მთა ბარი
და უთქვამს ასე: მწოლიარე შეიპყარით ბეგალი, მტერი,
და უთქვამს ასე გაუკოჭეთ ხელები გრძელი!
ააწიოკეთ წითელსისხლა მისი გვარ-ტომი, იქაურობას
ადინეთ მტვერი,
პირმშვენიერნი პატარძალნი, ასულნი მისნი, აქეთ
მომგვარეთ!

ადექი, შვილო, დაუტევე სანახნი შენნი
და მოაჯექი შავ-ფაფარა ბედაურ ცხენსა,
წინ აწოწილი ეს ჭრელი მთა გადადი ღამით,
და შუბლ სხივოსან ბაინდურ ხანს ეწვიეთ ღამით,
სალამი მიეც, მოიკითხე ხელზე ემთხვიე,
და ყოველივე წვრილად უთხარ, რა მოვიწიე.
ასე უთხარი, მამაჩემმა, თეთრწვერებამ შემოგითვალა
რომ უეჭველად უნდა მოხვიდე და თუ არა და
ამ ქვეყანას მთლად დაანგრევენ, ნაცრად აქცევენ,
და ჩემს ასულებს და პატარძლებს ტყვედ მოაქცევენ,
ეს ყოველივე მართლა ოდეს კარგად უწყიდეს!

აქ კი ვაჟს უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:

მამავ, რას ამბობ, რას მეუბნები, ამოდ შვრები!
ჩემს გულმკერდს ასე რატომ ღრღნი და რატომ
მიღადრავ?!
ხშირად ავმდგარვარ და მიბრძოლია, მოხვენებაც კი არა
მქონია,
ხშირად შევმჯდარვარ შავ-ფაფარა ბედაურ ცხენზე,

მაგრამ არც როდის სანადიროდ მე არ წავსულვარ, იმ
 კრელს და დამრეც, ციცაბო მთებზე.
 არც არასოდეს ბაინდურ ხანის საკრებულოსთვის არ
 მიმეჭირებულა.
 ან კი ვინ არის ბაინდურ ხანი, მე მის შესახებ ვერაფერს ვიცი
 მსმენია,
 მე მის ხელისთვის არ მიკოცნია და მასთან საქმე არა
 მქონია.
 შენ მე მომგვარე ის წითელი ულაცი მალი, ზედ რომ
 აჯირითებ,
 ისე ვაჭენო სისხლის ოფლი ვადინო ღვარად შენი
 გულისთვის
 შენ მე მომეცი რკინის აბჯარი, მაგარი სამხრით,
 ვბრძანო, ახალი მუზარადი შევაკერიხო, შენი
 გულისთვის
 მომეცი შენი ბამბუკის შუბი, წვერწამახული,
 მკერდი გავუპო მრავალ მხედარს შენი გულისთვის
 მომეცი შენი ბასრი ისარი, თეთრფრთებიანი,
 მკერდში ვუსწორო მე მრავალ მტარვალს — შენი
 გულისთვის,
 მომეცი შენი ჭრელთვალემა ჯიგითთა რაზმი, სამასი
 კაცი,
 რომ მუჰამედის ნათელ რწმენას ჩვენ ვემსახუროთ
 შენი გულისთვის!

ბეგილი ეტყვის: ჩემო ვაჟო, ამ სიტყვების გამგონე, მე სიკვდილიც აღარ
 მიმძიმს შენი გულისთვის, იქნება გარდასული დღეები აღარც კი გამახსენო.
 აბა, მოიტანეთ ჩემი სამოსი, ჩემმა ვაჟმა ჩაიცვას! მოიყვანეთ წითელი ულაცი,
 ჩემი ვაჟი ამხედრდეს! ვიდრე ხალხი ამოძრავდება, ჩემი ვაჟი მივიდეს ბრძო-
 ლის ველზეო!

ვაჟი აღჭურვეს. მოვიდა მამასთან და დედასთან, მოინახულა, ხელებზე
 ემთხვია. სამასი ჯიგითი იახლა. ბრძოლის ველს მიაშურა.

როცა კი წითელი ულაცი მტრის სუნს იყნოსებდა, ფეხების ბაკუნს ატეხდა
 მიწაზე, მტვერი ცაში აღიოდა. ამის დამნახველი ურჯულოები იტყოდნენ, ეს
 ცხენი ბეგილისაა, დროა გავიქცეთო. თექურ კი მათ სიტყვას დაუგდებს: ერთი
 კარგად შეხედეთ, თუ ეს მართლაც ბეგილია, თქვენზე აღრე მტე გავიქცევი.

მოთვალთვალემ კარგად აათვალიერ-ჩაათვალიერა მხედარი, ნახა, რომ
 ცხენი ბეგილისაა, მაგრამ თავად არ ზის, ერთი ჩიტის ოდენა ვაჟი ამხედრე-
 ბულა. მოვიდა თექურს უთხრა: ცხენი, იარაღი და მუზარადი ბეგილისაა, მაგ-
 რამ თავად ბეგილი არ ჩანსო.

თექური ბრძანებს: ასი კაცი გამოარჩიეთ, ატეხეთ ყიყინა, ყმაწვილი და-
 აფრთხეთ. ბიჭს ბელურას გული ექნება, მოედანს მიატოვებს, გაიქცევაო.

ასი ურჯულო ამოარჩიეს, ბიჭს შეუტყეს, ურჯულოებს ვაჟისთვის უთ-
 ქვამთ, ვნახოთ, ხანო, ჩემო, რა უთქვამთ:

ვაჟო, ვაჟო, ჰეი, ვაჟო,
 ნაძირალავ, ნაბიჭვარო!
 შენი წითელი ულაცი მთლად გაკნაჭულა, ვაჟო,



შენი შავი ფოლადის ხმალი დაბლაგვებულა, ვაჟო,
 შენი შუბი, ხელთ რომ გიპყრია, გადატეხილა, ვაჟო,
 შენი თეთრლაფანშემორტყმული მშვილდი მაგარი
 მთლად დაშვებულა, ვაჟო,
 ორმოცდაათი შენი ისარი, კაპარჭში რომ ძევს,
 გამრუდებულა, ვაჟო,
 შენ თან რომ გახლავს ჯიგითთა რაზმი გაშიშვლებულან,
 ვაჟო,
 შენი თვალები შავზე-შავი მთლად ამღვრეულა, ვაჟო,
 ესეც უწყოდე, შოქლი მელიქი შენზე ძალზე
 განრისხებულა
 და ასე უთქვამს: შეიპყარით ის ყმაწვილი, მოედანზე
 გალაღებული,
 მაგრა შეკარით, გაუკოჭეთ მკლავები თეთრი,
 და უმაღ, გონზე მოუსვლელად მოუსწრაფეთ
 სიცოცხლის დღენი,
 მიწაზე ღვარეთ მისი სისხლი, წითლად მჩქეფარი!
 თუ კი მამა გყავს, წვეროსანი, ნუ აატირებ!
 თუკი დედა გყავს, ჭალაროსანი, ნუ აქვითინებ!
 მარტოდ მებრძოლი ვერასოდეს იქცევა გმირად,
 და არც ყვავილის ფესვებია ვარგისი ძირად!
 სიკვდილის ზარმა დარეკა შენთვის, შე სალახანავ,
 გიჯობს შოკურცხლო, გაეცალო აქაურობას, შე
 არამზადავ!

ვაჟსაც აქ უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს. ვაჟი ეტყვის:
 რას მიედ-მოედები, ან რასა როშავ, ურჯულო ძაღლო,
 რისთვის არ მოგდის ჩემი წითელი ულაყი თვალში?
 თვალი რომ მოგკრა, ჭიხვინი იყო, მერმე თამაში.
 ან რას უწუნებ ამ ჩემ აბჯარს, რომ მიჭერს მხარში,
 ან ამ მჭრელ, შავი ფოლადის ხმალსა, რომ დაუსერავს
 თავის ქარქაში?!
 ან რად არ მოგწონს ეს ჩემი შუბი, ბამბუკისაგან
 წვერწამახული,
 გულს რომ გაგიპობს, ცად ავიდეს შენი წუხილი!
 და მშვილდი ჩემი, არყისგან თლილი, მწარედ რომ
 ტირის,
 ბუდეში ველარ ეტევიან ისრები სწორი;
 ამ ჩემ ჯიგითებს ბრძოლის ველზე არა ჰყავთ ტოლი
 მამრი მამაცის შეშინება არ არის სწორი,
 მოდი, რჯულძაღლო, შევერკინოთ, რომ ურჯულოთა მე
 დავდგა გორი.

ურჯულო იტყვის: ეს უსირცხვილო ოღუზი სულ თურქმენს ჰგავსო, ერთი ამას დამიხედო.

თექურო კიდე დაუმატებს: წადით, ერთი ჰკითხეთ, ბეგილის ვინ არისო. ურჯულო მოვიდა ვაჟს ეკითხება, ვნახოთ, ხანო ჩემო, როგორ ეკითხება, ეტყვის:



შენი წითელი ულავი ჩვენ შევიცანით,
 ბეგილისაა, თავად ბეგილი რატომ არა ჩანს?
 შენი შავი ფოლადის ხმალი ჩვენ შევიცანით,
 ბეგილისაა, თავად ბეგილი რატომ არა ჩანს?
 შენი პერანგი, რკინისგან სხმული, ჩვენ შევიცანით,
 ბეგილისაა, თავად ბეგილი რატომ არა ჩანს?
 შენ რომ თან გახლავს ჭიგითთა რაზმი
 ბეგილს ეკუთვნის, თავად ბეგილი, რატომ არა ჩანს?
 აი, ბეგილი რომ ყოფილიყო,
 ჩვენ მას ვებრძოდით დაღამებამდე,
 თეთრი არყის ხის მშვილდს მოვზიდავდით,
 თეთრფრთიან ისრებს შორს გავტყორცნიდით,
 შენ რად მოუდი ბეგილს, ყმაწვილო, გვითხარ, გვაუწყე!
 ბეგილის ვაჟს აქ უბასუხია, ვნახოთ ხანო ჩემო, როგორი პასუხი გაუცია.
 უთქვამს: ეი, ურჯულო, შენ შე არ მიცნობ?

შუბლსხივოსანი ბაინდურ ხანის ბეგთა-ბეგის სალურ ყაზანის ძმა ყარა
 გუნემ ცხენი მოაჭენა: ზურგის ჩვენება რომ არ იცის დოღექ ევრენი, დუზენის
 ძე ალფ რუსტემი, თეთრი რაშის მფლობელი ბეირეჟი ბეგ ბეგილის სახლში
 სვამდნენ. შენგან ჯაშუში მოვიდა. ამ წითელ ულავზე ბეგილმა მე ამაძხედრა.
 შავი ფოლადის ხმალი მე მომცა, თავის ბამბუკის შუბი მწყალობა. თავის სა-
 მასი ჭიგითი მე დამიამხანაგა, მე ბეგილის ვაჟი ვარ, მოდი ურჯულოვ, მოდი
 შევერკინოთო.

ურჯულო თექური შემოუძახებს: დადექ, მოითმინე, შე ნაბიჭვარო, მოვდი-
 ვარ, შენზეო. ექვს ფრთიანი კვერთხი აილო და ვაჟს შეუტია.

ყმაწვილმა ფარი შეაგება კვერთხს.

ურჯულომ მაგრა დაჰკრა ზემოდან ქვემოთ. ფარი გატეხა, ჩაჩქანიც მთლიან-
 ნად დაგრიხა, წარბ-წამწამი ჩამოაცალა; მაგრამ ვერ ჩამოაგდო ვაჟი. როცა
 კვერთხით ბრძოლა დაამთავრეს, შავი ფოლადის ხმლებით შევერკინენ: ხმლები
 დაბლაგვდა. მაგრამ ამ ჭერადაც ვერავინ გაიმარჯვა. ბამბუკის შუბებით ეძ-
 გერნენ ურთიერთ. როგორც ბეგები მოედანზე ისე ესროდნენ ურთიერთ. მკერ-
 დები დაუსისხლიანდათ, შუბები გაუტყდათ, მაინც ვერ ძლიეს ურთიერთი.
 შემდეგ ცხენდაცხენ შეეჭიდნენ ერთმანეთს. ურჯულოს ძალა მეტი ჰქონდა,
 ბიჭი სუსტდებოდა, აქ მალალ ღმერთს შეევედრა, ვნახოთ. ხანო ჩემო, როგორ
 შეევედრა:

შენ ხარ მაღალი მაღალთა შორის ღმერთო,
 არავინ უწყის თუ როგორი ხარ,

ძლიერო ღმერთო!

შენ ხარ ადამის ამხალღებელი,
 შენ ხარ ეშმაკის დამაწყევალი,
 არ აპატიე მას ერთი ცოდვაც
 და დერგაჰიდან განდევნე უშალ!
 დააჭერინე იბრაჰიმი, გახვიეს ტყავში
 და გადაუშვეს იგი უშალ ცეცხლისა ალში,
 შენი სურვილი ცეცხლი ბაღად გარდიქცა წამში,
 მე შენს ერთობას მივენდე, ღმერთო,
 შენ სახიერო,
 და შენგან ვითხოვ მე შემწეობას.

ურჯულო ეტყვის: თუ კი ტყვედ ჩავარდები, მაშინაც შენ ღმერთს შეევე-
დრები? შენ თუ ერთი ღმერთი გყავს, სამოცდათორმეტი საკერპო მაქვსო.
ვაჟი უპასუხებს: ეი, შე წყეულო, გზას აცდენილო. შენ კერპებს ^{თუ ეხვეწე-}
ბი, მე მივმართავ ღმერთს, რომელმან არაარაობისაგან შექმნა სამყარო.

მაღალმა ღმერთმა გაბრიელს უბრძანა, აბა, გაბრიელ, მიდი და იმ ტყემ
მონას ორმოცი ვაჟკაცის ღონე მიჰგვარეო.

ვაჟმა ურჯულო აიყვანა, ძირს დაანარცხა. ცხვირიდან სისხლი წასკდა,
ღუღუღივით შხუილით მოთქრიალებდა. შევარდენივით წამოფრინდა ვაჟი და
ურჯულოს ყელში წვდა. ურჯულომ უთხრა: ჯიგითო, შემიბრაღე, შენ რწმენას
რას ეტყვიან, შენ რწმენაზე მოვიქცევიო.

— აწიე თითი, აღიარე მაჰმადის რწმენა.

იქცა მუსულმანად. ეს რომ დანარჩენმა ურჯულოებმა გაიგეს, მოედანი
მიატოვეს და მოკურცხლეს. მოიერიშეები თავს დაესხნენ ურჯულოთა მხარეს,
ტყვედ წამოასხეს პატარძლები, ასულები. ვაჟმა მამას მახარობელი გაუგზავნა
გავიმარჯვეო. თეთრწვეროსანი მამა შეეგება. ვაჟს გადაეხვია, მერმე შინ დაბ-
რუნდნენ.

მამამ წინ აღმართული შავი მთის საძოვრები ვაჟს უწყალობა, ბედაური
ცხენების ჯოგი აჩუქა. ნათელსახ თავის ვაჟს თეთრი ცხვრის ფარა უწყალო-
ბა. ქრელთვალა თავის ვაჟს წითელტუჩება პატარძალი მოუყვანა.

შუბლსხივოსან ბაინდურ ხანს მეხუთედი გამოუყვეს. მოკიდა ვაჟს ხელი
და ბაინდურ ხანის საკრებულოს მოვიდა, ხელზე ემთხვია.

ფადიშაჰმა ყაზანის ძის ურუზის მარჯვნივ ადგილი მიუთითა, მოსირმული
ჩოხა ჩააცვა.

მოვიდა ჩვენი დედე კორკუთი, საზზე დაამღერა სამხიარულო სიმღერა,
ეს ოღუზნამე გავაწყვე, ვთქვი, ბეგილის ძე ემრენის იყოსო, თქვა, რაც
გარდახდათ რწმენისათვის თავდადებულ გმირებს.

დაგამწყალობებ ჩემო ხანო; შენი მშობლიური შავი მთები არ დაქცეუ-
ლიყოს! ჩრდილოვანი ვეება ხეები არ წაქცეულიყოს. ალაჰის მიერ მინიჭებუ-
ლი იმედი არ გაგცრუებოდეს. შენი ცოდვები მოგიტევოს უფალმა სახელო-
ვანი მუჰამედის სახის სიყვარულით, ეი, ჩემო ხანო!

უშუნ კოჯას ძის საგრეკის ამბავი

ოღუზთა დროს ერთი კაცი ცხოვრობდა, უშუნ კოჯას ეტყოდნენ, სიცოც-
ხლეში ორი ვაჟი ეღირსა. უფროსს ეგრეჭი ერქვა. გულადი, უშიშარი და ტოლ-
დაუდებელი ვაჟკაცი იყო. ბაინდურ ხანის საკრებულოში მაშინ შევიდოდა,
როცა კი მოისურვებდა. ბეგთა ბეგის ყაზანის საკრებულოსაც მისთვის კარი
არ ება. არავის ზედ არ შეხედავდა, ბეგებს გადაალაჯებდა და ყაზანს წინ დაუ-
ჯდებოდა ხოლმე.

მაგრამ ერთხელაც, ხანო ჩემო, როდესაც ზედაც არ შეხედა და გადაალაჯა,
ოღუზთა ერთი მამაცი, რომელსაც თერს უზამიში ერქვა, ადგა და თქვა: ჰეი,
უშუნ კოჯას ვაჟო, აქ რომ ბეგები სხედან, ეს ადგილი ყველას ხმლით აქვთ მო-
პოგებული. შენ კი რა, თავები მოგიკვეთავს, სისხლი გიღვრია, მშვიერი დაგი-
პურებია თუ უქონელი შეგიმოსავს?!
მაშინ ეგრეჭი ეტყვის:

ჰეი, თერს უზამიშო, თავის მოჭრასა და სისხლის დაღვრას დიდი ფხა და
უნარი უნდა?

ის კი ეუბნება, რა თქმა უნდა, უნდაო.

თერს უზამიშის სიტყვამ ეგრევე გაჭრა. ეგრევე წამოდგა, ყაზან ბეგს მარბიელი ლაშქარი სთხოვა.

მარბიელი ლაშქარი მისცეს. უბრძანეს გაჰყოლოდნენ, სამასო უზბოსანი მამაცი ეგრევეთან შეგროვდა. ხუთ დღეს ისხდნენ, ჭამდნენ და სვამდნენ.

შემდეგ შურუგუნიდან დაწყებული გოქჩის ზღვამდე ხალხი დააწიოკეს, უამრავი ალაფი შეაგროვეს. გზად ალინჯას ციხეს წაადგნენ. ყარა თექუს იქ ნაკრძალი გაემართა, შემოეღობა და შიგ ბატი, ქათამი, ირემი და კურდღელი შეერეკა. ამ ბაკით ოღუზთა მამაცებისთვის მახე დაეგო. უშუნ კოჯას ვაჟის გზა ამ ნაკრძალზე გადიოდა. ბაკის კარები დალეწეს, ქურციკი, ირემი, ბატი და ქათამი ამოწყვიტეს. ჭამეს და სვეს. ცხენებს უნაგირები მოხსნეს, თვითონ კი აბჯარი გაიხადეს.

ყარა თექურს იქ მიჩენილი მსტოვარი ჰყავდა. ესენი რომ დაინახა, მივიდა და უთხრა: ჰეი, ოღუზთა ცხენოსანი რაზმი მოვიდა. ბაკის კარები მილეწ-მოლეწეს, ცხენებს უნაგირები ჩამოხსნეს, თვითონ კი აბჯარი გაიხადეს. ჰეი, რას უდგებარო.

ექვსასი შავსამოსიანი ურჯულო იმათზე გაგზავნეს, მამაცები გაულიტეს და ეგრევე დაატყვევეს. ეგრევე ალინჯას ციხის საპრობილეში ჩააგდეს.

შავ-შავ მთებზე ამბავი გადავიდა, სისხლიან მდინარეებზე ამბავი გადავიდა, მძლე ოღუზთა ტომებში ამბავი დაირბა. უშუნ კოჯას ოქროსთავანიანი კარვის წინ წივილ-კივილი ატყდა. ბატის მსგავსმა იმისმა ქალ-პატარძალმა თეთრი გაიხადა და შავით შეიმოსა. უშუნ კოჯა ეგრევეს თეთრყირმიზიანი სახის დედასთან ერთად შვილო, შვილოო, ტიროდა და ბლაოდა.

ვისაც ნეკნები აქვს ძალას იკრებს; ვისაც კაკნატელა — ის იზრდება ჰოდა, ხანო ჩემო, კოჯას უმცროსი ვაჟი სეგრევე ახოვანი მამაცი, უშიშარი ვაჟკაცი დადგა. ერთ დღეს გზად მეჭორწილეებს შემოხვდა. ჩამომსხდარიყვნენ, ჭამდნენ და სვამდნენ. სეგრევე გამოთვრა და გზის პირა ბილიკს გაჰყვა. ხედავს, რომ ერთი ობოლი ბიჭი მეორეს ეჩხუბება. ჰეი, რა მოხდაო, შეჰყვირა და სილა ჯერ ერთს გააწნა, მერე მეორეს.

ძველ ტანსაცმულს მკბენარი და ობოლ ბიჭს ღრძუ სიტყვა არ გამოეღევა. ერთი ეტყვის, ჰეი, ჩვენ ჩვენი ობლობა განა არ გვეყოფა? რატომ გვცემ? თუ ძალა შეგწევს, წადი და შენი ძმა გამოიხსენი, ალინჯას ციხეში რომ არის გამოკეტილიო.

სეგრევე ეტყვის, მერე და ჩემ ძმას რა ჰქვიაო?

ობოლი ბიჭი უპასუხებს, რა და ეგრევეო.

მაშინ სეგრევე იტყვის. ახლა სეგრევე ვაჟკაცობაში ეგრევეს გაუტოლდა. მე კი, ისიც არ ვიცი, ჩემი ძმა კარგად არის თუ არაო. ოღუზებში უძმოდ რა გამაჩერებს. ვაი, შენ, ჩემთა შავთა თვალთა სინათლევე, ძმაოო, ატირდა, საკრებულოში შევიდა, დასტური გამოითხოვა. ბეგებს მიმართა, კარგად დარჩითო.

ცხენი გამოუყვანეს, შეჯდა და გააჭენა. დედის კარავთან მივიდა. ცხენიდან ჩამოხტა და დედის გამოსატეხად თქვა:

აქ სეგრევეს უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:

ავდექი, და დედაჩემო, ჩემი ადგილიდან წამოვდექი,

შავფაფრიან კავკასიურ ბედაურზე ავმხედრდი,

წელგალუნულ ალადალის კალთებზე გავედი,

ძალოვან ოღუზებში თავყრილობა იყო, იქ მივედი,



ჭამასა და სმაში როცა ვიყავით —
 ნისლა ულაცზე გადამჭდარი ერთი ჩაუჭი მოვარდა,
 თქვა — რა ხანია მამაცი ეგრეჭი ტყვედ ჩავარდა,
 ღმერთმა მაღალმა ბედი მისცეს, თავი დაეხსნასო.
 დიდი თუ პატარა იქით გაეშურა,
 დედა, მეც უნდა წავიდე, შენ რას იტყობდი?

დედას უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:

შენი ბაგეთათვის მოვკვდე მე განა, შვილო?
 შენი ენისთვის მოვკვდე მე განა, შვილო?
 ჩვენ წინ გაწოლილი შენი შავი მთები
 დაქცეულ იყო, კვლავ აღიმართა ბოლოს;
 ჩამდინარე შენი ლამაზი მდინარეები
 დამშრალი იყო, კვლავ აჩხრიალდა ბოლოს;
 შენ მძლე ხეებზე შტოები და ტოტები
 გამხმარი იყო, კვლავ გადამწვანდნენ ბოლოს;
 მძლე ოლუხთა ბეგების კვალს თუ გაჰყვები, წადი!

იმ ვაჟკაცთან როცა მიხვალ, შენი ნისლა ულაციდან ჩამოხტი, ხელს როცა
 შეახებ, სალამი უძღვენ. ხელზე აკოცე და კისერზე მოეხვიე ძმაო, ჩემთა შავ
 მთათა მწვერვალო, ძმაო-თქო, ასე უთხარი. რაღას უდგებარ, გაეშურე, შვილო.

ვაჟს დედისთვის უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:

პირი გაგიხმეს, დედავ,
 ენა დაგილპეს, დედავ,
 დვიძლი ძმა მყოლია, მე კი არ მიზრუნია მისთვის,
 უძმოდ მე ოლუხებში რა გამაჩერებს.
 ნება დედისა, ღმერთის ნება არ არის განა?
 შავი ფოლადის მახვილი ამომალებინა, ნეტავ,
 შენი ლამაზი თავი მოშაკვეთინა ნეტავ,
 შენი წითელი სისხლი დამალვრევიანა ნეტავ,
 ულმობელო დედავ.

აქ მამა ეტყვის:

— ცრუ ამბავია, შვილო. იმ ჩაუჭს რომ უთქვამს, ის შენი უფროსი ძმა არ
 არის, სხვა არის. თეთრწვერა მამაშენს ნუ აატირებ, მოხუც დედაშენს ნუ
 ააბლავლებ.

აქ ვაჟს უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:

სამას სამოცი ვაჟკაცი სანადიროდ როს ამხედრდება,
 დაჭრილ ირემს ყიფინით როს დაედევნება,
 ვისაც კი ძმა ჰყავს, ადგება და წამოვარდება,
 უძმო ვაჟკაცს კი თუ კეფაში მუშტი მოხვდება,
 თვალცრემლიანი ოთხსავე მხარეს მიაჩერდება,
 ჭრელ თვალებიდან ცრემლი მწარე ჩამოედვრება.
 ვიდრე თქვენ ჭრელთვალა შეილს ნახავდეთ —
 ბეგო მამავ და ხათუნო დედავ, მშვიდობით დარჩით.

მშობლები შეილს კვლავ ეტყვიან, მონატორია, ნუ წახვალო.

ვაჟი ეტყვის:

— გზას ნუ ამაცდენთ, ვიდრე არ მივალწევ იმ ციხეს. ვიდრე არ გავიგებ

ჩემი ძმა ცოცხალია თუ მკვდარი, თუ მკვდარია და ვიდრე სისხლს არ ავიღებ, ოღუზებში თავს არ გამოვყოფ.

ატირდნენ მშობლები. ყაზანთან კაცი გაგზავნეს, ვაჟმა თავისი ძმა გაიხსენა და მიდის, რა რჩევას მოგვცემო.

ყაზანი ეტყვის, ფეხზე ცხენის დუშაყი დაადევით.

ვაჟს დანიშნული ჰყავდა. საჩქაროდ ქორწილი გამართეს. დაკლეს კვიცი, კოზაკი, ყოჩი. ვაჟი საქორწინო კარავში შეიყვანეს. გოგოსთან ერთად საწოლზე ავიდა. ვაჟმა მახვილი ამოიღო და შუაში ჩასდო.

გოგო ეტყვის, აიღე მახვილი, ვაჟკაცო. სურვილს ეწიე და სურვილს მაწიეო.

ვაჟი ეტყვის:

— ჰეი, შე კახპავ, მე ჩემმა ხმალმა ამჩებოს, ჩემმა ისარმავე გამგძიროს, შვილს არ ველირსო და თუ ველირსო, ათ წლამდე ნუ მიაღწიოს, თუ ჩემი ძმის სახე არ ვინილო; თუ მკვდარია, ვიდრე მისი სისხლი არ ავიღო, ჩემ საქორწინო კარავში არ შევიდე.

ეს უთხრა, ზეზე წამოდგა, თავლიდან ერთი შავარდენა ბედაური გამოიყვანა, შეკაზმა, ტანსაცმელი ჩაიცვა, სამუხლუ და სამკაულები აისხა და ეტყვის:

— გოგო, შენ ორი წელი მელიოდე. თუ ორ წელიწადში არ მოვალ, სამი წელი მელიოდე. თუ სამ წელიწადშიც არ გამოვჩნდი, მაშინ გეცოდინება, რომ ცოცხალი აღარა ვარ. ჩემი ულაცი დაკალი და ქელები გამართე. თვალში ვინც მოგივა, შენი გული ვისაც შეიყვარებს, იმას გაჰყევი.

გოგოს აქ უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:

ჩემო ვაჟკაცო, მე შენ ერთ წელიწადს დაგელოდები, ერთ წელში თუ არ მოხვალ, ორს დაგელოდები, ორ წელიწადში თუ არ მოხვალ, სამ-ოთხს დაგელოდები, ოთხ წელიწადში თუ არ მოხვალ, ხუთ-ექვსს დაგელოდები.

ექვსი გზის გასაყარზე კარავს აღვმართავ, გამვლელ-გამომვლელს ამბავს გამოვკითხავ, კარგი ამბის მომტანს ცხენს და სამოსს ვუბოძებ, ხიფთანს ვუბოძებ;

ცუდი ამბის მომტანს თავს წაეაცლი.

თავზე მამალ ბუზსაც კი არ დავისვამ,

სურვილს ეწიე, სურვილს მაწიე, ვაჟკაცო, ისე წადი.

ვაჟი ეტყვის, ჰეი, კახპა დიაცო, ჩემი უფროსი ძმის თავი დავიფიცე, სიტყვას ვერ გადავალო.

გოგო იტყვის:

— დაე, მიწოდონ უბედური პატარძალი, უნამუსო პატარძალს კი ნუ დამარტყევენ. ამ ამბავს ჩემს მამამთილსა და დედამთილს ვეტყვი.

გოგოს უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო რა უთქვამს:

მამაზე უმჯობესო მამამთილო,

დედაზე უმჯობესო დედამთილო,

თქვენი აქლემების მწკრივიდან ულაცი აეშვა და

მიდის, —

მწყემსი ეცადა, ვერ დააბრუნა, მიდის;

თქვენი ჯიშინი ულაცი ბედაური დაფრთხა და მიდის,
 მეჭინიბე ეცადა, ვერ დააბრუნა, მიდის;
 თქვენ ფარაში ყოჩმა აიწყვიტა და მიდის,
 მეცხვარე ეცადა, ვერ დააბრუნა, მიდის;
 თქვენმა ჭრელთვალა ვაჟმა ძმა გაიხსენა და მიდის,
 ეს თქვენ იცოდეთ...



მამამ და დედამ ამოიხრეს. ადგილიდან წამოდგნენ, შვილო, ნუ მიდიხარო, უთხრეს, მაგრამ ვერაფერი გააწყეს.

არ შემიძლია არ წავიდე იმ ციხეში, სადაც ჩემი უფროსი ძმა დამწყვდელიაო, ასე უბასუხა ვაჟმა.

მამამ და დედამ უთხრეს: გაეშურე შვილო, ბედნიერი იყოს შენი არჩევანი. ისეთივე ჭანჭრთელი დაბრუნებულისავე, როგორც მიდიხარო.

მამას და დედას ხელზე აკოცა, თავის ბედაურს ზურგზე მოახტა. ჩამოხტა და გაეშურა. სამ დღე-ღამეს მიდიოდა. შამის ხეობა გაიარა. იმ ნაკრძალს მიადგა, სადაც იმისი ძმა ტყვედ ჩაიგდეს.

ხედავს, რომ ურჯულოები ცხენს აძოვებენ. ხმალი გაიძრო და ექვსი ურჯულო მოკლა. დოღს დასცხო და ცხენის რემა დააფრთხო. წამოიყვანა და შემორეგილში შერეკა.

დაღამდა. სამი დღე-ღამის უძილო ვაჟს ძილი მოერია. ცხენის აღვირი წელზე შეიბა და დაიძინა.

მაგრამ ურჯულოებს მსტოვარი ჰყავდათ. მივიდა და მბრძანებელს მოახსენა, ოღუზებისაგან ერთი მამაცი ვაჟი მოვარდა, მწყემსები დახოცა, ცხენის რემა დააფრთხო და ბაკში შერეკაო.

მბრძანებელი იტყვის, სამოცი შეიარაღებული კაცი შეარჩიეთ, წავიდნენ დაიჭირონ და აქ მომგვარონო.

სამოცი შეიარაღებული კაცი შეარჩიეს. წავიდნენ, ჯაჭვ-ჯავშნიანი სამოცი ურჯულო ვაჟს თავს წაადგა.

აბჯარი დარტყმული ხმლით გამოიცივნოდა, ცხენი კი — ხვიხვინითო. ჰოდა, ვაჟი ულაცი იქდა, ხანო ჩემო, ცხენის ყური ფხიზელია, ვაჟი გააღვიძა.

ვაჟმა დაინახა, რომ ცხენოსანი რაზმი მოდის. სახესხივოსან მუჰამედს მადლი უძღვნა, ცხენს მოახტა, შავსამოსიან ურჯულოებს ხმალი დასცხო, დააფრთხო და ისევ ციხეში შერეკა.

ძილს კვლავ ვერ მოერია. ძირს დაწვა და დაიძინა. ცხენის აღვირი ისევ წელზე შეიბა.

ცოცხლად გადარჩენილი ურჯულოები მბრძანებელთან მიცვივდნენ.

მბრძანებელი იტყვის, ფურთხის ღირსები ხართ, სამოცი კაცს ერთი ბიჭი ვერ დაგიჭერიათო.

ამჯერად ვაჟისკენ ასი ურჯულო გაეშურა. ულაცი ვაჟი კვლავ გააღვიძა.

დაინახა, რომ ურჯულოთა რაზმი შეყრილა და მოდის. ვაჟი წამოდგა, ცხენზე შეჯდა, სახესხივოსან მუჰამედს მადლი უძღვნა. ურჯულოებს მახვილი დასცხო, დააფრთხო და ციხეში შერეკა. ცხენი მოაბრუნა, კვლავ თავის ადგილას მიაშურა. ძილს თავი მაინც ვერ გაართვა. კვლავ დაწვა, ცხენის აღვირი ისევ წელზე მოიბა.

ახლა ცხენმა აიშვა და მოკურცხლა.

ურჯულოები მბრძანებელთან მიცვივდნენ.

მბრძანებელი იტყვის, ახლა სამასი წავიდესო.

ურჯულოები იტყვიან, ვერ წავალთ, ყველას ამოგვხოცავსო.
მბრძანებელი იტყვის:

— მაშ როგორ მოვიქცეთ? მოიყვანეთ ის ტყვე ბატუკი. ^{გაგზავნეთ. ადგილის კურდღელს ადგილის მწვევარი დაიჭერსო. ცხენი მოუყვანეთ, ტანსაცმელი მოუტანეთ!}

მივიდნენ, ეგრექს უთხრეს: აქ ერთი თავზეხელაღებული ^{კაცი} შეგზავრებს, მოგზაურებს, მწყემსებს, ხეიბრებს პურს ართმევს. დაიჭირე ის თავზეხელაღებული, მოკალი და გაგათავისუფლებთო.

კარგიო, ასე უპასუხა.

ეგრექი საპატიმროდან გამოიყვანეს, თმა და წვერი შეკრიჭეს, ცხენზე შესვეს, მახვილი მისცეს და დამხმარედ სამასი ურჯულო გაატანეს.

იმ ვაჟისკენ გაეშურნენ. სამასი ურჯულო გაშლილ ველზე შეჩერდა.

ეგრექი იტყვის, სად არის ის თავზეხელაღებული ვაჟკაციო.

შორიდან აჩვენეს.

ეგრექი იტყვის, წავიდეთ და დავიჭიროთო.

ურჯულოები უპასუხებენ, მბრძანებელმა შენ გამოგზავნა და შენ წადიო.

ეგრექი კვლავ იტყვის, რის გეშინიათ, იმას სძინავს, მოდი, წავიდეთო.

ურჯულოები უპასუხებენ, ეგ რა ძილია, ილღის ქვეშიდან გვითვალთვალეს, წამოდგება და ისეთ დღეს დაგვაყრის, გაშლილი ველი ვიწროდ გვეჩვენოსო.

ეგრექი დათანხმდა, კარგი მე წავალ, ხელ-ფეხს გავუკრავ, თქვენ კი მერე მოდითო.

ცხენი გამოაჭენა, გიაურებს გამოეყო, გაქუსლა და იმ ვაჟთან მივიარდა. ცხენიდან ჩამოხტა, აღვირი ერთ ტოტს გამოაბა. შეხედა და დაინახა, რომ თოთხმეტი დღის მთვარის მსგავსი ჭრელთვალა ჭაბუკი ვაჟკაცი წევს და სახეგაოფლილს სძინავს, მოვა ვინმე თუ წავა, არაფერი არ ესმის. მობრუნდა და თავს წაადგა. შეამჩნია, რომ წელზე კოფუზი ჰქონდა. მოხსნა, ხელში აიღო. უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:

შენი ადგილიდან წამომდგარხარ, ვაჟკაცი,
შავფაფარა კავკასიურ ბედაურზე ამხედრებულხარ,
წელგადუნულ ალალ დაღზე ასულხარ და ჩამოსულხარ,
აქაფებული ლამაზი მდინარე გადმოგიცურავს,
გამოსულხარ,

ეულად მოსულს წოლა შეგშვენის?
როგორ მოვიქცე, მხრებიდან თეთრ ხელებამდე
გაკოჭილს, ამ საღორეში წოლა შეგშვენის?
შენი თეთრწვერა მამა და ჭალარა დედა
რომ ავატირო და ავაბლავლო, განა შეგვენის?
რას უწეხარ, ვაჟკაცი,
უდარდელო, ლამაზი თავი წამოსწიე, ვაჟკაციო.
ღვთით მოცემული ტკბილი სული ძილს წაუღია,
ვაჟკაციო.

მხრებს და ხელებს ნუ გააკოჭინებ,
თეთრწვერა მამას, მოხუც დედას ნუ აატირებ,
ვინ ხარ მძლე ოღუზთა ტომიდან მოსულო, ვაჟკაციო?

შემკმნელი ღვთის გულისთვის, წამოდექ,
ოთხივე მხრიდან ურჯულო მოგდგომია, იცოდე!

ვაჟი გაიზმორა, ფეხზე წამოდგა. ხმლის ვადა ხელთ იგდო, უნდოდა გა-
დაერტყა. ხედავს, რომ იმას კოფუზუ უკავია. უთხრა:



— ჰეი ურჯულოვ, ჩემი დედე ქორჭუთის პატივის ნიშნად ხმლის ვადას
კარი. ეგ კოფუზუ ხელთ რომ არ გჭეროდა, ჩემი უფროსი ძმის თავს ვფიცავ,
ორად გაგკვეთდი.

კოფუზი ხელიდან გამოსტაცა.

აქ ვაჟს უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:

დილაადრიან ჩემი ადგილიდან წამოვმდგარვარ ჩემი
ძმისათვის,

ნისლა ცხენები არ დამიზოგავს ჩემი ძმისათვის
თქვენ ციხეში გყავთ ტყვედ განა? ურჯულოვ, მითხარი
მე,

ჩემი შავი თავი დაგენაცვლოს, ურჯულოვ შენ.

უფროს ძმას აქ უთქვამს. ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:

შენ ბაგეთათვის მოვკდე, მე განა, ძმაო?

შენი ენისთვის მოვკდე მე განა, ძმაო?

სადაც ათევ და საიდანაც დგები, რა ადგილია, გკითხავ?

უკუნ ლამეში თუ გზა აგებნა, ვისი იმედი გაქვს, გკითხავ?

მძლე აღმის აღმმართველი თქვენი ხანი ვინ არის?

ომში რომ წინ მიგიძღვით, თქვენი გმირი ვინ არის?

ვაუკაცო, მამაშენს რა ჰქვია?

ვაუკაცო სახელის დამალვა სამარცხვინოა,

რა გქვია ვაუკაცო?

ერთიც უთქვამს:

ჩემი აქლემის ჯოგის მწყემსი ხარ განა?

ჩემი ჭიშკიანი ცხენების მეჯოგე ხარ განა?

ჩემი ცხვრის ფარის მეცხვარე ხარ განა?

ყურში რომ მიჩურჩულეხს, ჩემი მსახური ხარ განა?

აკვანში რომ დავტოვე, ის ძმა ხარ განა?

ვაუკაცო, მითხარი მე,

ჩემი შავი თავი დაგენაცვლოს შენ.

აქ სეგრექმა თავის უფროს ძმას უთხრა:

უკუნ ლამეში თუ გზა ამებნა, ჩემი იმედი ალაპია,

მძლე აღმის აღმმართველი ჩვენი ბაინდურ ხანია,

ომში რომ წინ მოგვიძღვის, ის გმირი ყაზანია,

თუ მამაჩემის სახელს იკითხავ, უშუნ კოჯა ჰქვია,

თუ ჩემ სახელს იკითხავ, სეგრექი მქვია,

ძმაც მყავდა ერთი და ეგრექი ერქვა.

ერთიც უთხრა:

შენი აქლემების მწყემსი ვარ მე,

შენი ცხენების რემას მეჯოგე ვარ მე,

აკვანში დატოვებული შენი ძმა ვარ მე.
 უფროს ძმას ეგრეჲს აჲ უთქვამს. ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:
 შენთა ბაგეთათვის მოვკვდე განა, ძმაო?
 შენი ენისთვის მოვკვდე განა, ძმაო?
 კაცად იქეც, ვაჟკაცად იქეც, განა, ძმაო?
 უცხო ქვეყნად ძმისათვის მოხველ განა, ძმაო?



ორი ძმა ერთმანეთს გადაეხვია. ეგრეჲსა უმცროს ძმას კისერზე აკოცა, სეგრეჲსა კი უფროს ძმას ხელზე უამბორა.

ამის დაძნაბავი ურჯულოები ამბობდნენ, აჲა, შეიბნენ, ნეტავ, რომელი გაიმარჯვებს, ჩვენი თუ ის ვაჟიო. ხედავენ, რომ ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ძმები კავკასიურ ბედაურებს მოახტნენ და შავმოსასხამიან ურჯულოები-საკენ დაიძრნენ. მახვილები დაატრიალეს, ურჯულოები დაამარცხეს, ციხეში შერეკეს. მობრუნდნენ და კვლავ შემორეგილში შევიდნენ. ცხენების რემა ბაგიდან გამოლალეს, დასცხეს დოლებს და რემა წინ გაირეკეს. დერემაშის მდინარეები გადალახეს. დაღამდა, როცა ოღუზთა საზღვრებს მიაღწიეს.

სეგრეჲსა თეთრწვერა მამასთან მახარობელი გაგზავნა, სისხლისმსმელ გიაურთაგან ჩემი ძმა გამოვიხსენ, წინ შემომეგებეთო.

უშუნ კოჯასთან მახარობელი მოვიდა და უთხრა — სასიხარულო ამბავი მოგიტანე, შენთა თვალთა სინათლე — ორივე ვაჟი ჯანმრთელად არის და დაგიბრუნდაო.

მოხუცმა ეს რომ გაიგო, გაუხარდა. დოლებს დასცხეს, სატუჩეძოქროვილ საყვირებს ჩაბერეს.

იმ დღეს აღმართეს დიდი კარვები. დაკლეს კვიცი, კოზაკი და ყოჩი.

კოჯა ბეგი თავის ვაჟებს მიეგება. ცხენიდან ჩამოვიდა და ვაჟებს გადაეხვია. შვილებო, ხომ ჯანმრთელად ხართ, ხომ არაფერი დაგიშავდათო, ასე უთხრა. ოქროს საჩრდილობლიან კარავში შევიდნენ.

მხიარულება და ჭამა-სმა გაჩაღდა. უფროსი ვაჟისთვისაც მოეყვანათ მზე-თუნახავი პატარძალი. თავ-თავის საქორწინო კარავში შევიდნენ. თავიანთ სურვილს ეწივნენ.

მოვიდა ჩვენი დედე ქორჭუთი, ამბავი შეთხზა, დესტანი შეთხზა; ადრე თუ გვიან სიცოცხლის ბოლო სიკვდილია. როცა მოვა უამი სიკვდილისა, წმინდა რწმენა ნუ დაგიტევენს. შეგინდოს თქვენი ცოდვანი მალაღმა ღმერთმა სახესხივოსან მუჰამედის გულისთვის. „ამინის“ მთქმელმა იხილოს სახე დავითისა, ხანო ჩემო.

სალურ ყაზანის დატყვევებისა და ურუზისაგან მისი გამოხსნის ამბავი

ჩემო ხანო, ტრაპიზონის თექურმა ბეგლარბეგ ხან ყაზანს ერთი შავარდენი გამოუგზავნა: ერთ ღამეს, როცა სმა-ჭამას მიეცნენ, ხანმა ბაზიერთუხუცესს უთხრა, ხვალ დილით შავარდნებით სანადიროდ წავალთო.

სისხამ დილას ამხედრდნენ, სანადიროდ გავიდნენ. ნახეს, გარეული ბატების გუნდი ზის. ყაზანმა შავარდენი მიუშვა, ვერ დაიჭირა. შავარდენი ცაში აფრინდა. თვალი მიადევნეს, ნახეს რომ შავარდენი თომანის ციხეში დაეშვა. ყაზანი ძალზე შეწუხდა, შავარდენს დაედევნა. მთა-ველი გადაიარა, ურჯულო-

თა მხარეს მოვიდა. როცა მიდიოდა, ყაზანის ჩაშავებულ თვალებს ძილი მოეკი-
და. ბეგებმა უთხრეს: ჩვენო ხანო, დავბრუნდეთო, მაგრამ ყაზანმა ისურვა
ცოტა წინ წავიდეთო. შეხედა ერთი ციხე იყო აღმართული; თქვა:

— ბეგებო, მოდი დავამხოთო. ეს თქვა და ყაზანი „ხანმოკლე სიკვდილს“
მიეცა, ღრმად დაიძინა. ჩემო ხანო, ესეც იცოდეთ, რომ ოლუზთა ბეგებმა
დღეს იძინებდნენ. ამიტომაც ამ ძილს პატარა სიკვდილს უწოდებდნენ.

იმ დღეს თურმე თომანის ციხის თექურთი სანადიროდ იყო. ჭაშუში მასთან
მივიდა, ყოველივე აუწყა, უთხრა:

— ერთი ცხენოსანთა რაზმი მოვიდა, მათი ბეგი კი დაწვა და ძილს მიეცა.
თექურმა კაცები აფრინა, შეიტყვე, ვინ არიანო. მოთვალთვალეებმა გაი-
გეს, რომ ისინი ოლუზი მხედრები იყვნენ. მოვიდნენ და თექურს აუწყეს. თე-
ქურმაც მაშინვე ჯარი შეკრიბა და მათ თავს დაესხა.

ყაზანის ბეგებმა ნახეს, რომ მტერი მოდის, თქვეს: თუ კი ყაზანს მივა-
ტოვებთ და წავალთ, სახლებში აღარ შეგვიშვებენ. უკეთესია აქ გავწყდეთო.

გვეთნენ ურჯულოებს, ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. ურჯულოებმა ყაზანს
ოცდახუთი ბეგი ამსხვერპლეს. ყაზანს დაესხენ, სადაც ეძინა, იქვე შეიპყრეს.
ხელ-ფეხი წაგრა შეუტრეს. ერთ ურემზე დააწვინეს, თოკებით მაგრა მიაბეს და
გზას გაუდგნენ.

როცა მიდიოდნენ, ურემის ღრჭიალმა ყაზანი გააღვიძა, გაიზმორა, ყველა
თოკი, რომლითაც შეკრული იყო, გაწყვიტა, ურემზე წამოჯდა, ხელი ხელს
შემოკრა და გადაიხარხარა. ურჯულოებმა უთხრეს: რას იცინიო. ყაზანმა უბა-
სუხა, ეი, ურჯულოებო, ეს ურემი აკვნად მივიჩნიე, თქვენ კი ჩემი აღმზრდე-
ლები მეგონეთო.

ასე იყო, თუ ისე, ყაზანი მოიყვანეს, თომანის ციხეში, ერთ ჭაში ჩააგდეს.
ქას თავზე წისქვილის ქვა დაადეს. სასმელს და საჭმელს ამ წისქვილის ქვის ნა-
ხვრეტიდან აწვდიდნენ.

ერთ დღეს თექურის ცოლმა თქვა:
— წავალ ერთი ყაზანს ვნახავ, რა კაცია ასეთი, რომ ამდენ ადამიანებს
თავზარს სცემს.

ხათუნი მოვიდა, მეციხოვნეს კარი გააღებინა, შესძახა: ყაზან ბეგო რო-
გორ ხარ? სიცოცხლე დედამიწის ქვემოთ სჯობს, თუ დედამიწის ზემოთ? ახლა
რას სჭამ და რას სვამ, ან რაზე ჯირითობო. ყაზანი უბასუხებს: როცა თქვენ
თქვენ მიცვალებულებს საჭმელს აძლევთ, მე მათ ხელიდან ვგლეჯ, თქვენ მი-
ცვალებულებზე ვჯდები, ხოლო უძლურებს და ბეხრეკებს აღვირით ვათრევო.

თექურის მეუღლე ამაზე ეტყვის: ყაზან ბეგო, შენ რწმენის მადლს გაფი-
ცებ, შვიდი წლის ასული მომიკვდა, მოწყალება ჰქმენ, მასზე არ ამხედრდეთ.
ყაზანი ეტყვის: თქვენ მიცვალებულებს შორის, მასზე უკეთესი იორღა არ მე-
გულება, სწორედ მას უნდა დავაჯდეთო.

ქალი შესძახებს: ვაი, რომ შენ გამო არც დედამიწის ზემოთ აქვთ ხსნა
ჩვენ ცოცხლებს, არც დედამიწის ქვეშ ჩვენ მიცვალებულებსო.

მოვიდა თექურთან და უთხრა: მოწყალება გაიღე, ის თათარი ჭიდან ამოი-
ყვანე, შენ საწყალ ასულს წელს მოწყვეტსო, დედამიწის ქვეშ ჩვენ საწყალ
გოგოს აჯდება. ჩვენი ღირსეული მიცვალებულები შეუტრებიან. თანაც მიცვალე-
ბულებისათვის მიცემულ საჭმელს ხელიდან ართმევს, თვითონ შეექცევა. მის
ხელით არც ჩვენ მიცვალებულებს და არც ჩვენ ცოცხლებს აქვთ მოსვენება:
თუ კი რამე გწამს, ის კაცი იმ ორმოდან ამოიყვანეთო.

თექურმა ბეგები შეკრიბა, უთხრა, მოდით, ყაზანი ორმოდან ამოვიყვანო-
თო. ჩვენ გვადიდოს და ოლუზები დაამარცხოს. მერმე აღთქმა დადოს, რომ
ჩვენ აღარ გვიმტრობს და ჩვენზე აღარ წამოვაო.

წავიდნენ, ყაზანი ჭიდან ამოიყვანეს, მოიყვანეს, უთხრეს: აღთქმა დაგვი-
დე, რომ ჩვენ მხარეში მტრად აღარ მოხვალ. თანაც ჩვენ გვადიდოს და ოლუ-
ზები დაამცირე. შენ გაგიშვებთ, წადი შენ გზას ეწიეო.

ყაზანი იტყვის: ღმერთმანი, როცა სწორ გზას დავინახავ, მრუდე გზით არ
ვივლიო. თქვეს ღმერთმანი, ყაზანმა კარგი აღთქმა დადო. ახლა კი ყაზან ბეგო,
ჩვენ შეგვაქეო — დაუმატეს. ყაზანმა უთხრა: მე დედამიწაზე როცა ვდგავარ,
კაციშვილს ვერ ვაქებ. ერთი კაცი მომიყვანეთ. შევაჯღები და ისე გაქებთო.
წავიდნენ ერთი ურჯულო მოუყვანეს: უნაგირი და აღვირიც მომიტანეთო —
თქვა. მოუტანეს.

ურჯულოს ზურგზე უნაგირი დაადო, პირში ლაგამი ამოსდო, ღვედები
დაუჭირა, ისკუპა, ზურგზე მოახტა. ქუსლი ქუსლს შემოკრა, ნეკნები მუცელს
შეუერთა, აღვირი მოზიდა, პირი გაუსია, ურჯულო მოკლა. ჩაიმუხლა, ზედ
დააჯდა, თქვა, ეი, ურჯულოებო, მომიტანეთ ჩემი კოფუზი თქვენ უნდა გა-
დიდოთო.

წავიდნენ, კოფუზი მოუტანეს, აიღო და აქ თქვა, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა
თქვა. იტყვის:

თუ დამინახავს მტერი ათასი, ეს გასართობად
მიმიჩნევია,

თუ დამინახავს ოცი ათასი, მე შიშის გრძნობა არა
მქონია,

თუ ოცდაათი ათასი იყო, ესეც არაფრად მიმიჩნევია.

თუ ორმოც ათას უყრიდნენ თავსა, მე აღმაცერად
ვავლებდი თვალსა;

ორმოცდაათი ათასი მტერიც — არაფრად მიჩნდა, არად
მიღირდა,

სამოც ათას კაცს როს ვიხილავდი, მე დაზავებას როდი
ვითხოვდი,

თუ ოთხმოც ათას დავინახავდი, ესეც სავსებით არ
მალელებდა.

ოთხმოცდაათი ათასი მტერიც, არ მაკრთობდა და არ
მაფიქრებდა.

თუ ასიათასს თვალს მოვაავლებდი, არა ვკრთებოდი,
ზურგს არ ვაქცევდი,

ხელს წავავლებდი, ამ უძლეველ ჩემსა მახვილსა
და მუჰამედის რწმენისა მადლით ვავლებდი მუსრსა,

და თეთრ მინდორზე ვარიგებდი თავებს წაჭრილსა,
არც მაშინ მითქვამს, რომ მე ვარ მამაცი, არ

მოვეყოლივარ თავის ქებას,
ძალზე არ მქომწონს, როცა მამაცი იწყებს ტრაბახს და

თვითგანდიდებას.

ახლა თქვენს ხელთ ვარ, გიჯობთ, მომკალით
და შავი ხმალით თავი წამკვეთეთ,

ვერსით წაუვა ეს ჩემი თავი მაგ თქვენ მახვილსა,
მაგრამ, იცოდეთ, ჩემი მოდგმის, ჩემი რჯულის არ
ვიტყვი ძვირსა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

და კიდევ იტყვის:

როს ცადაწვდილი შავი მთიდან ქვა გორდებოდა,
მას რომ ძლიერი ტერფითა და მუხლით იჭერდა, ეს მე —
ყაზანი — ვიყავი მამრი!
როს ფარაონი მჭრელი შამფურით ხელშემართული
წარმოდგებოდა,
თავის ტერფით რომ აბლაგვებდა, ეს მე — ყაზანი —
ვიყავი მამრი,
როს ძალოვანი, თავზე გასულნი, ოლუზთ ბეგები,
აღზევდებოდნენ
მათ რომ მათრახით დაამშვიდებდა, ეს მე — ყაზანი —
ვიყავი მამრი!
როს დაფარავდა მალალ მთის მწვერვალს, ნისლი
ძლიერი,

თვალშეუვალი ჯანყი იდგა სქელი, ულევი,
როს ვერ ვხედავდი საკუთარი ულაყის ყურსაც
და სხვა მხედრები უმეგზუროდ ვიდოდნენ მრუდად
უმეგზუროდ, რომ ვიკვლევდი გზას ვაყკაცურად — ეს
მე — ყაზანი — ვიყავი მამრი!

როს შევუტეე შვიდთავიან ვეება გველეშაპს,
მარცხენა თვალი შემიკრთა და ცრემლები ღვარა,
შენ ჩემო თვალო, თვალო, ბეცო, თვალო მშიშარავ,
ამ გველეშაპმა ვით შეგაკრთო, შეგაშინა რამ?
არც მაშინ მითქვამს, რომ მე ვარ მამრი, არ მოვყოლივარ
თავისა ქებას,
ძალზე არ მომწონს, როცა მამაცი იწყებს ტრაბახს და
თვით განდიდებას.

ახლა თქვენ ხელთ ვართ, ურჯულო, მომკალ სჯობს
დამკარი ხმალი, წამკვეთე თავი!
ვერსით წაუვა ეს ჩემი თავი მაგ თქვენ მახვილსა,
მაგრამ უწყოდეთ, ჩემი მოდგმის და ჩემი რჯულის არ
ვიტყვი ძვირსა
და ვიდრე ცოცხლობს ოლუზთა ტომი, მე არ მოვეყვები
თქვენსა ქებასა.

ყაზანი აქ კიდევ იტყვის:

ციცაბო კლდეზე, უმანის ზღვის სანაპიროზე,
მიუვალ და დამრეც ადგილზე, აღმართულია
ურჯულოთა ციხე ქალაქი.
მარჯვნივ და მარცხნივ, ყველა სრუტეს თუ საყუდელში,
ცურავენ მათი მყვინთავეები
ზე ზღვისა ფსკერზე დანაგარდობენ და გაჰკივიან
ის მკრეხლები — ჩვენ ვართ ღმერთებო!

მათი ასულნი, გზაგადასულნი, უკულმა წერენ და
კითხულობენ,
და პატარძალნი, ვით ამორძალნი, ოქროს კოჭებით
თამაშობენ სანჯიდანის უხეშ ბეგებთან,
ექვსჯერ დალაშქრეს ოღუზებმა ის ციხე-კოშკი
მე ექვსი კაცით გავილაშქრე, და სულ ექვს დღეში ბოლო
მოვუღე,

მიწას ვუსწორე მონასტრები, ეკლესიები
და მათ აღგილას აღვაშენე მე მეჩეთები,
და ვაიძულე წაეკითხათ ოზანი წრფელი,
ვიწვინე მკერდზე პატარძალნი, ასულნი მწველნი,
მათი ბეგები დავიმონე, დავუმოკლე სიცოცხლის დღენი,
არც მაშინ მითქვამს, რომ მე ვარ მამრი, არ
მოვყოლილვარ თავისა ქებას,
ძალზე არ მომწონს, როცა მამრი იწყებს ტრაბახს და
თვით განდიდებას,
ახლა თქვენ ხელთ ვართ, ურჯულო მომკალ, სჯობს
გამათაო

ვერსით წაუვა ეს ჩემი თავი მაგ თქვენ მახვილსა.
მაგრამ უწყოდეთ, ჩემი მოდგმის და ჩემი რჯულის არ ვიტყვი ძვირსა.
ყაზანი კიდევ იტყვის:

ჰე, ურჯულოვ, მთის დამრეცხე რომ დავუშვი
ის ხომ მამაშენი იყო?
კულულებს რომ დავეწაფე და გავწეწე,
ის ხომ შენი რძალი იყო?
ახჩა-კალეს სიახლოვეს, სურმელუსთან ცხენი მაგრა
გაეახურე,
და იმ ცხენით მივაშურე, შევუტეე კარუნისა
მხარე-ყურეს,

აკ-პისარის ციხის ბურჯი დავანგრეე, დავაქციე,
მომიტანეს თეთრი ვერცხლი, სპილენძისად მივიჩნიე!
მომიტანეს ნაღდი ოქრო და სპილენძად მივიჩნიე!
მომიყვანეს ჭრელთვალება ასულები — ვერ მაცდუნეს.
ეკლესია-მონასტერი დავანგრეე და მეჩეთი-სალოცავი
აევაშენე,
ჩემს ჯიგითებს ოქრო-ვერცხლი ვაძარცვინე და ნადავლი
ვაშოვნინე.
არც მაშინ მითქვამს, რომ მე ვარ მამრი, არ მოვყოლივარ
თავისა ქებას,
ძალზე არ მომწონს, როცა მამაცი იწყებს ტრაბახს და
თვით განდიდებას.
ახლა თქვენ ხელთ ვარ. ურჯულოვ — მომკალ და
გამათავე!

მაგრამ უწყოდე, ჩემი მოდგმის და ჩემი რჯულის არ
ვიტყვი ძვირსა
და არ დავიწყებ მე შენ ხოტბას და აღზევებას

ყაზანი ბეგი აქ კიდევ იტყვის:

მამალი ვეფხვის მოდგმის ვარ, არ — კაიაუნის

სანახებისა,



შვება არ მივცე შენ ლალ ჯეირნებს,
 მე ხვადი ლომის ჯიშის ვარ, აკ-საზის სანახებისა
 შვება არ მივცე გაუხედნავდ შენ თოხარიკებს,
 მე ძუ მგლის ლეკვის მოდგმისა ვარ,
 შვება არ მივცე შენ თეთრი ცხვრის ფარებს,
 თეთრი შავარდნის ჯიშის ვარ,
 შვება არ მივცე შენ იხვებს ჭრელებს და ბატებს შავებს,
 ძალოვან ოლუზ მხარეში ვაჟი დამიდის სახელად ურუზ,
 და მყავს კიდევ ძმა, რომ უხმობენ ყარა გუნესა,
 მუსრს გაავლებენ თქვენ ახალშობილთ, ატირებენ თქვენ
 ძუძუმტესა,

ახლა რადგანაც თქვენ ხელთა ვარ, მომკალით ბარემ
 ვერსით წაუვა ეს ჩემი თავი მაგ თქვენ მახვილსა,
 მხგრამ უწყოდეთ ჩემი მოდგმის და ჩემი რჯულის არ
 ვიტყვი ძვირსა

აქ კიდევ ეტყვის:

ძალღივით ყმუი, იღრიჯები, ჩერქეზო ლორო,
 მურდალი გოჭი რომ გაქვს საჭმელად,
 და — სარეცელად თივის ტომარა,
 და — სასთუმალად აგური,
 ღმერთად მიიჩნევ გათლილ ხის ნატებს,
 ო, შე ურჯულოვ, ქოფაკო ძაღლო,
 ვიდრე ერთ ოლუზს ვუმზერ ცის ქვეშ, მე ვერ მივყვები
 შენ განდიდებას,

ამიტომ მომკალ, გამათავე, ბომილე ბოლო,
 და თუ არა და, ნება ღვთისას — მე შოგკლავ ბოლოს!

ურჯულოებმა თქვეს, ეს ჩვენ არც როდის არ გვაქვს, მოდით მოვულოთ
 ბოლოო. ურჯულოთ ბეგები შეიკრიბენ; თავი მოიყარეს, თქვეს. ამ კაცს ვაჟი
 ჰყოლია, ძმა ჰყოლია. ამის მოკვლა არ იქნებაო. წაიყვანეს და საღორეში და-
 ამწყვდიეს.

ცხენის ფეხი მარდია, ოზანის ენა მოქნილი. არავინ უწყოდა ყაზანი ცოც-
 ხალი იყო თუ მკვდარი.

მაგრამ, ხანო ჩემო, ყაზანს ვაჟი ჰყავდა. გაიზარდა, დავაჟკაცდა. ერთხე-
 ლაც როცა ამხედრდა და საკრებულოში მოვიდა, ერთმა კაცმა ჰკითხა, ეი,
 ხანო, შენ ყაზანის ვაჟი არა ხარო.

ურუზი განრისხდა, შეუტია:

— ეი, შე არამზადავ, მამაჩემი ბაინდურ ხანი არ არის განა?

— არაო — მიუგო კაცმა — ის დედაშენის მამაა, შენი პაპაა.

ურუზი კვლავ იკითხავს: აბა, ესეც მითხარი, მამაჩემი ცოცხალია თუ
 მკვდარიო.

— ცოცხალიაო — უპასუხა — თომანის ციხეში დატყვევებულიო.

ეს რომ უთხრა, ვაჟი ატირდა, ძალზე დამწუხრდა, მოაბრუნა ცხენი. უკან
 მოვიდა. დედას მიუხტა. აქ დედას ეტყვის, ვნახოთ, ხანო ჩემო, რას ეტყვის:

ეი, დედაო, მე ხანის ძე არა ვყოფილვარ
 მე ყაზან ბეგის ვაჟი ვყოფილვარ
 შენ არამზადას ასულო, ვინ ხარ?
 რატომ აქამდის არარა მითხარ?!



დედის უფლება, ღვთის უფლება არ არის განსაზღვრული
 თუ ამოვიღო ჩემი შავი ფოლადის ხმალი, განმოსვლელად,
 სწრაფლ მოგაჭრა ეგ ნაზი თავი
 და მიწას ვღვარო შენი სისხლი, წითელი ლალი.

დედა ატირდა. უთხრა: შვილო, მამაშენი ცოცხალია, მაგრამ ამის თქმის
 მეშინოდა. ურჯულოებზე გაილაშქრებ, თავს დადებ, დაიღუპები. ამიტომ არ
 გითხარი. ჩემო ყველავე; მაგრამ მოდი ბიძას კაცი გაუგზავნე, მოვიდეს ვნახოთ,
 რას იტყვის.

კაცი აფრინეს, ბიძას უხმეს. მოვიდა, ურუხმა თქვა: მე ვილაშქრებ იმ
 ციხეზე, სადაც მამაჩემია დატუსაღებული. შეიკრიბენ, მოითათბირეს ყველა
 ბეგებს აუწყეს: ურუხი მამამისთან მიდის, იარაღი აისხით, გამოცხადდითო.
 ლაშქარი შეიკრიბა.

ურუხმა კარვები ააშლევინა, საჭურველით და სანოვაგით დატვირთა. ყარა
 გუნე ჯარს ჩაუდგა სათავეში, საყვირებში ჩაბერეს, დაკრეს დაფი და ნალარა,
 გზას გაუდგნენ. გზად შემოხვდათ ურჯულოთა არასოფია. ბერები და მღვდლე-
 ბი იცავდნენ. ძალიან ძლიერი ეკლესია იყო.

ცხენებიდან ჩამოქვეითდნენ, ვაჭრის ტანსაცმელი გადაიცვეს, და ვითარცა
 ვაჭარნი აქლემები და ჯორები გაიდევნეს და წავიდნენ. ურჯულოებმა ნახეს,
 რომ ესენი ვაჭრებს არ ჰგავდნენ. გაიქცნენ ციხეს თავი შეაფარეს, კარი დაკე-
 ტეს, კოშკებზე ავიდნენ: ვინა ხართო კითხეს. ამათმა უპასუხეს, ვაჭრები ვარ-
 თო. ურჯულოებმა შემოსძახეს, ტყუილს როშავთო და ქვებს წაავლეს ხელი.

ურუხი ჩამოქვეითდა და უთხრა: ეი, ვისაც მამაჩემის ოქროს თასიდან
 ღვინო შეუსვამს, ვისაც მე ვუყვარვარ, ჩამოქვეითდეს, და ამ კარებს თითო
 არგანი დაგკრათო.

თექვსმეტმა ჯიგითმა ცხენიდან ისკუბა, ფარები აიფარეს, არგანები მოი-
 მარჯვეს, კარს მიუხტნენ. სათითაოდ არგანი დაკრეს კარს, დაამსხვრიეს შიგ
 შევიდნენ. რომელ ურჯულოსაც წააწყდნენ, სიცოცხლეს გამოასალმეს. ნადავ-
 ლი ხელთ იგდეს. უკან დაბრუნდნენ, დაბანაკდნენ.

ერთიც ხარების მეჭოგე იყო. მან დაინახა, რომ ციხე აიღეს. გაიქცა, თე-
 ქურთან მივიდა, გააგებინა, არასოფიას აღება, რას ზიხარ გულხელდაკრე-
 ფილი, მტერი კარზე მოგვდგომია, შეიარაღდითო.

თექურმა ბეგები შეკრიბა. ამათ როგორ გავუმკლავდეთო, იკითხა. ბაგებმა
 უთხრეს. მოდი, მათ ასეთი ოინი ვუყვით, ყაზახი გამოვიყვანოთ და მასთან ერ-
 თად ვებრძოლოთ. ეს სიტყვა ჭკუაში დაუჭდათ. წავიდნენ ყაზან-ყაზაგი გა-
 მოიყვანეს, თექური ეტყვის: ყაზან ბეგო, მტერი მოგვიხტა კარზე, თუ კი შეხ
 ამ მტერს მოგვაშორებ, გაგანთავისუფლებო. თანაც ხარაჯასაც მოგართმევთ,
 ოღონდ შენ შემოგვფიცე, რომ მტრად აღარ მოხვალ ჩვენზეო. ყაზანმა თქვა:
 ღმერთმანი, როცა სწორ გზას ვხედავ, მრუდეთი არ ვივლიო. ურჯულოებს
 გაეხარდათ, ყაზანმა კარგი აღთქმა დადო.

თექურმა ჯარი შეაგროვა, მოედანზე გამოვიდა, კარავი აღამართვინა. ურ-
 ჯულოთა ლაშქარი ყაზანის ირგვლივ მოგროვდა. ყაზანს აბჯარი
 მოუტანეს. ხმალი, შუბი, არგანი და საბრძოლო იარაღები მის-

ცეს, აღჭურვეს. ახლა ოლუხთა მხედრები რაზმებად მოდიოდნენ. დაკრეს დოლი და ნალარა. ყაზანმა ნახა, რომ ლაშქარს წინ კომთას-წრო მონაცრისფერო ცხენზე ამხედრებულმა თეთრალმიანმა, მუხარადმი გამოწყობილმა ოლუხმა. კარავი აღამართინა, რაზმი განალაგა და თავედაც დაეჭაფა. მას მოყვა ყარა გუნე, რაზმი განალაგა და თავედაც დაეჭაფა. შინვე ცხენს დეზი კრა, მოედანზე გავიდა. შერკინება ისურვა, ნაცრისფერ ბედაურზე ამხედრებულმა ბეირექმა არ დააყოვნა, ისიც მივიდა. ყაზანს აქ უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს, იტყვის:

რომ წარმომდგარხარ, ამხედრებულხარ,
ჯიგითო, ვინ ხარ?!

რკინის აბჯარი ძლიერი მხრების საფარად ვშვეენის,
ჯიგითო, ვინ ხარ?!

მითხარ რა გქვია, რას გიხმობენ, ანდა ვინა ხარ?!

აქ ბეირექი ეტყვის, ვნახოთ, ხანო ჩემო, რას ეტყვის:

ეი, ურჯულოვ, ნუთუ ვერ მიცნობ?

მე მიწოდებენ ბამსი ბეირექს,

ხოლო მამაჩემს — ბაი ბურე ხანს

არ გაგიგია მისი ამბავი?

როგორ გადმოხტა, გადმოევილო ფარასორის ბაიბურდის
კოშკს,

და როს უცხოებს საცოლუ მისი მიყავდათ სხვისთვის,

არ დაანება, დაიტოვა იგი თავისთვის,

მაშ, ბარემ მოდი, შევებრძოლო, ღვთის გულისათვის.

ყაზანი აქ კიდევ ჰკითხავს: ეი, ჯიგითო, მითხარი, ამ ჯარს წინ მიუძლოდა თეთრ ალმით რაზმი. კარავი ყველაზე წინ აღმართეს, ის ჯიგითი მონაცრისფერო ცხენზე რომ იჯდა, ვინ იყო? ვისი იყო? ჯიგითო, გაფიცებ შენ თავს, მითხარი მე.

ბეირექმა უთხრა: ეი, ურჯულოვ, ვისი უნდა იყოს?! ჩვენი ყაზან ბეგის ვაჟია.

ყაზანმა გულში გაიფიქრა: მადლობა ღმერთს ჩემი ვაჟი დავაუკაცებულა.

ბეირექი შესძახებს. ეი, ურჯულო რას დამიწყე აქეთურ-იქითურიო და ყაზანს ცხენს მიაგდებს. ექვსფრთიან კვერთხს აიღებს და ყაზანს ჩაკრავს.

ყაზანმა არაფერი უთხრა, დაიჭირა, ბეირექს წელში ხელი წაავლო, არგანი ხელიდან გამოგლიჯა, კეფაში ჩაცხო. ბეირექი ცხენს კისერზე ჩამოეკიდა, ასე დაბრუნდა უკან. ყაზანმა უთხრა: წადი ბეირექ, წადი შენ ბეგს უთხარი, მოვიდეს. ეს რომ დაინახა, ეილიკ კოჯას ძე დონებოლმეზ დოლექ ევრანი მოედანზე გამოვიდა.

ყაზანმა აქ თქვა:

სისხამ დილით რომ წამომდგარხარ,

ჯიგითო ვინ ხარ?!

და აჯირითებ და ახურებ მაგ შენ ბედაურს,

ჯიგითო ვინ ხარ?

მამრი მამრს სახელს არ უმაღავს, ეს სირცხვილია.

მითხარ რა გქვია, რას გიხმობენ, ანდა ვინა ხარ?

დოლექ ევრანი უპასუხებს:



ეი, ურჯულოვ, ნუთუ არ იცი ჩემი სახელი,
 მე მიძახიან დოღეჭ ევრანს ეილიჭ კოჯას ძეს
 მე არად მიჩანს ჩემი ღირსება, დიდი სახელი.
 მე არასოდეს მიქცევია მტრისათვის ზურგი,
 მე დაუტევე, ჩემი მამული და ხელთ ჩავიგდე
 ორმოცდაათზე მეტი ციხის კარისა ზღურბლი.

შუბს ხელში აიღებს და ცხენს მიაგდებს რა არის ყაზანი გავგმიროო. ვერ
 გაგმირა, ააცდინა. ყაზანი ცხენდა-ცხენ მიუხტა, შუბი ხელიდან გამოგლიჯა,
 კეფაში ჩაკრა, შუბი თავზე გადაამტვრია. ეტყვის: ეი, არამზადას ნაშობო, მი-
 დი შენ ბეგთან, უთხარი მოვიდეს. ის მიტრიალდა, ლაშქარში მივიდა. ყაზანმა
 კვლავ გამოიწვია მოქიშბე. დუზენის ძე ალფრუსტემი გამოჯირითდა, მოედან-
 ზე გამოვიდა, ყაზანმა მასაც ჰკითხა:

როს ამდგარხარ და აქ მოსულხარ,
 ბედაურ ცხენზე ამხედრებულხარ,
 ჯიგითო, ვინ ხარ.

მითხარ, რა გქვია, რას გიხმობენ ანდა ვინა ხარ?

ალფრუსტემი უპასუხებს:

მე მიწოდებენ ალფრუსტემსა დუზენის ძესა,
 ეს მე ვარ ღვთისგან დაგმობილი და შერისხული,
 როს წამოვდექი და ორი ძმა თითო და ჩვილი,
 აღმოვაჩინე სულშეხუთული და ტვინგასხმული.

მანაც მიაგდო ყაზანს ცხენი, ვძლევაო — გაიფიქრა, ვერ სძლია. ყაზან ბეგმა
 მასაც ძლიერად დაკრა და უთხრა: წადი, ნაძირალავ, შენი ბეგი მოვიდეს უთ-
 ხარი. ისიც დაბრუნდა. ყაზანს კვლავ შერკინება სურდა.

ურუზის ცხენის აღვირი ბიძამის ყარა გუნეს ეჭირა. უცბად გამოიწია, ხე-
 ლიდან გამოგლიჯა ხმალი, შემართა და მამას ცხენი მიაგდო, წინააღმდეგობა
 ვერ გაუწია; აღმართული ხმალი დაკრა. აბჯარი გაუპო, მხარზე ოთხი თითის
 საღრმის ჭრილობა მიაყენა. წითელმა სისხლმა იჩქეფა, უბეში ჩაეღვარა.
 ურუზი კვლავ მობრუნდა, რათა ერთხელ კიდევ დაეკრა. ყაზანი აქ შესძა-
 ხებს, ვაჟს ეტყვის, ვნახოთ ხანო ჩემო, რას ეტყვის:

ვაჟო — ჩემი შავი მთის მწვერვალო,
 ვაჟო — შავ თვალთა სინათლეო,
 ვაჟო — მამალო, ლომო ურუზო,
 ნუ გაიმეტებ მამაშენს თეთრწვეროსანსა.

ურუზს სიბრალულით ძარღვებში სისხლი აუდუღდა. შავი, მოსირმული თვა-
 ლები სისხლის ცრემლებით აევსო. ცხენიდან ჩამოხტა, მამას ხელზე ემთხვია,
 ყაზანიც გადმოხტა, ძირს დაეშვა. ვაჟს კისერზე ემთხვია:

ბეგებმა მამა-შვილისაკენ ცხენები გამოაჭენეს, წრე შემოართყეს, ყველა
 ჩამოქვეითდა და ყაზანს ხელზე აკოცა. შემდგომ შეუტყეს ურჯულოებს, ხმლე-
 ბი დასცხეს. მთა და ბარში ყველგან ურჯულოებმა დამარცხების სიმწარე იგე-
 მეს. ციხე აიღეს, ეკლესია დაანგრიეს, მეჩეთი ააგეს. ურუზმა სისხლიანი ურ-
 ჯულოების ხელიდან დაიხსნა მამა, ძალოვან ოღუზთა მხარეში დაბრუნდა.
 თეთრსახა დედამისს მახარობელი გაუგზავნა.

საპატარძლო ქალიშვილები, თეთრი თაფლის მსგავსნი, ყაზანს შეეგებენ,
 ხელზე აკოცეს, ფერხთ ჩაუვარდნენ.

ყაზანმა მშვენიერ მდებლობზე აღამართვინა კარვები, შვიდი დღე და ღამე
 ლხინი გამართეს, სმა-ჭამას მიეცნენ.

მოვიდა ჩვენი დედა ქორჭუთი, კოფუზი დაკერა. თქვა, თუ რა დაემართა
 მამაც ყაზიებს:



სადღა არიან ის ჯიგითები,
 რომ ჩემულობდნენ ამ ბნელ ქვეყანას,
 მოუხტათ კარზე აჯალი მწყრალი
 და მათი თავი მიწაში ჩაფლა
 ვის შერჩენია ეს ქვეყანა, ასე — წარმავალ.
 მომსვლელთ-წამსვლელთ, ადგილი და მარად სავალი,
 ქვეყანა, რომლის დასასრული სიკვდილი არის.

როცა დადგება სიკვდილის უამი, წმინდა სარწმუნოებას არ განშორებულიყა-
 ვი. ყოვლის შემძლემ მუხანათობის მოსურნედ არ გქმნას, შენ თეთრ შუბლს
 ხუთ სიტყვისგან შემდგარი ლოცვა ვუძღვენით, ისმინოს უფალმა, ვინც თქვას
 ამინო, მან იხილოს მისი სახე. შენი ცოდვანი სახელდებული და სახელოვანი
 მუჰამედ მუსტაფას წყალობით მოგიტევოს უფალმა, ხანო ჩემო.

შიდა და გარე ოლუზთა გრძობისა და ბეგრების სიკვდილის ამგავი

ყაზანი სამ წელიწადში ერთხელ შიდა და გარე ოლუზთა ბეგებს შეკრე-
 ბდა ხოლმე. როცა უჩ-ოკისა და ბოზ-ოკის ტომები შეიკრიბნენ, ყაზანმა თავის
 სახლ-კარი დაარბევინა. სანამ ყაზანი თავის სახლ-კარს დაარბევინებდა, თავის
 ცოლს ხელს მოჰკიდებდა და გარეთ გამოიყვანდა, მხოლოდ შემდეგ დაარბე-
 ვინებდა ხოლმე. ამჯერად გარე ოლუზები აქ არ იყვნენ, მხოლოდ შიდა ოლუ-
 ზებმა დაარბიეს.

გარე ოლუზთა ბეგებმა ურუზმა, უმენმა და დანარჩენმა ბეგებმა შეიტყეს.
 თქვეს, ერთი ნახე, აქამდე ყაზანის სახლს ჩვენც ვარბევდით, ახლა კი რატომ
 არ დავარბიეთო?! პირი შეკრეს და გარე ოლუზთა ბეგები ყაზანთან აღარ გა-
 მოცხადდნენ. მტრობა დაუწყეს.

ცხენის ფეხი მარდია, ოზანის ენა — მოქნილი. ერთი კაცი იყო, კილბაშს
 ეტყოდნენ. ყაზან ბეგმა უთხრა ჰეი, კილბაშო, ეს გარე ოლუზთა ბეგები ყო-
 ველთვის მოდიოდნენ, ახლა რატომ არ გამოცხადდნენ?

კილბაში უპასუხებს, არ იცი განა, რატომაც არ მოვიდნენ? შენი სახლ-
 კარი რომ დაარბევინე, მაშინ გარე ოლუზები იქ არ იყვნენ, მიზეზი ეს არისო.
 ყაზანი იკითხავს მას, ჩემთან მტრობა გადაწყვიტეს?

კილბაში უპასუხებს, ჩემო ხანო, მე წავალ და გავიგებ, ისინი მტრად გაგ-
 ვიბდნენ თუ მოყვრებად დარჩნენო.

ყაზანი ეტყვის, აბა, შენ იცი, წადიო.

კილბაში რამდენიმე კაცთან ერთად ამხედრდა და გარე ოლუზთა ბეგე-
 ბისაკენ გაემართა. გარე ოლუზთა ბეგის არუზის კარზე ჩამოხტა. ის ყაზანის
 აღმზრდელი იყო. არუზს აცნობეს, ყაზან ბეგის კაცი გეწვიაო.

რისთვის მოსულაო, იკითხა არუზმა.

არუზს კი ოქროსთავნიანი საჩრდილობელი აღემართა და თავის ვაჟებთან
 ერთად იქ იჯდა.

მოვიდა კილბაში და არუზს სალამი უძღვნა. ადგილი მიუჩინეს, დაჯდა.

ეუბნება: ყაზანს უბედურება დაატყდა. ჩემი აღმზრდელი ჩემთან მოვიდესო, დაბაბრა. ასე თქვა, უბედურება დაატყდა, მტერი თავს დამესხა, ჩემი აქლემები ააბლავლეს, ჩემი კავკასიური ბედაურები ააჭიხვინეს, ჩემი თეთრი ცხვრის ფარა ააბლავლეს, ბატის მსგავსი ჩემი ქალ-პატარძალი ააღრიპლეს, ერთი ხახე, თავზე რა უბედურება დაატყდა. ჩემი აღმზრდელი არ უზი მოვიდესო.

არ უზმა უთხრა, ჰეი, კილბაშო, როცა უჩ-ოკისა და ბოზ-ოკის ხალხი შეიყარა, როცა ყაზანმა თავისი სახლი დაარბევინა, ჩვენ რა დანაშაული გვქონდა რომ გამოგვტოვა? დაე, ყაზანს მუდამეამ უბედურება დაატყდეს, დაე, მუდამეამს ახსოვდეს თავისი აღმზრდელი არ უზი, ჩვენ ყაზანის მტრები ვართ და ეს იცოდესო.

აქ კილბაშს უთქვამს. ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:

არ უზო, არ უზო, ჰეი, თახსირო არ უზო,

ადგა და საზან ხანი თავისი ადგილიდან წამოდგა,

ალადალზე კარავი გაშალა, ბინა დაიღო.

ჭამას სამოცდაექვსი ვაყკაცი მასთან შეგროვდა

ქამადსა და სმაში ბეგებმა შენ გაგიხსენეს.

ნამდვილი ამბის გასაგებად მე გამომგზავნეს.

მტერი და დუშმანი თავს არ დაგესხმია,

მტერი იყავ თუ მოყვარე, ამის გასაგებად მოველ,

გავიგე ყაზანის დუშმანი ყოფილხარ.

კილბაში წამოდგა, კარგად დარჩითო, უთხრა და წამოვიდა.

არ უზ კოჯა გაცოფდა. გარე ოლუზთა ბეგებთან კაცი აფრინა, დაბაბრა — ემენი მოვიდეს, გმირი რუსტამი მოვიდეს, უკანდახევა რომ არ იცის, ის დოლექ ევრენი მოვიდეს დანარჩენი ბეგებიც მოვიდნენო.

გარე ოლუზთა ბეგები გამოცხადნენ, შეგროვდნენ.

არ უზ კოჯამ ველზე ჭრელი კარვები აღმართა.

დაკლეს კვიცი, კოზაკი და ყოჩი. არ უზმა გარე ოლუზთა ბეგებს პატივი სცა, გაუმასპინძლდა. უთხრა, ბეგებო, აქ რისთვის გიხმეთ იცით?

უთხრეს, არ ვიცითო.

არ უზმა უთხრა:

— ყაზანმა კილბაში გამოგვიგზავნა, ჩემ ხალხსა და ქვეყანას თავს დაესხენ, ჩემ შავ თავზე უბედურება დატრიალდა. ჩემი აღმზრდელი არ უზი გარე ოლუზთა ბეგებთან ერთად მოვიდესო, ასე უთქვამს.

ემენი ეტყვის, მერე და შენ რა პასუხი გაეციო?

არ უზი პასუხობს, მე კილბაშს ვუთხარი, ჰეი, კილბაშო, როდესაც ყაზანის სახლ-კარი დაარბიეს, გარე ოლუზთა ბეგებსაც ხომ უნდა დაერბიათ?! ბეგები მიდიოდნენ, ყაზანს სალამს უძღვნიდნენ და მერე ისევ ბრუნდებოდნენ. ჩვენ რა დანაშაული გვქონდა?

ჰეი, თახსირო, ჩვენ ყაზანის მტრები ვართ-მეთქი. ასეთი პასუხი გავეცი.

ემენი ეტყვის, კარგი პასუხი გავიციო.

არ უზი იკითხავს:

— ბეგებო, თქვენ რას იტყვით?

ბეგები ეუბნებიან, ჩვენ რა უნდა ვთქვათ, შენ ყაზანის მტერი ხარ, ჩვენც მტრები ვართო.

არ უზმა ყურანი მოიტანა.

ყველა ბეგმა ყურანს ხელი დაადო და დაიფიცა. შენი მეგობრის მეგობრები, ხოლო მტრებისა მტრები ვიქნებითო.

არუზმა ყოველივე ბეგი ხალათით დაასაჩუქრა. მოუბრუნდა და თქვა: ბეგებო, ბეირექმა ჩემი ქალი შეირთო, ჩვენი სიძეა, მაგრამ ყაზანის მოსული მეგობარია. მოდი, მოვიწვიოთ, ასე ვუთხრათ, ყაზანთან შეგვარაგვ — თქვენი სიძეა — ყვანოთ, თუ ისიც მტრობას დათანხმდა, კარგია, თუ არა და, მე წვერებს დავუჭერ, თქვენ მახვილი იშიშვლეთ, აჩებეთ. ბეირექი თავიდან მოვიშოროთ. ბეირექს რომ თავიდან მოვიშორებთ, ამის შემდეგ ყაზანთან ჩვენი საქმე ცუდად არ წავა.

ბეგებმა ბეირექს ბარათი გაუგზავნეს.

როცა არუზის კაცი მოვიდა, ბეირექი თავის კარავში ვაჟკაცებთან ერთად ჭამა-სმას მისცემოდა. მოსული მიესალმა.

ბეირექმა სალამზე უპასუხა და რა ამბავიაო, იკითხა.

ის კაცი ეტყვის, ხანო ჩემო, არუზი სალამს გიძღვნის, ეს წერილი არუზმა გამოგზავნაო.

ბეირექმა გახსნა. შიგ ეწერა, რომ სიკეთე ქმნას, მოვიდეს და ყაზანთან შეგვარიგოსო.

კარგო, თქვა ბეირექმა.

ბედაური გამოიყვანეს, ამხედრდა: ორმოცი ვაჟკაცით არუზის ბინას მიადგა. გარე ოლუხთა ბეგები იქ ისხდნენ, შევიდა და სალამი უძღვნა.

არუზმა ადგილი უჩვენა და ისიც დაჯდა.

ბეირექს არუზი ეტყვის:

— იცი, რისთვის დაგიბარეს?

ბეირექი უპასუხებს, ბრძანეთ, რისთვის დამიძახეთო.

არუზი ეტყვის: ვინც აქ ზის, ყაზანს განუდგა, ფიცი დავდეთ. წმინდა წიგნი მოიტანეს, შენც დაიფიცეო.

ბეირექმა დაიფიცა, ღმერთმანი, მე ყაზანს ვერ განუდგებო. უთქვამს. ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:

მე ყაზანის პური ბევრჯერ მიჭამია,
 თუ დავივიწყო, მუდამ თვალწინ მედგას;
 იმისი კავკასიური მერნით ბევრჯერ მიმგზავრია,
 თუ დავივიწყო, იგი კუბოდ მექცეს;
 იმის ძვირფასი ხიფთანი მე ბევრჯერ მცმია,
 თუ დავივიწყო, იგი სუღარად მექცეს;
 იმის ჭრელ კარავში ბევრჯერ ვყოფილვარ,
 თუ დავივიწყო, საპყრობილედ მექცეს.

არუზი გაცოფდა, წამოვარდა და ბეირექს წვერში ხელი სტაცა. ბეგებმა ბეირექი არ მოკლეს. ბეირექი ახლად მიხვდა, რომ არუზი გაცოფდა. უთქვამს, ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:

მე რომ მცოდნოდა ამას იქმოდო,
 ჩემს კავკასიურ ბედაურს მოვახტებოდი,
 ჩემს მხრებმტკიცე რკინის ბეგთარს გადავიცვამდი,
 შავი ფოლადის მახვილს შემოვირტყამდი,
 თავზე მძიმე მუზარადს ჩამოვიცვამდი,
 სამოცი მუშტის სიგრძე ლერწმის შუბს ავიღებდი,
 ჭრელთვალემა ბეგებს თან ვიახლებდი.

მე რომ ეს მოცოდნოდა, ასე მოვიდოდი?
 მოტყუებით ვაჟკაცის დაჭერა დიაცთა საქმეა,
 შენი ცოლისგან გისწავლია თახსირი საქმე!



არუზი ეტყვის:

— ჰეი, აბლა-უბლას თავი დაანებე, საკუთარი სისხლი მოგწყურებია, მოდი და დაიფიცე!

ბეირექი ეტყვის:

— ღმერთმანი მე ყაზანის გულისთვის თავს დავდებ. მე ყაზანს ვერ ვეორგულე, თუნდაც ნაჭერ-ნაჭერ ამკუწოთ...

არუზი ისევ გაცოფდა. ბეირექს წვერში სწვდა. ბეგებს გადახედა. ხედავს, რომ არავინ არ დგება ადგილიდან. არუზმა შავი ფოლადის მახვილი ამოიღო, ბეირექს მარჯვენა ბარძაყზე გადაუქნია, შავი სისხლით შეუღებია. ბეირექს თავი დაუმიძიმდა. ბეგები გაიფანტ-გამოიფანტნენ. ყველა ამხედრდა. ბეირექიც შესვეს ცხენზე, უკან კაცი მიუსვეს. იმან ხელები შემოხვია და ასე გაქუსლეს. ბეირექის კარავს მიაღწიეს. მოსასხამი გადააფარეს.

ბეირექს აქ უთქვამს. ვნახოთ, ხანო ჩემო, რა უთქვამს:

ჩემო ვაჟკაცებო, წამოდექით, მიატოვეთ თქვენ-თქვენი ადგილი.

კუდი მოჭერით ამ ჩემს ნაცრისფერ ბედაურსა,
 ღამით გადადით ეს ჭრელი მთა ძნელად სავალი
 და გადაცურეთ მდინარენი თქეშად მავალნი.
 მიდით, ეწვიეთ ყაზან ბეგის საკრებულოსა
 და ასე უთხაროთ — შეიძარცვეთ თეთრი სამოსი
 და შავი ძაძით შეიმოსეთ ტანნი საროსი.
 შენ სალად იყავ, ბეირექი კი მიიცვალა.

და დაუმატეთ, რომ არამზადა არუზის, შენი გამზრდელისგან გამოგზავნილი კაცი მოვიდა და ბეირექს უხმობენო, შეგვატყობინა. ისიც წავიდა. ჩვენ არ ვიცოდით, გარე ოლუზთა ბეგებს თავი მოეყარათ. სმა-ჭამის დროს ყურანი გამოიტანეს, თქვეს, ჩვენ ყაზანს განვუდექით და ავუჯანყდით, დავიფიცეთ. მოდი, შენც შემოგვფიცეო. არ შეიფიცა, მე ყაზანს არ განუდგებო.

შენი ნამარდი გამზრდელი გაცოფდა, ბეირექს ხმალი დაჭკრა. შავმა სისხლმა იჩქეფა, თვალთ დაუბნელდა, თქვა: ხვალ, განკითხვის დღეს ჩემი ხელი წაწვდეს მის ყელს, თუ ჩემი სისხლი არუზს შეარჩინოსო. და კიდევ უთქვამს:

ვიდრე ბასათი, არუზის ძე, კარს არ მოგვიხტა,
 და ვიდრე მთლად არ განუძარცვავს ჩემი ქვეყანა,
 ვიდრე აქლემი არ აბლავლდა აქლემთა ჯოგში,
 და ვიდრე ჩემი ბედაურნი არ აჭიხვინა,
 არ ამიბლავლა თეთრი ცხვარი, თეთრი ფარეხი,
 არ ამიტირა რძალ-პატარძალნი თეთრსახოვანნი,
 ვიდრე ბასათი, არუზის ძე, კარს არ მოგვიხტა
 და ჩემი სატრფო, პირმშვენიერი, არ წარიტაცა
 და არ განძარცვა ჩემი გვარ-ტომი,
 მოვიდეს ჩემთან ყაზანი ლომი,
 არ შეარჩინოს ჩემი სისხლი, გამართოს ომი,
 და ჩემი სატრფო, პირმშვენიერი ვაჟს მიათხოვოს.

იმქვეყნიურმა სამართალმა დე, პური ჭამოს.
 ეს უწყოდეს, რომ ბეირეჭი მძლეთამძლეველი
 გარდაიცვალა, ღმერთს ეწია და ამ ქვეყანას გამოეთხოვა.



ბეირეჭის მამას და დედას ამბავი აუწყეს. თეთრი სახლის
 გლოვის ზარი დატრიალდა. ბატის მსგავსმა ქალ-პატარძალმა თქვა:
 შავი ჩაიცვა.

ნისლა ულაყებს კუდები დაატრეს. ორმოცმა-ორმოცდაათმა ვაჟკაცმა შავი
 ჩაიცვა, ცისფერი შემოიხვია. ყაზან ბეგთან მივიდნენ, თავსაბურავები მიწაზე
 დაყარეს, ბეირეჭიო, მწარედ მოსთქვამდნენ. ყაზანს ხელზე ემთხვივნენ. შენ
 კარგად იყავი და ბეირეჭი გარდაიცვალაო, უთხრეს. იმ არამზადა შენმა გამ-
 ზრდელმა მოგვატყუა, მიგვიპატიეთა. მივედით. გარე ოლუზთა ბეგები შენ წი-
 ნააღმდეგ აჯანყებულნიყვნენ, ჩვენ არა ვიცოდით რა! ყურანი გამოიტანეს, ჩვენ
 ყაზანს ავეუჯანყდით, შენც ჩვენ მხარეს დადექიო, უთხრეს, ფიცი დადეო. ბეი-
 რეჭმა შენი პური ფეხქვეშ არ გათელა, იმათ არ მიემხრო. შენი აღმზრდელი
 არამზადა არუზი გაცოფდა, ბეირეჭს ხმალი გადაუქნია, ცალი თეძო მოჰკვეთა.
 შენ კარგად იყავი, ხანო ჩვენო, ბეირეჭი კი უფალს ეწია. ეს კი თქვა, ჩემი
 სისხლი არუზს არ შეარჩინოთო.

ეს რომ ყაზანმა მოისმინა, თავი ხელსახოცში ჩარგო და აქვითინდა. საკრე-
 ბულოში ზარმა და გლოვამ დაისადგურა. ყველა იქ მყოფი ბეგი ტიროდა. ყა-
 ზანი წავიდა, ჩაიკეტა და შვიდი დღე საკრებულოში არ გამოჩენილა, ტიროდა
 და მოსთქვამდა.

ბეგები შეიკრიბნენ, დივანში მივიდნენ. ყაზანის ძმა ყარა გუნე იტყვის:
 წადი, კილბაშო. უთხარი ჩემი უფროსი ძმა მოვიდეს. შენს გამო ერთი ვაჟკა-
 ცი გამოგვაკლდა, თანაც ანდერძად დაგვიტოვა — ჩემი სისხლი არ შეარჩინო-
 თო. წავიდეთ, მტერზე შური ვიძიოთო.

კილბაში ეტყვის, შენი ძმა არის და შენ უთხარიო. ბოლოს ორივე ვაჟ-
 მართა და ყაზანის კარავში შევიდა. სალამი უთხრეს და დაუმატეს, შენ კარ-
 გად იყავი, ჩვენო ხანო, და ერთი ვაჟკაცი აღარ გყავს, შენს გამო თავი დადო.
 იმის სისხლი ავილოთ, შევიკრიბოთ, თანაც შენტვის სიტყვა დაუგდია, ჩემი
 სისხლი აილოსო. ტირილით რა გამოვა: აღექი, წავიდეთო.

ყაზანმა უთხრა, სწორი ხართო. სასწრაფოდ იარაღი და საომარი აღჭურ-
 ვილობა დატვირთონ, ბეგები ამხედრდნენო.

ყველა ამხედრდა ყაზანს ქურანა მოუყვანეს, ისიც ამხედრდა. დაჰკრეს
 დაფი და ნალარა, ლაშქრობას შეუდგნენ.

არუზსა და ყველა გარე ოლუზთა ბეგს ამბავი აუწყეს. მათ თქვეს — აი,
 ყაზანი მოვიდაო. იმათაც შეკრიბეს ჯარი, საყვირებს ჩაბერეს და ყაზანს წინ
 შეეგებნენ. უჩ-ოქები და ბოზ-ოქები ერთმანეთს შეეყარნენ.

არუზმა თქვა, დაე, ჩემი მოწინააღმდეგე შიდა ოლუზებში ყაზანი იყოსო.

ემენმა თქვა, ჩემი მოწინააღმდეგე თერს-უზამიში იყოსო.

ალფ-რუსტემმა თქვა, ჩემი მოქიშპე კი ენსე კოჯას ძე ოქჩუ იყოსო.

ყველამ თითო მოწინააღმდეგე აირჩია. რაზმები გამწკრივდნენ. დაჰკრეს
 დაფი და ნალარა. არუზ კოჯამ მოედანზე ცხენი გამოაჯირითა. ყაზანს შესძახა:

— ჰეი თახსირო, შენ ჩემი მოწინააღმდეგე ხარ, ბარემ მოდი!

ყაზანმა ფარი აიფარა, შუბი ხელთ აიღო, მოწინააღმდეგეს თავში გაუ-
 წონა და შესძახა — ჰეი, შე მართლა თახსირო, მე შენ გაჩვენებ. როგორ უნდა
 მუხანათურად კაცის მოკვლაო.

არუზმა ყაზანს ცხენი მიაგდო, ხმალი დაჰკრა, იოტის ოღენაც კი ვერაფერი დააკლო. გვერდზე გახტა.

ახლა ჭერი ყაზანზე დადგა. სამოცი მუშტის სიგრძე ჭრული შუბი იღლიაში ამოიღო. არუზს ჰკრა და გააპო, მეორე მხარეს გაატანა ცხენიდან მიწაზე დასცა. თავის ქმას ყარა გუნეს ანიშნა — თავი მოჰკვეთს. ყარა გუნე ცხენიდან ჩამოვიდა, არუზს თავი მოაჭრა.

ეს რომ განე ოღუზებმა დაინახეს, ჩამოქვეითდნენ: ყაზანს ფეხებში ჩაუვარდნენ. პატიება სთხოვეს, ხელები დაუკოცნეს. ყაზანმა აპატია ბეირეჟის სისხლი არ შეარჩინა გამზრდელს. არუზის სახლ-კარი დააქციეს, მისი გვარტომი გაძარცვეს. ვაჟკაცებმა დიდი ნადავლი იგდეს ხელთ.

ყაზანმა აღამართვინა კარვები, დაადგმევინა ჩარდახი დიდ მწვანე ველზე.

მოვიდა ჩვენი დედე ქორჭუთი, ააყლერა საზი, ამბავი შეთხზა, დესტანი შეთხზა, მოჰყვა თუ თავს რა გადახდათ სარწმუნოებისათვის თავდადებულ მამაცებს:

მე რომ შევაქე; ის ბეგები სად ბრძანდებიან,
ქვეყნიერება ჩვენ გვეკუთვნისო, ასე ბრძანებდნენ,
სიკვდილმა წაიყვანა, მიწამ გადაშალა,
ვის შერჩენია ეს წარმავალი ქვეყანა,
მომსვლელ-წამსვლელთა ქვეყანა,
წარმავალი, წუთიერი ქვეყანა.

ლოცვას გეტყვი, ხანო ჩემო — სიკვდილის ჟამს წმინდა რწმენისგან ნუ განშორდებოდე, შენი თეთრწვერა მამის სამყოფელი სამოთხე ყოფილიყოს, შენი თეთრთმიანი დედის სამყოფელი სამოთხე ყოფილიყოს. ღმერთმა მაღალმა ბეირეჟს შეუნდოს, მამაცთა ლომის წმინდა აღის ხელით წმინდა ღვინო შეესვას, უფალს დაელოცოს. ყოვლის შემძლემ არ გაგხადოს მუხანათობის მოსურნედ. შენი თეთრა შუბლს ვუძღვნი ხუთსიტყვიან ლოცვას. ისმინოს უფალმა — „ამინ“-ის მთქმელმა იხილოს სახე ღვთაებისა, გამრავლოს და გაძლიეროს უფალმა, შენი ცოდვანი სახესხივოსანი მუჰამედისთვის შეგინდოს ღმერთმა.

ამ წიგნის დამწერს ვინც ლოცვით მოიგონებს, ღმერთმა მაღალმა დალოცოს, „ამინის“ მთქმელმა იხილოს სახე მისი, ხანო ჩემო.



პიესა

გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა

მედეა

მეოთხე მოქმედება

როგორც წინა მოქმედებაში, აქაც კრეონის ციხესიმაგრის წინ ჩანს ეზო. ბინდბუნდია. მედეა მის ბინაში ამავეს კიბეზეა გაწოლილი. გორა თავზე ადგას.

გორა: ადექ, მედეავ, ხმა ამოიღე!

ნეტავ აქ რას წამოწოლილხარ და უჩუმრად
სიფრცეს თვალეხჩაცეებული გასცქერი?
ადექი და თქვი რამე!

ჩვენს უბედურებას რა ეშველება!

მედეა: ვაი, შეიღებო! უი, შეიღებო!

გორა: აქაურობას გავეცალოთ დაღამებამდე,

სანამ სიბნელე ჩამოწვება.

ადექი-მეთქი და გასაქცევად მოემზადე,

თორემ მოვლენ და ერთიანად ამოგვხოცავენ!

მედეა: ვაიმე, ჩემო შეიღებო!

გორა: ადექი, შე ბედუკულმართო,

შენი მწუხარებით მეც ნუ შემეკალი!

მე მოშაძე, მე მომისმინე:

კოლხეთში რომ ვიყოთ,

და შენები ცოცხლები უოფილიყვენ,

ხომ უველაფერი კარგად იქნებოდა.

ადექი-მეთქი! ტირილი რას გაშველის?

მედეა: (წამოიწევს და კიბეზე მუხლებდაჩოქილია):

ასე ვარ მუხლებდაჩოქილი,

ასეთნაირად აღმიმართავს ხელები,

შვილებისკენ გამიშვევრია და შევთხოვ,

ვევედრები: ერთ-ერთი მაინც,

ორთაგან ერთადერთი მაინც-მეთქი,—

სიკვდილი მერჩინა, მაგრამ

ერთ-ერთს კიდევ როგორმე შეველეოდი,—

არც ერთმა არაფრად ჩამაგდო,

არც ერთი არ მომეკარა.

გაქცევით უშველეს თავს

და ჩემი მტრის კალთას შეეფარნენ.

(უცებ ხეზე წანოიჭრება)

ამიტომ გავხდი ორივეს დახაცინი!

გორა: ვაი ჩვენ თავს! უი ჩვენ თავს!



მედეა: დიდო ღმერთებო, ამას ჰქვია შურისძიება?
ხომ სიუვარულით გამოცეცი მამაკაცს ქალი;
მამა რომ მოკვდა, მე მიმიძღვის დანაშაული?
ძმა რომ შუეს მოსწყდა, ნუთუ ძვეც ჩემი ბრალია?
დიდხანს მოვთქვამდი და ვგოდებდი გულამოსკვნილი,
ცხარე ცრემლები დავაფრქვიე იმით საფლავებს,
რომლებიც ჩემგან შორს არიან, გადაჯარგულში.
თუ საწყაული ზომიერად არ გაიწომა,

მაგ შურისგებას შურისგება როგორ დავარქვიათ?
ბოროტ: მაშ შენიანებს რანაირად უნდა გაშორდე?

მედეა: როგორც ღმერთებმა ჩამინერგეს და ჩამაგონეს!
დედამიწაზე მოღალატე და გამყიდველი
არანაირად დაუსჯელი არ უნდა დარჩეს!
დიდმა ღმერთებმა ნება დამრთეს შურისძიების!

ბოროტ: ის გირჩევნია, რომ იფიქრო გადაარჩენაზე!

მედეა: ამ ხნის მანძილზე სასიკეთო რა გააკეთე?
შურისძიებით განიშსჭვადე და შერყეობდი?

ბოროტ: ახლავე გიტყვი!
როცა ბავშვები გაიკრიფნენ,
დედის მარჯვენა თვალში მომხვდა
და ღვთის ხელი შევიცანი,
მაგრამ მაშინვე გულმა რეჩხი მიყო
და გუნება-განწყობილება წამიხდა.
სულ თავს დავტრიალებდი,
მწრუნველობა არ დამიკლია,
მზე და მთვარე მათზე ამომდიოდა.
აქამდე თავს იმით ვინუგეშებდი ხოლმე, რომ
ჩემი შორეული სამშობლოს სიუვარულს
წმინდა წყლის კოლხებზე ვიკლავდი.
დიდხანს გაუცხოებული მერვენებოდი:
ახლა რომ გავვირდები,
თითქოს კვლავ კოლხეთს ვბედავდი,
მამაშენს და შენს ძმას ვუცქირდი,
ჩემი მეფის სახახლესა და შენ გამწერდი,
განა ისეთს, როგორიც იყავი.
არამედ ამჟამად რანაირიც ხარ.
ცივ ნიავს არ ვაკარებდი
და თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი,
მაგრამ რას იწამ...

მედეა: სიკეთე არ დაგიფასეს
და ზრუნვა წყალში ჩაგიყარეს!

ბოროტ: ბავშვებს ნუ გაამტყუნებ,
მაინც კარგები და რიგიანები არიან!

მედეა: კარგებიო? და დედას გაურბიან?
რიგიანებიო? მაინც იაზონის შვილები გახლავთ!
საბოთ, ჭკუა-გონებითა და
ჩემდამი ზიზღით მამასა მგვანან.
ახლა ისინი აქ რომ მუავდნენ, ამ ჩემ მკლავებში,
გაწვდილ ხელებში გაშოტილნი ასეთნაირად,
მათ უსათუოდ ერთი დარტყმით მუსრს გავავლებდი,
რაიც არიან, ანდა იყვნენ, ან იქნებიან, —
აბა, შეხედო: ფაფუ, გაქრნენ, აღარ არიან!

ბოროტ: ვაი იმ დედას, შვილები რომ შეეზიზღება!

მედეა: ცხოვრებაში რაღა ელით?
უთქვიათ, მამასთან დარჩნენ.



ასეთ ვერაგ და სამარცხვინო მამასთან,
 რა ბედი ელით?
 დედინაცვალს შვილები გაუჩნდება,
 ისინი დასცინებენ, მასხარად აიგდებენ,
 მათ კოლხ ველურ დედას გაჭკილავენ.
 მერე, ისღა დარჩენიათ, უურმოჭრილ-უმებად იქცნენ,
 ანდა ბოლმამ დააბრჩოთ:
 თუ დანაშაულს უბედურება მოსდევს,
 ხშირად უბედურებას დანაშაული მოჰყვება ხოლმე.
 მერე ღირს კიდევ ადამიანმა იცხოვროს?
 ნეტავ მამაჩემს მანამდე მოვცეკალი,
 სანამ პატარა ვიყავი,
 სანამ ამდენ გაჭირვებას გადავიტანდი,
 სანამ ამ აწრამდე მივიდოდი.

ბოროტ: რატომ ცახცახებ? რა მოიფიქრე?

მედეა: ცხადია, უნდა მივატოვო აქაურობა,
 მაგრამ მას შემიძღვ, როცა რაღაც დატრიალდება.
 ვფიქრობ, რარიგად გავუძელი უსამართლობას,
 იმ მოღალატეს, ვინც ამგვარად ზურგი მაქცია
 და შურისგების ცეცხლი გულში ამიბდღვრიალა
 სხვა უველაფერი საძაგლობა ჩემთვის ერთია:
 ბავშვები უუვარს, რადგან თავის „მე“-ს ხედავს მათში,
 თავის საკუთარ კერპებს შიტომ ეთაყვანება,
 მათ არსებაში ირტყლება მისი წარსული.
 ამაღ არ მინდა შევარჩინო, არ უნდა ჰყავდეს,
 მე კი ზიზღი მძლევეს, მათ უოლაზე უარს ვაცხადებ!

ბოროტ: ოთახში შემო, აქ როდემდის აპირებ უოფნას?

მედეა: მთელი სახლ-კარი მერე თუნდაც აოხრებულა,
 მისი კედლები ჩამონგრეულ-ჩამოქცეულა
 და საბოლოოდ ქვა ქვაზედაც ნუ დარჩენილა
 აწ გარდასული მოგონების და ტანჯვის გარდა.

ბოროტ: საცაა მოვლენ და გაგვერიან, შემოდი-მეთქი!

მედეა: არგონავტები მოვლენ ჩვენთან, ეგ რა წამოგცდა?
 ლალატისათვის იმნაირად დაისჯებიან,
 რომ მუხანათნი აქ ჰპოვებენ ბოლოს სამარეს.

ბოროტ: გასაგებია, იაზონსაც ეგ დღე მოეღის?

მედეა: ეგ დღე მოეღის, გეუბნები, ეგ დღე მოეღის!
 გმირმა მილასმა ზღვაში ჰპოვა სასუფეველი,
 პირქუში მეფის მარად აჩრდილთ შერჩა თეზევსი,
 იმ ბერძენ დიაცს რაღა ერქვა, აბა მითხარი,
 თავისი ძეც რომ არ დაინდო, შური იძია?
 ნუთუ არ გახსოვს?

ბოროტ: ვის გულისხმობ, არ მახსენდება.

მედეა: ალთეა ერქვა, გამახსენდა.

ბოროტ: შვილი რომ მოკლა?

მედეა: სწორედ ეგ ქალი როგორ მოხდა, კი აღარ მახსოვს.

ბოროტ: საკუთარმა ძემ ძმა მოუკლა ნადირობისას.

მედეა: მხოლოდ და მხოლოდ ძმა მოუკლა, მამაც ხომ არა,
 მისთვის არავის დაუცინავს, არც გაუგდია,
 და მით უმეტეს, ცხოვრებაში არვინ გაჭყრია,
 მაგრამ მრისხანე შელევარეს არ აპატია
 და სასიკვდილოდ გაიშეტა მშობელმა დედამ.
 ალთეა ერქვა, მო, ალთეა, ბერძენი იყო!
 და როცა მოკლა?

ბოროტ: ეგ ამბავი ეგრე მთავრდება.



მედეა: შენ მართალი ხარ, გონივრულად თუ დაუკვირდი,
სიკვდილის შემდეგ ყველაფერი წყდება, მთავრდება.

გორა: მაგით რის თქმა გასურს?

მედეა: იქნება ექვცი გაქარება?

ახა მითხარი, გაიმეტეს დიდმა ღმერთებმა,
ორივე შვილი რომ მოეცათ მშობელ დედისთვის?
ვთქვათ, მოებოძათ, ვიკუთვნებდი და ხომ იმგვარად
მეუფარებოდნენ, როგორც ახლა მეწიწლებიან,
ცოტა ხანს კიდევ ვისუნთქავდი ამ ქვეყანაზე,
რომ საბოლოოდ ამნაირად არ მოვეწამლე
და ამგვარად არ დაემსხვრია ჩემი ცხოვრება:
რადა თქმა უნდა, შურისგება ღმერთთა დასტურით
უნდა მივფარო, მაგრამ არც მას არ დავჭერდები!
ბოროტი სული შემარქვეს და ახლად მივხვდი,
გონივრულია იმად ვიქციე, რაც არ ვყოფილვარ.
შემწარავ არსად მომნათლეს და გამომაცხადეს,
სულ მაცახცახებებს, მაგრამ ერთგვის გულს მიხალისებს,
რომ მოსახდენი ავად, კარგად, უკვე დამთავრდა.
(შეშინებული)

გორა!

გორა: რა მოხდა?

მედეა: ჩემთან მოდი!

გორა: რა ამბავია?

მედეა: დაუყოვნებლივ ჩემთან-მეთქი, გადმოდგი ფეხი!

აი, აქ წვანან ორივენი და დედოფალიც:
უსულოდ ურიან, სისხლში ცურავს იმთი გვამიც.
ის იქ დამდგარა და თმებს იგლეჯს გამწარებული.
შემწარავი სანახავია!

გორა: ღმერთის ნებაა!

მედეა: ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა! რამ დაგაფრთხო, ხომ არ შეშინდი?

სულ მთლად ფუჭია ის სიტყვები, რასაც მე ვამბობ,
ძველ სურვილებს კი ძველი ძალა გამოლევიათ.
მედეა ვიყო ძველებურად, ემ, ის სადღა ვარ!
ოი, იაჰონ, რა მიქენი, რატომ დამღუპე?
ხომ შეგივრდომე, დაგიცავი და შეგიუვარე,
რაც რამ გამაჩნდა, არაფერი არ დამიწოგავს,
რად ამირიე, ამიწეწე მთელი ცხოვრება?
რატომ წამართვა სიკეთე და ბედნიერება

და ჩემი გული შურისმგებლად გადააქციე?
ძალა არ შემწევს შურისგების, ფიქრი კი მტანჯავს!
ძალა, რომელიც გადმომეცა დედაჩემისგან,
კოლხი დედოფლის — მშვენიერი შეკატესაგან,
ბოროტ ღმერთებთან იდუშალად მაკავშირებენ,
მაგრამ სულ შენმა სიუვარულმა დამაკარგინა,
მშობლიურ მიწის უღრანებში გაქრა უკვალოდ.
შავი კვერთხი და სისხლისფერი ის საბურველი
იქ მაქვს ჩაფლული, უნუგეშოდ მე კი აქ ვდგავარ.
იმის ნაცვლად რომ ჩემი მტრები ავაწიოკო!

გორა: რაც რომ არ ძალგიძს, წინასწარვე ნუ დაიკვებნი!

მედეა: მე კარგად მახსოვს ის ადგილი, სადაც ჩაფლალი,

აქვე ზღვის პირას, სულ ორ მუქა მიწას ამოვყრი
და ხელთ მექნება! შიში მაქრთობს მხოლოდ და მხოლოდ,
როცა ვფიქრდები იმ სისხლიან ოქროს საწმისზე.
ახე მგონია, მამაჩემის და ძმის ხულები
თითქოს ჩემ ხვედრზე მსჭიდლობენ და არ მანებებენ.



გახსოვს, რარიგად გართხმულიყო მოხუცი მამა
დედაშიწაზე და მოთქვამდა საკუთარ ვაჟზე,
ხოლო ქალიშვილს ხელაღებით მწარედ წყევლიდა?
იაზონმა კი დრო იხელთა და ზარ-ზეიმით
ოქროს საწმისი ზე აწიდა, ააფრიალა.
მაშინ ჩემივე თავს შევფიცე, მოლაღატეზე,
ჩემიანების მოკვლისათვის, შური მეძია.
სისხლის ადებ: რომ შემეძლოს, არ დავიხვედი,
ოღონდ მარტოკას ჭერხანად ვერ გამიბეღია,
რადგანაც ვხედავ ოქროსფერი ნიშნების ციფს
ჩემ შესახვედრად მოედვარე მამის თვალებში;
მაღე კეუიდან შევიშლები, ასე მგონია!

გოგრა: ახლა რასა იქმ, რას აპირებ?

მედეა: დაე, მოვიდნენ!
ბოლო მომიღონ, უველაფერი მოჩჩა, გათავდა!
სიკვდილს ვარჩევ და მე აქედან ფებს არ მოვიცვლი,
თვითონაც უკან გამომყვება კისრის ტეხით, რომ
დანაშაული და ცოდვები მოინანიოს.

გოგრა: შენზეც იზრუნე, მეფე უკვე გვიახლოვდება!

მედეა: ძალაუფლება არა მაქვს და რით ვინუგეშო?
ჩემი გათელვა თუ სწადია, დაე, გამთელოს!
(შემოდის მეფე).

მეფე: მწუხრი ჩამოწვა, დადგა უამი გამგზავრებისა!

მედეა: ვიცი.
მეფე: ახლავე მზად ხარ ნუთუ, გზას რომ გაუდგა?
მედეა: ვთქვათ, მზად არა ვარ, მასხარადაც მიგდებ მეფეო?!
მაშინ აქედან ახარგება არ მომიწევდა?

მეფე: ნეტარებას მგვრის, რომ გიყურებ გონებადამჭდარს,
ასე წარსულის მოგონებებს შეიშსუბუქებ
და მომავალში დიდ სიკეთეს მოუტან ბავშვებს:
მათ ხომ უნდა თქვან, თუ რა დედამ შობა ისინი.

მედეა: თუ სურვილი აქვთ, რა თქმა უნდა, იტყვიან კიდევ.

მეფე: მათი სურვილი უკვე ჩემი საზრუნავია.
უნდა აღვზარდო გულადებად, მამაც გმირებად;
ერთ მშვენიერ დღეს, ქვეყანაზე არავინ იცის,
ხომ შეიძლება რაინდები კოლხეთს ესტუმრონ
და მათ სიყვარულს გადაყოლილ დავრდომილ დედას
გადაეყარონ.

მედეა: ვაი ჩემ თავს!

მეფე: რა დაგემართა?

მედეა: ემ, არაფერი; გარდასული თვალწინ დამიდგა
და წამიერად დამავიწყდა უკვე მომხდარი.
ამის თქმა გსურდა და ეს იყო მოხვლის მიზანი,
თუ ამის გარდა ჩემგან კიდევ რამე გწადია?

მეფე: ერთი რამ კიდევ დამავიწყდა, ახლავე ბატუვი.
შენმა შეუღლებ, როცა ბიძა გარდაიცვალა,
იოლკოსიდან დიდი განძი ჩამოიტანა.

მედეა: სუყველაფერი ოთახშია გადანახული,
ახლაც ძალგძის რომ შეხვიდე და სულ მთლად წაიღო!

მეფე: სხვა ქონებასთან, ალბათ იქ დევს ძვირფასი განძი. —
ოქროს საწმისი, არგონავტთა მონაპოვარი?
ანაზდად ზურგი წასასვლელად რად შემაცქიე?
რომ გეკითხები, მიპასუხე, ისიც იქ არის?

მედეა: არა, არ არის!

მეფე: მაშ სად გაქრა?



მედეა: არ ვიცი-მეტეი.
 მეფე: მეროდღეა ხომ თქვა, რომ პელიასის სასახლიდან წამოიღო.
 მედეა: რაკილა თქვა, ალბათ ეგრეა.
 მეფე: მერე სად არის?
 მედეა: ვიხეორებ, არ ვიცი-მეტეი.
 მეფე: არ გეგონოს, რომ გაგვაცურებ და მოგვაცულები
 მედეა: სიცოცხლეს დავთმობ, თუკი მაგას მე გადმომცემდი;
 ეგ რომ ხელთ მქონდეს, დამუქრებას არ შეგარჩენდი
 მეფე: იოლკოსიდან, სიმართლე თქვი, ხომ წამოიღე?
 მედეა: ჰო, წამოვიღე
 მეფე: მერე რა უყავ?
 მედეა: მე არა მაქვს.
 მეფე: აბა ვისა აქვს, სად წაიღე?
 მედეა: მიწაში ჩავფალე.
 მეფე: უველათერი გასაგებია! ის არის, არა?
 (მცველებს მიმართავს):
 მე რომ გიბრძანეთ, ამწუთას აქ შემოიტანეთ!
 (მცველები გადიან).
 ორაზროვნობით ხომ არ გინდა, რომ დაგვაბნო?
 ახლა მიგიხვდი, რომ მიწაში ჩავიფლავს განძი.
 სად იცქირები, მე მიუურე და მომისმინე!
 იმავდ ღამეს, ზღვის ნაპირას, ჩემი ბრძანებით,
 პელიასისთვის რომ აეგოთ საკურთხეველი,
 მიწა გათხარეს, — რად გაფითრდი? — და იმ ადგილას
 შავი ზანდუკი დაინახეს ახლად ჩაფლული,
 რომელსაც მქონდა იშვიათი უცხო წარწერა.
 (შემოაქვთ ზანდუკი).
 დააკვირდი, შენია იგი?
 მედეა: (იქითკენ გავარდება და უცებ დაეძგერება):
 დიახ, ჩემია!
 მეფე: ოქროს საწმისიც ზანდუკშია?
 მედეა: ჰო, ზანდუკშია.
 მეფე: აბა მიბოძე!
 მედეა: დამაცადე, ახლავე მოგცემ!
 მეფე: ახლა კი ვნანობ, განძეული რომ გისაჩუქრე,
 რადგან ფლიდობით მოტყუება გინდოდა ჩვენი.
 მედეა: რასაც შეგპირდი, უყოყმანოდ მიიღებ იმას.
 ისევ შედეად რომ მაქციეთ, მადლობელი ვარ,
 დიდო ღმერთებო!
 მეფე: გახსენი და მომეცი ბარემ!
 მედეა: ჭერხანად არა.
 მეფე: მაშ როდისდა?
 მედეა: არ დავახანებ;
 ძალიან მაღე!
 მეფე: მაშინ, კრეუზას გაუგზავნე.
 მედეა: აბა, კრეუზას გაუგზავნო, კრეუზას, არა?!
 მეფე: ზანდუკში არის კიდევ რამე ხეირიანი?
 მედეა: ბევრი რაღაცა!
 მეფე: საკუთარი არაფერი გაქვს?
 მედეა: მერე რა, რომ მაქვს, იმასაც იმას გაუგზავნი!
 მეფე: რაც კი შენია, არავინ გთხოვს, გადაინახე!
 მედეა: თუ ნებას მომცემ, გიბოძებდი მცირე საჩუქარს!
 შენმა ასულმა იმნაირად გამანებებურა,
 ისე სინაზით შეპურობოდა, ისე სათუთად.



მან ხომ დედობა გაუწიოს უნდა ჩემს შვილებს,
 ამიტომ მინდა დავუფახო ნასიკეთარი!
 ოქროს საწმინისი, როგორც გატუბ, შენ უფრო გზიბლავს,
 შენს ქალიშვილს კი სამკაული მოეწონება.

მეფე: მადლობელი ვარ, მოიქციე, შენ როგორც გინდა,
 მართლა სათუთად გეპურობოდა ჩემი კრეუზა.
 უპირველესად, ვთხოვ, ბავშვები გამოგვიგზავნოს,
 სანამ წასულბარ, ერთხელ კიდევ რომ ინახულო,
 დამშვიდობო, რადგან გრძელი სავალი გზა გაქვს.
 ასეთნაირად გადავწუვიტე რადაგნაც გატუბ,
 თავდაჭერილად რომ იქცივი და დამშვიდებით.

მედეა: დიდი მადლობა გულკეთილო, ქველო მეფეო!

მეფე: აქ იყავ, ბავშვებს ამ საათში გამოვავგზავნი.
 (მეფე გადის).

მედეა: ის მიაბიჭებს, მიდის თავის დახალუპავად!
 ეგ დაწყველილი რატომ არ თრთის, რად არ კანკალებს,
 სულით ხორცამდე რაც გამაჩნდა, უკლებლივ მართმევს!
 მადლობა უნდა მოგახსენო, დიდი მადლობა,
 ჩემივე თავი საბოლოოდ რომ დამიბრუნე.
 გახსენ ზანდუკი!

ბორა: მაგის გახსნა არ შემიძლია.

მედეა: სულ დამავიწყდა, აღარ მახსოვს, როგორ ვადებდი,
 მაგრამ შეგობრებს შივაკითხავ დასახმარებლად.
 (ზანდუკისაკენ შებრუნდება).

ქვევიდან ზევით,
 ზევიდან ქვევით,
 გაიღე ახლავე,
 ფარული საფლავო!

(ზანდუკი გაიღება).

შეხე, გაიღო, კიდევ შემწევს ძალაუფლებია!
 კვერთხიც აქ არის, საბურველიც, სუყველაფერი!
 (სათითაოდ იღებს).

შევებე თუ არ ნამაგარს დედაჩემისას,
 მაშინვე გულშიც, მარჯვენაშიც ძალა ვიგრძენი!
 ამ საბურველში გავებვევი კვლავინდებურად!
 (საბურავს თავზე დაიფარებს).

გამომაცოცხლა, რა თბილია და რა ფაფუკი!
 ახლა, ვისაც ვსურთ, შეკავშირდით ჩემ წინააღმდეგ,
 გაერთიანდით, შემებრძოლეთ, შემომიტიეთ!

ბორა: ძირში კიდევ რაღაცა ბრწყინავს!

მედეა: დაე, ბრწყინავდეს!
 მალე ეგ ბრწყინვა, სისხლის ბრწყინვად გადაიქცევა!
 აქ ბევრი რამ მაქვს ნახობვარი წამოღებული,
 შენ საჩუქრების დარიგება არ დაიზარო!

ბორა: მე?

მედეა: ჰო, შენ წადი, მეფის ასულს გაესაუბრე,
 მიეპირფერე, არ დაზოგო ტრელი სიტყვები,
 ჩემი მოკითხვაც გადაეც და ნაფეშქაშარიც.
 (ზანდუკიდან რაღაც-რაღაცებს იღებს).
 ჭერ გაუწოდე ეს უებრო მალამო, ვიცო,
 გაბრწყინებული პატარძალი მაშინვე გახსნის!
 ფრთხილად იყავი, არ შეანჭდრიო!

ბორა: ვაი ჩემ თავს!

(მალამოიანი ქურჭელი გორას მარცხენა ხელში ცოტა გადახრილი უჭირავს, ვინაიდან

მარჯვენა ზანდუკის თავსახურზე აქვს წავლებული. თავსახურს რომ მალა ასწევს, ამ დროს იქიდან ალი ამოვარდება).

მედეა: ნუ შეანჯღრევ-მეტეი, ხომ გითხარი, ხომ გაგაფრთხილე!

დაკლავნილო გველო,
მიაშურე ბუდეს,
აღსასრულს რომ ელი,
დიდხანს არ მოუნდე:



ხომ გეუბნები, გაუფრთხილდი, სწორად გეპაროს!

ბორა: გული ავ რამეს შეუბნება, ცუდს მიწინათგრძნობს!

მედეა: შებედე ერთი, რა ჰკვიანი უოფილხარ თურმე!

ბორა: ვალდებული ვარ, რომ წავიღო?

მედეა: დიახ, მხევალო!

შეკამათებას როგორ ბედავ? კრინტი არ დაძრა!
დიახ, ეს საქმე შენზეა და უნდა ითავო!
შალი ოქროში დაფერილი და მოქანდული
მდიდრულად მორთულ და მოოჭვილ ყუთში იდებო,
შიგნით კი სწორედ იმას გავშლი, რაც მას იწიდავს, —
ოქროს საწმისს.

(წარმოთქმისთანვე ყუთში ჩაღებს).
ახლა წადი და შეასრულე დანაბარები!
მოხერხებულად შეახვიე ისეთ ნაჭერში,
მდიდრულ სამოსში, ანდა მეფის წამოსახამში,
რომ ხაიდუმლოდ დარჩეს ბოლომდე.
ახლა კი წადი, შეასრულე ჩემი ბრძანება,
ჩემს მტერს მტრისაგან მიუძღვენი ეგ საჩუქარი.
(შემოდის მოახლე ქალი და შემოქყავს ბავშვები).

მოახლე: აი, ბავშვები, მეფემ შენთან გამომატანა
და ერთ საათში წავეუვანო უნდა უკანვე.

მედეა: თუ არ გაგასწრეს საქორწინო წვეულებაში!
გაუძებ ამას, მიიყვანე შენს ქალბატონთან
და მოახსენე, საჩუქრები მოგიტანეს-თქო.
კარგად დაფიქრდი, რაც ვიბრძანე, ის შეასრულე!
კრინტი არ დაძრა! ასე მინდა! აბა, გაუძებ!
(ვორა და მოახლე გადიან).

მედეა: აი, იწყება, მაგრამ ჯერ არ დამთავრებულა.
ნათელია და გარკვეული, რაც მე მწადია.

(ხელიხელჩაკიდებულ ბავშვებს სურთ მოახლეს გამოეღვენონ).

მედეა: საით, ბავშვებო?

ბიჭი: შინისაკენ მიგვიჩქარია!

მედეა: ნეტავ ვიცოდე, თქვენ იმ სახლში რა დაგრჩენიათ?!

ბიჭი: მამამ ვიბრძანა, არ დაყოვნდეთ, დროზე მოდიეთ.

მედეა: მე კი ვიბრძანებთ, რომ არსაით გაადგათ ფეხი!

როს დაფიქრდები, თქვენ ხართ ჩემი სისხლი და ხორცი,
ცხრა თვის მანძილზე ხომ ამ მუცლით დაგატარებდით,
სულ თოთოები მკერდიდან არ მომცილებიხართ.
ჩემივ ნაშობნი ახლა ისევ მე მიჯანუდებით,

გაგულიხება შინაგანად მაფორიაქებს
და ეს ფიქრები მტანჯავენ და უაღუწე დგებიან.
ნეტავ ისეთი დედათქვენმა რა დაგიშავათ,
რომ გაურბიხართ, ზურგს აქცევთ და სხვასთან მიდიხართ?

უფროსნი: ისევ ხომალდზე დაბრუნებას გვიბრძანებ ალბათ.



სადაც ჩვენ სული გვეხუთება და თავბრუ გვესხმის.
აი, ამიტომ, აქ დავრჩებით, აქ გვიჩვენია.
ხომ სწორს ვამბობ, ჩემო ძამიკო?

უფროსი: სწორია, მარა.

მედეა: ნუთუ, აბსირტუს, აქ დარჩენა მართლა გწყურია?
არა უშავს რა, მართოდ უოუნა აჯობებს ალბათ!
აბა, ორივე ჩემთან მოდიო.

უფროსი: რო მეშინია?

მედეა: მოდიო-მეთქი!

უფროსი: მე ხომ არაფერს არ დამიშავებ?

მედეა: შენ თვითონ ატუობ, რომ ღირსი ხარ და იმსახურებ?

უფროსი: ერთხელ მიწაზე დამანარცხე და დამაყვედრე,
მამას მგავხარო. მამიკოს კი მიტომ ვუყუარვარ.
ამიტომ კეთილ ქალბატონთან და მასთან მინდა!

მედეა: მაშ ასე, კეთილ ქალბატონთან უოუნა ჯობია?!
პირწავარდნილი მოლაღატე მამამისია,
როგორ მახავით ლაქლაქებს და ენაჭარტალობს.
უკვე ამეგვსო მოთმინების ფიალა. კმარა!

უფროსი: შეძინება.

უფროსი: გვიანია და ბარემ წავალთ დასაძინებლად.

მედეა: შერეც გეუოფათ, სამუდამოდ რომ მიიძინებთ.
ამ კიბეს აშუეთ, ცოტა ხანი იქ მოკალათდით,
მოვემზადები და მეც მოვალ ამასობაში.
ხედავ, უფროსი უმცროსს როგორ თავს დასტრიალებს,
თვითონ ხალათი გაიხადა და კოკროკინას
მხრებზე მოასხა, ჩაატბუნა, კარგად ჩაფუთნა,
პატარა ხელიც ჩაუთათა, გვერდით მიუწვა.
ო, არასოდეს, იგი ცუდი არა უოფილა!
ვაი, შვილებო! ოი, შვილებო!

უფროსი: (უცებ წამობტება):
რა გწადია?

მედეა: იუუჩე, ბავშვო, დაიძინე, ახლავე რამეს
მოხერხებულად მოვიდგამ და მეც დავიძინებ.
(ბავშვი მაშინვე მიწვება და მიიძინებს. მედეა მათთან ახლოს მიჩლოჩებს
სკამსაწოლს. თანდათანობით სიბნელე მატელობს).
მოიქურუხა, ვარსკვლავები ამოკიაფდა,
სხივებმა ამოდ გაანათეს შემოგარენი;
რაც გუშინ მოხდა, თითქოს მართლაც დღეს მომხდარიყო,
დღეს მომხდარი კი გვეჩვენება გუშინ მომხდარად;
სწორ გზასთან ერთად უამრავი ღრმა უფსკრულია,
სიკეთისა და ბოროტების მამტიცებელი;
დღეაბუნებაც იმდაგვარად ცვალებადია,
ვით ბედ-იღბალი თითოეულ ადამიანის.
ვინმეს რომ ზღაპრად მოეყოლა ჩემი ამბავი,
უურს დავუგდებდი, მაგრამ არკი დავუჭერებდი.
ანაწდუულად ნათქვამ სიტყვას ჩამოვართმევდი,
დინჯად ვეტყოდი: მეგობარო, რასაც მოგვითხრობ,
არ შეიძლება მომხდარიყო ამ ქვეყანაზე!
ასეა მუდამ, თუ ხვალინდელ სიკეთეს ელი,
მამა-ბაბათა მიწა-წყალზე უნდა ეძიო,
რადგან იქ ბრწყინავს მოკაშკაშე შენი ვარსკვლავი,
ისეთი წმინდა, სათუთი და ნარნარი, როგორც
უმანკო ჩვილი დედის უბეს ჩახუტებული...
ახლა სად მიდის, ღარიბულ ქონს რატომ დაეძებს.
ხომ არ იხარა მამის თესლმა და გადათელა.



ოქროთი უნდა ანუგეშოს დამწუხრებული?
 ტუის ბილიცებზე რას დაეძებს, ან რა სწადია?
 აი, ძმისაკენ გაეშურა, ის ტევრში ელის,
 უცებ იპოვნეს ერთმანეთი, ვით ვარსკვლავებმა,
 რომლებიც ტუუპად ანათებენ უველა შარავნას.
 მიუახლოვდათ უცებ ვიღაც გვირგვინოსანი;
 მამა შეიცნეს, ქვეყნის მეფე, ქვეყნის მპყრობელი
 ხელი შეახო შეიღებს, მერე ღოცვა წარმოთქვა,
 ბედნიერება, ჭანმრთელობა უსურვა და-ძმას.,
 კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ჩემო ძვირფასო,
 მარტომყოფს როგორ მომაგენით, როგორ მომძებნეთ?
 მომიახლოვდით, თქვენი სახე ახლოს ვიხილო!
 ძვირფასო ძმაო, შენებურად არ გამიღიმიებ?
 რა ტანადი ხარ, ჩემი სულის თანაზიარო.
 როგორც უოველთვის — მამა ახლაც დარბაისელი;
 ვიცო, ვუუფარვარ, ძლიერ უუფარს თავის ასული!
 ხომ მართაღს ვამბობ? ხომ სწორია ეს უველაფერი?!
 (უცებ წამობტევა).
 მტკნარი სიცრუეა! გიმუხტლებს, მოხუცო!
 შენც გიღალატებს და თავიანთ თავსაც.
 შენ წყევლა დამადევნე:
 მოკვეთილ იყავ ამიერიდან
 ტუიური ნადირივით,
 ვერც მგვობარი შეგეძინოს ამ ქვეყანაზე
 და ვერცა თავშესაფარი გეპოვნოსო.
 ვისშიც გამცვალე,
 ჩემს სანაცვლო შურს ის იძიებს,
 მიგატოვებს, გაგაძვევებს,
 ბოლოს მოგიღებსო.
 და ამა, ახლა შენი საწყევლარი:
 გარეული მხეცივით
 განწირული ვდგავარ ახლა
 მისგან ხელნაკრავი,
 ვისთვისაც შე შენ მიგატოვე,
 უნავსაუუდლოდ, მაგრამ, ვაი რომ ცოცხალი,
 მოკვდინების ფიქრით გონდაბინდული,
 სიხარულს გგვირის შურისძიება?
 თანდათანობით მიახლოვდები?
 ვაი, შეიღებო! ოი, შეიღებო!
 (ჩქარა ხაბიჯით მივ და ბავშვებს შეანჯღრევს).
 არ გუუბრებათ, ბავშვებო? ადექით, დროა!

ბიჭი: (გამთილვიძებს):

რა გინდა?

მედეა: (მისკენ გადაიბრება):

კისერზე მომხვტე ხელი!

ბიჭი: ისე ტკბილად მეძინა.

მედეა: რაო, გეძინა? რა გაძინებთ, ან რა გასვენებთ?

რაკილა დედა ფხიზლად იყო და თავზე გადგათ?
 ჯერ მუხანათ მტერს კლანჭებში ხომ არ ჩავარდნიხართ!
 დედის გვერდი-გვერდ რა გაძინებთ, ან რა გასვენებთ?
 იქნებ იქ უფრო უშფოთველად დაგძინებოდათ!
 (ბავშვები სვეტებიან შესასულელიაკენ გაემართებიან).
 რახან წავიდნენ, ახლა ცოტა გულზე მომეშვა!
 გულზე რად უნდა მომშვებოდა იმათი წასვლით?
 ამიტომ დღესვე ავიურები და წავშავდები!



ისინი ჩემს შტრებს სამუდამოდ ჩავუგდო ხელში?
 მაგათი მამა მოლაღატე აღარ იქნება?
 ამიტომ ხელი შეეშლება ქორწინებაში?
 ხვალ, მზე რომ ამოვა,
 უკვე მარტოდმარტო ვიქნები,
 ქვეყანა ჩემთვის ცარიელ უდაბნოდ გადაიქცევა,
 აღარც შვილები მეყოლება, აღარც მეუღლე,
 დასისხლული ფეხებიდა შემჩრება,
 რომლებიც სახიფათო გზას გაუღებებიან.

საით, არავინ იცის!
 ისინი კი მხიარულობენ და დამცინიან!
 ჩემი შვილები სხვისი სარჩენი, გადაჭიშებულნი
 და ჩემგან სულ შორს უნდა იყვნენ.

მოსათმენია? ახატანია?
 ხომ არ დაგვივიანდა?
 ხომ არ დაგვიანდა შიტევება?
 ნეტავ ახლა კრეუზას ხელთა აქვს კაბა
 და ის აალებული თასი?
 უური მიუგდე! ისმის რამე? არა, ჯერ არა!
 მაგრამ სულ მალე მეფის სასახლიდან
 საზარელი ხმა გაისმება.

უკვე მოდიან ჩემს მოსაკლავად,
 პატარებსაც არ დაინდობენ.
 გეუურება ვიღაც გამკვივისი
 თვალისმომჭრელად გაიღვია!
 მოსახდენი მოხდენილია!
 უკან დახვევა აღარ შეიძლება!
 დაე, განადგურდეს უველაფერის
 მათ, წინ!

(სასახლიდან უცებ გორა გამოვარდება).

გორა: შემზარავი და შემადრწუნებელი რამ მოხდა!

მედეა: (შეეგებება):

უკვე მოხდა მოსახდენელი?

გორა: ვაი ვუი კრეუზა მკვდარია! სასახლე გადაიწვია!

მედეა: შენ იქ იყავი? თეთრებში გამოწყობილი პატარძალი?

ჩემი შვილებიც შეიტყუე?

ბავშვებიც შეიტყუე-შეთქი?

ხომ გსურდა, ისინიც იქ გყოლოდა?

ბავშვები შენ კი არა, ღმერთებს გამოვუგზავნე!

გორა: ეგ რა გიქნია? აქეთ მოდიან!

მედეა: აქეთ მოდიან? დაავიანდათ!

(სვეტებიან შესასვლელისკენ გაეშურება).

გორა: ვაიმე ჩემ თავს ბინძურ საქმეს, ჩემს უნებურად,

ნუთუ კვლავ უნდა ვემხახურო ამ სიბერეში?!
 შური ეძია, მეც ვურჩიე, მაგრამ ახეთი?!
 ბავშვები სადღა ჩაიყლაპნენ, აქ არ დავტოვე?
 მაი, მედევაც სად ხარ, საით გაუჩინარდი?
 ანდა ბავშვები რომ არ ჩანან, საით წავიდნენ?

(სვეტებიან შესასვლელისკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართება, სცენის სიღრმეში სასახლის
 შეიგულიდან გაჩაღებული ხანძრის ალი ანათებს).

დაწმინის ხმა: ვაი, კრეუზა; ვაი, კრეუზა!

მედეა (ხმა შეიგნიდან მოისმის):

ვაიმე, ჩემო ქალიშვილო!

გორა (სვეტებიან შესასვლელიდან უეცრად გამოვარდება, სცენის შეიგულში მუხლებზე
 დაიჩოქებს და თვალებსა და სახეზე ხელებს იფარებს):

ეს რა საზარო რამ იხილეს ჩემმა თვალებმა!
(სვეტებიან შესასვლელიდან მედია მოემართება, მარცხენა ხელში ხანჯალი უჭირავს, ხოლო მარჯვენა უჩუმრად, ძლივამოსილების ნიშნად, პალა შეუმართავს. შარდა ეშვება.)

მეხუთე მოქმედება

როგორც წინა მოქმედებაში, აქაც კრეონის ციხესიმაგრის წინა კარს ებრუნება. ციხის სიღრმეში მეფის გადამწვარი საცხოვრებელი ბინიდან ჯერ ეიღვევება, შემდეგ ადის ბოლო, სწავლასხვა საქმით გართული ხალხი მოედანზე ქუჩდება. თენდება. მეფე სასახლიდან მიათრევს გორას, მას უკან კრეუზას რამდენიმე მოახლე მოსდევს.

მეფე: აქეთ მოდები! შენ ხომ ისა ხარ, ჩემს ქალიშვილს
ის საჩუქარი დასადუჰად რომ მოუტანე?
ოი, კრეუზა, ჩემო გოგო, ჩემო ასულს!
(მოახლეებისაკენ გადადგამს რამდენიმე ნაბიჯს).
ეს არის, არა?

გორა: მე გახლავარ, მეფის ოჯახში
ჩემს უნებურად სიკვდილი რომ შემოვიტანე.

მეფე: შენს უნებურად? სასჯელს მაინც ვერ გადურჩები!

გორა: ნუთუ გგონია, შემაშინებ შენი სასჯელით?
ჩემივე თვალთ დავინახე თავიანთ სისხლში
როგორ ცურავდნენ დღეგამქრალი ბავშვების გვამნი,
მოკვდინებულნი იმის ხელით, ვინც ისინი შვა,
მათი დედა კი მედეაა, ჩემი აღზრდილი.
იმ შემწარავი, სავალალო სურათის მნახველს
სხვა უველაფერი ოხუნჯობა მგონია მხოლოდ!

მეფე: ოი, კრეუზა, ჩემო შვილო, ჩემო ერთგულო!
როცა სიკვდილი მაგ ხელებით მოგქონდა, ნუთუ,
შე უდღეურო, მარჯვენა არ აგკანკალდა?

გორა: მათი მნახველი შენს ქალიშვილს აღარა ვჩივი,
ვისწედაც მართლა მზე და მთვარე ამოგდიოდა
და უბედობას უნებლიეთ გადაეყარა.
მე დედის ხელით მოკლულ ბავშვებს დავტირი მწარედ!
მსურდა საფლავში წოლილიყვნენ უველანი ერთად,
როგორც შეარქვეს, მოღალატე ეს იაზონიც,
მე კი კოლხეთში ვყოფილიყავ ქალიშვილთან და
შვილიშვილებთან; აქაურობა არასოდეს
მეხილა თვალთ; არც შენ შენახე, არც ქალაქი,
სადაც იოლად წააწყდები უბედურებას.

მეფე: ძალზე ადვილად შემეგუე, მე რომ შემომხვდი!
ნუთუ ამქვეყნად აღარ არის ჩემი ასული?
ბევრნი ამბობენ, მაგრამ თვალთ არვის უნახავს!
ვერ მოახერხა, იმ ხანძარს რომ განრიდებოდა?
ეგრე სახწრაფოდ ეკიდება, ედება ცეცხლი,
თუ ნელ-ნელა ეპარება კოჭებს, ნივნივებს?
ეს ბავშვმაც იცის და ამიტომ შიგ მოყვებოდა?
ახლა არ იყო, სულ ახლახან, ჩემ თვალწინ იდგა
გადაფურჩქნილი, კისკისი და სიცოცხლით სავსე?
ვით დავიჯერო ამა ქვეყნად მისი არყოფნა?
ჩემს უნებურად აქეთ-იქით ვაცეცებ თვალებს,
აი, ან ახლა გამოჩნდება, ასე მგონია,
აი, ან ახლა, ვიმედოვნებ, მის სილამაზეს
დანახშირებულ ნანგრევებში რა უნდა ნეტავ?!
გვერდით ვინ ედგა, ვინ მოასწრო, ვინ დაინახა?
თვალს რად მარიდებ, გამომიტყდი, სიმართლე მითხარ
და მომახალე გულსაკლავად: ნუთუ შიგ მოპყვა?

მოახლე: დიახ, შიგ მოპყვა!



მეფე: საკუთარ თვლით დაინახე?

მკობელი: მო, დავინახე, ცეცხლით როგორ იხუტებოდა
იქაურობა. მოოქრული ჭურჭლეულობაც
იქვე ეხარა.

მეფე: კმარა, გინახავსი მაშ ალარ მუავს

ჩემი კრეუზა, ჩემი შვილი, ჩემი ასული!
ერთხელ პატარამ, სულ შემთხვევით, მსხვერპლს რომ ვწირავდით,
ხელი დაიწვა და სიმწრისგან რომ გაკიოდა,
უეცრად ხელში ავიტაცე, გულში ჩავიკარ,
სულს ვუბერავდი დამწვარ თითებს გასაგრილებლად,
ცხარე ცრემლები დაიოკა, გამოღიმა და
სლუკუნ-სლუკუნით ესლა მითხრა: არა უშავს რა,
ტკივილს გავუძლებ, რადგან მაგრად არ დამწვიაო.
მაგრამ ამჯერად რა ვიღონო, როგორ მოვიქცე:
(გორას მიმართავს):

ახლა რომ ხმალი თანა მქონდეს, დაუფიქრებლად,
უშალ გულმკერდში გაძგერებდი და განგგმირავდი!
ის სადღა არის, საზარელი, ურჩი არსება,
ვინც ჩემს ქალიშვილს მოუსწრაფა სიცოცხლის დღენი?
მსურს შენი სული შევაძრწუნო, ავაბობოქრო,
რათა როგორმე გამოგტებო და გათქმევიო:
ნეტავ სად გაქრა, უგზო-უკვლოდ სად დაიკარგა?

მკობელი: იმის გზა-კვალი მე საიდან უნდა მცოდნოდა,
ალბათ გასწია მარტოხელამ მოუსაველეთში!
რადას აუოვნებ, მოშაშორე ამ წუთისოფელს,
რადგან ალარ ღირს ამის მერე ქვეყნად ცხოვრება.

მეფე: მაგას ისედაც მოესწრები, ჭერ აღიარე!

ნაწონი (სცენის სიღრმედან):
სად ჩაიუღაპა? აქ მომგვარეთ კერპი მეღეა!
(სცენაზე ხმალშემართული შემოეა).
ასე ამბობენ, რომ აქედან აიბარგაო!
სად არის შენი ქალბატონი, ნუთუ არ იცი?

მკობელი: გზას გაუდგა!

ნაწონი: ბავშვებიანად?

მკობელი: არა, მარტოკა!

ნაწონი: მაშ, ბავშვები სადღა არიან?

მკობელი: ალარ არიან!
ღიახ, ცბიერო, მოღალატე, მკვდრები არიან!
მეღეას სურდა, არ გეხილა ისინი თვლით
და ვინაიდან შენ ამქვეყნად არაფერი გწამს,
წყევლა და კრულვა იმა ქვეყნად შემოგიტვალა.
ახლა დადექ და მიაშტერე მიწას თვალეში,
მაინც ვერასდროს გამოიხმობ საუვარელ შვილებს.
მე შევებასა მგვრის, ისინი რომ გაღმა არიან
და მახალისებს შენი ასე სასოწარკვეთა,
შეჩვენებულო, მუხანათო, პირის გამტებო,
ფარისეველო, ცრუ მეფეო, ნუთუ ვერა გრძნობ,
იმ სოფლად რომ შენ გაისტუმრე შენი შვილები?
პირმოთნეობით არ გააბი ქალი მახეში
და მისი გულიც მოტულებით მოინადირე,
ალარ აკმარე მრისხანება და გულისწურომა,
გზები დაუხშე, გადაუჭერ, გადაუღობე,
რათა როგორმე ხელთ ჩაგეგდო ოქროს გვირგვინი —
სამეფო თავის უმაღლესი შესამკობელი,
ძაღა-უფლებს სიავკაცედ რომ მოგემარჯვა



და შეუჩვეველ მკვლევრობად და მსხვერპლად გიქცია.
ახლა იდექი და ხელები იფშენიტე მაგრად!
(მეფეს მიმართავს):

შენი ასული რაღა სხვების საწოლს ეძებდა?
(კვლავ იაზონს მიუბრუნდება):

თუკი მდებო არ გიუვარდა, რად მოიტაცე,
და თუ გიუვარდა, რად შესცოდე და უღალატე?
წყუთლიმც იყავ, ყველასაგან შერვენებულს,
ბედმა ორივეს ეგ გარგუნათ სამართლიანად.
აბუჩად ვეღარ აიგდებენ უკვე კოლხ ასულს,
დიდხანს სიცოცხლე შეც არ ძალშიძს ამ ქვეყანაზე,
რადგანაც ორი წუთისოფელს გამოცხადმა,
ხოლო მესამე შეიძულეს, აითვალწუნეს.
როგორც გენებოს, წინ გამიგდე, ბოლო მომიდე;
იმის იმედი მაინც მქონდეს იმ ქვეყანაში,
რომ მისაგებელს მიეზღვება მისაგებელი.
(გაღის რამდენიმე კაცის თანხლებით. ჩამოვარდება სიჩუმე).

მეფე: ასე არ მსურდა, ღმერთებს ვფიცავ, შევცდი, მოვტუფდი,
ამჭერად ისღა დამრჩენია, რომ ნანგრევებში
შვილის სხეულის ნაწილები ვეძიო, რათა
ცხედარი მიწას მივაბარო, როგორც წესია.
(იაზონს მიმართავს):

შენ კი, იაზონ, სანამ შეძლებ, იხეტიალე,
აქ, შორიახლოს, საფრთხილოა და მოერიდე.
დღემდე ვერ შევძელ სტუმართმოყვრულ და გულუხვ პერქვეშ
პატივი მეცა, ოღნავ მაინც მეთამებინა.
ჩემივე ნებით მოგათხოვე ჩემი ასული,
ამიტომ წადი, სანუგეშოს ვერაფერს გატყვი!

იაზონი: მაშ, თავიდან მიშორებ, არა?

მეფე: დიახ, გიშორებ.

იაზონი: რა გზას დავადგე, რა ვიღონო?

მეფე: ისე მოიქეც,

როგორც შეუფე ჩაგაგონებს და გზას გაგიკვლევს!

იაზონი: ვინ მიწინამძღვრებს, მფარველობას ვინღა გამიწევს?
ვიღას ვუნდივარ თავბრუდასხმულ-გულდაკოდილი!
კრინტს არავინ ძრავს: არც თავკაცი, არც წინამძღოლი
ის დრო წავიდა, ახლა მხარში ვინ დამიდგება?
მაშ შეუპოვრად გამიძებნით, შვილთა აჩრდილნო
და მათ სამარეს მიმაყენეთ, გემუღარებით.
(გაღის).

მეფე: საქმეს მივხედოთ, მერე გლოვა გამოვაცხადოთ!
(მეორე მხარეს გაემართება).

(ტყუთა და წიფალითი გარშემორტყმული, კლდე-ღრეებიანი უღაბნო, ყრუ ადგილი. ქო-
ხიდან გლეხკაცი გამოდის).

გლეხკაცი: რა დიდებული, საუცხოო დილა თენდება.

უკუნ ღამეში, ქარბუქის და გრიგალის მერე,
მზეს ბრწყინვალეობა ემატება, ქველო ღმერთებო!

(ქობში შეღის. იაზონი ბარბაცით შემოვა სცენაზე და ხმლის ვადას დაეყრდნობა).

იაზონი: ბიჭის გადადგმაც აღარ ძალშიძს, თავი მისკდება,
რა მეშველება მე უბედურს, ვაიმე! ვაი!
გააღმასხებულს სისხლი მიდუღს, ენა მებმება!
აქ ახლო-მახლო, დავიჭერო, არავინ არის?
ნუთუ მარტოსულს ასე უნდა ამომხდეს ხული?
ქობი რომ მოჩანს, შემიკედლებს უთუოდ ვიღაც,
როცა აქეთკენ მოვდიოდი მდიდარი კაცი,



რადაც იმედის ნატამალი კი მქონდა გულში!
(კარზე აკაკუნებს).
წულის ერთი წვეთი! სარეცელი მოკვდავისათვის!
(გამოდის გლვხკაცი).

გლვხკაცი: ვინ აკაკუნებს? შე საბრალო, მითხარ, რა ვინდა?

იაწონი: წულის ერთი წვეთი! მე განთქმული იაწონი ვარ!
საწმინდის გამირი, დიდებული, გვირგვინოსანი,
არგონავტების წინამძღოლი იაწონი ვარ!

გლვხკაცი: იაწონი ხარ? აიბარგე მაწინ აქედან,
შენი სტუმრობით ჩემი სახლი შეიბილწება.
შენ არ მოკალი ჩემი მეფის სათნო ასული,
ვერ შეგიფარებ, ხალხის უბაში არ ჩავევარდები.
(ქობში შევა და ვარს მოხურავს).

იაწონი: დახე, რარიგად მიმატოვა, დამაგდო გზაზე!
მოი, სიკვდილო, შენ მოგიბმობ ერთი იმედით,
რომ ჩემს შვილებთან წამიყვანო უთქმელად მალე!
(იატაკზე ეცემა. კლდეს მოფარებული მედეა სცენაზე შემოვა და მის წინ დადგება;
ოქროს საწმილი ბეჭებზე აქვს წამოსხმული).

მედეა: იაწონ!

იაწონი (ოდნავე წამოიწევს):
ოჰო, მართლა გხედავ, თუ მეჩვენება?
ნუთუ შენა ხარ, საწარელო სულთამხუთავო!
სად არის ახლა ჩემი ხმალი!
(წამოდგომა სურს, შეიცდება, მაგრამ კვლავ ძირს ეცემა).
რა შემართება?

განა იმდენად დავუძღურდი, გამოვიფიტე,
რომ ვერ ვდგები და ტანიც აღარ შემორჩილება?!

მედეა: იუუჩე, ახლა ველარაფერს დამაკლებ, რადგან
მე სხვისი ხელის შემყურე და მსხვერპლი ვყოფილვარ!

იაწონი: ის მაინც მითხარ, სად დამალე ჩემი შვილები?

მედეა: თუ ჩემები!

იაწონი: რა უყავი, სად გადაკარგე!

მედეა: ისეთ ადგილას დაიმკვიდრეს ბავშვებმა ბინა,
რომ მე და შენზე უკეთესად არიან აღბათ.

იაწონი: მზეს მოწყვეტილნი, სამუდამოდ მიძინებულნი?

მედეა: შენა გგონია, რომ სიკვდილი უარესია,
ვინემ სიაცე, სიძულვილი, შური და მტრობა?
შენ ამქვეყნიურს მეტად ხომ არ ეთაყვანები,
ვიდრე ცხოვრება, არსებობა ამას მოითხოვს?
ამიტომ სწორად მოვიქცევი, ჩემი შვილები
რომ ვიხსენი და მოვაცილე ტანჯვა-წვალებას!

იაწონი: აუღელვებლად როგორ ამბობ, წარბსაც რომ არ ხრი?

მედეა: აუღელვებლად? რაო, რა თქვი? წარბსაც არა ვხრი?
წამიერად რომ ჩაგახედა ჩაფერფლილ გულში,
რომელიც შენთვის მარად ასე იყო დაბშული,
მიმიხვდებოდი, რარიგად ვარ გულდაკოდილი,
მაგრამ ერთხელაც მოეღება ჩემ ტანჯვას ბოლო,
ზღვის ტალღებით მძვინვარე და დაუდგრომელი
გავცამტვერდები, შევერევი უსასრულობას
და უოველივე მარტო მე არ მომეკიდება.
ის კი არ მიკლავს გულს, შვილები რომ აღარა მყავს,
არამედ ვნადვლობ, ოდეს იყვნენ, ჩვენ ახლაც რომ ვართ!

იაწონი: ვაიმე, რა ექნა! ვაი, ჩემ თავს!

მედეა: რაიც დათესე,
ვეშვარითად იმასვე იმკი. როგორც შენ ახლა



ამ მიწაზე გართხმულს გიჟურებ, ამნაირადვე
 შე კოლხეთის მიწაზე ვიწიქ შენს ფერხთა ქვეშ,
 შემოგჩიოდი, გემდუროდი და ვწუწუნებდი,
 მაგრამ ეს გული ვერ მოგიღებ და არ დამინდე;
 ცრუ დაპირებით, მოტყუებით ხელთ იგდი განძი,
 თუმცა ეს განძი, — გითხარი მე, — სიკვდილის გარდა
 სხვა სასიკეთოს ვერ მოგიტანს ვერაფერს-მეთქი,
 რასაც ელტვოდი, რაც განდოდა, ასრულდა კიდევ!
 ამიერიდან განშორების დაგვიდგა უამი,
 აღბათ ვსაუბრობთ სიკვდილამდე უკანასკნელად,
 სამარადისოდ, უკუნითი უკუნისამდე.
 გამოეთხოვე განვლილ დღეთა სიამტკბილობას,
 ტანჯვა-წამებას, დაგვიბნედა რამაც გონება,
 გვემას და ქენჯნას, სუყველაფერს, ჩემო მერულლეც,
 რაკი მყობადი უუარეს რამეს გვიქადას,
 დაემშვიდობე, საბოლოოდ დაემშვიდობე!
 შენი არსობის დედააზრი გატეხავს წელში,
 კაცმა არ იცის, რა დღე გველის, მამ მდებრად დადქ,
 ცხოვრების აზრი გაალამაზ-გაადიადე.
 გინდა ტკივილი დაიქუჩო, არა, გახსოვდეს,
 ჩემი მიწასთან გასწორება, დაბეჩაეება,
 ფეხქვეშ გათეღვა, რაც სიმწრით გადავიტანე.
 ამ ვაის მომსწრე, ბრალეული, პირშავი უნდა
 გადავიბიწრო შორეთს იქით დასაქარგავში.
 შევება და მადლი იქნებოდა ხანჭლით განგმირვა,
 მაგრამ შედეა თავის ხელით არ უნდა მოკვდეს;
 დაე, წარსულმა განმსაჯოს და გამასამართლოს,
 როგორ უბედურ ვარსკვლავზეც ვარ დაბადებული,
 რისი ღირსიც ვარ, ის მომეწლოს ბედგაცუდებულს.
 ჩემი ღვთაების საკურთხეველს მინდა ვეაბლო
 ქალაქ დელფოში, საიდანაც ერთ დროს ფრიქსუსმა
 ოქროს საწმისი — ჩვენი განძი გამოიტაცა,
 რომ დავუბრუნო შფოთიან ღმერთს ნაწუალობევი...
 მერე კი მოძღვარს ვადაფუხსნა გულისნადები:
 არსთა გამგებელს ჩემი თავი მსხვერპლად შევწირო,
 თუ გამჭობინო უდაბნოში გადასახლება,
 ხანგრძლივ სიცოცხლეს რადგან თან სდევს ხანგრძლივი ტანჯვა,
 ხომ არ გენაშნა, ურჩობას და თავგასულობას,
 რაც შენ სახელად და დიდებად მიგაჩნდა მუდამ,
 ბოლოს რა მოსდევს, სიკეთედ რომ გეჩვენებოდა?
 აბა, ამქვეყნად, მამ რაღაა კეთილდღეობა,
 თუ არ აჩრდილი, მოჩვენება და მოლანდება?!
 ამ ცის ქვეშეთში ყველაფერი ხომ სიზმარია!
 ჭოი, საბრალევ, აჩრდილებთან რომ იყავ მარად!
 სიზმარი გაქრა, უკუნი კი ქერ არ გამქრალა.
 რაკი ასეა, გეთხოვები, ჩემო მერულლეც!
 უბედობამ ხომ ერთმანეთი მოგვაძებნინა,
 საბოლოოდაც უბედურ დღეს გემშვიდობები!

ნაზონი: ვაი, შვილებო, უთვისტომოს და მარტოდმარტოს!

მედეა: ცოდვამ გიწია და მოგეზლო მოხაზღვეველი!

ნაზონი: შენს ფერხთით ვწევარ ქედმოხრილი, დამარცხებული!

მედეა: გაუძელ ტანჯვას!

ნაზონი: ასეთ ტანჯვას სიკვდილი მიჯობს!

მედეა: რაც ცხოვრებაში ჩაიღინე, მოინანიე!

ახლა მშვიდობით, ვერ მიზილავ ვედარახოდეს!

(შეტრიალდება, მაგრამ სანამ ნაბიჯს გადაადგამს, ფარლაც დაეშეება).



უილიამ სომერსეთ მოეხი

ქიბოლო და ქიბოლეთა¹



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა მარინა მელიჩაკაურმა

ბარში აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. სანდი უესტქოთმა ორი-საათზე დაიხედა — ათი სრულდებოდა, ის კი ათის ნახევრისთვის იყო სადილად მიპატივებული. ევა ბარეტი ყოველთვის იგვიანებდა. დიდი ბედნიერება იქნებოდა, თუ თერთმეტის ნახევრისთვის მაინც ჩაუვიდოდა ლუკმა პირში. უესტქოთი მიბრუნდა, რომ ბარმენისათვის ერთი კოქტეილი კიდევ ეთხოვა და სწორედ მაშინ დაინახა დახლთან მისული კაცი.

— ჰელოუ, ქოთმენ! — მიმართა სანდიმ. — დავლიოთ?

— სიამოვნებით, სერ.

ქოთმენი — ოცდაათიოდე წლის მოხდენილი აღნაგობის სიმპათიური ახალგაზრდა კაცი — თუმცა ტანად დაბალი იყო, მაგრამ ამ ნაკლს შესანიშნავად ფარავდა მისი წელში ზედმეტად გამოყვანილი ორბორტიანი ელევანტური სმოკინგი და ოდნავ ხალვათად გამონასკვული ბაფთასავით პალსტუხი. სქელი შავი ხვეული თმა შუბლიდან უკან გადაეყარცხნა, დიდრონი თვალები ხალისიანად უციმციმებდა. მისი წარმოშობის კვალობაზე საკმაოდ დახვეწილად მეტყველებდა.

— სთელა როგორ არის? — ჰკითხა სანდიმ.

— მშვენივრად. მაგრამ, იცით, გამოსვლის წინ ცოტა ხნით წამოწოლა უყვარს ხოლმე, მამშვიდებსო.

— ათასი გირვანქა სტერლინგი რომ მოეცათ, მაინც არ გავიმეორებდი მის ტრიუკს.

— ვერც შეძლებდი. ამას მის გარდა ვერავინ გააკეთებს. იმ სიმალლიდან... თანაც წყალი აუზში ხუთი ფუტის² სიმაღლეზეა მხოლოდ.

— ასეთი შემზარავი სანახაობა არასოდეს მიზილავს.


ქოთმენმა ჩაიღიმა. ესიამოვნა ქათინაური. სთელა ხომ მისი ცოლი იყო. რა თქმა უნდა, ტრიუკს ქალი აკეთებდა და სიცოცხლესაც ის იგდებდა საფრთხეში, მაგრამ ცეცხლის ალი ქოთმენმა მოიგონა. მაყურებელს კი სწორედ ენებად ავარდნილი ალი მოსწონდა. მათ ნომერს სწორედ ამან მოუტანა წარმატება. სთელა სამოცი ფუტი სიმალლიდან ხტებოდა ხუთი ფუტი სიღრმის აუზში. სწორედ გადმოხტომის წინ ასხამდნენ წყალში ცოტაოდენ ბენზინს, რომელსაც ქოთმენი ცეცხლს უკიდებდა და ქალი აალებულ წყალში ვარდებოდა.

¹ ენგოლო — დაქირავებული პარტნიორი (უეკვაში).

² ფუტი უდრის 30,5 სანტიმეტრს.

— პაკო ესპინელი ამბობს, ჩვენს კაზინოს მაყურებლის ასეთი მისატყუარი არ უნახავსო, — თქვა სანდომ.

— ვიცო, მეც მითხრა, ივლისში გაცილებით მეტი შემოსავალი მოვიღეთ. ვიდრე, ჩვეულებრივ, აგვისტოში გვექონდა ხოლმე და ეს მხოლოდ თქვენი წყალობით მოხდაო.



— მე მგონი, თქვენც კარგად იტობობთ ხელს.

— მთლად ეგრეც არ არის. ჩვენ ხომ კონტრაქტი გვაქვს დადებული. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენს ნომერს ასეთი წარმატება ხვდებოდა წილად. მისტერ ესპინელი გვთხოვს, კიდევ ერთი თვით დარჩითო, მაგრამ, გულახდილად ვეტყვით, უწინდელ პირობაზე აღარ დავთანხმდებით. სწორედ ამ დილით მივიღე წერილი ერთ-ერთი აგენტისაგან — დიუვილში გვიწვევენ.

— აი, ჩემი ხალხიც მოვიდა, — თქვა სანდომ, ქოთმენს თავი დაუკრა და გაშორდა.

ევა ბარეტი ნარნარად შემოგოგმანდა ბარში. უკან მთელი ამალა მოჰყვებოდა, სულ რვა კაცი იყო.

— სანდი! ასეც ვიცოდდი, რომ სწორედ აქ გიპოვიდით. ხომ არ დავიგვიანე? — ჰკითხა ქალმა.

— მხოლოდ ნახევარი საათით.

— ჰკითხეთ, ვის როგორი კოქტეილი სურს და წავიდეთ სასადილოდ.

დახლთან თითქმის აღარავინ იყო, მთელი ხალხი ტერასაზე გასულიყო სასადილოდ. ამ დროს პაკო ესპინელიმ ჩაუარათ გვერდზე. იგი წამით შეჩერდა, რომ ევა ბარეტს მისალმებოდა. ახალგაზრდა პაკო ესპინელის მთელი თავისი ქონება გაეფლანგა და ახლა თავს იმით ირჩენდა, რომ კაზინოში მაყურებლის მისაზიდად ათასგვარ სანახაობას აწყობდა. ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინაშე თავაზიანობაც მას ევალებოდა. მისის ჩელონერ ბარეტი ამერიკელი გახლდათ, ქვრივი და თანაც ძალზე შეძლებული. ის მხოლოდ გულუხვად კი არ უმასპინძლებოდა ნაცნობ-მეგობრებს, თამაშობდა კიდევ, საერთო ჯამში ხომ სადილები, ვახშმები და ეს ორი საესტრადო ნომერიც მხოლოდ იმისთვის იმართებოდა, რომ საზოგადოება სათამაშო მაგიდასთან თავის ფულებს გამოსთხოვებოდა.

— პაკო, ერთ კარგ მაგიდას ხომ ვერ გამომიძებნიდით? — მიმართა ევა ბარეტმა.

— საუკეთესოს, ქალბატონო. — მის ლამაზ, არგენტინულ შავ თვალებში მისის ბარეტის ბრწყინვალე, ხანდაზმული მშვენებით გამოწვეული აღფრთოვანება გამოსჭვიოდა. ესეც მის თანამდებობრივ მოვალეობაში შედიოდა. — სთელა უკვე ნახეთ?

— რა თქმა უნდა, სამჯერ. ამაზე საშინელი არაფერი მინახავს ცხოვრებაში.

— სანდი ყოველ საღამოს დადის.

— მინდა სასიკვდილო ნახტომს დავესწრო. ეჭვი არ არის, დღეს თუ ხვალ ეს ქალბატონი კისერს მოიტებს და არ შემიძლია, ამგვარ სანახაობას გამოვაკლდე.

პაკომ გაიცინა.

— ხალხს ისე მოსწონს, რომ ერთი თვით კიდევ გვინდა გავაგრძელოთ მისი

გამოსვლები. ნეტა აგვისტოს ბოლომდე არაფერს მოიწევდეს და შერე რაც უნდა, ის ქნას, მისი ნებაა.

— ოპ, ღმერთო ჩემო, ნუთუ აგვისტოს ბოლომდე ისევ კალმასი და შემწვარი წიწილები უნდა ვჭამო? — შეიცხადა სანდიმ.

— რა საძაგელი კაცი ხართ, სანდი, — დატუქსა ევა ბარეტმა. — დატუქსა ევა ბარეტმა. — დატუქსა ევა ბარეტმა. — დატუქსა ევა ბარეტმა. — დატუქსა ევა ბარეტმა.

პაკო ესპინელიმ ბარმენს ჰკითხა, ქოთმენი ხომ არ გინახავთო. ბარმენმა უპასუხა, ამ ცოტა ხნის წინ მისტერ უესტქოთთან ერთად სვამდაო.

— კარგი, თუ კიდევ შემოიარა, გადაეცით, რომ ორიოდ სიტყვა მაქვს სათქმელი.

მისის ბარეტი ტერასისაკენ მიმავალი კიბის საფეხურზე იმდენ ხანს შეჩერდა, რამდენიც საჭირო იყო, რომ ერთი პატარა თმაგაწეწილი და გატანჯული რეპორტიორი ქალი მიახლოებოდა უბის წიგნაკით ხელში. სანდიმ ჩურჩულით აუწყა მოწვეულთა გვარები. სწორედ რივიერისათვის დამახასიათებელი საზოგადოება იყო თავშეყრილი. აქ იყვნენ ინგლისელი ლორდი თავის ლედისთან ერთად, ორივენი მალლები და გამზდრები. ისინი ეშმაკთან ერთადაც შემოუსხდებოდნენ სუფრას, ოღონდ მუქთა პურმარილზე მიეწვია ვინმეს. ისე კი, ერთი ბეწო სასმელი ჰყოფნიდათ, შუალამემდე მოწყდებოდათ ხოლმე კისერი. აქ იყო აგრეთვე კაფანდარა შოტლანდიელი მანდილოსანი ინგლისელ მეუღლესთან ერთად. ამ ქალის დანახვაზე პერუელების კერპი დაგიდგებოდათ თვალწინ, რომელსაც მრავალი ქარტახილისთვის გაეძლო. მისი ქმარი პროფესიით მაკლერი გახლდათ, ჯან-ლონით სავსე კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, გულკეთილი და გულლიაც ჩანდა, მაგრამ არც ეშმაკობა აკლდა. ზოგჯერ გულწრფელად გირჩევდათ რაღაცას, მის სიტყვას აყოლილი, პირშიჩალაგამოვლებული რჩებოდით, მაგრამ ის საკუთარ თავზე მეტად გეცოდებოდათ. სტუმართა შორის იყო იტალიელი გრაფის ასული, რომელიც სინამდვილეში არც იტალიელი გახლდათ და არც გრაფის ასული, სამაგიეროდ, მშვენივრად თამაშობდა ბანქოს. აქვე იყო რუსი თავადი, რომელიც სერიოზულად ფიქრობდა მისის ბარეტის ცოლად შერთვას. ჯერჯერობით კი შამპანურით, მანქანებითა და ძველ ოსტატთა ნახატებით ვაჭრობდა.

საზეიმო საღამო იყო და ტერასაზე მაგიდები ერთმანეთზე მიეწყობოდა, რომ საცეკვაო ადგილი გაეთავისუფლებინათ. მისის ბარეტი ტუჩაბზუებით დასცქეროდა ზემოდან მოცეკვავეთა შემჭიდროებულ ბრბოს და ცეკვის დამთავრებას ელოდა. ტერასის მიღმა უტყვი და მშვიდი ზღვა გაწოლილიყო. მუსიკა შეწყდა და მეტროტელი თავაზიანი ღიმილით გაეშურა ევა ბარეტისაკენ, რომ მაგიდამდე მიეცილებინა. ქალმა მედიდურად ჩაიარა კიბე.

— აქედან ყველაფერს კარგად დავინახავთ, — თქვა მან და სკამზე დაეშვა.

— აუზთან ახლოს ჯდომამიყვარს, რომ სთელას სახეს კარგად შევხედო, — თქვა სანდიმ.

— ლამაზია? — ჰკითხა გრაფის ასულმა.

— არა, მაგრამ საქმე ეგ როდია, მთავარი მისი თვალებია, ყოველი ნახტომის წინ სიკვდილის შიში რომ ჩაუდგება ხოლმე.

— არა მჯერა, — თქვა ინგლისელმა ჯენტლმენმა, რომელსაც ყველა „პოლკოვნიკ გუდპარტს“ ეძახდა, თუმცა კაციშვილმა არ იცოდა, საიდან მიე-

ლო ეს სამხედრო წოდება. — გარწმუნებთ, ეს წმინდა წყლის თვალთმაქცობაა და საშიშიც არაფერია.

— რას ამბობთ! სთელა ისეთი სიმალლიდან ხტება და წყალს კი აუზში ისე ცოტაა, რომ ზედაპირთან შეხებისთანავე ელვისებურად თქვენს ამოტრიალდა, თავს უეჭველად ფსკერს დაჰკრავს და მერე კარგად მეყოლე!

— მეც სწორედ მაგას მოგახსენებდით, — თქვა პოლკოვნიკმა. — ნამდვილი ტრიუკია. ვფიქრობ, აქ საკამათო არაფერია.

— თუ რისკიც აღარ არის ამ წარმოდგენაში, მაშინ რაღა ყრია, — თქვა ევა ბარეტმა, — ყველაფერი რაღაც წამებში ხდება და თუ სინამდვილეში სიცოცხლეს საფრთხეში არ იგდებს, თაღლითობა ყოფილა და ისაა. რა გამოდის, ეს ამდენი ხალხი ყოველდღე დადის საყურებლად და აქ კი ყველაფერი ყალბია?!

— დიახ, ისეთივე ყალბი, როგორც ყოველივე ჩვენს ცხოვრებაში, დამერწმუნეთ.

-- თქვენ ეს, რა თქმა უნდა, უკეთ მოგახსენებათ, — მიუგო სანდიმ. პოლკოვნიკმა შეიძლება იგრძნო კიდევ, რომ ამ გადაკრული ნათქვამით შეურაცხყვეს იგი, მაგრამ არ შეიმჩნია და გაიცინა.

— დიახ, დიახ, ზოგ რამეში მართლაც ვერკვევი, — დაეთანხმა ის, — ვერაფერს გამომაპარებენ, ჩემი მოტყუება არც ისე იოლია.

აუზი ტერასის ბოლოს იყო. მის უკან, ხიშინჯებზე, უჩვეულოდ გრძელი კიბე აღემაართათ, რომლის ზემოთ მომცრო ბაქანი მოეწყობო. ორი-სამი ცეკვის შემდეგ, სწორედ მაშინ, როცა ევა ბარეტის სუფრაზე სატაცურს შეექცნოდნენ, მუსიკა მიჩუმდა და სინათლაც გაიცრიცა. აუზს პროექტორი მიანათეს. გაკაშკაშებულ წრეში ქოთმენი გამოჩნდა. მან რამდენიმე საფეხური აიარა და შეჩერდა.

— ქალბატონებო და ბატონებო, — წარმოსთქვა ხმამაღლა და გარკვევით, — ახლა თქვენ იხილავთ ჩვენი საუკუნის საოცრებას, მაღამ სთელა, მსოფლიოში საუკეთესო მხტომელი, სამოცი ფუტის სიმალლიდან ჩაეშვება აალებულ წყალში, რომლის სიღრმე მხოლოდ ხუთი ფუტია. ჭერჯერობით სხვამ ვერავინ შეძლო ამ ნახტომის გაკეთება და თუ ვინმე გაბედავს ამ ტრიუკის გამეორებას, მაღამ სთელა იმ გულადს ას გირვანქა სტერლინგს აჩუქებს. ქალბატონებო და ბატონებო, ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ მაღამ სთელა!

სულ მაღლა, ტერასაზე გამავალ ფართო კიბეზე ტანმორჩილი ყმაწვილი ქალი გამოჩნდა. მან სწრაფად გაირბინა აუზისაკენ და ტაშის გრიალში საზოგადოებას თავი დაუკრა. ტანთ მამაკაცის აბრეშუმის ხალათი ემოსა. თავზე კი საცურაო ქუდი ეხურა. გამხდარ სახეზე გრიმი წაესვა, თითქოს სცენაზე გამოსვლას აპირებსო. იტალიელმა გრაფის ასულმა ლორნეტი მოიმარჯვა.

— მიმზიდველიც კი არ არის, — თქვა მან.

— სამაგიეროდ, კოხტა ტანი აქვს, — მოუჭრა ევა ბარეტმა. — აი, ნახავთ.

სთელამ ხალათი თვალისდახამხამებაში გადაიძრო და ქოთმენს გაუწოდა, რომელიც ქვემოთ დაეშვა. ქალი წამით შეჩერდა და მაყურებელს მოავლო მზერა. დარბაზში ბნელოდა, მხოლოდ მიბინდულ თეთრ სახეებსა და გულისპირებს ხედავდა. სთელა ტანმომცრო, მაგრამ მოხდენილი ქალი იყო, წვივმაღალი და ვიწროთეძოიანი. საცურაო კოსტიუმი ძლივს უფარავდა სხეულს.

— გეთანხმებით, ევა, მართლაც კობტა ტანი ჰქონია, — უთხრა პოლკოვნიკმა. — ცოტა სისრულე კი აკლია, მაგრამ ვიცი, რომ ახლანდელი ქალების აზრით, სწორედ მაგაშია მთელი ეშნი.

სთელა საფეხურებს აუყვია, პროექტორის შუქიც აედევნა. კვლავ უფრო ბოლო არ უჩანდა. დამხმარე კაცმა წყალში ბენზინი ჩაასხა, ქოთმენსაც ანთებული ჩირაღდანი უკვე ხელთ ებყრა და ელოდა, სანამ სთელა გადმოსახტომ ბაქანს მიაღწევდა.

— მზადა ხარ?

— დიახ!

— გადმოხტის!

ასძახა და მოგიზგიზე ჩირაღდანი აუზში ჩაუშვა. წყლის ზედაპირზე ცეცხლმა იფეთქა. ენები შემადრწუნებლად მიილტვოდნენ მაღლა. სწორედ იმ წამს გადმოეშვა სთელა ზემოდან. თვალისდახამხამებაში გაისხმარტალა ჰაერში და ცეცხლის ალში შთაინთქა. ცეცხლიც ქალის სხეულის შეხებისთანავე ჩაქრა.

წამიც და სთელამ უკვე ამოყვინთა წყლიდან. ზემოთ მაყურებელთა ოვაციებისა და მოწონების შეძახილებისაგან ყურთასმენა აღარ იყო. ქოთმენმა ხალათი მოახურა მხრებზე. სთელა მაღლობის ნიშნად ყველას თავს უკრავდა. ტაში კი არა და არ წყდებოდა. ბოლოს მუსიკის ხმა გაისმა. დამშვიდობებისას ქალმა ნაზად დაუქნია ხელი ხალხს, საფეხურებზე ჩაირბინა, მაგიდებს შორის გზა გაიკვლია და კარს მიეფარა. შუქი აინთო და ოფიციანტებს, რომლებსაც სავსე ლანგრები ეჭირათ, ისეთი ფაციფუცი შეუდგათ, გეგონებოდათ, ეს-ესაა გამოფხიზლდნენო.

სანდი უესტქოთმა ამოისუნთქა, მაგრამ ეს შვების ამოსუნთქვა იყო თუ იმედგაცრუებისა, თვითონაც ვერ გეტყობათ.

— ბრწყინვალეა, — თქვა ინგლისელმა ლორდმა.

— ნამდვილად გვატყუებენ, — თქვა პოლკოვნიკმა წმინდა ბრიტანული სიჯიუტით, — რაზეც გინდათ, დაგენაძლევებით.

— წესიერად თვალის მოკვრასაც ვერ მოასწრებ, რომ უკვე ყველაფერი დამთავრებულია. ამდენი ფულის საფასურად ცოტა უკეთეს რამეს უნდა გვიჩვენებდნენ. — ისე თქვა ინგლისელი ლორდის მეუღლემ, თითქოს ფულს თვითონ იხდიდა.

იტალიელი გრაფის ასული მაგიდაზე გადაიხარა. ინგლისურად თავისუფლად ლაპარაკობდა, მაგრამ ძლიერი აქცენტით.

— ევა, ძვირფასო, ნეტა ის უცნაური ქალი და კაცი ვინ არიან, ან იქ, აივნის ქვეშ, კართან, მაგიდას რომ მისხდომიან?

— სასაცილოები არიან, არა? — თქვა სანდომ. — პირდაპირ თვალი ვერ მომიშორებია მათთვის.

ევა ბარეტმა იქით გაიხედა, საითაც გრაფის ასული მიუთითებდა. რუსი თავადიც, რომელიც იმ მაგიდისაგან ზურგშექცევით იჯდა, შებრუნდა, რომ მათთვის შეეხედა.

— მართლაც რა საოცარი წყვილია, არა? — წამოძახა ევამ. — ერთი ანჯელოს უნდა ვკითხო, ვინ არიან.

მისის ბარეტი იმ ქალებს ეკუთვნოდა, ვინც ევროპის ყველა საუკეთესო

რესტორანში იცნობს მეტროპოტელს, ანჯელოს დამიძახებთო, სთხოვა მან ოფიციანტს, რომელიც ჭიქას უვსებდა.

მართლაც უცნაური წყვილი გახლდათ. მარტონი მისხდომოდნენ პაწაწა მაგიდას. ორივე ღრმად მოხუცი იყო. კაცი ძალად და მარტონი ხანდა, სქელი თმა ჯილასავით ადგა თავზე, ჭალარა, დაფანჩული წარბებითა და უზარმაზარი ხშირი თეთრი უღვაშით იტალიის გარდაცვლილ მეფეს უმბერტოს წააგავდა. მაგრამ ამას გაცილებით უფრო მეფურა იერი ჰქონდა. მოხუცი არაჩვეულებრივად წელგამართული იჯდა. კარგაბნის მოდიდან გამოსულ ფრაკში თეთრი ჰალსტუხი და საყელო მოუჩანდა. მანდილოსანი დაბალი ტანისა ჩანდა. ღრმად გულამოჭრილი და წელში გამოყვანილი შავი ატლასის სამეჯლისო კაბა ეცვა. ყელზე რამდენიმე წყებად ასბმული ფერად-ფერადი მძივები ეკიდა. თავზე ცუდად მორგებული ყორნის ფრთასავით შავი პარიკი კულულებად ეყარა. სახე დაუდევრად შეეთიპნა, უპეებსა და ქუთუთოებზე ლურჯი საღებავი წაესვა. წარბები არაბუნებრივად ჩაეშავებინა, ლოყებზე მუქი წითელი ლაქები აჩნდა, ხოლო ტუჩებზე მეწამული ალისფერი მოსდებოდა. სახედაღარულს დიდ თვალებში შეუპოვრობა ჩასდგომოდა. იმდენად იყო ცნობისწადილით შეპყრობილი, რომ მზერას ხან ერთ მაგიდას სტუორცნიდა, ხან მეორეს, გარშემო ყველაფერს აკვირდებოდა და თანამესუფრეს ყოველ წუთს ვიღაცაზე მიუთითებდა.

მოდაზე ჩაცმული თანამედროვე საზოგადოების ფონზე, სმოკინგიან მა-მაკაცებსა და ღია ფერის მსუბუქ კაბებში გამოწყობილ ქალებს შორის ამ წყვილის გარეგნობა ისე ფანტასტიკური ჩანდა, გასაკვირი არაა, რომ ბევრის თვალი მათკენ იყო მიპყრობილი, მაგრამ ეს ამბავი, ეტყობა, სრულიადაც არ აღელვებდა მოხუც ქალს. ის გრძნობდა, რომ უცქერდნენ, წარბებს ეშმაკურად ძვიბავდა, იღიმებოდა და თვალებით კეკლუცობდა, გეგონებოდათ, აი, ახლა წამოხტება, მკერდზე ხელს მიიდებს და საზოგადოებას თავს დაუქრავსო.

ანჯელო საჩქაროდ მიუახლოვდა სარფიან კლიენტს.

— ქალბატონო, ჩემი ნახვა გჴურდათ?

— ოჰ, ანჯელო, ცნობისმოყვარეობისგან ვიწვით, ისე გვაინტერესებს, ვინ არის ის საოცარი წყვილი, კართან მაგიდას რომ უზის?

ანჯელომ მიმოიხედა და ევა ბარეტს უმაღ ვედრებით სავსე მზერა მიაპყრო. გამოხედვაში, მზრებრისა და ხელის შერხევაში, ზურგის მობრუნებასა და მგონი ფეხის თითების მოძრაობაშიც კი, სანახევროდ ხუმრობა-ნარევი ბოდიში გამოსჭვიოდა.

— გთხოვთ, ნუ გამიჯავრდებით, მიღედი. — მან, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ მისის ბარეტს ტიტული არ გააჩნდა, ისიც იცოდა, რომ იტალიელი გრაფის ასული არც იტალიელი გახლდათ და არც გრაფის ასული, რომ ინგლისელი ლორდი ჯიბისკენ ხელს არ წაიღებდა, თუკი მის დანახარჯს ვინმე გადაიხდიდა. მაგრამ ანჯელომ ისიც უწყოდა, რომ ასეთი პატივისცემა ქალს ძალიანაც სიამოვნებდა. — იცით, ჩემო ქალბატონო, როგორ შემეხვეწნენ, ერთი მაგიდა მათთვისაც მიმეცა? ძალიან გვინდა მადამ სთელას ნახტომის ნახვაო. ოდესღაც თურმე თვითონაც გამოდიოდნენ სცენაზე. კარგად მესმის, ესენი იმ საზოგადოებას არ ეკუთვნიან, ჩვენს რესტორანში რომ იყრიბება,

მაგრამ მათ ისე ძალიან უნდოდათ წარმოდგენაზე დასწრება, რომ უარი ვერაფერ ვუთხარი.

— ჩემი აზრით, ძალზე მომხიბლავი არსებანი არიან.

— დიდი ხანია ვიცნობ. კაცი ჩემი მშობლიური მხარიდანაა და დოქტელს სახეზე ლმობიერი ღიმილი გადაეფინა. — მე ვუთხარი, მაგიდას იმ პირობით მოგცემთ, თუ არ იცეკვებთ-მეთქი, ამის უფლებას კი ვერაფრით ვერ მივცემდი, ქალბატონო.

— მე კი სიამოვნებით ვნახავდი მათ ცეკვას.

— არა, არა, ეს უკვე მეტისმეტი იქნება! — მედიდურად წარმოთქვა ანჯელომ. გაიღიმა, კიდევ ერთხელ დაუკრა თავი და წავიდა.

— შეხედეთ! — წამოიძახა სანდომ. — უკვე მიდიან.

მართლაც მოხუცი წყვილი ოფიციანტს დანახარჯს უხდიდა. ბერიკაცი წამოდგა და მეუღლეს მხრებზე ოდესღაც თეთრი, მაგრამ ახლა საკმაოდ შეღანძღული ბუმბულის ბოა მოახვია. ქალმაც წამოიწია, ქმარმა ხელი შეაშველა. ის წელში გამართული იდგა და მის გვერდით მანდილოსანი საოცრად პატარა ჩანდა. ორივენი გასასვლელისაკენ გაეშურნენ. ქალის შავ ატლასის კაბას გრძელი შლუიფი დასთრეუდა და ევა ბარეტმა, რომელსაც ორმოცდაათისათვის კარგა ხანია გადაეპიჯებინა, აღფრთოვანებისაგან შეჰყვირა:

— იცი, მახსოვს, მე ჯერ კიდევ სკოლაში დადიოდი, როცა დედაჩემი ასეთ კაბებს იცვამდა.

სასაცილო წყვილმა კი ხელიხელგაყრილმა გაიარა კაზინოს ფართო დარბაზი და კართან შეჩერდა. მოხუცი კაცი შვეიცარს მიუბრუნდა:

— გეთაყვა, მსახიობთა საპირფარეშოს ხომ ვერ მიგვასწავლით, გვინდა, მაღამ სთელას წარმატება მივულოცოთ.

კარისკაცმა ეჭვით შეათვალიერა ისინი და ზემოთ მიუთითა. იცოდა, ამისთანა ხალხთან დიდი თავაზიანობა არ იყო საჭირო.

— მაგრამ ახლა იქ არ არის.

— ნუთუ უკვე წავიდა? მე მეგონა, ორი საათის შემდეგ კიდევ გამოვიდოდა.

— მართალსა ბრძანებთ. ისინი ალბათ ბარში სხედან.

— კარლო, ურიგო არ იქნება, თუ იქაც შევივლით, — უთხრა მანდილოსანმა.

— კეთილი, ძვირფასო, — უბასუხა ქმარმა თან „რ“, მკაფიოდ გამოთქვა.

ისინი ნელა აუყვნენ ფართო კიბეს და ბარში შევიდნენ. იქ არავინ იყო ბარმენის თანაშემწისა და კუთხეში მიდგმულ სავარძლებში მოკალათებული ერთი ქალ-ვაჟის გარდა. მანდილოსანმა ქმარს თავი მიანება და ხელებგაწვდილი მათკენ გაეშურა.

— ო, მოგაგენით, ძვირფასო, დაგინახეთ თუ არა, გადავწყვიტე გამეზიარებინა ჩემი აღფრთოვანება, მეც ხომ ინგლისელი ვარ და თანაც თქვენი კოლეგა. მშვენიერი ნომერი შეგიქმნიათ, ჩემო კარგო, და წარმატებაც დამსახურებულია. — ახლა ქოთმენს შეხედა: — თქვენი მეუღლეა?

სთელა სავარძლიდან წამოდგა და შეცბუნებული, მორცხვი ღიმილით უსმენდა ენადგაკრეფილ მანდილოსანს.

— დიახ.

— მოხარული ვარ თქვენი გაცნობისა, — მიუგო ყმაწვილმა კაცმა.

— ეს კი ჩემი მეუღლეა, — წარუდგინა მოხუცმა ქალმა და დაეწინა მსუბუქი მოძრაობით მიუთითა მაღალ ჭადრა მა მაკაცზე, — მისტერ პენეცი ჩამომავლობით გრაფია, მე კი წესით გრაფის მეუღლე ვარ. მაგრამ ძას შემდეგ, რაც სცენას თავი დავანებეთ, ჩვენს ტიტულსაც აღარ ვახსენებთ ხოლმე.

— ჩვენთან ერთად ხომ არაფერს დალევდით? — შესთავაზა ქოთმენმა.

— რას ბრძანებთ, პირიქით, ნება გვიბოძეთ, ჩვენ თვითონ გაგიმასპინძლდეთ, — მიუგო გრაფის მეუღლემ და სავარძელში ჩაეშვა. — კარლო, შეუკვეთე. — ბარმენი მოვიდა. ცოტა ხანს ითათბირეს და სამი ტოლჩა ლუდი შეუკვეთეს. სთელამ სასმელზე უარი თქვა.

— მეორე გამოსვლამდე არა სვამს ხოლმე, — განმარტა ქოთმენმა.

სთელა ოცდაექვსიოდე წლის კაფანდარა ყმაწვილი ქალი გახლდათ. ღია ყავისფერი, მოკლედ შეკრეჭილი ხვეული თმა და ნაცრისფერი თვალები ჰქონდა. ტუჩები შეეღება, სახეზე ფერუმარის თითქმის არ ნმარობდა და ფერძკრთალი ჩანდა. ლამაზი იყო, ვერ იტყოდით, მაგრამ საკმაოდ დახვეწილი ნაკვთები ჰქონდა. უბრალო, თეთრი აბრეშუმის კაბა ეცვა.

ლუდი მალე მოიტანეს და მისტერ პენეციმ, რომელსაც, ეტყობოდა, ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, რამდენიმე ყლუპი მოსვა.

— თქვენ რა ნომრით გამოდიოდით? — თავაზიანად ჰკითხა ქოთმენმა.

მისის პენეციმ თავისი ცოცხალი, მოძრაი, სქლად მოხატული თვალები ქმარს მიაპყრო და უთხრა:

— კარლო, აუხსენი, ვინცა ვარ.

— „ქალი — ზარბაზნის ტურვი“, — წარმოსთქვა კაცმა.

მისის პენეცის სიხარულის ღიმილი გადაეფინა სახეზე და ელვასავით სწრაფი მზერა ქოთმენიდან სთელაზე გადაიტანა. მოხუც მანდილოსანს ორივენი შეცბუნებულები შესცქეროდნენ.

— ფლორა, ქალი — ზარბაზნის ტურვი, — თქვა მან.

მოხუცი მანდილოსანი ისე იყო დარწმუნებული, ჩემი სახელი ახალგაზრდა ქალ-ვაჟზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენსო, რომ ამ ამბავმა ისინი უფრო მეტად დააბნია; საგონებელში ჩავარდნილმა სთელამ მუდარით შეხედა სიდს, რომელიც მაშინვე შეეცადა, ცოლი უხერხული მდგომარეობიდან გამოეყვანა და მანდილოსანს კითხვა შეაგება:

— ეს ალბათ ძალიან დიდი ხნის წინათ იყო, არა?

— რა თქმა უნდა, მაშინ თქვენ დაბადებულიც არ იქნებოდით. ჩვენ ხომ სცენა სწორედ იმ წელიწადს დავტოვეთ, როცა ცხოვრებული დედოფალი ვიქტორია გარდაიცვალა. ჩვენმა წასვლამაც დიდი სენსაცია გამოიწვია მაშინ. თქვენ, რალა თქმა უნდა, ვსმენიათ ჩემი ამბავი, — მაგრამ, როცა შეატყო, ახალგაზრდები ისევ გაოცებულები უყურებდნენ, მანდილოსანს აღელვებისაგან ხმა უცებ შეეცვალა. — მე ხომ ლონდონში არაჩვეულებრივი წარმატება მქონდა, ძველ აკვარიუმში გამოვდიოდი. ჩემს სანახავად სულ ჩინებული საზოგადოება იყრიდა თავს, უელსის პრინციც კი მოდიოდა და, საერთოდ, ვის არ ნახავდით იქ. მთელ ქალაქს ჩემი სახელი ეკერა პირზე, არა, კარლო?

— მისის პენეცის წყალობით აკვარიუმის მთელი წლის განმავლობაში ხალხით იყო სავსე.

— ეს ყველაზე ეფექტური ნომერი იყო აკვარიუმის არსებობის მანძილზე. იცით, ამ ცოტა ხნის წინ ლედი დე ბათის ვეწვიე. ხომ იცნობთ? მაშინ აქ ცხოვრობდა. მას კარგად ვახსოვდი. დავესწარი თქვენს წარმოდგენასო.

— რას აკეთებდით? — ჰკითხა სთელამ.

— ზარბაზნის ლულიდან მისროდნენ: ეს ნამდვილი სენსაცია იყო. ჩემი ნომრით მთელი მსოფლიო შემოვიარე. მართალია, ჩემო კარგო, დავბერდი, მისტერ პენეცის სამოცდათვრამეტი წელი შეუტრულდა, მეც სამოცდაათს გადავაბიჯე, მაგრამ იყო დრო, რომ ლონდონის ქუჩები ჩემი აფიშებით იყო აჭრელებული! ლედი დე ბათმა მითხრა, ჩემო კარგო, თქვენ ჩემსავით ცნობილი იყავითო. ხომ იცით, ჩვენი საზოგადოების ამბავი, თუ კარგი რამე დაინახეს და მოეწონათ, მერე სულ ახალს და ახალს მოითხოვენ, ძველი ბეზრდებათ და აღარ აინტერესებთ. ეჰ, რას იზამ, ჩემო მშვენიერო, თქვენც ამასვე მოელოდეთ, ეს ყველას ხვედრია. მაგრამ მისტერ პენეცი ყოველთვის ფორმაში იყო. ბავშვობიდან მსახიობობდა ცირკში. მანუჟის ინსპექტორი იყო, რომ გავიცანი. მაშინ მე აკრობატთა დასში გამოვდიოდდი, ხომ გაგიგონიათ აკრობატთა ტრაპეციაზე. ისეთი კაცია, ახლაც კი მიაქცევ ყურადღებას. მაგრამ მაშინ უნად გენახათ, რა იყო: რუსულ წაღებსა და საცხენოსნო ბრიჯებში გამოწყობილი, ტანზე შემოტმასნილ ლამაზ სერთუკში, მათრახის ტყლაშუნით ცირკის არენაზე ცხენებს წრიულად რომ მიაქენებდა, ჩემს დღეში იმაზე ლამაზი მამაკაცი არ მინახავს.

მისტერ პენეციმ არაფერი თქვა, მხოლოდ თავისი უშველებელი თეატრი უღვაში ჩაიგრიხა.

— ჰოდა, ისეთი კაცი არ გეგონოთ, ფულს ტყუილუბრალოდ ქარს რომ ატანენ ხოლმე. როცა ნახა, აღარსად გვიწვევდნენ, მითხრა, მოდი, სცენას სულ დავანებოთ თავიო. მართალიც იყო, ლონდონის პირველი ვარსკვლავი ცირკში უბრალო საქმეზე ველარ დაბრუნდები, თან მისტერ პენეცი ხომ გრაფია, კაცს შენი ღირსება მუდამ უნდა ვახსოვდეს. ამიტომაც აქ ჩამოვედით, სახლი ვიყიდეთ და პანსიონი გავხსენით. მისტერ პენეცი მუდამ ამაზე ოცნებობდა. უკვე ოცდათხუთმეტი წელია, რაც აქ დავბინავდით. ჩვენი საქმეები მშვენივრად მიდიოდა, მაგრამ ორი-სამი წლის წინ, კრიზისის შემდეგ, ცოტა გაგვიუარესდა მდგომარეობა. ახლა ხალხი გამოიცვალა, ძველად სულ სხვა იყო. ეს ელექტრონიო, წყალგაყვანილობაო, ღმერთმა უწყის, რას აღარ მოითხოვენ. — კარლო, დაუტოვე ჩვენი სადარბაზო ბარათი. მისტერ პენეცი ცოტა-ცოტას თვითონ მზარეულობს ოჯახში, ჰოდა, თუ ოდესმე, მშობლიურ კერას მოწყვეტილებს, ნამდვილი ოჯახური მყუდროება მოგენატროთ, ჩვენთან მობრძანდით. მიყვარს მსახიობები და მათთან სალაპარაკოც არასოდეს შემომელევა. ჩემი აზრით, მსახიობი მუდამ მსახიობად დარჩება...

ამ დროს უფროსი ბარმენი დაბრუნდა, რომელიც სავახშმოდ იყო გასული. სიდი შეამჩნია და უთხრა:

— ქოთმენ, მისტერ ესპინელი გეძებდათ, აუცილებელი საქმე მაქვსო.

— მართლა? მერე თვითონ სად არის?

— მოძებნეთ, სადღაც აქ იყო.

— ჩვენ წავალთ, — თქვა მისის პენეციმ და წამოდგა. — იქნებ როგორმე შემოგვიაროთ და ერთად ვისადილოთ, ძველ ფოტოსურათებსა და გაზეთებიდან ამოჭრილ სტატიებს გაჩვენებთ. წარმოგიდგენიათ, თქვენ არც კი გსმენიათ „ქალი—ზარბაზნის ჭურვის“ ამბავი! მე ხომ ლონდონის ჟურნალით ცნობილი ვიყავი!

მისის პენეცის სრულებით არ სწყენია, რომ ახალგაზრდებს მისი სახელი გაგონილიც კი არ ჰქონდათ. ეს ამბავი თითქოს კიდევ ართობდა.

ისინი დაემშვიდობნენ ერთმანეთს და სთელა ისევ სავარძელში ჩაეშვა.

— ცოტა ლუღს დავლევ, — თქვა სიდმა, — მერე წავალ და გავიგებ, პაკოს რა უნდოდა. შენ აქ დარჩები თუ შენს ოთახში ახვალ?

სთელას ხელები მაგრად მოემუჭა. კითხვაზე არაფერი უპასუხა. სიდმა შეხედა და უმაღლ აარიდა თვალი.

— მართლაც დაუდგრომელი ქალია ეს კუდრაქა დედაბერი, — ნაძალადევი მხიარულებით წამოიწყო სიდმა, — ნამდვილად სასაცილო არსებაა. ისე კი, რაც გვითხრა, მგონი, მართალი უნდა იყოს. თუმცა ძნელი დასაჯერებელი კია. წარმოუდგენელია, ნუთუ ორმოციოდე წლის წინ მთელი ლონდონი ქედს უბრიდა? სასაცილო ის არის, რომ ჰგონია, დღესაც ახსოვთ. ვერაფრით დაიჯერა, რომ ჩვენ ყურმოკვრითაც არ ვიცოდით მისი ამბავი.

მან უჩუმრად, ისე, რომ ქალს არ შეემჩნია, ხელახლა შეავლო თვალი ცოლს. ის უხმოდ ტიროდა. კაცს ენა დაუბა. სთელას გაფითრებული სახე ცრემლებით ჰქონდა დანამული.

— რა მოგივიდა, ძვირფასო?

— სიდ, ამ სალამოს ნახტომს ველარ გავიმეორებ! — ამოისლუკუნა ქალმა.

— რატომ?

— მეშინია.

სიდმა ხელი ხელში მოჰკიდა.

— ეტყობა, ჯერ კიდევ არ იცნობ საკუთარ თავს. შენ ხომ მსოფლიოში ყველაზე გულადი პაწაწა ქალი ხარ! იცი რა, მოდი, ცოტაოდენი ბრენდი დალიე, გაგამხნევეს.

— არა, უარესს მიზამს.

— აბა, მაშ, მაყურებელს იმედს ხომ არ გაუცრუებ?

— ო, ეს საზიზღარი მაყურებელი! ღორები! მარტო ის იციან, რა ჩაიხხან და რით ამოიყორონ მუცელი. ნამდვილი ენაჭარტალა იდიოტების თავყრილობაა, იმდენი ფული აოხრიათ, აღარ იციან, რაში გადაყარონ. მაგათი დანახვაც კი არ შემიძლია. სულაც არ ენაღვლებათ, სიცოცხლეს საფრთხეში რომ ვიგდებ.

— მართალი ხარ, სენსაციისთვის მოდიან, ამას ვერ უარყოფ, — დარცხვენით უპასუხა სიდმა. — მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ აქ არავითარი რისკი არ არის, თუ ყველაფერს მშვიდად გააკეთებ.

— ნერვები აღარ მყოფნის, სიდ, ვიცი, ამ საქმეს შევეწირები.

ქალმა ცოტა ხმას აუწია და სიდმა ბარმენისკენ გაიხედა, მაგრამ ბარმენი გაზეთ „Éclaireur de Nice“-ის კითხვით იყო გართული და მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

— ვერ წარმოიდგენ, ზედა ბაქნიდან როგორ მოჩანს ყველაფერი. გეფი-

ცები, დღეს მეგონა, გონს დაეკარგავდი. გესმის, არ შემიძლია ამაღამ მეორედ გადმოხტომა, სიდ, მიშველე რამე.



— იცოდე, დღეს თუ შეუშინდი, ხვალ უარესი მოვივა.

— ამაზე უარესი რალა მომივა. ამ ორ-ორჯერ გადმოხტომამდე უნდა მივლო, თანაც ეს დაუსრულებელი მოლოდინი მკლავს. წადი და მისწერე სწრაფად ნელის უთხარი, რომ დღეში ორ-ორ წარმოდგენას ველარ გავმართავ, ნერვები დამაწყდა.

— ის ამ წინადადებაზე არ დაგვთანხმდება. მათი სადილების მთელი შემოსავალი შენზეა დამოკიდებული. ამ დროს ხალხი მხოლოდ იმისთვის შემოდის, შენი ნახტომი ნახოს.

— რა ვქნა, სხვა გზა არა მაქვს. ხომ გეუბნები, მეტი აღარ შემიძლია.

სიდს აღარაფერი უთქვამს. სთელას გაფითრებული ლოყები ისევ ცრემლებით ჰქონდა დანამული. კაცმა შეამჩნია, ქალი სადაცაა წონასწორობას დაკარგავდა. ეს რამდენიმე დღეა სიდი რალაცას გრძობდა და წუხდა. ცდილობდა, ეს საუბარი თავიდან აეცილებინა. ბუნდოვნად ხვდებოდა, აჯობებდა, თუ ქალი არ იტყოდა ყველაფერს, რასაც განიცდიდა. მაგრამ სიდი წუხდა, წუხდა, რადგან ცოლი ძალიან უყვარდა.

— ესპინელი თვითონ მეძებდა, — თქვა მან.

— რა უნდა?

— არ ვიცი, ვეტყვი, ყოველ საღამოს ორ-ორჯერ გამოსვლა არ შეუძლია-მეთქი და ვნახოთ, რას იტყვის, აქ დამელოდები?

— არა, ჩემს ოთახში ავალ.

ათი წუთის შემდეგ სიდმა მხიარული, მოზეიმე იერით ფართოდ შეაღო სთელას ოთახის კარი.

— ძვირფასო, კარგი ამბავი მოგიტანე. კიდევ ერთი თვით გვტოვებენ და თანაც ორმაგი ანაზღაურებით.

მან ცოლთან მიიღებინა, უნდოდა მოხვეოდა და ეკოცნა, მაგრამ ქალმა ხელი ჰკრა და მოიშორა.

— დღეს მეორედ უნდა გადმოვხტე თუ არა?!

— სამწუხაროდ, კი. შევეცადე, დამეყოლიებინა დღეში მხოლოდ ერთ ნახტომზე, მაგრამ გაგონებაც არ უნდა. ასე თქვა, ვახშობისას უსათუოდ უნდა გადმოხტესო. ისე, მართალი გითხრა, კი ღირს ჩიტი ბდღვნად, თუ ორმაგად აგვინაზღაურებენ შრომას.

ქალი იატაკზე დაემხო და მწარედ აქვითინდა.

— არ შემიძლია, სიდ, არ შემიძლია, გესმის?! მოვეკვდები, იცოდე!

სიდიც იატაკზე მიუჯდა, თავი აუწია, მოეხვია ქალს და ნაზად მიუაღერსა.

— გამხნევდი, შემოგველე. მაშ, აბა ამდენ ფულზე უარს ხომ არ ვიტყვით? წარმოგიდგენია, მთელი ზამთარი არხეინად ვიცხოვრებთ. თანაც ივლისში რალაც ოთხიოდე დღე დარჩა, მერე აგვისტოლა და მორჩა!

— არა, არა, არა! მეშინია, გესმის, სიდ! არ მინდა სიკვდილი, მიყვარხარ!

— ვიცი, შემოგველე, მეც მიყვარხარ. მე ხომ ჩვენი შეუღლების შემდეგ სხვა ქალისთვის არც შემიხედავს. ამდენი ფული არც არასდროს გვქონია და არც გვექნება. ხომ იცი, როგორ ხდება ხოლმე, ახლა არნახულ წარმა-

ტებას მივალწიეთ, მაგრამ ყველაფერი მალე დასრულდება. სანამ ძალა შეგვწევს, უნდა ვიყოჩალოთ.

— სიღ, ნუთუ გინდა, რომ მოვკვდე!

— რას სულელობ, ღმერთმა იცის, უშენოდ ახლა რა ფეხები ვეჭყებოდი. რა ყურები ჩამოგიყრია, შენი ღირსება არ უნდა დაივიწყებოდა. მსოფლიო გიცნობს!

— როგორც „ქალ-ზარბაზნის ჭურვს“, არა? — წამოიძაბა სთელამ და მწარედ ჩაიციხა.

„ღმერთმა დასწყევლოს ის ზებრუნანა“, — გაიფიქრა კაცმა.

სიღმა იცოდა, ცოლის მოთმინების ფიალა სწორედ ამ დედაბერმა აავსო. სამწუხარო ის იყო, რომ სთელამ ყველაფერი ასე ძლიერ განიცადა.

— სწორედ მან ამიხილა თვალი, — განაგრძო სთელამ. — ერთი მიტხარი, რისთვის მოდიან ამდენჯერ ჩემს საყურებლად. ალბათ იმ იმედით სულდგმულობენ, ბედმა გაუღიმოთ და სასიკვდილო ნახტომის მოწმენი გახდნენ. მე მოვკვდები, ისინი კი ერთ კვირაში დამივიწყებენ. აი, რა საზოგადოებაში ვცხოვრობთ. ყველაფერს მივხვდი, როცა ის შეთხიპნილი ბებრუნანა დავინახე, ო, სიღ, რომ იცოდე რა უბედური ვარ! — ქალმა კისერზე შემოაჭდო მკლავები და თავისი ლოყა ქმრის ლოყას მიაკრა. — ეს საშინელებაა, სიღ, აღარ შემიძლია გადმოხტომა.

— შენ გინდა თქვა, რომ ამაღამ ვეღარ გაიმეორებ ნომერს? დღეს თუ ძართლაც ასე ცუდად გრძნობ თავს, ვეტყვი ესპინელის, შეუძლოდ არის-მეთქი. ერთხელ შეიძლება გაგვივიდეს.

— მე მხოლოდ დღევანდელზე არ ვამბობ. საერთოდ აღარ შემიძლია. ვერასდროს ვეღარ გადმოვხტები!

ქალმა იგრძნო, რომ ქმარმა ოდნავ უკან დაიხია და მოშორდა.

— სიღ, ძვირფასო, არ გეგონოს, რომ ვსულელობ. ეს გრძნობა მართლდღეს კი არ გამჩენია. უკვე დიდი ხანია მწიფდებოდა ჩემში. ლამბამობით თვალზე რული არ მეკარება, სულ ამაზე ვფიქრობ. ჩამთვლემს თუ არა, უმალ მესიზმრება, რომ სულ ზემოთ ვდგავარ, კიბის თავში და ქვემოთ ვიყურები. ამ საღამოს ძლივს ავატანე სული, ისე ვკანკალებდი. როცა შენ ბენზინს ცეცხლი მოუკიდე და გადმოსახტომად შემავლიანი, თითქოს რაღაც მეწეოდა უკან და ქვემოთ არ მიშვებდა. როგორ გადმოვხტი, აღარც მახსოვს. მხოლოდ ის მახსენდება, გონს რომ მოვედი, უკვე ქვემოთ ვიდექი და გარშემო ტაშისცემა მესმოდა. სიღ, შენ რომ გიყვარდე, ამისთანა სატანჯველს არ მომიხჯიდი.

სიღმა ამოიოხრა, თვალები მასაც ცრემლით ავსებოდა, ცოლი სათუთად უყვარდა.

— კი მაგრამ, ხომ იცი, საყვარელო, რასაც ნიშნავს ეს ჩვენთვის, — თქვა მან, — დაგავიწყდა, როგორ ვცხოვრობდით, ის მართონი და ათასგვარი სხვა საშინელება?

— ოჰ, ამას ყველაფერი სჯობია.

წარსული კი ორივეს მშვენივრად ახსოვდა. სიღი თვრამეტი წლიდან მოცეკვავე ყივოლო იყო. ესპანელივით შავგვრემანი და სიცოცხლით სავსე ყმაწვილი ჭეშმარიტად სასიამოვნო მოცეკვავე გახლდათ. მოხუცი და შუახნის ქალები დაუფიქრებლად ფანტავდნენ ფულს, ოღონდ მასთან ეცეკვათ. ისე

რომ, უმუშევრად არასოდეს რჩებოდა. ინგლისიდან კონტინენტზე გადაიყვანეს, ჰოდა, იქ დარჩა კიდევ, დადიოდა ოტელიდან ოტელში, ზამთრობით რივიერაზე, ზაფხულობით კი საფრანგეთში, სამკურნალო წყლებზე. უღალად როდი ცხოვრობდნენ. ჩვეულებისამებრ ორნი ან სამნი იყვნენ. ეჭვსა და ეჭვით იჭირავებდნენ და ერთად ცხოვრობდნენ, ძილით გვიანობამდე შეესაღებებოდათ ბივრათ, მხოლოდ თერთმეტი საათისთვის უნდა გამოწყობილიყვნენ, რომ ოტელში გამოცხადებულყვნენ და ეცეკვათ ჩასუქებულ ქალებთან, რომლებსაც გახდომა სურდათ. ამის შემდეგ ზუთ საათამდე თავისუფალნი იყვნენ, ზუთზე კი სამივენი უკან ბრუნდებოდნენ, შემოუსხდებოდნენ მაგიდას და აქეთ-იქით აცეცებდნენ თვალს — ყოველთვის მზად იყვნენ, მომსახურებოდნენ მსურველებს. მუდმივი კლიენტებიც ჰყავდათ. საღამოობით რესტორანში გადადიოდნენ, სადაც მათ ადმინისტრაცია საკმაოდ გემრიელად კვებავდა. მეორე და მესამე თავი საჭმლის მოტანამდე შუალედებში ცეკვავდნენ. აქაც კარგად შეიძლებოდა ხელის მოთბობა. ჩვეულებრივ, ვისთანაც ცეკვავდნენ, იმათგან ორმოცდაათიდან ას ფრანკამდე იღებდნენ. ზოგჯერ ვინმე მდიდარი ქალბატონი, რომელიც თავის ეიგოლოსთან ორ ან სამ საღამოს იცეკვებდა, ათას ფრანკსაც კი იძლეოდა. ასეც ხდებოდა, რომ ხანში შესული ქალი მასთან ღამის გათევასაც შესთავაზებდა, რაშიც ორას ორმოცდაათ ფრანკს უხდიდნენ. ამიტომ ბიჭები მუდამ იმის იმედით ცოცხლობდნენ, იქნებ რომელიმე შტერი ბებრუხანა გაგიჟდეს და საფირონისთვლიან პლატინის ბეჭედს, პორტსიგარს, რაიმე ჩასაცმელს ან მაჯის საათსაც კი გამოგვრათ ხელით. სიღის ერთი ამხანაგი კიდევაც დაქორწინდა ერთ ამისთანა ქალზე, რომელიც დედად უფრო ერგებოდა. მაგრამ, სამაგიეროდ, მანქანა აჩუქა და სათამაშოდაც ფულებით ბლომად ამარაგებდა. ბიარციში მშვენიერ ვილაში ცხოვრობდნენ. ეს ის „ოქროს ხანა“ იყო, როცა ფული ყველას ჩეჩქივით ჰქონდა, მაგრამ მალე ამას კრიზისი მოჰყვა, რამაც ეიგოლოების საქმე უკულმა დაატრიალა. სასტუმროები დაცარიელდა, კოხტა ბიჭთან ცეკვით დატკობის მუშტარი იშვიათად თულა გამოჩნდებოდა. სიღს ხშირად მთელი დღე ისე ჩაადნებოდა ხელში, ერთი ჭიქა ღვინის საფასურსაც ვერ შოულობდა. ისეც არაერთხელ მომხდარა, რომ ვინმე ჩასუქებულ ბებრუცუნას, რომელიც ერთ ტონას მაინც იწონხიდა, ათი ფრანკის მეტი არ მიუცია. გასავალი კი ისევ ისეთი იყო — უნდა ეზრუნა კარგად ჩაცმა-დახურვაზე, თორემ სასტუმროს პატრონი გაუჯავრდებოდა. სუფთად და მოდურად ჩაცმა კი კარგა ძალი ფული ღირდა. აუარებელი თეთრეული სჭირდებოდა! ახლა ფენსაცმელი — ამ იატაკებზე ფენსაცმელს ორიოდ დღეში უცვდებოდა ლანჩები, არადა, სულმუდამ ბეწიანად უნდა სცმოდათ. ჰო, ამას დაუმატეთ ბინის ქირა და კვების ფული.

სწორედ ამ დროს გაიცნო სთელა, ეს მოხდა ევრიანში, სადაც კატასტროფული სეზონი დაუდგათ. სთელა ავსტრალიიდან ჩამოსულიყო და აქ ცურვის გაკვეთილებს აწლევდა. გარდა ამისა, მშვენიერად იყო დაუფლებული წყალში ხტომას და დილდილობითა და ნაშუადღევს მაყურებლის წინაშე წარმოდგენებს მართავდა, საღამოობით კი ოტელში ცეკვავდა. რესტორანში ისინი ყველასგან მოშორებით შემოუსხდებოდნენ ხოლმე განცალკევებულ მაგიდას და როცა ორკესტრი დაკვრას იწყებდა, გამოდიოდნენ საცეკვაოდ, რომ საზოგადოება თავისი მაგალითით აეყოლიებინათ. ხშირად ბევრს ვერავის აცდუნებდნენ და მარტონი ცეკვავდნენ, არც სთელას და არც სიღს ფულიან პარტნი-

ორებში ბედი არ სწყალობდათ. მალე მათ ერთმანეთი შეუყვარდნენ და სეზონის ბოლოს დაქორწინდნენ კიდევ.

ეს ნაბიჯი არასოდეს უნანიათ, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება იწვრდით არ ჰქონიათ მოფენილი, უჭირდათ. საქმის გამოქვეყნების ამბავი დამალეს (ხანში შესულ ქალბატონებს მაინცდამაინც როდი მოსწონდათ ცოლიან კაცთან ცეკვა, თანაც მისი მეორე ნახევრის თანდასწრებით). მაგრამ ოტელეებში მაინც ვერ მოულობდნენ ორივესთვის სამუშაოს. მარტო სიდი კი, ღარიბულად რომ ერჩინათ თავი, ორივეს შესანახ ფულს მაინც ვერ გამოიმუშავებდა. მოცეკვავეებს ძალზე ცუდი დრო დაუდგათ. ისინი პარიზს გაემგზავრნენ, სადაც საცეკვაო ნომერი მოამზადეს, მაგრამ იქ სასწაულ კონკურსებში მოხვდნენ და მოცეკვავე წყვილისათვის ანგაჟემენტის მიღება თითქმის წარმოუდგებელი აღმოჩნდა. სთელა გაწაფული იყო სამეჯლისო ცეკვებში, მაგრამ იმ დროს აკრობატიკა უფრო იყო მოდაში. რამდენს არ ეცადნენ, სთელამ განსაცვიფრებელი მაინც ვერაფერი გააკეთა. აპაჩების ცეკვა კი თითქმის ყველას მობეზრდა. მთელი კვირაობით უმუშევრად ისხდნენ. სიდის მაჯის საათი, ოქროს პორტსიგარი, პლატინის ბეჭედი — ყველაფერი დააგირავეს. ბოლოს ნიცაში ამოყვეს თავი. ამ დროს ისინი უკვე იქამდე იყვნენ მისულნი, რომ იძულებულნი გახდნენ სიდის გამოსასვლელი კოსტიუმიც კი დაეგირავებინათ. ეს უკვე კატასტროფა იყო. მეტი გზა აღარ ჰქონდათ, მონაწილეობა უნდა მიეღოთ მარათონში, რომელიც ერთმა ფრანგმა ანტრეპრენიორმა მოაწყობდა. დღე-ღამეში ოცდაოთხ საათს ცეკვავდნენ, საათში ერთხელ თხუთმეტწუთიანი შესვენებით. ეს ნამდვილი სატანჯველი იყო. ფეხები სტკიოდათ, ტერფები ლაძის უშეშდებოდათ. ზოგჯერ, რასაც აკეთებდნენ, იმის შეგრძნების უნარსაც კარგავდნენ. უბრალოდ, მელოდიას აყოლილნი მოძრაობდნენ. თან ცდილობდნენ თავი რაც შეიძლება მეტად დაეზოგათ.

ამ გზი ცოტაოდენი ფული მოაგროვეს. მაყურებელი ხან ას, ხან ორას ფრანკსაც კი აძლევდა გასამხნევებლად. ზოგჯერ დამსწრეთა ყურადღება რომ მიექციათ, გამოცოცხლდებოდნენ ხოლმე და უჩვენებდნენ საკუთარ ხელოვნებას. თუ მაყურებელი კეთილგანწყობით შეხვდებოდათ, შეიძლებოდა კარგა ბლომად ფული მიეღოთ. დალლით კი ძალზე იღლებოდნენ. სთელას მეთერთმეტე დღეს გული წაუვიდა და იძულებული გახდა თავი დაენებებინა ამ საქმისათვის. სიდმა მარტო განაგრძო ცეკვა. მოძრაობდა და მოძრაობდა გაუჩერებლივ, გროტესკულად, უწყვილოდ. მათ ცხოვრებაში ეს ყველაზე მძიმე დრო იყო. ეს იყო სრული დაცემა, რამაც საშინელი, დამამცირებელი გრძნობა დაუტოვა ორივეს. ჰოდა, სწორედ მაშინ ეწვია სიდს შთაგონება. საცეკვაო დარბაზში, წრეში მარტოდმარტო დააბიჯებდა. გაახსენდა სთელას ნათქვამი, რომ დამჭირდეს, ლამბაქშიც კი შევძლებ ჩაყვინთვასო. ამ საქმეში მხოლოდ სიმარჯვე იყო მთავარი.

— საოცარია პირდაპირ, როგორ მოგვდის თავში აზრები, — ამბობდა ის შემდგომ, — სწორედ ცაზე გაელვებასავით არის.

უცებ გაახსენდა, ერთხელ ვიღაც ბიჭუნამ მის თვალწინ ქვაფენილზე დაღვრილ ბენზინს წაუვიდა ცეცხლი. ალის წითელი ენები უეცრად ავარდა ცაში. სწორედ ეს ცეცხლის ალი იყო მათ ნომერში და სთელას ეფექტური ნახტომი, მაყურებლის ყურადღება რომ დაიპყრო. სიდი ისე აღელდა, რომ მაშინვე თავი მიანება ცეკვას. იგი მოელაპარაკა სთელას და ქალიც მოხიბლა.

მისმა ჩანაფიქრმა, სიღმა ერთ-ერთ თავის ნაცნობს მისწერა წერილი, სიღი ყველას უყვარდა, საკმაოდ სიმბათიური ყმაწვილი გახლდათ. აგენტმა ჩანაფიქრისთვის ფული გამოუგზავნა. პარიზის ცირკში ანგაჟემენტის მოუხერხება, სადაც მათმა ნომერმა მოწონება დაიმსახურა. საქმეს კარგი პირები მოწვევას მოწვევაზე იღებდნენ. სიღი თავითფენამდე ახლებში გამოეწყო, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მაშინ გაუმართლათ, როცა ზღვის სანაპიროზე, საზაფხულო კაზინოში მოეწყვნენ. სიღი სრულიადაც არ აჭარბებდა, როცა ამბობდა, სთელამ ზღაპრულ წარმატებას მიაღწიათ.

— ჩვენი გაჭირვება წარსულს ჩაბარდა, ჩემო ბებრუცუნა, — ალერსიანად ეუბნებოდა ცოლს, — ახლა შავი დღისთვისაც შეგვიძლია ცოტაოდენი თანხის გადაღება. როცა ჩვენი ნომერი მოსწყინდება მაყურებელს, მეც ავდგები და ახალ რამეს მოვიგონებ.

და აი, ახლა, როცა წარმატების მწვერვალს მიაღწიეს, სთელას ყველაფრისთვის თავის დანებება უნდოდა. სიღმა აღარ იცოდა, რა ეთქვა ცოლისთვის. მის ტანჯვას რომ უყურებდა, გული ეკუმშებოდა. ახლა გაცილებით უფრო უყვარდა სთელა, ვიდრე მაშინ, როცა ცოლად შეირთო. უყვარდა ყველაფრისთვის, რაც ერთად გადაიტანეს. ერთხელ მთელი ხუთი დღის განმავლობაში ერთ ნატეხ პურსა და ჭიქა რძეზე ისხდნენ. სწორედ იმიტომაც უყვარდა, რომ ამ გაჭირვებიდან სწორედ სთელამ გამოიყვანა. ახლა მას ჰქონდა კარგი ნივთები და საქმელი სამჯერ დღეში. სიღი ვეღარ უყურებდა ცოლს თვალებში, აღარ შეეიღო მისი ტანჯვის ატანა. ქალმა მორცხვად შეახო ხელზე ხელი. სიღმა ღრმად ამოიოხრა.

— შემოგვევლე, ხომ იცი, რასაც ნიშნავს ეს ჩვენთვის. სასტუმროებთან ყოველგვარი კავშირი გავწყვიტეთ, უწინდელ ცხოვრებასაც წერტილი დავუსვით. იქ თუ სამუშაო გამოჩნდა რამე, ჩვენზე ახალგაზრდებს ერგებათ. შენც ხომ კარგად იცი, რაც უნდათ ხანში შესულ ქალებს — ყველაფერს ბიჭუკალები ურჩევნიათ, მე კი არც სიმალღე მიწყობს ხელს. სანამ ყმაწვილი ვიყავი, ამას არც ჩემთვის ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ ახლა ამას იქნება იმაზე ფიქრი, თითქოს ოცდაათი წელი არ მეტყობოდეს.

— იქნებ კინოფილმში გადაღება გვეცადა?

სიღმა მხრები აიჩეჩა. ერთხელ უკვე სცადეს, მაშინ, როცა ყველაზე ცუდად ჰქონდათ საქმე.

— რაც გინდა იმას გავაკეთებ, თუნდაც მაღაზიაში წავალ გამყიდველად.

— შენა გგონია, სამუშაო თავსაყრელადაა და მხოლოდ მსურველს ელოდება?

სთელა ისევ ატირდა.

— ნუ ტირი, საყვარელო, თორემ სადაცაა გული გამისკდება.

— ცოტა ფულიც ზომ გვაქვს გადაღებული.

— ჰო, რა თქმა უნდა, ექვსი თვის სამყოფი კი იქნება. მერე ისევ ვიშიმშილებთ. ჯერ ათას წვრილმანს დავაგირავებთ, მერე ტანსაცმელს მივყოფთ ხელს, როგორც ამასწინათ ვქენით. შემდეგ ისევ ცეკვები დაიწყება საზიზღარ სასაუზმეებში უფასო სადილისა და ღამეში ორმოცდაათი ფრანკისათვის, მთელი კვირები უმუშევრობა და მარათონი მუდამ, როცა კი გამოცხადდება, მაგრამ განა ეს კი დიდხანს დააინტერესებს მაყურებელს?

— სიდ, ვიცი, შენ ჭიჭირობ, რომ ჩემი მხრივ ეს ნამდვილი უგუნურებაა. სიდი შემობრუნდა და შეხედა ცოლს, ქალს თვალებში ისევ ცრემლები ჩასდგომოდა. სიდიმა თავისი მომხიბლავი ალერსიანი ღიმილი შეაგება.

— არა გრცხვენია, შემოგვევლე. მე ხომ მხოლოდ შენი შეხედვებით ვარ მი-
და. შენ მეტი ვინა მყავს ქვეყანაზე, სიცოცხლეს მირჩევნისა, გუნსაცხლუ?

სიდიმა ხელი მოხვია ცოლს და გულში ჩაიკრა. იგი გრძნობდა მის გულის-
ძგერას. რა გაეწყობა. რადგან სთელას აღარ შეუძლია... მართლაცდა რომ რა-
იმე დაემართოს გადმოხტომისას? არა, არა, უმჯობესია ყველაფერს თავი და-
ანებონ. ჭირსაც წაუღია ფული. ქალი ოდნავ შეირხა.

— რა იყო, გენაცვალე?

ქალმა თავი გაითავისუფლა და წამოდგა. ტუალეტის მაგიდასთან მი-
ვიდა.

— მგონი, უკვე ჩემი გამოსვლის დროა.

კაცი უმაღ წამოხტა.

— დღეს შენ არ გადმოხტები!

— დღესაც გადმოხტები და ყოველდღე, სანამ არაფერი მომივა. აბა, მეტი რა გზა მაქვს? სიდ, შენ მართალი ხარ, მესმის. აღარ შემიძლია იმ აყ-
როლებულ საზიზღარ ოთახებში დაბრუნება. ველარც შიმშილს ავიტან ალბათ.
ოჰ, ეს მართონი! ნეტავი არ გამახსენა. არაქათგამოცლილი და ჭუჭყიანი
მთელი დღე მოძრაობ, მოძრაობ და ბოლოს მაინც იძულებული ხარ, თავი და-
ანებო, იმიტომ, რომ ვერავითარი ადამიანური ძალა და ენერგია ამას ვერ გა-
უძლებს. ვეცდები... ერთ თვეს კიდევ გავიჭირებ. მაშინ საკმარისი ფული
გვექნება, სანამ შენ რაიმე სამუშაოს იშოვი.

— არა, ძვირფასო, მე ასე არ შემიძლია. მოვეშვით ყველაფერს, რო-
გორმე გავიტანო თავს. ჩვენ აღრეც გვიშიმშილია და არ გვიხამებს.

სთელამ ტანსაცმელი გადაიძრო, ერთ წამს წინდებისამარა იდგა და სარ-
კეში იყურებოდა. მერე შეუბრალებლად გაუღიმა თავის გამოსახულებას.

— აბა მაყურებელს იმედებს ხომ ვერ გავუცრუებ, — მწარედ ჩაიციინა
მან.





თარგმნა ავთანდილ ჯოსაძემ

„სიცოცხლით საგსე სიცოცხლე“ კრიტიკულ-ფილოსოფიური ეანრის ერთი ბრწყინვალე წიგნთაგანია. ვერესაევი მას თავის საუკეთესო ნაწარმოებად მიიჩნევდა. დასკვნებისათვის მასალებს მკვლევარი დოსტოევსკის, ლეე ტოლსტოის, ჰომეროსის, ელინური ტრაგედიების და ფრ. ნიცშეს შემოქმედებაში პოულობს.

თარგმანში გამოყენებული ციტატები ამოღებულია შემდეგი ქართული გამოცემებიდან:

- 1. ფ. დოსტოევსკი — „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“. თბ. 1960. (თარგმნა ნ. ქუჩუკიშვილმა).
- 2. ფ. დოსტოევსკი — „იდიოტი“. თბ. 1965 (თარგმნა რ. ქებულაძემ).

3. ფ. დოსტოევსკი — „ეშმაკები“. თბ. 1967 (თარგმნა რ. ქებულაძემ).

4. ფ. დოსტოევსკი — „ყმაწვილი“. თბ. 1968 (თარგმნა ც. ჩხეიძემ).

5. ფ. დოსტოევსკი — „სათნო ქალი“. „საუნჯე“ — 3. 1977 (თარგმნა რ. ქებულაძემ).

6. ფ. დოსტოევსკი — „სასაცილო კაცის სიზმარი“. „საუნჯე“ — 2. 1981 (თარგმნა გ. ციციშვილმა).

7. ფ. დოსტოევსკი — „მოთამაშე“. თბ. 1984 (თარგმნა რ. ქებულაძემ).

8. ფ. დოსტოევსკი — „ბობოკი“. „საუნჯე“ 4. 1984 (თარგმნა გ. კაკაბაძემ).

ციტირებული ლექსები თარგმნილია პწკარედულად.

პარი პირველი

ადამიანი არის ბედარული

(დოსტოევსკის შესახებ)

„არა, ეს მხოლოდ და მხოლოდ დაცინვა, მხოლოდ და მხოლოდ ავი დაცინვა, გახლავთ ბედისა და ბუნებისა, ჩვენ დაწყევლილები ვართ, ადამიანის ცხოვრება დაწყევლილია აწ და მარადის!.. ნუ შეშინდები, ადამიანო, იყავ ამაყი! შენ არა ხარ დამნაშავე!“

(„სათნო ქალი“)

I

„უველა მკვდარია, ირგვლივ დუმილი გაგიფიგულა“

ბისლიანი, ცრიატი დღეები, ქუჩებში ტენკუო, ცა ავად მოქუფრულა, უინუღლავს, ტყაპ თოვლსაც ურევს, კუნაპეტ ღამეში ქარი ზუზუნებს, — ზაფხულობით მზეც გამოანათებს ხოლმე და გარშემო უველაფერს ოხშივარი ასდის, ქალაქში შმორისა და კირის სუნი ტრიალებს... აი, ამნაირ გარემოში ცხოვრობენ დოსტოევსკის

გმირები. მერე რა საოცარი ოსტატობით აგვიწერს იგი ამ გარემოს.

„გიყვართ ქუჩის სიმღერა? — კითხულობს რასკოლნიკოვი. — მე მიყვარს, არღანზე რომ მღერიან შემოდგომის ჩაბნელებულ, ცივ, ნესტიან საღამოებში, უსათუოდ ნესტიან საღამოებში, როცა გამვლელ-გამომვლელს სახე სიცივით ჩატეტკვია; ანდა იმას რა სჯობია, როცა

ქუაბი თოვლი ცვივა მთლად შევუღლად, უქარო ამინდში, იცით? — ფანტელის კორიანტელში გაზის ფარნები ლიცილიცობს“...

დოსტოვესკისთან მუდამ ასეა. მაქლაქუნასავით გვაწივს გულზე მისი ნისლიანი დღეები, მოქურუბებული ცა და გაუთავებელი თქორი, სულში მარტოობის შავი ნაღველი იღვრება და დოსტოვესკივით ჩვენც ამ კერძის თავისებური, ავადმყოფური სიუვარული გვეძალდება.

მწერლის გულში მარადიული, შავბნელი შემოდგომაა. ათასში ერთხელ თუ გაიხსენებს იგი, რომ ქვეყანას ცხრათვალა მზე, ლაჟვარდი ცა და მწუბრის მქრქალი ათინათიც ამშვენებს და... გული ტკივილით შემკუმშება, რადგან იცის, — ეს უველაფერი უსაშველოდ შორს არის მისგან. მოგონებები ისეთი ფერმკრთალი და უსიცოცხლოა, თითქოს მწერალი დაორთქლილი ფანქრებიდან უმწერდეს მათ. იშვიათად თუ გაკრთება მის მებსიერებაში ნათელი სურათის ნაგლეჯი: „ფოთოლი ხასხასა მწვანეა, ძარღვიანი, ზედ მზე დაკაშკაშებს“ — და მყის შორეულსა და მიუწვდომელზე დარდი გულს დაუსერავს.

საოცარია სწორედ, როგორც კი დოსტოვესკი მოწეიმე და თვალწარმტაცი ბუნების აღწერას დააპირებს, ეს სასწაულმოქმედი მწერალი ისე გაუფასურდება, რომ ვეღარც კი იცნობთ. თვითმკვლელობამდე სვიდრიგაილოვი პეტერბურგის მხარეში, ერთ უქუიან ოთახში ათევდა თავის ცხოვრების უკანასკნელ ღამეს. ნესტია, ცვივა, ქარი შხეფებს ფანქარას ახლის... სამუდამოდ ჩაგვრჩება ხულში შემოდგომის ამ გულგამყინავ, ავდრიან ღამეში ეულად დარჩენილი კაცის სასოწარკვეთილების შემწარავი სურათი. და აი, სვიდრიგაილოვი ნიშმარს ხედავს:

„თვალწინ წარმტაცი, აუვავებული პეიზაჟი გადაეშალა. მზიანი, თბილი დარი იდგა, ღამის ცხელოდა; ზეიმის დღე იყო, სამების დღესასწაული, ჩინებულ, მდიდრულად მორთულ ინგლისური უაიდის სოფლურ კოტეჯს გარს სურნელოვანი უვავილნარის კვლები ერტყა: ხვიარებით მოჩითული ფანჩატური ვარდებით გაეჭედათ, გრილ, ნათელ კიბეზე მდიდრული ხალიჩა ეფინა, აქეთ-იქით ჩინურ ქოთნებში ჩარგული იშვიათი უვავილები გაეუოლებინათ“... და ა. შ.

რა არის ეს? ნუთუ ესეც დოსტოვესკის დაწერილია? ეს ხომ ვიღაც ქალბატონის შეთხზული ბანალურზე ბანალური ინგლისური რომანის დასაწყისის წავიკითხეთ? აი, ახლა კეთილშობილი ართური ამოვა კიბეზე და მოხდენილად დაუკრავს თავს მშვენიერ მერის.

ვერსილოვის სიშმარი:

„ლაჟვარდისფერი, მოალერსე ტალღები, კუნძულები და სალი კლდეები, აუვავებული სანაპირო, შორეული, ჩადოსნური პანორამა — ენა ვერ იტყვის, რა სანახაობა იყო... რა მშვენიერი ადამიანებუკუნდნენ, ისინი იღვიძებდნენ და იძინებდნენ მხეცტორნი და უცოდველნი. ველებსა და ქალებში გაისმოდა მათი სიმღერები და მხიარული უიჟინა. მზე შემხაროდა თავის მშვენიერ შვილებსა და აფრქვევდა მათ სითბოსა და სინათლეს!“

უხერხულიც კია ბუნების ეს წყალწყალა აღწერები ტოლსტოის ან ტურგენივისეულ სურათებს შევეუდაროთ. აი, ტოლსტოის სახელდახელოდ შეთხზული პირადი წერილის ორიოდ პწკარი: „გერმანული ნიშუშებიდან გადმოღებულ ჩვენს თარგმანებში ჰომეროსი მხოლოდ გაყალბდა. ჩემდა უნებურად, ერთი უხვირო შედარება მომაფიქრდა: სად გამოხდელი წააღლი და სად წუბარსთვალნი, — კბილებს რომ დაბაძრობს ისეთი, — პამაპა, მზისნათება, ცოტა სილიანი, რითაც უფრო წმინდა და ჯანსაღი გამხდარა მხლოდ“. კაცს გულში ნათელს ჩაუყენებს ეს ვითომ „უხვირო“ ორიოდ პწკარი, ხოლო „წარმტაც პეიზაჟებს“, „ჩადოსნურ პანორამებს“ და „მოალერსე ტალღებს“ აბა რა გრძნობის გაღვივება შეუძლია?

დოსტოვესკის ლექსიკონი საოცრად მდიდარია, მაგრამ მოწეიმე ბუნების აღწერისას მას თითქოს სიტყვა შემოაკლდება ხოლმე: თუ „წარმტაცი პეიზაჟები“, თუ „ჩადოსნური პანორამები“ და „მოალერსე ტალღები“ ან სულაც — ციტატები!

დიდი ინკვიზიტორის ლეგენდა: „დადგა ბნელი, სიცხიანი „სინცოცხლო ღამე სივილიისა“, გარშემო „დაფნის და ლიმონის ხურნელი იფრქვევა“... „იდიოტის“ გმირი, უმაწვილი იპოლიტი ამბობს: „როგორც კი მზე გამოჩნდება და ცაზე „ამღერდება“, მაშინ ჩვენც დავწვებით და დავიძინებთ. (ვის ლექსშია: „ცაზე ამღერდა მზეო“, უაზრობაა, მაგრამ კარგი კია!)“ და იპოლიტი რამდენჯერმე იმეორებს ამ გამოთქმას: „როცა მზე ამოვა და ცაზე „ამღერდება““.

მაგრამ შეაბიჯებს თუ არა დოსტოვესკი წყვედიადის, ნისლებისა და წვიმების საუფლოში, აქამდე უცხო და გადამთიელი კაცი, მყის ძლევამოსილ მბრძანებლად იქცევა. აქ მის უოველ სიტყვას თვითმყოფადობის ბეჭედი აწის, — უოველი სიტყვა ძალმოსილად უღერს. აქ მწერალს აღარც „პეიზაჟები“ სჭირდება, აღარც „პანორამები“ და აღარც ციტატები.

დოსტოვესკის სულ სხვადასხვა ჯურის გმირებს ღალი და მოწეიმე ბუნების ცქერისას გარიუულობის რაღაც უცნაური, თვითონ მათთვისაც გაუგებარი განცდა უჩნდებათ.

რასკოლნიკოვი ნიკოლოზის ხიდზე შეჩერდა, „ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც კი არსად ჩანდა, ნევაც ლაქვარდისურად ლიცლიცებდა, რაც იშვიათია ხოლმე, ამ წუთში რასკოლნიკოვს ერთი აბეზარი და გაურკვეველი ფიქრი აწვალებდა. სხვა დროსაც ათასჯერ მდგარა ამავე ადგილას, ამ მართლაც დიდებული პანორამისთვის თვალი ვერ მოუწყვეტია და მისდა გასაოცრად, ყოველთვის ერთი ბუნდოვანი და გაურკვეველი განცდა დაუფლებია. ამ დიდებული პანორამის ცხარისას სისხლი უცივდებოდა, ურუ და მიუხაზარი ეჩვენებოდა ბუნების ეს მშვენიერი სურათი... სულ უკვირდა, ეს პირქუში, იდუმალი განცდა რად მეძალეზაო“.

ნიჰილისტი ქაბუკი იპოლიტი („იდიოტის“ გმირი) თავის აღსარებაში წერს:

„რა ჯანაბად მინდა ეგ თქვენი ბუნება, ეგ აინი თუ დაინი, ეგ თქვენი ცა, როცა სიცოცხლის ამ უსასრულო ნადიმმა მარტო მე მიმიჩნია ზედმეტად? რა შავ ქვად მინდა ეგ სილამაზე, როცა ყოველ წუთსა თუ ყოველ წამს უნდა ვიცოდე და იძულებული ვარ ვიცოდე, რომ აგერ ეს პაწაწკინტელა ბუზიც კი, რომელიც მზის სხივში დაბზუის, ისიც კი ამ ნადიმის და ქოროს მონაწილეა, იცის თავისი ადგილი, უყვარს და ბედნიერია, მარტო მე ვარ მოწყვეტილი, უდღეური ნაყოფი და მხოლოდ სულმოკლეობა მახუჭინებდა ამაზე თვალს!“

თავად იშვინი დილაადრიან პარკში სეირნობს და იპოლიტის ჩანაწერს იხსენებს: „ერთი დიდი ხნის დავიწყებული მოგონება აღეძრა და ყველაფერი გაუნათა. ეს მოხდა შვეიცარიაში. მკურნალობის პირველ წელს. ერთხელ მთებში წავიდა, კაშკაშა, მზიანი დღე იდგა. დიდხანს იბორიალა იქ, რაღაც ფიქრი სტანჯავდა, მაგრამ ხორცი ვერ შეესხა მისთვის. ზემოთ ცა კაშკაშებდა, ძირს ტბა გამოჩნდა, გარშემო ნათელი, უკიდვგანო ცის კიდური გადაჭიმულიყო. დიდხანს უცქერდა და იტანჯებოდა. ახლა მოაგონდა, როგორ იწვდიდა ხელებს ამ კაშკაშა უსასრულო ცისკენ და ტირიდა. ტანჯავდა ფიქრი, რომ ის აქ ყოველივე ამისათვის უცნოა. რა ნადიმია ასეთი, რა ღრეობაა გაუთავებელი, რომელიც დიდი ხანია იზიდავს, იზიდავს ბავშვობიდან მოყოლებული და მაინც ვერა და ვერ ეზიარა. ყოველ ცისმარე დღე ამოდის ეს ბრწყინვალე მზე, ყოველ ცისმარე დღე ჩანჩქერზე ლივლივებს ცისარტყელა, ყოველი „პაწაწკინტელა ბუზი, რომელიც მზის სხივში დაბზუის, ისიც კი ამ ნადიმის და ქოროს მონაწილეა, იცის თავისი ადგილი, უყვარს იგი და ბედნიერია“... ყოველი ბაღახი იზრდება და ბედნიერია! ყველას თავისი გზა აქვს, ყველამ იცის თავისი სავალი, სიმღერით მიდი-მოდის.

მარტო მან არ იცის არაფერი, არაფერი ესმის არც ხალხისა და არც ხმებისა, ყველასათვის უცხოა, მოწყვეტილი, უდღეური ნაყოფია. ო, რა თქმა უნდა, მაშინ ამ სიტუაციაში ვერ იტყოდა და ამ კითხვას ვერ გამოთქვამდა: „იტანჯებოდა ურუდ, უენოდ; მაგრამ იმდენად გონა, რომ მაშინაც ამას ამბობდა.“

ადამიანს ცოცხალი ბუნება ეუცხოება, ბუნების იდუმალებით აღსავსე სიცოცხლე „ურუ და მიუსაფარი“ ეჩვენება; ადამიანს ცხოველებზეც გული აცრუებია, — სიახლოვეს არ იკარებს მათ; არც მის ძლიერ და გამოუცნობ სულს და არც მის გონებას — ანუ სიცოცხლის შემშეცნებელ უნარს — არ ძალუძს მასთან მიახლოება. იშვიათად, საოცრად იშვიათად თუ გაიჭაჭანებს დოსტოვესკის გმირების სიახლოვეს ესა თუ ის ცხოველი და, ღმერთო მაღალო, — რანაირი ცხოველი! დასახიჩრებული, გაღაბული და უპატრონო, იმავე სევდით შეპურობილი, რომლითაც სავსეა ბუნება.

ერთი მოცუცქნული, აქოთებული სამიკიტნო პეტერბურგის მხარეში: „ხრაკის სუნი იდგა, კაცს გული აერეოდა. თავზემოთ, გალიაში გაფხორილი და გაცხვირული ბულბული იჭდა და ფხერზე რაღაცას კენკავდა“ („უმაწვილი“).

ძალდი აზორკა „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“: „ბაღახი თითქმის სულ გასცვენოდა და აღარც ჭოხივით გაფშეკილ, მუდამ ამოძუებულ კუღზე უჩანდა; გრძელყურა თავი ნავსად ჩაეკიდა, ჩემს სიცოცხლეში არ მენახა ამისთანა მურღალი ძალდი. გეგონებოდათ, ეს ორი არსება მთელი დღე მკვდრები არიან და, მზე ჩავა თუ არა, უცებ ცოცხლდებიანო“.

პერეზვონი „ძმებ კარამაზოვებში“: „გრძელბეწვა, ქეციანი, კარგა დიდი ტანის ძალდი... მარჯვენა თვალი ბრუტიანი ჰქონდა, მარცხენა ყური კი რატომღაც — გაჭრილი. ძალდი წამუტუნებდა და ცქმუტავდა, კუღზე უუნცდებოდა, მერე ალაზე ქდებოდა, გულაღმაც წვებოდა, თათებს პლაკავდა და თავს იმკვდარუნებდა... კოლიამ პერეზვონს თავი მოამკვდარუნებინა, ერთხანს აცადა, ბოლოს დაუსტვინა. ძალდი წამოხტა და აცუნდრუქდა, — უხაროდა, აქაოდა ბრძანება შევასრულეო“.

„ეშმაკებში“ ერთი წამით გამოჩნდება „ბებერი, საძაგელი, გაღეული ფინია ზემირკა“, ხოლო „ორეულში“ — ქუჩის ერთი ქეციანი გოშია. აი, თითქმის ყველა ის ცხოველი, რომელსაც შეიძლება დოსტოვესკის წმინდა მხატვრულ ქმნილებებში წააწყდეს კაცი.

მართალია, „ნეტორკა ნეზვანოვაში“ უაღრესად მძვინვარე და თან უაღრესად გონიერი ბულდოგი ფალსტაფიც გვხვდება, ხოლო „პატა-

რა გმირში". — ასევე მძვინვარე და ოჩანი ცხენი ტანკრელი (რომელიც თურმე იმდენსაც ხვდება, რომ ძირს არ უნდა ჩამოაგდოს თერთმეტი წლის ბიჭუნა, ზედ გაჭირვებით რომ შებობღებია). მაგრამ დოსტოვესკის ამ ადრეულ ნაწარმოებებში არივე ეს ცხოველი ისე აშკარა გამოჩნდება, ისე ძალიან ხელოვნური და უსიკოცხლოა, რომ მათ სათვალავში ვერ ჩავადებთ. ასეთი ძაღლების და ცხენების ხატვა თავის დღეში ძაღლის და ცხენის უნაბავადაც შეიძლება. საამისოდ ოცდაათიანი წლების რამდენიმე ფრანგული რომანის წაკითხვაც იკმარებდა.

დოსტოვესკის გმირების გარშემო თითქმის ვერ ვნახავთ უმალღესი ჭიშის ცხოველებს. სამაგიეროდ ბლომად შეგვხვდება უოველი ჭურის ქვეწარმავალი და მუცლითმხოზავი — უვლაზე დიხმარმონიული, უვლაზე თავწარდამცემი და ზიზღისმომგვრელი არსებები: ღრიანკალები, მორიელეები, ხაბაკუტები და ობობები, — ურცხვი ობობები. ესენი დოსტოვესკის თითქმის უოველ გმირს წამლაუწუმ ეშმანებიან და ელანდებიან. ბუნებაში გამეფებული სიცივის, წყვილიაღისა და ნისლეებისა არ იყოს, მაჭლაჭუნების ეს მოდგმაც ადამიანის სულში მიღლავს, რათა ნათელ ქვეყანას განაშოროს და სიცოცხლის საუფლოდან გამოაძეოს იგი.

ან კაცის სულში უოველივე მიმკვდარებულა. სიცოცხლის ცხელი გულისძგერის ხანაცვლოდ გარშემო გულგამყინავი სიცარიელე, „უილაჭობა, და უნიათობა“ გამეფებულა.

„ჰოი უნიათობავი ჰოი ბუნებავი მარტოდმარტო ვართ სუუველანი ამ ქვეყანაზე — ესაა ჩვენი უბედურება! „არის კი ველად კაცი ცოცხალი?“ — კიჟინებს რუსი დევგმირი. დევგმირი არა ვარ და შეცვკიჟინებ, მაგრამ არავინ მეხმინება. ამბობენ, შჭით უდგას სული ამ სამყაროსო. მაგრამ შეხედეთ შჭეს. განა ისიც მკვდარი არაა? უველა მკვდარია, უველგან მხოლოდ მკვდრები არიან, მხოლოდ ადამიანები და ორგვლივ დუმილი — ესაა თქვენი დედამიწა!“ („სათნო ქალი“).

II

„Catana cum et nihil humanum a me alienum puto“.

ადამიანი თვითონაც ობობას დამსგავსებია, ბნელ კუთხეში განმარტოებულა და იქედან შეჭურებს წუთისოფელს.

გავიხსენოთ დოსტოვესკის მცირე მოთხრობები. საფუძველი უველა მათგანს ერთი აქვს: პირქუმ, უკაცრიელ უდაბნოში, პეტერბურგი რომ ჰქვია, თავის ბნელ სენაკში მიუსაფარი და მარტოსული ადამიანი შეუუფულა და საკუთარ თავზე დაფიქრებული, ფანტასტიკური, თავის ნაქუქში გამოკეტილი. ცხოვრებით ცხოვრობს.

„ბინდი წვებოდა, ცრიდა. ორდინოვს ბევ-

რი არ უძებნია, პირველივე კუთხე იქირავა და ერთ საათში გადაბარგდა. იქ, თრუქოს მონახტერში ჩაიკეტაო, განდევნილი ცხოვრობდა; ორ წელიწადში მთლად ტყიურს დაემსგავსა“ („დიასახლისი“).

ეროვნული

„ბედშავი ცხოვრება მქონდა მარტოობამ და მადგლანაკა. ჩემი ბინა იყო ნაქუქი, სორო, რომელშიც თავს ვაფარებდი, კაცთა მოდგმას ვემაღლებოდი!“ („ბარათები დარანიდან“).

და ასეა ლამის უოველ მოთხრობაში... ახლა დიდი რომანები და ის გმირებიც ვნახოთ, რომლებიც დოსტოვესკისთან სულიერად უველაზე ახლოს დგანან. „უნივერსიტეტში რასკოლნიკოვი თითქმის არავის არ ეამხანაგებოდა. თავი უველასაგან შორს ეჭირა, მონახულებით ხომ კაცი შევიღს არ მოინახულებდა და სტუმრის დახვედრაც უხალისო იცოდა. თუმცა მალე უველამ ზურგიც შეაქცია... რასკოლნიკოვი საბოლოოდ განუდგა უველას და კუსავით თავის ბაკანში შეიყუთა“. „მე ერთი გულჩათხრობილი, კარგამოხურული კაცი ვახლავართ, — ამბობს სვიდრიგაილოვი — მივედები ხოლმე ჩემთვის კუთხეში და ვარ. ზოგჯერ სამი დღე ისე გაივლის, — ერთ ხმას არ გავიღებ.“

უმაწვილი არკადი დოღგორუკი წერს: „არა, არ შეიძლება ადამიანებში ჩემი ცხოვრება! ორმოცი წლის სათქმელს წინასწარ ვამბობ, ჩემი იდეაა — „კუთხე... ჩემი იდეა ისაა, რომ თავი დამანებონ, მინდა მარტოკამ ვიცხოვრო...“ ვერსილოვი კი აი რას ეუბნება მას: „შენი არ იყოს, მეც არახოდეს მუვარებია ამხანაგები.“

„ეშმაკების“ გმირი კირილოვი „ადამიანებთან შეხვედრას ერიდება და სიტყვაძვირია“, თავის უბადრუკ ფლიგელში გამოკეტილია, ღამღამობით ბოლთასა სცემს. ჩაის ხმასა და ფიქრებში ათენებს. მარტოობაში გაატარა თავისი ბნელითმოცული ცხოვრება ნიკოლაი სტავროგინმა, ვერავინ შეიცნო მისი პიროვნება; განმარტოებით მიმჭდარი მამისეულ სახლში ივან კარამაზოვი და ფიქრს მისცემია.

ადამიანის სულმა სამყაროს იღუმალეებით აღსავსე და უოვლისმომცველ სიცოცხლესთან კავშირი გაწყვიტა: მას ველარც მეორე ადამიანთან, ანუ კაცობრიობასთან ბუნებრივი კავშირი შეუნარჩუნებია; უველაზე მეტად კი მარტოსულ ადამიანს იმის გაგება გასძნელებია, თუ რანაირად შეიძლება, მისი გულის პატარონს, ადამიანები უყვარდეს ან „რატომ უნდა იყოს მაინცადამაინც კეთილშობილი“.

„— რაში მენადვლება ის თქვენი მომავალი, როცა მხოლოდ ერთხელ ვცხოვრობ ამქვეყნად! — წამოიძახებს უმაწვილი არკადი დოღგორუ-

1 დარანი — სამალავი, სახლი მიწის ქვეშ ნაგები (საბა).

კი — რა შესაქმნება იმასთან, თუ რა მოუვა ათასი წლის მერე ამ თქვენს კაცობრიობას, თუძი მა ამის წილ არც სიძვარული მერბება, არც მომავალი ცხოვრება, არც ჩემი გმირობის აღიარება?..

ადამიანს ბუნებამ სიყვარულის ნიჭი არ დაამადლაო — წამდაუწუმ იმეორებენ დოსტოევსკის სულ სხვადასხვა გმირები.

„მე თუ მკითხავ — ამბობს ვერსილოვი — ადამიანი ისეა შექმნილი, რომ ფიზიკურად არც შეუძლია მოყვასის სიყვარული. „კაცობრიობის სიყვარულში“ უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ ის კაცობრიობა, რომელიც შენ თვითონ შექმენ საკუთარ სულში“.

ამასვე იმეორებენ ივან კარამაზოვი, ნახტასია ფილიპოვნა და სხვებიც. აკი დოსტოევსკი თავის პირითაც იგივეს გვაუწყებს, როცა „მწერლის დღიურში“ წერს: „კაცობრიობის სიყვარულის შესახებ უნდა განვაცხადო, რომ პდემიანური სულის უპდემიანის რწმენის ბარეში ის მთლად მოუწრებადი, გაუგებარი და უმოვლად შეუძლებელი რამ განსაზღვრის“ (ხაზგასმულია დოსტოევსკის მიერ).

მაგრამ თუკი ასეთი ხელშემწყობი პირობა არ არსებობს, თუკი ადამიანს უფლება აქვს ის აკეთოს, რაც ეპრიანება, მაშინ რომელ კაცობრიობის სიყვარულზე შეიძლება ლაპარაკი! მაშინ ხომ არანაირი უკეთურება და არა სიბილწე აღარ დარჩება, რომლისკენაც კი ადამიანს გული არ გაუწევს. უფრო მეტიც, სწორედ მხოლოდ უკეთურებისაკენ მხოლოდ სიბილწისაკენ გაუწევს კაცს გული.

ივან კარამაზოვი ამტკიცებს, რომ „უოველი პიროვნებისათვის, ვისაც ღმერთი და თავისი უკვდავება არა სწამს, ბუნების ზნეობრივი კანონი დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს და ძველის, რელიგიურის სრულიად საპირისპირო გახდეს. ამნაირ დღეში ჩაცვენილი ადამიანებისათვის ეგოიზმი, თუნდ ბოროტმოქმედებამდე მისული ეგოიზმი, თავის დაღწევის არამცთუ ნებადართულ, არამედ აუცილებელ, უველაზე გონივრულ და ლამის უველაზე კეთილშობილურ საშუალებად უნდა შეფრაცხოს“.

ასეთი ადამიანი მხოლოდ წმინდა გარეგნული ხასიათის მოსაზრებებით თუ შეიკავებს თავს — მაგ. საზოგადოებრივი აზრის შიშით და ა. შ. დოსტოევსკის განსაკუთრებით აინტერესებს ასეთი საკითხი:

„ვთქვათ, ერთ დროს მთვარეზე ცხოვრობდით და იქ ჩაიღინეთ ეს სასაცილო და საძაგელი რაღაც... მერე აქ ჩამოხვედით, მაგრამ დანამდვილებით იცით, ვიდრემდე მთვარე იარსებებს, უბად აიღებენ და ათასი წელი აფურთხებენ იმ მთვარეზე შენს სახელს. თუმცა თუკი აქ ხართ და მთვარეს აქედან უუურებთ, ნეტა რაში გე-

ნადვლებათ იქ რა ჩაიღინეთ, ანდა იქაურები თუ გაფურთხებენ?..“

ამას სტავროგინი ეკითხება კიროლოვს. ამასვე ეკითხება თავს „სასაცილო კაცის სიზმრის“ გმირი. ცხოვრება გვაძლავს უფრომანეთს ჩვენ-ჩვენი იღუმალი არჩი დავუწავლოთ და ნიადაგ ნიღბები ვატაროთ. მაგრამ ადამიანი ამ გულისგამაწყალებელი ნიღბის უეცარი ჩამოცილების და გაშიშვლების, უველაფრის გამოჩინების საამური ცთუნების წინაშე დამდგარა.

სასაფლაო სამარხებში წყალი ჩამუაუებულა, მიწიდან რაღაცნაირი დაგუბული ლაპარაკი მოისმის, — „თითქოს პირზე ბალიშები აფარიათო“, ეს მკვდრები საუბრობენ მიწაში.

„— ბატონებო, წინადადება შემომაქვს, სულ დავივიწყოთ სირცხვილი! — ოჰ, მოდიოთ, სულ დავივიწყოთ სირცხვილი! — გაისმა ერთბაშად მრავალი ხმა და, რაც უფრო საოცარი იყო, ახალგამოღვიძებულებმაც გამოიღეს თავი. განსაკუთრებული ხალისით ინტინერმა დაიბუხუნა, ხოლო ქალიშვილმა კატიშმა მხიარულად ჩაიკისკისა.

— ოჰ, როგორ მინდა არაფრის არა მრცხვენოდეხ! — წამოიძახა აედოტია იგნატიევნამ.

— სად გაგონილა ზემოთ იცხოვრო კაცმა და არ მოიტყუო. აქ კი ხეირისათვის მაინც არ მოვატყუებთ ერთმანეთს. მოდიოთ, ერთმანეთს ხმამაღლა ვუაშბოთ საკუთარი თავგადასავალი და არ შეგვრცხვეს! ზემოთ უოველივეს დამბალი თოკი აკავებდა. მოდა, მოდიოთ, უსირცხვილო სიმართლით ვიცხოვროთ ეს ორი თვე! მოდიოთ, გავშიშვლდეო!

— გავშიშვლდეო, გავშიშვლდეო! — გაისმა სხვადასხვა ხმა („ბობოკი“). მაგრამ ნიღბის ტარებაც თავისებურად საამურია. ეგ არის ოლონდ, რაც შეიძლება კეთილშობილური და ამალღებული სახის ნიღაბი უნდა შევარჩიოთ. ასეთ ნიღბოხნებს ადამიანები თვალ-წარბში შესციინებენ და აზრადაც არავის მოხდის, ნიღაბს მიღმა ავხული რომ იცინის და იღმიჭება.

თავადი-მამა „დამცირებულნი და შეურაცხუოფილნი“ ერთ უმშვენიერეს გრაფის ასულზე გვიამბობს, რომ ის თურმე უველახათვის მისაბაძი, მაღალი ზნეობის ქალი უოფილა — დიდ პატივსაც მიაგებდნენ თავისი უმწიკვლობისა და სიხატეკის გამო; ზნედაცემულ ადამიანებს იქ თურმე დაუნდობელი სისასტიკით ექცეოდა. „მერე? ამ მანდილოსანზე გარყვნილი ქალი ქვეუანაზე არ მოიპოვებოდა და მე მქონდა ბედნიერება დამემსახურებინა მიხი სრული ნდობა. ჩემი მანდილოსანი ესოდენ ავხორცი გახლდათ, რომ თვით მარკიზ დე სადსაც კი აჯობებდა ავხორცობაში. მაგრამ უველაზე ძლიერი, უველაზე საოცარი და თავბრუდამხვევი ამ სიტკბოებისა გახლავთ

მისი იდუმალება და თვალთმაქცობის უტიფრობა, — მახსრად აგდება ყოველივე იმისა, რასაც ვრადიონი ქადაგებდა საზოგადოებაში, ვითარცა მალაღს, მიუწვდომელსა და შეურყენელს; და ბოლოს — ეს შინაგანი ვერაგული დაცინვა და შეგნებულად გათელვა ყოველივე იმისა, რის გათელვაც არ შეიძლება — სწორედ ამაში იყო, რაც მთავარია, უველაზე ძლიერი თავისებურება ამ სიტკბოებისა. დიახ, ის თვით ხორცშესხმული ეშმაკი იყო, მაგრამ ვის არ მოხიბლავდა იგი“.

როცა ახლობელ ადამიანს თავს უბედურება დაატყდებოდა, იმწამსვე დაუოკებელი სიხარული აგვიფანტვალვებს გულს. — დოსტოევსკი ამას უკვე თავისი პირობით შეგვაგონებს, თანაც — ლამის ყოველ რომანში.

„როცა კაცს მოულოდნელი უბედურება ატყდება თავს, მაშინ სიბრაღისა და სრულიად გულწრფელი თანაგრძნობის მიუხედავად თვით უახლოეს ადამიანებშიც კი შინაგანი კმაყოფილების უცნაური განცდა შეინიშნება“ („დანაშაული და სასჯელი“). „კაცმა რომ თქვას, მოყვანის ყოველი უბედურება უცხო თვალს მუდამ რაღაცით ახარებს — თანაც ეს უველას ემართება, ვინც არ უნდა იყოს იგი“ („ეშმაკები“). „გულის ხიდრმემდე შემძრა მისმა ამბავმა, — იმდენადაც კი, რომ ის ჩვეულებრივი გრძნობა ერთგვარი კმაყოფილებისა, რომელსაც განიცდის ხოლმე ადამიანი სხვისი უბედურებისას, ესე იგი, როცა ვინმე ფებს მოიტებს, სახელი გაუტყდება, საუვარელი არსება დაედუპება და სხვ. — უღმდაბლური კმაყოფილების ეს ჩვეულებრივი გრძნობაც კი უკვალოდ გამიქრა და ადგილი დაუთმო მწუხარებას“ („უმაწვილი“).

მართლაც რომ პირწავარდნილი ეშმა ყოფილა ადამიანი. „Satana sum et nihil humanum a me alienum puto“, — განუცხადა ეშმამ ივან კარამაზოვს. სატანა ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არააო, ამბობს იგი ივანის რევმატიზმის შესახებ. მაგრამ განა მართორევმატიზმის შესახებ? — ადამიანში საერთოდ არაფერია ისეთი, ეშმას რომ ეუცხოვოს. „მე მგონი, — ამბობს ივანი, — თუ ეშმაკი არ არსებობს და, მაშახადამე, თუ იგი ადამიანმა გამოიგონა, მაშინ სწორედ რომ თავის ხატად და მსგავსად გამოუგონებია.“

ადამიანში მარმონიისადმი ინსტიქტური, დაუძლეველი სიძულვილი და ზიზღია ჩანერგილი, მას განადგურებისა და ქაოსისაკენ მიუწევს გული.

„მაგრამ სჯობია თაიგულზე ვილაპარაკოთ, — ამბობს ვერსილოვი, — ვერ გამიგია, რანაირად მოვიტანე ბოლომდე, რომ მოვდიოდი, სამქერ მაინც მინდოდა თოვლზე დამეგდო და ფეხით გა-

მესრიხა... საშინლად მომინდა, შემობრალე სონია, შემობრალე ჩემი საყოდავი თავი გასრესა კი იმიტომ მომინდა, რომ ძალიან ღამაზო/ უველილზე ღამაზი რა არის ამქვეყნად? მომაქვს ეს თაიგული, ირგვლივ კი თოვლი... (ქვემოთ) ნახვას ვამბობ: უბრალოდ უფროსი მისივესრიხა, რომ ღამაზია.“

ადამიანის ხულში ეშმა დაუურხულა. სწორედ დიდი ბედნიერება გახლავთ სიყოცხლისათვის, რომ მძიმე სარქველს, — ღმერთს ეშმა სულის ქურღმულში დაუტანია.

ფიოდორ ძავლოვიჩ კარამაზოვმა თავი მოილიბერადა:

„უნდა ადგი კაცი და ამ მისტიკას (მონასტრებს) მთელ რუსეთში ერთი დაკვრით მოუთავო ბეღი... რათა სიმართლემ გაიმარჯვოს ადრე და მალე.“ მას ივანი შეედავება: „თუ მაგ სიმართლემ გაიმარჯვა, — პირველს ხომ თქვენ გაგძარცვავენ, ხოლო მეტე... ხელსაც მოგიტავებენ.“

სარქველის ახლა და საშინელებების დატრიალება ერთი იქნება. ყოველი კაცი განზე გაიწევს, მტრობა და შუღლი ჩამოვარდება, განიხვნებიან ბჭენი ჭოჭოხეთისანი, — მოხდება ის, რაც რასკოლნიკოვმა სიზმრად ნახა კატორღაში:

„ადამიანები რაღაც უაზრო გაბოროტებით დაერვივნენ ერთმანეთს. ქარები სალაშქროდ ირაზმებოდნენ, მაგრამ სანამ ერთმანეთს ბრძოლას გაუხწორებდნენ, გზაში ანაზდად თავის თავსვე ანადგურებდნენ. მებრძოლები ბუდედაფუკული კიანჭველებივით ირეოდნენ, ერთმანეთს ეტანებოდნენ, ჩებდნენ და კუწავდნენ — კბილებით გლეჯდნენ, ჭამდნენ ურთიერთს. მამაპაპური საქმიანობა უველამ შეწყვიტა, ყოველი კაცი რჩევას იძლეოდა და თავისას ერეკებოდა. ადამიანები გაერთპირებას ვერ ახერხებდნენ. მიწას აღარსად ამუშავებდნენ. ზოგან ჭგროდ შეგროვილიყვნენ: პირობას კრავდნენ, აღტქმას იძლეოდნენ. მაგრამ სიტყვას მაშინვე ტებდნენ და სულ სხვა გზას ადგებოდნენ. მეტე ერთმანეთს ამტყუნებდნენ, ჩხუბს უტეხავდნენ და ხოცავდნენ. ხანძარმა იფეთქა, ხალხი დაიშმა. ქვეყანა პარტახდებოდა, დიდი და პატარა ბუზივით იფლიტებოდა, მთელ დუნიაზე სულ რამდენიმე კაციღა გადარჩა. ესენი იყვნენ პირნათელი, რჩეული ადამიანები, რომელთაც განგების ძალით კაცთა ახალი მოდგმის და ახალი ცხოვრებისათვის უნდა დაედოთ სათავე, უნდა განეწმინდათ და განეახლებინათ დედამიწა, ოღონდ არავის ის კაცები თვალთ არ უნახავს და არც მათი ხმა სმენია ვინმეს“.

ისინი სიძვედრის ბუღით დაბატარებენ

დოსტოევსკის თვითონვე შეუთხზავს და „მწერლის დღიურში“ ჩაუწერია ერთი თვითმკვლე-

ლი — „რა თქმა უნდა, მატერიალისტი“ — კაცის წერილი.

„მე ვერ ვიქნები ბედნიერი, — წერს თავის-მკვლელი, — თუნდ ყველაზე ბულითადი და უზენაესი სიხარულის დროს — როცა მოუვასიც გვიყვარს და ჩვენც ყველას ვუყვარვართ — მე ვერ ვიქნები ბედნიერი, რადგან ვიცი, ხვალ ან ზეგ ყველაფერი განადგურდება. მე აღარ ვიქნები, აღარც ეს სიყვარული და ბედნიერება იქნება. მთელი კაცობრიობა არარაობად, პირვანდელ ქაოსად გადაიქცევა. ამ პირობით ძი არამც და არამც არ შემოიძლება რამენაირი ბედნიერება ვალბარო, უბრალოდ იმიტომ არ შემოიძლება, იმიტომ ვერ მიძნებნი ბედნიერი, რომ ხვალ ან ზემ ჩემს არსებობას წარტილი უნდა დამსვას. ეს შეგრძნებაა, ეს გულისთქმა გახლავთ და მეც უძლური ვარ მის წინაშე.“

არსებობს რაიმენაირი ლოგიკური საბუთი ამ მსჯელობის წინააღმდეგ? არა, არ არსებობს მსჯელობა სავსებით ხწორია. ადამიანს დიახაც კარგად მოეხსენება, რომ მისი აღსასრულის დღეც დადგება, — თუ ხვალ არა, ორმოცი წლის მერე — მაინც, რა შუბლმაგარი უნდა იყოს კაცი, რომ ამ მუხთალ წუთისოფელში ბედნიერებაზე ფიქრით გაიბრუნოს თავი, იფაფხუროს, იწვალოს, რაღაცის მომლოდინე და მოიხედდეს დარჩეს, — რატომ, რისთვის?... ორად ორი გონივრული გამოსავალი არსებობს: ან თავი უნდა მოიკლას კაცმა, ანდა იმათ უნდა მიბაძოს, ვისაც უამიანობის დროს ლბინი გაუმართავს, — ააყვეს წამიერ ნეტარებას, დავიწყებას მისცეს გარდაუვალ მომავალზე ფიქრი, — გაღრვდეს, დათვრეს

„ზარდამცემი, ცივი სიცარიელით, ჩემს სახლში რომ დაუსადგურებია, მღვდელისი ღრუბების სიახლით, და მომგვრელი შვევის ფიალი შხამით.“¹

მაგრამ ადამიანები სიცოცხლეს განაგრძობენ, ისევ ეწევიან ცხოვრების გაპანს და ხრწნილების მქადაგებლებსაც მძიმე ჭაფა ადგებათ, რათა წამით მაინც გამოაფხიზლონ ისინი და გაახსენონ, რომ არსებობს სიკვდილი. — ყველაფრის გამაუფასურებელი, ყველაფრის გამატიალებელი. სიკვდილისადმი უოველივე ცოცხლის ეს უცნაური სიბრმავე სიცოცხლის ყველაზე დიდი სასწაულია.

ესქილეს პრომეთე ამბობს:

„მოკვდავთ სიკვდილის დავიწყების მივმადლე ნიჭი“.

და უკვდავი ოკეანიდების ქორო გაოცებულნი გვეკითხება:

„მაგრამ სიკვდილი რამ დავიწყება წერს მოკვდავებს?“

უკვდავები ამას ვერ შეხედულებენ. ვერ მიხვდებიან, რომ სიცოცხლის დიდსუფრესობა უოველ სულდგმულს მოუხპო სიკვდილის შინაგანი განცდის უნარი. მათ სიკვდილის გარდაუვალობის თეორიული გააზრება კი შეუძლიათ. მაგრამ გულით მხოლოდ ზოგიერთ იშვიათ წუთებში თუ განიცდიან მის სიახლოვეს. „არავისაც არ გააჩნია თავისი სიკვდილის გარდაუვალობის ნამდვილი, ცოცხალი შეგრძნება. — წერს შოპენჰაუერი — ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ უოველი კაცი სიკვდილმისჯილის დღეში აღმოჩნდებოდა. პირიქით, თუ მცა აბსტრაქტულად და თეორიულად უოველ კაცს შეგნებული აქვს სიკვდილის გარდაუვალობა, მაგრამ პრაქტიკულ ცხოვრებაში ურგებ სხვა თეორიულ ტეშმარიტებათა მსგავსად ეს ტეშმარიტებაც დავიწყებულია და ცოცხალ ცნობიერებაში მისი გაჭანებაც არაა.“

ვერ გაიგებენ ამას უკვდავები. ამას ვერც ზემდებლად მოკვდავები გაიგებენ, რადგან ისინი სიკვდილს და ხრწნილებას გულით დაატარებენ. ვერც დოსტოევსკის გამირები ვერ გაიგებენ ამას.

უოველი მათგანი გაქრობის შიშს აუფორიაქებია და აუწრიალებია, სიკვდილის მარტოხსენებაზეც კი გული უსკდებათ.

„სიკვდილზე ფიქრი, იმის შეგრძნება, რომ სიკვდილს თან დავატარებთ, რასკოლნიკოვს ბავშვობიდან გულს უმძიმებდა და შიშის ზარს სცემდა.“ — „სიკვდილის მეშინია, არ მიყვარს, როცა სიკვდილზე ლაპარაკობენ.“ — აღიარა სვიდრიგაილოვმა. „ოპ, რა საშინელებაა! გიფიქრია ოდესმე ამ წყვილადზე? ოპ, როგორ მეშინია სიკვდილის!“ (ლიზა. „უმაწვილი“). „მე სიცოცხლე მიყვარს. საკუთარ სიცოცხლეს თავს დავკანკალებ, ამაში საშინლად სულმდაბალი ვარ“ (კატერინა ნიკოლაევნა. „უმაწვილი“). „მე იქ ძალიან ვფაზიფუხობდი, მაგრამ ახლა სიკვდილის მეშინია. ვიცი, მოვკვდები, ძალიან მალე მოვკვდები, მაგრამ მეშინია, მეშინია სიკვდილის“ (ლიზა. „ეშმაკები“).

სიკვდილის შიში მუდამ გულს უღრღნის ადამიანს. ღმერთის წინააღმდეგ ამბოხებულ კირილოვს „თავის მოკვლა გადაუწყვეტია, რადგან არ უნდა სიკვდილის ეშინოდეს“. „სავსებით თავისუფალი მაშინ ხარ, — გვასწავლის იგი — როცა სიკვდილ-სიცოცხლე შენთვის სულ ერთია... ღმერთი სიკვდილის შიშია. ვინც შიშს და ტყვილს დასძლევს, ის თვისონ ღმერთი იქნება“.

1. პუშკინი — „ნადიმი უამიანობის დროს“

მაგრამ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი, როცა გულში ასეთი ბაღდაძე ტრიალებს? დოსტოევსკი გადაჭრით გვეუბნება — ვერ იცხოვრებსო. თუკი ადამიანს ეშმაკის დახატვანად არავითარი შინაბანი ძალა არ მოეპოვება, მაშინ, ცხადია, არც იმის თავი ექნება, გარდაუვალ სიკვდილს ნიადაგ უშიშრად უსწორებდეს თვალს. ასეთ ადამიანს მხოლოდ მაშინ იცხოვრება, თუ სიკვდილი სრულიად მოიხიბობა ე. ი. პიროვნული სულის უკვდავების შემთხვევაში. თუ სული უკვდავი არ იქნა, მაშინ ადამიანის სიცოცხლე სასიკვდილო განაჩენის აღსრულების უსაშველო, დაძაბულ მოლოდინად გადაიქცევა. „ეს შეგრძნებაა, ეს გულისტკმა გახლავთ და შეც უძღური ვარ მის წინაშე“, — წერს თავისმკვლეელი განაჩენში.

„მე ვფიქრობ, ჩემო კარგო, — დაიწყო ვერხილოვმა ჩაფიქრებული დიმიტით, — რომ შეტაკება გათავდა და ბრძოლა მიწყნარდა. ჩამოვარდა ხიჩუმე და ადამიანები დარჩნენ მბრტყიანნი, როგორც ეწადათ: ადრინდელმა დიდებულმა იდეამ დაუტევა ისინი. ადამიანები უცებ მიხვდნენ, რომ სულ მარტოკანი დარჩნენ და ერთბაშად იგრძნეს დიდი სიოხლე... ვფიქრობდი, რომ დაობლებული ადამიანები მაშინვე მაგრად და სიყვარულით მიუკვროდნენ ერთმანეთს გაქრებოდა სულის უკვდავების დიდი იდეა და საჭირო შეიქნებოდა მისი სანაცვლოს მონახვა; და ადრინდელი სიყვარულის მთელ იმ დიდ სიუხვეს, სწორედ ეს უკვდავება რომ იყო, ყველანი გადაიტანდნენ ბუნებაზე, ქვეყნიერებაზე, ადამიანებზე, ყოველ ბაღაბზე. ისინი შეიყვარებდნენ დედამიწას და სიცოცხლეს თავ-შეუკავებლად და იმ ზომითაც შეიგნებდნენ თანდათანობით თავის წარმავლობას და სახრულობას, შეიყვარებდნენ უკვე განსაკუთრებული, უკვე არა ადრინდელი სიყვარულით. „დაე, ხვალ ჩემი უკანასკნელი დღე იყოს — იფიქრებდა თითოეული, ჩამავალი მშის შემუშურე — სულ ერთია, მე მოვკვდები, მაგრამ დარჩებიან ყველა ისინი, ხოლო მათ მერე — მათი შვილები“... ო, ისინი დაეშურებოდნენ სიყვარულს, რათა ჩაექროთ თავიანთ გულეში უდიდესი ნაღველი. შეხვედრისას ღრმა და აწრიან მწერას მიაპყრობდნენ ერთმანეთს და მათ მწერაში იქნებოდა სიყვარული და ხევდა...“

IV

„თუ ღმერთი არ არის, მაშინ მე რაღა კაპიტანი ვარ?“

„რას მიქვია, ღმერთი არ არისო? — ამბობს დიმიტრი კარამაზოვი, — არ არის და მაშ ადამიანი ყოფილა დედამიწის და ხამყაროს ბატონ-პატრონი. ჩინებულთა ოღონდ ვამაგებინეთ ერ-

თი — უღმერთოდ წნეკეთილი როგორღა იქნება კაცი? მე სულ ამას ვჩივო. რაკიტინი კი დამცინის, რაკიტინი ამბობს, კაცობრიობის სიყვარული უღმერთოდაც შეიძლებაო. ემ, ამას მხოლოდ ცინგლიანი ლაწირაკი თუ აიჩემებს, მე კი ასეთ რამეს ვერ დავიჭერებო.“

ჩვენ უკვე ვნახეთ: უღმერთოდ მარტო კაცობრიობის სიყვარული როდი გახლავთ დაუჭერებელი ამბავი, — უღმერთოდ თვით სიცოცხლაც კი შეუძლებელი ყოფილა. დოსტოევსკის უბის წიგნაკებში სხვა მასალებს შორის ერთი მსჯელობაც გვხვდება, რომლის გადმოცემაც მწერალს სტავროგინის პირობაშია განზრახული.

„დავიდარაბის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, წინასწარ გავარკვიოთ, შესაძლებელია თუ არა ადამიანმა ნამდვილი, გულითადი რწმენა იქონიოს? თუ შეუძლებელია, მაშინ არც ისე მიუტევებელი ცოდვა ედება იმას, ვინც ყველაფერს ამჯობინებს ციმხლში ჩაუძახოს ყოველი პატი. ორივე მოთხოვნა ერთნაირად პატარა მოძვარული მოთხოვნაა (ნელინელ ტანჯვა და სიკვდილი და ერთბაშად ტანჯვა და სიკვდილი)“.

მართლაც რომ საპყარი და უმწეო ყოფილა ადამიანი, ეს უნიათი, სახსრებდასუთული ხეიბარი; თუ ღმერთი ყავარჯენივით არ შეიშველა, — წამსვე მიწაზე გაიშხლართება.

ადამიანს გულიდან ყოველგვარი ცოცხალი განცდა ამოურეცხავს და ისიც კი არა ბგონია, საერთოდ თუ გააჩნია ვინმეს ასეთი გრძნობა. კი მაგრამ, დედას? დედას მაინც ხომ შესწევს ძალა „უსანქციოდ“ უყვარდეს თავისი შვილი? არც ის უნდა გაგვიკვირდეს, ღმერთმანი, დოსტოევსკიმ რომ იუაროს და თქვას: „მერედა უღმერთოდ როგორ ეყვარება დედას შვილი? ამას მხოლოდ ცინგლიანი ლაწირაკი თუ აიჩემებს, მე კი ასეთ რამეს ვერ დავიჭერებ“.

„ამა, რკინის მკვნეტელები, — მიწის შვილთა სადიდებლად მძლეთამძლეებს ებრძოდნენ და იყვნენ მძლეთამძლეები.“

ამ ბექტორებს, დიომიდებს და აქილევსებს სულის უკვდავების იდეა ისეთი უბადრუკი გააჩნდათ, რომ ყოველგვარ სიკვდილზე უარეხიც კი იყო, მაგრამ მთლიანობას მაინც ეთაყვანებოდნენ, მისთვის იბრძოდნენ და თავსაც სწირავდნენ. შემდეგდროინდელი ბერძნებიც — მსოფლიოში ყველაზე დიდი კულტურის შემქმნელი ხალხი — არა მარტო ღმერთის გარეშე იყვნენ წნეკეთილნი, არამედ ბევრად მეტიც, — ისინი თავიანთ ღმერთებზე უფრო წნეკეთილნი იყვნენ. ამას ბერძნული კულტურის ყველა მკვლევარი აღიარებს. კიდევ უფრო უპ-

რინია ამის თქმა ძველ რომაელებზე. აღბათ იუბიტერი თუ იყო ხალხისათვის მებრძოლი გრავებულების ხულისჩამდგმელი. იმ გმირობასა და თავგამებლობაზე აღარას ვაშბობთ, რომლითაც ხავსეა ცხოვრება უკანასკნელ ხალხუნებში! ადამიანები უსანქციოდ იბრძოდნენ და იღუპებოდნენ, — დღესაც უსანქციოდ იბრძვიან და იღუპებიან.

მაგრამ, ეს თითქოს ხვდა ქვეყანაში ხდება და არა იქ, სადაც დოსტოევსკია. დოსტოევსკის ხამყაროში თუ ხულის უკვდავება არა სწამთ, — მხოლოდ მტრობა, სიძულვილი, მარტოობა და წყვდიადი სუფევს. „თუ უკვდავების რწმენა დაკარგულია, — აშბობს დოსტოევსკი, — თვით-მკვლელობა სრულიად გარდაუვალი, ასე განსაჯეთ, აუცხლებელიც კია უკველი კაცისათვის, რომელიც თავისი განვითარებით პარტუტყვს ცოტათი მაინც აღემატება“.

უკველივე ცოცხლისადმი დოსტოევსკის ეს თვალდაშულობა სასაცილო იქნებოდა, ფრიად ტრაგიკული და შემზარავი რომ არ იყოს. თუმცა პეტრე ვერხოვენსკის ნაშბობი უსანქციოდ სიცოცხლის შეუძლებლობის თანმიმდევრულ, ოღონდ მაინც კომიკურ ილუსტრაციას წარმოადგენს:

„პარასკევე საღაშოს ოფიცრებთან ერთად ვქეიფობდი. ათეიწმზე ვლაპარაკობდით, რა თქმა უნდა, ღმერთიც ვავაუქმეთ. სიხარულით ცახეწივინენ, აქუვირდნენ. ერთი ჭაღარა, ხეპრე კაპიტანი იჭდა იქ თავისთვის ჩუმად, უცებ შუა ოთანში გამოვიდა და ხმამაღლა, თითქოს ვილაცახე ეუბნებოა, თქვა: „მე რაღა კაპიტანი ვარ, თუ ღმერთი არ არისო?“ — აიღო ქუდი, მხრები აიჩეჩა და გავიდა.

— ხაკმაოდ კვეიანური აწრი უთქვამს, — დამთქნარა ნიკოლაი ხტავროვინმა.

— მართლა? მე კი ვერ მივხვდი, თქვენთვის მინდოდა შეკითხა.“

აღბათ ვერც ჩვენ მივხვდებოდით, მაგრამ რაკი დოსტოევსკის ნაშოწაფარები ვართ, — ვხვდებით, — ვხვდებით, რომ ეს მართლაც ძალიან კვეიანური აწრია.

γ

„ნუ შეშინდები, ადამიანო, იხავ ამაჟი!“

ადამიანური ხულის ბნელ ჭურღმულში ეშმა დაუურსულა, მას არაფრის ნება არა აქვს; ღმერთს, შიშიერ სარქველს, იგი ხულის ფსკერზე დაუტანია. ჭურღმულში ხულშებუთული ეშმა დრტყინავს, თავის დაღწევას ღამობს, სიცოცხლედ მოხწურებია და ადამიანისათვის ხულ უფრო ცხადი ხდება, რომ ეს მის ხულს მოხწურებია თურმე თავისუფლება, რომ თავად უაფილა შიშიერ სარქველქვეშ მბორგავი ეშმა.

რა უნდა იღონოს კაცმა? „ნუ შეშინდები, ადამიანო, იხავ ამაჟი შენ არა ხარ დამნაშავე!“ — ოღონდ გაბედო, ოღონდ ახადე ჭურღმულს სარქველი და თავისუფლებაც შენს ხელთ იქნება. აქამდე დათრგუნული ეშმა წელში გასწორდება, აიწევს და წინ წაჭედტყენს ადამიანს; დაიწყება შეურყვინელი ცხოვრების კულთით გაიხარებს, რა ვუყოთ მერე, თუ ცხოვრება საშინელებით აღხავსე აღშოჩნდება, სიხარული კი — ეშმასხეული, სამაგიეროდ ცხოვრება ხომ იქნება, სამაგიეროდ — სიხარული ხომ იქნება?!

დარანის კაცი წერს: „ვინ შოახენა ამ ჭკუის კოლოფებს, აქაოდა ადამიანს დაკანონებული და მუდამ კეთილისმყოფელი საქციელის ჩადენა შეშვენისო? რახ აუბირებიათ, ადამიანმა უსათუოდ კეთილგონივრული და ხახვირო რამ უნდა შოიმკმედოსო? მე თუ შკითხავ, ადამიანმა ოღონდ ოპვინი ხოში მღიიპალას და იმას აღარ ჩივის, ხაკმე თუ ცუდად წაუვა და ძვირად დაუჭდება თავის ხუსტურზე სიარული“.

„თუ ღმერთი არ არის, — ამბობს კირილოვი, — ყველაფერი ჩემი ნებაა. ადამიანი იმიტომ იყო აქამდე ასე უბედური და ღატაკი, — ეშინოდა თვითნებობის გამოვლინების და ცუდლურ შოწაფესავით ჩუმჩუმად თვითნებობდა. ნუაჟ მთელ დუნიაზე ისეთი არავინ შოიძებნება, ღმერთი უარყოხ, თვითნებობა ირწმუნოს და მერე ამ თვითნებობის გამოვლინება გაბედოს? ეს იგივეა, ვლებმა შემკვიდრეობა შიიღოს და შიშით საღაროს ვერ გაეკაროს“.

და აი, ადამიანებმა თავიანთი გულისწადილის აღსრულება და ხაკუთარი ხოშის სწორება დაიწყეს.

რაკი ხულის ხხენებული სარქველი უკვე აღილია, ხაკუთარი გულისწადილიც უთუოდ დედახამყაროში ყველაფრისაგან განდევილობასა და მხოლოდ ხაკუთარ მეში ჩაკეტვას შოახწავეებს, რახკოლნიკოვი ამბობს: „გამრჭე ხალხია სოციალისტები — ხაჯაროობის შოყვარული, — „ხაწოგადოებრივ ბედნიერებაზე“ წარუნავენ. არა, ხატონო, ერთხელ მოჭხუღვარ ამ სოფლადა — შერქედ აღარ დავიბადები; სად ველოდო „ხაკუველთაო ბედნიერების“ დადგომას, — თვითონაც ხომ შინდა ცხოვრება, თუ არა და შაშინ ხულაც არა ღირს სიცოცხლედ. „რაშია სიცოცილის აწრი? „დამოუკიდებლობა და ძალაუფლება. — ძალაუფლებაა შთავარი! მთელ ამ ღაჩართა შოდგმასა და აბუღდავებულ ქია-ღუაზე ხატონობა... აი, რა არის მიწანი!.. ვინც გამკრიანია და ხულით ძლიერი, ადამიანებზეც იხა მბრძანებლობს, ძალაუფლება მხოლოდ მისი ხვედრია, ვინც გაბედავს და ხელყოფს მას. აქ ერთი, ერთადერთი რამ არის ხაჯირო — უნდა გაბედოს!“

აქაოდა მეცა „ვბედავო“, რასკოლნიკოვმა მე-
ვახშე ბებრუხანას სული გააფრთხობინა. „მე
ადამიანი არ მომიკლავს. — პრინციპი მოვკა-
ლი... იმიტომ როდი მოვკალი, უფლი და ძალა-
უფლება მეგდო ხელთ და კაცობრიობას კეთი-
ლისშეყოფლად მოვვლინებოდი. სისულელედა
ტუთილუბრალოდ მოვკალი, ჩემთვის, მხმ-
ლოდ ჩემი გულისთვის მოვკალი... მინ-
დოდა გამერყვია, მინდოდა გამეგო ადრე და
მალე, მეც სხვებივით გახაპულეტი ჭია ვიყავი
მხოლოდ თუ — ადამიანი? — მეც შეშეძლო
თავზე ხელი ამეღო თუ — არა? ნუთუ ძალა-
უფლების ხელყოფას მე ვერ გავბედავდი? ნუ-
თუ სხვებივით მეც ლაჩართა მოდგმისა ვიყავი
თუ — უფლებამოსილთაგანი?“

სხვებივით ლაჩართა მოდგმისა გამოდგა ვერ
შეძლო ბოლომდე შეეხრულებინა „საკუთარი
გულისწადილი“. თვითონვე გამოამწეურა თავი-
სი დანაშაული, პატარა პაპშვივით ეკინკლავა
წამეტოვსა და პორფირის, მანეები დაავო და
შიგ თვითონვე გაება არიფულად. თავისივე თა-
ვი შესძულდა და შეეწიწა — გულჩვილი რადა
ვარო; უველაფერში გამოტყდა და კატორდას
მიაშურა.

რასკოლნიკოვს არავითარი სინანული გულში
არ გაუვლია. სინდისის ქენჯნის გამო როდი აღი-
არა დანაშაული. მერეეკოვსკიმ ეს ჩინებულად
დაგვისაბუთა. გადაიკითხავთ „დანაშაულსა და
სახქელს“ და შეცბუნებულნი დარჩებით: როგორ
მოხდა, რომ წადმა დაწერილი უკუღმა გაიგვს,
როგორ ამოიკითხეს რომანში გაცვეთილი „იდე-
ა“, თითქოს დანაშაული ადამიანს ხირცხვილში
აგდებდეს და სინდისის ქენჯნა უმაღლესი სას-
ქელი იყოს მისთვის.

„მე მივდივარ, უნდა ჩავბარდე, მბბრამ პრ
ვიცი, რა მანიძულეებს, რისი გულისთვის
უნდა ჩავბარდე. — ამბობს რასკოლნიკოვი —
დანაშაული? რის დანაშაული? — შეპყვირა
გაცეცხლებულმა — არა ვნაღვლოვ. არა, არც
მონანიებას არ ვაპირებ! — დალა ვხვდები, რა-
მხელა სისულელე ჩამიდენია ჩემი სულმოკლე-
ობით. — ახლალა, როცა ეს არაფრისმაქნისი
ხირცხვილი ვიკისრე, — მხოლოდ ჩემი უნიკო-
ბისა და სულმდაბლობის გამოისობით ვიკისრე!“

პოდა, რასკოლნიკოვიც ბოროტად აჭირქილ-
და: „ნეტა ვიცოდეთ, იხე როგორ მომიღებდა
გული ამ თხუთმეტ-ოც წელიწადში, რომ უოველ
კაცს კრძალვით შევჩვილო და წამდაუწუმ ვიფ-
შლუკუნო, ავაწაკო ვარ-მეთქი? რისი წყალო-
ბით შეიძლება მოხდეს ეს? ან თავი რად მინდა
ცოცხალი ამის მერე?“

კატორდაში რასკოლნიკოვი „ქავრით ლამის
გულზე გამსკდარიყო, პირუთვნელად განსაჯა თა-
ვისი საქციელი და დარწმუნდა, რომ განვლილ
ცხოვრებაში არავითარი საშინელი დანაშაული

არ ჩაუდენია. უბრალოდ ხელი მოსარპოდა,
ეს იყო და ეს... ნეტა გაჩვენებო სინანული მ-
ინც მოველინებინა მისთვის, მწველი სინანუ-
ლი, რომელიც გულს დაუფუფუნავს გატანჯულ
ადამიანს, სიმწრისაგან და სიკვდილი
რომ მონატრებია. და მისთვის მ-
ბბრანი იქნე-
ბოდა ეს სინანული ტანჯვა და ცრემლის ღვრაც
ხომ ცხოვრება. მბბრამ ის თაპის დანაშა-
ულს არ ნანობდა... ერთადერთი დანაშაული,
რომელსაც აღიარებდა. ის ბახლდამთ, რომ
თაპისი გადანაფურთხი ალმოა და ბაბ-
ლეული ჩაბარდა.

რომანის ხოლოს დოსტოევსკი იუწყება, რას-
კოლნიკოვში რაღაცნაირი გარდატეხა მოხდა,
— რომ მასში სიკეთემ იხევა გაიღვიძა. „ეს
ამბავი ახალი მოთხრობის საგნად გამოდგებო-
და, ამ ჩვენს მოთხრობას კი ამით ვამთავრებო“.

„საკუთარ ხუსტურზე“ იწყებს ცხოვრებას
უმაწვილი კაციც. მას ჭიბეში საბუთი უდევს,
რომლის გამოწმეურების მუქარით გოროში
ლაშაშმანის დაპატრონებას აპირებს, ხოლო თა-
ვში — „იდეა“ უზის, — განმარტოების და
ძალმოსილების იდეა. „მე მინდა ის, რაც ძლი-
ერებით მოამოვება და რახაც სხვა გზით, თუ
არა ძლიერებით, ვერ მოვებ: ესაა განმარტო-
ება და საკუთარი ძალის მშვიდი შეგრძნება! აი,
სრულყოფილი განმარტება თავისუფლებისა, რა-
ზეც ასე თავს იტებს ქვეყნიერება! თავისუფ-
ლება, როგორც იქნა, დავწერე ეს დიდებულ
სიტყვა... დიახ, განმარტოებული შეგნება ძა-
ლისა მომზიბლავი და მშვენიერი რამაა...“

„რატომ უნდა ჩამოვეკიდო ადამიანებს კის-
ერზე, თუკი მათ არაფრად ვეპიტხავეები? არა,
ჯობია უველას გავეცალო და ჩემთვის განმარ-
ტოვდეი ჩემთვის, მხოლოდ ჩემთვის — ეს
არის მთელი ჩემი „იდეა“.

სინამდვილე უფრო რთული და ნაკლებსადა-
გელი გამოდგა, ვიდრე უმაწვილი მოელოდა.
უბატონისა და წინდაცემულ უოფაში მან თან-
დათან დაკარგა თავისი იდეა უკვე ქუთაში ჩა-
ვარდნილი ჭაბუკი კაცისათვის „ახალი ცხოვრე-
ბა“ იწყება, მაგრამ იხევა „უოველივე ამის შეს-
ახებ ჩემს ჩანაწერებში ველარაფერს მოგან-
სენებთ, იმიტომ, რომ ეს სულ სხვა რამ გა-
ლავთ.“

სტავროგინი, — მას არ გააჩნია „იდეა“,
სულაც გულზე ეკლად ესობა. როცა გარშემო-
მყოფნი თავს რაღაც იდეებს ახვევენ ხოლმე,
„მისთვის ერთი ფახი აქვს ავბორცობას და
გმირობას, გინდაც ეს გმირობა კაცობრიობის-
ათვის თავის გაწირვა იყოს“. მან „ორივე პო-
ლუსზე ერთნაირი სიამე პაოვა“, უველა „ზღვა-
რი“ გადაღება და თითქოს სულით და გულით
მიენდო ცხოვრებას, მაგრამ უველგან შავ, გუ-
ლგამუინავ სიყარიელეს წააწუდა და თავი მო-

იქნა. სიკვდილის წინ დაწერილ ბარათში სტა-
ვროვიჩი წერდა. „მე შემოდისა მოვიწადინო
კუთლი საქმე და ხომოვხედავ ვიგონო მისგან.
მაგრამ იქვე შემადისა ბოროტება ჩავიდირო
და იმაშიც სიამოვნება ვსოვო. როგორც ერთი,
ისე მეორე გრძნობა ადრინდელივით კინი
ჩნება, ძლიერი არასოდეს არ არის. ჩემი სურ-
ვილები მუდამ უძალოა. ისინი ვერასოდეს მი-
მორჩილებენ“.

ივან კარამაზოვი გვასწავლით: „ვინაიდან
ღმერთი და უკვდავება არ არსებობს, ახალი
ადამიანი — ერთი კაცთაგანი მაინც მთელ
დუნიაზე — უფლებამოსილია კაცთღმერთი
გახდეს. მას თუ დასჯიდა, ისე გადალაბავს
წინამორბედ მონა-ადამიანის უოველ დრომოკ-
მულ წნეობრივ ზღუდეს, რომ თქვენი მოწონე-
ბული. უველაფერი ნებადართულია. „თავის ამ
ნაწრევს ივანი ლაქია ხმერდიაკოვს გაანდობს,
ხმერდიაკოვი კი ივანის წაყრუებით ისარგებლ-
ებს და მამა კარამაზოვს მოკლავს. ივანი სახა-
მართლოში მიდის, უნდა დახაშაული აღიაროს.
მაშინ ეშმაკი შეეკითხება მას: „რატომ უნდა
წაეთრე იქ, თუკი მსხვერპლი, შენ რომ გაიღ-
ებ, არაფრის მაქნისი არ იქნება? სწორად იმ-
იტომ — თვითონ რომ არ იცი, რისთვის
უნდა წახვიდეთ, რას არ მისცემდი,
რომ მიმხვდაროვანი, რისთვის მიდინხარ...
მთელი დამე იუურუტებ აქ და იმარჩიელებ,
წახვიდე თუ არა? მაგრამ ბოლოს მაინც წახ-
ვალ და წინასწარ იცი, რომ წახვალ — მშვენი-
ვრად მოგეხსენება; რამდენიც არ უნდა იმარ-
ჩიელო, არჩევანი უკვე შენზე აღარაა დამოკი-
დებული. წახვალ, იმითომ წახვალ, რომ წაუწ-
ვლელობას ვერ გაბედავ. თუ რატომ ვერ გაბ-
ედავ, ამას შენ თვითონ მიხვდი, გამოიცანი, თუ
ბიჭი ხარ!“

დოსტოვესკისთან უოველი კაცი, რომელიც
საკუთარი ხოშის გასწორებას დააპირებს, რად-
აც მომეტებულად დაუძღურებული და გულ-
გამოკმულია. ნეტოჩკა ნეწვანოვას მაშინაცვალ-
ის არ იყო, უოველ მათგანშიც მუდამ „გაცხა-
რებული, სამკვდრო-სახეცოცხლო ბრძოლა სწა-
რპირებს შინაგან უძღურებასა და დაძაბულ,
გააგებულ ნებისყოფას შორის.“

„ჩემი გადია იქნება“, — უიქრობს რახკოლნი-
ნიკოვი ხონია მარშელადოვაზე. სტავროვინი
ეუბნება დარია პავლოვას: „თქვენ ისე ამომი-
ჩემეთ, როგორც მომვლელი კალი ამოიჩემებს
ერთ რომელიმე ავადმყოფს ან გასვენების
მკურნალები დედაბერი ერთ მკვდარს დაადგამს
თვალს, უფრო ლამაზიო“. ლიზა ეუბნება იმა-
ვე სტავროვინს: „მე არ მინდა თქვენი მოწყა-
ლების და ვიყო, სხვას დავუდგები მომვლელ-
ად, მაგრამ თქვენ კი არ დავიდგებით, გინდაც
უფრო და უხელო იყოთ.“ ვერხილოვი ეუბნე-

ბა ცოლს: „ხონია, თუბრა ახლა ისეც გადავი-
კარგები, მაგრამ ძალიან მალე დავბრუნდები,
რადგან, მგონი, ისეც შეშმა ამოტანს ამიტანს
შეში და ვინ მომიჩინებს იმ შეშს, სად ვნახავ
სონიასებრ ანგელოზს?“ უმაწვინელი წერს თავის
თავზე: „საწოლზე ეგდო რაღაც ჩაღის ტერი,
და ათა ადამიანი, და მარტო ვადადმოვსება არ
იყო ამის მიზეზი!“ ივან კარამაზოვმა ალიოშას
შესჩვილა ეშმაკის გამო: „მე მან მშეშარა მი-
წოდა! თან დასძინა, „არა შექდა მწუერი ხე-
ნაო!“ დოსტოვესკის უველა გამირთაგან ერთად-
ერთმა კაცმა იპოვა თავის თავში საკმაო ძალა
საბოლოოდ გადაეღება ზღვარი და თვითნებობა
ბოლომდე გამოევიდინებინა. ესაა კირილოვი
„ეშმაკებში“. რა გულსაკლავი ზეიშია ადამიან-
ური თვითნებობისა, რა ზარდამცემი მარცხი
გამოდგა ეს გამარჯვება!

„— სავსებით თავისუფალი მაშინ ხარ, —
გვასწავლის კირილოვი, — როცა სიკვდილ-სი-
ცოცხლე შენთვის სულ ერთია. აი თავი და თავი
მიზანი.“

— მიზანიო? მაშინ ეგებ არც არავის მოუნ-
დეს სიცოცხლე?

— არავის, — თქვა გადაჭრით.

სიცოცხლე ტკივილი და შეშია, ადამიანი კი
უბედურია. სიცოცხლე ახლა ტკივილის და შეშის
ფასად ეძლევა ადამიანს, აი, ამით აბრმავებენ
ხოლომე. ვინაც თავისუფლება უველაფერს ურ-
ჩევნია, იმან უნდა გაბედოს თავის მოკვლა.
ვინც გაბედავს თავის მოკვლას, ის ჩასწვდება
ტუუილის არსს. ის — ღმერთია, იცოდე ღმერ-
თი არ არის და ის არ იცოდე, შენ თვითონ
ღმერთი ხარ — ამაზე მეტი უაზრობა აღარ
იქნება. გაჩნდება სხვა, ახალი ადამიანი, ხედნი-
ერი და ამაყი, და მისთვის სულ ერთი იქნება
სიკვდილ-სიცოცხლე. ის მოვა და საბელი მისი
იქნება კაცღმერთი... ვინც მხოლოდ შეშის მო-
საკლავად მოიკლავს თავს, უძალ ღმერთი გაბ-
დება.

— იქნებ ვერც მოახწროს?

— ეგ სულ ერთია — მითბრა დინჯად და
ამაყად, ლამის ზიზღითაც.“

როგორ თუ „სულ ერთია“? საქმე ის გაბლ-
ავთ, რომ უოფილა „წუთები, როდესაც ადამიან-
ისათვის დრო უცებ გაჩერდება და საუკუნოდ
ასე იქნება. ადამიანი რომ სრულ ბედნიერებას
შიადწევს, მაშინ დრო აღარ იქნება, ვინაიდან
აღარც არის საქირო“. „ეს აზრი კირილოვის-
თვის ლამის გამარჯვებას უდრიდა“.

და აი, ადამიანმა ზარზეიმით შეაბიჭა თავის-
უფლების სამყაროში, ადამიანი ღმერთად იქცა.

„ამ კარადის მარჯვნივ კუთხეში კირილოვი
იდგა, იდგა უმოძრაოდ და უცნაურად, — ხელ-
ები ჩამოეშვა და მთელი ტანით ისე აკვროდა
კედელს, თითქოს იმალებოდა, ვერბოვენსკი

მონუსხულივით შედგა. თავზარი დაეცა, რომ მის გაცოფებულ ღრიალზე, ფეხების ბაკუნზე კირილოვი არც კი განძრეულა, თითქოსდა მართლაც ქვისა და სანთლის ქანდაკება უფილიყოს, სახეზე მიწისფერი ედო, შავი თვალები უმოძრაოდ მისჩერებოდა სივრცეს. ვერხოვენსკიმ სანთელი ჯერ მალლა ახწია და შერე დაუშვა, რომ უკეთ დაენახა მისი სახე. კირილოვი არ უყურებდა, თუმცა ის კი შეამჩნია, ცალ თვალს რომ მაინც ადევნებდა. თავში გაურბინა, მოდი სანთელს ზედ სახეზე მივადებ ამ „წუპაკს“ და რომ დაეწვება, ვნახავ ერთი, რას იწამსო. უეცრივ მოერყენა, კირილოვს ნიკაპი გაეძრა და ტუჩებზე თითქოს დამცინავმა დიმილმა გადაურბინა. მაშინ კი აცახცახებული და არხებიდან გამოსული კირილოვს მხარში ჩააფრინდა.

ის, რაც ამას მოჰყვა, ისეთი უგვანო რამ იყო და ისეთი სისწრაფით მოხდა, ვერხოვენსკის დალაგებით შემდეგში ვერა და ვერ მოეგონებინა. კირილოვს რომ მხარში წაეტანა, იმან ელვის სისწრაფით დაადგერა თავი და სანთელი ხელიდან გააგდებინა. შანდალი წკრიალით დაეცა იატაკზე და სანთელიც ჩაქრა. იმავე წუთს ვერხოვენსკიმ საშინელი მწვავე ტკივილი იგრძნო მარცხენა ნეკში და შებყვირა. შემდეგ მართლ ის ახსოვს, რომ რევოლვერი სამჯერ მთელი ძალით ჩახსო თავში კირილოვს, რათა კბილები გაეშავებინა, ბოლოს ძლივს გამოგლიჯა თითი და ოთახიდან გავარდა, სიბნელეში ძლივს გააგნო გზა, უკან კი საზარელი ღრიალი მოხდევდა:

— ახლავე, ახლავე, ახლავე...

ერთი ათჯერ მაინც გახეორდა ეს უვირილი, ვერხოვენსკი კი გარბოდა და გარბოდა, უკვე მარშალზე იყო, როცა რევოლვერმა იგრიალა.

კირილოვი „ღმერთად“ იქცა... გარშემო საზარელი ლანდები როკავენ და ხარხარით ეგებებინა ადამიანის პირვანდელ ქაოსში დაბრუნებას.

კვადრატული ფეხვის ამოღება

რაშია ხაქმე? ახე უთუშეაოდ რატომ უწყდებათ ილაქი დოსტოევსკის ყველაზე საყვარელ გმირებს, როგორც კი იხინი თავის ნებაზე ცხოვრებას დააპირებენ? რატომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ „მოიკლა ხოში“ და ვერ ეღირსა გულისტქმის აღსრულების საზეიმო წუთის დადგომას?

იმიტომ ვერ ეღირსა, რომ არც ერთი მათგანის გულისტქმაში სიცოცხლის ნიშანწყალი არ ურევია. ახე რომელი ერთი დაიტრაბახებს

დოსტოევსკის გმირთაგან თავისი შეურყენელი, თამაში და ხალხიანი ხასიათით — ვერც ერთი, არც ერთი მათგანი არ არის სიცოცხლით სავსე; ყოველ მათგანს თავისი მაცოცხლებელი სული რაღაცნაირ ლაბორატორიაში უქცევია, ყოველი მათგანი თავის გულსტქმის დამფოფინებს, ახარისხებს, ერთმანეთს ატოლებს, აუგვანოებს მათ, — ზედმეტად იკლიკანტურ გამოცდებს უწყობს. მოდა რა განაკვირია, ასე ნაგვემ-ნაწამებ გულისტქმას ხალასი სიცოცხლე თუ თვალსა და ხელს შუა გაეძარება.

გულისხმიერი, კეთილშობილი რასკოლნიკოვი — კაცი, რომელსაც შეუძლია თვითონ გაინადოს და ხხვას ჩააცვას — ტყუილუბრალოდ, მხოლოდ და მხოლოდ თავის თავზე ცდის ჩატარების მიზნით ყოველად უაზრო მკვლევობას ჩაიდენს: ვნახოთ ერთი, „ზღურბლის გადალაგვა“ თუ შემოძლიაო?

„ხომ არ გგონია, — დავკარი ფეხი და მოუფიქრებლად წავედი, — ეუბნება რასკოლნიკოვი ხონიას, — პირიქით, ჩემს თავს ჭკუა მოვკითხე და ისე წავედი: ხწორედ ამან დამღუპა! შენ იქნებ ფიქრობ, იმას ვერ მივხვდი — რაკი ჩემს თავს ჩავციებოდი და ვეკითხებოდი, რწყილია თუ არა-მეთქი ადამიანი — რომ ადამიანი ჩემთვის რწყილი არა უფილა? ადამიანი იმისთვის არის რწყილი, ვისაც ეს კითხვა აზრადაც არ მოუვა, ერთს არ დაფიქრდება და ისე წავა... განა ასე მიდიან ადამიანის მოსაკლავად, როგორც მე წავედი მაშინ? განა მე ხაწყული ბებრუხუნა მოვკალი? ბებრუხუნა კი არა, თავი მოვკალი, თავი! ასე გავითხარე ჩემი ბელით საფლავი საუკუნო!“

სმერდიაკოვთან უკანახკნელი შეხვედრის მერე ივან კარამაზოვმა გადაწყვიტა ხახამართლოში გამოცხადებულიყო და დანაშაული ეღიარებინა, ანუ „ზღურბლს გამოღმა“ დაბრუნებულიყო. ქუჩაში მან ფეხი წამოკრა ერთ გლეხუკას, რომელიც თოვლში იყინებოდა. ორიოდ ხათის წინ თვითონ ივანმა ტყუილუბრალოდ გაკრა მას მხარა და თოვლში ჩაამხო. ივანმა ხაწყული გლეხკაცი ახლა თოვლიდან ამოათრია, ხალხი შეყარა, ოღონდ კი რაიმე უშველოსო, და ფული არ დანანებია — გულუბრვად გაიღო. ივან ფიოდოროვიჩი ფრიად კმაყოფილი დარჩა, „ხვალისათვის რომ ასე მტკიცე გადაწყვეტილება არ მიმეღო — გაუელვა მას და ნეტარება იგრძნო — მაშინ მთელი ხაბათი ბლახუკას პატრონობას აი არ მოვანდომებდი, არამედ გვერდით ჩავუვლიდი და ზედაც დავაფურთხებდი, რაკი თოვლში ბათოშილი ეგდებოდა...“

არადა, ახეთ შემთხვევაში ივანი მართლაც არ შეჩერდებოდა! და იმიტომ კი არა, რომ გლეხკაცი არ შეეცოდებოდა, — არა! ის, როგ-

ორც „ზღურბლის გადაღობაში“, თავს სწორად ვაღიქვამდა ჩამოვლიდა არ შეჩერებულიყო!

სტავროგინი — იგი კიდევ უფრო ფორმალური ექსპერიმენტატორია, უფრო სწორად — „ზღურბლის“ ფანტატიური ფეტიშისტი. მას სხვა არც არაფერი აგონდება ზღურბლის გადაღობაში ვარჯიშის გარდა და მისი დღე და მოსწრება თავის „ტვირთს“ დაეძებს. ამ მიზნით იქორწინებს ლეზბიანის გონებასუსტ ქალზე, შატოვს ხაჯაროდ გაწეულ სილას შეარჩენს, ლეზბიანისთან თავის ქორწინების ამბავს ქვეყანას მოსდებს, — ამ ქალის შველულებს კი წინ განგებ არ აღუდგება. სტავროგინს არავითარი მიზანი არა აქვს, რომელიც მის ამ აჩემებულ ზღურბლზე გადაბიჯებას გაამართლებდა. მისთვის ზღურბლი თვითონ ქვეყლა რაღაც არაბუნებრივ, თვითმარ მიზნად. „მე უველგან ვცადე ჩემი ძალა. — წერს იგი სიკვდილის წინ წერილში, — ჩემთვისაც მოვსინჯე და უველგან დასანახავადაც. ხადაც არ ვცადე, უველგან უზომო გამოდგა იგი, მაგრამ რაში გამომეცხენებინა ეს ძალა — ეს არც წინათ ვიცოდი და არც ახლა ვიცი... ვცაადე გარუვნილების შორეულში ჩაფლობა და მთელი ძალა ამას შევალე: მამრამ ბულით არასოდეს მდომებია, არ მიზიდავს ბარკვენილება...“

კირილოვი — ეს ხავეჭვივით მიაშობი, კეთილშობილი კაცი. უველაფერს რომ ხალიხით და გულუბრუვილოდ ემზაურება, რაც კი წმინდაა ამ ცხოვრებაში. მაგრამ სხვა დანარჩენებისა არ იქონი, ისიც „იდებამ იმსხვერპლა“. ადამიანს თავაშვებულება მართებს, „უველაფერი სულ ერთია“ ამქვეყნად და „უველაფერიც კარგია“. „კარგია — თუ ვინმე შიმშილით მოკვდება, ან თუ ვინმე გოგონას დახაგრავს და პატივს ახდის. თუ ვინმე ბავშვს თავს გაუჭებუავს, ესეც კარგია, თუ არ გაუჭებუავს — ესეც უველაფერი კარგია.“

და კირილოვი თავს აიძულებს მშვიდად უუუროს უველა სისაძაგლეს: ვერხოვენსკის კარნახით წერს სიკვდილის წინ წერილს. რომელშიც თვითონ იბრალებს შატოვის მუხანათურ მკვლელობას, აღტაცებული გაიძახის:

„— ვის ვუცხადებ? მთელ ქვეყნიერებას? ბარაკალა! არც სინანული არ უნდა იქონს, არ მინდა სინანული!“

სად გაგონილა ამდენი კირვეულობა და თავის ასე აგდება, როგორც ამას კირილოვი და მისნაირები შვრებიან! აქ ისეთი ვნებათაღელვაა, ისეთი ვნებათა ღელვა, რომ ის უველა მხეცურ ბოროტმოქმედებაზე მტკ საფრთხეს უქადის ადამიანს!

რაღაც მთლად გაუგებარი ამბავი ხდება: ადამიანი „ზღურბლის“ წინ შეჩერდა. ვიდაცას მი-

სთვის საზღვრის გადაღობვა აუკრძალავს; ადამიანი აკრძალვას არ შეეპუა და ზღურბლი მოშალა: ამიერიდან თითქოს მას უნდა დარჩენოდა ბურთი და მოედანი, — სანიტარ მოღობრიანებოდ, იქით უნდა წახულიყო, მაგრამ დოსტოვესკის გმირებისათვის ეს უნდა ურუდია. მათ ზღურბლი კი გადაღანენ, მაგრამ იქვე გაშეშდნენ. იქნებ ზღურბლს გადაღმა არც არაფერი ესაქმებოდათ: დგანან, ფებს არ იცვლიან, თვალები უკან, გადაღახულ სამაჩისკენ წყდებოთ.

„თავისი ხოშის“ გასწორება და ზღურბლის გადაღობვა ეშმაშ შთააგონა ამ ადამიანებს. მათ კი სურთ თავაშვებულობა დაუყოვნებლივ რაღაც „იდეად“ აქციონ. მეტიც — ხაკუთარ ბუსტურზე სიარული მათ რატომღაც მოვალეობად მიაჩნიათ. და აი, ეშმაკის კვალზე შემდგართა ჭერ არნახული, ნაძალადევი და უთავბოლო მოღვაწეობაც ჩაღდება. სიცოცხლით სავსე სიცოცხლეს თვალს არიდებენ, ხატანჯველს ეძებენ და თვითონვე ლესავენ თავის დასაკლავ დანას. ეშმაკის საქმის ეს თავგამოდებული მოამაგენი დაუცხრომლად ეხწრაფვიან თავიანთ მიზნებს, გულის საგულიდან ამოგდებ ფიქრსა და ოცნებას მიეძალებიან. ნებისყოფა არაადამიანურად დაუძაბავთ და უველაფერი „ზღურბლის“ სამსხვერპლოზე შესაწირად მიუტანიან. ამ ზღურბლშია, მათი აზრით, ამ ცხოვრების გამოცანა.

მოღვაწეობა წნეობრივი თვალსაზრისით ყოველთვის ლაშაწია. უწმინდურის ამ მოღვაწეებსაც კეთილშობილური იერი დაპკრავთ, მაგრამ ბოროტება, როგორც მიზანი, მოღვაწეობასთან სრულიად შეუფერებელია. აი, რატომ არიან ეს მოღვაწეები ასე აღმაშფოთებლად არაბუნებრივები და ფანტასტიკურები. მათი ცხოვრებაში არსებობა უოვლად დაუჭერებელი ამბავია. არც რასკოლნიკოვს, არც კირილოვს და არც ივან კარამაზოვს სინამდვილეში არასოდეს უარსებიათ და ვერც ვერასოდეს იარსებებდნენ. მხოლოდ ერთი, ერთადერთი ასეთი მოღვაწე არსებობდა — თვითონ დოსტოვესკი და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ სულში იღწვოდა და არა ცხოვრებაში.

„განსჯა, ბატონო ჩემო, იცოცხლე, კარგია-მეთქი. — წერს ღარანის კაცი. — ამას რად უნდა ფიცი და მტკიცე, მაგრამ განსჯა მაინც განსჯა და მეთი არაფერი, ხოში კი მთელი სიცოცხლის გამოვლენაა, — მთელი სიცოცხლის-მეთქი, — თავის განსჯიან-განკითხვიანად. მართალია, ხოშის სწორებას აყოლილი კაცი ხშირად წეკოს გემოსაც გასინჯავს, მაგრამ ის ხომ ცხომრების ძალის ლეწავს და მარტო ძვაღრატული უმსვის ამოღებას არ ცდილობს... განსჯა მთელი ჩემი სასიცოცხ-

დღო ძალებს რაღაც ერთი მეოცედი ნაწილი
თუ იქნება, ადამიანის ბუნება კი მთლიანობა-
ში მოქმედებს, — უველაფერი ერთად მოქმე-
დებს, რაც კი რამ არის მასში ცნობიერი და
არაცნობიერი. მართალია, იგი ზოგჯერ კიდევ
მიჰქარავს, მაგრამ — ცოცხლობს. ჩვენ კი ზეზ-
ემკვდრები ვართ, თან ზეზემკვდარი მამების
ჩამომავლებიც და სულ უფრო და უფრო
გვეთნევა ეს ამბავი. მალე აღბათ იმდენსაც
ვიზამთ, რომ დედის მუცლიდან კი არა, იდე-
ბიდან დავიბადებით.“

ლევ ტოლსტოიმაც დაგვიხატა „ზღურბლის
გადამლახავი“ კაცი — დოლოხოვი „ომსა და
მშვიდობაში“. მისთვის „საკუთარი ხომის“ გა-
რდა არავითარი ნორმები არ არსებობს. „მისგ-
ან არს მსგავრი მისი და მისაგებელი მისი მის-
გან მოვიდეს“, როგორც ამას ამბობს წინახწარ-
მეტყველი ამბაკუმი ქალდეველთა შესახებ.
დოლოხოვი სასტიკი და დაუნდობელიც არის
და — ქალივით ნაწი და გულჩვილიც; თავზე-
ხელაღებული ვაჟკაციცაა და — გაქნილი თაღ-
ლითიც. ის უოველმხრივ ბევრად დაბლა დგას,
ვიდრე რასკოლნიკოვი ან ივან კარამაზოვი, მა-
გრამ დოლოხოვში არის ერთი რამ, რაც მათ
არ გააჩნიათ — სიცოცხლით სავსე სიცოცხლე.
მართლაც სულიერად და ესთეტიკურად ისვენ-
ებს, როცა ხედავ, როგორ გადადის „ზღურ-
ბლზე“ იგი ისე, რომ ზედაც არ უუურებს და-
ბრკოლებას, თვალგადმოკარკლული, პირზე
იქედნური ღიმილით ჩაუვლის ამ დამწუხრებ-
ულ და სიცოცხლენაკლულ მოღვაწეებს, ასე
ტვინგაბურებული რომ ღამობენ კვადრატული
ფესვის ამოღებას.

VII

ბივშტაქსი თუნუქის ჯამზე

სხვანაირი გმირებიც ჰყავს დოსტოევსკის. მათ
კვადრატული ფესვის ამოღებას ვეღარ დავწამ-
ებთ. ზღურბლის თეორიას ისინი აინუნშიაც არ
აგდებენ და არც „ნორმალური“ და „ზნეობრივი“
განზრახვისა სწამთ რაიმე. ისინი თავის ნებაზე
ცხოვრობენ — მხოლოდ საკუთარ „ხომს ისწ-
ორებენ“. უველაზე დამახახიათებელი ამ გმირ-
თაგან სვიდრიგაილოვია. უადრესად ხაინტერ-
ესობა მისდამი რასკოლნიკოვის იდუმალებით
მოსილი, ძნელსაცნობი დამოკიდებულედა.

სვიდრიგაილოვი არავითარი „ნორმებით“ არ
იტყვივებს თავს, კადნიერი და ღამის შიამიტი
ცინიკოსია, ნიადაგ საკუთარ „ხომს ისწორებს“. არავითარი სინაძაგლის და ბოროტმოქმედების
წინაშე უკან არ იხევს. მან შვირეწლოვანი
გოგონა გააუპატიურა, თავისი შინაუმა თვითმ-
კვლელობამდე მიიყვანა, რაღა თქმა უნდა, წარ-

ბზეუხრელად აყურადებს კარზე, რაღა თქმა უნ-
და, გარუფნილია და ავბორცა, — არაფრისაც
არა რცხვენია.



„— თუ არ ვცდები, მოთამაშე ბრძანდებ-
ით?“

— აბა მე სადაურს მთხმამაშე ვარ. შულერი
ვარ — მოთამაშე ქმნა... იქნებ...

- მაშ, კიდევ შულერობდით?
- დიახ, ცოტას ვშულერობდით.
- მერე, არავის მიუთეთქვიხართ?
- არც უმეგისობა იყო...“

მაგრამ იგივე სვიდრიგაილოვი მარშელადრ-
ვას გარდაცვალების მერე მისი ობლების მოვ-
ლა-პატრონობას კისრულობს, ზრუნავს მათზე,
ობოლთა თავშესაფარში მიუჩენს ბინას; მე-
დავ ხონია მარშელადრვას წუმპედან ამოყვანას-
აც შეეცდება.

„— ნეტა რა გაქვთ გუნებაში, თავი რომ გა-
მოგადეთ და ქველმოქმედებისათვის მიგიყვიათ
ხელი? — ჰკითხა რასკოლნიკოვმა.

— ეგა, თქვენ რა ექვიანი ვინმე უოფილ-
ხართ? — ჩაიციხა სვიდრიგაილოვმა — ხომ ვი-
თხარით, ფული თავზე საყრელი მაქვს-მეთქი.
რაო, ისე უბრალოდ, ადამიანობის გამო, არ
შეიძლება?“

სწორედ სვიდრიგაილოვის ამ საქციელის მე-
რე იჩინა თავი მისდამი რასკოლნიკოვის დამო-
კიდებულების იმ იდუმალეობამ, რომელზეც
წიდან მოგახსენეთ.

რასკოლნიკოვის საქმე უკვე ძალზე ცუდად
იყო, ერთი სული ჰქონდა, როდის მივიდოდა და
გამოტყდებოდა.

„თუმცა ამ ბოლო დროს რასკოლნიკოვი ხულ
განმარტოვდა, მაგრამ მარტოობას ვერ გრძნო-
ბდა. — ეჩვენებოდა, თითქოს მის სიახლოვეს
ვიღაც ბორიალობდა, რაც მოსვენებას უკარგა-
ვდა. შიშით არ შინებია, მაგრამ რაღაცნაირად
გულშემუსვრილი კი იყო... იყო რაღაც, რაც
დაუყოვნებლივ მოითხოვდა გადაკრახს, ოღონდ
მისი გააზრება და ენით გამოთქმა ვერ მოეხერ-
ხებინა. უველაფერი უცნაურად გადახლართო-
და ერთმანეთს.“

რასკოლნიკოვი ბოლთასა სცემს თავის სენა-
კში. კირის ოფლი ასხამს სონიასთან ბოლო
შებვედრის გახსენებაზე, გრძნობს, რომ ეს ქა-
ლი მისი უკანასკნელი იმედია. — მისი წყალო-
ბითღა თუ გადარჩება. „დაუძღურებულია, ესე
იგი, — წამში, ხელის ერთი დაკვრით დაუძ-
ღურებულია — სულით ხორცამდე! აკი დასთან-
ხმდა მაშინ სონიას, გულმხურვალედ დასთან-
ხდა, რომ ამნაირი ცოდვით სულწაწყმედილი მა-
რტოკა ვეღარ გაძლებდა! მბბრამ სვიდრიგა-
ილოვი?.. სვიდრიგაილოვი გამოკანა... სვი-
დრიგაილოვი იმნებ მხსნელადაც მოი-
ვლინოს.“

თვითონ სვიდრიგაილოვს თავი ისე უჭირავს, თითქმის მართლა ეგულებოდეს რაღაც გამოსავალი. აი, რა უთხრა მან რასკოლნიკოვს, როცა შემთხვევით კიბეზე გადაეყარა:

„— ეს რა დაგმართინიათ, როდის რომანიჩ, როგორ გამოცვლილხართ? მოიკრიბეთ მხნეობა. მოდით ერთხელაც — ვიშუსაიფოთ... ეჰ, როდის რომანიჩ, — დახმინა მოულოდნელად, — უკვე აღამიანს ჰაერის სჭირდება, უპირველეს უკვლისა — ჰაერის, ჰაერის-მეთქი...“

ეს გაუგებარი სიტყვები რასკოლნიკოვმა გულზე დაიჭდია. აი, რას ეუბნება იგი რაწუმინინს: „წუხელ ერთმა კაცმა მითხრა, აღამიანს ჰაერის სჭირდებაო, ჰაერის, ჰაერიო! ახლა მინდა ეს კაცი მოვნახო და გავიგო, რას გულისხმობს ამ სიტყვებში.“

რასკოლნიკოვისა და პორფირის უკანასკნელი საუბარი: პორფირი მას ვადას აძლევს, რომოდე დღეს აცდის და ურჩევს — შენივე ფეხით მიდი და გამოტყდიო.

რასკოლნიკოვი პორფირის გამოემშვიდობა და სვიდრიგაილოვისაკენ გაეშურა. „რა ნუგეში იყო მისთვის სვიდრიგაილოვი, თვითონაც არ იცოდა, მაგრამ ამ კაცს რაღაც იდუმალ... გაუგებრობა მქონდა მასზე... სწორედ უცნაური ამბავი გახლდათ და შეხადლოა არც არავის დაეჭერებინა, მაგრამ თავის ახლანდელ ბედძნელობაზე ზრუნვას რატომღაც გულს ვერ უდებდა, სხვა საწუხარის ბასტიწოდებოდა — ბევრად მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო, ესაც მას ეხებოდა, სხვას არავის, თუმცა რაღაც განსხვავებული რამ იყო, — რაღაც უმთავრესი.“

„და მანაც სვიდრიგაილოვს მიაშურა. ნეტა რაიმე ახალს, რაიმე რჩევას ან მითითებას ხომ არ ელოდა მისგან? წყალწაღებულები აქი ხავსს ეკიდებიანო! იქნებ ეს მხოლოდ დაღლილობის და სასოწარკვეთილების პრაღი იყო. ან იქნებ სვიდრიგაილოვი კი არა, სულ სხვა ვინმე სჭირდებოდა, სვიდრიგაილოვს კი რაღაც ეშმაკად გადაეყარა, იქნებ სონია სჭირდებოდა? მაგრამ მის გახსენებაზე ტანში ზარავდა — სონია უღმობელ მსჯავრს და ურყევ გადაწყვეტილებას მოახწავებდა. ორში ერთში: ან სონიას გზას უნდა დასდგომაოდა, ან — თავის საკუთარს. ხომ არ აჯობებს ისევ სვიდრიგაილოვი გამოსცადოს — ვინ არის, რა კაცია? უნდა გამოუტყდეს თავს, რომ კარგა ხანია, რაც სვიდრიგაილოვი თითქმის მართლაც სჭირდება რაღაცაში.“

მაგრამ მაინც რა უნდა მქონოდათ საერთო? ერთნაირად ბოროტმოქმედებაც კი არ შეეძლოთ. თანაც სვიდრიგაილოვი ვიღაც ხაძაგელი, გარყვნილზე გარყვნილი და ვირეშმაკა კაცი

ჩანდა, ვინ იცის, იქნებ, ძალზე ბოროტიც იყო. მართალია, თავი ბამოილო და პატმირინს ივანოვსას ბავშვებზე იწერდა, მაგრამ არავინ უწყის, რისი გულისათვის ჩაიდინა ეს და რას გამოელოდა ამ ამბიდან? —

შეხვედრა შედგა, მაგრამ რასკოლნიკოვს რატომღაც მთლად გაუცხტებოდა სიტყვები მოეხსამა, ხული ეხუთებოდა, ნანობდა — ნეტა აქ რას მოვებირეო. დარწმუნდა, რომ სვიდრიგაილოვი ძველნად უკველზე უსულ-გულთ და წყალწაღებულ ბოროტ-მოქმედი ბრძანდებოდა...“ „თუნდაც წამით მაინც რამ მაფიქრებინა, რომ ამ უსირცვილო, ავბორცი ბოროტმოქმედისაგან, ამ გარეწრისა და გათახხირებულისაგან რაიმე სიკეთე გამოტყვრებოდა!“

მაინც რას გამოელოდა იგი სვიდრიგაილოვისაგან?

რასკოლნიკოვი სონიასგან იმითომ წამოვიდა, რომ იქ „ან სონიას გზას უნდა დასდგომაოდა, ან — თავის საკუთარს“. სონიას გზა ზღურბლს გადმოლმა, ხიკეთესთან დაბრუნებოდა, თავისი საკუთარი გზა კი — ზღურბლს გაღმა დარჩენა და ეშმაკისათვის ხულის დაგირავება.

სვიდრიგაილოვისაგან რაღაც ელოდა იგი?

მათი უკანასკნელი საუბრის დროს, როცა სვიდრიგაილოვი ხარხარებდა, რასკოლნიკოვს დასცინოდა და თავისი ხულის მთელ ხიზინძურებს გამახელბელი ცინიზმით ანთხევდა მის წინაშე, რასკოლნიკოვს ისევ მარმელადოვას ბავშვები გაახსენდა.

„— კი მაგრამ, კატერინა ივანოვნას ბავშვებს რომ უპატრონეთ? თუმცა... თუმცა თქვენ სამაგისო მიზეზსაც იპოვიდით.. ახლა კი ვხვდები უველაფერს.“

ნუთუ კატერინა ივანოვნას ბავშვებზე სვიდრიგაილოვის ზრუნვამ რასკოლნიკოვს მართლა აფიქრებინა, რომ სვიდრიგაილოვმა არა მარტო „ზღურბლი“ გადალახა, არამედ ნამდვილადაც მოარღვია იგი? — რომ ის თავის თავის კითხვულს და სწორედ მის გარშემო თავის ხუფლებს ის „ჰაერის“, რომელსაც ვერ ვიპოვით რასკოლნიკოვის ხულისშემხუთველ ფხიქოლოგიურ ლაბორატორიაში?

ერთხელ, ბევრად ადრე თვითონ რასკოლნიკოვის ცხოვრებაშიც იყო წამი, როცა უცებ მოეჩვენა, რომ მის გარშემოც დაქროლა თავის ხუფლების ამ ჰაერმა. მაშინ კარტით გაქვიწყული მარმელადოვი მიიყვანა ბინაზე და თავისი უკანასკნელი ოცი მანეთი მის მეთულეს დაუტოვა.

„რასკოლნიკოვი ნელა, აუჩქარებლად ჩადიოდა კიბეზე. ცახცახმა აიტანა. მართლაც მონაწილე მძლავრი, სიხსლსავე სიცოცხლის ჯერ არბანცდილი, აუტანელი უბრძნეობა.“

ეს განცდა იმ სიკვდილმისტილის შეგრძნებას ჰგავდა, რომელსაც მოულოდნელად გამოუცხადეს შეწყალება“.

რასკოლნიკოვი კიბზე პოლიციის ბოქაულს გაესაუბრა. ბოქაულს ერთ დროს ექვმიტანილი ჰყავდა იგი ბებრუხანას მკვლელობაში.

„— ბიკოს, რა სისხლში ამოსვრილხარო, — შენიშნა ბოქაულმა, როცა ფარნის შუქზე რასკოლნიკოვს სისხლის რამდენიმე ახალი ლაქა დაუნახა ეილეტზე.“

— დიახ, ამოვითხვარე... სისხლში ვარ ამოვლებული — ნიშნულად ჩაილაპარაკა რასკოლნიკოვმა, მერე გაიღიმა, ბოქაულს თავი დაუქრა და კიბზე დაეშვა“.

დიახ, ის „სისხლშია ამოვლებული“, ბებრუხანას სისხლში, რომელიც მოკლა, და მარმელადოვის სისხლში, რომლის გადარჩენასაც ცდილობდა.

რასკოლნიკოვი ხიდზე შეჩერდა. რამდენიმე ხაათის წინ ამ ადგილიდან წყალში გადავარდნას აპირებდა.

„ქმარა! — რიხიანად წამოიძახა მან, — შორს ჩემგან მოჩვენებებო, შორს ჩემგან შიშო! არა, არ გაწყვეტილა სიცოცხლის ძაფი, — ვცოცხლობდი წელანი“

სავსებით ცხადია, რასკოლნიკოვი სიცოცხლის ძაფში „სიკეთისაკენ“ უბრალო მობრუნებას არა გულისხმობს. მოკლეული ბებრუხანას სისხლის ჩამორეცხვა არც უფიქრია.

„ღმერთმა ხახუფიველი დაუშვედროს! და კმარა აწი, დედილო, შენი დღე ისედაც მოკმეული გქონდა! ახლა უკვე გონიერების და სიმართლის უამი დადგა, — უამი ნებისყოფისა და ძალთაბმევისა. ახლა ვნახეთ, მინ ვინ აჯობებხს! — გულწვიადად დასძინა მან, თითქოს რომელიღაც ბნელ ძალას ემუქრება და ბრძოლაში იწვევსო.“

მაინც რა მოხდა ისეთი, ასე რომ შეცვალა იგი? — გვეკითხება დოსტოევსკი, — ეს მან თვითონაც არ იცოდა; წყალწაღებულებით ხავსს მოექიდა და უცებ მოეჩვენა, რომ მასაც ეცხოვრება, რომ ჯერ „არ გაწყვეტილა სიცოცხლის ძაფი“. იქნებ ეს მისი დასკვნა ნაჩქარევიც იყო, მაგრამ ამაზე არც უფიქრია“.

ჰოდა, ალბათ ეგონა, სვიდრიგაილოვში იპოვიდა „სისხლსავსე ცხოვრებას“, სვიდრიგაილოვი მიიჩნია კაცად, რომელსაც ორივენი სისხლის გაძღება შეეძლო; ეგონა, სვიდრიგაილოვის ხულში მართლა ერთმანეთს უთავსდებოდა უმანკო პოლტიკა მარმელადოვას ტიტინი და გაუპატიურებული დისშვილის, ქალბატონ რესლიხის კივილი. იქნებ თვითონ დოსტოევსკის ხულის სიღრმეში მართლაც ცოცხლობდა უგუნური აზრი, რომ საზოგადოდ ამათი შეთავსება

რადაცნაირად მოხერხდებოდა, ოღონდ რასკოლნიკოვი რომ ასეთ რაშეს სვიდრიგაილოვისაგან მოელოდა — ეს მხოლოდ მისი გზადაბნეულობით და სასოწარკვეთილებით აიხსნება.

სვიდრიგაილოვმა, რა თქმა უნდა, იმედი გაუცრუა რასკოლნიკოვს.

თუმცა რასკოლნიკოვმა კი ვერღარ შეამჩნია, რომ მის უსიტყვო შეკითხვას სვიდრიგაილოვმა წარდამცემი, მაგრამ სავსებით სწორი პასუხი გასცა.

„— ჩემთან ალბათ რაღაც ახლის გაგების ნიაშმა მოგეყვანათ? ხომაა ასე? ხომაა ასე?“

— ჩააყვდა სვიდრიგაილოვი ცუდლუტური ღიმილით, — ჰოდა, წარმოიდგინეთ ამის მერე, რომ აბათოვბინასს შე სწორად თქვან ამოვბიღეთ უწურუნი, მებონა, რაშე ახალს მებტოღიო, ვიფიძრე, თქვენგან რაიშეს ვინახებ-მითქი! ჩაში ავლაღიღიან კურად. ღილს აიკიღება!

— ნეტა ჩემგან რა უნდა გეხეხებებიათ?

— აბა რა გითხრათ? განა შე კი ვიცი, რა უნდა მესხეხებია? ხომ ხედავთ, რანაირ სამიკიტნოში ვუწურუტებ, — შეგემრიელება აქაური საკმელი, უფრო სწორად, ბარემც არ შეგემრიელება, მაგრამ მეტი რა ჩარაა, სადმე ხომ უნდა დაქდე კაცი და ივახშმო... დიდი მჭამელი და პირის გემოს მოყვარული რომ ვიყო — კიდევ მო, შე კი აგე, რისი ჭამა შემიძლია! (მან თითო ოთახის კუთხისაკენ გაიშვირა, სადაც პატარა მაგიდაზე ჭამი იდო, რომელზეც გულისამრევი კარტოფილიანა ბივშტექის ნამუსრევსა და რჩენილიყო“).

სვიდრიგაილოვმა იცის, რა ხდება რასკოლნიკოვის გულში — იცის, რომ მას ამ უწმინდური მოღვაწეობით აუტანელი სულიერი ტკივილისაგან თავის დაღწევა სწადია; — ისიც იცის, რომ ეს მოღვაწეობა სხვა არაფერია, თუ არა „გულისამრევი კარტოფილიანი ბივშტექის“, მაგრამ თვითონ სვიდრიგაილოვის ხულში ისეთი ქაოსია — პირის გემოსათვის აღარა სცხებდა; ის რასკოლნიკოვის „ბივშტექისზეც“ უაბულსაა და ძალიანაც „მეგემრიელება“ იგი, უფრო სწორად, ბარემც არ ეგემრიელება, მაგრამ მეტი რა ჩარაა, რაღაც ხომ უნდა ჭამოს, სული რომ არ ამოხდეს... „მისი ავლადიდება კურდღელს აეკიდება!“ რასკოლნიკოვის „იდეა“ — კვადრატული ფეხვის ამოსაღებად თავით მარხლის ნაყვისა — სიცოცხლის მაკილობელა მაინც არის, მისი წყალობით იმას მაინც ვახერხებთ, რომ აფლეთებად კვეული ხულის სასიკვდილო ტკივილები გავიუწიოთ.

და სვიდრიგაილოვიც პირზე ღვარძლიანი ღიმილით განუმარტავს რასკოლნიკოვს ამ აბრუნდვაბრუნდების მთელ უაზრობას, რომელსაც რასკოლნიკოვი აქამდე თვალს არიდებდა.

„— კი მაგრამ, ეს რაღაა? გამოგვიჩინეთ, გენაც-
ვა, თუ ღმერთი გნამთა რაღაც ხელ ობრავთ და
ობრავთი წამდაუწუმ შილერი ქანუდება თქვენში.
არა, კარზე მიუყრადებაც რომ დამიშალა? თუ
გჭერათ, რომ კარზე მიუყრადება არ შეიძლება,
ხოლო ბებრუბანებს, რაც მოგეპრიანებათ, იმას
ჩასცხებით თავში საკუთარი სიამოვნებისათვის,
მაშინ მოუსვით აქედან, მიბრძანდით — ამე-
რიკას მიაშურეთ... ვხვდები, რაც გაფიქრებთ.
ზნეობრივი საკითხი, არა? — მოქალაქის და
აღამიანის საკითხი. მოგცლიათ ერთი; აწი რა-
ღაში გჭირდებათ ეხენი? მე-მე! თუ ისევ მოქა-
ლაქე და აღამიანი ბრძანდებოდით, მაშინ რაღას
წაეჩხირეთ, ხადაც არ გამოთბებოდნენ.“

VIII

„ნიმი ავლადიდება კურდღელს აშკიდება“

თვითმკვლელობის ღამეს, როცა სვიდრიგაი-
ლოვის თავში აზრები დომხალივით ირეოდა, მას
რასკოლნიკოვი გაახსენდა.

„ეს რასკოლნიკოვიც კი ფეხებიდან გასვე-
თილია! გველის ქერქშია გამძვრალი. დრო მოვა,
ისიც ჩავარდება კუთაში, — დიდი თავზებელა-
დებული ვინმე იქნება, ჭერჭერობით კი ნაშე-
ტანს დაქანკალებს თავის სიცოცხლეს. არა, ამ
საკითხში ეს ხალხი მართლაც უნამუსოა.“

თვითონ სვიდრიგაილოვს თავი მთლად მოს-
ძულდება, ხული „ბოშის ხწორებით“ წაუწყვე-
დია და ახლა, ცივ სასოწარკვეთილებაში ჩავარ-
დნილი, მოჩვენებითი სიმშვიდით უახლოვდება
თვითმკვლელობას.

რასკოლნიკოვს გაქანებულ ბორცმომქმედად
მიანდა იგი, ავბორც და გათახსირებულ კაცად
ივლიდა, მაგრამ დოსტოევსკი შენიშნავს, რას-
კოლნიკოვის დასკვნა ხწორი არ იყო. და მარ-
თლაც, სვიდრიგაილოვი ბევრად უფრო „ორი-
გინალურია“ ვიდრე რასკოლნიკოვსა მგონია.
ეს „ორიგინალურობა“ მკაფიოდ შელავნდებ-
და დუნიასთან მისი უკანასკნელი შეხვედრის
შემწარავ სცენაში.

სვიდრიგაილოვმა დუნია თავის ცარიელ ბი-
ნაში შეიტყუა და შეეცადა მისი ძმის დაბეჭდუ-
ბის მუქარით აეძულებინა იგი დანებებულიყო...
როცა ამან არ გაჭრა, უბოდიშოდ გადავიდა ძა-
ლაღობაზე. დუნია მრევოლვერი დააძრო.

„— ოხოო! ეგრე განა? — წამოიძახა სახ-
ტად დარჩენილმა სვიდრიგაილოვმა და სიმწრიო
გაეცინა — ამით ხელ შეცვალეთ საქმის ვითა-
რება. თქვენ თვითონ მიუყრავთ ხელს, ავ-
დოთია რომანოვნა!“

სვიდრიგაილოვმა დუნიასკენ გაიწია, ცი-
ნიკური, განგებ შერჩეული უხამსი სიტყვებით
მოაგონა, რაც იყო მათ შორის.

„— ეტუობა, დაგვიწყებიათ, როგორ გინდავ-
დით ხოლმე, როცა მუსაიფს უაღიანდრე, ვული
გელეოდათ, ინაბებოდით... თქვენს თვალეში
უველაფერს ვკითხულობდი; ~~უაღიანდრე~~ ხადა-
მოთი, მთვარის შუქზე, ბუნებრივად? სვიდრიგაილოვმა ჩაიციხა.

— ვიცი, რომ მესვრი, ღამაზო მხეცუნა, —
ჰოდა, მესროლეს“

დუნია მესროლა. ტუვიამ სვიდრიგაილოვს
ოდნავ გაუყარა თავი, მაგრამ იგი, — ეს „გაქ-
ნილი ბორცმომქმედი, ავბორცი და გათახსირე-
ბული კაცი“ — დუნიას თავს აღარ დასხმია.

„— დამაცილეთ განა? მაშინ ერთიც მას-
როლეთ, გელოდებით, — წარმოთქვა წუნა-
რად სვიდრიგაილოვმა, თან ნაღვლიანად ეღიმე-
ბოდა, — ნულარ აუოვნებთ, თორემ სანამ ჩახ-
მხსს შემართავთ, დაგიკერთ და ეგ იქნება!“

დუნია მეროდევაც ესროლა, მაგრამ არ გავარ-
და.

„— ვერ დაგიტენიათ წესიერად. არა უშავს
კიდევ გაქვთ ერთი კაფსული. გაახწორეთ, მე
დაგელოდებით.— სვიდრიგაილოვი დუნიას პირის-
პირ იდგა ორ ნაბიჯზე — მგზნებარე, ანთებული
თვალეებით შესცქეროდა და ჭიუტი გადაწყვეტი-
ლებით ელოდებოდა. დუნია მიხვდა, რომ ეს
კაცი უმალ ზედ შეაკვდებოდა, ხელიდან კი არ
გაუშვებდა მას.“

ეს რა ხდება? თითქოს ბორცნულ სიწმარსა
ვხედავთ. ჩვენ თვალწინ აღამიანი ორდება, —
ორ არსებად იხლიჩება ტანჯვა-წვალებით. სამ-
კვდრო-სახიცოცხლოდ წაკიდებულან ეს არსე-
ბები. — უელში ჩაფრენიან ერთმანეთს, ეროს
უაქველი დაღუპვის ფასად ბორცმომქმედების
უფლება შეუძენია მეროისაგან.

დუნია მრევოლვერი გადააგდო.

„— მაშ, არ გიყვარვარ? — წუნარად შეე-
კითხა სვიდრიგაილოვი, — და... ვერც შემიყვა-
რებ?... ვერახოდეს ვერ შემიყვარებ? — წაი-
ჩურჩულა სასოწარკვეთილმა.“

„საშინელი, უსიტყვო ბრძოლის წამი“, სვიდ-
რიგაილოვი ფანჯარასთან მივიდა, არც გამოუ-
ხედავს, ისე დადო მაგიდაზე კარის გასაღები.

„— ჩქარა აიღეთ და გამეცალეთ!.. დროზე!“

„შემწარავად გაისმა ეს „დროზე“. დუნია
კარისაკენ გაქანდა. სვიდრიგაილოვს სახე უც-
ნაურმა ღიმილმა მოუქცია, სუსტმა, ხევდიანმა
და გულსაკლავმა ღიმილმა, — სასოწარკვეთი-
ლების ღიმილმა.“

ნამდვილად მართალი იყო სვიდრიგაილოვი,
როცა რასკოლნიკოვს დასცინოდა. — მას ხომ
სვიდრიგაილოვის იმედი, მქონდა — იქნებ
„მხსნელად მომეცლინოსო“. ჰოდა, მხსნელიც
ასეთი უნდა! ხელში ორი დაუცხრ. მკლი, ერთ-
ნაირად უფლებამოსილი და ერთმანეთის მოძუ-
ლე მბრძანებელი აბორგებულა და ერთმანეთს

დახტაკებია. სივიწროვისაგან ვერც ერთი ხე-
რიანად წყელში ვერ გამოართულა. — არც ერთს
არა აქვს ცხოვრების შნო და ერთმანეთსაც
მხოლოდ ხელს უშლიან.

„იცით რა, ასე მგონია, ორად ვიყოფი-მეთქი,
— ამბობს თავზარდაცემული ვერსილოვი, —
თითქოს თქვენ აბლოს თქვენი ორიული იდეგეს;
თქვენ თვითონ ტკიანი და გონიერი ხართ, იმას
კი უსათუოდ უნდა თქვენ აბლოს ჩაიდინოს
რალაც სისულელე, ხანდახან კი ძალზე მხიარუ-
ლი რამე და უცებ ამჩნევთ, რომ თურმე თქვენ
თვითონ გინდათ ამ მხიარული რალაცის ჩადენა
და ღმერთმა უწყის რატომ, ესე იგი, გინდათ
კიდევ და არც გინდათ, გამწარებით იურჩებით
ამ ხურვილს და მაინც გინდათ.“

„აქ უველა სამანი იშლება, უველა საპირისპი-
რო ერთმანეთს ერწყმის. — ამბობს დიმიტრი
კარამაზოვი, — ვერ ამიტანია, როცა ზოგი
გულწრფელი და ტკიანი ადამიანი ღვთისმშობლის
იდვალით იწყებს და სოდომის იდვალით ამთავ-
რებს. კიდევ უფრო საშინელია, როცა კაცს
სულში სოდომის იდვალი აქვს ღვთისმშობლის
იდვალსაც არ ეშვება, — ხულში მისი ცეცხლი
უნთია, ტეშმარიტად—ტეშმარიტად მისი ცეცხლი
უნთია! აღუვსებელი საწყაულია ადამის შვილი
— ბევრისდამტევი, ის, რაც გონისთვის სამარ-
ცხვინოა. გულს ერთიანად სილაშავედ შეურაც-
ხია. არადა, ნუთუ სოდომშიც არის მშვენიერე-
ბა? მაი, მაი, რომ ადამიანთა უმრავლესობას
სწორედ სოდომში ეგულება მშვენიერება?“

საქმის ვითარება ბევრად რთული გამოდგა,
ვიდრე აქამდე გვეჩვენებოდა. ის კი არ არის
თავიდათავი, რომ ერთიან ადამიანურ სულს
რალაც წარმოსახვითი ზღურბლი უშლის ხელს
თავისი „ბოშის გახწორებაში“, — თავი და თავი
ისაა, რომ ეს ზღურბლი სულაც არ გახლავთ
წარმოსახვითი. ის ღრმა ნაპრაღით ორ ნაწილად
ხლეჩს ადამიანის სულს და მასთან ერთად —
„ბოშის სწორების“ უნარსაც.

ბერი ზოსიმა ეუბნება ივან კარამაზოვს:

„თქვენი ამბავი რომ ვიცი, თუ საკითხის და-
დებითად გადაჭრა ვერ მოახერხეთ, ხამაგიეროდ
ვერც უარყოფითად გადაჭრით ვერასოდეს,
თავადაც კარვად მოგებხსენებათ — ეს თქვენი
გულის თვისებაა ასეთი.“

ამასვე ეუბნება რასკოლნიკოვი სონიას, აი-
გივებს რა მას თავის თავთან:

„ — ისეთ ზღურბლთან მიხვალ, რომ, თუ არ
გადალაზავ შავი დღე გელიხ, გადალაზავ და —
მით უარესი“.

იყოს თავისთავადი, ანუ ისე მოიქცეს, რო-
გორც ეპრიანება — ეს დოსტოევსკისათვის
უველაზე სანუკვარი, მაგრამ უოველად განუხორ-
ციელებელი ოცნება გახლავთ. აგიზგიზებულ
კოცონში უინულის ხორცი ჩაუგდიათ. რა ბედე-

ნაა, თუ ამ დომხალს შეუძახებენ: „იყავ თავის-
თავადი“ — ცეცხლი უნუღს გააღღობს —
გამდნარი უინული ცეცხლს დაშრიტავს: აღარც
უინული იქნება. — აღარც ცეცხლი, ერთი აშშო-
რებული, მზრჩოლავი მსაქარტუტელა დარჩება,
— სვიდრიგაილოვის ვერსილოვის, დიმიტრი კა-
რამაზოვის მსგავსი...

„აბა ერთი მოსინჯეთ. — წერს დარანის კაცი,
— ერთი მოსინჯეთ და ჩვენს ნებაზე მიგვიშვით,
— გაგვიხსენით, ხელ-ფეხი, რომელ ჩვენგანსაც
გნებავთ, მოგვეციოთ გახაქანი, მოგვაშორეთ თა-
ვიდან ეს მებურვეები და ჩვენც... გარწმუნებთ,
რომ ჩვენც იმავე წუთში მებურვეობა მოგვენატ-
რება!“

მაცდურის მოღვაწეებით ბოროტების მებურ-
ვეობა მოენატრებათ, თუ ალიოშა კარამაზოვი-
ვით — სიკეთისა, ეს სულ ერთია, მთავარია,
თავისუფლება მოიშორონ. მთავარია, რამენა-
ირი მოვალეობით ხელახლა შეაკოწიწონ დაფ-
ლეთილ-დარღვეული სული.

„არასოდეს არაფერი არ უოფილა ადამიანე-
ბისათვის თავისუფლებაზე უფრო აუტანელი! —
ამბობს დიდი ინკვიზიტორი. — ისინი მემამოხეები
არიან, მაგრამ ბედოვლათი მემამოხეები —
თვითონვე ხდებიან თავიანთი ამბოხის წერა...
სუსტების რა ბრალია, თუ იმდენს ვერ უძლებენ,
რამდენსაც ძლიერები? რას ემართლებით სუსტ
ადამიანს, თუ ასეთი საშინელი ჭილდო ვერ შე-
უშნოვებია?“

„ნუ შეშინდები“ ადამიანო, იყავ ამაყი შენ არა
ხარ დამნაშავეი...“ — რა უსიამო ბაქიბუქად
გაისმა აბლა ეს მგზნებარე მოწოდება, როგორ
ჩამოგავს იგი კირილოვის ბედის სამდურავს.

„მე ჭერ მხოლოდ იძულებით ვარ ღმერთი,
მე უბედური ვარ, რამეთუ მწკვალე ვარ
თვითნებობა გამოვავლინო. მე ძალიან უბე-
დური ვარ, რამეთუ ძალიან მეშინია. შიში დი-
დი ღვთის რისხვას ადამიანისათვის... მაგრამ
მე განვაცხადებ თვითნებობას“.

მაგრამ უკვე აღარც ნებეულად ცხოვრების
შესაძლებლობისა სჭერათ და არც მისი მაცხ-
ოვნებელი ძალისა. მებრძოლს გამარჯვების
იმედი გადასწურვია და, თუ მაინც იბრძვის,
მხოლოდ იმიტომ, რომ დროშით ხელში სურს
დაიდუქოს.

ჩვენ თვალწინ თითქოს ვეებერთელა ურო-
თი ლეწენ სიკოცხლებ და ხულ უფრო აქუს-
მაცებენ. მარტოდმარტოა ადამის მოდგმა ამ
სამყაროში; უოველი კაციც მარტოდმარტოა
მოყვანთა შორის, თვით მისი სულიც ნამტვ-
რევებად დაღეწილია; სიკოცხლე მხოლოდ
დაქუსმაცებულ, ერთმანეთისთვის უცხო ნამ-
ტვრეთა ქაოტურ გროვად გადაქცეულა.

სიუპარული არის ტანჯვა-წამება

ბნელი, მიყრუებული უბნების „აქოთებული ქუჩაბანდებიდან“ გულჭავრძიანი დედაკაცები გამოდიან, — ანჩხლები, სვედავსებულები, ქაბუკური სიზმრებივით მხურვალე ვნებების ამშლელი ქალები, როგორც სიზმრებში, ისე ვნებიანად ეტანებიან ამ ქალებს განაწამები მამაკაცები და იწყება ავადმყოფური, კოშმარული კონვულსიები, დოსტოევსკი რომ-სიუვარულს არკმევს.

დიდი უთანხმოება, სასტიკი მტრობა ჩამოვარდნილა ქალსა და მამაკაცს შორის. რაღას არ ნახავთ მათ სულელებში: მოწამეობის სიუვარულს თუ სხვისი გატანჯვის ეინს, ძალაუფლების წყურვილს თუ თავის დამცირების წადილს, — შენმატკბილებულად ცხოვრების ნიჭს კი — ნურას უკაცრავად; თითქოს ბოროტმა ჩადოქარმა შერისხა ისინი; მხურვალედ და სათუთად ენთებიან სულელებში სიუვარულის ელვარე ჩირადნები — გარეთ კი მათ მძულვარების ღვარძლი გადმოინთხევა. სიუვარულის ქველაზე დიდი ბედნიერება საუვარელი არსების გატანჯვა და გაწვალება უოფილა.

„— დიახ, სიუვარულის, — წერს დარანის კაცი, — სწორედ სიუვარულის გამო ხდება, საუვარელი არსება რომ თავისი ნებით გვითმობს მისი ტირანიზების უფლებას“.

„დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“ ნატაშა „გუმანით გრძნობდა, რომ იქნებოდა თავადის მეუფე, მისი მბრძანებელი, რომ ალიოშა მისი მსხვერპლიც კი შეიქნებოდა, ის წინასწარ ტკებოდა ნეტარებით, თავდავიწყებით გიუვარდეს და აწვალებდნე საუვარელ არსებას სწორედ იმიტომ, რომ გიუვარს. ალბათ იმიტომ იყო, რომ იჩქარა და პირველი შეეწირა მსხვერპლად“.

თუ დოსტოევსკისთან მამაკაცს ქალი ექავრება ან ქალს — მამაკაცი, მაშინ მკითხველმა უნდა დაასკვნას, რომ მათ ერთმანეთი მყვარებიან. და ეს მით უფრო უეჭველია, რაც უფრო სასტიკია მძულვარება.

„— მაინც რა სიძულვილია! რა სიძულვილი! — წამოიძახებს უმაწვილი ვერსილოვის შესახებ, — და რიხი გულისათვის? რისთვის? ქალის ახე შეძულება! ისეთი რა დაუშავა?“

— სიძულვილი — გააფთრებული დაცინვით გამოაჭავრა ტატიანა პავლოვნამ“.

სიძულვილი და სიუვარული, სიუვარული და სიძულვილი...

„ნუთუ ახე ძალიან უყვარს ის ქალი, — ფიქრობს უმაწვილი, — თუ სულაც ახე ძალიან“

სძულს? არ ვიცი, თვითონ მაინც თუ იცის ნეტა?“

თავადი მიშკინი ეუბნება როგორღაც, სიუვარულს სიძულვილისაგან ვერ გაარჩევს კაცი“. მაგრიკი ნიკოლაევიჩი ცხუბნებდა სტრუროგინს ლიზას შესახებ: სიძულვილი სძულხართ უოველ წამსა და წუთს, მაგრამ ამ სიძულვილში უოველ წამს და წუთს სიუვარული და... სიგიჟე გამოკრთის... გულწრფელი, უზომო სიუვარული და სიგიჟე! და პირიქით, ჩემდამი სიუვარულში, ისეთივე გულწრფელში, უოველ წამს და წუთს სიძულვილი გამოკრთის — უდიდესი სიძულვილი!“

კუშკინის „ეგვიპტურ ღამეებში“ კლეოპატრა მსურველებს სიუვარულს სთავაზობს მეორე დილით სიკვდილით დასჯის ფასად. ამასთან დაკავშირებით დოსტოევსკის მწერების ვნებისმოყვარეობა ახსენდება, „ვნებისმოყვარე მდედრი ობობა მამრ ობობას ჭამს“.

მწერების ვნებისმოყვარეობას დოსტოევსკი თავის გმირების სიუვარულთან დაკავშირებით ხშირად იხსენებს.

ქათმების ოჯახს თუ ახალ დედალს შემატებენ, მამალი მას მაშინვე შეიფარებს, — დაუუვავებს, საკენკს შესთავაზებს, — მის თავს სხვა დედლებს არ დააჩაგვრინებს; თუ ვინიც ცობაა, დედალი სადმე გაიქცა, მამალი მოძებნის და უკან დააბრუნებს, თავიანთ ენაზე მოეფერება: „უო-ო! უო-ო!“ გაგიკვირდებათ და გული აგიჩუყდებათ, იქამდე მიდის ეს მზრუნველობა. დამლამობით მამალი თავის ახალშეძენილ მეგობარს ქანდარის ბოლოში დაასკუბებს, თვითონ კი გვერდში მიუჭდება და ამნაირად დაიფარავს ძველი დედლების ნისკარტისაგან, როცა დედალს კვერცხი მოაწვება, მამალი საბუღართან მიიუვანს, ჯერ თვითონ ჩახტება შიგ, ჩაიბუდებს, მერე ამოვა, დედალს გარს შემოუვლის „უო-ო! უო-ო!“ და საბუღარში ჩახვამს.

მაგრამ ცხოველური სიცოცხლის დაბალ საფეხურებზე სიუვარული ხშირად მაზინჯი და საშინელია. გომბეშოებსა და ბაყაყებში ვნებისაგან გამძვინვარებული მამრის მარწუხებიდან გამოშვებული მდედრი ხშირად გულმკერდაფლეთილი და წელეუადმოყრილია, არცთუ იშვიათად — მკვდარიც. ობობა საალერსოდ მილოდდება მდედრთან, ის კი — ებდღვნება და ჩადმურძლავს მას, ანდა, — ჯერ მიუშვებს, დაწებდება მის ალერსს, მერე კი — ეცემა და შესანსლავს.

რა თქმა უნდა, საექვოა ბაყაყები და ობობები ასეთ დროს რომ რაიმე განსაკუთრებულ ნეტარებას განიცდიდნენ. აქ მხოლოდ გრძნობის სიჩლუნგე, საკუთარი არსების ფარგლებს გარეთ გასვლის უუნარობა იჩენს თავს. მაგ-

რამ თუ ცხოველური სიცოცხლის ამ ბაჭაქღანები ინსტიქტები ადამიანშიც დამკვიდრდა, თუ ამ სიუვარულის შემზარავი წინააღმდეგობები გონების შუქითაც განათდა, მაშინ ის შხამიანი, მათრობელა ვნებისმოყვარეობაც გარინდება, დოსტოევსკისეულ სიუვარულს რომ ასულდგმულდება.

ამიერიდან ვნება ჩლუნგი და გულგრილი როდია საყვარელი არსების ტანჯვისა და სიყვდილის მიმართ, ამიერიდან ვნება ამ არსების სიძულვილს, მისი გატანჯვისა და სიცოცხლის მოსპობის სწრვილს შერწყმია.

„გაგანადგურებთ!“ — ეუბნება ვერსილოვი კატერინა ნიკოლაევნას. თავადმა მიშკინმა, როგორც კი გაიცნო რაგოჟინი, პირველი შთაბეჭდილებისთანავე დარწმუნდა, რომ თუ ეს კაცი საყვარელ ქალს ცოლად შეირთავდა, კვირის თავზე უელსაც გამოჰკრიდა მას.

რაც უფრო ძნელად ჰგუობენ ერთმანეთს ადამიანები, რაც უფრო ღრმა განხეთქილება სუფევს მათ შორის, ვნებაც მით უფრო მკვეთრი და მწველი შექმნილა. სვიდრიგაილოვი უამბობს რასკოლნიკოვს თავისი საცოლის შესახებ:

„— მე ორმოცდაათი წლის კაცი ვარ, მას კი ჯერ თექვსმეტიც არ შესრულებია... მოდი ახლა და ნუ წაგძლევს სული. მოდი და ნუ წაგძლევს-მეთქი, მა-მა!.. წუხელ მუხლებზე დავისვი, ცოტა არ იყოს მოურიდებლად მომივიდა, იცოცხლე-თქო სახე აელეწა, თვალები ცრემლებით აევსო — არადა, თონესავითაც რომ ხურსს უცებ კისერზე მომეხვია და კოცნა დამიწყო, მეფიცებოდა, შენი ერთგული და მორჩილი ცოლი ვიქნებიო, ყველაფერს შენ შემოგწირავ, შენგან არაფერი მინდა, ოღონდ „უბატოდ ნუ მომეკცვიო“. დამეთანხმებით, ამნაირი აღხარების მოხმენა ჯერაც მარშაშისკაბიან თექვსმეტი წლის ანგელოზისაგან — რომელსაც სახეზე ქალწულებრივი სიმორცხვის აღმური მოხდებია და თვალეში სიხარულის ცრემლი უბრწყინავს — დამეთანხმებით, დიდი მაცთური რამ არის ხომ არის მაცთური? ხომ ღირს ერთ რამედ, ა? ხომ ღირს-მეთქი? რას იტყვით... მაშ უური მიგდეთ... ავდგეთ, წავიდეთ ჩემს საცოლესთან...“

— ერთი სიტყვით, სწორედ მისი უმწიფარობა და ახაკებს შორის ამხელა სხვაობა გახლებით და გაავხორცებთ! არა, ნუთუ მართლა მას შერთვას აპირებთ?

— ახა რა გგონიათ, ვაპირებ და ეგერი? —

გაშმაგებული შატოვი უუვირის სტავროგინს:

„— იცით კი, რად დაიწერეთ მაშინ ჯვარი, რად ჩაიდინეთ ეს სამარცხვინო და უნამუსო საქმე? სწორედ იმიტომ, რომ უადრესად სამარცხვინო იყო, სწორედ იმიტომ, რომ უაზრობა

იყო მოწყალება მოკინდათ, წნეობრივი სიავის ჩადენის სურვილმა. ავბორცობის ეინმა აგიტანათ, ხადი აზრის წინააღმდეგ გალაშქრებამ მოგბიბლათ! „სტავროგინი და ვილაც ბაჭაქღანა, ქრუასუსტი, მათხოვარი კობლაუბას“ ფიოდორ პავლოვიჩი უსტაშკინის ნებისმიერი „მოვეშა და ველფილკა“ ნეტარებას ჰგვირის. აკი თარაქამა ლიზავეტა სმერდიაშჩაიაშიც ნახა სიამე.

ხსენებული უმდაბლესი ცხოველების სიუვარული, მთელი მათი დისბარმონიულობის მიუხედავად, ცხოველშეოფელობის და რაღაც ველური ძალმოსილების შთაბეჭდილებას მაინც სტოვებს. დოსტოევსკის გმირების მშფოთვარე სიუვარულის შემკურთ, ჩვენც უნებლიეთ ახერამესვე ველით: აი, ახლა თოფისწამალივით იფეთქებს მათი ავბორცი ვნება — საზარელი, მხეცური და უღმობელი, ოღონდ შეუბღალავი და გულისწამლება ვნება, რომლის წინაშეც უველა წნეობრივი კანონი ტუვის, — ვნება, რომელიც თვით მხეცურ საქციელსაც კი ნათლით მოსაჯს, მაგრამ ეს ასე როდია, თითქოს სხეული სულიხაგან მთლიანად გამოიჭნულა. სხეული უგრძობი, უღონო და გულგრილი შექნილა, მხოლოდ სულია მშფოთვარე, — ხულშია ვნებათაღელვა, — სული განიცდის ავბორციული ნეტარების უმდაფრეს წუთებს.

უმაწვილს „ქირის დღესავით ეზარება ქაღებში“. ფულის მეშვეობით ადამიანებზე გაბატონების თავის იდეას ფანტაზიაში ხორცი შეახსა და ახლა ოცნებას მიეცა:

„მე კი არ გამოვედევნები ქაღებს, ისინი თვითონ მომაწყდებიან, როგორც მოვარდნილი წყალი, და შემომაძლევენ ყველაფერს, რისი შემოძლევაც კი შეუძლია ქალს. მე აღფერხით მოვეპყრობი მათ და იქნებ ფულიც მივცე. მაგრამ ჩამდათავად მათი არაფერი არ მინდა, ისინი ისევე გაბრუნდებიან, როგორც მოვიდნენ, გარწმუნებთ, — ოღონდ იქნებ საჩუქრები გავატანო, ამით ორმაგად უფრო მეც ცნობისმოყვარეობას აღვუძრავ.“

...და მარტო ამის გაფიქრებაც კი მაშოშმინებს! —

დიმიტრი კარაშაშოვი კატერინა ივანოვნას ერთი პირობით სთავაზობს საქირო ფულს: ქალი „მალულად“ უნდა მივიდეს მახთან ბინაზე და რადგან კატერინა ივანოვნას მამის გადახარჩენად სხვა გზა არა აქვს, გოროზი ლამაზმანიც თანხმდება.

„— უცებ ვიგრძენი, როგორ მიკბინა გულზე ფალანგამ, რაღაც ბოროტმა ბაბაქუამ —“

1. პუშკინი, „ძუნწი რაინდი“. ბარონის მონოლოგიდან (მთარგმნელი).

გამიგე შენა? ავხედ-დავხედე ქალს, ჩემს ხელშია მისი ხული — პარაზიტი და გათახსირებული კაცი ხელში. — გასკანჩული მყავს. ამ გველაძუა ფიქრმა ისე შემიქანა გული, ღამის შევლონდი კაცი... შევხედე ქალსა ქალწულსა, — შენ თუ ოინი არ გიყო-მეთქი. — ხულმდაბლური, ღორული, ვაკრული აზრი დამებოდა: ვიფიქრე, ერთს შევხედავ-მეთქი აგდებულად და ვეტყვი დაცინვით, ისეთი კილოთი, ვაკრუკანებს რომ სჩვევიათ მხოლოდ:

„არა, ბატონო, ოთხი ათასს ასე მაიძარად ვერ გადავური. გაგებუმრეთ მაშინ, გენაცვალე, განა ასე, ორას მანეთამდე, თუ გნებავთ, შემოძლია — ალალი და უსაყვედურო იყო.“

ცხადია, კატერინა ივანოვნა ამ შემთხვევაში აქაობას გაცდებოდა, სამაგიეროდ სულს ავხორცული ნეტარების წაში დაუდგებოდა. აბა, რას მოვა ამ ნეტარებასთან ღამაში ქალის გაუპატიურების სიამოვნება!

დიმიტრი ნებისყოფის ძალით ჩააცხრობს თავის აბორგებულ „წნეობრივ ვნებისმოყვარეობას“. კატერინა ივანოვნას ფულს ხულგრძელად უწყალობებს და ხანაცვლოდ არაფერს მოხსნავს. გაოგნებული ქალი მადლობის ნიშნად ფეხებში ჩაუვარდება მას და წავა.

დიმიტრი თვითონვე აღფრთოვანდება თავისი საქციელით. მაგრამ მაინც რამ ჩაადენინა მას ეს საქციელი? ნუთუ მარტოოდენ „ღვთაებრივმა ნაპერწყალმა“. ამ უტიფარ და აღვირახსნილ კაცში რომ გაიკიაფა? თუ ამ ნაპერწყალთან ერთად აქ ის ნატიფი წნეობრივი ვნებისმოყვარეობაც უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც ქანშრთელი სისხლის ადამიანმა არც კი იცის, რა ხილია? „ჩემს ხელშია მისი ხული, — გასკანჩული მყავს“. მერე კი ვინძლო ვნებისმოყვარე ოცნებით გატაცებული უმაწვილივით იფიქრა — „იხინი თვითონ მომაწყდებიან, როგორც მოვარდნილი წყალი, და შემომაძღვევენ უველაფერს, რისი შემოძღვევაც კი შეუძლია ქალს. მაგრამ ჩემდათავად მათი არაფერი არ მინდა. და მარტო ამის გაფიქრებაც კი მაშოშმინებს“.

კატერინა ივანოვნამ, ჩანს, შეატყო რა იდუმალი სიტუაცია განაცდევინა დიმიტრის თავისი სტუმრობით. „და მათი სულ პირველი შეხვედრა ქალს შეურაცხყოფად ჩარჩა გულში“. — გვაუწყებს ივანი. თვითონ დიმიტრიც ამბობს მერე კატერინა ივანოვნაზე:

„— უკეთილშობილესი ვინმეა, მაგრამ მე ვეჭავრები, დიდი ხანია, ო, რა ხანია ვეჭავრები... და ღირსიცა ვარ, ღირსიცა ვარ ამ სიძულვილის... რა ხანია, რაც ვეჭავრები, სულ პირველი შეხვედრისთანავე შემოძულა, ხწორედ იმ დღიდან, ჩემთან რომ იყო ბინაზე მაშინ...“

რა თქმა უნდა, ეს სიძულვილი კატერინა ივა-

ნოვნას ოდნავადაც არ უშლის დიმიტრის სიყვარულს. ხხვანაირად ის ვერც იქნებოდა დოსტოევსკის ქალი. ის კი არადა, დიმიტრის მხედვის ნამუსიკ რომ აეხადა — მაშინ თავის ბინაზე — მას ესეც ვერ ჩაუქრებდა ამ ცივი სიყვარულს. მერე კატერინა ამბობს მითხრობა: „დიასახლისში“:

„— ის მაწვადებს და მხეთქავს გულზე, რომ მე მისი სირცხვილნაჭამი მხევალი ვარ, — რომ ჩემი საკუთარი სირცხვილი და თავის მტკრა მევე გამიტკბა, მე უნამუსოს, — ეს ჩემი წადიერი გული თავისავე უბედურებას შესტრფის, ვითომ უბედურება კი არა, სიხარული და ბედნიერება უოფილიყოს. მე ის მანაღვლენს, რომ, რაც არ უნდა მაწყენინონ, ბრაზი არ მომეკიდება ამ ვაგლავ გულზე“.

ხულის სხეულისაგან გამიჯნულობა, მათი კავშირის სისუსტე დოსტოევსკის გმირებს აგულისებს და მთლიანად უკარგავს ცინცხალი, ხალასი ტრფიალის უნარს. რა მოხდა სკვორეშნიკში სტავროგინსა და ლიზას შორის ხანძრის დამეს? დილით ლიზას „მკერდი მკონდა გაღვილი“, სტუკობა, გახდას აპირებდა, მაგრამ გამოუცნობი რამ მოხდა, სტავროგინი შეცბუნებულია და ერთმანეთშიც რაღაც უცნაურად საუბრობენ. ხუმარა ვერზოვენსკი ამბობს:

„— შემოსვლისთანავე შეგატყვეთ, რაღაც „უბედურება“ გვირდათ! კოვში ზომ არ ჩაგივარდათ ნაცარში, მა? იცით, სანაძლეოს ჩამოვალ, მთელი დამე აღბათ გვერდიგვერდ სკამებზე ისხედით დარბაზში და ეს ძვირფასი დრო სულ მალა-მალა საგნებზე დავაში დაკარგეთ!“

და მაინც თუ რამეს შეხწევს უნარი დოსტოევსკის გმირები „ცხელი ღადარივით“ აპარპალოს და სისხლი აუდუღოს, მხოლოდ „წნეობრივ ვნებისმოყვარეობას“ და მოწამებობას. თუკი ეს ცხელი ღადარი არ ექნათ, სისხლი გაცივდება და ტანი საღათას ძილით დაიძინებს. სიყვარული დიახაც შეიძლება, ოღონდ — უსხეულო სიყვარული, ისეთი, ჩვენი ღვთისმლოცველი ხლისტები რომ „ფუჟე სიყვარულს“ უწოდებენ. ან სასტიკი „ვნებისმოყვარეობა“ — ან ფუჟე სიყვარული.

რახკოლნიკოს სონია მარშელადოვა უყვარს, მაგრამ ვერც კი დაიჭერებ კაცი, რომ ეს ქალის და მამაკაცის სიყვარულია. თითქოს თორმეტი წლის გოგონად გადაქცეულხართ და ასე გონიანთ, სიყვარული სხვა არაფერია გარდა იმისა, რომ ქალი და კაცი ერთმანეთს მტშპის: „მე შენ მიყვარხარ“. აღარც კი გაგონდებათ ის ნათელი ძალი, რომელიც ხორციელად აერთებს შეყვარებულებს და ამ ხორციელი ერ-

თბილის ძალით საიდუმლოდ აღრმავებს და ამკვეთრებს მათ სულიერ ერთიანობას.

თავად მიშკინს ნახტასია ფილიპოვსა უყვარს, — აგლაიაც უყვარს, — ერთის შერთვასაც აპირებს და მეორისასაც, და მაინც...

„— მე ზომ... თქვენ აღბათ არც იცით, მე ზომ ჩემი თანდაყოლილი ავადმყოფობის გამო ქალებისა სულ არაფერი არ გამეგება“.

და ისიც ხან ერთ ქალს მივარდება ხოლმე, ხან — მეორეს.

„— მე, უბრალოდ, ჭვარს ვიწერ მხოლოდ, ან რა მერე, რომ ჭვარს ვიწერ... აგლაია ივანოვსა გამიგებს.“

— ვერა, თავადო, ვერ გაგიგებთ — შეიდავა ევგენი პავლოვიჩი — აგლაია ივანოვსა ქალია, ადამიანი და უყვარდით ისე, როგორც ადამიანს შეუძლია სიყვარული და არა... განუცნებულ სულს“.

მაგრამ აბა რაგოვინი? ისე ჩანდა, თითქოს, ნახტასია ფილიპოვსასადმი მისი ლტოლვა წმინდაწყლის მხეცური რამ იყო — ძნელხათმენი, ხორციელი და დაუოკებელი. ის სამაგიერო სიყვარულსაც კი აღარ ხჩიოდა, მზად იყო ფულით მოესყიდა ქალი. საშინელია ეს ვნება, მრისხანე და სტიქიური. ყველა იმთავითვე გრძნობს, რომ მას ხისხლის ხუნი ახდის, მაგრამ მხოლოდ — ხუნი ახდის. ყოველ წუთს შეიძლება რაგოვინი სულში გახედდეს და ნახტასია ფილიპოვსას უელი გამოლაღროს, მაგრამ არასოდეს ეს ტანში არ გახედდება და მკლავებში არ მოიქცევს ქალს. ამ მხრივ თვითონ ნახტასია ფილიპოვსა ოდნავადაც არ უფრთხის მას, გულდამშვიდებით იტოვებს თავის ბინაში დამის გასათევად. რაგოვინის გარეგნულად ხორციელ-ცხოველური ვნება სინამდვილეში გადაგვარებული და უხიციოებლო გამოდგა, და იმ შემთხვევაში უკანახკნელ დამით, როცა ნახტასია ფილიპოვსა რაგოვინთან დარჩა, დანის ჩაცემამ თბილ, ნახევრადშიშველ ხხეულში ჩანს ზვევსა-აღერსის მაგივრობა უკლისად გაუწია მას.

გინდაც თვითონ ბაკი ნახტასია ფილიპოვსა, ან მეორე ბაკი გრუშენკა — ნუთუ იხინიც ნამდვილი ქალები არიან? — თუ ვნებისამშლელი, უხორცო მოჩვენებები, დამატრობლად რომ ფარფატებენ ავბორსულ ვნების კორიანტელში? გაშმაგებული დაწაფებიან ეს ამორძალები საკუთარ თუ სხვის სევდა-კაეშნებს, დაფეთებული უსხლტებიან ჩაბუტების მოსურნის მკლავებს და აღერსსმოწყურებული მამრის ხელებიც მაერსლა ეპოტინება. აქვთ თუ არა ამ ქალებს იმისი თავი, რომ ვნებით დათვრნენ ან ერთი წამით მაინც ჩაინთქნენ თავდავიწყების ხალას ექსტაზში? დიმიტრის მზურვალე აღერ-

სისაგან თვითონაც მთვრალივით გაბრუებული გრუშენკა მაინც ამას წაბრუნებდა: „არ ქნა, — მერე «ყოც...“ და რომ ის დამით დიმიტრი არ დაეპატიმრებინათ, რა უქმა უნდა, გრუშენკა-მოჩვენება მეორე რაღაცენს მსგავსად დაუწყებდა მას გამაბეღებელ დასაწყისებს, თამაშს, სხვაგვარად არც შეიძლებოდა, აქ ჩვენ ყველაზე საშინელ და ბნელ რასმე მივადექით დოსტოვესკის საშინელ და ბნელ სიყვარულში.“

რა მოხდებოდა სინამდვილეში, დიმიტრისათვის რომ მაშის მკვლელობა არ დაებრალეზინათ და მას გრუშენკა შეერთო? რა მოხდებოდა?... პახუხის გაცემა არც არის საკირო, მართო შეკითხვაც საკმარისია, რომ ორგანულად აბობქრებული და მრისხანე ზღვა საზიზღარ, დამყაუებული ქაობად იქცეს.

დარანის კაცი წერს: „ჩემს დარანის ოცნებებში სხვაგვარად ვერც წარმომედგინა სიყვარული, თუ არა ბრძოლად. ყოველთვის სიძულვილით ვიწყებდი და ზნეობრივი დამორჩილებით ვამთავრებდა. მერე კი ვერაფერი ვეღარ ვხვდებოდი, რა მძნა ამ დამორჩილებულ პრესტიჟსაში“.

მართალიც არის, აბა რა უნდა ექნა მერე, მაგალითად, დიმიტრი კარამაზოვს გრუშენკასათვის, სტავროგინს — ლიზასათვის, რაგოვინს — ნახტასია ფილიპოვსასათვის. თუ სიგიჟეში, მკვლელობასა და თვითმკვლელობაში ვერ მოინახა გამოსავალი, მაშინ ერთადერთი გზად რჩება — უბამხობა. რაგოვინმა ნახტასია ფილიპოვსა დანით დაკლა, მაგრამ ერთად ცხოვრება რომ დაეწყათ, მაშინ რაღა იქნებოდა? ხუთი წლის მერე ნახტასია ფილიპოვსა ერთი საძაგელი, ანახლი დიაცი გახდებოდა, ის სილამაზე მოაკლდებოდა, ურჯუც ხახიათს რომ უფარავდა, რაგოვინი კი... თუმცა რა ბრძანებაა, რაგოვინი, სულ ერთია, მაინც დაკლავდა ნახტასია ფილიპოვსას და სხვა ქალზე იქორწინებდა, როგორც ამას თავადი მიშკინიც უწინასწარმეტყველებდა: „შეიკეტებოდი ამ სახლში თვინიერ, უნო ცოლთან ერთად და იშვიათად თუ გაიმეტებდი ვინმესათვის სიტყვას, კუსტი და სიტყვაძვირი ფულის დაგროვებაზე იზრუნებდი მხოლოდ... და იმ შენს ფულის ტომრებზე შიმშილით ამოგბდებოდა სული.“

„— ჩემო მეგობარო, — ნაღვლიანად თქვა ვერსილოვმა, — ხშირად მითქვამს სოფია ანდრეევსასათვის დახაწყისში, როცა პირველად შევერთდით, — თუმცა დახაწყისშიც ვუბნებოდი, შუაშიც და ხოლოშიც: „ჩემო კარგო, გტანჯავ და მოვინელებ კიდევ და ვიდრე ჩემს თვალწინ ხარ, არც შეცოდები; მაგრამ შენ რომ მოკვდე, ვიცო, თავს არ ვიცოცხლებ-მეთქი“.

ლიზა ეუბნება სტავროგინს: „რატომღაც მუდამ

მეგონა, რომ ისეთ ადვილას წამიყვანდით, სადაც ადამიანის სიმაღლე ბოროტი ობობა იქნებოდა და მთელი ჩემი სიცოცხლე იმ ობობასათვის უნდა შეშით გვეცქირა და გვეკანკალა, ასე გაივლიდა ჩვენი სიყვარული“.

დიმიტრი კარამაზოვი ჩვეული პირუთვნელობით გვიხატავს გრუშენკასთან თავის მომავალ ცხოვრებას:

„ვიჩხუბებთ ერთმანეთში!“

არა, ჯობია პირი ვიბრუნოთ, უმჯობესია კვლავ ძველ სატანჯველებს მივაშუროთ; ალბათ ძალიან ცოტა ვეწამეთ, ტანჯვის გაზრდა და გაღრმავებაა, ალბათ, საჭირო, — იქნება მაშინ მაინც შეიქმნეს ჩვენთვის ცხოვრება შეხატლებელი“.

„კვლავ ტანჯვით უნდა მოვიპოვოთ ჩვენი მომავალი ბედნიერება, — ამბობს ნატაშა იხმენევა, — ისევე ტანჯვით უნდა ვეწიოთ, ტანჯვით განიწმინდება უოველივე“.

პრამი სიცოცხლე

სიკვდილის შიშით წარგანხილი კირილოვი გვანწყვლის: „გაჩნდება ახალი ადამიანი და მისთვის სულ ერთი იქნება სიკვდილ-სიცოცხლე“.

დოქტორევისკის გმირები არ არიან „ახალი ადამიანები“, ჩვენ ვნახეთ: სიკვდილის გახსენებაზე უოველ მათგანს მისტიკური შიში ანელებს, კბილს კბილზე აცემინებენ, როცა კი „ამ წყვილად“ დაფიქრდებიან. თუ პიროვნული უკვდავება არ არსებობს, მაშინ ადამიანის სიცოცხლე სასიკვდილო განაჩენის აღსრულების განუწყვეტელ დაძაბულ მოლოდინად იქცევა.

სიკვდილმისჯილს თავისი ფსიქოლოგია გააჩნია, ცეცხლივით ბრიალებს მის შეძრწუნებულ სულში სველაფრის უაბული სიცოცხლის გაუნელებელი სიყვარული. ჩვეულებრივი ხატკერებისთვის მას აღარ სცხება, ბუზი, ხატუსაღოს დაშტვერულ შინას რომ ებეთქება, გაწინტლული კედლები და ორი მტკაველა ავდრიანი ცა — სველაფერი უცებ აქამდე შეუმჩნეველ მნიშვნელობას იძენს და ლამაზდება, უწომო ნეტარების მომგვრელი ჩანს სიკვდილის შეცვლა თუნდაც სველაზე ხაშინელი, მუდმივი კატორღით.

„სად წამიკითხავს, — გაიფიქრა რასკოლნიკოვმა, — ხად წამიკითხავს, ვილაც სიკვდილმისჯილი რომ ამბობს თუ ფიქრობს საათით ადრე მოკვდინებად: კლდის ქიმზე უოფნაც რომ მომისაჯონ, სადაც ფეხის მოხანაცვლები ადგილიც არ შექნებოდა, ხოლო ჩემ ქვემოთ უფსკრული, ოკიანე და ქვესკნელი იყოს; მთელი ცხოვრება, ათასი წელი, ხაშარადეამოდ რომ დავრჩე ასე, — ერთ არშინ კლდეზე, — სიმართლო-

ვეში, მარადიულ ქარაშოტებში; — ამას რა დღეში უოფნა მიჯობდა ახლა სიკვდილსო, ნეტა მაცოცხლა, ნეტა მაცოცხლა, ნეტა მაცოცხლა! რა ცხოვრებითაც არ უნდა შექმნეს ჩემი ცხოვრება, ოი, რა სიმართლედ შექმნეს ჩემი ცხოვრება სიმართლედ! უნამუსო ადამიანი.. უნამუსო ვინც ამის გამო არამწადად თვლის მას! — დასძინა წუთის შემდეგ“.

„ისე მოწვევავდა ეს ძალია ჩემში, — ამბობს დიმიტრი კარამაზოვი, — მეგონია, სველა სატანჯველს ვძლიო, ოღონდ კი ჩემს თავს ვუთხრა უოველ წუთს: ვარ, სული მიდგას! ათას სატანჯველს განვიცდი, მაგრამ — ვარ, სული მიდგას, ტკივილისაგან ვიკრუნჩხები და — მაინც ვარსებობ; ტუსაღი ვარ და — მაინც ხომ ვცოცხლობ, მაინც ვსულდგმულობ, მზეს ვხედავ ცაზე, და თუ ვერ ვხედავ — ვიცი, ანათებს“.

ცხოვრების უნარმოკლებული ადამიანები ისე გამწარებული ებღაუჭებიან სიცოცხლეს, რომ ადვილი შესაძლებელია მათი ეს თავგამოდება წარუბოცელი სასიცოცხლო ინსტიქტის ჩანსად გამოვლინებაში ავრიოთ, ასე დაემართა ალიოშა კარამაზოვს ივანთან სუბრისახ.

„... სიცოცხლის აღარა მწამდეს, — ამბობს ივანი, — ჩივთა წესრიგის რწმენაც დავეარგო; თუნდაც პირიქით ვიწამო; თითქოს სველგან უწიბო, სველგან წუეული, ეშმაკული ქაოსი იყოს; სველა იმედიც რომ გამოცრუვდეს, — სიცოცხლეს მაინც ვერ შეველევი და რაკი ერთი მივდექი ამ თახს, არც მოვეშვები, ხანამ არ დავსვლი! თუმცა ბოლომდე ალბათ ვერც შევხვამ, — ოცდაათი წლის თავს დავანებებ, გავივლები თახს... საითკენ წავალ, არ ვიცი, მაგრამ ოცდაათ წლამდე, — ეს მტკიცედა მწამს, — ოცდაათ წლამდე სველაფერს დავძლევა ახალგაზრდობით, — უოველნაირ უიმედობას, უოველნაირ ზიზღს სიკვდილისადა, გაწაფხულის ლორტკო, წებია ფოთლები მიყვარს, ლურჯი ცა მიყვარს, აი რა, ძმამო! აქ არც კვლავა და არც ლოგია, — გუმანით გზდები, გულგვამით მიყვარს!“

„— გუმანით გზდები, გულგვამით გინდა რომ შეიყვარო, — მშვენივრადა თქვი, რა გამაზარე, სიცოცხლე ასე რომ გწუურია! — თქვა ალიოშამ, — მე მეგონი, ქვეუნად სველაზე უწინ სიცოცხლე უნდა გვიყვარდეს სველას.“

— სიცოცხლე უფრო უნდა გვიყვარდეს, ვიდრე სიცოცხლის ხაზრისი, არა?

— ასეა, ახე, ლოგიკის უწინ უნდა გვიყვარდეს, როგორც შენ ამბობ, აუცილებლად ლოგიკის უწინ, ხოლო მის ხაზრისს ამის მერედა თუ შევიწყენებთ; აი, რას ვატყობ კარგა ხანია“.

ალიოშას ივანის ხაქმე უკვე ხანახევროდ მოთავებულნი მეგონია, ის კი არ იცის, რომ ხასტი-

კად ცდება. ივანის ცხოვრების საქმე დაწყებულ-
ლიც არ არის, უფრო სწორად. — კარგა ხანია
რაც დამთავრდა. მას აქი „მთაბილმბა უვე-
ლაფრის მიუხედავად მაინც სიკოცხლე სწყუ-
როდეს.“ არ სურს ოცდაათ წელზე მეტხანს
იცოცხლოს: „სამოცდაათამდე სულმდაბლობაა,
ოცდაათამდე სჭობია: „კათილშობილურ
ნიძს“ შიშინარჩუნებას კაცო, თუ თავს მო-
იტატუნებს“.

ხალასი, თავის თავის კითხული სასიცოცხლო
ინსტიქტი ასე არ გვალაპარაკებდა, მას თავის
მოსაკრატუნებელი არაფერი სჭირს. — მას ძალი
ერჩის, თანაც მხოლოდ გარკვეულ ასაკამდე რო-
დი აქვს თავის იმედი. რაც მთავარია, ოდნავა-
დაც არ ეეჭვება საკუთარი არხებობის სიწმინ-
დე და კანონიერება. ხოლო სასიცოცხლო ინსტი-
ქტი, რომელსაც თბვის თბვისს რცხმენიბ
და თავი „გათახსირებულ“ და „სამარცხენო“
არსებდად მიჩნია — სასიცოცხლო ინსტიქტი
კი არა — შიხი მაცილობელაა. მას არ შეუძლია
სული სიკოცხლით ამწერუროს, — ის მხოლოდ
სულის გარდაცვალებას თუ მომფენს ნათელს.

ივან კარამაზოვის სიკოცხლისხადში დამოკი-
დებულება საზოგადოდ დამახანიათებელია დოქ-
ტოვსკის გმირებისათვის. დარანის კაცი წერს:
„ორმოც წელზე მეტხანს სიკოცხლე რა საკა-
დრისია, უნამუხობაა სწორედ, — უწნეობაა და
მეტი არაფერი, მხოლოდ ტუტუცი და სულმ-
დაბალი ადამიანები ცოცხლობენ ორმოც წე-
ლზე მეტს“.

ადამიანი გამწარებული ებლაუჭება სიკოცხ-
ლის, მაგრამ ვულის სიღრმეში გრძნობს, რომ
არამცთუ ცხოვრების თავი არა აქვს, არამედ
— ღირსიც არ არის შიხი, სიკოცხლე, უბრალო-
ოდ, პრამნიბ მახზე.

„ნავაზივით გამძლე ვარ — სიკოცხლისუნა-
რიანი. — ამბობს ვერხილოვი — თითქმის
ორმოცდაათ წელს მივატანე და დღემდე არ ვი-
ცი, კარგია, ამ ხნისა რომ მოვიყარე თუ ცუდი.
რა თქმა უნდა, მე მიყვარს სიკოცხლე და ეს
პირდაპირ გამომდინარეობს საქმიდან, მბბრბმ
უნამუსობბბ ჩიშინარი კაცს სიკოცხლე
უშვბრდეს... და ნუთუ დედამიწა მხოლოდ
ჩვენისთანებისთვის დჭბს? კუუასთან ახლთა,
რომ ახეთ; მაგრამ ეს იდეა მეტისმეტად უსიბა-
რულთა...“

„— სიკოცხლე მიყვარს, რალაც ძალიან შე-
მიყვარდა სიკოცხლე, ისე ძალიან შემყვარდა,
რომ მრცხენია კიდცი, — აღიარებს დიმიტრი
კარამაზოვი, — ჭია, არაფრის მაქნისი ჭია, ერთს
გალოდდება მიწაზე და მოგკამა ჭირი...—დიმიტრი
ხეს შესჩერებია, — ხედავ, რაკიტა! თუ შინ-
და ახლი ამას მივაჭუდრეტ და აღარ დამძიბებს

დედამიწას. — აღარ შებილწავს აქაობას ეს მა-
ვნი მწერი.“

სტავროგინიც წერს სიკვდილის წინ წერი-
ლში: „ვიცი, რომ წესით უნდა მოვიკლო თავი
და მავენე მწერივით გაქრუვებული მიწისა.“

გველებივით ჩახლართული ერთი კორგადად
ყოვლად ურთიერთშეუფერებელი და ურთიერთ-
უგუებელი განწყობილებები: სიკვდილის შიში
და სიკოცხლის უუნარობის შეგრძნება, ამ ცხო-
ვრების გაშმაგებული ტრფიალი და არამი სი-
კოცხლის განცდა. ყოველივე ამას ერთიც შედ-
ერთვის: რალაც უცნაური ინსტიქტი ადამიანს
თავშეუკავებლად შიაკანებს თვითმკვლელობის-
კენ. ზარდამცემი სიკვდილი ჭადო ძალეზით არის
აღსავსე და ადამიანიც შიხდაუნებურად უახლო-
ვდება მას, როგორც მონუსხული ბოცვერი მა-
ხრჩობელას დაფჩენილ ხახას.

„მე ვფიქრობ, — წერს დოხოტოვსკი, — ბევ-
რე თვითმკვლელობა მხოლოდ იმიტომ ჩაიდი-
ნეს, რომ რევოლვერი უკვე ხელში ეჭირათ“.

„— მე რომ რევოლვერი მქონდეს, — ამბობს
ყმაწვილი, — ხადმე ცხრაკლიტულში დავმალა-
ვდი. დიდი მაციდური რამაა, ჩემმა მწემი თუ ის
წამდაუწუმ თვალში გეჩხირება კაცს, — ღმერ-
თმან არის ხოლმე წუთები, რომ შეიძლება გა-
ცთუნოს“.

და აი, დროდადრო მოულოდნელ ამბებს გვე-
ხულობთ: „ხვიდრიგაილოვმა ტყვია იქრა შებ-
ლში“, „სტავროგინმა თავი ჩამოიბრჩო!“, „კრა-
ფტმა ტყვია იქრა!“, „სმერდიაკოვმა თავი ჩა-
მოიბრჩო!“. თვითგანადგურების უღმობელი ეი-
ნი კევრევილ დეწავს დოხოტოვსკის გმირთა სამ-
ყაროს. შის რომანებში თვითმკვლელობის კო-
რიანტელია დაყენებული, თითქოს თვითმკვლე-
ლობა — ჩვენს ცხოვრებაში ყოვლად უწყინა-
რი, ბუნებრივი და აუცილებელი რამ იყოს.

თითქოს ოდნავ შედედებულ, ბნელ ქაონს შე-
ვუბრებთ. შიშნეულად გაკრთება ხოლმე შის წი-
ალში სიკოცხლის მანათობელი შუჭი, მაგრამ
ის ისეთი სუსტია, ისეთი გაუბედავი, რომ ოდ-
ნავი ბიძგი და ქრება. — ისობა სიკოცხლე.

კანეკლიანების ოჯახს ერთი უცნაური ცხოვე-
ლი განეკუთვნება, რომელსაც მოლოთურია
მქვია. თუ მოლოთურიას შევეხებით, ხელს თუ
დავაკარებთ მას, აცახცახებული შეიკუმშება და
ნაფლეთებად ჩქცევთ. სამის გამო მოლოთურიას
მთლიანი ეგზემპლარი დღემდე არავის უნახავს.

დოხოტოვსკის დახატული ადამიანების შემხე-
დვარეს ჩვენც წამდაუწუმ ცხოველთა სამყაროს
უველაზე მახინჯი და დისპარმონიული გამოვლი-
ნებები გვაგონდება, — გვაგონდება ბუნების
ის გადახრები, შეცდომები და ჩაფლავებული
„წამოწყებება“, რომლებიც თან სდევს სიკო-
ცხლის მარმონიზაციის ურთულეს საქმეს.

ადამიანი სასიცოცხლო ინსტიქტის ყველა ავადმყოფური გადახრის დამტყვეველია. როგორც დოსტოევსკი ამბობს, ყველა არსებაზე უფრო მეტად „ადამიანის ბედი შავდება ცოფიანი, ჭუცაბედი თვითუარყოფით და თვითგანადგურებით. „როგორც ბიოლოგიურ, ისე მორალურ სფეროში ადამიანი თავშეუკავებლად მიიღობს ყველაფერს, რაც მის სიცოცხლეს აუგვანობს, არღვევს და აცამტვერებს. ამ მოვლენას სამართლიანად მიიჩნევს ნიცშე გადაგვარების, დაცემის ხანის ყველაზე უფრო სრულყოფილ ნიშნად. შეშის წარსა სცემს ადამიანს კარზე მომდგარი სასტიკი ძალა, მაგრამ კაცს მასთან შებრძოლების თავი არა ქვს, — საამისო სურვილიც კი არ აბადია, ასე ღამის პეკელას იწიდავს ცეცხლი: აკიაფდება შუქი — და პეკელაც მისკენ გაექანება, გავარჯარებულ ღამის შუშას შეენარცხება, ძირს დაეცემა, ქვლავ აფრინდება და ისევ შუშას შეეხეთქება.

„რასკოლნიკოს თვალები აუელფარდა, მიტკალივით გაფითრდა; ზედა ტუჩი შეუტოკდა და აუცახცახდა; რაც შეიძლება ახლოს მიუჩინდა შამეტოს და ტუჩები ააცმაცუნა, თქმით კი არაფერს ამბობდა. ნახევარ წუთს გაგრძელდა ასე. ხვდებოდა, რასაც სჩადიოდა, მბბრბმ ტაპს ვერ იპაპებდა. ენაზე საშინელი სიტყვები ადგა, ცოტაც და წამოსცდებოდა, ოღონდ ერთი ამოედგა ენა, — ერთი მოეტრიალებინა!

— ვითომ რა იქნება, ბებრუხანა და კლიზავეტა მე რომ მომეკლას? — წარმოთქვა მან და უცებ გონს მოეგო...

რასკოლნიკოვი გარეთ გამოვიდა, სულ ერთიანად ცახცახებდა რალაც ველური, ისტერიული შეგრძნებისაგან, რომელშიც ნეტარების დაუწყებელი განცდაც ერია“.

იმავე ნეტარებით ჩამოჰკრავს იგი წარს ოთანში, სადაც ბებრუხანა მოკლა და დურგლებს ექვს აღუძრავს: იმავე ნეტარებით უვარდება მარწყუხივით ხელებში იქედნურად ახითხითებულ პორფირას.

„და არის ხიბლი ხოცვა-ყლეტაში, — ქვესკნელის უფსკრულებში და გადარეულ ზღვაში, სად ქარიშხალი აავეებს ტალღებს: არაბულ გრიგალებშიც ხიბლია, და თუ ქირი მუსრს გვაელებს — გამოუთქმელი ტკბობით აგვივსებს ხოლმე მოკვდავებს გულებს ის, რაც გვსაობს — გვანადგურებს.“

„ომხა და მშვიდობაში“ ფრანგ ოფიცრებად გადასმული დოლოხოვი და პეტია როსტოვი

1. პუშკინი — „ნადიმი ეამიანობის დროს“.

მტრის ბანაკში შეიპარებიან, ფრანგების გვერდით კოცონს მიუხბდებიან და შეკითხვებს დააყრიან მათ. ფრანგები შეეჭვდებიან.

„ოფიცერი დოლოხოვს თვალს არ აშორებდა, — შეკითხვა გაუშეორა: — შეკითხვებზე პოლიდან ხართო, დოლოხოვი პასუხობს: „არა, თითქოს არც გაეგონოს მისი ხმა, ჩიბუბს ეწეოდა და ოფიცრებს კითხებოდა, რამდენად დაწვეული ვართ ამ გზაზე კაზაკებისგანო.“

— მორჩა, ახლა კი წავა, — ფიქრობდა უოველ წუთს პეტია, რომელიც კოცონთან იდგა და საუბარს უურს ჭგდებდა.

მაგრამ დოლოხოვმა ისევ განაახლა შეწყვეტილი საუბარი, — პირდაპირ დაკითხვაზე გადავიდა: რამდენი კაცი გყავთ ბატალიონში, — ბატალიონი რამდენი გყავთო.

ერთმა ფრანგმა ოფიცრმა, აქამდე რომ არა ჩანდა (იგი ფარაქაში გახვეული იწვა), წამოიწია და თავის მეგობრებს რალაც უჩურჩულა. დოლოხოვი წამოდგა: წარისკაცს გასძახა: ცხენები მოიყვამ.

— Bonjour, messieurs, — თქვა დოლოხოვმა. ოფიცრები რალაცას ჩურჩულდნით ეუბნებოდნენ ერთმანეთს. დოლოხოვი დიდბანს ჯდებოდა ცხენზე, რომელიც ადგილზე არ ჩერდებოდა, შერე ტაბით გავიდა კიშკარში“.

დოლოხოვი სიკვდილს უსწორებს თვალს და აშკარაა, რომ უდიდეს ნეტარებას განიცდის.

მაგრამ ახლა დოლოხოვის გვერდით კოცონთან, პეტიას ნაცვლად, რასკოლნიკოვი წარმოვიდგინოთ. მას ფერიფური მიხდის, ტუჩები უთამაშებს, ენაზე საშინელი სიტყვები ადგას, „ხვდება, რასაც სჩადის. მაგრამ თავს ვერ იკავებს“, რალაც ველური, ისტერიული შეგრძნებისაგან აცახცახებებს და პირზე მომდგარი საშინელი სიტყვებიც წამოსცდება:

— ვითომ რა იქნება, messieurs, ჩვენ ფრანგი ოფიცრები კი არა, რუსი მწვერავები რომ ვიყუოთ?

რა თქმა უნდა, ამ დროს რასკოლნიკოვიც განიცდიდა „გამოუთქმელ ტკბობას“, მაგრამ აღბათ ტოლხტოიც ვერ მოახერხებდა მთელი იმ სიძულვილის და ზიზღის გამოხატვას, რაც დოლოხოვს რასკოლნიკოვის დანახვაზე დაეფლდებოდა! ორივემ: რასკოლნიკოვმაც და დოლოხოვმაც იცის შიშის ქარის და „დაღუპვის საფრთხის“ გეგო. მაგრამ დოლოხოვს შიშის დაძლევა, ნებინსკოვის მრამთამრამობა მგვრის ნეტარებას, რასკოლნიკოს კი — შიშის გრძობისათვის თავის მიცემა, ნებინსკოვის ბატრობა. „დაღუპვის საფრთხე“ დოლოხოვისთვის ვერაგი მტერია, რომელთან შერკინებაც სახალისოა! რასკოლნიკოვისათვის კი იგი შეუვარებელი-ვამპირია. მორჩილად მიხდობია მის მკლავ-

ვებს შიშვეთ დანდებულნი და ნებაჩაყლული
ადამიანი

თავისივე თავის ამომკმელი ინსტიქტების
წინაშე ნებისყოფის ეს სრული უძლეურება სა-
ერთოდ დამახახიათებელია დოსტოევსკის გმი-
რებისათვის.

„უცნაურია. — წერს ყმაწვილი. — უოველ-
თვის მქონდა ასეთი თვისება: თუ ისეთ ხიგლახ-
ებს მიზამდნენ, რომ იმაზე უარესი აღარაფერი
შეიძლებოდა. შეურაცხყოფდნენ იმ წომამდე,
რომ მეთი აღარ იქნებოდა. მაშინვე მიჩნდებო-
და დაუოკამებელი სურვილი დავმოკრილე-
ბოდი შეურაცხყოფას და შეურაცხყოფე-
ლზე შეტადაც კი დამამცირობინა თავი: „აჰა,
თქვენ დამამციროთ, მაგრამ მე თვითონ კიდევ
უფრო დავიმცირობ თავს. აი, მიყურეთ, დასტ-
ებით!“

დარანის კაცმა ამფსონობა დაიჩიმა და გამო-
სათხოვარ წვეულებას დაესწრო. მეგობრები თა-
ვიანთ დოსტს. ზვერკოვს აცილებდნენ. დარა-
ნის კაცს ბევრს არ მოზოდისებებიან, — აშკარა
ად აგრძნობინეს, რომ მისი იქ ყოფნა არავის
ეპიტნავა. „გულზე ვსკდებოდი, რადგან ვიცო-
დი, უეჭველში წავიდოდი, — ჯიბრზე წავიდ-
ოდი“. მიღის წვეულებაზე აბუჩად იგდებენ,
ის კი ხეპრესავით იქცევა. ყველას უშარდება.
მას ზურგს აქცევენ, თავისთვის კუთხეში მოკა-
ლათდებიან და მხიარულობენ, ხოლო იგი სამი
საათის განმავლობაში კისერმოღერებული დაა-
ბოტებს კაბინეტის კედლის გასწვრივ. „გულზე
ლახვრად მესობა და გუნება მეშხამება, როცა
დავფიქრდები, რომ გაივლის ოცი წელი. —
ორმოციც და მე თავს მაინც დამცირობულად
ვიგრძნობ. ერთანტელი მივლის ჩემი ცხოვრე-
ბის ამ უსაძაგლესი, ყველაზე საზარელი და სა-
მარცხვინო წუთების გახსენებაზე. ამაზე უფრო
უნამუსო და ნებაყოფლობითი თავის დამცირო-
ბა რაღა იქნებოდა. „მაგრამ ის კიდევ უარესად
იმცირობს თავს. ყველანი „იქ“ მიდიან, ის ერთ-
ერთი მათგანისგან ფულს იმათხოვრებს და ამ-
ფსონებს ქვალში ჩაუდგება. გადაწყვეტს ზვერ-
კოვს ხილა გააწნას. „მზარავდა იმის შეგრძნება,
რომ ამას უსათუოდ ახლა, ამ წუთში ჩავიდ-
ენდი და ვერა ძალა უკვე ვეღარ შემატავებ-
და.“

ჩერ კიდევ მკვლელობამდე რასკოლნიკოვი
სისბლიან კოშმარს ხედავს.

„... — რა შემართება ეს. — რა მჭიკს?! — წა-
მოიძახა განცვიფრებულმა, — ხომ ვიცოდი ამ-
ის გამძლეები რომ არც ვიყავი, რაღას გავიწამე
თავი აქამდე? მე თვითონ არა ჭოქვი წუხელ კი-
ბეზე ჩამოსვლისას, რომ ეს საწიწროობა, სის-
აძაგლე და სულმდაბლობაა-მეთქი?... აკი ამის
მარტოოდენ გაფიქრებამაც კი შემწარა და გუ-
ლი ამიჩია.“

თითქოს ერთბაშად გამოერწყა გულზე მოკი-
დებული ძირმაგარა, მთელ თავს რომ აწვალე-
და. თავისუფლება, თავისუფლება განთავისუ-
ფლდა ამ ხიბლისა და ცდუნებისაგან, — ჯადო
აეხსნა!“

მაგრამ აი, კუჩაში მშობისვესით მუხრი მოკ-
რა: ხალამოს შვიდ საათზე ბებრუხანა მარტო
იქნება თავის ბინაშიო. რასკოლნიკოვს თავზარი
დაეცა.

„სახლში სიკვდილმისჯილივით შევიდა. არაფ-
რის განსჯის თავი არა ბქონდა. ერთბაშად იგრ-
ძნო მთელი არსებით, რომ არც განსჯის და არც
ნებისყოფის თავისუფლება არ გააჩნია და უც-
ებ ყველაფერი საბოლოოდ გადაწყდა.“

და როცა მკვლელობა უკვე ჩაიღინა, რასკოლ-
ნიკოვს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა. „თითქოს
ვიღაც მომწუსხავი ძალის პატრონმა ხელი ჩას-
ჭიდა და ბედისწერახავით ბრმად, წინააღმდეგო-
ბის გაუწევლად წააჩანჩალა, თითქოს ტანხაცმ-
ლის კალთა მანქანის ბორბალს გამოსდებოდეს
და თანდათან ჩაეთრიოს იგი.“

11

„გხოლოდ იმითონ ვცოცხლობთ, რომ
გვერდი ავუძციოთ ცხოვრებას“

„რასკოლნიკოვი უგზოუკვლოდ დაეხეტებოდა.
მზე ჩადროდა. ამ ბოლო დროს რაღაც უცნაუ-
რი გრძნობა უძმარავდა გულს: ძალიან მძაფრი
და მწველი მას არ ეთქმოდა. მაგრამ რაღაც
მარადიულის და მოურჩენლის ელფერი კი დამ-
კრავდა. რასკოლნიკოვი გრძნობდა, როგორ გა-
უმწარებდა სიცოცხლეს ეს გამყინავი, მომაკე-
დინებელი განცდა, — გრძნობდა, როგორ დარ-
ჩებოდა სამარადუნამოდ „ქედის ქიმზე“

„მიშველეთ რამე! — ისტერიულად უკვივის ყმა-
წვილი ღიზა აღიოშა კარამაზოვს, — თავს მოვ-
ილაფ, — იმითონ, რომ ყველაფერი შეწიწდება
იცოდეთ, თავს არ ვიცოცხლებ, — იმითონ, რომ
ყველაფერი შეწიწდება! მე ყველაფერი შეწიწ-
დება, ყველაფერი შეწიწდება!“

ვერსილოვი ეკითხება კატერინა ნიკოლაევანს:
„— ამბობენ, ისევ შეგვყარებიანო საზოგადო-
ება, მაღალი წრე?“

— საზოგადოება არა. მე ვიცი, რომ ჩვენს
საზოგადოებაში ისეთივე უწესრიგობაა, როგორც
ყველგან, მაგრამ გარეგნულ ფორმებს კიდევ
შემორჩენიათ სილამაზე, ასე რომ, თუკი მხრ-
ლოდ იმითონ ვცოცხლობთ, რათა გვერდი
ავუძარიოთ ცხოვრებას, მაშინ სჯობია ამ სა-
ზოგადოებაში ვიყო, ვიდრე სხვაგან.“

ჩამკვდარა სიცოცხლე ადამიანის გარშემო-
მის სულშიც ჩამკვდარა სიცოცხლე, — ყველა-
ფერი საზარლად გაფითრებულია, უოველივეს

მკვდრისფერი დასდებია. და მარტო ეს როდია შიშის მომგვრელი. — ის უფრო საშინელია, რომ ადამიანს ველარც კი წარმოუდგენია სხვაგვარი სინამდვილე.

რამ აცოცხლოს ადამიანი ამქვეყნად? როგორი ცხოვრებაა სანუკვარი? ბედნიერება თუა შესაძლებელი?

დოსტოევსკის უველა გმირს შეუძლია თავის თავზეც იგივე გაიშეოროს, რასაც ნეტორკა ნე-წვანოვას მაშინაცვალი, მევიოლინე ეფიმოვი ამბობს:

„— მე თვითონ არ ვიცი, რა მინდა. აბა მკითხეთ, ბატონო: „ეგორკა! თქვი, რა გინდა? არაფერს არ დავიშურებ შენთვის“, — მე კი, ბატონო ჩემო, ენა არ მომიტრიალდება პირში, რადგან თვითონ არ ვიცი, რა მინდა“.

ისლა დაგვრჩენია „მხოლოდ იმიტომ ვიცხოვროთ, რომ გვერდი ავუქციოთ ცხოვრებას“. ერთი წამი სიხარულია, უბრალოდ ერთი ლამაზი წამი და შეიძლება მთელი ეს მოსაწყენი, ბნელი და უაზრო ცხოვრება მას ვანაცვალოთ.

„ორიოდე წამ სიხარულში კვადრალიონჯე კვადრალიონს გადავიხდიდი“, — განაცხადა სასამართლოზე ივან კარამაზოვმა.

სტავროგინთან გათეული ღამის მერე ლიზავეტა ნიკოლაევნა დაცინვით ეუბნება მას:

„— სად უნდა წავიდეთ დღესვე? სადმე „ახალი ცხოვრებისათვის“? არა, კმარა, ცდები... არც მოთმინება შეუყოფა: კიდევ ჰო, მოსკოვში რომ წავსულიყავით, სტუმრად გვევლო და ჩვენც მიგველო სტუმრები — მე სხვაზე, როგორც იცით, არასოდეს მიოცნებია... მე ვერ ავიტანე ერთი ლამაზი წუთი. აქედან დაიწყო უველაფერი. მე კი ისედაც დიდი ხანია ვიყოდი, ჩემი აღმაფრენა წამზე მეტს არ გასტანდა, ჰოდა, ავდექი და გადავწყვიტე კიდევ... ჩემი ცხოვრება ერთი საათისათვის გავწირე და ახლა მშვიდად ვარ...“

არც მომავლის იმედი არ უნდა ექონიოთ: არ არსებობს ცხოვრებაში ძალა, რომელიც მკვდრეთით აღადგენდა ადამიანს.

„მაშინ ჯერ კიდევ იმედი მქონდა, მკვდრეთით აღვსდგებოდი, — ამბობს მწერალი, რომლის პირითაც სწარმოებს თხრობა „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“, — „საგაფეთში მაინც შემაგდონ, — გადავწყვიტე ბოლოს, — რათა როგორმე გადამიტრიალდეს ტვინი და მერე ახლებურად დამილაგდეს და კვლავ დავეკვიანდე“. მაშინ კიდევ მწყუროდა სიცოცხლე და მჭეროდა ამ ცხოვრების“

მაგრამ რომც არსებობდნენ ძალები, რომლებიც მკვდრეთით აღადგენდნენ ადამიანს, რომც მოახერხოს ადამიანმა თავის გარდაქმნა, მაინც განსაკვეთი იქნება: როგორ არსებდა უნდა აღორძინდეს, სად უნდა იქცეს იგი?

ღარანის კაცი წერს: „ნეტარება სწორედ იმ-

ის უადრესად ნათელმა შეგნებამ მომგვარა, რომ დამამცირეს, რომ საშველი არ მადგებოდა, — ვერასოდეს ვერ ვიქნებოდი სხვა კაცი; ბევრიც რომ დამცლოდა და რწმენაც არ დამკარგვოდა, სხვა ვინმედ გადაქცევას, იტყუბა, მაინც არ მოვიწოდებოდი და თუ მოვიწოდებოდი, მაინც ვერას ვავხდებოდი, ვინაიდან, სინამდვილეში იქნებ არც არაფერი მიგზულევა, რომელად გადაქცევაც ღირდეს“.

კირილოვი, — ის ჩახვდა, რადაც მართებს გადაქცევა: ფიზიკურად გარდაქმნა და ადამიანად გადაქცევა უოფილა საჭირო, მაგრამ, თუ მის კაცღმერთს კარგად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ეს კაცღმერთი მკვდარია, — სიცოცხლის ნატამალიც არა აქვს შერჩენილი.

„გაჩნდება ახალი ადამიანი, ბედნიერი და ამაჟი, და მინთვის სულ ერთი იქნება სიტყვილ-სიცოცხლე. შესაძლოა ასეთ შემთხვევაში უველამ თავი მოიკლას, მაგრამ „მაგას მნიშვნელობა არა აქვს. ტუუილს მოკლავენ“ მოვა ეს ახალი ადამიანი და გვასწავლის, რომ უველანი კარგები არიან, — რომ უველაფერი კარგია, კარგია, თუ ვინმეს შიმშილით ხდება სული, — თუ ვინმე გოგონას გააუპატიურებს, — თუ ვინმე ბავშვს თავს გაუჭებუავს ან — არ გაუჭებუავს, — უველაფერი კარგია.“

სიკვდილზე გამარჯვება სიცოცხლის სურვილის სრული აღკვეთით; ცხოვრების საშინელებებზე გამარჯვება ცხოვრებისადმი უგულვო, უღიმილამო დამოკიდებულებით; სიცოცხლის სიძულვილი; სიკვდილის სიძულვილი — აი, ის შემწარავი იდეალი, რომელიც სასოწარკვეთილებისა და ადამიანებისადმი დიდი ურწმუნობის ნიადაგზე ამოიზარდა. კაცობრიობის გვირგვინის შესახებ თავისი ნაოცნებარის ამაჟად განცხადებისას კირილოვს უცებ სასოწარკვეთილი კაცის აღსარება აღმოხდება: „ღმერთი აუცილებელია და ამიტომაც უნდა იყოს, მაგრამ მე ვიცი, ღმერთი არ არის და არც შეიძლება იყოს. ნუთუ არ გესმის, რომ ამისთანა გაორებული ფიქრით არ შეიძლება ადამიანმა იცოცხლოს?“

კირილოვის კაცღმერთს ძალიან ხშირად და დაბეჭითებით ადარებენ ხოლმე ნიცშეს ზეკაცს. ერთბამად აღნიშნავენ, თითქოს კირილოვის საბოლოო დოსტოევსკიმ ნიცშეზე ადრე იქადაგა ზეკაცი. ეს დიდი გაუგებრობაა. იგი ორი ცნების „კაცღმერთის“ და „ღმერთკაცის“ წმინდა გარეგნულ მსგავსებას ემყარება. ამ ცნებების შინაარსი კი სულ სხვადასხვაგვარია. მწიურ-კაშა ზეკაცი სიცოცხლით ვერ ძდება, დიდი შემოქმედებითი წუურვილი კლავს, — თვით სიკვდილსაც კი ამარცხებს თავისი დაუოკებელი სიცოცხლისუნარიანობით. რა საერთო აქვს მას სიცოცხლის იმ საფლავის ქვასთან — ცივსა და

უძრავ არსებასთან — რომელსაც „აკაცდმერთი“ ჰქვია?

უფერული, შინავლებული და უფერო მიწიერი ცხოვრება, ძნელი წარმოსადგენია, თუ რით შეიძლება მისი შევსება. მაგრამ სამაგიეროდ სანიჰილზი არის ცხოვრება. — უკვდავება არსებობს.

კი მაგრამ, რა არის უკვდავება სანიჰილზში? კაცმა რომ თქვას, ის ხომ ფორმია და შეტი არაფერი. ფორმას კი შინაარსიც სჭირდება.

„სვიდრიგაილოვი ჩაფიქრებული იქდა.

— კარგი და, მამავალ ცხოვრებაში მხოლოდ და მხოლოდ ობობები ან რაღაც ამდაგვარი თუა? — თქვა უცებ მან. — ჩვენ ეგ მარადისობა მუდამ რაღაც უწარმაშარი და ვებერთელი გვგონია. კი მაგრამ, რატომ უნდა იყოს ის მაინცდამაინც ვებერთელი? ვაითუ უკველივე ამის ნაცვლად ერთი პატარა საკანია, სოფლის ახანოს მხგავსი, გაქვარტლული, უკველ კუთხეში აბლაბუდებით სავსე; ერთიც ვნახოთ და სულ ეს არის მთელი მარადისობა... მართალი ვითხრაოთ, მე ზოგჯერ რაღაც ამდაგვარი შესახება.

— ნუთუ თქვენ... ნუთუ თქვენ, ამაზე უფრო სანუგეშო და სამართლიანი არაფერი გეხსებათ? — წამოიყვირა ავადმყოფურად გაღიზიანებულმა რასკოლნიკოვმა.

— უფრო სამართლიანი? კაცმა არ იცის, იქნებ სწორედ ეს არის სამართლიანი. თქვენ რა გგონიათ, ჩემი ნება რომ იყოს, განგებ მოვაწყობდი ახე. — უპასუხა სვიდრიგაილოვმა და იქედნურად ჩაიღიმა.

ამ უმხგავსო პასუხმა რასკოლნიკოვი დაწაფრა.

მოდლოდნელი და შემზარავი აზრია. მხოლოდ დოხტოვესკის სულში თუ დაიხადება ასეთი აზრი. თუმცადა თავისი არსით იგი უაღრესად უბრალო და ბუნებრივია.

ერთ ძველ ქრისტიან მეუდაბნოეს თურმე „სამოთხეში ნეტართა ცხოვრების“ ხილვა ღირსება: არიან, თურმე უცოდველად; — ტანსაცმელი არა სჭირდებათ, პურს არ ჭამენ, არც ღვინის გემო იციან, იცავენ, თურმე, სიწმინდეს, მათი საწრდო მხოლოდ წყალი და ნაყოფია, რომელსაც უკველ დღე გამოისხამს ხე ექვსი საათისათვის. ცხადია, ეს ძალზე მოხაწყენია, თანაც კარგა დამამშვეიც, მაგრამ — გასაგებია. მუსლიმანი სამოთხეში, აღბათ, მარად ქალწული ჰურიების ფერებაში იქნებოდა; წითელკანიანი — მუდამ ნადირ-ფრინველით მდიდარ ველებში ინადირებდა; ახალშეღანდიელი მაორინი, აღბათ სულ ორთაბრძოლებს გამართავდა და მუდამ გამარჯვებული დარჩებოდა, ეს ყველაფერი გასაგებია; ამ ადამიანებმა იციან, რა უნდა ისურვონ.

მაგრამ ცარიელი ფორმა უკვდავებისა, — რომ

გორ შინაარს გულისხმობს იგი ფილოსოფიური აზრით? რაღაცას ვებერთელად? კი მაგრამ, რატომ მაინცდამაინც ვებერთელი? ადამიანის სულში წყვდიადი და ობობებია. — რატომ არ შეიძლება ესენი საიქილოებში იქნებ უკვდავება ისეთი ბუნებრივად არსებული, უიმედო და საზარელი რამ არის, რომ დუხბირი მიწიერი ცხოვრება მასთან შედარებით სამოთხეც გამოდგეს?

XII

განუწყვეტილი ბარბონია

შავბნელი, გაუმზირალი ქაოსია ადამიანის სულში. უკუნ სიხნელეში ნაირ-ნაირი განცდებისა და სულისკვეთებების ნიათგამოცლილი ნაფლეთები დაფარფატებენ ბნელ ზვეულებში დროდადრო სიცოცხლის შინავლებელი ჩირაღების ცაიწყებს ბუბტვას, მაგრამ ამით მხოლოდ უფრო შემზარავი ჩანს გარშემო გამეფებული წყვდიადი.

ხანი გამობდება და ცალკეული ჩირაღები ერთ ციცხლობობადად დატრიალდება. — უკუნეთს კაშკაშა, დამაბრმავებელი შუქი გააბრდღვიალებს, გაუგონარი, აფეთქების პირას მისული დაძაბულობის შთაბეჭდილებას სტოვებენ სიცოცხლის ერთად შეგრავილი ელემენტები; თუ აქამდე უკუნი ხნელის, სიცოცხლის ძალთა სიმწირის გამო იყო შეუძლებელი ცხოვრება, ახლა — კაშკაშა შუქის, სიცოცხლის ძალთა საშინელი სიჭარბის გამო შექმნილა იგი გაუსაძლისი.

„ორდინოვის ცხოვრება რაღაც უცნაურად აეწყო (მოთხრობა „დიასახლისი“), აშკარად გრძნობდა, რომ ხახადაფრინელ უფსკრულში მიექანებოდა და სასოწარკვეთილებიხაგან გულსაკლავად კოოდა. ხან წამიერად ბულისწამლები, აუტანელი ბოდნიმარება მოაწყებოდა: მაშინ მთელ ტანში ბრიალით მატულობდა სიცოცხლის ძალა, წარსული ნათდებოდა, აწმყო საწეიმო ხმებს გამოსცემდა, საღათას სიწმირით ეშმანებოდა აქამდე უცნობი მომავალი; — გრძნობდა, ხორცი უძლური იყო შთაბეჭდილებების ასეთი შემოტავის წინაშე. — უოფნის უოველი ძაფი გაფავებითიყო, მაგრამ თან განახლებას და მკვდრეთით აღდგომასაც ულუცავდა ხაკუთარ სიცოცხლეს“.

„ეშმაკებში“ კირილოვი ეუბნება შატოვს:

— მო, მართლა... შატოვ, თუ გქონიათ განუწყვეტილი ბარბონიის წუთები? არის ზოგჯერ ისეთი წამები, ეს ბუთი-ექვსი წამია მხოლოდ, როცა შენს სულში განუწყვეტილი ბარბონია ისადგურებს. ამას მიწიერი არაფერი აქვს. მე არც ზეციურს დავარქმევდი, უბრალოდ მიწიერი ალაგინანი აგას ვარ გაუძლეავს, ან წინაპირად უნდა შეიცვალოს ან მოაკადოს.

ეს არის ნათელი, უდავო შეგრძნება. თითქოს უცბად შეიგრძნობ მთელ ბუნებას და უცებ ამბობ: დიახ, ეს მართალიაო! ეს... გულაჩუყება არაა, ეს უბრალოდ სიხარულია. თქვენ აღარც პატიება გჭირდებათ ვისგანმე, ვინაიდან საბატონებელი აღარაფერი არის! ეს სიყვარულზე მეტიცაა! საშინელი ის არის, რომ უველაფერი ასე საზარლად ცხადია და ასე დიდად სასიხარულო. ეს კიდევ ერთი წამი რომ გაგრძელდეს, შენი სული ვერ გაუძლებს და გაპრება. ათი ასეთი წამის გასაძლებად ფიზიკური ბარდაძმნაა საჭიროო!

ამასვე განიცდის თავადი მიშკინიც.
„მის ეპილეპტიკურ მდგომარეობაში, თითქმის ბნელის მოსვლის წინ, როცა უეცრად ნაღველი დაჯახნინდა, სულს წყვდიადი დაეუფლებოდა და რაღაც სიმძიმელი დააწვებოდა. იყო ისეთი წუთები, როცა მთელი სხეული თითქო უეცრივ გაუნათლებოდა და სასიცოცხლო ძალები საოცრად აღგზნებოდა ხოლმე. ამ ელვისებურ წუთებში სიცოცხლის და თვითშეგრძნების შეგრძნება ლამის უათკეცდებოდა. გონებასა და გულს რაღაც საოცარი ნათელი მოეფინებოდა. ღელვას, ექვებს, შფოთს მყის რაღაც ზენარი სიმშვიდე შესცვლიდა და ეს სიმშვიდე ნათელი, მარმონიული სიხარულით, იმედითა და გონიერებით იყო აღსავსე“.

უცებ ადამიანის მთელი არსება შეშლალადებს სიცოცხლეს:

— დიახ, ეს სიმართლეს!

სული თითქოს მთლად გადასხვაფერებულა, სიცოცხლის დაუძლეველი ძალით აღვსილა — იმ ერთადერთი ძალით, რომლის წყალობითაც შეიმეცნება სიცოცხლის უღრმესი პირველსაფუძველი.

მაგრამ ეს ყალბი თვითშეგრძნებაა და მეტი არაფერი. კრუნჩხვებადღე გამძაფრებული, უაღრესად ავადმყოფური ხულიერი განცდები სასიცოცხლო ძალად მიუჩნევიათ; უველაზე დიდი დისბარმონია — განუწყვეტელ მარმონიად შეურაცხიათ, ორდინოვს აბოდებს, როცა თავის განცდებს განიცდის, მიშკინი უკურნებელი ბნედიანია.

შატოვი ეუბნება კირილოვს: „ფრთხილად, კირილოვ, გაგონილი მაქვს, ზნე სწორედ ასე იწყებაო!“.

ამიტომ სრულიად ბუნებრივი და გასაგებია, რომ ეს ადამიანები, თუმცა საშუაროს მარმონიას გრძნობენ და სიცოცხლეს შეშლალადებენ: „დიახ, ეს სიმართლეაო!“ — მაგრამ სიცოცხლის დამკვიდრებისთვის კი არ ირჩებიან, არამედ პირიქით, — მისი სრული უარყოფისთვის.

„— ამ ხუთ წაშში მე მთელ სიცოცხლეს განვიცდი, — ამბობს კირილოვი, — და მთელ სიცოცხლეს არ დავიშურებ ამ წამებისთვის.“

მე მგონია, ადამიანება ადამიანი აღარ უნდა მოგოს. რა საჭიროა გავშვიბი, რა საჭიროა განვიტარება, უაბთუ მიზანი მიღწეულია?“

ასევე ფიქრობს მიშკინიც:
„შემდგომ, უკვე კარგად შეუქცევი წამს რომ დაუფიქრდებოდა, არა ეტყნებდა: [ქუხქუხ] გუნებაში: ეს ზენარი თვითშეგრძნებისა და შეგნების, მაშასადამე „ზენარი ყოფის“ წამიერი, ელვისებური წუთები, ეს ნაპერწყლები სხვა არა არის რა, თუ არა ავადმყოფობა, ხოლო თუ ასეა, მაშ სულაც არ შეიძლება დაერქვას „ზენარი ყოფა“, პირიქით, უველაზე მიწიერს უნდა მიეწეროსო მერე რა, თუნდაც ავადმყოფობა იყოს! თუ რომ იმ წამს, მაშასადამე, ზნის მოვლამდე, სულ უკანასკნელ, შეგნებულ წამს ხანდახან მოუხწრია და ნათლად, შეგნებულად უთქვამს გულში: დიახ, ამ წამისათვის შეიძლება პაცმა სიცოცხლე არ დაიშუროსო! — რა თქმა უნდა, ეს წამი დასტურ ღირდა სიცოცხლის ფახად. თუმცაღა ამ თავიხი დასკვნის დიალექტიკურ მხარეს მაინცდამაინც ვერ გამოეკიდებოდა: ამ „ზენარი წუთების“ აშაბრა შედეგი, იცოდა, რომ გაამოთაბვანება, სულიერი წყვდიადი და იდიოტობა იყო“.

ამ წამების განცდისას მიშკინისათვის გახაგები ხდება უაღრესად უცნაური სიტყვების მნიშვნელობა: — „დიახ, დრო მეტად აღარ იქნება“. ამასვე ამბობს კირილოვიც: „დრო აღარ იქნება, ვინაიდან აღარც არის საჭირო. დრო საგანი არ არის. დრო იდეაა. გონებაში გაქრება“.

ამ ადამიანებს რომ მართლა შეეგრძნოთ გარშემო სიცოცხლის სუფევა, როგორც რაღაც ნამდვილი, მაშინ მათთვის თვითონ დროც ასევე ნამდვილი იქნებოდა. დროის უარყოფით, მისი შედმეტ ბარგად მიჩნევით ისინი მხოლოდ უფრო თვალში საცემს ხდიან თავიანთ სიცოცხლისუნარმოკლებულობას და გვიმტკიცებენ, რომ ძალა არ შესწევთ სიცოცხლის უფლებამოსილება და სამართლიანობა აღიარონ.

„ზენარი წუთი“ გადის, ისევ საძულველი დრო დგება, ისევ ჩვენი ცნობიერების მოლანდებითი, მაგრამ განუყრელი და მოუცილებელი ფორმა გვეტმასნება. მარადიულობა ხუთად ხუთ წამად იქცევა, სადღაც ქრება სიცოცხლის უმაღლესი მარმონია. სამყარო ისევ ბინდისფერდება და ერთმანეთს მოწყვეტილ, ქოტურ ნაწილაკებად ქუცმაცდება. მეორენაირი მარადიულობა იწყება — ცივი, მოსაწყენი, „კლდის ქიმზე“ ყოფნის მარადიულობა. პირქუში დრო კი ჩიუტად აღნუსხავს ამ ლეტარგიული მარადიულობის წამებს, საათებს, დღეებსა და წლებს.

„მო, გეტუობათ, მხიარულად ვერ ატარებთ დროს ჩაის სმაში“, — ეუბნება კირილოვს პირი, რომელიც მოგვითხრობს „ეშმაკებში“, და

ცოცხალი სამყაროდან გამდგარი თავადი მიშკინიც. — „მოწყვეტილი, უღმერთი ნაყოფი“, — უწინდებურად ეწვალება.

XIII

ღრიანკალი

თავისმკვლეელი წერს განაჩენში:

„რა გონიერულად და სამართლიანად, რა უნაკლოდაც არ უნდა მოეწყოს კაცობრიობა დედამიწაზე. — ხვალ უველაფერი მაინც მტვრად და ნაცრად იქცევა ჩემთვის. მართალია, ეს ბუნების უოვლადმდიერი, მარადიული და უღმობელი კანონების ძალით გარდაუვალი გახლავთ, მაგრამ მერწმუნეთ, ამ ჩანაფიქრში კაცობრიობისადმი რაღაც მეტიმეტი უპატივცემულობა იმალება, რაც მე უადრესად შეურაცხყოფს და მით უფრო ვერ ამიტანია ეს ამბავი, რომ არავის ამაში ბრალი არ მიუძღვის... ჩემდა უნებლიეთ ერთი მეტიმეტად საუურადღებო, მაგრამ ძნელსათმენი და სევდისმომგვრელი აწრი მიჩნდება თავში: „პატივი და, იქნებ ადამიანი რომელიღაც ბულავეს არსებამ საცდელად ჩამოუშვა დედამიწაზე, რათა შეამოწმოს: გაძლებს თუ ვერა იგი მიწაზე?“

ეს საშინელი კითხვა მუდამ თავში უტრიალებს დოსტოევსკის. დიდი ინკვიზიტორი ადამიანებს „გასართობად შექმნილ, ნაკლულოვან საცდელ არსებად“ მიიჩნევს. დარანის გმირი წერს: „ნუთუ მართლა ისე ვარ მოწყობილი, რომ ბოლოს და ბოლოს ვალიარო: მთელი ჩემი აგებულება, თავიდან ბოლომდე ნაყალბეცაა. შეთქი?.. აქ რაღაც ხიშანკლობაა, რაღაც თვალთმაქცობა და შულერობაა, აქ რაღაც ისეთი დომხალია. კაცი ვერ გაიგებს რა არი და ვინ არი, არადა, გული მაინც შეგტკივა, — რაც უფრო გაუგებარია, მით უფრო შეგტკივა“.

„— ეს ვინ დასცინის, ივან, ასე ძალიან ადამიანს?“ — ეკითხება შვილს ფიოდორ პავლოვიჩ კარამაზოვი.

„ბნელი, გულცივი, მარადიული და უსაზრისო ძალა“ დასტუდომია ადამიანს თავს და უადრესად დაუკნინებია იგი. „სახაცილო კაცმა“ სიჭმარში თითქოს თავი მოიკლა და საიქიოში გაცოცხლდა. „მაშასადამე, შეიძლება კუბოს მიღმაც იყოს ცხოვრება! და თუ კვლავ აუცილებელია უოფნა და ისევ სხვისი სურვილითა და კარნახით უნდა ვიცხოვრო, აღარ მსურს, რომ დამამარცხონ და დამამცირონ!“

იპოლიტი წერს თავის აღსარებაში: „ბუნება რაღაც უშველებელი, რაღაც გულქვა პირუტყვად გვეჩვენება ან, უფრო სწორად, რაღაც უსაზრისო, უახლოესი სისტემის მანქანად... დროდადრო ეს უსაზღვრო ძალა, ეს გაუკითხავი, ბნე-

ლი, უტყვი არსება რაღაც უცნაური, წარმოუდგენელი სახით შეჩვენებოდა, თითქოს ისიც მახსოვს, ვითომ ვილაცამ, რომელიღაც სასწრაფო ეკავა, ჩამკიდა ხელი, წამიყვანა და რაღაც უსაზრისო, საშიშლარი ღრიანკალი მჩვენა. მარწმუნებდა, ეს სწორედ ის ბნელი გაუკითხავი და უოვლისშემძლე არსებააო. ხანაცილოდ ამიგდო, ჩემი აღშფოთება რომ დაინახა... არ შეიძლება იცოცხლოს კაცმა, როცა ცხოვრება ესოდენ უცნაურ, ესოდენ შეურაცხყოფელ ფორმებს იღებს. ამ მოჩვენებამ დამცირებულად მაგრძნობინა თავი. მე არ ძალმიძს ბნელ ძალას დავემორჩილო, ღრიანკლის სახით რომ მივლინება“.

გულში ბოღმა გვიგუბდება, გვინდა შევაჩვენოთ ეს ბნელი ძალა, გვინდა ბრალი დავდოთ მას, არ ძალგვიძს მისი მორჩილება—მაგრამ არც ბრალის დადებას შეკონია რაიმე აწრი, ვინაიდან ეს ძალა უპიროვნო, უნებური და უსიცოცხლოა.

ჩემი მდგომარეობა მით უფრო აუტანელია, რომ ამასში ბრალს ვერა ვინც დასდებ“ — წერს თავისმკვლეელი „განაჩენში“. დარანის გმირს მხოლოდ ასეთი გამოხავალი ესახება: „ჩაიგდე ენა მუცელში და კბილები აკრაჭუნე ფარხმალდაყრილმა. ავბორცული ნეტარებით გაიტრუნე იმაზე ფიქრში, რომ თუ რამე ბანრისხეზიტაც ვერა ვინც ბანურისხეზიტაც, არა ვინ არის, ვინსაც კაცი რისხვას დაატახდა“.

მაგრამ თუკი არსებობს ის, ვისაც ბრალს დავდებდით, თუკი არსებობს ის, ვისაც რისხვას დავატახდით? თუკი ბნელი და უსიცოცხლო ძალის უკან მისი წარმმართველი ცოცხალი ნება დგას?

„რელიგია! საუკუნო ცხოვრება მე შესაძლებლად მიმაჩნია, ეგებ მუდამაც მიმაჩნდა. — წერს იპოლიტი, — დაე, უწენაესი ძალის ნებასურვილით ენთოს ცნობიერების ლამპარი, დაე, ცნობიერებას აეხილა თვალი და ეთქვა: „მე ვარ!“ დაე, ამ უწენაეს ძალას მერე ერთბაშად გადაეწყვიტოს იმის მოსაობა, იმითომ, რომ აქ ასეა ამა და ამისათვის საჭირო, ან თუნდაც ამის აუხსნელად, დაე, ასე იყოს, მე ეს უველაფერი შესაძლებლად მიმაჩნია, მაგრამ მაინც კიდევ საკითხავი მუდამ ეს არის: რისთვის სჭირდება ამასთან ჩემი მორჩილება? ნუთუ არ შეიძლება უბრალოდ ისე გადავშლავო, ძეგა-დნიღება ალარ შევასხა? მაგრამ მაინც გავიმეორებ, თუ მისი გაგება შეუძლებელია, მაშინ ძნელია პახუნი აგო იმაზე, რისი გაგების ნიჭი ადამიანისათვის არ მოუციათ... არა, ისა სჭობს რელიგიას მოვეშვათ“.

მაგრამ უწენაესი ნებისადმი ასეთ მორჩილ-

ებას კარგა გვარიანი სიმდაბლეს სჭირდება. ადამიანი კი ამაყი გახლავთ.

„სასაცილო კაცი“ საფლავში ცოცხლდება. „და მე მაშინ შევძახე, ხმით კი არა, რადგან განძრევა არ შემეძლო, მთელი არსებით შევძახე ჩემს მეუფეს იმის გამო, რაც მან დამაწია:

— ვინც გინდა იყავ შენ, მაგრამ თუ მართლა არსებობ და არსებობს რაიმე იმაზე გონიერი, რაც ახლა ხდება, მიეცი მას აქ ყოფნის უფლება, ხოლო თუ შენ ჩემი უგუნური თვითმკვლელობის გამო შურს იმით იძიებ, რომ ჩემს შემდგომ არსებობას აწრს დაუპარგავ და გააუგვანოებ, მაშინ იცოდეთ, ვერავითარი წამება ვერ შეედრება იმ ზიზღს, რომელსაც შენ მიმართ უხმოდ შევინახავ გულში, თუნდაც მილიონი წლები მტანჯო“.

ეს მეუფე დოსტოევსკის უველა „ურწმუნოს“ თანამდევია. დოსტოევსკის უყვარს ურწმუნო გმირების წარმოჩენა, მაგრამ მისი ურწმუნოები ძალიან უცნაური ადამიანები არიან. მათთვის ღმერთი ცარიელი, უშინაარსო სიტყვა როდია. ღმერთს უველა მათგანი ხედავდა ოღონდ არ სასოებს მისით. თავიანთ ურწმუნოებაზე ლაპარაკში მათ მოულოდნელად ისეთი სიტყვა ან საქმე წასცდებათ ხოლმე, რომელიც მათ ფარულ განწყობილებას ამჟღავნებს.

ათეისტი რასკოლნიკოვი უცებ პორფირის განუცხადებს — ღმერთი მწამსო, თვით ლაზარეს აღდგინებაც კი სიტყვასიტყვით მჭერაო. ნიჰილისტი იპოლიტი ამბობს, საუკუნო ცხოვნება შესაძლებლად მიმაჩნიაო. ივანე კარამაზოვი „განა ღმერთს არა სწამობს, არამედ მხოლოდ ბილეთს უბრუნებს მას დიდის მოწიწებით“. ურწმუნო კირილოვი დღენიადაც კანდელებს უნთებს ხატს. პეტრე ვერხოვენსკი ამბობს მის შესახებ: „მას ღმერთი ხუცესზე მეტად სწამს“.

ისინი სულაც არ არიან უღმერთო ადამიანები. გული ღმერთზე დარდით გასივებიათ. იციან, ღმერთი არსებობს, ის მათ წინაშეა, მაგრამ მისი მორჩილება არ ძალუძთ, — ძალიან ბევრი აქვთ მისთვის ისეთი შეკითხვა, რომელსაც პასუხი არ მოეპოვება.

წუთისოფლის სიმუხთლით გამწარებული ბიბლიური იობი ამბობს: „მე უფლისა მიმართ ვიტყვადი და ვამხილო მის წინაშე, უკეთუ ინებოს“. ახალი იობი — დოსტოევსკიც ასევე მამხილებლად გამოდის, და იობის დროიდან არავის დაუსვამს ასეთი ცის შემარყვეველი და დამანგრეველი კითხვები, როგორც „ადამიანების სადარაჯოზე“ მდგარმა დოსტოევსკიმ დასვა. ამ კითხვების გვირგვინი კი ივანე კარამაზოვის ცნობილი „ამბობია“.

„— ო, ჩემის აწრით, ჩემი საცოდავი, მიწიერი, ეკლექტიკური ჭკუით მხოლოდ ის ვიცი,

რომ ვიტანჯები, ბრალს კი ვერავის დავდებ ამაში, რომ უველაფერი ვერაპირ. უბრალოდ გამომდინარეობს ერთიმეორიდან: მაგრამ ამ ეკლექტიკური აბდაუბდის თანახმად ხომ ვერ ვიცხოვრებ? ნუთუ იმისათვის ვერაფერს ვიქნები ჩადენილი ბოროტმოქმედებებისათვის? ტანისი სიმწარით რომელიღაც მომავალი მარმონისათვის გამეპოხიერებინა ნიადაგი... სანამ გვიან არ არის, ვცდილობ თავი მოვიწლუდო, ამიტომაც, რომ საერთოდ უარს ვამბობ უშადლეს მარმონიაზე; ის თუნდაც ერთი რომელიმე განაწამები ბავშვის ცრემლად არ ღირს... იმითაც არ ღირს, რომ მისი ცრემლი გამოუსყიდავი დარჩა. და რითი, რითი გამოისყიდება იგი? ნუთუ იმით, რომ უფალი მიაგებს მათ ხამაგიეროს? მაგრამ მე რაში მეპრიანება მათი სასჯელი, რაში მეპრიანება გამწამებლების ჭოჭოხეთში ყოფნა, როცა მათ სხვები უკვე აწამებს? ან სადაური მარმონიაა, თუ ჭოჭოხეთიც იქნა?.. დაბოლოს არ მინდა, რომ ხელიხელჩაკიდებულმა იარონ დედამ და მწვანეებულმა, — ვინც ქოფაკებს დააგლეჯინა მისი ბიჭუნა! რა უფლებით უნდა მიუტევოს დედამ მას! თუ სურს, დაე, თავისი წამება მიუტევოს, დაე მიუტევოს თავის გამაწამებელს უწომო, დედობრივი ტანჯვა, რომელიც მან განაცდევინა, მაგრამ თავისი დაგლეჯილი შვილის ტანჯვის მიტევების უფლება მას არა აქვს, თვითონ ბიჭუნამაც რომ მიუტევოს — არც მაშინ. მაშ თუ ასეა, — სადღაა მარმონია? არა, არ მინდა მარმონია. სასჯელის მიგებას ის მირჩევნია, ტანჯულად დავრჩე, — ჩემი დაუცხრომელი გულიწყრომის ამარა, მარტალის რუმ არ ვიქნა ამასში, — მბინც.“ (ხაზი დოსტოევსკის გასმულია).

ადამიანური სულის არაცნობიერ ჭურღმულეებში ეს „დაუცხრომელი გულისწყრომა“ დულს და ბოხოქრობს და ადამიანიც ანაზღად საკვირველ, მოულოდნელ, ლამის გაუგებარ რამეს ჩადის ან ამბობს.

ღმერთზე დარდით გულჩათბრობილი ვერსილოვი უცებ გამძვინვარდება და ბერ მაკარ ივანოვიჩის ნაქონ ხატს ღუმელზე დაახეთქებს.

„— აღეგორიად არ ჩამომართვა, სონია, მაკარის შემკვიდრეობა კი არ დამიმსხვრევია, მე მხოლოდ გატეხვა მინდოდა... თუმცა, თუ გინდა, აღეგორიდაც მიიღე; ეს ხომ ნამდვილად ეგრე იყო!“

თავიანთი დაუცხრომელი გულისწყრომებით დოსტოევსკის „ურწმუნოები“ თავგამოდებით და დიდა შემართებით იბრძვიან ღმერთის წინააღმდეგ. იქნებ ამითაც აიხსნება კვადრატული ფეხვის მაინცდამაინც ბოროტებიდან ამოდების დაძინებული მცდელობა, — იქნებ ეს არის „წღურბლის გადაღახვის“ და „თვითნებობის

გამოვლინების“ მათი დაუოკებელი წადილის მიზეზი?

კამათობს რა სოციალიზმის წინააღმდეგ, დარანის კაცი წერს: „ადამის მოდგმის მთელი სიზრუნავი, ეტუობა, მართლა ის ყოფილა, რომ კაცმა თავის თავს წამდაუწუმ უმტკიცოს: ადამიანი ვარ და არა ნაქურჩალო! თავში ქვას იხლის, ოღონდ დაუმტკიცოს, თუნდ ბნელეთის მოციქულობას იკისრებს — ოღონდ დაუმტკიცოს!“

დოსტოევსკის ურწმუნოებისათვისაც ადამის მოდგმის მთელი სიზრუნავი თითქოს მართლა წამდაუწუმ ღმერთისაგან თავიანთი დამოუკიდებლობის მტკიცება ყოფილა — თუნდ თავში ქვას იხლიან, თუნდ ბნელეთის მოციქულობას იკისრებენ. ოღონდ კი ეს თავს დაუმტკიცონ.

ხიცოცხლის ასეთნაირი განცდისას, რომლითაც აღსავსეა დოსტოევსკი, მისი ეს თავგამოდებული ღმერთბრძოლა საგვებით ბუნებრივი რამ არის. სამყარო შემწარავია, — ადამიანი უმწეო და უზომოდ უბედური; უღმერთოდ ცხოვრება „ნელინელ ტანჯვა და სიკვდილია“ (სტავროვინი). როგორღა იქნება ამ შემთხვევაში ღმერთთან დამოკიდებულება ძალდაუტანებელი? როგორღა შეიძლება მის სიყვარულზე ლაპარაკი? დაგლაზაკებული, გათოშილი ხეიბარი ღამის წყვდიადში არსთა ვამრიგის სასახლეს მისდგომია. თუკი ის ახლა უფლის მიმართ აღავლენს ზოტბას, ვითომც იმიტომ იწამს ამას, რომ უყვარს იგი, — თუ მხოლოდ იმიტომ, რომ სასახლეში ხინათლება და თბილა?

ალექსანდრიის ქუჩებში ერთი ფეხშიშველა ქალი დადიოდა. ცალ ხელში თურმე ჩირადდანი ეკირა, მეორეში კი — ხარწყული და ახე იძახდა:

„— ცახ გადავბუგავ ამ ჩირადნით, ამ წყლით დავშრეტ ჭოჭონეთის ცეცხლს, რომ კაცთა მოდგმას თვითონ ღვთის გამო უყვარდეს ღმერთი“.

დოსტოევსკისთვის კი არ არსებობს სიქველედ და სათნოება, თუ უკვდავებაც არ იქნა; ისღა დაგვრჩენია თავი მოვიკლათ, — თუ უკვდავება არ იქნა; უკვდავების გარეშე ცხოვრება და არსებობა შეუძლებელია. რაღაში დასჭირდებოდა დოსტოევსკის ღმერთი. ალექსანდრიელ ქალს რომ თავისი დანაქადები შეეხრულებინა?

ნიშანდობლივი ამბავია: დოსტოევსკისთვის „ღმერთის“ და „ადამიანის პირადი უკვდავების“ ცნებები განუურელადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, — მისთვის ეს უბრალოდ სინონიმებია. არადა, ახეთი ურთიერთკავშირი სულაც არ არის სავალდებულო.

გუყვარდეს ღმერთი მხოლოდ მისივე გულისათვის, — ადამიანური ხელის უკვდავების გარანტიის

გარეშე... კი მაგრამ, რატომ? საწინედებით და სევდით ხავსე ხანუთროს გამო? თუ მკმუნვარე სულის გამო, რომელშიც რბრბენი და ბაბაკუები დაბუეღაობენ? არა, აქ სიყვარული ფებს ვერ მოიკიდებს, აქ მხოლოდ სვეგამწარებული იპოლიტის ამდროიკენელი შეკითხვა თუ წამოიჭრება: „ნუთუ არ შეიძლება უბრალოდ ისე გადაწყდაპოს, რომ ჩემი გადაყლაპვისთვის ქება-დიდება აღარ შევასხა?“

აქ მხოლოდ ივან კარამაზოვის შეამბოხური პასუხი გაბლავთ უპრიანი:

„შირჩევნია ტანჯულად დავრჩე, ჩემი დაუცხრომელი გულისწყრომის ამარა, — მართალიც რომ არ ვყოფ ამაში, — მაინც.“

XIV

ბამანდი

მაშ თუ ახეა, რაღამ უნდა ასულდგმულოს ადამიანი?

„— შეიძლება თუ არა ამბოხით იცხოვროს კაცმა? მე სწორედ ასე ცხოვრება მინდა“. — ამბობს ივან კარამაზოვი.

„— ცრემლის ღვრით დაოსებული უგუნური ადამიანები, — ამბობს დიდი ინკვიზიტორი, — ბოლოს და ბოლოს შეიგნებენ, რომ გამჩენს მათი გაპაშულება უნდოდა და შეამბოხებდადაც ამიტომ შექმნა ისინი. ამას ხანოწარკვეთილების ეპის იტყვიან და ეს ღვთის გამოხა იქნება; ამით მთლად გაუბედურდებიან, რადგან ადამიანური ბუნება ვერ იტანს ღვთის გმობას, — ადამიანები საბოლოოდ ისევ თავის თავზე იძიებენ ზოლმე შურს ამის გამო“.

და აი, დოსტოევსკის შემდგომ ძიებებში უცნაურ ფსიქოლოგიურ გამოცანას ვაწყდებით — სწორედ ისეთს, ბიბლიური იობის ძიებებში რომ გვაოგნებს. გზა ჩაქცეულია, წინ გადაულახავ ნაპრაღს დაუღია ხახა; ნაპრაღის ფსკერზე არა გადაჭრილი, არამედ ჩახშობილი საკითხები დაგროვილა, გაღმა კი — ღვთის საგალობელს მღერიან.

იქ ხელს ხვავგვარი სამყაროა, იქ ადამიანები აღარ იკლაკნებიან ბარით გადაჭრილი ჭიყველებით, აღარც წყევლა-კრულვა და ქვითინი ისმის. დინჯად და დარბაისლურად მიმოდინ წმინდა ბერების, მაკარ ივანოვიჩის და ზოსიმას უხიცოცხლო ლანდები; თავისი აგარაკის აივანზე წმინდან-ეპილეპტიკოსი მიშკინი დაბრძანებულა.

თავს დასტრიალებს ამ ლანდებს დოსტოევსკის უველაზე ხანუკვარი და უფაჭიზესი ოცნებები შეუძლებელსა და მიუწვდომელზე, — არა-ამქვეყნიური შარავანდედით მოსავს მათ. ამ შუქის ათინათი გარშემო უველაფერს ახხივო-

სნებს და სააქაოს მიმკვდარებული ცხოვრებაც
ნელ-ნელა ცოცხლდება ამ არაამქვეყნიურ შუ-
ქის წყალობით.

„— რა ენით უთქმელი სილამაზეა უველგან,
— ამბობს გულაჩუყებული ბერი შაკარ ივა-
ნოვიჩი, — ბალახი ხარობს — ისარე, ღვთის
ბალახო: ჩიტუნა ეღურტულებს — იუღურტუ-
ლე, ღვთის ჩიტუნავ; ჩვილმა დაიკვივლა დედ-
ის მკლავებში — გფარავდეს უფალი, პაწია აღ-
ამიანო, იწარდე ბედნიერი, პაწაწავს!.. კარგია
ქვეყნად სიცოცხლე, საყვარელი!“

და მამა ზოსიმაკ გვასწავლის:
„— უველა კმნილება, სუღდგმული ყოველი,
ყოველი ფოთოლი — სიტუვას ეხწრაფვის, უფ-
ალს უმღერის საგალობელს, ქრისტე ღმერთს
ევეღრება... უველაფერი ისეა, ვით ოკიანე,
უველაფერი მდინარებს და უველაფერი ერთმა-
ნეთზეა გადაკდობილი, ერთგან რომ ხელს და-
აკარებ, სამყაროს მეორე ბოლოში გადაეცემა...
შენ მთელის გულისთვის იღწვი, რასაც აკეთებ,
მომავლისათვის აკეთებ. ნურაქთარი ჭილდო
ნუ გინდა, რადგან ისედაც დიდი ჭილდო გენი-
კება ამქვეყნად: — სუღიერი სიხარული...
წომიერება იცოდა, იცოდა უველაფერს
თავისი დრო აქვს, — მიიჩვიე ამეებს...
ემთხვიე ხოლმე დედამიწას, ეამბორე, დაპკონე
მიწა, ნუ დაიღლები მის სიყვარულში, მისი სი-
ყვარულით ვერ უნდა გაძღე, უველაფერი გი-
ყვარდეს, უველა უნდა გიყვარდეს“...

გადამთიელებივით დგანან უფსკრულის მე-
ორე მხარეს რასკოლნიკოვი, ივან კარამაზოვი
და უწმინდურის სხვა მოღვაწეები. ქირკილებენ
სვიდრიგაილოვი და ვერსილოვი. გაოცებული
იჩეჩავს მხრებს დიმიტრი კარამაზოვი...

რანაირად შეიქნა უცებ „ქვეყნად სიცოცხლე
სანუკვარი“? რანაირად მოხდა, რომ უველაფე-
რი ერთმანეთს გადაეკდო ამ საყოველთაო
„უილაქობის და უნიათობის“ გარემოცვაში?
რა სიხარულია ეს მომავალზე წრუნვით მოგვ-
რილი სუღიერი სიხარული? „რაში მენადვლე-
ბა ის თქვენი მომავალი, თუკი შე ამის წილ
არც სიუვარული შემხვდება, არც მომავალი
ცხოვრება, არც ჩემი გმირობის აღიარება!“
(უმაწვილი) „რანაირად უნდა დავუკავშირდე
მიწას საუკუნოდ? მიწის მუშად ან მწყემსად
ხომ ვერ ვიქცევი?“ (დიმიტრი კარამაზოვი).
სად არის ამ სანუკვარი ცხოვრებისაკენ მიმავა-
ლი გზა? აკი პასუხები, რომლებიც ვაღმა მხრი-
დან მოისმის — იგივე შეკითხვებია, ოღონდ
ბრძანებით კილოში ნაბმარი, როგორ უნდა
შეიუვარო მიწა? — მიწა გიყვარდეს...

და მაინც, არის გზა ამ კეთილსაზიერებისა
და გულითადი „სიხარულების“ აღთქმული
ქვეყნისაკენ. მერედა რომელი? — რომელი და
აგივე გზა: ადამიანი ჭერ კიდევ არ არის ხა-

კმარისად უბედური, იგი ახალ-ახალი სატანჯე-
დებით უნდა დაეკოლოთ, ზედ უფსკრულის
ფსკერამდე უნდა დავიუვანდოთ და წაშინ.

„— მაშინ თავს დამტყდარი დიდი უბედურ-
ება ისევ აგვადორძინებს სახეობისუღრუ-
მლისოდაც ადამიანის სიცოცხლისუღრუ-
ლია, ღმერთი კი უნდა იყოს, რადგან ღმერთი
სიხარულს გვანიჭებს. რა გამაძლებინებს იქ,
მიწაში უღმერთოდ? თუ ღმერთს სააქაოდან
გავაძევებთ, ქვესკნელში შევეუვრებით მას და
მაშინ ჩვენ, ქვესკნელის ადამიანები, მიწის წი-
აღიდან ტრაგიულ სიმღერას ადვავლენთ ღმე-
რთის მიმართ, რომელთანაც სიხარულია! კურ-
თხეულ იყოს ღმერთი და მისი სიხარული!“
(დიმიტრი კარამაზოვი)

უურს ნუ ვათხოვებთ იპოლიტის გულჯავრიან
ხითხითს, ივან კარამაზოვის „დაუცხრომელი
გულისწყრომა“ დავივიწყოთ. ამათი გახსენება
ახლა იმას ნიშნავს, რომ კაცს უკანასკნელი და-
საყრდენი გამოაცალო. — სხვა რამეს უნდა ვა-
თხოვოთ უური:

„— დიდი უბედურება დაგატყდა, — ახწა-
ვლის მამა ზოსიმა, — ჯა ამ უბედურებაში
შევბას ნახავ, აი, შენ ჩემი მცნება: უბედუ-
რებაში ეძიე შევბა. ცხოვრება ბევრ სიმწარეს
გაგემებს, მაგრამ სწორედ მაგ სიმწრის გამო
იქნები ბედნიერი და ლოცვა-კურთხევას შეუთ-
ვლი სიცოცხლეს.“

თუ ჩვეენ მაინც ვერ შეგვიგნია მითითებუ-
ლი გზის მაცხოვნებელი ძალა და, რაც მთავა-
რია, — ამაღლებულობა, მაშინ დიმიტრი კარ-
ამაზოვს მოვუსმინოთ. მან შეიგნო და ჩვენც
აგვიხსნა ეს, იმ აგრერიგად გაშიშვლებული და
უაღრესად სასიამოვნო გულახდილობით, რო-
მელიც ასე დამახასიათებელია მისთვის.

„— ახლა მივხვდი, რომ უპრიანია ჩემისთან-
ები ბედმა ათრიოს, ჩემისთანებს ძამანდი
უნდა მოსდო, — ძალით მოუბრინო კინე-
რი, არასოდეს, არასოდეს შე ჩემით არ წამოვდ-
გებოდი, მაგრამ უცვე სიქეკა, თანახმა ვარ ცი-
ლისწამების ტანჯვა ეიწვნო და საქვეყნოდ თა-
ვი შევირცხვინო, მინდა ვეწამო და ტანჯვით
განვიწმინდო!“

იქ, მაღლა, უფსკრულის თავზე დარბაისლუ-
რად დააბიჭებენ გადარჩენილები და უბარიათ...
მაგრამ კმარა; იქნებ ისინიც სწორედ ქამანდით
ამოათრიეს უფსკრულიდან ამ სიმაღლეზე? რა-
ღაც ძალიან მიივიწყეს მათ უფსკრულის ძირას
დარჩენილი საკითხები, რაღაც ძალიან დაქანც-
ულან ძნელდასაძლევი აღმართისაგან, — ძალ-
იან უშფოთველები ჩანან, შლეგიანი და მძვინ-
ვარე თანამოხაუბრეების საპირისპიროდ რაღაც
ძალიან „იცავენ ზომიერებას“ და „იციან, რომ
უველაფერს თავიხი დრო აქვს.“

„ექვების ბრძმედში გატარებული ოსანა“...

რა მკაფიო, კაშკაშა შუქით უნდა ბრწყინავდეს ასეთი ოსანა, როგორ ჩიქურად უნდა ეკვეთოს იგი ექვებს, მაგრამ დოსტოევსკის დარბაისელ წმინდანთა მშვიდ ოსანაში მხოლოდ დაღლილობა და მოშთობილი სასოწარკვეთილება შეიმჩნევა.

და რა უწყინრები, რა მორიდებულები არიან ისინი ცხოვრებაში. „წომირება იცოდე“, — ახწავლის წოსიმა, ო, მან თვითონ იცის წომირება!

„— მოძღვარო, რა უნდა ვქნა, რათა მექნეს ცხოვრება საუკუნო? — კითხულობს ანგალი ფიოდორ პავლოვიჩ კარამაზოვი.

„— ბელს ნუ მიპყრფთ ღოთობასა და ავბორცობას, მეტადრე ფულს ნუ გააღმერთებთ. დახურეთ თქვენი სამიკიტნოები, თუ უველა ბრტ — ორი ან სამი მანინც...“

იქნებ შეფარვით დასცინის დოსტოევსკი თავის წოსიმას, ასე გესლიანად რომ ატრივიაზებინებს საბარების პასუხს ამავე შეკითხვაზე?

„— ვოცნებობ ვიხილო ჩვენი მომავალი და თითქოს უკვე ნათლადაც ეხედავ, — ამბობს ისევ ის წმინდა ბერი, — რადგან ესემც იქნება, ჩვენი უველაზე გათახსირებულ მდიდარიც იმით დაამთავრებს, რომ თავის სიმდიდრის შერცხვება ღარიბის წინაშე, ხოლო მისი თავმდაბლობის შემხედვარე ღარიბი გაუგებებს (რას გაუგებებს?) და დაუთმობს მას — სიხარულს და აღერსს მიაგებებს მის კეთილსახიერ სირცხვილს. გჭეროდეთ, რომ ამით გათავდებთ, — ასეთი პირი უჩანს.“

აი ისიც — სანუკვარი მომავალი მარმონია, ის მარმონია, რომელიც ასე უიმედოდ მონატრებია ივან კარამაზოვის ღარიბი რადაცას გაიგებს და მდიდარს დაუთმობს თავის ვაჟიშვილებს კვლავინდებურად შემშლილით დაამქლევებს, ხოლო ქალიშვილს სონია მარმელადოვას გზას გაუუენებს: მდიდარი კი თავის სიმდიდრეს შეირჩენს და სართად „კეთილსახიერ სირცხვილს“ მიიღებს... კიდევ კარგი, რომ წმინდანი ბერი, თუმცა გულში ჩამწვდომად ლაპარაკობს, მაგრამ ხათქმელს მაინც ხმადაბლა ამბობს, თორემ უფსკრულის გაღმა ივან კარამაზოვი გაიგონებდა და ერთს ისეთს გადაიხარბარებდა, რომ წმინდანი ბერი სირცხვილისაგან გაწითლდებოდა, ოღონდ ეს ვერაფერი „კეთილსახიერი სირცხვილი“ იქნებოდა.

არა, ამ წმინდანებს მძვინვარებისა არაფერი სცხიათ, სამაგიეროდ თვითონ დოსტოევსკია უადრესად მძვინვარე, როცა სიტყვა მის მორწმუნეობაზე ჩამოვარდება. ის იმწამსვე ღიზიანდება, ბრაწმორეული ლაპარაკობს „ხქელშუბლიანებზე“ და „გამოთაყვანებულებზე“, რომლებიც თავს ესხმიან მას მისი მორწმუნეობის გამო. „მაგ რეგვენებს ხომ არც დახიწმრებიათ

ისეთი უბოდიშო უარით წარმოქმნილი დაბრკოლება, მე რომ გადავლახე ეგროპაშიც არ არის და არც როდისმე უოფულა ასეთი ძალისათვისტური გამოვლინება. მაშახადამე, ბიკუნასავით კი არა მწამს [და] [და] [და] ქრისტეს, არამედ ჩემი ოსანა [და] [და] [და] მრამდეშია გატარებული, როგორც ამას ეშმაკსაც ვათქმევინებ“.

მაგრამ რაც უფრო გაცხარებით გვიმტკიცებთ დოსტოევსკი თავისი რწმენის უფლებამოსილებას, რაც უფრო გახელებული დასცინის იგი ურწმუნოებს და ანათემას უთვლის მათ, — მით უფრო დაბეჭითებით გვახსენებს თავს ერთი შენიშვნა, რომელიც ოდესღაც თვითონვე დასცდა:

„ვინ იცის, იქნებ ზოგიერთები მართლა იმიტომ ცხარობენ მთელი ცხოვრება და იმიტომ არწმუნებენ სხვებს დორბლმორეული, რომ თვითონ დაიჭერონ, მაგრამ მაინც სიკვდილამდე ურწმუნოები რჩებიან“.

და იქნებ სწორედ თვითონ დოსტოევსკი ბუავს მხედველობაში ბერ მაკარ ივანოვიჩს, როცა ერთმანეთს ნამდვილ უღმერთოებს და ღმერთის ხელაღებით უარყოფლებს უპირისპირებს: „ნამდვილი უღმერთოები ბევრად უფრო საშიშნი არიან ამათზე, რადგან პირზე ღვთის სახელი აკერიათ“.

მაგრამ იგივე მაკარ ივანოვიჩი ამბობს „უმაწვილში“: „კაცი ისე ვერ იქნება, თუ რამეს არ ეთაყვანა, ვერ გაუძლებს თავის თავს ასეთი კაცი, — ვერც ვერანაირი კაცი“.

და ადამიანიც ეთაყვანება, ვინაიდან თავის თავს ვერ უძლებს, ვინაიდან აღარ ეცხოვრება, — სახეზე ნილაბს იფარებს, დაჟინებით ცდილობს თავი დაირწმუნოს, რომ ეს სწორედ მისი სახეა, მაგრამ ნილაბი უეცრად მოსცილდება, წამით ნამდვილი სახე გამოუჩნდება და ჩვენ უცნაური, იდუმალებით სავსე სიტყვები გვემზის:

„— მე ხუცესი ვარ, Lise? — ეკითხება ალიოშა, — თქვენ, მაგალითად, ამ წუთას თქვით, თითქოს მე ხუცესი ვიყუ? — დიახ, ვთქვი.“

— აბა, მე ღმერთი აღბათ არცა მწამს.

იყო აქ, მის ამ ანაწდად წამომცდარ სიტყვებში რაღაც უადრესად იდუმალი და პირადული, იქნებ თვითონ მისთვისაც გაუგებარი, ოღონდ ისეთი, მას რომ უეჭველად მოსვენებას უკარგავდა.“

ეს „ძმებ კარამაზოვებიდან“ ახლა კი „ეშ. მაკებიდან“:

„— მითხარით, თქვენ თვითონ გწამთ თუ არა ღმერთი? — მე რუსეთი მწამს, მართლმადიდებლობა მწამს მისი... მწამს ქრისტეს სხეული... მწამს

რომ მეორედ მოხვლა რუსეთში მოხდება... მწამს... — აღუღლულდა შატოვი.

— ღმერთი თუ გწამთ-მეთქი, ღმერთი?

— მე... მე ვიწამებ ღმერთს¹.

ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ შატოვი მთლად იბივის ძაღბებს, რასაც დოსტოევსკი — ახლა უკვე თავისი პირით — „მწერლის დღიურში“. დოსტოევსკი თითქოს თვითონაც ასეთივე მგზნებარე რწმენით აღვსილი შეგვაგონებს წამდაუწუმ: „მე მართლმადიდებლობა მწამს, მწამს, რომ ქრისტეს მეორედ მოხვლა რუსეთში მოხდება...“ ოღონდ პუბლიცისტი ვერ ზედავს უკანასკნელი სიტყვები წარმოთქვას, ცდილობს თავის თავსაც კი დაუმალოს იგი. მაგრამ საშინელი, არაადამიანური სიმართლით ამთავრებს სათქმელს დოსტოევსკი-მხატვარი: ხოლო ღმერთს, — ღმერთს მე ვაწამებ.

მეფთინგი ამბობს თავის „რელიგიის ფილოსოფიაში“: „ოდესღაც რელიგია მანათობელ სვეტად უძლოდა კაცობრიობას და დიდ ისტორიულ გზას უკვალავდა. ახლა იგი თანდათან ემსგავსება ლაზარეთს, რომელიც ლაშქარს უკან მიჰყვება და დაკრილდებს აგროვებს“.

ყოველ შემთხვევაში, დოსტოევსკის რელიგია ნამდვილად ასეთი ლაზარეთია, — დაღლილთა და დავრდომილთა თავშესაფარი. ამ რელიგიის ღმერთი ხბვა არაფერია, თუ არა უავარჯენი, რომელსაც უიმედოდ დასახიჩრებული ადამიანი ეპოტინება. ეპოტინება, ცდილობს წამოდგეს, ზედ ჩამოეყრდნოს, მაგრამ უავარჯენი წამდაუწუმ ხელში ატყდება. ხოლო გარშემო პირკუთხეში, მოწყენილი უდაბნოა, „უილაქობა და უნიათობა“ გამეფებულია.

XV თავი

ტანჯვასაც თავისი აზრი აქვს

„ტანჯვა-წამებით ყოველივე განიწმინდება“, — ამბობს ნატაშა „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“.

ტანჯვა-წამება, ტანჯვა-წამება, ტანჯვა-წამება! — აი ნამდვილი სახშილი¹, რომელიც განანათლებს და განასპეტაკებს ცხოვრებას, აი, რა აღამაღლებს და ამშვენებს ადამიანს, აი, რა ანიკებს მას ზედნიერებას.

„ეშმაკებში“ ერთი მონასტრის დედაბერი ამბობს:

„ყოველი ამქვეყნიური ვარამი და ყოველი ამქვეყნიური ცრემლი ჩვენთვის ღებნა არის. გააღტვე ცრემლით მიწა ნახევარი არშინის სიღრმეზე და მწუხარება ღებნად შეგიცვლება“.

¹ სახშილი — ცეცხლთა სავსე ბეჭელი კაცთა და საწვავად (საბა).

„უზედურებაში შვება ეძიე“, — არიგებს აღიოსნას მერი ზოსიმა. პორფირი სეტროვიჩიცი არიგებს რასკოლნიკოს: „ტანჯვა-წამება ავი არ არის, როდინ რომანოვ, თქვენ ჩემმა ხიბსუქნემ არ მოგატყუოთ¹ [ჩემი] უწყისოთ მე-რე, სამაგიეროდ ცოდნით [მე] კაჟკაციინებათ, — ტანჯვასაც თავისი აზრი აქვს“.

მერე და რა აზრი აქვს ასეთი?

ჩვენ ვხედავთ: მომეტებული ტანჯვის შედეგად დოსტოევსკისთან ადამიანები, მხოლოდ ჭკუიდან სცდებიან, თავს იკლავენ, წუევლა-კრულვაში ამოხდით სული. სწორედ იქ, სადაც ეს იდეა თითქოს უნდა გამოემჟღავნებინა, დოსტოევსკი დუმს. კატორღაში რასკოლნიკოვი ტანჯვით განიწმინდა, ხელახალი ცხოვრება დაიწყო, „განახლდა“ და „ხელმეორედ დაიბადა, ოღონდ.. „ეს ამბავი ახალი მოთხრობის საგნად გამოდგებოდა, ამ ჩვენს მოთხრობას კი ამით ვამთავრებთ“. ასევე უმაწვილის შესახებაც.

მაგრამ ეს როდია მთავარი. არავითარი გაშიფრვა და დამტკიცება ტანჯვის იდეას არა ხჭირდება. დოსტოევსკისთვის ის ყველა იდეა-ზე უფრო ხარწმუნო იდეაა, იქნებ ერთადერთი სარწმუნო იდეაც. და ჩვენც, — ტანჯვისადმი ამ ნდობის ძალით მოქადობული მკითხველნიც — სულით და გულით ვიზიარებთ დაუმტკიცებელ იდეას და სულაც არ გვიკვირს, როცა, მაგალითად, დიმიტრი კარამაზოვისაგან ასეთი სიტყვები გვესმის:

„— მე არ მომიკლავს მამაჩემი, მაგრამ მაინც უნდა წავიდე. ვკისრულობი...“ — ივანს უნდა ამერიკაში გააქციოს ძმა, მაგრამ დიმიტრი ეურჩება. — „პი მბზრამ, რა ნამუსით? ტანჯვას რა ნამუსით აპარიდოთ თავი? შემწეობა აღმოუჩინეს — უარყო, განწმენდის გზა ბსნილი მქონდა — ზურგი აქცია... „ჯპარცმბს თავი აპარიდა“ — საბოლოოდ კი ამერიკაში გაქცევაზე მაინც დათანხმდა და აი, რატომ: „— თუ ამერიკაში გავიქცევი, მაშინ ის აზრი მასულდგმულდებს, რომ დაღბინებული არ გავქცეულვარ, რომ ზედის-ძებნა კი არ დამიწყია, არამედ მეორე — კეშმარიტად მეორე კატორღას მივაშურე — შესაძლოა ამაზე უარეს კატორღასს უარეს კატორღას-მეთქი, ალექსეი, კეშმარიტად უარეს კატორღასს“

შეგვეძლო ამ სიტყვებზე გაოცებისაგან მხრებიც აგვეჩჩია. რა აიძულებს გაქცევას? დანაშაული, რომელიც ტანჯვით უნდა გამოისყიდოს? მაგრამ აბა დიმიტრის ამაში ბრალი რომ არა აქვს — მას არ მოუკლავს მამა. მაშ რატომღა ასულდგმულდებს მას აზრი, რომ იგი დაღბინებული კი არ გაიქცევა ზედის საძებნელად, არამედ ისეთსავე კატორღას მივაშურებს? მაგრამ ეს ამბავი მაინც ვერ გვაოცებს. ვუუ-

რებთ გარშემო არაქათგამოცდილ, უძლურ და უნებისყოფო სიცოცხლის ფორთხალს და რაღაც საწარელს და გარდაუვალს, ლამის სიშართლეს, ხანუკვარ სიშართლეს შევიგრძნობთ... რა წარმოშობს მას?

„მკვდარი სახლის ჩანაწერებში“ დოსტოევსკი ერთ პატიმარზე მოგვითხრობს: მან სრულიად უმიზეზოდ აგური ჩასცხო ციხის უფროსს, რის გამოც როზგით ხული ამოხადეს. „ის აღბრუნდა სასოწარკვეთილი კაცი იყო, — ამბობს დოსტოევსკი, — ერთი იმათგანი, ვისაც უკანასკნელი იმედი გადასწურვოდა, ხოლო რაკი მთლად უიმედოდ სიცოცხლე შეუძლებელია, ისიც ადგა და ნებაყოფლობით, ლამის ზელოვანურ მოწამეობაში გამონახა გამოსავალი“.

როცა სიცოცხლე ჩამკვდარია და აღარც არაფრის იმედი გაქვს, როცა ხულის ბედნიერების მისაღწევად ძალა არ შეხწევს, როცა ირგვლივ წყველია და უკუნეთია, მაშინ ტანჯვა და მოწამეობა ნათელი, სისხლსავსე ცხოვრების ილუზიას ქმნის.

„ტანჯვა თვითონ არის ცხოვრება“, — ეუბნება ეშმაკი ივან კარამაზოვს. ის კი არ არის მთავარი, მიბიძვანს თუ არა ტანჯვა რაიმე შედეგამდე, — არის თუ არა მასში რაიმე „აზრი“, — არამედ მთავარი ის არის, რომ წყველიადის, საშინელებებისა და სასოწარკვეთილების ამ სამყაროში ტანჯვა თვითონვე გვაცხოვრებს თავისებური ცხოვრებით. ყველაფერი მოჩვენებითია, ყველაფერი მიმკვდარებულია. ერთადერთი მხოლოდ ტანჯვაა მყარი, მტკიცე და ნაღდი. ადამიანს რომ ტანჯვა წავართვათ, მაშინ რითღა იცხოვროს მან? უძლური ნების მიხწრაფებებით მოგვრილი ტანჯვით, მწარე სასოწარკვეთილების, შიშისა და სირცხვილის გრძნობით, ვნება-წამებისადმი გიჟური, უგუნური მიდრეკილებებით — კიდევ შეიძლება იცხოვროს კაცმა, და — მხოლოდ ამათი წყალობით თუღა იცხოვრებს კაცი.

აგლია ეუბნება ნახტასია ფილიპოვნას: „თქვენ სიყვარული არ შეგიძლიათ, თქვენ მხოლოდ თქვენს სირცხვილზე და თავის მოჭრაზე ხართ შეყვარებული და ანაზე ფიქრობთ გაუთავებლივ. ეს სირცხვილი რომ არა, ვინ იცის, უფრო უბედური უოფილიყავით“.

უმაწვილი თავის და ლიზას „ხაკუთარი ტანჯვის შაძიებულს“ უწოდებს. ასე შეიძლება ვუწოდოთ დოსტოევსკის უკლებლივ ყველა გმირს. ისინი ყველანი ტანჯვას ეძებენ, ყველანი წამებას მიეღობიან. „ტანჯვა თვითონ არის ცხოვრება“, წაართვით ადამიანს ტანჯვა და ცხოვრებაც გაქრება, ისეთი სიცარიელე დაისადგურებს, რომ გაფიქრებაც კი შეგეშინდებათ.

და აი, ადამიანმაც ბედნიერების მიღწევის უკანასკნელი იმედი ჩაიკლა სულში და თავი

ცხოვრების ბნელ ღარანს შეაფარა. დაე თვით შემთხვევით გაქიატებულმა შუქმა კი არ მოაგონოს მას მწისა და სიბარულის სასუფეველი. ადამიანს არაფერშიც არა სჭირდება ეს მარად გამაბნობელი და ცთუნებელი სამყარო, მას თავისი აქვს სასიკეთლო ტანჯვა-წამება.

„ბუნების კანონები მარადიულია და ყველაზე მეტად ისინი მტკენდენ გულს მთელი ცხოვრება. — წერს დარანის კაცი. — ზოდა, ბატონო, სწორედ ამ სისხლისგამშრობი შეურაცხყოფით, აი, ამ მასხრად აგდებით (კაცი რომ ვერ მიხვდება, ვის მიერ), ამ დაცინვით იწყება ბოლოს და ბოლოს ის ტკბობა, თვით უშაღლეს ვნებისმოყვარეობამდეც რომ აღწევს ზოგჯერ... სწორედ ამ გულგამყინავ და ამაზრუნე უოფაში, — როცა კიდევ გწამს და თან იმედიც გაგცრუდება, — სწორედ სიმწრისაგან შენივე ნებით დარანში ცოცხლად დამარხვაში, ამ განგებ უიმედო, თუმცა მაინც კოტა დამაეჭვებელ უოფაში — განუზოციელებელი სურვილების მთელ ამ სულში გაუონილ სამსალაში არის იმ ვნებიანი ტკბობის ტკბილი ნექტარი, მე რომ მოგახსენებდით“.

ყველაფერი, რასაც ებრძვიან და გაურბიან ამ ქვეყანაზე — დარანის კაცისთვის სასურველი, შვების მომგვრელი და მისწრებაა, — როგორც მორფი მორფინისტიხათვის.

„ასეთი უბედური ნუგეშისცემასაც არ ინდომებს, თავისი უნუგეშობის შეგრძნებით სულდგმულობს“, — ამბობს დოსტოევსკი ერთი სვეგამწარებული მლოცველი დედაკაცის შესახებ.

ნელი „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნიში“ „თითქოს თავადვე ტკბებოდა თავისივე ტანჯვით, ამ „ტანჯვის ეგოიზმით“, უკეთუ შეიძლება ასე გამოვთქვათ. ეს ტანჯვის გამწვავება, გაორკეცება და დატკბობა ამით, ეს მე მესმოდა: ამით იონებს გულს მრავალი დაჩაგრული და შეურაცხყოფილი, ბედისაგან დაბრწყინებული“.

მიწიერი არსებები ვერც კი წარმოიდგენენ, თუ რა საუნჯეს პოულობს დარანის კაცი თავისი უცნაური სიმდიდრის გადამუშავებისას. მძაფრი, მწველი, ავბორცული სიამოვნების მთელი მადნისთვის მიუგნია მას ამ სიმდიდრის ბნელ უფსკრულებში.

„სწორედ სასოწარკვეთილება განგვაცდევინებს ხოლმე ყველაზე მწველ ნეტარებას, — წერს დარანის კაცი. — მეტადრე, როცა უაღრესად ძლიერია იმის შეგნება, რომ არავითარი საშველი არ დაგვადგება“.

მოთხრობა „მოთამაშეს“ გმირი წერს: „ღიახ, ღიახ, უკიდურესი დამცირებისა და არარაობის შეგრძნება ნეტარებაა! ეშმაკმა დალაზვროს! იქნებ მათრახს რომ ზურგზე გადაგიჭერენ, ესეც ნეტარება იყოს...“

სიცოცხლით სავსე სიცოცხლე

„ესეც ასე, ბატონებო! უსაქმოდ უოფნა უვალაფერს შირჩევნია! — გვაუწყებს დარანის კაცი, — ქობია ბუწები ვითვალო ჭერში დაილოცა შენი მადლი, დარანო კი ვთქვი, მშურს ნორმალური ადამიანების და ბოლშით გულზე ვსადები-ბი-მეთქი. მაგრამ მეც თუ იმ დღეში უნდა ჩავვარდე, რა დღეშიც მათ ვბედავ. — მათ ბედს არ ვინატრებდი... არა, არა დარანში უფრო მეტ ხერხს ნახავს კაცი. იქ, სხვა თუ არაფერი... რა, მე კი არ ვჩმახავ რაღაცას! — ვჩმახავ ხწორედ, ვინაიდან თვითონაც ვიცი, ორჯერ ორივით, რომ დარანი სულაც არ არის უმჯობესი — რაღაც სხვა, სულ სხვა რამ მინდა, ოღონდ რა — ვერაფრით ვერ მიმიგნია! დარანს მოუკვდეს მომგონი!“

იგივე კაცი თავისი აღსარების ბოლოს წერს: „ჩვენ უველამ დავივიწყეთ სიცოცხლე, უველა მოვიკოკლებთ, — უველა მეტნაკლებად. იმ ზომამდე დავივიწყეთ, რომ ნამდვილი, „სიცოცხლით სავსე სიცოცხლე“ ზოგჯერ კიდევ გვეზიზღება და ამიტომ გაგონებაც არ გვინდა, როცა მის არსებობას შეგვახსენებენ ბოლში თუ არა და, აბა, დააკვირდით! ჩვენ ხომ ისიც არ ვიცით, სად ფეთქავს ახლა ეს სიცოცხლე, რა მქვია, რა ბილია?!“

მაგრამ გულისგულში უოველთვის დვივის „მონატრების სევდა“, უოველთვის ფარუნობს ბუნდოვანი შეგნება, რომ არის ამქვეყნად „სიცოცხლით სავსე სიცოცხლე“, — ხალისიანი, ნათელი, თავისი გზების მეცარი. მისი მარტო ხსენებაც კმარა, რომ გული სიამით აგვიძგერდეს.

„ფოთოლი თუ გინახავთ, ხის ფოთოლი? — კითხულობს კირილოვი, — ამას წინათ ვნახე-უვითელი იყო, აქა-იქ მწვანეს გადაიკრავდა. კიდევბი შემოღობობოდა, ქარი აღმა-დაღმა დააქროლებდა. როცა ათი წლის ვიყავი, ზამთარში თვალეებს დავხუქავდი და ფოთოლს წარმოვიდგენდი — ხანხანა მწვანეს, ზედ მზე დაკაშკაშებდა. თვალს გავახელდი, აღარ მჭერა, ისეთი კარგი იყო, და ისევ დავხუქავდი თვალს“.

„რა ნადიმია ასეთი, — ფიქრობს მიშკინი, — რა ღრეობაა გაუთავებელი? უველას თავისი გზა აქვს, უველამ იცის თავისი სავალი, სიმღერით მიდი-მოდის; მარტო მან არ იცის არაფერი.

არაფერი იცის, უველახათვის უცხოა, მოწყვეტილი, უდღეური ნაყოფია“.

სად ფეთქავს სიცოცხლე, რა მქვია, რა ბილია? — ეგ სიცოცხლით სავსე სიცოცხლე რაღაა, თქვენის აზრით? — იკითხავს მწვანე კაცი.

— არც ეგ ვიცი, თავად მტკიც-მტკიც ვხსილოვმა, — ვიცი ოღონდ, რომ ეს უნდა იყოს რაღაც საშინლად მარტივი, უოველად ჩვეულებრივი, რაც უველას თვალში იცემა, უოველდღიური და უოველწუთიერი და იმდენად უბრალო, რომ ვერაფრის გულისთვის ვერ დავვიჭერებია, ასეთი უბრალო როგორ იქნებაო და უკვე მრავალი ათასი წელია ბუნებრივად გვერდს ვუვლით და ვერც კი ვამჩნევთ, ვერ კი ვცნობილობთ“.

თავისი კაცობრივი გონებით დოსტოევსკიმ იცის, რაშიც მდგომარეობს ეს სიცოცხლით სავსე სიცოცხლე, — ისევ ამ პიროვნულ უკვდავებაში. თვითმკვლელ-მატერიალისტზე შეთხზულ თავის წერილის კომენტარებში იგი წერს: „ადამიანური სულის უკვდავების რწმენა სიცოცხლით სავსე ცხოვრების ერთადერთი წყაროა ამ ქვეყანაზე. — წყარო სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საღი აზრების, საღსალამათი დასკვნებისა და შეხედულებებისა“.

მაგრამ, ცხადია, ეს სიცოცხლით სავსე ცხოვრება არა აქვს მხედველობაში მხატვრის ზეშთაგონებას, ვერსილოვის პირით რომ გვესაუბრება. სულის უკვდავების იდეა აგერ „რამდენი ათასი წელია“ არსებობს. კაცობრიობა გვერდს არ უვლის ამ იდეას, პირიქით — ნიადაგ მას ემყარება. ჩვენ კი მაინც წამდაუწყებ ვეძიებთ. ამაში როდია სიცოცხლით სავსე სიცოცხლე, რომელიც დოსტოევსკიმ დალანდა; თუმცა მისგან მაინც ვერ შევიტყობთ, თუ რა არის იგი. დოსტოევსკიმ თვითონ არ იცის ეს.

და ამის მიუხედავად მან იცის რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი. მან იცის, რომ ეს სიცოცხლით სავსე სიცოცხლე „იმდენად პირდაპირი და მარტივი რამაა, იმდენად პირდაპირ უმომცემრით, რომ სწორედ აი, ამ პირდაპირობისა და სიცხადის გამო შეუძლებელიც კია იყავო, რომ სწორედ ესაა, რასაც მთელი ცხოვრება ანა გამოფარებით ეძიავდით“.

1 კაცობრივი გონება — აქ განმსჯელი ცნობიერება ინტელიციის, გუმაანის, ზეშთაგონების სპირიტუალური (მთარგმნელი).





ინგლისურიდან

თარგმნა ნანა გუნრაძემ

უილიამ ბლეიკი
(1912)

1959 წელს ნიუ-იორკში გამომცემლობა „ეიკიბერეს“-ი ელსვორდ ძეისონისა და რიჩარდ ელმანის რედაქციით აქვეყნებს წიგნს „ჯეიმს ჯოისის კრიტიკული ნაშრომები“. წინათქმა მოგვითხრობს, რომ ჯოისის კრიტიკა იმ ფორმის კრიტიკაა, რომელიც ქმნის ხელოვნებისა და არტიტული ინდუდუალობის ახალ თეორიებს, გამოარჩევს ერთეულებს თანამედროვეთაგან თუ წარსულიდან და თავდებად უდგება მათ, ვისაც ძიულწევია არტიტული პეროიკისათვის. კრიტიკის ნიჭი და ინტერესი მას არასდროს დაუკარგავს. პიოიქით, იგი აფართოებს რომანის ჩარჩოებს, რათა მასში კრიტიკა ჩართოს. „ახალგაზრდა ხელოვნების პორტრეტი“ შეიცავს მთელ ესთეტიკურ სისტემას, „ულისეს“ ერთი თავი კი — სრულიად ახალსაგულდაგულოდ დამუშავებულ თეორიას შექსპირის ცხოვრებასა და ქმნადობათა შესახებ. მომდევნო თავი აერთიანებს ინგლისური პროზის სტილის პაროდიათა ჩგუფა, რომელიც თავის მხრივ კრიტიკის ერთ-ერთ ფორმად წარმოგვიდგება; „კინგგანის გამოლუიებებაში“ ჯოისი კვლავაც უბრუნდება პაროდიებს და მოიქვს ისინი ჩვენამდე ეიტსის, სიხჯის, ელიოტის, ვილჰელმ ლუისისა და სხვათა მოშველიებით. თუ ნაწილი ამ მასალისა გამიზნული იყო მხოლოდ რომანებში გამოსაყენებლად, ესთეტიკურ სისტემასა და შექსპირისეულ თეორიას, კოველ შემთხვევაში, თავიანთი დამოუკიდებელი არსებობა გააჩნიათ. ჯოისს თუ თავიანი თავი კრიტიკოსად არ მიუჩნევია, ეს მხოლოდ ნებაყოფლობით და არა უუნარობით.

წიგნი შეიცავს 57 ესეის, მათ შორის ლექციებს, წიგნთა მიმოხილვას, საპროგრამო შენიშვნებს, საგაზეთო სტატიებს, რედაქტორებთან მიწერილ წერილებს, პოეძებს; რომლებიც, საერთო ჯამში, კრიტიკული ხასიათისაა, მაგრამ ყველა როდია საუკეთესო. ასეთთა რიცხვს მხოლოდ ზოგიერთ მათგანს თუ მივაკუთვნებთ, ხოლო ყველანი ერთად მწერლის გახვიონობის გზას უფრო მისაწვდომს ხდის ჩვენთვის. პირველი ესეი ჯოისს 15 წლის ასაკში დაუწერია, ბოლო — 55-ის. აღრეული ნამუშევრები მხოლოდ მწერლის უნარს და სტილის მიმართ მის ინტერესს ამჟღავნებენ. ისინი უფრო იმ ახალბედებს მოგვაგონებენ, რომლებსაც შიზნად დაუსაზავთ საკუთარი ქმნილებების შესწავლა, რათა მათში არტიტული უკვდავების (გახუშეორებლობის) დასტური ამოიკითხონ, და დიდი ვერაფერი უნახავთ. შემდგომ, 1899 წელს ტონი იცვლება; ახალგაზრდა ჯოისი პოულობს თემას, ეს დრამაა, ჯოისი იმდენად გაიტაცა თავისმა მიგებამ, რომ სხვა რამ ნაკლებად აღელვებს. „ჯვარცმის“ ტილოში იგი დრამას ქვრეტს; წერს სტატიას იბსენია დრამაზე — „როცა ჩვენ, მკვდრები, ვიღვიძებთ“. ჯოისის სამეცნიერო მოხსენება „დრამა და ცხოვრება“ მისივე იდეებისა და ენთუზიაზმის აშკარა აღიარებაა.

წიგნის 57 ნაშრომში ვხვდებით ლექციას უილიამ ბლეიკის შესახებ, რომლის თარგმანიც მკითხველის სამსჯავროს წინ გამოგვაქვს.

მთარგმნელი

1911 წელი. ხადამოს ლექციათა სერიებში მონაწილეობის მიხადებად ჯოისს კვლავ ტრიესტენის განთქმულ უნივერსიტეტში იწვევენ, ოთხი წლის წინათ აქ ირლანდიაზე ისაუბრა.

გადაწყვეტილი ქონდა ამჯერად ინგლისურ ლიტერატურაზე — დანიელ დეფოსა და უილიამ ბლექზე მოეხრო და 1812 წლის ადრე გაზაფხულზე ორი ლექცია წაეკითხა; დეფოზე მხოლოდ ფრაგმენტულად, თუმცა მეტად საინტერესოდ (ლექციის ჩანაწერი ამჟამად ეილის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება), ბლექზე კი თითქმის ამომწურავად.

ჯოისის მსგავსება დეფოსთან აშკარაა, ის არც ბლექისგან არის შორს, თუმცა ამას ერთი შეხედვით ვერ ვაღიარებთ. თავის ხელოვნებას იგი უბეშ, ნამდვილ ფაქტურ ფუნქციებს და ეს ემაყუება კიდევ, მაგრამ გონება მიხთვის თავი და თავია ყველაფრისა. საერთო მსგავსების გარდა, მისი ლექციებიდან ორი განსაკუთრებული მსგავსების ამოკითხვა შეიძლება: დეფო და ბლექი, ერთმანეთისაგან განსხვავებული გზებით, პროტოტიპული გმირის კონცეფციიდან გამოდიოდნენ. რობინზონ კრუზო, ბლუმის მსგავსად, ხალხისა და დროის შემაჯამებელია. ბლექის ალბიონი, უნივერსალური ადამიანი, რომელიც მარადიულობის სიმბოლო გამხდარა, ენათესავება სხვა ფორმის გიგანტს, ფინეგანს, რომლის სიცოცხლეში, სიკვდილსა და გამოღვიძებაში ჯოისი მთელი კაცობრიობის უნარსა და მისწრაფებას ხედავს.

(ხელნაწერი აქედან იწუება).

ეთიკურსა და პრაქტიკულ ინტერპრეტაციაზე... არ არის მორალური აფორიზმი. ბლექი წმინდა პავლეს ტაძარს შესცქეროდა და სულს პატარა მებუხრე ბიჭის ტირილი უფორიაქებდა. პატარა მებუხრე ბიჭისა, რომელიც მისმა უცნაურმა სალიტერატურო ენამ დაჩაგრული გულუბრყვილობის სიმბოლოდ აქცია: გონების თვალთ კი ბედკრული ქარისკაცის ოხვრას ხედავდა, სიხსლის ბურთულად რომ ქცეულიყო და ბაკინგჰამის სასახლის კედლებს აწყდებოდა. სანამ ახალგაზრდა და ამტანი იყო, გამუდმებით ამ ხატებით ცოცხლობდა, შესწევდა კიდევ დონე ლექსში თუ ლითონის ფურცელზე გამოეკედა ისინი და ეს ხიტყვიერი თუ გონებრივი ოფორტები ხშირად მთელ სოციოლოგიურ სისტემას წარმოადგენენ. ციხე, — ამბობს ის, კანონის ქვეებითაა ნაგები, ბორღელი — რელიგიის აგურებით. ამგვარ ხეტიალთა გამუდმებული შემოქმედება და გაუაზრებელი, მოულოდნელად დაბრუნებული სინამდვილე ნელ-ნელა მაგრამ უმოწყალოდ შთანთქავდა მის არტისტულ ძალას. ზმანება, ათასგვარი ზმანება ართმევდა თვალის ჩინს; თავისი მოკვდავი სიცოცხლის ბოლოს კი იმ შეუცნობელი ძალის უწარმაზარ ფრთათა ჩრდილით დაიფარა, რომლისთვისაც იტანჯებოდა და უკვდავმა ანგელოზებმაც, ვისთანაც საუბრობდა როგორც უკვდავი, თავიანთი ხამოსის იდუმალ სიჩუმეში გახვიეს იგი.

თუ ღვარძლიანი ხიტყვებითა და ძლიერი რითმებით ჩრდილიდან სუსტი, მეორე ან მესამე რანგის პოლიტიკოსის ფიგურა გამოვიყვანდ, მაშინ ბლექის პიროვნების არასწორი სურათი მომიცია. ახალგაზრდა ბლექი რევოლუციური ლიტერატურის ხელოვნებით იმერსონის წევრთა შორის არიან ქალბატონი უოლსტონკრაფტი და ცნობილი, მე ვიტყვოდი, სახელგანთქმული ავტორი ადამიანთა უფლებებისა — ტომას პეინი. მაგრამ მათ შორის კრემარიტი რევოლუციონერი მაინც ბლექი იყო — ქუჩა-

ში ახალი დროის მაუწყებელი წითელი ქუდით გამოდიოდა. თუმცა მას შემდეგ, რაც 1782 წლის სექტემბერში პარიზის ციხეებში სიხსლისღვრა დაიწყო, წითელ ქუდს სამუდამოდ გამოეთხოვა. მისი სულის ამბობს ის უჩვეულო ცეცხლი აღვივებდა, რომელსაც არ ჩვევია განილება თვით ხელისუფალთა წინაშეც კი. 1787 წელს მეფის კარზე მხატვრის ადგილს სთავაზობენ. მაგრამ იმის შიშით, სამეფო კარის უაღბსა და მოსაწყენ გარემოს მისი ხელოვნება არ დაეღუპა, ბლექი უარს ამბობს შეთავაზებულ თანამდებობაზე, ხოლო, მეფის ღირსება რომ არ შეეღაბა, თავი დაანება ხატვის საათებსაც, რაც მისი შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენდა.

ბლექის გარდაცვალების შემდეგ პრინცესა ხოფიომ მის ქვრივს 100 გირვანქა სტერლინგი უბოძა. ქ-ნმა ბლექმა მადლობა გადაიხადა, ხარუქარი თავაზიანად დააბრუნა და დასძინა, რომ მცირედიტაც დაკმაყოფილდებოდა. წყალობას არ მიიღებდა, რადგან ეს თანხა მასზე ბევრად გაჭირვებულ კაცს უფრო წაადგებოდა.

მაინც რამხელა განსხვავებაა ამ მეთაბობზე, ერთი შეხედვით ერეტიკოს კაცსა და იმ ორ, კრემარიტად მართლმადიდებელი ეკლესიის ფილოსოფოსებს, ფრანცისკო სუარესსა და დონ ჯიოვანი მარინა და დი ტალავერას შორის, რომელსაც შთამომავლობა გაოგნებული იხსენებს, როგორც გასული საუკუნის ტირანიის ქედშაღალსა და შეუვალ ორ დამცველთ. ადამიანის ბოროტებითა და უბადრუკობით გულგამებებულს, ის იდეალიზმი იპყრობდა, რომელიც შველოდა კიდევ უოფილიყო გულისხმიერი თვით ცოდვითანაც კი, დაენდო მისი სხეული, — როგორც ამას თავის მიხტიურ წიგნში („The I“) ამბობს — ხორციის ეს ბრწენადი საფარი, რომელიც ჩვენი სურვილის ხარცეულზე განრობმულა. ეპიზოდები, რომლებიც ბლექის ჩვეულ გულკეთილობაზე მეტყველებენ, მეტად ბევრია მის ბიოგრაფიაში. მიუხედავად იმისა, რომ ხელმოკლედ ცხოვრობდა და თავისი პატარა კუთხის შესანა-

რჩუნებლად კვირაში ნახევარ გინეას იხდიდა, გაქირვებულ ამხანაგს ხელს 40 გირვანქით უჭირათავდა. ერთხელ შეამჩნია, რომ მისი სახლის წინ იღლიაში პორტფელამოჩრილი, ფილტვებდასნეულებული ვიღაც ღარიბი სტუდენტი აიწვლიდა ხოლმე. შეებრაღა, შინ შეიპატიჟა, აქამა, ახვა და მისი ერთფეროვანი, უღიმღამო ცხოვრების გახალისება სცადა, ბლემიკის დამოკიდებულება უმცროსი ძმის, რობერტისადმი დავითისა და იონათანის ამხავს მოგვაგონებს. ბლემიკს უყვარდა ძმა, მახზე წრუნავდა, ეხმარებოდა, ხანგრძლივი ავადმყოფობის დროს კი მარადიულ სამყაროზე ესაუბრებოდა და ამხნევებდა. მერე, გარდაცვალებამდე დიდი ხნით ადრე, სიკვდილის ხარეცელს მიჯაჭვული ძმისთვის თვალის არ მოუცილებია და მხოლოდ მაშინ, უკანასკნელ წუთს, როდესაც დაინახა, ნეტარი სული როგორ განეყო ხორცს და, მოწეიმე, გაფრინდა ზეცაში, მშვიდსა და ღონემიზდილს, ღრმა ძილით ჩაეძინა და გაბმით 72 საათი იძინა.

ქალბატონი ბლემიკის სახელი უკვე რამდენჯერმე ვახსენე. ვფიქრობ, პოეტის ოჯახურ ცხოვრებაზეც უნდა ვიამბოთ რამე. 20 წლის ბლემიკი შეყვარებულია. გოგონას სახელი პოლი ვუდსონი. როგორც ჩანს, საკმაოდ თავცარიელი იყო. სწორედ ამ კაბუკური სიყვარულით გამთბარი ბლემიკის პირველი წიგნები: პოეტური ჩანახატები, სიმღერები უმანკობაზე; მაგრამ მათ სიყვარულს დიდი ხანი არ ეწერა — ერთმანეთს მოულოდნელად, ცივად დაშორდნენ. ბლემიკს არ გაუმართლა — გიჟად მიიჩნიეს. მის თვალში კი გოგონა უბრალო აშუიკი აღმოჩნდა, განადგურდა. თუმცა ბლემიკის მიერ დასურათებულ წინასწარმეტყველების წიგნს სწორედ მისი სახე ამშვენებს — ნაზი, მომღიშარი, — რომელიც ქალის ხასიათოვნო სიმკაცრისა და გრძობათა ილუზიების სიმბოლო გამხდარა. ამ მარცხისაგან რომ განკურნებულიყო, ბლემიკი ტოვებს ღონდონს და საცხოვრებლად შებაღე ბუშერის კოტეჯში გადადის; შებაღეს მუავს ქალიშვილი, სახელად კეტრინი, დაახლოებით 24 წლისა. კაბუკი ბლემიკის უიღბლო სიყვარულმა გოგონა სიბრაღულით აღავხო, მალე კი სიყვარულიც გაუღვივა გულში, საბოლოოდ ისინი შეუღლდნენ. როდესაც ბლემიკის ცხოვრების ამ ეპიზოდებს ვკითხულობთ, გვახსენდება სტროფები ოტელოდან:

„ჩემგან გამოვლილ ქირთათვის
შან შემყვირა,

მე შევიყვარე ქირთა ჩემთა თანაგრძობისთვის“

ყველა დიდი გენიოსის მსგავსად, კულტურული და დახვეწილი ქალი არც ბლემიკს იზიდავდა. სასტუმრო ოთახების ხინარნარება და ძალ-

დაუტანებელ, ფართო ერუდიციას (თუ ნების დამრთავთ, თეატრალური უარგონადან გაცვეთილი სიტყვები მოვიშველიო) ისევე გამეებადაბინდული, გრძობადი აზროვნების უბრალო ქალი ერჩია. განუსაზღვრელი უკუაქრონს, სურდა, გულის მეგობარზე უკუაქრონს ნაყოფად ექცია, რომელსაც აუჩქარებლად, ტკივილნარევი თიხისაგან გამოქერწავდა, ზედმეტი მასალისაგან დღითიდღე გამოათავისუფლებდა და თავის თვალწინ დახვეწდა! როგორც თვითონ ამბობს — ღრუბლებს მიღმა მიმალული დემონივით გამოავლენდა. მართალია თუ არა, ფაქტის არის, რომ ქალბატონი ბლემიკი არც ძალიან მიმზიდველი და არც ძალიან განათლებული ყოფილა. უფრო მეტიც, უწიგნური იყო. წერაკითხვა დიდი მოწადინებით ბლემიკმა ასწავლა და ისეთი წარმატებით, რომ რამდენიმე წელიწადში ქალბატონი ბლემიკი მეუღლეს გრავირებაში ეხმარება, მის ნამუშევრებს აწუსტებს, რითაც საკუთარ თავში აღმოჩენილ მოჩვენებით ნიქს ხვეწს და ამდიდრებს.

ხელოვნებასა და წარმოსახვაზე სასაუბროდ ბლემიკთან დიდი ადამიანების ცხოველმყოფელი ძალები და სულები მოფრინავდნენ. ბლემიკი საწოლიდან წამოვარდებოდა, ფანჯარს მოიმარჯვებდა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში — ღონდონის ცივსა და გრძელ ღამეში თითოეულისათვის დამახახიათებელ კონტურს და ნაკვთს ხატავდა; იქვე, მის დახაკეც სკამთან ჩაცუცქულ ქ-ნ ბლემიკს კი მეუღლის ცალი ხელი სიყვარულით ეჭირა და, გარინდული, ცდილობდა, ამგვარ ჩვენებათა მზილველი, ექსტაზიდან არ გამოეყვანა, და მხოლოდ მაშინ, განთიადისას, როდესაც მოჩვენებები გაქრებოდნენ ქ-ნი ბლემიკი საწოლს უბრუნდებოდა, მისი მეუღლე კი ქველმოქმედების სიხარულით სხივმოსილი, მუხისვე ცეცხლს გაჩაღებდა და საუზმეს ამზადებდა. საკვირველია, რომ სიმბოლური არსებები — ღოსი და ურიზენი, ვეილა, ტირიელი და ენითარმონი, მილტონისა და მომეროსის აჩრდილებთან ერთად, იდეალისტური სამყაროდან ამ ღარიბ ოთახში იყრიდნენ თავს, სადაც საკმევლის ნაცვლად ინდური ჩაის სურნელისა და ღორის ქონზე შემწვარი კვერცხის სუნის მეტი არა ხვედებოდათ რა. ის-

1. „გადასახლების“ მეორე აქტში რობერტ ჰენდი რიჩარდ როუენს ამ სიტყვებით მიმართავს: „შენ გიყვარს ეგ ქალი. დიდი დრო გავიდა, მაგრამ რაც მოთხარი, ყველაფერი მახსოვს. ის შენია, შენი შექმნილია და შენ უნდა გიმადლოდეს“. ჯოისის კავშირი ნორა ბარნეკლთან, მართალია, ძალზე არა, მაგრამ რალაკით მაინც მოგვაგონებს ბლემიკისა და კეტრინ ბუშერის ურთიერთობას.

ტორიაში ეს აღბათ პირველი შემთხვევაა, რომ უზენაესი უბრალო კაცის ენით მეტყველებს.

ამგვარად, ბლექის, როგორც ადამიანის, ცხოვრების გზა გაიშალა. მისი ოჯახური ცხოვრების იალქანი, სამანძიანი პომალდი, დიდი ღუჭით დამძიმებული, სინანულისა და მადლიერების მფარველობით, ჩვეულებრივ კლდეთა შორის დაახლოებით ნახევარი საუკუნე დაცურავდა. ბავშვი არ ჰყოლიათ. ერთობლივი ცხოვრების ადრეულ წლებში კი უთანხმოება და გაუგებრობა შეხვდათ. თუ მათ კულტურახა და ტემპერამენტს შორის არსებულ უზარმაზარ განსხვავებას გავიხსენებთ, მიზეზსაც ადვილად მივაგნებთ. ახალგაზრდა წყვილი ერთმანეთს შორდება და მართალიცაა, მე ეს ადრეც მითქვამს, ბლექი ლამის ახრახმის კვალს მიჰყვა — მაგარს მისცა ის, რაზედაც სარამ უარს თქვა. მეუღლის უბიწო უბრალოება მის ტემპერამენტს მხოლოდ ამბინჯებდა. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ერთადერთი სიღამაზე მისთვის სიუბვე იყო. მაგრამ, აი, ქალბატონი ბლექი ცრემლად იღვრება. იგი ქმარს ადანაშაულებს, გულშეღონებული ძირს ვარდება და სამუდამო ინვალიდი რჩება — ბავშვს ვეღარასდროს გააჩენს. გულისდამწყვეტი ირონია, რომ ბავშვურად მიაბიტი, პოეტი, ერთადერთი მწერალი, ვისაც საბავშვო სიმღერები ბავშვური უმანკობით უთხავს, ვისაც უცნაურ პოემაში „ბროლის ზარდახში“ დედობის ფენომენისათვის ასე ნაწი, მისტიური შუქი მოუფენია, ბედისაგან განწირულია — საკუთარ სახლში ბავშვის ლანდსაც ვერ იხილავს. მას, ვისაც ასეთი დანაწიებით ეცოდებოდა უველაფერი, რაც ცოცხლობს და იტანება და ბარობს ამ წარმავალი სამყაროს ილუზიებში — ბუზი, კურდღელი, ბუბრის მწმენდავი პატარა ბიჭი, ბუტბუტა, რწულიც კი — ბედმა მხოლოდ სულიერი მამობა არგუნა, მამობა, ასეთი დამაჭერებლობით რომ გაისმის მის ლექსებში, რომელიც მამობრივი გრძნობის წყურვილმა წარმოშვა, რომელიც კვლავაც ცოცხლობს „ანდაზების“ სტროფებში:

ვინც ბავშვის რწმენას დასცინის,
ღრონისა და სიკვდილის ენით გაიკილება.
ვინც ბავშვს რწმენას შეურყევს,
საფლავში გახრწნა არ ასცდება.
ვინც ბავშვის რწმენას პატივსა სცემს,
ქოჭობებსა და სიკვდილს გადაურჩება.

(თარგმანი მთარგმნელის)

მაგრამ ბლექის უშიშარხა და უკვდავ სულს წინ ვერც ბურალი საფლავი და ვერც შიშის მეფე აღუდგებოდა. მოხუცებულობის ქაშს, ღვთის მადლით, უფრადდება არ დაჰკლებია. მეგობრე-

ბით, მოწაფეებითა და თავჯანისმცემლებით გარშემორტყმულმა, „უფროსი კატონი“ მსგავსად, უცხო ენის შესწავლა დაიწყო ეს ის ენა, გახლავთ, რომელზედაც ამ საღამოს ვცდილობთ. თქვენის ნებართვით, როგორც ჩვეულებრივ ველთაო ტეშმარიტების ბინდოვანი მწიკე-მოვიხმო, წუთით შევიჩერო და რაღაც ვკითხო. იტალიური ენის შესწავლა იმხანის დიფერ. რომ დანტე დედანში წაეკითხა და მისი ბილვები საკუთარი მისტიური ნაბატებით დაესურათებინა. ავადმყოფობით ლონეშიბდილი და მისუსტებული, ბალიშების გროვაზე წამოკდებოდა. მუბღერბზე საბატავ რვეულს გადაიშლიდა და თავს ძალას ატანდა, ფურცელზე იმ ნაბატების მონახაზი გადაეტანა, რომლებიც ბოლო დროს იხილა. აი, სწორედ ასეთი ბლექი აგვისახა ფილიპე თავის სურათში, რომელიც აშუამად ლონდონის ეროვნულ გალერეაში ინახება. გონებას მისთვის არ უღალატნია, მარჯვენა უკანასკნელ წუთამდე ჩვეულებრივ ოსტატობით უჭრიდა. გამჭირვალე სიცვიით მოსილი სიკვდილი კი კარს შავი ქირის კანკალით მიადგა, მის კიდურებს მაშინვე დაეუფლა და გონების სხვიც ერთ წუთში მოსტაცა. უველაფერი მოხდა ისე, როგორც ზეცაში ვარსკვლავს ემართება ბოლმე — ცივი სიშავე, სწორედ ის, რასაც სივრცეს ვეძახით, და ვარსკვლავიც აღარ ანათებს. სული სიმღერით აღმოხდა, ისე, რომ კედლებს ზანჯარი გაჰქონდათ: როგორც უოველთვის, იმკვეციურ სამყაროს უმღერდა. მღეროდა ტეშმარიტებაზე, გონებასა და წარმოსახვის ღვთაებრიობაზე. „ჩემო მეგობარო, სიმღერები, რასაც ვმღერბი, მე არ შეკუთვნის, — უთხრა მან ქალბ. ბლექს. არა, არა, გეუბნები მე არ შეკუთვნის-მეთქი“.

ბლექის პიროვნების სრული შესწავლისას სამ ფაზას გამოვყოფთ — პათოლოგიურს, თეოსოფიურსა და არტისტულს. მჭამს, პირველს ამ საშიდან უმეკველად გამოვრიცხავთ. დიდ გენიას სიგიფე რომ სჭირდეს, ისეთივე ბუნებრივი ფაქტია, როგორც, ვთქვათ, მისი რეგმატიზმით ან ღიაბეტით დააუადება, მით უმეტეს მაშინ, თუ მის ბედოვნებას ვაღიარებთ. გეთანხმებით, სიგიფე სამედიცინო ტერმინია, მაგრამ ობიექტური კრიტიკისათვის ის ისეთივე ნაკლებსაინტერესო ფაქტია, როგორც ვთქვათ, მკრეხელობა, რაც უშუალოდ იეოლოგს ებება, ან სულაც პოლიციის საქმეები — ვიდაცის პენობა-უზნეობის ამბავი. თუ უველა გენიოსს სიგიფე იმის გამო დავაბრადეთ, რომ წუთისა-

1. უფროსი კატონი-კატონი მარკუს პორციუს უფროსი (ძვ. წ. 234-ძვ. წ. 149) ძველი რომის პოლიტიკური მოღვაწე და მწეოალი, რომელი პროზის ფუძემდებელი, პირველი რომელი იატორიკოსი.

ფელს ახალგაზრდა ფიზიკოსის შიამიტი თვალით არ უყურებს. რაც დღესდღეობით ასეა მიღებული, მაშინ ხელოვნებასა და უნივერსალურ ფილოსოფიას სათქმელი თითქმის არა რჩებათ რა.

უმანკოთა ამგვარი სისხლისღვრა, პერიპეტული სისტემის გაქდა. შუა საუკუნეების მთელ მეტაფიზიკას ჩაითრევდა, ანგელოზისდარ წმ. თომას აკვინელის უაღრესად სიმეტრიული შენობის მთელ განშტოებას. ბერკლის იდიალიზმს (ღმერთო ჩემო, რა კომბინაციაა!), სკეპტიციზმს, რომელიც პიუმით მთავრდება. მაშინ, ხელოვნების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ფოტოგრაფი და სასამართლოს მდივანი, ეს ძალზე საჭირო ადამიანები, თავს მით უფრო იოლად გაიტანენ. ხუსტი სქესის წარმომადგენლებისა და პროლეტარიატის კავშირი, რაც ყველაზე მკაფიოდ, დღითიდღე, სავაჭრო მოედანზე ვლინდება, დიდი ხნის შექმნა. სადაც მომავალში ხელოვნებისა და ფილოსოფიის ასეთ გაგებას დაამკვიდრებს, ამით ხელოვანი და ფილოსოფოსი, სხვა თუ არაფერი, ამკვეყნიური ცხოვრების წუთიერებას მაინც შეურიგდებიან.

ჩემი გადაწყვეტა, თუ დასავლური მისტიციზმის იერარქიულ საფეხურზე ბლეიკს რომელი ადგილი განეკუთვნება, ჩვენი ლექციის ფარგლებს სცილდება. ჩემის აზრით, ბლეიკი დიდი მისტიკოსი არ უნდა იყოს; მისტიციზმის დედასამშობლოდ აღმოსავლეთი ითვლება. დღესდღეობით, როცა ლინგვისტურმა გამოკვლევებმა საშუალება მოგვცა ჩავწვდეთ აღმოსავლურ აზროვნებას (თუ სულიერი აქტივობისა და პასივობის უზარმაზარი ციკლის შემქმნელ ამ გონებრივ ენერჯიას, რაზედაც უპანიშადები მოგვეთხრობენ, აზროვნებას დავარქმევთ), დასავლური მისტიციზმით გაციკროვნებულ წიგნებს მთელი სიცხადით თუ არა, ნაწილობრივ მაინც გავიგებთ. ინდური მისტიციზმი ბლეიკს უფრო ნაკლებ იტაცებდა, ვიდრე პარაცელსუსს. იაკობ მიიმენს! ან სვედენბორგს. ყოველ შემთხვევაში, მასთან უფრო ნაკლები საკამათო გვაქვს. ბლეიკი ბუდის უნარს ხელოვნების ნიჭს უკავშირებს, იმისათვის, რომ პარაცელსუსისა და მიიმენის მიერ წარმოდგენილი მარილის, გოგირდის, სულისა და ხორცის კოსმიური ექსპოზიციის არსი გავიგოთ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მისტიციზმისადმი ჩვენი კეთილგანწყობა და, შემდეგ, უდიდესი მოთმინებით შეიარაღება.

ბუნებრივია, რომ ბლეიკი სხვა კატეგორიას, ხელოვანის კატეგორიას განეკუთვნება და სწორედ, აქ, ჩემი აზრით, მას უნიკალური ადგილი უჭირავს — ინტელექტის სიმდიერეს მისტიციზმის გრძნობასთან აიგივებს. ეს კი მისტიცი

ზმისაგან სავსებით გამორიცხულია, იდეალისტ ხელოვანთა მკაცრ წრის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, ~~რომელიც~~ ^{რომელიც} ბლეიკის გვერდით სავსებით დამსახურებულად შეგვიძლია ~~ფიქსირებული~~ ^{ფიქსირებული} დროს ამხელს ინტელექტის ~~სიმდიერეს~~ ^{სიმდიერეს} ფორმის გრძნობას, არც მისი კოორდინირების უნარს. მაგალითისათვის ავიღოთ მისი წიგნი, გიჟური ვნებებით აბოზოქრებული „სულის ბნელი დამე“.

საყურადღებოა, რომ ბლეიკს ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული და მაინც ფორმალური სიზუსტით ერთმანეთის მსგავსი ორი სათაყვანებელი შემოქმედი ჰყავდა. — ეს მიქელანჯელო ბუონაროტი და ემანუელ სვედენბორგი გახლავთ. სულიერ საზრდოს მათი ხელოვნებიდან იღებდა.

გავისხენოთ ბლეიკის პირველი მისტიკური ტილო — იოანე არიმთელი აღბიონის კლდეთა შორის, მის ერთ-ერთ კუთხეს აწერია: მიქელანჯელო pinxit. იგი პოეტურ წარმოსახვას გრძნობადი ფილოსოფიის ქარვით გადმოგვცემს, რაც მეტად სიმბოლურია და შექმნილია მიქელანჯელოსეული ჩანახატების მიხედვით, რომლებიც, მიქელანჯელოს, თავის შბრივ: „განკითხვის დღისათვის“ შეუქმნია. სურათის ქვეშ კი ვკითხულობთ: „ის ვითური სტილის ერთ-ერთი მიმდევარია, კათედრალეზა. ააგო მაშინ, იმ შავბნელ დროს, როდესაც ადამიანები ცხვრის ტუპაუჭსა თუ თხის ტუავში გახვეულები დაეხეტებოდნენ. ეს ის კაცია, ვისი ღირსიც თვით კაცობრიობა არ უოფილა“. მიქელანჯელოს გავლენა ბლეიკის მთელ შემოქმედებაზე, განსაკუთრებით მისი პროზის აბზაცებში იგრძნობა, სადაც სასურველი ფიგურა შეუქმნელი სიყაროელის ფონზე წმინდა, სუფთა ხაზის საშუალებით გამოვლინდება. რაც შეეხება სვედენბორგს, იგი ლონდონის გადასახლებაში მაშინ გარდაიცვალა, როდესაც ბლეიკი ხელოვნებაში ჩერ კიდევ ტაატით დააბიჭებდა, სვედენბორგის გავლენა ბლეიკის გამაღმერთებელ უმანიზმში ჩანს. რომელიც მთელ მის შემოქმედებას დაღად აზის წლების განმავლობაში სვედენბორგი უხილავ სამყაროთა ხშირი სტუმარი იყო — ადამიანში თვით ზეციით მონიჭებულ მადლს შესტრფოდა და მიქელანი, რაფაელი და გაბრიელი მისთვის სამი ანგელოზი კი არა, სამეულის ციური გუნდი იყო.

მარადისობა, საყვარელ მოწაფესა და წმ. ავგუსტინეს ციურ საძეფოდ რომ წარმოუდგა, ალიგიერისათვის ციურ ვარდად გაიფურჩქმა, შეედმა მისტიკოსმა კი იგივე იმ ღვთიურ კაცად შეიცნო, რომლის ძარღვებშიც სწრაფი, ზე ძალის სიცოცხლე, — სიყვარულისა და სიბრძნის სისტოლა-დისტოლა სჩქევდა. გამუდმებით რომ ტოვებდა და უბრუნდებოდა კიდევ. ამ ბილვიდან განავითარა ის სისტემა, რომელსაც

1. ანგლისური წარმოთქმა სახელია

შესაბამისობა უწოდა, რომელსაც ადგილი თავის შედეგში „ახალ აღქმაში“ დაუშკვიდრა. რომელიც, მისი აზრით, წევრაში წმინდა მათეს ნაწინასწარმეტყველები იესოს ხილვა იქნებოდა. ამ ორპირი ხმლით შეიარაღებული—ვგულისხმობ მიქელანჯელოს ხელოვნებასა და სვედენბორგის შთაგონებებს—ბლექი გამოცდილები და სიბრძნის დრაკონზე იმარჯვებს, ხოლო დროისა და სივრცის მინიმუმამდე დაყვანით, მახსოვრობისა და გრძნობების უარყოფით, ცდილობს საკუთარი კმნილებები ღვთაებრივი სიღრმის ვაკუუმში გადაიტანოს. უოველი წუთი მისთვის მაჯისცემაზე უფრო ნაკლებია და ხანგრძლივობით 8000 წელს შეესაბამება, ბლექის პოეზიის გააზრებაც და დაბადებაც დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში სწორედ ამიტომ ხდება. ადამიანის სისხლის წითელ ბურთულაზე ამდენჯერ უფრო დიდი, მთლიანად მთელი სივრცე ბლექისათვის მოჩვენებითია, ლოსის უროთია გამოქედილი, სისხლის ამ ბურთულაზე უფრო ნაკლები სივრცით კი მარადიულს უახლოვდება, რომლის ლანდიც წუთისოფელი გამხდარა. სული და უზენაესი სიყვარული თვალთ კი არა, თვალსიქითა სამყაროთი უნდა იცქირებოდნენ, რადგან

მაშინ, როდესაც სულს სინათლის სხივებში ეძინა, წყვილიაღში თვალი დაიხადა, რომელიც იმავე წყვილიაღში მოკვდება. ~~მორაფიკურა~~ და მეტაფიზიკური თვისებების უარყოფითა და დაძლევიით, ექსტაზში დანუჭყრულ წყვილებრივ ბინდში, ამ გამოუთქმელაფუტაფუტსვეფულ სივრცეში გამდვრევით, რომელიც მარადისობის კანონით წინ უსწრებს და მოიცავს უკიდურეს ჭეშმარიტებას, დიონისე არეოპაგელი თავის წიგნში De Devinis nominibus ღვთის სახუფუველს უახლოვდება. გონებრივი პროცესი, რომლის გზითაც ბლექი უსასრულოობის ზღურბლს ადგება, მსგავსი პროცესია. გადაფრენის სწრაფი ცვალებადობა განუსაზღვრელად პატარა სივრციდან განუსაზღვრელად დიდ სივრცეში, სისხლის წვეთიდან ციურ სამყაროში, ბლექს ხულიერად ანადგურებდა. ფრთაშესხმასა და უკვდავებას კი ჭეშმარიტი შემოქმედის — ღვთის ბნელი ოკეანის პირას პოვებდა. მიუხედავად იმისა, რომ თავის ხელოვნებას ასეთ ილიალისტურ საწუისზე აგებდა, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ მარადისობა დროის პროდუქტსა და სიყვარულშია, ღვთის შვილები...

(ხელნაწერი აქ წყდება).



რუსუდან ცინითათრიშვილი

საპარტველოს თემა ევა შტრიტმატერის შემოკვლევაში

თანამედროვე გერმანელ პოეტს ევა შტრიტმატერს კარგად იცნობენ როგორც სამშობლოში, გდრში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. მისი ლექსთა კრებულები, როგორც პოლმარ-ათილა მიუიკი აღნიშნავს, გდრ-ში ბესტსელერებად იქცა, ხელიდან ხელში სატარებელი წიგნებია და მათ ჩუმჩუმად შეიღიან. ¹ ევა შტრიტმატერს მოღვაწეობა ლირიკით არ დაუწყია, მისიან წლებში იგი ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს წერდა, მისიან წლებში კი იმ დიდი რეზონანსის მიუხედავად, რომელიც მის კრიტიკულ წერილებს ჰქონდა, ე. შტრიტმატერმა კრიტიკოსობაზე უარი თქვა და 1988 წლიდან ლექსების გა-

მოქვეყნება დაიწყო, რადგან, როგორც თავად აღნიშნავს, მას, როგორც კრიტიკოსს, სინდისი ჭენჯნიდა, ეჩვენებოდა, რომ სხვის ხარჯზე ცხოვრობდა და ეწადა სხვისთვის თავს მოეხვია ის, რაც თვითონ ბოლომდე არ სწამდა; ლექსებით კი მას შეეძლო გამოეხატა, რასაც ნამდვილად გრძნობდა, თანაც კრიტიკული წერილებიდან განსხვავებით, ლექსების დაბეჭდვა სრულიადაც არ იქნებოდა აუცილებლობით ნაკარნახევი. ევა შტრიტმატერის პირველი ლექსები 1988 წელს დაიბეჭდა ეურნალში „ნოიე დოიჩე ლიტერატურ“ (№1, №2), რამდენიმე წლის შემდეგ კი გამოვიდა მისი ლექსთა კრებულები: „სიჩუმი-სისაგან ვქმნი მე სიმღერას“ (1978), „მთვარის შუქით მოფენილა მდელოები“ (1975), „მე ვქანობ ხაქანელაზე“ (1975), „ერთი ვარდი სძლევეს ყველაფერს“ (1977), „დილოგი“ (1980). ე.

¹ Holmar-Attila Mück, Sibylle stellt vor: Eva Strittmatter; in: Sibylle, 1980, N 3, S. 67.

შტრიტმატერის ლექსები თარგმნილია რუსულ, ხუნგარულ, რუმინულ, პოლონურ, სერბო-ხორვატულ, თურქულ, ქართულ ენებზე. შტრიტმატერის ლექსებზე სიმღერები დაწერეს კომპოზიტორებმა: პაულ დესაუმ, ტილო მიულერ-შედეკმა, ჟრიდჰელმ შონფელდმა, იენს-უვე გიუნთერმა. მსახიობი ვერა ოვლშლიგელი წლების მანძილზე ასრულებს ამ სიმღერებს და კითხულობს ე. შტრიტმატერის ლექსებს გღრ-ში და საზღვარგარეთ. ე. შტრიტმატერის ლექსებს ხშირად გადასცემენ გღრ-ის რადიოთი და ტელევიზიით.

როგორც ლირიკოსი, ე. შტრიტმატერი კლასიკური პოეზიის ტრადიციებს აგრძელებს: იგი წერს ჩვეულებრივ გართმულ, მელოდირ ლექსებს, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად პოეზიაში უპირატესობით სარგებლობს თავისუფალი ურითმო ლექსი, და მაინც როგორც პროფ. ნ. კაკაბადე აღნიშნავს, ევა შტრიტმატერის ლექსები უაღრესად თანამედროვეა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, თანამედროვეა, უპირველეს ყოვლისა, მსოფლმხედველობა, მედიტაციები და რეფლექსიები, თუმცა მის ე. წ. „წარმართულ“ ლექსებში ემპირიას, მრავალფეროვან ხილულ სამყაროს როდი ჩრდილავს მეტაფორული და ტრანსცენდენტური პრობლემები. დასავლური ლირიკის დახლართული სიმბოლიკის და იდუმალების სპირისპიროდ, ევა შტრიტმატერის ლექსები დემოკრატიულია, იოლად აღსაქმელია, თითოეული მკითხველი მიუხედავად თავისი განათლებისა და გემოვნებისა, მის ლექსებში პოულობს საზრდოს. ამიტომ უყვართ ე. შტრიტმატერის ლექსები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს².

ევა შტრიტმატერმა თავის მეუღლესთან, გამოჩენილ გერმანელ მწერალ ერვინ შტრიტმატერთან ერთად რამდენჯერმე იმოგზაურა საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც. პირველედ ევა შტრიტმატერი კავკასიაში, საქართველოში ჩამოვიდა 1988 წელს მოსკოველ მეგობრების ჭგუფთან ერთად, რომელშიც შედიოდნენ მეცნიერები, ბუნებისმეტყველები, ქიმიკოსები, გეოლოგები, ისტორიკოსები, ეთნოლოგები, დახლოებით 10-12 კაცი.³ როცა მატარებელი კავკასიაში შევიდა, ევას

მეგობრებმა გაიხსენეს ლექსები საქართველოზე არა მარტო კლასიკური, არამედ მე-20 საუკუნის პოეზიიდანაც, ევა შტრიტმატერი ცოტა არ იყოს გააკვირვა იმან, რომ არცეს რცხვენოდა წაეკითხა ლექსი, გამოეჩინა გრძნობა, „მაშინ მე არ შემეძლო წარმოხედვინა, რომ ჩვენი ხალხი ტიურინგიაში მგზავრობისას ლექსებს გაიხსენებდა. იქ კი (კავკასიაში — რ. ც.) უველაფერი ეს სრულიად ნორმალური იყო, — შენიშნავს ე. შტრიტმატერი, ქართული შთაბეჭდილებები ე. შტრიტმატერმა შეიტანა წიგნში „წერილები შულცენმოფიდან“, რომელიც შეიცავს ავტორის წერილებს, მიმართულთ შტრიტმატერების მეგობრების, ნაცნობებისა და მკითხველებისადმი. რა თქმა უნდა, საქართველო არაა ამ წიგნის ერთადერთი თემა, „წერილებში შულცენმოფიდან“ ავტორი გვიზიარებს თავის შეხედულებებს პოეზიაზე, მწერლის, პოეტის მოვალეობასა და დანიშნულებაზე, ერვინ შტრიტმატერის მოღვაწეობაზე, საკუთარ შემოქმედებაზე. „წერილებში შულცენმოფიდან“ ევა შტრიტმატერი დიდი სიყვარულით იგონებს საქართველოს, ქვეყანას, რომელშიც შტრიტმატერებზე წარუშლელი, ზღაპრული შთაბეჭდილება დატოვა. მათთვის მარად დაუვიწყარი იქნება თბილისი, უვარელი, კახეთი, ფასანაური, გაგრა, მცხეთა და სვეტიცხოველი. მათი შვილები მშობლების ნაუბარს საქართველოზე ისე უსმენდნენ, როგორც „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებს. ბარაქიანმა ქართულმა შემოდგომამ 1965 წლისამ, უხვმა თბილისურმა ბაზარმა, ჩვენი ქვეყნის ბუნებამ აღაფრთოვანა ევა და ერვინ შტრიტმატერები. ქართული შემოდგომით მოხიბლულ პოეტს სჭერა, რომ ამ ქვეყანაში ზაფხულსაც თავისებური სილამაზე ექნება. ხშირად აგონდებათ შტრიტმატერებს საქართველოს თბილი ჰავა, განსაკუთრებით მაშინ, როცა გერმანიაში ცივა. 1988 წლის 11 მაისით დათარიღებულ წერილში ევა შტრიტმატერი ჩივის, რომ მაისის თვეში გერმანიაში ხშირად წვიმს, ცივა და, კაცს თუ ღუმელი არ უნთია, საწერ მაგიდასთან მუშაობა კირსმცენარე, თესლი სითბოს ელოდება, იმ სითბოს, ქართველებს რომ უხვად აქვთ. „ახლა განსაკუთრებით დიდია ცდუნება, რომ თქვენს ქვეყანაზე და თქვენებურ მავაზე იფიქროს კაცმა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მუდამ საბაბს ვეძებთ სახიამოვნო მოგონებებისათვის. უპირველეს ყოვლისა, როცა იმ სურათებს ვათვალიერებთ, თან რომ ჩამოვიტანეთ“, — სწერს ე. შტრიტმატერი ერთერთ ქართველ მეგობარს. ხშირად აგონდებათ შტრიტმატერებს საქართველო, იმდენად ხში-

1. ე. შტრიტმატერის 21 ლექსი, თარგმნილი მ. კახიძის მიერ, დაიბეჭდა 1976, 1977, 1978 წ.წ. (იხ. „საქართველოს ქალი“, 1976, № 10, „დროშა“ 1977, № 9, განთიადი 1978, № 1, „საუნჯე“, 1978, № 6.

2 N. Kakabadse, Laudatio auf Eva Strittmatter, in: Das Reclam-Buch, Leipzig, 1983, Heft 61.

3. ე. შტრიტმატერი საქართველოში იყო აგრეთვე 1966, 1967, 1978 და 1979 წწ.

4 Eva Strittmatter, Poesie und andre Nebendinge. Aufbau-Verlag, 1983, S. 130.

რად, რომ მრავალი მოვლენისა თუ ამბის შეფასებას საქართველოში მომხდარ მოვლენებთან შედარების შემდეგ ახერხებენ. მზიანმა, თბილმა დღეებმა, 1988 წლის სექტემბერში ტიურინგიაში რომ დაწყებს, მათ საქართველო, ფასანაური გაახსენა: „ჩერ კიდევ თბილი, მზიანი დღეები იდგა და ჩვენ ტუის პირას მოვეწყუთ. მთის მზემ და მთის ბაერმა ის დღეები გაგვახსენა, 1988 წელს კავკასიაში, ფასანაურში რომ გავატარეთ“. ასევე დაუვიწყარია მათთვის გაგრის მზე და ხეირნობა ქალაქის ვორაკებზე; და დეკემბრის თვეში მართლაც რომ სახწაული ზგონით შტრიტმატერებს, რამდენიმე კვირის წინ ასე ბევრი სიბზო და სინათლე რომ ჰქონდათ საქართველოში. თუ გერმანიაში დარია და ცა საოკრად ლურჯია, ევას ისევ ქართული ზეცა აგონდება: „...ამჟამად ჩვენთან რუხი, წვიმიანი, ცივი სექტემბერ-ოქტომბრის შემდეგ საუცხოო ამინდია. სულ ლურჯი (თითქმის ქართულად ლურჯი) ცა...“ ხარბად კითხულობენ შტრიტმატერები გაზეთებს, თუ იქ თბილისზე, საქართველოზე წერია რამე; გაზეთებიდან შეიტყუეს, რომ თბილისში აშენდა მეტრო, რომ ქართველებს ძყავთ გამოჩენილი მათემატიკოსი და რომ საქართველოს დედაქალაქშია ძალზე პოპულარული მათემატიკის ფაკულტეტი. უყვართ საქართველო ევა და ერვინ შტრიტმატერებს და გული მოხდით, როცა გერმანული გაზეთები საქართველოს („გორგიენ“) „გრუზიად“ („გრუზიენ“) მოიხსენიებენ, და თავიანთ გულიხტკივილს მეგობრებსაც უზიარებენ. უყვარს მათ ოჯახს ქართული ჩაი. ერვინ შტრიტმატერს თურმე სჯერა, რომ ქართული მწვანე ჩაი საუკეთესო საშუალებაა ავადმყოფობის თავიდან ახაცილებლად; და შტრიტმატერები, როგორც „საქართველოს პატრიოტები“ სჯერდები ქართულ ჩაის, რომელსაც, რა თქმა უნდა, „გრუზინსკი ჩაი“ ჰქვია. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ ჩაიზე ნაკლები წარმატება მათ ოჯახში არც ჩვენებურ ჩურჩხელას ჰქონია. ქართველი მეგობრისაგან მიძღვნილი ეს „საუცხოო ტკბილეული, დამწადებული ყურძნის წვენი და კაკლისაგან“ შტრიტმატერებისათვის მართლაც რომ სენსაციად ქცეულა („წერილები შულცენმოფიდან“).

ევა შტრიტმატერს — ხელოვნების, ფერწერის ტრფიალს — 1985 წელს თბილისში პირველად შეუტყვია ნიკო ფიროსმანაშვილის არსებობა და გახსნობა მის სურათებს. ფიროსმანაშვილს იგი მიაკუთვნებს იმ მხატვართა რიცხვს, რომლებმაც დიდი ზეგავლენა მოახდინეს მასზე. ქართველი მხატვრის შემოქმედება, პოეტი ქალის შეხედულებით, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ლევიტანის სურათები, რო-

მელთა ხილვას ბედნიერება მას ჰქონდა 1980 წელს ტრეტიაკოვის გალერეაში. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დაუტოვებია ე. შტრიტმატერზე აგრეთვე ერთ-ერთ ქართულ ეკლესიას თბილისში — „ორთქვინის“ — შტრიტმატერმა ნაგებობას, რომელსაც „საქართველოსის მსგავსად, მოსკოვში ტოლსტოის სახლის მახლობლად რომ დგას, არა მარტო არქიტექტორულ მარმონიას კმნის — ქანდაკება და ფერწერა გარეგნულ ხედთან ერთად შემოქმედებს — „როცა ეკლესია მუშაობს, მუსიკაც იქ არის“, ყოველივე ეს კი განაპირობებს ერთობლივ ესთეტიკურ იფექტს⁵.

ევა და ერვინ შტრიტმატერებმა საქართველოში შეიძინეს მეგობრები, უპირველეს ყოვლისა, ქართველი გერმანისტები. მეგობრული ურთიერთობა, სამეცნიერო თუ შემოქმედებითი გეგმებისა და აზრების ურთიერთ გაზიარება ორივე მხარისათვის უდავოდ საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა. ქართველ მეგობრებთან გაგზავნილი წერილები, როგორც მოსალოდნელი იყო, ევა შტრიტმატერმა შეიტანა „წერილებში შულცენმოფიდან“, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „წერილებში შულცენმოფიდან“ ევა შტრიტმატერი ადრესატებს ჩვეულებრივ ინიციალებით მოიხსენიებს. ამ მხრივ გამონაკლისს არც მისი ქართველი მეგობრები წარმოადგინენ. მიუხედავად ამისა, ძნელი არაა დავადგინოთ, რომ საქართველოში გამოგზავნილი წერილები ევა შტრიტმატერისა პროფ. ნ. კაკაბაძისა და პროფ. რ. უარალაშვილისადმი მიმართული. 1988 წლის 29 იანვრით დათარიღებულ წერილში ევა შტრიტმატერი იწონებს ნ. კაკაბაძის არჩევანს — თომას მანის ადრეული შემოქმედების კვლევას⁶. ე. შტრიტმატერის შეხედულებით, თ. მანის ადრეული შემოქმედება ფრიად საინტერესოა; თ. მანის პირველი დიდი მოთხრობა „პატარა ბატონი ფრიდემანი“ მას ბოლო მოთხრობაზე მეტად უყვარს, რომანი „ბუდენბროკები“ კი უფრო საოცარ წიგნად მიაჩნია, ვიდრე გვიანდელი რომანები. „ვფიქრობ, შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ამ პერიოდის შეხახებ წერთ“, — მიმართავს იგი ქართველ მეგობარს. იმავე წერილში ევა შტრიტმატერი ქართველ მეგობარს აცნობს ერვინ შტრიტმატერის შემოქმედებით გეგმებს, რომლებზედაც მაშინ, 1988 წელს, მუშაობდა ერვინ შტრიტმატერი. სხვა წერილში (1970 წ.

⁵ Eva Strittmatter, Poesie und andre Nebendinge, 1983, S. 109.
⁶ ნ. კაკაბაძემ 1968 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „თომას მანის ადრეული შემოქმედება“.

12 მარტი) ევა მოიხსენიებს ნ.-ს. (ნ. კაკაბაძეს — რ. ც.), რომელიც თავის წერილებში შტრიტმატერებს მოუთხოვს თავისი ახალი ნაშრომების შესახებ, ატყობინებს, რომ მისი წიგნი „პორტრეტები და სილუეტები“ ჯერ კიდევ არ დაბეჭდილა. ნ. კაკაბაძისადმი მიმართული, აგრეთვე წერილი, რომელშიც ევა შტრიტმატერი პასუხობს ქართველ მეგობარს ერვინ შტრიტმატერის „პონი პედროს“ ქართულ ენაზე თარგმანისას წამოკრილ შეკითხვებზე (1971 წ. 4 დეკემბერი). აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ევა შტრიტმატერი ხშირად უძღვნიხს საჩუქრად ქართველ გერმანისტებს როგორც თავის, ისე სხვა გერმანულენოვანი მწერლების წიგნებს.

როგორც წემოთაც აღვნიშნეთ, „წერილებში შულცენჰოფიდან“ თავმოყრილია 1966-1976 წლებში დაწერილი წერილები. რასაკვირველია, ევა შტრიტმატერის მეგობრობა ქართველ გერმანისტებთან დასახელებული წიგნის გამოქვეყნების შემდეგაც გრძელდება. დუშან ტომოვსკის⁷ ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში⁸ ევა შტრიტმატერი კვლავ მოიხსენიებს ნ. კაკაბაძეს, რომელთან ერთად 1978 წლის 17 ნოემბერს ბერლინიდან შულცენჰოფს გაემგზავრა. ნ. კაკაბაძეს კვირის ბოლო დღეები შტრიტმატერებთან უნდა გაეტარებინა, რათა გასცნობოდა ერვინ შტრიტმატერის „სასწაულმოქმედის“ III ტომის ხელნაწერს. „კავკასიელი სტუმრის“ პატივსაცემად შტრიტმატერების ოჯახში სუფრა გაიშალა, ღვინოც დაილია. „ნოდარმა თავი ვერ შეიკავა და რამდენიმე რიტუალური ქართული სადღეგრძელო წარმოთქვა.“ — წერს ევა შტრიტმატერი;

გულთბილი მეგობრობა აკავშირებს ევა შტრიტმატერს პროფ. ყარალაშვილთანაც. „წერილებში შულცენჰოფიდან“ ევა შტრიტმატერი აღტაცებით ლაპარაკობს რ. ყარალაშვილის ლიტერატურულ და ლინგვისტურ განსწავლულობაზე. ევა და ერვინ შტრიტმატერებს არც უკვირთ, რომ მისი წერილები ლიტერატურული თვალსაზრისით კარგი გერმანულითაა დაწერილი, რადგან თბილისში ყოფნისას დარწმუნდნენ, რა შესანიშნავად ფლობს გერმანულ ენას მათი

ქართველი მეგობარი. „ხელოვნებაა წერო ისე, რომ სიტყვები ცოცხლდებოდეს, ისე, რომ სხვა ხედავდეს და გრძნობდეს, რასაც ლაპარაკობ“, — მიმართავს ევა შტრიტმატერი რ.-ს. (რ. ყარალაშვილს — რ. ც.)⁹ შტრიტმატერები იცნობდნენ რ. ყარალაშვილს როგორც ბ. პესეს შემოქმედების შესანიშნავ მცოდნეს, მაგრამ მაინც არ ელოდნენ, რომ მას ზედმიწევნით კარგად ეცოდინებოდა ერვინ შტრიტმატერის შემოქმედებაც. 1971 წლის ზაფხულში იმ მსმენელებს შორის, რომლებსაც ერვინ შტრიტმატერმა თავისი „სასწაულმოქმედი“ წაუკითხა, რ. ყარალაშვილიც იყო. ევა შტრიტმატერის გადმოცემით, ერვინი დიდად გაოცებული დარჩა, იმ დაძახული დღეების შემდეგ „სასწაულმოქმედის“ კითხვიდან ამდენი რომ გამოიტანა მათმა ქართველმა მეგობარმა. ეს კი ერვინისათვის იმდენად სასიამოვნო იყო, რომ მისი სიხარული მის სამწერლო საქმიანობასაც გადაედო (1971 წ. 8 დეკემბრის წერილი). იმავე წერილში ევა შტრიტმატერი მაღლობას უბდის რ.-ს. (რ. ყარალაშვილს — რ. ც.) ბერმან პესეს შემოქმედებისადმი მიძღვნილი ნაშრომისა და მწვანე ჩანისათვის. გულისხმიერებას იჩენს ევა რ. ყარალაშვილის ოჯახის წევრების მიმართაც, საკანდიდატო დისერტაციის წარმატებით დაცვას ულოცავს მის მეუღლეს.

ბუნებრივია, რომ გერმანელი პოეტი ქალისათვის საინტერესო უნდა ყოფილიყო ქართველი პოეტების შემოქმედება, თუმცა ქართული პოეზიის საფუძვლიანი გაცნობის შესაძლებლობა მას ჯერჯერობით არ მისცემია. „წერილებში შულცენჰოფიდან“ ევა შტრიტმატერი აღნიშნავს, რომ ქართველი პოეტებიდან იცნობს მხოლოდ ნ. ბარათაშვილს, რომლის ლექსების კრებული საჩუქრად მიუღია ერთ-ერთი ქართველი მეგობრისაგან. რაც დრო გადის, პოეტი ქალი უფრო მეტ სულიერ ნათესაობას გრძნობს ნ. ბარათაშვილთან. „კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველოში ასეთი წიგნები გამოდის და იმედოვნებს, რომ ქართველები სხვა ქართველ პოეტებსაც გააცნობენ გერმანელებს.

პოეტური ნათლობა ევა შტრიტმატერმა საქართველოში მიიღო 1966 წლის ოქტომბერში, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველად წაიკითხა თავისი ლექსები. ამ დროიდან საქართველო თავისი ბუნებით და ადამიანებით შტრიტმატერის ლირიკის ერთ-ერთ თემად იქცა. პირველი ლექსი, რომელიც პოეტმა საქართველოს უძღვნა, მას ყაზბეგის ბუნებამ და პუშკინის მოგონებამ შთააგონა („პუშკინი. ყაზბეგის გახსენება“ კრებულიდან „სიჩუმისაგან ვქმნი მე სიმღერას“). ყაზბეგის ბუნება და პუშკინი ლექსში ერთ ასოციაციად ქცეულან.

7. დუშან ტომოვსკი, მაკედონელი, იყო გერმანისტიკის პროფესორი, კათედრის გამგე სკოპიეში; მან თარგმნა მაკედონურ ენაზე „ფაუსტი II“ და „ნიბელუნგების სიმღერა“.

8. ე. შტრიტმატერის ეს წერილი დუშან ტომოვსკისადმი მიძღვნილ ლექსთან ერთად პირველად დაიბეჭდა ეურნალში „ნოიე დოიჩე ლიტერატურ“ (1981, № 1). შემდეგ კი ავტორმა იგი შეიტანა წიგნში „Poesie und andre Nebendinger“.

გლტჩერის სიგრილე ელამუნება სახეზე პოეტს, აფხიზლებს ყაზბეგის წყაროს წყალი. თერგში მიჭქრიან პუშკინის ლექსები და ხმაურობს თერგო. ის კი პუშკინი, არყების ქალაში ბრინჯაოს ქანდაკებად გარდასახული, დამტვერილი, უურს უგდებს ურმების კრიალს და მწყემსების ნაუბარ ცხელ-ცხელ ამბებს. ჩქეფს სიცოცხლე ყაზბეგის მწვერვალის ძირას, მიიჩქარიან მანქანები, ურმები, ცხვრის ფარები, ცხენები.

„არ უჩანდათ ბოლო,
მიდიან მდუმარედ,
ვით მოჩვენებები,
თეთრი მყინვარწვერი
არ იძვრის მხოლოდ...
ო, აქ ჩაიარა პუშკინმა ერთ დროს,
ამ ხიფათიან გზებს
ლექსებით ენდო“.⁹

ლექსებში: „გაგრაში“, „წერილი გაგრიდან“, „მუხის სიმწვანე“, „სოხუმის გახსენება“¹⁰ პოეტი მსუუფ ფერებით გვიხატავს საქართველოს ზღვისპირეთს, გაგრას, სოხუმს, მოხიბლულია გაგრის თავისებური კოლორიტით, მისი ლურჯი ზეცით. ეს ქალაქი მას გაბლონციის¹¹ ყელსაბამს აგონებს. პოეტი თვალყურს ადევნებს პლაჟზე იხვებივით მობაჭბაქე თოლიებს, მცენარეულ საკვებს ქარიშხლისაგან დასველებულ ქვიშაში რომ დაეძებენ, და გული სტკივა, რომ თოლიები გადაგვარებულან. და არა მარტო თოლიები, უველაფერი კარგავს თურმე თავისთავადობას და ზღვისპირეთიც ისეთ „ფაბრიკად“ ქცეულა, რომელიც გარკვეული ვადით აწარმოებს კანის მუქ შეფერილობასა და სიყვარულს. ასეთ სიყვარულს კი თუ დღეს ბედნიერება მოაქვს, ხვალინდელი ტანჯვის წყაროდაც იქცევა. ზღვისპირეთში ხვდება პოეტი აფხაზებს, რომლებიც ხორხისმიერ ენაზე ლაპარაკობენ და მაინცდამაინც არ უყვართ ცვალებადობა. ისინი უმალ დავიწყებას აძლევენ დაუდევარ კაცს, დროს კი ვაზის ყლორტებით და უურძნით ზომავენ (ლექსი „წერილი გაგრიდან“).

აბრეშუმისდარი დღეები იცის გაგრაში. დამლობით გაისმის კრიჭინობლების ჩივილი, გორაკის ფერდობზე კლდის წვეტივით წამოკიმულ

მუხას გარს ევლება ბაღებიდან წამოსული ფიჩხის კვამლი. აქ მუხის სიმწვანეც უჩვეულოა, განსაკუთრებულია, გერმანული ხეების სიმწვანეს არა ჰგავს:

„მუხის სიმწვანე სულ სხვადასხვაა
არ ჰგავს გერმანულ მწვანე ფერსა, შოი
მუხავ, კავკასიურო“.
(„მუხის სიმწვანე“)

კავკასიური მუხის ძირას შეხვდა პოეტი მოხუც ქალს, რომელიც მის დიდებას ჩამოჰგავდა. მოხუცის კაბას ახალგაზომცხვარი პურის ხუნი უდიოდა, თმებს კი — მზისა. ქალი მოხუცი იყო და, ალბათ, აღარც იქნება ამჟამად ცოცხალი, მაგრამ პოეტი ისევ გრძნობს მის მწერას:

„...მე მისთვის ვიყავ შორეული,
უცხოც ვიყავი, და ფერგამკრთალი უარყოფა
ვიყავი მისი სიცოცხლისა. და მაინც კვლავ
დგას იგი ჩემთვის
მუხის ბინდ-ბუნდში, ვით მნათობის
გამობრწყინება“.
(„მუხის სიმწვანე“)

ქართველი მეგობრების, საქართველოს საყვარულითაა გამთბარი ლექსი „სოხუმის გახსენება“, აქ ცოცხლდება სოხუმში მეგობრებთან ერთად გატარებული საღამოები, როცა ჰაერში ტრიალებდა ჭინკრის მწარე სურნელი:

ჭინკარს სიცოცხლის ხის სუნი აქვს,
მომწარო სუნი, როცა საღამო აგრილებს
სურნელს“.
(„სოხუმის გახსენება“)

იმ დაუფიწვარ სოხუმურ საღამოებში პოეზიის, პოეტის დანიშნულებაზე მსჯელობდნენ, კამათობდნენ მეგობრები; სწამდათ, რომ სიახლე მოჰქონდათ და მათი სიტყვა ხალხისათვის იყო საჭირო. რა თამამად, რა თავისუფლად აძლევდნენ ისინი შეკითხვებს ცხოვრებას! მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, დრომ დააშორა მეგობრები. მაგრამ ჭინკრის ხუნი მაინც აცოცხლებს მოგონებას იმიხა, რანი იყვნენ ისინი და რანი იქნებოდნენ, მათი ხურვილები თუ ახდებოდა. ეს კია, რომ ისინი შემოქმედებას, პოეზიას, სიტყვას, ძველებურად ემსახურებიან.

„სიტყვალა გვრჩება და მას წარმოვთქვამთ,
თუნდ ის ეგონოთ საქებარიც და
სალანძლიავიც,
ძალზე საჭიროც და ზედმეტიცა.
შო, ასე დიფთქვით სოხუმში მაშინ,
და ვერც სიცრუის ბობოქრობა
შეგვიცვლის ფერსა,
მივესალმებით იმ ზაფხულის ამხანაგებსა“.
(„სოხუმის გახსენება“)

9. ევა შტრიტმატერი — (თარგმნა მედეა კახიძემ) — „დროშა“, 1971, № 9, გვ. 7.
10. ლექსი „გაგრაში“ შესულია ე. შტრიტმატერის ლექსთა კრებულში „ერთი ვარდი სძლევს ყველაფერს“, ხოლო შემოთმობხსენიებული დანარჩენი სამი ლექსი კი — კრებულში „დიალოგი“.
11. გაბლონცი, ქ. იაბლონეცის ძველი სახელია.

ევა შტრიტმატერს უყვარს არა მარტო საქართველოს ბუნება, არამედ მისი წარსული, მისი სულტურა. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მასზე შიომღვიმემ, რომელიც მან თავის ქართველ მეგობრებთან — ნოდარ კაკაბაძესთან, ნიკო ყიასაშვილთან და რეზო ყარალაშვილთან ერთად ინახულა. მათვე მიუძღვნა ერთი წლის შემდეგ ლექსი „შიომღვიმე“ პოეტს ახსენდება ოქტომბრის თვე, როცა ეწვია შიომღვიმეს — „ხწავლული ბერების ბუდეს კლდეში“:

„ოქტომბრის დღეები მიხმობენ და ზეცა უზადოდ უღრუბლო, ლურჯი“.

ის დღე დღესასწაულს ჰგავდა. მალეიდან გადმობყურებდა პოეტი ხევებს. სადაც ახალი დროების სიკოცხლე ხჩქედდა. მალალ კლდეზე კი გარდასულ სიკოცხლეს დაეჩნია კვალი. ხეობაზე გადაკიდებული აივანი აღვიძებს პო-



ირაკლი ებრაელიძე

ქართული პრესა ლატვიის შესახებ 1870-1905 წლებში

ქართული და ლატვიელი ხალხები ერთმანეთის ისტორიას, ეთნოგრაფიას, ლიტერატურას და ხელოვნებას თავდაპირველად რუსული, ესტონური და გერმანული წყაროებით იცნობოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ცნობა ლატვიის შესახებ 1870-იანი წლებიდან ქართულ პრესაშიც კვეყნდებოდა.

ვიდრე ლატვიის შესახებ ქართული პრესის პუბლიკაციებს გავეცნობოდეთ, ურიგო არ იქნება თუ ორიოდ სიტყვას ვიტყვით იმათ შესახებ, ვინც რევოლუციამდე პირადი წერილებითა თუ სხვა საშუალებებით თავიანთ აზრობებს და საზოგადოების შედარებით ვიწრო წრეებს გარკვეულ წარმოდგენას უქმნიდნენ ლატვიელი ხალხის შესახებ.

მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთაგან გრიგოლ ორბელიანი პირველია, რომელსაც წილად ხვდა გასული საუკუნის 30-იან წლებში ლიფლანდიის გუბერნიაში (ლატვიაში)* ყოფნა.

* ლატვიის ჩრდილეთი და ესტონეთის სამხრეთი ნაწილები.

ეტის წარმოსახვას და მის თვალწინ ცოცხლდებიან ფიქრებში ჩაფლული ბერები, კარგა მოღებული სეკეებიდან რომ მოჩანან. მათ გარშემო მხოლოდ ეთერია, მწვერი სიმძიმისაგან თავისუფალი:

ეროვნული

მისწიქმე

„...არ იყო აქ ტვირთი და დრონი უჩუმრად მარადიულობისაკენ ვიდოდნენ“

და ვის შეეძლო ეგრძნო წინასწარ ის „მეხის დაცემა“, რომელიც წმინდანთა ცხოვრებას ამ გამოკვებაულიდან გაფანტავდა. ქარს გაატანდა... დღეს შიომღვიმეში აღარ არიან ბერები, მაგრამ ისევ დგას ქვის სარკოფაგი და მლიმარე ქალწული ბავშვით ხელში...

ვუსურვოთ ევა შტრიტმატერს, კიდევ მრავალი შემოქმედებითი წარმატებით გაეხარებინოს თავისი მკითხველი.

გრ. ორბელიანი ცნობილი 1882 წლის შეთქმულების მონაწილედ აღიარეს.

პორუჩიკი გრიგოლ ორბელიანი, „რომელმაც ქართულად თარგმნა რილდევის „ნალივაიკოს აღსარება“, ჩემს მიერ კავკასიის ხაზზე სამსახურში გაგზავნილი, ყველაზე უფრო სასარგებლოდ მიმაჩნია გადაყვანილ იქნას რუსეთში განლაგებულ პოლკებში და მას რამდენიმე წლით აეკრძალოს საქართველოში ჩამოსვლა“¹ — წერდა რუსეთის მეფის მთავრობის ერთ-ერთი მოხელე.

გრიგოლ ორბელიანი 1884 წლის 2 მაისს — აღდგომას, რიგაში ჩავიდა. იქ ქარის ასეული ჩააბარეს. გრ. ორბელიანს ხან რიგაში, ხან ვილნიუსში, ხან ვერდენში, სხვა ქალაქებში ან მათ მიდამოებში უხდებოდა სამხედრო საბანაკო ცხოვრება.

„დიდი ნუგეში არ აღმოჩნდა ქართველი კაცისათვის ვილნოს ბაღებში ხეტიალი და რიგის თეატრში სიარული, ფორტეპიანოს დამკვრელთა შორის ჯდომა, ცეკვა, სეირნობა... თითქოს ერთობა დროს ატარებს, მაგრამ „მომეწყინაო ამდენი ხანი ტანტალი შორს, უოველთა ჩემთა ნათესავთა და გულის საყვარელთაგანო“.

¹ Акты, т. УШ, стр. 410.

— ჩივის პოეტო და მოუთმენლად ელის შინ —
სამოთხესავით ქვეყანაში დაბრუნებას.²

უაღრესად განათლებული პოეტისა და მხედრის თვალს შეუმჩნეველი არ რჩება საინტერესო ფაქტები: ასე მაგალითად, იგი 1884 წლის 22 მაისს ზაქარია ორბელიანს ქალაქ ვალკადაწერს: „...აქაურ (ლატვიელ) გლეხკაცებს ჩვენებური ქალამნები აცვიათ. მიკვირს ესრეთი მიმსგავსება ესრეთს დაშორებულ ადგილთ ურთიერთობაგან. — საუდრებზე ჭუარის მაგიერ მამალი წიხ, ვერავინ ვერ ამიხსნა, აქამდის იგავი ესე: მარამა მგონია, ...პეტრე მოციქულმა, რომ ქრისტე უარპყო სამქერ მამლის უვილამდის, ეს ის იყოს“.³

აღსანიშნავია, რომ ტარტუს უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომო რუსი, ესტონელი, ლიტველი, ლატვიელი, უკრაინელი და სხვა ეროვნების სტუდენტების და ადგილობრივი მოსახლეობის დაინტერესებული ნაწილის თანდასწრებით მართავდა ქართულ კონცერტებს. ქართული ლიტერატურის ხალამოებს, რომლებსაც ფართო ხასიათი მიუღია. ლატვიელ სტუდენტთა ტარტუს სათვისტომოც ატარებდა ასეთივე ღონისძიებებს, რომლებსაც, ცხადია, ქართველი სტუდენტებიც ესწრებოდნენ.

ისიც ცნობილია, რომ ლატვიელ მწერლებს — უპიტს, ასპაზიას, ა. კრაულინს, ე. ზალიტეს და სხვებს ურთიერთობა ჰქონდათ ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორებთან და სტუდენტობასთან. ტარტუს უნივერსიტეტში მყოფი ქართველი სტუდენტები, ალბათ, იცნობდნენ და ხვდებოდნენ ამ გამოჩენილ მწერლებსა და მოღვაწეებს. დღეისათვის ეს მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ გამორიცხულად არ ვთვლით, რომ საარქივო თუ სხვა მასალების მიკვლევაში დაადასტუროს ეს მოსაზრება.

ვფიქრობთ, საინტერესო ფაქტია დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჩანიშვილის მოღვაწეობა რიგის რუსულ თეატრში. იგი ამ თეატრის რეჟისორად ნეშლობინს (კ. ალაბიევს) 1904 წლის სეზონის დასასრულს მიუწვდევია.

„ორი სეზონი დაპყო მარჩანიშვილმა ნეშლობინის თეატრში (რუგაში) და სახელი მოუხვეჭა ამ თეატრს მხატვრული მიღწევებით.“

...1905 წლის დასაწყისს მაქსიმ გორკი რიგაში ჩამოვიდა. აქ ის თანდარმერობამ დააპატრონა. მარჩანიშვილი მუხსვე დაუკავშირდა რიგის პო-

ლიტერატურაში მოხწავლელ ქართველ სტუდენტებს და შეადგინა მებრძოლთა რუსული მაქსიმ გორკის გამოსახსნელად პატრონობის კომიტეტი.⁴

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი საზოგადოებრიობის ინტელექტუალური სფეროს იმპერიის სხვადასხვა კუთხეებში — სადმი განსაკუთრებით გაძლიერდა. ამის ერთერთი მიზეზთაგანი ეროვნული საკითხის მოგვარებისადმი მისწრაფებაც იყო. ამან თავისი გამოხატულება ქართულ პრესის ფურცლებზეც გამოავლინა.

1870 წელს გაზეთ „დროებას“ გადმოუბეჭდავს „ლიფლანდიის (ლატვიის) აზნაურობის ადრესი ხელმწიფე-იმპერატორთან“.

„ადრესში“ ნათქვამია, რომ „პეტრე დიდმა იარაღით დაიპყრო და სრულებით დასცა ლიფლანდიის საღერცოლო, მაგრამ საპიროდ არ სთვლიდა შეეერთებია ის თავის ვრცელ იმპერიასთან. მისმა დიდებულებამ დიდმა მეფემ ამჯობინა მიეცა ქვეყნისათვის, რომლებიც სრულებით იმის ხელში იყო, კაპიტულაცია. ე. ი. სახელმწიფო პირობების შეცვრა, რომლის ძალით ეს ქვეყანა თავისი ნებითა და განსაზღვრული პირობებით დაპყრობილდა მეფის სიპატრას უკუნითი უკუნიხამდე და მისი იმპერატორობითი დიდებულებაც თავის მხრივ დაპაირდა ამა პირობების სამუდამოთ შენახვას. ეს პირობები იყო მოხსენებული 1710 წლის კაპიტულაციაში და ამავე წელს შემდგარს კაპიტულაციის პირობების წერილში: ნიშტადტის შერიგება რომ მოხდა, იმაშიც კი იყო დამოწმებული და როგორც დოკუმენტები ისე ჩაერთვნენ რუსეთის იმპერიის კანონების სრულ კრებას. რუსეთის ყველა ხელმწიფე საერთოდ სცნობდნენ ამ დოკუმენტებს და ლიფლანდიის დებულება და ძირითადი სახელმწიფო უფლებაც იმაში იმყოფება; ამჟამად მხოლოდ იმაზე დაფუძნებული სახელმწიფო დამოკიდებულება ლიფლანდიასა და რუსეთს შუა... ღრმად შეწუხებული და გულმაგრად დარწმუნებული თქვენი დიდებულების ქეშმარიტ მამობრივს მოწყალებაზე ლიფლანდიის აზნაურობა ბედავს მოიქცეს თქვენთან ერთგული ქვეშევრდომობითი თხოვნით: კეთილი ინებეთ, თქვენო იმპერატორობითო დიდებულებაც ყოველად უმოწყალებსად ისევ აღადგინეთ ლიფლანდიის უფლება. ერთგული ქვეშევრდომი თქვენი იმპერატორობითის დიდებულებისა ლიფლანდიის აზნაურობა და მისი სახელით... აზნაურობის წინამძღოლი გუხტავ ბარონ ფონ ნელ-ქენლ-

2. ელგუჯა მალრადე — „გრიგოლ ორბელიანი“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1975. გვ. 59.
3. გრ. ორბელიანი — წერილები, ტომი პირველი, აკაკი გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელგამი, 1936 წ. გვ. 16.

4 გ. ბუზნიკაშვილი, — „კოტე მარჩანიშვილი (ბიოგრაფია), თბილისი 1947 წ., გვ. 17-19.

ანდრუტი, ერნსტ ბარონ ფონ კაშპენგაუზენი. თბილისი, 1870 წელი.¹

იმპერატორს (ალექსანდრე მეორეს) არ დაუყოვნებია პასუხი და ამ „ერთგული ქვეშევრდომების“ თხოვნაზე საკუთარი ხელით დაუწერია შემდეგი გადაწყვეტილება: „რადგან საზოგადო და ადგილობრივი კანონები მიიღებენ ძალას ერთადერთი უფლებებისაგან, რომელიც თვითმპყრობელია, ამისათვის სრულიად უარი ეთქვას ლიფლანდიის აზნაურობას თავის თხოვნაზე — მით უფრო, რომ ის არ ეთანხმება თვითონ შესავალს ადგილობრივ დაწესებულებათა კრებაში“².

ამ „ადრესის“ გამოყენებით გაზეთ „დროების“ რედაქცია აღბათ, შეახსენებდა თავის მკითხველებს ჩვენი ერის მაშინდელ მდგომარეობას, მის ხწრაფვას ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისაკენ.

დავძენთ, რომ „ადრესი“ — ლატვიელი ხალხისათვის ეროვნული თავისუფლების მინიჭებას კი არა, არამედ ლიფლანდიელი აზნაურებისათვის უფლებების გაფართოებას მოითხოვდა.

იმდროინდელ ქართულ პრესაში დროდადრო ქვეყნდება მასალები ლიფლანდიის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. გაზეთ „დროების“ 1874 წლის ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა წერილი „ლიფლანდიის კონვენტი“.

„ლიფლანდიას — რუსის მთავრობისაგან მინიჭებული აქვს უფლება — ვკითხულობთ ამ წერილში — რომ თვითონვე თავისი ქვეყნიდან ამოიჩიოს კაცები და ამნაირად შედგენილმა კრებამ განაგოს იქაური საქმეები. აზნაურობის კრებას კონვენტი შვეია, ვაკრებისას — დიდი გილდია და დანარჩენი მცხოვრებლებისა — პატარა გილდია. ამ დაწესებულებების ხელშია ქალაქებისა და სოფლების შემოსავალ-გასავლის დანიშვნა, ხალხის განათლება და სხვა. უმაღლესი შედამხედველი არის რუსეთისგან დაყენებული ადმინისტრაციული უფლება (ღენერალ-ლუბერნატორი). ერთი იქაური გაზეთი „რიგის უწყება“ არ ემაღლიერება კონვენტს იმიტომ, რომ სხდომები ამ კრებებში საიდუმლოდ არის: არ აცხადებენ, თუ რაზე აქვთ მოლაპარაკება, როგორ მიჰყავთ საქმეები, რასა ხწყვეტენ და სხვა. ამ გვარი საიდუმლოება საზოგადო საქმეში ძალიან მავნებელი არისო, საზოგადოებას სურს და უფლებაცა აქვს შეიტყოს, თუ რას აკეთებენ იმის წარმომადგენელი პირებიო, რა განკარგულებას ახდენენო, და ესენი კი თითქოს ცხრაკლიტულში ჩამჭდარან და ისე აქვთ მოლაპარაკებაო. ყოველი საზოგადო საქმე აშკარად

უნდა კეთდებოდეს, ყოველ ასეთ საქმეზე მოლაპარაკება, რომელსაც რაიმე საზოგადო მნიშვნელობა აქვს, თავისუფალი და გამოცხადებული უნდა იყოს, მხოლოდ მაშინ მიეჩვენება ხალხი პოლიტიკურ ცხოვრებას და თავის საკუთარი საქმეების უურადღების ქცევას.³

აი, ეს თვისება აქვია ჩვენს ძლიერ კარგს და სასარგებლო დაწესებასო, ამბობს ბოლოს „რიგის უწყება“.

გაზეთი „დროება“ ამ წერილით ერთდროულად ორ საქითს აშუქებს: ჯერ ერთი, ქართველ მკითხველს აცნობს ლიფლანდიის გუბერნიის კონვენტის წყობას, მისი საქმიანობის თავისებურებებს, მეორედ მკითხველის უურადღებას ამხავილებს ისეთ ვითარებაზე, რომ ამა ქვეყნის ძლიერთ შეუძლიათ ხალხის ზურგს უკან აკეთონ ხალხისათვის არცთუ სასარგებლო საქმენი.

ქართული პრესა ჩვენი ხაუკუნის დასაწყისშიც ცდილობდა ბალტიისპირეთის, კერძოდ კი ლატვიის კულტურულ ცხოვრების ასახვას. ამ მხრივ საინტერესოა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული საინფორმაციო ცნობა:

„18 ივნისს რიგაში დასრულდა სხდომები ლატიშთა სამეცნიერო კომისიისა. ეს კომისია რიგაში არსებობს და იკვლევს ლატიშთა ენას, ისტორიას, ლიტერატურას და სხვას. ლატიშები მეტად დიდის უურადღებით ადევნებენ თურმე თვალს ამ კომისიის მუშაობას. ეხლა ამ სხდომების დროს წაუკითხნიათ ვრცელი მოხსენებანი ლიტერატურისა, მეცნიერებისა, ქედაგოგიისა და სხვა საგნების შესახებ. კრებაზე შეკრებილან ლატიშთა მეცნიერნი, მწერალნი, სახალხო სკოლის მასწავლებელნი და ისინი, ვისაც საზოგადოდ ლატიშთა ცხოვრება აინტერესებთ. ყოფილან წარმომადგენელნი რუსეთის ყველა კუთხიდან: პეტერბურგისა, მოსკოვისა, ხარკოვისა, კიევისა, თბილისისა და სხვა ადგილებიდან. წლითი-წლობით კრებაზე დამსწრეთა რიცხვი მრავლდება. კრების დაწყებამდე 18 ივნისს გაუმართავთ სალიტერატურო საღამო: ლატიშთა ზეპირსიტყვაობის მომკრების ა. ლერხ-პუშკაიტის ნსოვნის პათივსაცემად. ამ საღამოთი კიევის უნივერსიტეტის ლექტორმა მ. ბრუნენეკმა წაიკითხა მოხსენება „რა მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის ა. ლ. პუშკაიტის მიერ შეკრებილ სახალხო ზღაპრების კრებულს“. 17 ივნისს სხდომაზე თავმჯდომარემ ვ. მაღლონმა გაიხსენა მოღვაწეობა ახლად გარდაცვალებული პოეტის ა. პუმპურისა, შემოხსენებულ ა. ლერხ-პუშკაიტისა, მწერლის ...პურმუვესი, და სხვათა. შემდეგ სთხოვა საზოგადოებას დახმარება

1 გაზ. „დროება“, 1870 წ. 20 აპრილი, № 15, გვ. 2-3.
2 იგივე, გვ. 3.

3 გაზ. „დროება“, 1874. 1 ნოემბერი, № 447, გვ. 2.

გაუწიოს ისეთ ძნელ (საქმეში), როგორც არის ლათიშთა ენციკლოპედიური ლექსიკონის გამოცემა, ლიტერატურაში ახლად შესწორებულ ორთოგრაფიის შემოღება და სხვ. სხდომაზე წაიკითხეს დიდძალი მოხსენებანი. აი სათაურები ზოგიერთი მოხსენებისა: „ლათიშთა ორთოგრაფია“, „ბელეტრისტული ნაწარმოებნი“, „რეფორმები ლათიშთა წიგნების გამოცემის საქმეში“, „რა უშლის ხელს სამკითხველოების გავრცელებას“, „საპედაგოგიო გამოცემანი“, „ლათიშთა დრამატული ლიტერატურის განვითარება“, „პრესა 1802 წელს“ და... სხვა, როგორც მკითხველი ხედავს ლათიშთა პატარა ერისთვის სამეცნიერო კრება დიდად ნაყოფიერი და სასარგებლო... ყოფილა“.¹

ცხადია, ასეთი სამეცნიერო კომისიის სხდომების ჩატარება კემშარიტად ისტორიული მოვლენა იყო იმდროინდელი ლატვიისათვის, რომელსაც არც მეცნიერებათა აკადემია და არც სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები არ ჰქონდა. გვინდა ავღნიშნოთ, რომ ამ კომისიის სხდომებს თბილისის წარმომადგენელიც დასწრებიან. ვინ იყო იგი? რა თემაზე წაიკითხა მოხსენება? ჩვენთვის ჭერჭეროვით უცნობია.

გაზეთი „ივერია“ 1888 წლის ერთ-ერთ ნომერში თანაგრძნობით იხსენიებს ხალტიისპირელ მცირეშიწიან ან უშიწაწყლო მკვიდრთ, რომლებიც ბედის საძიებლად კავკასიაში გადმოსახლდნენ: „რიგის გაზეთების სიტყვით, ზოგიერთი იქიდან გამოხიზნულნი, მაგალითებრ ესტები, რომელნიც ამ ახლოს ხანში გადმოსახლეს კავკასიაში, უკანვე ბრუნდებიანო“, — გვატყობინებს გაზეთი.²

ქართველი და ლატვიელი სტუდენტების შეხვედრისა და ურთიერთდაახლოების ადგილი არა მხოლოდ ტარტუს, პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტები, არამედ რიგის სასწავლებელიც იყო, სადაც ბევრი ქართველი სტუდენტი ყოფილა. აი, ერთი მრავალწერილთაგანი „ივერიის“ რედაქციას:

„ქალაქ რიგაში მოსწავლე სტუდენტები უღრმეს მადლობას ვუცხადებთ ბ-ნს დ. ზ. სარაჯიშვილს, რომელმაც ჩვენს ძმობას ათი თუმანი შემოსწირა“.³

ცნობილია, რომ ვახუშტი საუკუნის დასასრულს განსაკუთრებით გაძლიერდა მუშაობა რევოლუციური მოძრაობა, გაფიცვები და დემონსტრაციები რუსეთის მთელს იმპერიას მოედო.

ქართველ ხალხს აინტერესებდა, რა ხდებოდა ქვეყნის სხვა ოლქებში. რამდენადაც ცენზურა ამის საშუალებას იძლეოდა ქართული პრესა აქვეყნებდა ცნობებს მუშათა გამოსვლების შესახებ. გაზეთი „ივერია“ 1888 წლის 18 მაისს წერდა: „ამ რამდენიმე დღის წინათ რევოლუციონერები იუწყებიან ქალაქ რიგაში ერთი ქარხნის მუშებს პირი შეუკრავთ და მუშაობა აღუკვეთიათ. მუშები სამუშაო ფასის მომატებას თხოულობდნენ თურმე, ეხლა რიგის გაზეთებში ამის შესახებ ლიფლანდიის გუბერნატორის შემდეგი განცხადებაა დაბეჭდილი: „ერთი ქარხნის მუშებმა ამ რამდენიმე დღის წინათ მუშაობა აღკვეთეს და მოითხოვეს სამუშაო ფასის მომატება. მ მათს მათ „ფენიქსის“ ქარხნის მუშებთან ერთად არეულობა მოახდინეს და პოლიციას დაეცნენ. მ მათს არეულობა განაახლეს, ამასთან ბრბომ სახლები დაანგრია, ცეცხლი წაუკიდა რამდენსამე შენობას, ქვები და ბოთლები ესროლა პოლიციელებს და ქარს. მუშების ასეთი მოქმედება აშკარად ჰყოფს იმას, რომ მათ პირობა შეუკრავთ ბოროტმოქმედების ჩასადენად. ამის გამო საჭიროდა ვცნობ განვაცხადო“.

1. ყოველგვარი ურილობა ხალხისა ქ. რიგის ქუჩებსა და მოედნებზე აკრძალულია. სასტიკად აკრძალულია ურილობა აგრეთვე რკინიგზის სადგურებზედ.

2. თავმოყრილი ხალხი და კერძო კაცები, ვინც უნდა იყვნენ დაუყოვნებლივ უნდა დამორჩილდნენ მოხელეთა და პოლიციის მოთხოვნილებასა და ბრძანებას.

3. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს, სასტიკად იქნება დასჯილი. დღეიდან თავმოყრილ ბრბოს გააძვანტავს ქარი იარაღით ხელში და თუ ვინმე დაშავდა ამ დროს, დაშავებული თვით იქნება დაშინაშავი.

ამასთან საჭიროდ ვცნობ მივმართო სახლის პატრონთა და ქალაქის მკვიდრთ და ვთხოვო, რომ დღეიდან დაწყებული დაკეტონ ხოლმე ალუაფის კარები და თუ ძალიან საჭირო არ იქნება საღამოს ცხრა საათიდან ქუჩაში აღარ გამოვიდნენ, რათა შეცდომით არეულობის მომხრეთ არ იყვნენ ჩათვლილნი და არ დაშავდნენ. გუბერნატორი სუროვევი“.⁴

ასეთივე შინაარსის ცნობა გამოქვეყნდა გაზეთ „კვალის“ 1899 წლის 28 მაისის 21-ე ნომერში.

რევოლუციური მოძრაობის მიმდინარეობის ცალკეული დამახასიათებელი ფაქტების შედარებით სრულად ასახვით განსაკუთრებით გამოირჩეოდა გაზეთი „მოგზაური“, რომელიც დაწვ-

1 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903, 28 ივნისი, № 2194, გვ. 2-3.
2 გაზ. „ივერია“, 1886, 2 მარტი, № 48, გვ. 2.
3 გაზ. „ივერია“, 1901, 15 მარტი, № 59, გვ. 4.

4 გაზ. „ივერია“, 1899 წ., 18 მაისი, № 102, გვ. 2-3.

რილებით მოუთხოვდა მკითხველებს იმის შეხახებ, თუ რა ხდებოდა რუსეთის ვრცელ იმპერიაში.

მის 1905 წლის მე-15 ნომერში ვრცლად არის აღწერილი 10-15 იანვარს რიგაში მომხდარ

რი შეტაკებები მუშებსა და პოლიციას შორის. იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული ასეთი ხახიათის ცნობები დასტურია იმინა, თუ რა დიდ ინტერესს იჩენდა ქართული პრესა ლატვიელი ხალხის მდგომარეობისადმი.

შტალიძის ლაქნერი

ინგლისურიდან

თარგმნა ირმა ჯავახიშვილიძე

მაქს ბეკმანი

ექსპრესიონიზმი ერთ-ერთი გავრცელებული მოდერნისტული მიმდინარეობაა XX საუკუნის აზროვნებაში, განსაკუთრებით ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ფართო გაგებით ასახავს უკიდურეს დაძაბულობასა და ტრაგიზმს თანამედროვე ადამიანის მსოფლშეგრძნებასა და მთელს მის ეგზისტენციალურ ცნობიერებაში. ამ მიმდინარეობის წინამორბედებად ითვლებიან ფერმწერები: პოლანდიელი ვ. ვან გოგი, ნორვეგიელი ე. მუნკა, ბელგიელი ჯ. ენსორი, შვეიცარიელი ფ. პოდლერი და სხვ.

ექსპრესიონიზმი სახვით ხელოვნებაში განსაკუთრებით განვითარდა გერმანიაში. ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი წარმომადგენელი მაქს ბეკმანი დაიბადა 1884 წლის 12 თებერვალს, ქალაქ ლაიფციგში. მაქსის მამა საკმაოდ შეძლებული მეწისქვილე და მარცვლეულით მოვაჭრე იყო, უმაწვილი სკოლაშივე გაიტაცა ხატვამ, მისი სურათები ხელიდან ხელში გადადიოდა და ნუგეშს სცემდა გაჭირვებულ მშრომელ ადამიანებს. ათი წლის იყო მაქს ბეკმანი მამა რომ გარდაეცვალა. დედა ყოველნაირად ცდილობდა არ ეგრძნობინებინა შვილისათვის ობლობა.

16 წლის მაქსს სამხატვრო აკადემიაში შესვლის სურვილი გაუჩნდა. მისი მეურვე წინააღმდეგი იყო, მაშინ უმაწვილმა ყველას თვალწინ დახატა კაცის პორტრეტი და ირგვლივ მყოფი ადამიანები განაცვიფრა. მაქს ბეკმანს ვაიმარის ხელოვნების სკოლაში შესვლის ნება დართეს.

1908 წელს მხატვარმა პირველად იმოგზაურა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს და ულამაზეს ქა-

ლაქ პარიზში, — მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მსოფლიო ცენტრში. შემდგომმა ურიცხვმა ვიზიტებმა ამ საქვეყნოდ ცნობილ ხელოვნების ცენტრში გამოიწვია გაუთავებელი ლაპარაკი, გაცხოველებული კამათი იმ ერთგვარ კირვეულობასთან თუ უმდგრალობასთან, რაც საერთოდ პარიზულ ხელოვნებას ახასიათებს.

1904 წელს მაქს ბეკმანი დასახლდა ბერლინში. მის პირველ გამოფენებს უზარმაზარი წარმატება ხვდა წილად. 1905 წელს დახვეწილი გემოვნებით, დიდი ოსტატობით შესრულებულმა სურათმა „ახალგაზრდა კაცი ზღვის სანაპიროზე“ დიდი პრიზი დაიმსახურა. აღებულმა პონორარმა საშუალება მისცა ხელოვანს, ზამთარი ფლორენციაში გაეტარებინა.

მალე მაქს ბეკმანი დაქორწინდა მინა ტიუბიზე, რომელთანაც ვაიმარის ხელოვნების სკოლაში სწავლობდა. 1906 წელს გარდაიცვალა მხატვრის დედა. სახონარკვეთილმა ხელოვანმა შექმნა ამაღელვებელი სურათი „სიკვდილის სცენა“. აღფრთოვანებულმა ნორვეგიელმა მხატვარმა ედვარდ მუნკმა წააქეზა ახალგაზრდა კოლეგა და ურჩია, გაეგრძელებინა „ფანტასტიკური“ ხტილით ხატვა. მაქს ბეკმანი არ მიჰყვა ედვარდის რჩევას და თავისუფალი, ბუნებრივი სტილი ამჯობინა.

მაქს ბეკმანის ბერლინში ცხოვრების წლები პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ბედნიერებით იყო აღსავსე, ცოლ-ქმარი მეგობრულად, უხმატკბილებულად ცხოვრობდა. 1908 წელს შეეძინათ პეტერი — ერთადერთი შვილი. კერძო კოლექციონერთა ჩგუფმა და რამდენიმე მუზეუმმა შეიძინა ბეკმანის ზოგიერთი ნამუშევარი,

ბერლინის გაერთიანებამ, ბრწყინვალე და მოწინავე მხატვართა ასოციაციამ 1910 წელს ბეკმანი დირექტორად აირჩია.

1918 წელს „ხელოვნების ისტორიამ“ მხატვარს ამგვარი შეფასება მიხცა: „გემშარიტი, ღირსეული შემოქმედი, გაბედულად ეჭიდება დიად საქმეს, ხატვისადმი უდიდესი მისწრაფებით აღსავსე თავის შემოქმედებას ადამიანურობით, მელოდიითა და რიტმით ავსებს“. იმავე 1918 წელს ჩნდება მანს კაიერის მონოგრაფია „მაქს ბეკმანი“, უჩვეულო ნიშანი 30 წელს გადაცემული მხატვრის აღიარებისა. მანს კაიერი აღფრთოვანებულია დამწყები მხატვრის ნიჭით. ბეკმანის 1906 წელს შექმნილი ტილოს „დრამას“ შესახებ მანსი წერდა: „ამ ნიმუშით მაქს ბეკმანს თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ საკუთარი გამოცდილების მქონე „ექსპრესიონისტი“. მხატვარს თავისებური, ორიგინალური და მოკიდებულია აქვს სამყაროს მიმართ. ბეკმანის ფანტაზიას არა აქვს საზღვარი. მხატვრის ფუნქციით შექმნილი ამ შედეგიდან ნათლად ჩანს, თუ რა დრმა, ფაქიზი გრძნობითაა სურათი შესრულებული, ფერები კი ცივ, გაუგებარ თრთოლას იწვევენ“.

ტრაგიკული ჩანაფიქრის ძიებისას ახალგაზრდა მხატვარი წარმოდგენით ქმნიდა უველაზე უფრო საშინელ კატასტროფულ სურათებს, „მეხინას განადგურება“ (1909 წ.) მაქს ბეკმანმა დაევიხატა მიწისძვრის შემზარავი სურათი; სიკვდილს გადარჩენილი პატიმარი პოლიციელს დანას ჩასცემს, ხოლო სასოწარკვეთაში ჩაცვნილი ნახევრადშიშველი ადამიანები კვლავ სიკვამბითსათვის იბრძვიან ფერფლადქცეულ ნანგრევებს შორის. სურათში „გიგანტური ხომალდის დაღუპვა“, (1912 წ.) მხატვარმა გადმოგვცა ზღვის ტალღებში უმწეოდ მოფართხალე განწირულ ადამიანთა სახე, სიცოცხლის გადასარჩენად რომ ბრძვიან აქაფებულ ტალღებს.

მაქს ბეკმანი თავისებურად გადმოგვცემს გმირების შინაგან სილამაზებს, ღირსებებსა და ძალას, გააჩნია საგნების აღქმის ნათელი და ამავდროს ძალიან ინდივიდუალური გზა, რომელიც შეაფიქრებლად გამოიხატა შემდეგ სურათებში: „მეტეველები ბუნების წიაღში“, „კარნავალი: მხატვარი და მისი ცოლი“, „შარაგზა“ და „შავი მამბაბები“.

გრილი, წყნარი, სასიამოვნო ზეფხულის დღე არის გამოხატული ბეკმანის სურათზე „მეტეველები ბუნების წიაღში“; აქ უჩვეულო არაფერი არ ხდება. არაფერი არ არის გაწვიანებული არც ბუნების და არც მხატვრის მიერ. კადრის ბეთა მწკრივი სურათის უკანა ფონზე ქუჩის შორი-ახლო არსებობაზე მეტყველებს. ორი მშვიდობისმოყვარე ადამიანი თევზსაჭერი ანკეხებით ხელში მშვიდად ჩახტვირის მოდიცლიცე წყალს

და მოთმინებით ელის თევზის გამოჩენას. თუმცა ციხ პორიზონტი არ ჩანს, ადამიანთა გიგანტურად ხუნთავს... მხატვარს კარზნის მიხედვით არ დაუტოვებია უუურადღებოდ, ინდუსტრიული საუკუნის მაჩვენებელი. თუმცა ეს სურათი არ არღვევს მზიანი და თბილი კარნავალის მხატვრულ სურათში „კარნავალი: მხატვარი და მისი ცოლი“ მაქს ბეკმანს საკუთარი თავი ძეგვს გამოცვანალი. მხატვარი ახალგაზრდა ცოლთან ერთად სალამოს წარმოდგენისათვის მოემზადა. მათი კონსტიუმები ელეგანტური და მომხიბვლელია, სურათზე ისე ჩანს, თითქოს ისინი სცენაზე დგანან. მათი სახეები გრძობით და პუდრით არის დაფარული. მხატვარი ამყობს თავისი ლამაზი ცოლით. ფერთა შეხამება გემოვნებითაა შერჩეული. პერსონაჟები დახვეწილი ფერებით, განწყობილების ხიდრმით გამოიჩრევიან. წითელი, მომწვანო, ნარინჯისფერი ტონები დიდი ოსტატობითაა ურთიერთშერწყმული.

„შარაგზა“ მხატვრის პირველი სურათია, რომელშიც სიცოცხლის არავითარი ნიშან-წყალი არ ჩანს. მოღუშულ ცაზე ჩიტიც კი არ დაფრინავს. მწუხარებას ჩაუბუდებია პატარა ქუჩასა და ცარიელ ფანჯრებში. მხოლოდ უუჩძნის ერთ მტევანს დაურღვევია მუუდრობა და უნებართვოდ გადმოშძვრალა ხის მაღალ დობზე. ირგვლივ სიმართლვე და სიყაროლე სუფევს. ტელეგრაფის ბოძები ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული მავთულით. გარე სამყაროსთან ურველგვარი ურთიერთობა გაწყვეტილია, ეს გზის დახასრულია... შორს ზღვაში საიდუმლოებით მოცული შუქის ათინათი მწვანე ზღვის ტალღებზე ირეკლება და იმედის ხნივს უღვიძებს ადამიანს. მაგრამ ბედნიერი ნავები გვერდზე ჩაუვლიან ამ შელანქოლიით ხავსე სანაპიროს და მალე ხულ გაქრებიან პორიზონტიდან.

ერთი შეხედვით ხაკმოდ მარტივი სურათია „შავი მამბაბები“; ოთხი უვავილი ლარნაქში, ნოტების რამდენიმე ფურცელი, სკამის მომრგვალებული ზურგი, შპალერი და ფანჯრა, მეტი არაფერი და მაინც როგორი მდიდრული, მგრძნობიარე გადახველებაა ფერთა სიმცირის მიუხედავად. მწვანე და შავი ტონები სოცარ პარმონიას ქმნიან. ქვრები შპალერზე კონტრასტული ფერის განო უფრო წითელი ჩანს კადრე ის სინამდვილეშია. ხელოვანი სულიერად ისვენებდა უვავალების ხატვისას, მათი ბაგენი მხოლოდ მხატვრისათვის გასაგებ ენაზე ჩურჩულებდნენ...

1914 წლის ომის დაწყებამ მაქს ბეკმანს ბერლინში მოუხწრო. მხატვარი ცაცხვების ხეივანში პატარა ჩანახატებს აკეთებდა. ერთმა პატრიოტმა თავი ვერ შეიკავა და პკითხა: „როგორ შეგვიძლიათ ასეთ დღეს ხატოთ?“ მაქს ბეკმანმა უპასუხა: „ეს არის ერთ-ერთი უდიდესი ეროვნული კატასტროფა“!

მაქს ბეკმანი არ მიჰყვა ხერხთა დინებას. იმ დროს, როდესაც სხვა მხატვრები კმნიდნენ ომში მიმავალი ქარისკაცების სურათებს, ბელოვანმა შექმნა მტირალი ქალის მწუხარე, ტანჯული სახე.

ახალგაზრდა მხატვარი საკუთარი ნება-სურვილით გაემგზავრა ომში სანიტრად. რუსეთის ფრონტიდან მან მისწერა თავის ცოლს მინას. (1914 წლის 8 ოქტომბერი): „ახლა უფრო ძლიერ მწყურია სიცოცხლე, ვიდრე ოდესმე, თუმცა მოწმე ვიყავი მრავალი საზარელი შემთხვევისა და სხვისი სიკვდილითაც მრავალჯერ მოგმკვდარვარ. რაც უფრო მეტი ადამიანი ესალმება სიცოცხლეს, მით უფრო მეტად სწყურია სხვას არსებობა. გამუდმებით ვხატავ და მხოლოდ ეს მიცავს სიკვდილისა და უოველგვარი საფრთხისაგან“.

ხატვის გამო მაქს ბეკმანი ორჯერ იყო დაპატიმრებული, როგორც ქაშუში. მეორედ დაპატიმრებისას, იგი მხოლოდ სამი საათით იმყოფებოდა მეთვალყურეობის ქვეშ. სულგრძელმა კაპიტანმა გაანთავისუფლა უდანაშაულო მხატვარი.

უოველი ახალი შთაბეჭდილება, რომელსაც მაქს ბეკმანი გარე სამყაროდან აღიქვამდა, მხატვრის შემოქმედებითი გამოცდილების გაღრმავებას ემსახურებოდა. საოპერაციო ოთახის დასუფთავების შემდეგ მაქსმა განაცხადა: „ამჯერად დაშლაგებელი ქალის ფიქრებსა და გრძნობებს მინდა ჩავწვიდე!“ ბელოვანი ბრძოლის ველიდან დაბრუნებული დაჭრილი ქარისკაცების რიგებს შორის დააბიჯებდა ღრმად ჩაფიქრებული და გონებაში უსასრულოდ ხატავდა, კმნიდა და იტანჯებოდა. „როდესაც გამარჯვების წაღბი მესმის, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს უკვდავების კარები ფართოდ გაიღო და სიმალღე, სივრცე, უსასრულობა შემოიჭრა ჩემს ხელში. ო, როგორ მინდა ფუნჯით გამოვხატო ეს გრძნობა, შეშინებამგვრელი და ამავე დროს ასე მიმზიდველი“... — ეუბნება იგი მოგვიანებით თავის მეგობარს.

1915 წლის 18 მარტს მაქს ბეკმანმა მისწერა თავის ცოლს: „გუშინ თავისუფალი ვიყავი. დახვეწების ნაცვლად ხატვამ გამიტაცა და შეიდი საათის განმავლობაში ვმუშაობდი ავტოპორტრეტზე. მსურს უფრო მარტივი, უფრო დახვეწილი გავხადო ჩემი ხატვის მანერა. ხალხთან შეხვედრა ჩემთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარია. საოცარი ლტოლვა მაქვს მათადმი!“.

მაქს ბეკმანის მიერ ომის პერიოდში შექმნილი ბევრი სურათი დღემდე შემოგვრჩა. ერთერთი მათგანია 1915 წლით დათარიღებული ავტოპორტრეტი „სანიტარი“. სწორედ ის სურათი, შეიდი საათის განმავლობაში რომ ხატავდა ბელოვანი, ომში მიღებული ნერვული სტრესის შედეგად მაქს ბეკმანი ფრონტიდან დაითხოვეს. მხატვარი ფრანკფურტში დასახლდა.

პირველმა მსოფლიო ომმა დამღუპველი გავლენა იქონია გერმანულ ხელოვნებაზე, მაქს ბეკმანმა უარი განაცხადა შოვინიზმის გავლენის ქვეშ უოფილიყო. ომის დაწყებისას მხატვარმა თავის ცოლს მინას უთხრა: „მე არ მსურს ფრანგ ვესროლო, ძლიერ ბევრად უფრო მსურს ვაფრანგული ხეწანისაგან და არც რუსს — დოსტოევსკი ჩემი მეგობარია!“.

მიუხედავად იმისა, რომ მაქს ბეკმანის 1917 წელს შესრულებული ტილოები მონოტონური და მოსახერხებელი ჩანს, მაინც ღრმად შთაბეჭდავია. მხატვარმა ომში სულის ჯოჯოხეთური ტანჯვა გადაიტანა. ბეკმანმა შეძლო ღრმად ჩასწვდომოდა ჯვარცმული იესო ქრისტეს განაწამები სხეულისა და სულის ტკივილს, გაეგო დამცილებული ცოდვილის ნამდვილი გრძნობები, შეეცნო ქრისტეს უმწიფო მდგომარეობა.

ომის დამთავრების შემდეგ მხატვარი საკუთარ თავში ჩაიკეტა, იგი აღარ დაუბრუნდა თავის ოჯახს. ცხოვრობდა ფრანკფურტში, მეგობარი მხატვრის უგი ბატენბერგის სახლში, რომელმაც თავისი სახელოსნო ბეკმანს დაუთმო. იმდროინდელი გაჭირვებული მდგომარეობა მხატვარმა თავის ტილოებში ასახა. თითქმის არც ერთ მათგანზე არ არის გამოსახული ბენების სურათი, ლაუვარდოვანი ცა ან უხაზდგრო სივრცე, ერთ დროს ასე ძლიერ რომ იწიდავდა ბელოვანს. ამ პერიოდშიდან მაქს ბეკმანმა შეიძინა გამომსახველობითი სტილი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გახდევს მის შემოქმედებას.

გერმანიაში დემოკრატიული გზა აირჩია. მას ნება დაერთო შეერთებოდა გამარჯვებულ ძალებს ეროვნებათა ლიგაში. კეთილშოხორნეობის ატმოსფერო ტრიალებდა გარშემო. ყველა სახელმწიფო ცდილობდა ეთანამშრომლა მეზობელ ქვეყნებთან და სამყარო საუკეთესო საცხოვრებელ ადგილად გადაეჭცია. მაქს ბეკმანის სურვილიც ნათელი მომავლის დანახვა იყო. პირადად მხატვრისათვის სასიხარულო და დიდებული დღეები დადგა. კოლექციონერები, ხელოვნების მუზეუმები სულ უფრო მეტად ინტერესდებოდნენ მაქს ბეკმანის შემოქმედებით. 1928 წლის სექტემბერში მხატვარი მეორედ დაქორწინდა — ამჯერად მათილდა ფონ ქაულბახზე. მომაჯადოებელ, ერთგულ ქალზე. მათილდა ლხინშიც და პირშიც ქმრის გვერდით იყო, მაქსის ტკივილსა და სიხარულს თანაბრად იზიარებდა. მათილდა ფონ ქაულბახი წარმოშობით საკმაოდ მდიდარი ოჯახიდან იყო, ბრწყინვალე მევიოლანე გაზღდათ და საკმაოდ ახალგაზრდა თავის ქმართან შედარებით. მან ნათელი ხშივი შეიტანა ბეკმანის ტანჯვით სავსე ცხოვრებაში. მაქს ბეკმანმა სიცოცხლის წუფრვილის ხელახალი შემოტევა იგრძნო.

1927 წელს მაქს ბეკმანი ხდება ფრანკფურტის ინსტიტუტის დირექტორი და 1938 წლამდე რჩება ამ პოსტზე. 1928-1932 წწ. მხატვრისათვის უკეთესი დიდებული წლებია. მაქსის უახლოესი მეგობრები უმაღლესი ფენის წარმომადგენლები არიან. მუზეუმების დირექტორები, ურნალ-გაზეთების რედაქტორები, მოწინავე პროგრესული მწერლები და მდიდარი ხაქსონები იყრიან თავს მის გარშემო.

ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში მაქს ბეკმანი ცდილობდა შეესწავლა საკუთარი თავი სხვადასხვა პოზისა თუ გარემოში. მაქსი ხატავდა ავტოპორტრეტებს; საკარნავალო კოსტიუმში გამოწყობილს სატკაპუნებლით ხელში ან მუსიკალური საკრავების — საქსოფონისა და ინგლისური ბუკის აკომპანირებით. ზოგჯერ გამკვირვალე ბურთი ან დამსხვრეული ბორკილი ხდებოდა მხატვრისათვის სიმბოლოდ. ხელოვანი ხატავდა, ქმნიდა საკუთარ გამოსახულებას ღიმილით ან ტკივილით აღსავსე, ღრმა ფსიქოლოგიური განწყობლებით ან საკუთარი თავისადმი უნდობლო ან გამსკვალულს, ცინიკურ ან იუმორისტულ ფორმაში, ზოგჯერ კი ტრაბახებს როლშიც.

მაქს ბეკმანის 1927 წლით დათარიღებული „ავტოპორტრეტი“ საკმაოდ განსხვავებულია მხატვრის სხვა ნამუშევრებიდან; ბერლინის ეროვნულმა გალერეამ შეიძინა ხელოვნების ეს ნიმუში და ღირსეული ადგილი მიუჩინა თავის საგამოფენო დარბაზში. მართლაც, ხურათმა რეალურად ასახა ვაიმარის რესპუბლიკის ღირსება.

გერმანია ამჟამად საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობით, ისევე როგორც დასავლეთის სახელმწიფოებთან. ის იყო დამაკავშირებელი ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ვაიმარის რესპუბლიკა ცდილობდა სიმშვიდე შეენარჩუნებინა მემარცხნე და მემარჯვენე პარტიებს შორის. ვინ წარმოიდგენდა, რომ რაღაც ათიოდე წლის შემდეგ, მაქს ბეკმანის ეს ტილო ჩამოღებული იქნებოდა ბერლინის ეროვნული გალერეიდან და, ნაცისტების მიერ სასაცილოდ აგდებული, ე. წ. „გაბრწინილი ხელოვნების“ სახელწოდებით გავრცელდებოდა გერმანიაში.

1932 წლის მაისიდან ძირითადი ცვლილება ხდება მაქს ბეკმანის შემოქმედებაში. მხატვარმა თავის პირველ ტრიპტიქზე „გამგზავრება“ დაიწყო მუშაობა. არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება იმის თაობაზე, თუ რატომ დაუბრუნდა მაქს ბეკმანი ანტიკურ მითოლოგიასა და პეროიკულ გმირებს, სახლს მოშორებულ ადამიანებს, რომლებიც ოდისევსის თავისუფალი, ლაფარდოვანი, უხასრულო სამყაროთა სუნთქავდნენ. მაქს ბეკმანს საკუთარი ფანტაზიის გამოხატვის შესაშური უნარი გააჩნდა. ხელოვანი ხშირად ქმნიდა ფილოსოფიურად გააზრებულ ტილოებს ლეგენდებისა და ანდაზების მიხედვით. ერთგვარ

რი პარალელი შეგვიძლია გავავლოთ მაქს ბეკმანის შემოქმედების ამ პერიოდსა და ფრანგი მხატვრის, პაბლო პიკასოს შემოქმედების ერთ ნაწილთან. კუბიზმის დამთავრებულ პერიოდში პიკასოს შემოქმედებაში შემოიჭრა ნეოკლასიციზმის ტენდენციები (ე. წ. ნოენგრიზმი). ამ პერიოდის ნამუშევრებს ახასიათებს ზღაპრულ-იდილიური განწყობილება.

1938 წელს მაქს ბეკმანმა შექმნა წულის ხაღვებით შესრულებული ოდისევსის ფანტასტიკური სახე („ოდისევსი და ნიმფები“), რომელიც მშობლიური ითაკიდან მოშორებული უკიდობა-ნო ზღვის ზურგზე დახეტილობს, ნიმფები თუ ქალღმერთი, მისით მოხიბლულნი უკვდავებას შპირდებიან. გემის ანდაზე მიბმული, კაპიუშონით თავშეპურული ვაჟაკი ცდილობს არ აშუვეს ცდუნებას, არ უსმინოს წულის ნიმფების ნაზ სიმღერას. მხოლოდ ოდისევსს შეეძლო გადაეტანა უკეთესი განსაცდელი, ტროადან უკანმობრუნებისას თავს რომ დაატეხეს კაცთა და ღმერთთა. მხოლოდ მის გამჭრიახ, ცბიერ გონებას, უძრავ გულს და უდრეკ ნებისყოფას უნდა გადაერჩინა იგი ზიფათისა და ცდუნებებისაგან. მეოცნებე ოდისევსი მაქს ბეკმანის საუყარელი გმირი ხდება. მოგვიანებით მხატვარი დღიურში თავის თავს „საბრალო ოდისევსს“ უწოდებს.

1938 წელს გერმანიაში ძალაუფლება ნაცისტების ხელში გადავიდა. პროფესორმა მაქს ბეკმანმა დაკარგა ლექტორის ადგილი ფრანკფურტის აკადემიაში. მხატვარი ბერლინში გადავიდა საცხოვრებლად.

სახელმწიფო და კერძო მუზეუმებს აიკრძალათ მაქს ბეკმანის ნამუშევრების გამოფენა. მიუხედავად ამისა, მხატვარი არ ეცემა სულით და განაგრძობს მუშაობას ბერლინის პატარა, მაგრამ მტკად მოხერხებულ ბინაში. 1939 წელს მაქს ბეკმანმა შექმნა თავისი პირველი სკულპტურა „კაცი წუვდიადში“. 1940 წლამდე ხელოვანი კიდევ შვიდ სკულპტურას ქმნის ბრონზის „ავტოპორტრეტის“ ჩათვლით. — ც ერთს სიტყვა არ თქმულა გაზეთებში მაქს ბეკმანის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით. ხელოვანი უკეთესს მიერ იქნა მივიწყებული, მაქს ბეკმანი ტოვებს ბერლინს და საცხოვრებლად ამსტერდამში გადადის. რა იცოდა უიღბლო მხატვარმა, რომ ვეღარასოდეს იხილავდა თავის მშობლიურ მხარეს.

ნაცისტური მთავრობის ბრძანებით ხელოვნების 12880 ნიმუშის კონფისკაცია მოახდინეს გერმანიის ხელოვნების მუზეუმებიდან. მათ შორის იყო სეზანის, ვან გოგის, გოგენის, პიკასოს შედევრები. დაახლოებით 2000 გატანილ და გაუადულ იქნა გერმანიის ფარგლებს გარეთ. ბევრი მათგანი ბიზნესმენებმა გადაამალეს. დარჩენილი ნაწილი კი საბალზოდ დაწვეს ბერლინში.

1937 წლიდან 1940 წლამდე მაქს ბეკმანმა ვერ

გადაწვევითა სად დასახლებულიყო, ხაფრანგეთსა
თუ პოლანდიაში. საბოლოოდ ის ამსტერდამში
დარჩა. 1937 წელს მაქსმა აღმოაჩინა თამბაქოს
შესანახი ძველი, მიგრებული ხაწყობი და თავის
სახელოსნოდ გადააკეთა უამრავი ახალი ჩანაფიქ-
რის ხორცშესახსმელად. მაქს ბეკმანის მიერ ამს-
ტერდამში შექმნილი ტილოებიდან ერთ-ერთი
საუკეთესოა ავტოპორტრეტი „განთავისუფლბ-
ბული“. მხატვარს ხელებზე დამსხვრეული პორ-
კლის ნარჩენები აქვს, საბუზე იმედის შერთალი
სხივი დასთამაშებს... სურათის უკან ფონზე
გისახიანო ფანჯარაა გამოსახული.

1938 წელს მაქს ბეკმანის სახელი მოულოდნე-
ლად ნიუ-იორკში ამოტივტივდა. მხატვარ ჯონ
როკფელერმა მხატვრის მიერ შესრულებული
სურათი „ოქახური პორტრეტი“ საჩუქრად გა-
დასცა ნიუ-იორკის „თანამედროვე ხელოვნების
მუზეუმს“.

1938 წელს მაქს ბეკმანის მიერ შესრულებულ
ტილოებს ლონდონში გამართულ XX საუკუნის
გერმანულ ხელოვნებისადმი მიძღვნილ გამოფე-
ნაზე დიდი წარმატება ხვდა წილად.

1939 წელს მაქს ბეკმანის სურათმა „ცდუნე-
ბა“ პირველი პრიზი დაიმსახურა სან-ფრანცისკო-
ში მოწყობილ გამოფენაზე. ჩიკაგოს ხელოვნე-
ბის ინსტიტუტმა მხატვარი ლექციების ჩასატა-
რებლად მიიწვია. მიუხედავად ამისა, მაქს ბეკმა-
ნისათვის შეუძლებელი გახდა ამერიკული ვიზის
მიღება.

1940 წლის მაისში პიტლერის ფაშისტურმა
ქარებმა აიღეს პოლანდია. როდესაც ისინი ამს-
ტერდამს მიუახლოვდნენ, მაქს ბეკმანმა დაწვა
თავისი დღიური (1925-1940 წლებს მოიცავდა)
იმის შიშით, რომ ვნება არ მიეყენებინა თავისი
ძველი მეგობრებისათვის. მისმა ცოლმა, მათილ-
დამ, შეძლო მხოლოდ რამდენიმე ფურცლის გა-
დარჩენა. მაქს ბეკმანის სრული დღიური, რომე-
ლიც ნოიკავს 1940-1960 წლებს, შენარჩუნებუ-
ლია და ნათელ წარმოდგენას იძლევა მხატვრის
შინაგან სამყაროზე.

უდიდესი ბედნიერება იყო მაქს ბეკმანისათვის
ამ მეტად მძიმე დროში თავის შვილთან, პეტერ-
თან შეხვედრა. პირველ ცოლთან განქორწინების
შემდეგ, ხელოვანი იშვიათად ახერხებდა უმარტი-
ვლეს ნახვას. 1941 წლის იანვარში კი პეტერი

თვითონ ესტუმრა მამას ამსტერდამში. ეს მან
ადვილად შესძლო, რადგან ხამხედრო ექიმად
მსახურობდა. მამას რომ დასმარებოდა პეტერი-
მად გადაიტანა საზღვარზე ბეკმანის ხეობის სურ-
ათი და გერმანიაში დააბრუნა, სადაც მაქსის
ერთგულმა მეგობრებმა შეტყობინეს.


ამერიკაში უდიდესი გატაცება იყო მხატვრის
შემოქმედებაზე. აქ გატარებული წლები სავსე
იყო ოცნებითა და მდუნვარებით. მაქს ბეკმანმა
უამრავი პორტრეტი შექმნა. ხატვის დაწყებამდე
აღაშინანს გაესაუბრებოდა, აღიქვამდა მის შინაგან
სამყაროს და მხოლოდ შემდეგ იწყებდა ხატვას.
ცდილობდა უფრო ღრმა აზრი ჩაექსოვა თავის
სურათებში, ვიდრე ტილოს შედაპირზე იყო გა-
მოსახული.

მეორე მსოფლიო ომის დაშთავრების შემდეგ,
როგორც კი აღდგა ურთიერთობა სახელმწიფოებს
შორის, მაქს ბეკმანმა ცამეტი ახალი სურათი გა-
დააგზავნა ნიუ-იორკის გალერეაში. 1946 წლის
4 მაისს პახუბი მიიღო, რომ მისი 1938 წლით
დათარიღებული ათი სურათი უკვე გაიყიდა. მაქს
ბეკმანი აღტაცებული იყო წარმატებით. მალე
მხატვარი ჯერ კალიფორნიის კოლექში მიიწვიეს
საკუთარ შემოქმედებაზე ლექციების წასაკითხად,
შემდეგ ვაშინგტონის, ნიუ-იორკის უნივერსი-
ტეტში, თავდაპირველად ხელოვანი ძლიერ დე-
ლაგდა აუდიტორიაში შესვლის წინ, მაგრამ წარ-
მოდგენით შექმნილმა სურათმა მომავალი სტუ-
დენტების შესახებ დაამშვიდა მხატვარი. „...ნა-
მდვილად კარგები არიან ეს ლამაზი გოგონები
და ბიჭუნები“, — ფიქრობდა მაქსი გზაში. მხატ-
ვარი გულწრფელად იზიარებდა სტუდენტების
წარმატებას. მათ ეკონომიური პირობების გამო
კი ამბობდა: „დიან, ძნელია ნატო და იცხოვრო!“.

მაქს ბეკმანი უპირველეს ყოვლისა მხატვარი
იყო, მაგრამ მისი შემოქმედებითი ენერჯია ამით
არ იფარგლებოდა. მხატვრის ნიჭი ხელოვნების
სხვა დარგებშიც სწვდებოდა. 1934 წელს მაქს
ბეკმანმა შექმნა პირველი სკულპტურა „კაცი
წყვდილადაში“. დაწერა რამდენიმე პიესა, რომლე-
ბიც არასოდეს დადგმულა სცენაზე. 1934-1934
წლებში შექმნა ორასზე მეტი გრაფიურა. მუშა-
ობდა როგორც ბის, ასევე ქვის მასალაზე.


მაქს ბეკმანი გარდაიცვალა 1950 წლის 27
დეკემბერს.

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
На грузинском языке
1987 № 3
СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ
ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ



ՎԱՅԵՆ ՍՈՒՐԱԲՅԱՆ, Պեզոյ Նամնապղծ

1715




 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

76132